

ს. კარიპიძისი, ჯ. სანიკიძე

ელექტრული ჭვაბის საფუძვლები



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ს. კარიპიძისი, ჯ. სანიკიძე

ელექტრული მეცნი საცუმვლები



დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ
სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ.

თბილისი
2014

სახელმძღვანელო „ელექტრული წევის საფუძვლები“ დაწერილია „ელექტრული ტრანსპორტის“ სპეციალობის ბაკალავრების და მაგისტრებისათვის. წიგნში პოპულარული ენით აღწერილია ელექტრული წევის, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, წარმოშობის და განვითარების ისტორია, მისი დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები. განხილულია წევის, სამუხრუჭო და მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების წარმოქმნის მექანიზმები და მათი რეალიზაციის საკითხები. მათემატიკური აპარატის გამოყენებით ახსნილია მატარებლის მოძრაობის დინამიკის და წევის გაანგარიშების გრაფიკული, გრაფოანალიზური და ანალიზური მეთოდები.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი თანამედროვე ნახევარგამტარული ტექნიკის ბაზაზე შესრულებულ მდოვრე რეგულირების მქონე სტატიკურ გარდამქმნელებს და სტატიკური ინვერტორების გამოყენებით ასინქრონული წევის ძრავების სიჩქარის რეგულირების სისტემებს.

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში, პირველად ქართული ტექნიკური ლიტერატურის ისტორიაში, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ელექტრომობილებს. აღწერილია ელექტრომობილების წარმოშობის და განვითარების ისტორია, მათი ჩავარდნის და ხელმეორედ აღორძინების მიზეზები, პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ელექტრომობილების ფართოდ დაწევას და მითოებულია მათი გადაჭრის გზები.

აღწერილია სარელსო ტრანსპორტზე მაღალი სიჩქარეების რეალიზაციის გზაზე წარმოქმნილი სირთულეები და მათი გადაწყვეტის გზები, უბორბლო (მაგნიტური ჩამოკიდების მქონე) სატრანსპორტო საშუალებების დანერგვის გზით. დეტალურადაა განხილული მათი მუშაობის პრინციპი. მოყვანილი და აღწერილია დღეისათვის პრაქტიკულად რეალიზებული მაღალსიჩქარიანი სატრანსპორტო საშუალებები და მათი განვითარების პერსპექტივები.

ჩვენი აზრით, დღეისათვის ტრანსპორტის დარგში ქართული ტექნიკური აზროვნების სივრცეში, წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენს მათოვის, ვინც დაინტერესებულია ელექტრული წევის საკითხებით.

რეცენზენტები: შ. ნემსაძე ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თ. ნაიმნაძე გაერთიანება „ელექტრომავალმშენებელი“-ს
მთ. ინჟინრის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა
კანდიდატი

ISBN

© საგამომცემლო სახლი
„ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>

ფელა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საჭალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სააგტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.



წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო “ელექტრული წევის საფუძვლები” შედგენილია ელექტრული ტრანსპორტის საეციალობის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დღევანდელი პროგრამების შესაბამისად.

წიგნის ძირითადი შინაარსი მოიცავს სხვადასხვა დროს ელექტრული ტრანსპორტის კათედრის დამარსებლის, პროფესორ ლევან აბელიშვილის, პროფესორ ლევან ტრაპაიძის და ამ წიგნის ავტორების მიერ ათეული წლების განმავლობაში წაკითხულ სალექციო კურსს. წიგნში შესულია, აგრეთვე, მრავალი თანამედროვე სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევა წევის ელექტრული ამძრავების სფეროდან.

დღემდე ქართულ ენაზე არ გამოცემულა ელექტრული წევის საკითხებისადმი მიძღვნილი არც ერთი სახელმძღვანელო. ყველა ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო არსებობს რუსულ და უცხოურ ენაზე. მათში ძირითადათ განხილულია ელექტრიფიცირებული რკინიგზების მუდმივი დენის 3კვ. ძაბვის სისტემა, რომელიც შექმნილია გასული საუკუნის 30-იან წლებში და შემდგომში შექმნილი ცვლადი დენის სისტემები.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ყოფილ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ დაიწყო ინტენსიური მუშაობა ჩვეულებრივი, ხელოვნური კომუტაციის მქონე ტირისტორების ბაზაზე შესრულებულ სიჩქარის იმპულსური რეგულირების სქემებზე, რომლებშიც გამოყენებული იყო არსებული მუდმივი დენის მიმდევრობითაგზნებიანი ძრავები.

ძალოვან ნახევარგამტარული ტექნიკის განვითარებაში მნიშვნელოვანმა ძვრებმა, კერძოდ, ათასობით ვოლტ ძაბვაზე და ამპერ დენზე მომუშავე სრულად მართვადი GTO, IGCT ტირისტორების და IGBT ტრანზისტორების შექმნამ და დანერგვამ, ძირფესვიანად შეცვალა როგორც მუდმივი, ასევე ცვლადი დენის წევის სისტემების მომავალი.

განსხვავებით რუსულ და უცხოურ ენებზე გამოცემულ ელექტრული წევის სახელმძღვანელოებისაგან, წინამდებარე წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა როგორც ცვლადი დენის სისტემებს, ასევე ასინქრონულ წევის ძრავების ბაზაზე შესრულებულ წევის ამძრავებს, ელექტრომობილებს და მაღალ სიჩქარიან სარელსო ტრანსპორტს.

სახელმძღვანელოში განხილულია წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების გაანგარიშების ანალიზური მეთოდი, რომელიც ეფუძნება ძრავას დამაგნიტების მრუდის ზუსტ აპროქსიმირებას. მოყვანილია მახასიათებლების გაანგარიშების მაგალითები, პერსონალური კომპიუტერული პროგრამების (Exsel) გამოყენებით.

სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ასინქრონულ წევის ძრავებში მიმდინარე პროცესების შესწავლას, მათი სხვადასხვა (მოტორულ, გენერატორულ) რეჟიმებში მუშაობისას. სადაც ძირითადათ განიხილება ძრავას მკვებავ ინვერტორებში ძაბვის და სისტემის რეგულირების საკითხები. განხილულია

არსებული განივ იმპულსური რეგულირების (გირ) ნაცვლად, ავტორების მიერ შემოთავაზებული ძაბვის და სიხშირის რეგულირების ორსაფეხურიანი ოპტიმალური მეთოდი.

წიგნში წევის გაანგარიშების არსებულ გრაფიკულ მეთოდებთან ერთად, ავტორების მიერ შემოთავაზებულია წევის გაანგარიშების ანალიზური მეთოდი, რომელიც ნაკლებად შრომატევადი და ზუსტია.

წიგნში პირველად განიხილება ელექტრული ტრანსპორტის ერთ-ერთი ნაირსახეობა ელექტრომობილი. აღწერილია ელექტრომობილების წარმოშობის და განვითარების ისტორია. ის, თუ რამ გამოიწვია ელექტრომობილების განვითარების ჩავარდნა და რამ განაპირობა მისი ხელმეორედ აღორძინება. დეტალურადაა აღნიშნული იმ პრობლემების შესახებ, რაც ხელს უშლის ელექტრომობილების ფართოდ დანერგვას, მითითებულია ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

საქმარისია თვალი გადავავლოთ წიგნში განხილულ საკითხთა ნუსხას, რომ შეგვექმნას შთაბეჭდილება განხილულ საკითხებზე და მათ მასშტაბებზე.

ავტორები დიდ მადლიერებას გამოთქვამენ რეცენზენტის, სრული პროფესორის შოთა ალექსანდრეს-ძე ნემსაძის მიმართ, ამ სახელმძღვანელოს გამოცემის მხარდაჭერისთვის და ელექტრული ტრანსპორტის კათედრის თანამშრომლის გალერია სიმონის ასულ გლურჯიძის მიმართ, წიგნის რედაქტირების და გაფორმებისათვის გაწეული დიდი შრომისათვის.

ავტორები მადლიერებით მიიღებენ ყველა შენიშვნას და საქმიან წინადადებას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ელექტრული წევის განვითარების მოპლი ისტორია

ელექტრული წევა ეწოდება წევის ისეთ სახეობას, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობაში მოყვანა ხდება ელექტრული ძრავების მიერ, ელექტრული ენერგიის მექანიკურ მუშაობად გარდაქმნის გზით.

ელექტრული წევის შექმნა და მისი შემდგომი სრულყოფა უშუალოდაა დაკავშირებული ელექტროტექნიკის დარგის წარმოქმნასა და განვითარებასთან, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო ელექტრობაზე და მაგნიტიზმზე, ხანგრძლივ პერიოდში, დაგროვილმა ცოდნამ.

მექანიკური მუშაობის განსახორციელებლად ელექტროენერგიის გამოყენების პირველი ცდები უკავშირდება 1834 წელს, როდესაც ამერიკელმა ტომას დავინჩორმა გალვანური ელემენტების და პრიმიტიული მაგნიტოელექტრული ძრავას გამოყენებით სცადა მოძრაობაში მოყვანა მცირე ზომის ვაგონებია.

თითქმის ერთდღოულად (1838 წელს), რუსმა ფიზიკოსმა ს. იაკობიმ დაახლოებით იგივე მეთოდებით ჩაატარა ცდები, ელექტრული ძრავით ნავის მოძრაობაში მოსაყვანად. აქ უწყვეტი მოძრაობის განმაპირობებლად პირველად გამოიყენეს ბრუნვითი მოძრაობა, ნაცვლად, მანამდე არსებული, გადატანითი მოძრაობისა, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა უწყვეტ მოძრაობას. ძრავას ბრუნვითი მოძრაობა ბერკეტული სისტემით გადაეცემოდა ნავის კიჩოზე განთავსებულ ხრასნს, მოჰყავდა ის ბრუნვით მოძრაობაში და ამ გზით ახდენდა ნავის ხაზოვან გადაადგილებას. 0.5 ცხენის ძალის სიმძლავრის ელექტრული ძრავა იკვებებოდა, ნავზე განთავსებულ გალვანური ელემენტებისგან. ნავი მოძრაობდა დინების საწინააღმდეგოდ 4კმ/სთ სიჩქარით. ს. იაკობის მიერ უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებაზე (ნავზე, ეკიპაჟზე) ელექტრული ენერგიის წყაროს განთავსებამ, საოვავე დაუდო ე.წ. ავტონომიური ელექტრული წევის სახეობის განვითარებას.

ე. ლენცის და ბ. იაკობის მიერ ელექტრული და მაგნიტური პროცესების ურთიერთშექცევადობის მოვლენის აღმოჩენამ, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე მუდმივი დენის მანქანების შექმნას, იტალიელი ელექტრომექანიკოსის პაჩინოტის მიერ ელექტრული მანქანების კონსტრუქციის განვითარებაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა 1864 წელს, ო. დოლივო – დობროვოლსკის მიერ 1889 წელს სამფაზა ასინქრონული ძრავების შექმნამ, 1875-76 წლებში ინჟინერ ფ.პიროცის

მიერ ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადაცემის წარმატებულმა ცდებმა, რომელმაც მოხსნა სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ელექტრული ძრავას ელექტრული ენერგიით მომარაგების პრობლემა და ელექტროტექნიკის დარგში სხვა მნიშვნელოვანმა მიღწევებმა, საგრძნობლად შეუწყო ხელი ელექტრული წევის, როგორც დარგის განვითარებას.

1879 წელს ფირმა “Siemens @ Hlske”-მ ბერლინში გამართულ სამრეწველო გამოფენაზე წარადგინა მინიატურული ელექტრომატარებელი, რომელიც შედგებოდა ელექტრომავლისაგან და სამი პლატფორმის ტიპის ვაგონისაგან. მატარებელი მოძრაობაში მოდიოდა 3 ცხენის ძალის სიმძლავრის მქონე ელექტრული წევის ძრავით, რომელიც კვებას იღებდა 130 კ. ძაბვის მქონე სარელსო გზიდან. იგივე ფირმამ 1881 წელს გერმანიის ქალაქებს ფრანფურკესა და ოფენბახს შორის არსებულ რკინიგზაზე ელექტრომოძრავი შემადგენლობის ელექტროენერგიით მომარაგებისთვის, პირველად გამოიყენა ზედა საკონტაქტო სისტემა. წარმოდგენილი კონცეფცია, შემდგომში, საფუძვლად დაედო ელექტრული წევის თანამედროვე სტრუქტურას.

ელექტრული წევის დანერგვის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო, დანიელ ვან-დებოტეს იდეის საფუძველზე, კანადის ქალაქ ტორონტოში ტრამვაის ხაზის გახსნა, რომელიც შეიცავდა დღეისათვის არსებულ თითქმის ყველა კომპონენტს; კერძოდ, მოძრავ შემადგენლობაზე ელექტროენერგიის მისაწოდებლად საყრდენებზე გაჭიმულ საკონტაქტო სადენს, ხოლო უკუ სადენებად სარელსო გზას. აღნიშნულმა, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში საფუძველი დაუდო საქალაქო ტრანსპორტის ახალი სახეობის-ტრამვაის განვითარებას, რომლის ექსპლუატაციით მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, შემდგომში, განაპირობა მიწისქვეშა სარელსო ტრანსპორტში-მეტროპოლიტენში ელექტრული წევის გამოყენების მიზანშეწონილობა.

ელექტრული წევის გამოყენებით, პირველი მიწისქვეშა სარკინიგზო ხაზი (მეტროპოლიტენი) გაიხსნა ლონდონში 1890 წელს და ამ მომენტიდან ყველა ახლად შექმნილი მეტროპოლიტენი სრულდება ელექტრული რკინიგზის პრინციპით.

ამჟამად მეტროპოლიტენი ფუნქციონირებს მსოფლიოს დიდ ქალაქებში და მათ შორის თბილისშიც, სადაც პირველი ხაზი გაიხსნა 1966 წელს. დღეისათვის თბილისის მეტროპოლიტენის მოქმედი ხაზების საერთო სიგრძეა 36 კმ, ხოლო ექსპლუატაციაში მყოფი სადგურების რაოდენობაა 23.

მაგისტრალურ რკინიგზაზე, მსოფლიოში პირველად, ელექტრული წევის დანერგვა განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბალტიმორ-ოქანის 115 კმ-იან

მონაკვეთზე. ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე ელექტროენერგიის მისაწოდებლად გამოყენებული იყო ორ სავალ რელსს შორის განთავსებული მესამე რელსი. მესამე რელსში მუდმივი დენის ძაბვა იყო იგივე, რაც წევის ძრავას მომჭერებზე - 650 ვოლტი. იმ დროისათვის არსებული ტექნიკა არ იძლეოდა უფრო მაღალი ძაბვის გამოყენების შესაძლებლობას. შემდგომში ელექტრული რკინიგზების განვითარება მუდმივ დენზე მიმდინარეობდა, საკონტაქტო ქსელში ძაბვის ამაღლების გზით.

გასული საუკუნის 20-იან წლებში, საფრანგეთში და ინგლისში რკინიგზები ელექტრიფიცირებული იქნა მუდმივ დენზე საკონტაქტო ქსელში 1 500 ვოლტ ძაბვაზე.

შემდგომში საფრანგეთში და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის უფრის საბჭოთა კავშირში, რკინიგზების ელექტრიფიცირება ხორციელდებოდა მუდმივ დენზე საკონტაქტო ქსელში 3 000ვ ძაბვაზე.

ზემოჩამოთვლილი რკინიგზების ელექტრომოძრავ შემადგენლობებზე გამოყენებული იყო მიმდევრობითაგზნებიანი მუდმივი დენის წევის ძრავები, რომლებიც ყველაზე უკეთ აკმაყოფილებდნენ სატრანსპორტო ამოცანებით წამოყენებულ პირობებს და გამოირჩეოდნენ საიმედოობით ექსპლუატაციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ 3 000ვ ძაბვა არ წარმოადგენს ძაბვის ოპტიმალურ მნიშვნელობას არც წევის ძრავებისთვის და არც ელექტრომომარაგების სისტემისთვის. წევის ძრავებისთვის ოპტიმალურად ითვლება ძაბვა 750-900 ვოლტი, როდესაც მათ გააჩნიათ საუკეთესო მასა-გაბარიტული და ღირებულებითი მაჩვენებლები, ხოლო ძაბვა 3 000ვ; რა თქმა უნდა, ეს მათოვის დიდია; ელექტრომომარაგების სისტემისთვის კი 3 000ვ ძაბვა, რა თქმა, უნდა ცოტაა, რადგან მოითხოვს ძვირადღირებული კვების წყაროების (წევის ქვესადგურების) ახლო-ახლო (15-20კმ) განთავსებას. იმ დროისათვის არსებული ტექნიკური საშუალებები არ იძლეოდა წევის ძრავების საკონტაქტო ქსელიდან განმხოლოების საშუალებას და მათი ქსელიდან პირდაპირი კვების შემთხვევაში, ეს ძაბვა 3 000ვ ითვლებოდა ოპტიმალურ ძაბვად.

მუდმივ დენზე ელექტრიფიცირების პარალელურად, იტალიაში და შვეიცარიაში რკინიგზების ელექტრიფიცირება მიმდინარეობდა ცვლად დენზე, იმ დროისათვის არსებული ცვლადი დენის სამფაზა ასინქრონული ძრავების ბაზაზე. ელექტროენერგიის მიწოდება ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე ხდება სამსადენიანი საკონტაქტო ქსელით ან ორსადენიანი საკონტაქტო ქსელით და მესამე სადენად სარელსო გზის გამოყენებით. პრაქტიკულმა ექსპლუატაციამ გამოავლინა ამ სისტემის მთავარი ნაკლოვანებები:

- წევის თვალსაზრისით – მოკლედშერთულ როტორიანი ასინქრონული ძრავების სიჩქარის რეგულირების სირთულე.

- ელექტრომომარაგების თვალსაზრისით—სამფაზა საკონტაქტო ქსელის სირთულე და დაბალი საიმედოობა (განსაკუთრებით საპარტო ისრების შესრულებაში).

სარელსო გზის გამოყენება მესამე სადენად ოდნავ ამარტივებს საკონტაქტო ქსელს და ასევე ოდნავ ამცირებს მის ღირებულებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიუხედავად მარტივი და იაფი სამფაზა ასინ-ქრონული ძრავების გამოყენებისა, აღნიშნულმა სისტემამ ვერ ჰპოვა გავრცელება, ეხლა შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთ იტალიის რკინიგზაზე.

XX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა წევის სახეობის კიდევ ერთ სისტემას – ერთფაზა ცვლადი დენის სისტემას კოლექტორიანი ერთფაზა წევის ძრავებით. ეს სისტემა ვითარდებოდა ორი მიმართულებით:

- დადაბლებული სიხშირის ($16\frac{2}{3}$ ჰერცი) ერთფაზა ცვლადი დენის კოლექტორიანი წევის ძრავების გამოყენებით.
- ნორმალური სიხშირის (სამრეწველო -50 ჰერცი) ერთფაზა ცვლადი დენის კოლექტორიანი წევის ძრავების გამოყენებით.

დადაბლებული სიხშირის ცვლადი დენის სისტემის გამოყენება განაპირობა ცვლადი დენის კოლექტორიანი წევის ძრავების კომუტაციის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნებმა. ამ სისტემამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, რადგან მოითხოვს სპეციალურ დაბალი სიხშირის ელექტროსადგურებს ან სიხშირის გარდამქმნელებით აღჭურვილ, 50 ჰერც სიხშირეზე მომუშავე, ძვირადღირებული წევის ქვესადგურების შექმნას.

ნორმალური სიხშირის ცვლადი დენის წევის სისტემის შემთხვევაში, ელექტრული რკინიგზის ელექტრომომარაგების სისტემა ყველაზე მარტივი და იაფია, რადგან არ მოითხოვს ელექტროენერგიის შუალედურ გარდაქმნებს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ელექტრომოძრავი შემადგენლობა გამოდის რთული და არასაიმედოდ მომუშავე ზოგადად უნდა ითქვას, რომ ერთფაზა ნორმალურ სიხშირეზე მომუშავე კოლექტორიანი წევის ძრავები ძვირი და ექსპლუტაციაში ნაკლებად საიმედოა, ვიდრე მუდმივი დენის ძრავები. ამიტომ, უპირატესობა უნდა მიენეჭოს მუდმივი დენის ძრავების გამოყენებას. ეს კი შესაძლებელია, თუ ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე მოხდება ერთფაზა ცვლადი დენის გარდაქმნა, რეგულირებადი ძაბვის მქონე მუდმივ დენად ან სამფაზა რეგულირებადი სიხშირის ცვლად დენად.

საბჭოთა კავშირში რკინიგზების ელექტრიფიცირება დაიწყო გასული საუკუნის 30-იან წლებში, იმ დროისათვის პროგრესულ – 3 000 კ. ძაბვის მქონე მუდმივი დენის სისტემაზე. საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ელექტრულ წევაზე პირველად გადავიდა

ზესტაფონი – ხაშურის ყველაზე რთული პროფილის მქონე მაგისტრალური რკინიგზის მონაკვეთი. შემდგომში, ელექტრული რკინიგზის ეს მონაკვეთი გამოიყენეს, როგორც საცდელი პოლიგონი ახალი ტექნიკის დასანერგად; შემდგომში, ამ მიმართულებით, საჭირო გახდა მაღალკვალიფიციური საინჟინრო და სამეცნიერო კადრების მომზადება. კერძოდ, საბჭოთა კავშირის მასშტაბით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ლევან აბელიშვილის ხელმძღვანელობით, 1954 წელს ჩამოყალიბებული ელექტრული წევის სკოლა, გამოჩენილი სპეციალისტების – გ.სენიაშვილის, მ.ხევსურიანის, ივ.თოფჩიშვილის, ა.მასხარაშვილის, გ.ლორთქიფანიძის, გ.კალანდარიშვილის და სხვათა შემადგენლობით.

ყოველივე აღნიშნულმა საქართველოში და კერძოდ, თბილისში, სათავე დაუდო ელექტრომაგალმშენებლობას. 1958 წლიდან დღემდე თბილისში მუშაობს ელექტრომაგალმშენებელი ქარხანა, რომელიც უშვებს მუდმივი დენის მძლავრ მაგისტრალურ და სამრეწველო ელექტრომავლებს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებიდან, საქართველო ერთადერთი რესპუბლიკა, რომლის რკინიგზის ყველა მიმართულება, მათ შორის განშტოებებიც, მთლიანადაა ელექტრიფიცირებული. მისი საერთო სიგრძე დღეისათვის შეადგენს 1545 კმ-ს. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყანას, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის სტრატეგიული ფუნქციის შესრულებაში.

მუდმივი დენის 3 000ვ სისტემა, რომელიც ჩაისახა გასული საუკუნის დასაწყისში და დღესაც მუშაობს მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გაზრდილი ტვირთნაკადების პირობებში (საფიდერო ზონაში მძიმეწონიანი მატარებლები და მათი გაზრდილი რიცხვი) ზენორმატიული ძაბვის ვარდნების გამო, ვერ უზრუნველყოფს გზის მოთხოვნილ გამტარუნარიანობას და საჭიროებს კარდინალური ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული პრობლემის მოხსნა, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, დღეისათვის შესაძლებელია მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელში ძაბვის ამაღლებით 6 000 და 12 000 ვოლტამდე.

გასული საუკუნის 50-იან წლებში მუდმივი დენის 3 000 ვოლტიანი სისტემის გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ძიების გზაზე, მეცნიერები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ წევის ქვესადგურის ფუნქცია ნაწილობრივ გადაეტანათ ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე და საკონტაქტო ქსელში ძაბვა გაეზარდათ ოპტიმალურ მნიშვნელობამდე. აღნიშნული კონცეფცია საფუძვლად დაედო ერთფაზა სამრეწველო სისტემის 25 000 ვოლტიან ცვლადი

დენის სისტემის შექმნას. ამ შემთხვევაში მარტივდება და იაფდება ელექტრომომარაგების სისტემა, მაგრამ რთულდება და ძვირდება ელექტრომომრავი შემადგენლობა, რადგან მასზე დამატებით უნდა განთავსდეს წევის ტრანსფორმატორი და გამმართველი მოწყობილობა. საწყის ეტაპზე, ნახევარგამტარული გამმართველი ელემენტების დანერგვამდე, არსებული იგნიტრონული და ექსიტრონული გამმართველები, მოძრავი შემადგენლობის პირობებში (ვიწრო გაბარიტები, ვიბრაცია, რთული გარდამავალი პროცესები) მუშაობდნენ არასაიმედოდ.

ბოლო წლებში ელექტრონული ნახევარგამტარული ტექნიკის განვითარებაში კოლოსალურმა ნახტომმა, (ჩაკეტვისუნარიანი GTO, IGCT ტირისტორების და ბიპოლარული IGBT ტრანზისტორების დანერგვამ) ელექტრულ წევაში, როგორც ელექტრომომარაგების, ასევე ელექტრომომრავი შემადგენლობის კუთხით, ყველაზე ოპტიმალური, უსაფრთხო და საიმედო სქემების (სამფაზა ასინქრონული ძრავების და დამოუკიდებელ აგზნებიანი მუდმივი დენის ძრავების ბაზაზე) რეალიზაცია გახადა შესაძლებელი. ეს კი საშუალებას იძლევა, ელექტრომომრავი შემადგენლობის ჩაჭიდების წონების უკეთ გამოყენების გზით (აღნიშნული ძრავების ხისტი მახასიათებლების წყალობით) მოვახდინოთ ლოკომოტივების დიდი სიმძლავრეების რეალიზაცია (ვატაროთ დიდწონიანი მატარებლები დიდი სიჩქარით). საინტერესოა დღეისათვის არსებული შემდეგი სტატისტიკური მონაცემები.

2000 წლისთვის რკინიგზების ჯამური სიგრძე მსოფლიოში შეადგენდა 955000 კილომეტრს. აქედან ელექტრიფიცირებული იყო 25%, ანუ დაახლოებით 240000 კილომეტრი.

ნახ. 1-ზე მოცემულია ელექტრული წევის ყოფილი, დღეისათვის არსებული და პერსპექტიული სისტემების კლასიფიკაცია.

ელექტრულ წევას, სხვა სახის წევასთან შედარებით, მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს:

- ენერგიით ცენტრალური ელექტრომომარაგება, პრაქტიკულად უსასრულო სიმძლავრის ქსელიდან.
- ლოკომოტივის ერთეულ სიმძლავრეზე მოსული მცირე წონა.
- გზის გამტარუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდა.
- ლოკომოტივების მწარმოებლობის ზრდა.
- მუშაობის საიმედოობის ამაღლება.
- საექსპლუატაციო ხარჯების შემცირება.
- მომსახურე პერსონალის მუშაობის პირობების გაუმჯობესება.

- მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი.
- ეკოლოგიური უსაფრთხოება.
- რეკუპერაციული დამუხრუჭების შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად ზოგავს ელექტროენერგიის ხარჯს, ამავე დროს, ამცირებს ინტენსიურ ცვეთებს სამუხრუჭო სისტემაში, ზრდის უსაფრთხოებას.

ორგანულ საწვავზე გაზრდილი ფასები და განსაკუთრებით გაზრდილი გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები, დღის წესრიგში აყენებს სავტომობილო ტრანსპორტზე შიგაწვის ძრავების ჩანაცვლებას, უფრო ეკონომიური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ელექტრული ამძრავებით (იხ. ნახ. 1).

წინამდებარე სახელმძღვანელოში, ზემოთ მოყვანილი და სხვა აქ არ მოყვანილი მნიშვნელოვნად აქტუალური ტექნიკური საკითხები, უფრო დეტალურად და საფუძვლიანად განხილული იქნება ქვემოთ.

I თავი

ტრანსპორტის მოძრაობის თეორიული საფუძვლები

1.1. ტრანსპორტის დანიშნულება და სახეობები

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტრანსპორტს. მიწათმოქმედების, ნედლეულის მომპოვებელი და გადამამუშავებელი სამრეწველო დარგებისაგან განსხვავებით, ტრანსპორტი უშუალოდ არ ქმნის ახალ, მატერიალურ პროდუქციას. ტრანსპორტის პროდუქციას წარმოადგენს გადატანილი ტვირთები და გადაყვანილი მგზავრები. დღეისათვის სატრანსპორტო გადაზიდვები ხდება, ურთიერთ მჭიდრო კავშირში მყოფ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით. ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით თანამედროვე ტრანსპორტი შეიძლება დაგენერიროს:

- სამრეწველო ტრანსპორტი (ამა თუ იმ საწარმოოს ტექნოლოგიური საჭიროების უზრუნველსაყოფად).
- მაგისტრალური ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ კავშირს პროდუქციის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის და მგზავრთა გადაყვანას.

თავის მხრივ თანამედროვე მაგისტრალური ტრანსპორტი იყოფა:

- სარკინიგზო,
- საავტომობილო,
- საზღვაო (სამდინარო),
- საჰაერო,
- სამილსადენო,

ტრანსპორტად.

ზემოჩამოთვლილ სატრანსპორტო სისტემებში, ტვირთნაკადების და მგზავრთნაკადების მოცულობების, გადაზიდვების თვითდირებულებების სიდიდის მიხედვით, წამყვანი როლი უჭირავს სარკინიგზო ტრანსპორტს.

1.2. ბორბალი და მისი ფუნქცია

ბორბალი მიეკუთვნება კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს და უძველეს გამოგონებას. ბორბალი ფართოდ გამოიყენება ტრანსპორტის ყველა სახეობაში, დაწყებული

საჭაპნე (ცხენის გამწევი ძალით) ტრანსპორტიდან, დამთავრებული ავიაციით. ისმის სამართლიანი კითხვა – რა განაპირობებს ბორბლის ასეთ პოპულარობას? ერთი შეხედვით პასუხი მარტივია – ბორბალი სრიალის ხახუნს ცვლის გორგის ხახუნით, რაც რაოდენობრივად ბევრად ნაკლებია. მაგრამ ირკვევა, რომ ეს არაა მთავარი მიზეზი. მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბორბალი მუშაობს როგორც ბერკეტი, რომლის დახმარებითაც ტვირთის გადასაადგილებლად საჭიროა გაცილებით ნაკლები ძალა, ვიდრე საჭირო იქნებოდა იგივე ტვირთის თრევით გადასაადგილებლად.

ავხსნათ აღნიშნული კონკრეტულ მაგალითზე; ვთქვათ ზედაპირზე მოითხოვება რაიმე G წონის მქონე ტვირთის გადაადგილება. ამისათვის საჭირო იქნება დაძლეული იქნეს ხახუნის ძალა F , რომელიც რაოდენობრივად ტოლი იქნება


$$F = G\Psi_{\text{ხა.}} \quad (1.1)$$

სადაც, $\Psi_{\text{ხა.}}$ არის ტვირთსა და ზედაპირს შორის სრიალის ხახუნის კოეფიციენტი.

რა მოხდება, თუ იგივე ტვირთს განვათავსებთ ორ წყვილთვალზე დაყრდნობილ ურიკაზე და წყვილთვლებს დავამაგრებთ ყრუდ, შემობრუნების შესაძლებლობის გარეშე? (ნახ. 1.1).

აღმოჩნდება, რომ ტვირთის გადასაადგილებლად საჭირო იქნება იგივე F ძალა, რაც იყო ტვირთის გათრევის შემთხვევაში და თანაბრად განაწილდება წყვილთვალებს შორის.

თუ გავანთავისუფლებთ ბორბლებს და მიკცემთ შემობრუნების საშუალებას, იგივე ხახუნის კოეფიციენტის პირობებში, იგივე F ძალა წარმოიშვება წყვილთვალის დერძის ყელსა და r რადიუსიან ხაკისარს შორის. ხოლო ძალა, რომელიც



ნახ. 1.1. ხახუნის F ძალა, რომელიც წარმოიშვება საყრდენ ზედაპირზე ტვირთის გადაადგილებისას ნახაზზე მოცემული სქემით, იგივეა რაც ტვირთის გათრევისას.

გადავადგილოთ, მოდებული იქნება ბორბლის ზედაპირთან საყრდენ 0 წერტილში, ანუ ბორბლის ცენტრიდან R მანძილზე. აღვნიშნოთ ეს ძალა F_1 -ით (ნახ. 1.2) [1].

ბერკეტის წესის თანახმად ვწერთ

$$F_1 = \frac{F \cdot r}{R}. \quad (1.2)$$

ე.ო. ბორბლის გამოყენებით იგივე ტგირთის გადასაადგილებლად საჭირო იქნება იმდენჯერ ნაკლები ძალა, რამდენჯერაც წყვილთვალის დერძის ყელის რადიუსი r ნაკლები იქნება ბორბლის R რადიუსზე. სწორედ ამაში მდგომარეობს ბორბლის გამოყენების უპირატესობა.

1.3. ტრანსპორტის მოძრაობის თავისებურებები

როგორც უკვე აღვნიშნეთ სატრანსპორტო მოძრაობა დაკავშირებულია სივრცეში ტვირთების ან მგზავრების გადაადგილებასთან. ვინაიდან გადაადგილებისათვის საჭიროა მამოძრავებელი ძალა, ამიტომ ტრანსპორტირების დროს სრულდება მექანიკური მუშაობა, რომელიც განმარტების თანახმად, ტოლია აღნიშნული ძალის და გადაადგილების ნამრავლის. ამ მუშაობის შესასრულებლად კი საჭიროა რაიმე ფორმის პირველადი ენერგიის დახარჯვა.

სატრანსპორტო მოძრაობა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც განასხვავებს მას სხვა სახის მოძრაობებისაგან.

სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ციკლური ხასიათისაა. ყოველ ციკლში გვაქვს მოძრაობის დასაწყისი (დროის მომენტი და სივრცეში ადგილი, საიდანაც იწყება მოძრაობა) და მოძრაობის დასასრული, როდესაც მოძრაობის სიჩქარე უტოლდება ნულს. ე.ო. სატრანსპორტო საშუალება მოძრაობის დასაწყისში და მოძრაობის დასრულების შემდეგ უძრავია, ანუ მოძრაობის ყოველი ციკლი ხასიათდება განვლილი მანძილით და მოძრაობის ხანგრძლივობით (დროით). ეს ორი სიდიდე საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ მოძრაობის საშუალო სიჩქარე.

სატრანსპორტო მოძრაობა წარმოადგენს არა სტიქიურ, არამედ მიზანდასახული ხასიათის მოძრაობას, რომელიც სრულდება კონკრეტულ განსაზღვრულ მანძილზე, შესაძლებლობის ფარგლებში უმოკლესი (სწორი ხაზი) გზით და, როგორც წესი, მინიმალურ შესაძლო დროში.


როგორც ცნობილია, ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილია ამ წერტილების შემაერთებელი სწორი ხაზის სიგრძე. ამიტომ ნებისმიერი ტრანსპორტისთვის ოპტიმალურია მოძრაობა სწორ ხაზზე (უმოკლეს მანძილზე, უმოკლეს დროში). თუ

მივიღებთ ასეთ დაშვებას, მაშინ სატრანსპორტო მოძრაობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგანზომილებიანი მოძრაობა, როდესაც მოძრაობის დროს იცვლება ერთი გეომეტრიული კოორდინატა – მანძილი მოძრაობის საწყის წერტილამდე.

რადგან სატრანსპორტო ციკლის საწყისში და ბოლოში სიჩქარე ნულის ტოლია, ამიტომ თვით ციკლი შედგება სამი განსხვავებული ფაზის (რეჟიმის) მოძრაობისაგან:

- ა) გაქანება (ადგილიდან დამვრა და სიჩქარის გაზრდა).
- ბ) მოძრაობა სიჩქარის გარკვეულ დიაპაზონში.
- გ) შენელება (თვით სრულ გაჩერებამდე).

1.3 ნახაზზე ნაჩვენებია სიჩქარის ცვლილების გრაფიკი მოძრაობის ერთი ციკლის განმავლობაში, A პუნქტიდან (გზის კოორდინატა S_1) B პუნქტამდე (გზის კოორდინატა S_2). განვიხილოთ ეს ციკლი დაწვრილებით.



ნახ. 1.3. სატრანსპორტო მოძრაობის ციკლი.

შენელებით – C წერტილიდან B წერტილამდე. ასეთი გრაფიკი ნაჩვენებია პუნქტირით ნახ. 1.3-ზე.

A და B წერტილებს შორის სატრანსპორტო საშუალების ასეთი გრაფიკით მოძრაობისას, მოძრაობის საშუალო სიჩქარე იქნებოდა, ყველა სხვა შესაძლო გრაფიკან შედარებით, ყველაზე მაღალი. მაგრამ, ასეთი გრაფიკით მოძრაობა შეუძლებელია; ერთის მხრივ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური შესაძლებლობების გამო (სიჩქარეების მნიშვნელობა შეიძლება იყოს ისეთი დიდი, რომ მისი რეალიზაცია იყოს ტექნიკურად შეუძლებელი); ხოლო მეორეს მხრივ მიზან-შეუწონელია ენერგიის ხარჯის მიხედვით, რადგან კინეტიკური ენერგიის მოელი მარაგი, რომელიც დააგროვა მოძრავმა სატრანსპორტო საშუალებამ გაქანების

თუ ამოცანას დავაყენებდით ისე, რომ მანძილი AB ($S_2 - S_1$) გაგვევლო მინიმალურ დროში, მაშინ სიჩქარის გრაფიკს ექნებოდა მხოლოდ ორი მხარე: გაქანების რეჟიმი მაქსიმალურად დასაშვები აჩქარებით (A წერტილიდან C წერტილამდე, რომელიც შეესაბამებოდა მაქსიმალურ სიჩქარეს) და მკვეთრი დამუხრუჭების რეჟიმი - მაქსიმალურად შესაძლო

რეჟიმში (რაზეც, რა თქმა უნდა, დაიხარჯა სოლიდური სიდიდის პირველადი ენერგია), უნდა შთაინოქას სამუხრუჭო სისტემაში და გაიფანგოს აუნაზღაურებლად ატმოსფეროში სითბოს სახით. რეალურ პირობებში ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალების ასეთ რეჟიმში მუშაობა მიუღებელია; თუმცა ანალოგიურად (*A-C* ტრაექტორია) ხორციელდება რაკეტული ძრავებით იმ კოსმიური ობიექტების გაშვება გაქანება, რომელთა გაჩერება არაა საჭირო.

პრაქტიკაში არ შეიძლება ფიზიკურმა სიდიდეებმა მიიღონ უსასრულოდ დიდი მნიშვნელობები. ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებისთვის იზღუდება მაქსიმალური სიჩქარე. ეს შეზღუდვები შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, გზის ან სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციის სიმტკიცით, მოძრაობის უსაფრთხოებით, მოძრაობის ორგანიზაციით, გზის ტექნიკური მდგომარეობით და ა.შ.

მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვისას (ნახ. 13), განხილულ სამკუთხედის ფორმის *ACB* მრუდს, ცვლის ტრაკეციის ფორმის მრუდი *ADEFB* (მსხვილი ხაზი), მოძრაობის იგივე სამი ფაზით.

სატრანსპორტო საშუალების მიერ დაგროვილი კინეტიკური ენერგიის ნაწილის სასარგებლოდ გამოყენებისთვის, სასურველია მოსალოდნელი დამუხრუჭების წინ (ნახ. 1.3 *E* წერტილი) გამოვრთოთ წევის რეჟიმი და დარჩენილი გზა *EG* ტრაექტორიით, სატრანსპორტო საშუალებამ გაიაროს ინერციით. მოძრაობის ასეთ რეჟიმს უწოდებენ **თავისუფალი გორგის** რეჟიმს. ამ შემთხვევაში ციკლი შედგება არა სამი, არამედ ოთხი სხვადასხვა ფაზისაგან: დაძვრა – გაქანება *AD*, მოძრაობა *DE*, თავისუფალი გორგა *EG*, დამუხრუჭება *GB*. ამ რეჟიმით მუშაობს სარელსო სატრანსპორტო საშუალებები, შედარებით მოკლე გადასარტყენების მქონე უბნებზე (მეტო, საგარეუბნო მატარებლები, ტრამვაი).


დაახლოებით ასეთი ციკლით მუშაობს სატრანსპორტო თვითმფრინავები და საზღვაო გემები. გაქანების შემდეგ ეს სატრანსპორტო საშუალებები მოძრაობენ შეუზღუდავ საჭაერო და საზღვაო სივრცეში, პრაქტიკულად მაქსიმალური (კრეისერული) სიჩქარით, ენერგეტიკული მოწყობილობის მუდმივ რეჟიმში მუშაობის წყალობით.

სხვა მიწისზედა ტრანსპორტის (საავტომობილო, მაგისტრალური რკინიგზის) მუშაობის რეჟიმი განსხვავდება იმით, რომ ციკლში მოძრაობის სიჩქარე, მიუხედავად ენერგეტიკული მოწყობილობის უცვლელი რეჟიმით მუშაობისა, ვერ იქნება მუდმივი. ეს აიხსნება იმით, რომ მიწის ზედაპირის რელიეფის ცვლილება იწვევს გზის გრძივი პროფილის ცვლილებას, ეს კი მოძრაობისადმი წინააღმდეგობის დიდ ფარგლებში ცვლილებას.

რკინიგზის სარელსო ტრანსპორტზე მატარებლები ერთი მიმართულების სარელსო გზაზე მოძრაობენ ერთმანეთის მიყოლებით. ეს განაპირობებს კიდევ ერთ დამატებით შეზღუდვას-შეზღუდვას მინიმალური დასაშვები სიჩქარით. ის არ შეიძლება იყოს ხებისმიერი, რადგან ძალზე დაბალი სიჩქარე მნიშვნელოვნად ამცირებს რკინიგზის გამტარუნარიანობას.

ხანგრძლივ რაჟიმში მოძრაობის მინიმალური სიჩქარე განისაზღვრება ლოკო-მოტორების პროექტირების დროს. ამ სიჩქარეს უწოდებენ “საანგარიშო” სიჩქარეს (ანუ სხვაგვარად საანგარიშო ქანობზე მოძრაობის სიჩქარეს). ეს საკითხი დაწვრილებით განხილული იქნება ქვემოთ.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, რკინიგზის ტრანსპორტისათვის დიდ მანძილებზე მოძრაობისას და გზის რელიეფის ცვლილების გამო, მოძრაობის ციკლის გრაფიკი იქნება არა ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება სიჩქარესა და მანძილს შორის, როგორც ნახ. 1.3-ზე DE წრფე, არამედ მოძრაობა მინიმალურ და მაქსიმალურ სიჩქარეებს შორის გარკვეული ზონაში, ცვალებადი სიჩქარით ნახ. 1.4-ზე დაშტრიხული ფართი.



ნახ. 1.4. სარელსო ტრანსპორტის ციკლური გრაფიკი.

ტრანსპორტის მოძრაობის ეს ციკლი, რომელშიც მრავალჯერ შეიძლება განმეორდეს სიჩქარის და ლოკომოტივის მუშაობის რეჟიმის ცვლილების პროცესი (გაქანება, მოძრაობა დამყარებული სიჩქარით, თავისუფალი გორგა, დამუხრუჭება) წარმოადგენს გამოყენებითი სატრანსპორტო მეცნიერების “ელექტრული წევის საფუძვლების” პრაქტიკული და თეორიული შესწავლის საგანს.

“ელექტრული წევის საფუძვლების” კურსი, ელექტრიფიცირებულ რკინიგზებზე მატარებელთა მოძრაობის უზრუნველყოფისათვის მოიცავს შემდეგ აუცილებელ ძირითად საკითხებს:

- სატრანსპორტო მოძრაობის მექანიკას (კინემატიკა, დინამიკა), ანუ ჩვენ შემთხვევაში – მატარებელთა მოძრაობას.

- მატარებელთა მოძრაობის ენერგეტიკას.
 - ელექტრომოძრავი შემადგენლობის და ვაგონების მახასიათებლებს და მათ წევითი თვისებებს.
 - წევის და დამუხრუჭების რეჟიმებში მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის მართვის ელემენტებს.
 - მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებულ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის და პარამეტრების გაანგარიშების მეთოდებს.
 - ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევითი-ენერგეტიკული გამოცდის მეთოდებს.
- მატარებელთა მოძრაობის შემსწავლელ მეცნიერებას აქვს ორი მხარე – თეორიული და პრაქტიკული.

ელექტრული წევის საფუძვლების, როგორც მეცნიერების თეორიული მხარე ეფუძნება თეორიული მექანიკის და თეორიული ელექტროტექნიკის კანონებს და სარისხობრივად აანალიზებს მატარებელთა მოძრაობას ფიზიკის პოზიციიდან.

ელექტრული წევის საფუძვლების, როგორც მეცნიერების პრაქტიკული, ანუ რაოდენობრივი მხარე, როგორც მატარებელთა მოძრაობის მექანიკის გაანგარიშების ბაზა, ემყარება ექსპლუატაციიდან და სპეციალური გამოცდებიდან მიღებულ მრავალრიცხოვან ექსპერიმენტული მონაცემების განზოგადოებას და სისტემატიზაციას.

მატარებელთა ელექტრული წევის თეორია და წევის ანგარიშები გამოიყენება:

- ელექტრომოძრავი შემადგენლობის პროექტირების დროს.
- ელექტრული ლოკომოტივების ექსპლუატაციის ორგანიზების დროს.
- მატარებელთა მოძრაობის ორგანიზების დროს.
- ელექტრული რკინიგზების ელექტრომომარაგების სისტემების პროექტირების დროს.
- რკინიგზების პროექტირების დროს.

ამ კურსის შესწავლა აუცილებელია მოძრავი შემადგენლობის, გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის, რკინიგზების კვლევის და პროექტირების სპეციალისტებისათვის. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ელექტრული წევის და წევის ანგარიშების საკითხების ცოდნა, რა თქმა უნდა, აუცილებელია ელექტრომავალ-მშენებლობაში, ელექტრომოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციაში და ელექტრომომარაგების სისტემაში დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

1.4. სატრანსპორტო მოძრაობის კინემატიკის და დინამიკის საფუძვლები

1.4.1. მატარებლის მოძრაობის მექანიკის ძირითადი ცნებები, სიდიდეები, აღნიშვნები და განზომილებები

მატარებლითა მოძრაობის პარამეტრების, ელექტრომოძრავი შემადგენლობის და ელექტრომომარაგების სისტემების მუშაობის რეჟიმების განსაზღვრასთან, დაკავშირებულია ფიზიკის ძირითადი კანონები, მცნებები, სიდიდეები მექანიკიდან (სტატიკა, კინემატიკა, დინამიკა), თერმოდინამიკიდან და ელექტროტექნიკიდან.

განსახილვები საკითხების და გაანგარიშებების უკეთ ათვისების მიზნით, აუცილებელია ტრანსპორტზე გამოყენებული იმ ფიზიკური სიდიდეების, სიმბოლური აღნიშვნების, განზომილებების და განმარტებების განხილვა, რომლებიც შემდგომში ფართოდ იქნება გამოყენებული სახელმძღვანელოში.

მ თ ა ნ ი პ ა

ნებისმიერ ერთგანზომილებიან ხაზოვან გადაადგილების დროს მოძრავი სხეულის კოორდინატებია:

1. გზა (მოძრაობისას განვლილი მანძილი კოორდინატთა სათავიდან) – S კმ.

გზის მონაკვეთი ΔS , რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გზის საწყის (1) და ბოლო (2) წერტილებს შორის, კერძოდ:

$$\Delta S = S_2 - S_1, \text{ კმ.}$$

მანძილი სატრანსპორტო მოძრაობებში, როგორც წესი, იშვიათ გამონაკლისის გარდა, იზომება კილომეტრებში, (კმ).

2. მოძრაობის დრო t , წთ. (სთ)

დროის მონაკვეთი (დროის შუალედი) Δt განისაზღვრება, როგორც

$$\Delta t = t_2 - t_1, \text{ წთ.}$$

ანგარიშებში, რომლებიც დაკავშირებულია მატარებლითა მოძრაობასთან, დრო იზომება წუთებში (წთ), ან საათებში (სთ).

გ ი ნ ე მ ა ტ ი პ ა

გზა და დრო წარმოადგენს მოძრავი სხეულის გადაადგილების და დროის კოორდინატებს. ქვემოთ მოყვანილი ორი სიდიდე კი უშუალოდ წარმოადგენს მოძრაობის კინემატიკურ პარამეტრებს.

3. მოძრაობის სიჩქარე V , კმ/სთ

ფიზიკური განმარტების თანახმად, სიჩქარე ეს არის თანაბარი სიჩქარით მოძრაობის დროს, დროის ერთეულში განვლილი მანძილი.

მათემატიკურად კი, ზოგადად სიჩქარე არის აღებული განვლილი მანძილის წარმოებული დროით.

$$V = \frac{ds}{dt}$$

ეს არის ე.წ. მყისური სიჩქარე (სიჩქარე დროის მოცემულ მომენტში). მისი მნიშვნელობის განსასაზღვრავად უნდა ვიცოდეთ უწყვეტი ფუნქცია $S = f(t)$, რომ შევძლოთ მისი დიფერენცირება. მაგრამ მატარებელთა მოძრაობის ანგარიშებში სწორედ ეს ფუნქციაა უცნობი.

თუ ვიცით ეს ფუნქცია, მაშინ $ds = Vdt$ განტოლების ინტეგრირებით შეგვიძლია მივიღოთ განვლილი მანძილის დამოკიდებულება დროისაგან, რაც წევის გაანგარიშების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს.

დასაწყისში ეს ფუნქცია უცნობია. ამიტომ, ტრანსპორტის მოძრაობის შესასწავლად მყისური სიჩქარის მცნებით სარგებლობა არასასურველია და არ აქვს აზრი. სიჩქარის მყისური მნიშვნელობა ესაა სიჩქარე, რომელსაც უჩვენებს სიჩქარმზომის ისარი ავტომობილის ან ელექტრომავლის მოძრაობისას. ის მეტნაკლებად განუწყვეტლივ ცვლებადობს მაშინაც კი, როდესაც გვაქვს მოძრაობის დამყარებული რეჟიმი. წევის ანგარიშებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება მოძრაობის საშუალო სიჩქარის მცნება $V_{\text{საშ}}.$ (მოძრაობა $\Delta S = S_2 - S_1$ მანძილზე, $\Delta t = t_2 - t_1$ დროში)

$$V_{\text{საშ}} = \frac{\Delta S}{\Delta t} = \frac{(S_2 - S_1)}{(t_2 - t_1)}, \text{ კმ/სთ.} \quad (1.3)$$

ხაზოვანი სიჩქარე იზომება კილომეტრ/საათებში (კმ/სთ), ამიტომ (1.3) ფორმულაში დროის განზომილება წუთებიდან უნდა გადავიყვანოთ საათებში. ამისათვის შემოდის კოეფიციენტი 60 (საათში წუთების რაოდენობა). აღნიშნულის გათვალისწინებით მივიღებთ

$$V_{\text{საშ}} = 60 \frac{\Delta S}{\Delta t} = 60 \frac{(S_2 - S_1)}{(t_2 - t_1)}, \text{ კმ/სთ.} \quad (1.4)$$

შემდგომში ტერმინ სიჩქარის ქვეშ ყოველთვის ვიგულისხმებთ საშუალო სიჩქარეს. ამიტომ $V_{\text{საშ}}$ სიმბოლოს ნაცვლად გამოვიყენებთ უფრო მარტივ V -ს. იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ სიჩქარის საშუალო მნიშვნელობა და თავიდან ავიცილოთ, ამ მიმართებით, პრაქტიკაში ხშირად დაშვებული შეცდომები, განვიხილოთ ელემენტარული მაგალითი:

მატარებელმა თავისი გზის პირველი ნახევარი გაიარა საშუალო სიჩქარით $V_1=120$ კმ/სთ, ხოლო გზის მეორე ნახევარი $V_2=80$ კმ/სთ სიჩქარით. საჭიროა განვსაზღვროთ მოძრაობის, მთელ უბანზე, საშუალო სიჩქარე.

ხშირად ამ დროს საძიებელი სიდიდის განსაზღვრას ახდენენ, ზემოთ მოყვანილი სიჩქარის ორი მნიშვნელობის საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით

$$V_{\text{საშ.}} = \frac{(120 + 80)}{2} = 100 \text{ კმ/სთ.}$$

რაც, რა თქმა უნდა, არაა სწორი.

მოყვანილი განმარტების თანახმად საშუალო სიჩქარე არის მთელი განვლილი მანძილის ფარდობა ამ მანძილის გავლაზე დახარჯულ დროსთან, ანუ

$$V_{\text{საშ.}} = \frac{S}{t}.$$

$$\text{ჩვენ } \text{შემთხვევაში } t = t_1 + t_2; \quad \text{სადაც } t_1 = 0.5 \frac{S}{V_1} = 0.5 \frac{S}{120} = \frac{S}{240}, \text{ ხოლო}$$

$$t_2 = 0.5 \frac{S}{V_2} = 0.5 \frac{S}{80} = \frac{S}{160},$$

აქედან გამომდინარე საშუალო სიჩქარე იქნება

$$V_{\text{საშ.}} = \frac{S}{\frac{S}{240} + \frac{S}{160}} = \frac{S}{S\left(\frac{1}{240} + \frac{1}{160}\right)} = \frac{284}{4} = 96 \text{ კმ/სთ.}$$

როგორც ვრწმუნდებით შეცდომის ფარდობითი მნიშვნელობა შეადგენს 4%-ს.

4. აჩქარება *a*. აჩქარების ფიზიკური არსი შეიძლება გავიგოთ ასე, აჩქარება ეს არის სიჩქარის ცვლილების სიჩქარე. მათემატიკურად ეს ჩაიწერება ასე

$$a = \frac{dv}{dt}; \quad \text{რადგან } V = \frac{ds}{dt}, \text{ ამიტომ } a = \frac{d^2s}{dt^2}.$$

განხილული საშუალო სიჩქარის განმარტების მსგავსად, საშუალო აჩქარება

$$a_{\text{საშ.}} = \frac{\Delta V}{\Delta t} = \frac{(V_2 - V_1)}{(t_2 - t_1)}. \quad (1.5)$$

მსედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საშუალო აჩქარების მნიშვნელობას აზრი ეძლევა მხოლოდ დროში სიჩქარის მონოტონური ცვლილების პროცესში (მისი გაზრდისას ან შემცირებისას).

აჩქარების განზომილებაა კმ/სთ^2 ; ან კმ/სთ. წთ.

1.4.2. სტატიკა და დინამიკა

მექანიკის ეს განყოფილებები უკავშირდებიან ძალების მოქმედებებს. ამიტომ საჭიროა მატარებლის მოძრაობის დროს, მასზე მოქმედი ძირითადი ძალების განხილვა და მათი განსაზღვრა.

ა) წონა (სიმძიმის ძალა), კნ

სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის სხვადასხვა ობიექტებისათვის წონა, რომლის განზომილებაა კილო ნიუტონი (კნ) ან ტონა (ტ) აღინიშნება სხვადასხვა სიმძოლიკით:

- ლოკომოტივის წონა P (კნ), (ტ)
- შემადგენლობის წონა Q (კნ), (ტ)
- მატარებლის წონა (P + Q) (კნ), (ტ)
- ვაგონის წონა q (კნ), (ტ)
- ღერძზე დაწოლა q₀ (კნ), (ტ).

აქ ნაჩვენები ერთეულების წონის განზომილებაა კილონიუტონი (კნ.) ადრე, ერთეულთა პრაქტიკულ სისტემაში გამოიყენებოდა განზომილება კილოგრამი ძალა (კგ). შეიძლება მიახლოებით ჩაითვალოს $1\text{კგ} \approx 10 \text{ ნ}$ ($\text{ზუსტად } 1 \text{ კგ} = 9.81\text{ნ}, \text{ სადაც } g = 9.81 \text{ მ/წმ}^2$ არის სიმძიმის ძალის აჩქარება). აღნიშნული დამრგვალების ცდომილება არ აღემატება 1,9%-ს, რაც დასაშვებია.

რადგან წონის და მასის განზომილებები ერთნაირია, მათი მცნებები ერთმანეთში არ უნდა აურიოთ.

წონა – ესაა ვერტიკალური მიმართულების ძალა, სიმძიმის ძალა და მასზე შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც ზემოქმედ ფაქტორზე. მაგალითად, როდესაც მოძრავი შემადგენლობა ზემოქმედებს სარელსო გზაზე. ის ვექტორული სიდიდეა.

მასა – არის სკალარული სიდიდე, რომელიც გამოიყენება როგორც ნივთიერების რაოდენობის გამომხატველი მცნება. მოძრავი შემადგენლობის ცალკეული ერთეულების მასებს გამოხატავენ არა კგ-ში, არამედ უფრო დიდ, მასშტაბურ ერთეულში – ტონაში.

მასისათვის შემოვიდოთ შემდეგი სიმძოლოები:

- ლოკომოტივის მასა m_p (ტ);
- შემადგენლობის მასა m_Q (ტ);
- მატარებლის მასა m = (m_p + m_Q) (ტ);
- ვაგონის მასა m_q.

ბ) ღერძზე (წყვილთვალზე) დაწოლა კნ

- ლოკომოტივისთვის G (კნ);
- ვაგონისათვის q₀ (კნ).

$$G = \frac{P}{n}; \quad q_0 = \frac{q}{n};$$

სადაც, n არის შესაბამისად ლოკომოტივის და ვაგონის ღერძების რიცხვი.

გ) პორიზონტალური ძალები

თავისი სიდიდით ერთი თანრიგით ნაკლებია სიმძიმის ძალებზე, ამიტომ მათი განზომილებაა ნიუტონი, (6). ისინი აღინიშნებიან შემდეგი სიმბოლოებით:

- წევის ძალა $F(6)$.
- მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა $W(6)$.
- სამუხრუჭო ძალა $B(6)$.

დ) ხევდრითი პორიზონტალური ძალები წარმოადგენენ პორიზონტალური სრული ძალების ფარდობას მატარებლის წონასთან. კერძოდ:

- ხევდრითი წევის ძალა $f = \frac{F}{P+Q}$ ნ/კნ; (კგ/ტ).
- ხევდრითი წინააღმდეგობის ძალა $w = \frac{W}{P+Q}$ ნ/კნ; (კგ/ტ).
- ხევდრითი სამუხრუჭო ძალა $b = \frac{B}{P+Q}$ ნ/კნ; (კგ/ტ).

განსაზღვრების თანახმად ხევდრით ძალებს არ უნდა ჰქონდეთ განზომილება, რადგან ძალა იყოფა ძალაზე, მაგრამ, რადგან სიმძიმის ძალები იზომება ტონებში ან კნ-ში, ხოლო პორიზონტალური ძალები კგ-ში, ან ნ-ში, ამიტომ ხევდრითი ძალების განზომილებაა კგ/ტ; ნ/კნ; ან % (ანუ პრომილე - მეათასედი ნაწილი).

ე) რკინიგზის გეომეტრიული მახასიათებლები. ჩამოთვლილი ფიზიკური სიდიდეები, მათი განზომილებები, სიმბოლოები, რომლებიც დაკავშირებულია მატარებლის მოძრაობის აღწერასთან, საჭიროა შეივსოს იმ უბნის გეომეტრიული მახასიათებლებით, რომელზეც მოძრაობს მატარებელი. პირველ რიგში ესაა ელემენტების სიგრძე:

- უბნის, გადასარტნის, პროფილის ელემენტის სიგრძე L კმ.
- სადგურების ლიანდაგების სასარგებლო სიგრძე $L_{სადგ}$ მ.
- მრუდის სიგრძე $S_{მრ}$ მ.
- მრუდის რადიუსი $R_{მრ}$ მ.
- გრძივი პროფილის ქანობი $i\%$.

გ) მოძრავი შემადგენლობის ხაზოვანი ზომები:

- ლოკომოტივის სიგრძე $L_{ლო}$ მ.
- ვაგონის სიგრძე $L_{ვგ}$ მ.
- მატარებლის სიგრძე $L_{მატ}$ მ.

გავიხსენოთ ფიზიკის კანონები, რომლებიც ცნობილია როგორც ნიუტონის კანონები:

- სხეული (იზოლირებული მატერიალური წერტილი), რომელზეც არ მოქმედებს გარეშე ძალა, ან მოქმედი გარეშე ძალთა ტოლქმედი ძალა 0-ის ტოლია, ინარჩუნებს უძრავ მდგომარეობას, ან მოძრაობს სწორხაზოგნად, თანაბარი სიჩქარით.
- მატერიალური წერტილის აჩქარება პირდაპირპოპორციულია მასზე მოქმედი ძალის და უკუპროპორციულია მისი მასის.
- ქმედება უდრის უკუქმედებას.

გავიხსენოთ პარალელოგრამის კანონი ძალთა შეკრების შესახებ:

თუ სხეულზე მოქმედებს ორი ან მეტი ძალა, მაშინ ამ ძალების მოქმედება შეიძლება შეიცვალოს ერთი ტოლქმედი ძალით, რომელიც მოქმედი ძალების გეომეტრიული ჯამის ტოლია.

ზოგადად სივრცეში, ტრანსპორტის მოძრაობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სამგანზომილებიანი მოძრაობა. მოძრაობის პროცესში, დროის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ყველა სამივე კოორდინატი.

წყალზედა საზღვაო ტრანსპორტისათვის მოძრაობა, რა თქმა უნდა, ორგანზომილებიანია (მოძრაობა წყლის ზედაპირის სიბრტყეზე). გარკვეული დაშვებებით მიწისზედა ტრანსპორტის მოძრაობაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორგანზომილებიანი მოძრაობა.

სარკინიგზო ტრანსპორტისათვის, გარკვეული პირობითობის შემოღებით, რომელიც აადვილებს ანალიზს, მოძრავი შემადგენლობის მოძრაობა სარელსო გზის ღერძის გასწვრივ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთგანზომილებიანი მოძრაობა.


განვიხილოთ ერთგანზომილებიანი სწორხაზოვანი მოძრაობის უმარტივესი შემთხვევები:

1.4.3. მოძრაობა პორიზონტალურ ზედაპირზე

სხეული (საგანი) A დევს (ნახ. 1.5, ა) პორიზონტალურ საყრდენ B ზედაპირზე (ან ცურავს რაიმე სითხის ზედაპირზე). სხეულის წონა $P=mg$ ზემოქმედებს საყრდენ ზედაპირზე ვერტიკალურად, ზემოდან ქვემოთ. საყრდენის რეაქციის ძალა (ან სითხის ამომგდები ძალა) N , ნიუტონის მესამე კანონის თანახმად, ტოლია სიმძიმის ძალის და მიმართულია მის საწინააღმდეგო მიმართულებით ზემოთ. ვერტიკალური z ღერძის გასწვრივ მოქმედი P და N ძალების ტოლქმედი ძალა 0-ის ტოლია და სხეული იმყოფება უძრავ მდგომარეობაში. მისი გადაადგილება z ღერძის გასწვრივ

შეუძლებელია. ამ შემთხვევაში გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ $X(S)$ დერძის გასწვრივ, ე.ო. ერთი განზომილებით.

A სხეული წონასწორობიდან შეიძლება გამოვიყვანოთ და ავამოძრავოთ, მასზე გარეშე პორიზონტალური F ძალის მოდებით. გავქაჩოთ *A* სხეული მარჯვნივ F ძალის მოდებით (ნახ. 1.5, ბ). თუ F ძალა გახდება მეტი *A* სხეულსა და საყრდენ *B* ზედაპირს შორის არსებულ უძრავი ხახუნის ძალაზე, მაშინ *A* სხეული დაიწყებს მოძრაობას მარჯვნივ. მოძრაობის დაწყების შემდეგ სხეულის გადაადგილებას შეეწინააღმდეგება წინააღმდეგობის ძალა W_0 , ანუ ამ შემთხვევაში სხეულსა და ზედაპირს შორის გაჩენილი სრიალის ხახუნის ძალა. **კულონ-ამონტონის კანონის** თანახმად სრიალისას ხახუნის ძალის სიდიდე პროპორციულია ვერტიკალურად მოქმედი სიმძიმის P ძალის. ე.ო. $W_0 = P\mu$, სადაც μ არის ხახუნის კოეფიციენტი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში μ არის სრიალის ხახუნის კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია *A* სხეულის და *B* საყრდენის მასალაზე, მათი მოხახუნე ზედაპირების მდგომარეობაზე.



ნახ. 1.5. სხეულზე მოქმედი ძალები: ა) უძრაობისას და ბ) დინამიკური მოძრაობისას.

შემდგომში თუ F ძალა დარჩება მეტი წინააღმდეგობის W_0 ძალაზე, მაშინ *A* სხეული დაიწყებს აჩქარებულ მოძრაობას. აჩქარება პროპორციული იქნება

სხეულზე მოქმედი ძალების ტოლქმედის $F - W_0$ და უპროპორციული იქნება სხეულის მასის m -ის. მათგანატიკურად ეს ასე ჩაიწერება

$$\alpha = \frac{(F - W_0)}{m}. \quad (1.6)$$

გამოდის, რომ სხეულის პორიზონტალური მოძრაობა დაკავშირებულია ორი ჯგუფის ძალების არსებობასთან. ორი ვერტიკალური ძალა P და N ერთმანეთს აწონასწორებს. ორი პორიზონტალური ძალა, ზოგადად, ერთმანეთს ვერ აწონას-წორებენ.

მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა W_0 წარმოიქმნება მოძრაობის პროცესში, სტიქიური ბუნებისაა და არ ემორჩილება მართვას.

F ძალის სიდიდე დამოკიდებულია სატრანსპორტო საშუალების შესაძლებლობებზე და მისი მნიშვნელობა ემორჩილება მართვას. ამ ძალის მნიშვნელობაზეა დამოკიდებული მოძრაობის ხასიათი. ამიტომ F ძალას უწოდებენ მამოძრავებელ ძალას, ანუ წევის ძალას.

იმისათვის რომ მოძრაობა გაგრძელდეს აუცილებელია დაცული იქნეს პირობა $F \geq W_0$. უკიდურეს შემთხვევაში დაკმაყოფილდეს პირობა $F = W_0$, რაც მექანიკის პირველი კანონის თანახმად, არის თანაბარი სიჩქარით მოძრაობის პირობა.

თუ $F = W_0$, მაშინ $F = P\mu$. თუ ამ უკანასკნელის თრივე მხარეს გავყოფთ სხეულის წონაზე P -ზე, მივიღებთ $\frac{F}{P} = f = \mu$ კ.ი. მოძრაობის აუცილებელი პირობაა, რომ მამოძრავებელი ძალა მეტი ან უკიდურეს შემთხვევაში ტოლი იყოს წინააღმდეგობის ძალის.

F ძალის ზემოქმედებით სხეულის პორიზონტალურად S მანძილზე გადაადგილებისას სრულდება მუშაობა, რომელიც ფიზიკის კანონის თანახმად ტოლია

$$A = FS. \quad (1.7)$$

1.4.4. მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალები

განხილულ მაგალითში მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა, ესაა სხეულსა და საყრდენ ზედაპირს შორის სრიალის ხახუნის ძალა (ნახ. 1.5). სრიალის ხახუნის ძალა დამოკიდებულია სრიალის ხახუნის კოეფიციენტზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მოხახუნე ზედაპირის მასალაზე, ზედაპირის მდგომარეობაზე, მათი შეზეთვის ხარისხზე და ა.შ.

ცნობილია, რომ სხეულის პორიზონტალურ ზედაპირზე გათრევით გადასაადგილებლად საჭიროა მისი წონის 20% ძალა. ეს ბევრად ნაკლებია, ვიდრე ამ წონის

ასაწევად საჭირო ძალა. შეზეთვის, მაგალითად წყლის არსებობა ორჯერ ამცირებს ამ ძალის მნიშვნელობას, მაგრამ ის მაინც საქმაოდ დიდია. მაგალითისთვის, თუ თბომავალი მასით 270 ტონა ავითარებს 800 კნ გამწევ ძალას, მას შეუძლია ადგილიდან დაძრას და გაათრიოს 400-800 ტ მასის ტვირთი.

ტვირთების გადაადგილება თვლებზე მნიშვნელოვნად ამცირებს მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების მნიშვნელობას. გორგის ხახუნის ძალა ათჯერ და ასჯერ ნაკლებია სრიალის ხახუნის ძალაზე. რაც უფრო ხისტი და მაგარია თვალის და რელსის მასალა, მით ნაკლებია ხახუნი. ამიტომ, ბორბლის და რელსის გამოყენების პირობებში, ზემოთ მოყვანილ იმავე თბომავალს, შეუძლია ადგილიდან დაძრას 20 000-25 000ტ მასის მქონე ტვირთი. სწორედ ამაში მდგომარეობს სარელსო ტრანსპორტის უპირატესობა სხვა სახის მიწისზედა ტრანსპორტთან შედარებით. ამით აიხსნება ის, რომ რკინიგზით ტვირთების გადაზიდვა ითხოვს ნაკლებ დანახარჯებს, ვიდრე საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვა.

1.4.5. მოძრაობა დახრილ ზედაპირზე


მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებების მუშაობის თავისებურებას შეადგენს ის, რომ მიწისზედა სავალი გზები მიბმულნი არიან გეოგრაფიულ რელიეფზე და არ შეიძლება იყვნენ მკაცრად პორიზონტალურები. ეს განაპირობებს რკინიგზაზე და საავტომობილო გზებზე აღმართების და თავდაღმართების არსებობას.

თუ სატრანსპორტო საშუალება იმყოფება დახრილ სიბრტყეზე (ნახ. 1.6), მაშინ მომქმედი ძალების ხასიათი რამდენადმე იცვლება. ვინაიდან მოძრაობის დერძის მიმართულება არაა პორიზონტალური, არამედ ემთხვევა დახრილ ზედაპირს OA -ს, რომელიც პორიზონტალთან დახრილია α კუთხით. მეორე დერძი მიმართულია დახრილი ზედაპირის მართობულად (N), სწორედ ამ მიმართულებით მოქმედებენ ერთმანეთზე გზა და მოძრავი შემადგენლობა.

უპირველეს ყოვლისა სიმძიმის ძალა P დაგშალოთ ორ მდგენელად: ერთი, მიმართული რელსის გასწვრივ $Ps \sin \alpha$, ხოლო მეორე რელსის მართობულად $P \cos \alpha$. ეს უკანასკნელი ახდენს სატრანსპორტო საშუალების გზაზე დაწოლას და განსაზღვრავს ხახუნს მათ შორის. ეს ძალა ნაკლებია სიმძიმის P ძალაზე, რადგან $\cos \alpha < 1$ -ზე.

P ძალის პირველი მდგენელი $Ps \sin \alpha$ ამ შემთხვევაში მიმართულია მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით და შესაბამისად წარმოადგენს მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალას. ამიტომაცაა, რომ აღმართზე (დახრილ

ზედაპირზე) ტვირთების გადაადგილება გაცილებით მნელია, ვიდრე პორიზონტალურ გზაზე და მით უფრო მნელია, რაც დიდია დახრის კუთხი α .



ნახ. 1.6. სხეულის მოძრაობა დახრილ სიბრტყეზე.

ზემომოყვანილიდან ჩანს, რომ დახრილ ზედაპირზე მოძრაობის დროს სრული წინააღმდეგობის ძალა W შედგება ორი მდგენელის – პორიზონტალურ ზედაპირზე ხახუნით გამოწვეული მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის $W_0 = P(\cos\alpha)\mu$ და დამატებითი წინააღმდეგობის ძალის (სიმძიმის ძალის მდგენელის) $Ps\sin\alpha$ -ს ჯამისაგან.

$$W = W_0 + Ps\sin\alpha = P(\cos\alpha)\mu + Ps\sin\alpha = P(\mu\cos\alpha + \sin\alpha). \quad (1.8)$$

თუ განტოლების ორივე მხარეს გავყოფთ P -ზე, გადავალოთ ხვედრით ძალებზე

$$w = \mu\cos\alpha + \sin\alpha. \quad (1.9)$$

α დახრის კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციების სიდიდეები შეგვიძლია განვსაზღვროთ დახრილი ზედაპირის გეომეტრიული ზომებით. კერძოდ, სიგრძით L და სიმაღლით h . α დახრის კუთხის სიმცირის გამო $\sin\alpha \approx \operatorname{tg}\alpha = \frac{h}{L}$.

მაგისტრალურ რკინიგზებზე ქანობის დახრის კუთხე მცირეა და არ აღემატება 1.15° -ს. ამიტომ, ასეთი მცირე დახრილობის კუთხეების ტანგენსები ძალზე მცირე სიდიდეებია (მაგალითად 0.0052 – 0.0087) რიგის, ანუ შეადგენენ 1-ის მეათასედ ნაწილს. ამიტომ, ქანობის დამახასიათებელ პარამეტრად იყენებენ კუთხის ტანგენსის 1 000-ჯერ გაზრდილ სიდიდეს. მას უწოდებენ ქანობს, აღნიშნავენ i ასოთი და ზომავენ მეათასედებში (პრომილებში) %.

$$i = 1000 \operatorname{tg} \alpha = 1000 \frac{h}{L}. \quad (1.10)$$

ქანობის გამოთვლა მეათასედებში ადვილია, თუ ავიდებთ ქანობის სიგრძის განხომილებას კმ-ში, ხოლო ქანობის სიმაღლის h -ის განხომილებას (1 000-ჯერ ნაკლებს), მეტრებში, მაშინ

$$i \% = \frac{h (\vartheta)}{l (\vartheta)}.$$

მაგალითად ქანობი $i = 15\%$ ნიშნავს ისეთი დახრილობის აღმართს, რომელზეც რელსის ბოლო, მის საწყისთან შედარებით მაღლდება ყოველ კილომეტრზე 15 მეტრით.

α დახრის კუთხის სიმცირის გამო $\sin \alpha$ ახლოსაა 0-თან, ხოლო $\cos \alpha$ შეგვიძლია ჩავთვალოთ 1-ის ტოლად. მაშინ (1.8) გამოსახულება ქანობზე თანაბარი სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში მიიღებს სახეს

$$w = \mu + \sin \alpha. \quad (1.11)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქანობზე სატრანსპორტო საშუალების თავდაღმართის მიმართულებით მოძრაობისას, $P \sin \alpha$ მდგრებლი, რომელიც წარმოადგენს ქანობით გამოწვეულ დამატებით წინააღმდეგობის ძალას, ემთხვევა მოძრაობის მიმართულებას, ის გადაიქცევა გ.წ. „უარყოფით წინააღმდეგობის“ ძალად, ანუ ამაჩქარებელ ძალად. ამის გათვალისწინებით (1.11) მიიღებს სახეს

$$w = \mu \pm \sin \alpha. \quad (1.11)'$$

(1.11') გამოსახულებიდან ნათლად ჩანს, რომ თუ ქანობზე დგომისას $-\sin \alpha > \mu - \eta$, მაშინ ადგილი ექნება თვით დაძვრას (სხვა გარე ძალების მოქმედების გარეშე). ასეთ ქანობებს მავნე ქანობებს უწოდებენ.


1.5. მამოძრავებელი ძალა და მისი შექმნის საფუძვლები სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებისათვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი სხეულის მოძრაობაში მოსაყვანად საჭიროა მასზე იმოქმედოს გარეშე ძალამ. სხვადასხვა სახის ტრანსპორტში გამოიყენება სხვადასხვა ხერხით შექმნილი გარეშე ძალა. მათგან უმეტესობა შეიძლება გავაერთიანოთ პრინციპულად განსხვავებულ ორ ჯგუფად:

პირველ ჯგუფში შედის უშუალოდ მოდებული გარეშე ძალები (ნახ. 1.7). ამ ჯგუფის ძალების ყველაზე ცხადი გამოხატულების ფორმაა სტაციონალური ენერგიის წყაროდან გარეშე ძალის მოდება დრეკადი ბაგირის მეშვეობით (ნახ. 1.7,ა).

პრაქტიკაში არსებობენ სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გადაადგილდებიან ბაზირების მეშვეობით:

- მიწის ზემოთ განთავსებული სატრანსპორტო საშუალებები – სამრეწველო, სამგზავრო, სამოო-სათხილამურო საბაგირო გზები.
- მიწაზე განთავსებული სატრანსპორტო საშუალებები რელსებზე ან მიმმართველებზე – ესკალატორები და ფუნიკულიორები.
- ვერტიკალური მიმართულებით მიწის ზემოთ ან მიწის ქვემოთ – ლიფტები.
- მდინარეებზე გადასასვლელი ბორნები.



ნახ. 1.7. მოძრაობა მამოძრავებელი ძალის უშუალო მოდებით.

ცხადია, რომ ყველა ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება ლოკალურად შეზღუდულ არეალში.

გარეშე ძალის უშუალოდ გამოყენების მაგალითია ქარის დინამიკური დაწნევის იალქანზე ზემოქმედება (ნახ. 1.7, ბ). კაცობრიობა ძალიან დიდი ხნის მანძილზე იყენებდა ამ პრინციპზე მომუშავე ტრანსპორტს, მათ შორის დედამიწის გარშემო მოგზაურობისათვის.

ასევე ამ ტიპის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ სამილსადენო, პნევმო, ჰიდრო და ელექტრომაგნიტური სატრანსპორტო საშუალებები.


სატრანსპორტო მიზნებისათვის მამოძრავებელი ძალების შექმნის მეორე კლასის ჯგუფის მიეკუთვნება – მყარი სავალი გზის ან სატრანსპორტო საშუალების გარშემო არსებული გარემოს რეაქციის გამოყენება.

სავალი ნაწილის მყარი ზედაპირიდან ბერკეტებით მოწყდომა – ამ ხერხით სარგებლობენ და მოძრაობენ ცხოველები და ადამიანები, რომელთა საყრდენ ბერკეტებს წარმოადგენენ მათივე ფეხები. რეაქცია წარმოიქმნება სავალი ნაწილის

ზედაპირიდან არეკვლისას, ფეხსა და გზას შორის არსებული ხახუნის წყალობით. ამ ხერხით მოძრაობის ეფექტურობა, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ხახუნის ძალის სიდიდეზე. ცნობილია, რომ სადაც ეს ხახუნის ძალა მცირეა, იქ მოძრაობა გაძნელებულია (მაგალითად მოყინულ გზაზე).

მოძრაობის ამ ხერხს აქვს მთელი რიგი ნაკლოვანები. კერძოდ, მამოძრავებელი ძალების არათანაბარი მოქმედება, ციკლურობა, საყრდენი ბერკეტების შეზღუდული რაოდენობა და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა ამ სქემით იჩვლისში ააგებს ორთქლმავლის ერთ-ერთი პირველი სახეობა (ნახ. 1.8, ა).



ნახ. 1.8. გარემოს რეაქციით შექმნილი მამოძრავებელი ძალა:
ა) მყარი ზედაპირიდან ბერკეტებით მოწყდომა (ორთქლმავალი);
ბ) ბორბლიანი ორთქლმავალი გემი;
გ) მყარი ზედაპირიდან ბორბლით უწყვეტი არეკნი (ავტომობილი).


მოძრავი გარემოდან ბერკეტებით მოწყდომის ხერხის მაგალითებია – თევზის მოძრაობა წყალში, ჩიტის – ჰაერში, ნავის ნიჩბების მოქმედება წყალში. ამ ხერხის ნაკლოვანი მხარეა მამოძრავებელი ძალის წარმოქმნის ციკლური ხასიათი და უთანაბრობა. ამ ნაკლისაგან თავისუფალია ბორბლიანი ამძრავის მქონე გემები, ბორბლებზე ფრთების რაოდენობის დიდი რიცხვის და წყალთან ერთი და იგივე რაოდენობის ფრთების კონტაქტის გამო (ნახ. 1.8, ბ).

ბორბლის უწყვეტი მოწყდომა გზის მყარი ზედაპირიდან ნახ. 1.8, გ. ამ ხერხზეა დაფუძნებული ეველა მიწისზედა სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრინციპი. მაბრუნებელი მომენტით, რომელიც ბორბალზე უნდა იყოს მოდებული

კუნთის ძალის (ველოსიპედისტის შემთხვევა) ან ენერგეტიკული დანადგარის (ორთქლის, თბური ან ელექტრული ძრავას) მეშვეობით. ბორბალსა და გზის სავალ ნაწილს შორის არსებული ხახუნის წყალობით, ხდება ბორბლის უწყვეტ რეჟიმში არეკვნა გზის სავალი ნაწილიდან, რის შედეგად ბრუნვითი მოძრაობა გარდაიქმნება ხაზოვან გადაადგილებად. ე.ი. ბორბლის უწყვეტი არეკვნა გზის სავალი ნაწილიდან განაპირობებს უწყვეტ რეაქციას გზის მხრიდან, ანუ უწყვეტ გარეშე მამოძრავებელ ძალას. ეს კი საშუალებას იძლევა შეიქმნას ისეთი ტექნიკური სატრანსპორტო საშუალებები, რომლებშიც გარეშე მამოძრავებელი ძალები იმოქმედებენ მუდმივად და უწყვეტად.

მოძრავი გარემოდან ამძრავი ხრახნით უწყვეტი მოწყდომა. ასე შეიძლება უწყდოთ გარეშე მამოძრავებელი ძალის შექმნას წყალში ხრახნით (ნახ. 1.9,ა) და პაერში პროპელერით (ნახ. 1.9,ბ).

თანამედროვე საზღვაო, სამდინარო, წყალქვეშა, წყალზედა, საჰაერო პროპელერიანი სატრანსპორტო საშუალებების მუშაობა დაფუძნებულია ამ პრინციპზე.



ნახ. 1.9. უწყვეტი მამოძრავებელი ძალის შექმნა მოძრავ გარემოში:

- ა) მოტორულ ნავზე ფრთებიანი ხრახნით;
- ბ) საჰაერო ხრახნით (პროპელერით) ავიაციაში.

ტრანსპორტზე გარეშე მამოძრავებელი ძალის შექმნის კიდევ ერთი ხერხია რეაქტიული ხასიათის მოძრაობა. რეაქტიულ მოძრაობაში იგულისხმება გარეშე მამოძრავებელი ძალის შექმნა, ძრავას წვის კამერიდან დიდი სიჩქარით გამოტყორცნილი აირების შიდა რეაქციით. ამის თვალსაჩინო მაგალითია თოფის გასროლისას წარმოქმნილი უკუცემა, როდესაც იარაღი ცდილობს გადაადგილდეს ტყვიის გასროლის საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ პრინციპზეა დამყარებული რეაქტიული თვითმფრინავების და რაკეტების მოძრაობა.

1.6. მატარებლის მოძრაობის მექანიკის მოდელი

რეალური მატარებელი წარმოადგენს დრეკადი ელემენტებით (ე.წ. ავტოგადაბმულობებით) ერთმანეთთან დაკავშირებულ ცალკეული რგოლებისაგან (ლოკომოტივი, ვაგონები) შემდგარ რთულ სისტემას, რომელსაც აქვს რაღაც სასრულო სიგრძე $L_{\text{მატ}}$. მოკლედ, რეალური მატარებელი წარმოადგენს $L_{\text{მატ}} - \text{სიგრძის დრეკად-ჭიმვად ძაფს}$.

მატარებელზე მთლიანად და მის შემადგენელ ცალკეულ რგოლებზე მოქმედებენ ზემოთ განხილული პორიზონტალური ძალები, კერძოდ – მამოძრავებელი ძალა (\vec{F} ევის ძალა) F , წინააღმდეგობის ძალები W' , $W_1'' \dots W_n''$ და ვერტიკალური სიმძიმის ძალები – ლოკომოტივის P , ვაგონების $q_1 \dots q_n$. მთელი ეს რთული სისტემა მოძრაობს ხაზოვნად, ერთნაირი V სიჩქარით (ნახ. 1.10,ა). ასეთი რთული სისტემის მოძრაობის შესწავლის გაიოლების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვახდინოთ გარკვეული გამარტივებები:

1. პირობითად, შემადგენლობის ვაგონების მთელი მასა $m_Q = \sum m_i$, რომელთა ჯამური \vec{P} ნაა $Q = \sum q_i$, გავაერთიანოთ ერთ სხეულად (ნახ. 1.10,ბ). (ამ დროს ვაკეთებთ დაშვებას, რომ ვაგონებს შორის დრეკადი ელემენტები არ არსებობს. ე.ი მატარებელს, რომელიც რეალურად წარმოადგენს დრეკად-ჭიმვად ძაფს, კცვლით სისტი სისტემით). ამის უფლებას გვაძლევს ის, რომ მატარებელში შინაგანი ძალების მიერ შესრულებული მუშაობათა ჯამი 0-ის ტოლია.

შემადგენლობის მოძრაობისადმი ჯამური წინააღმდეგობის ძალა ტოლი იქნება


$$W'' = \sum W_i''.$$

მატარებლის მიღებული მოდელი წარმოადგენს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ სხეულს (ლოკომოტივი, ვაგონების შემადგენლობა), რომელიც მოძრაობს ხაზოვნად, ერთნაირი სიჩქარით. ეს საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ შემდეგი გამარტივება:

2. მატარებელი წარმოვადგინოთ როგორც ერთი სხეული, ჯამური $\vec{P} + \vec{Q}$, რომელზეც მოქმედებს ორი პორიზონტალური ძალა, წევის ძალა F და მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა $W = W' + W''$ (ნახ. 1.10, გ).

თუ მატარებლის შემადგენელ ნაწილებს დეტალურად გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ საკმაოდ დიდი მასის ცალკეული სხეულები მატარებელში (ლოკომოტივის და ვაგონების წყვილთვალები, რედუქტორების კბილანები, წევის ძრავების ღუზები) მონაწილეობენ რთულ მოძრაობაში. ისინი ბრუნავენ და თან ხაზოვნად გადაადგილდებიან. ე.ი. მათ ბრუნვით მოძრაობაში მოსაყვანად იხარჯება მამოძრავებელი F ძალის ნაწილი. აღნიშნულის გასათვალისწინებლად გაკვთებთ შემდეგ გამარტივებას:

3. განხილვიდან გამოვრიცხავთ მბრუნავი სხეულების მასებს და მათ პირობითად კცვლით ფიქტიური (არარსებული) მასით. სხვაგვარად მატარებლის მასას ვზრდით $(1+\gamma)$ -ჯერ, სადაც γ მბრუნავი სხეულების მასების წილია მატარებლის სრულ მასაში. შედეგად მივიღებთ ერთ სისტ სხეულს, რომლის წონაა $P(1+\gamma)$, მასაა $m(1+\gamma)$ და რომელიც მოძრაობს ხაზოვნად (ნახ. 1.10, გ).



ნახ. 1.10. მოძრავ მატარებელზე მოქმედი ძალების საანგარიშო სქემები.

მექანიკის კანონის თანახმად ხისტი სხეულის მოძრაობის შესასწავლად საკმარისია შევისწავლოთ ამ სხეულის ერთი წერტილის – მისი სიმძიმის ცენტრის მოძრაობა, პირობით, რომ ამ სხეულის მასა მოლიანად განთავსებულია სიმძიმის ცენტრში.

4. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს, მატარებელი წარმოვადგინოთ, როგორც მატერიალური წერტილი – სიმძიმის ცენტრი C , სადაც განთავსებულია მოქმედებებს თორიზონტალური მასა m და მასზე მოქმედებს ორი პორიზონტალური ძალა F და W (ნახ. 1.10, დ).

5. ძალთა გეომეტრიული შეკრების კანონის და ტოლქმედი ძალის ტერმინის შემოღების შემდეგ, საბოლოოდ მატარებლის ფიზიკური (მექანიკური) მოდელი შეგვიძლია წარმოვადგინოთ, როგორც მატერიალური წერტილი C , რომელშიც განთავსებულია მატარებლის მოქმედებები ფიზიკური მასა m , და რომელზეც მოქმედებს ტოლქმედი ძალა F_θ (ნახ. 1.10, ე).

სწორედ მიღებული, ერთი შეხედვით უმარტივესი ფიზიკური მოდელი უდევს საფუძვლად წევის გაანგარიშების წესებს, რკინიგზების პროექტირების და პრაქტიკული ექსპლუატაციის დროს.

1.7. სარელსო გზა და მისი თავისებურებანი

რკინიგზა, რომელიც განთავსებულია ცვალებადი რელიეფის მქონე მიწაზე, არ შეიძლება იყოს მხოლოდ სწორხაზოვანი. ის შეიძლება სწორი ხაზიდან განსხვავდებოდეს, როგორც გეგმაში (მრუდეების არსებობით), ასევე გრძივ პროფილში (უარყოფითი და დადებითი ქანობების არსებობით).


რკინიგზის ნებისმიერი უბანი გეგმაში შედგება სხვადასხვა სიგრძის სწორხაზოვანი და მრუდხაზოვანი მონაკვეთებისაგან, რომელთა არსებობა, რა თქმა უნდა, განპირობებულია მიწის რელიეფით, რაზედაც დაგებულია გზა. პროექტირების და მშენებლობის დროს სხვადასხვა რადიუსის მქონე მრუდეები, ასევე მრუდეები და გზის სწორი მონაკვეთები ერთმანეთთან დაკავშირდებულია ცვალებადი რადიუსის მქონე გარდამავალი მრუდეებით. წევის ანგარიშებში ამას არ ითვალისწინებენ და თვლიან, გადასვლა სწორი მონაკვეთიდან მრუდეზე, ან პირიქით, ან ერთი რადიუსის მრუდიდან მეორე რადიუსის მქონე მრუდეზე ხდება მყისურად.

მრუდე შეიძლება მოცემული იყოს შემდეგი სამი პარამეტრიდან ორით:

მრუდის სიგრძით – $S_{\text{მ}}(\vartheta)$, მრუდის რადიუსით – $R_{\text{მ}}(\vartheta)$, მრუდის ცენტრალური კუთხით – α° . როგორც გეომეტრიიდან ცნობილია, მათ შორის არის შემდეგი დამოკიდებულება

$$S_{\text{მ}} = \frac{2\pi R_{\text{მ}} \cdot \alpha^{\circ}}{360}. \quad (1.12)$$

რკინიგზის გრძივი პროფილი ხასიათდება ან სწორი პორიზონტალური მონაკვეთებით, ან სხვადასხვა კუთხით დახრილი მონაკვეთებით $\pm i\%$ ქანობებით. ეს ქანობები სხვა ელემენტებს უკავშირდება გარდამავალი მრუდეებით, რასაც წევის ანგარიშებში ასევე არ ითვალისწინებენ (ნახ. 1.11).



ნახ. 1.11. რკინიგზის უბნის გეგმის სქემა.
 R_1, R_2 და R_3 მრუდე მონაკვეთების რადიუსებია.

გზის გრძივი პროფილი წარმოიდგინება, როგორც ტეხილი ხაზი, პორიზონტალთან სხვადასხვა კუთხით დახრილი მონაკვეთებით, რომელთა ბოლოების


სიმაღლეები, ათვლის საწყისი წერტილის მიმართ (მაგ. ზღვის დონის მიმართ) აღინიშნება h -ით მეტრებში.

ასეთი გამარტივების შემდეგ გზის გრძივი პროფილი შეიძლება მოცემული იყოს ცხრილის სახით (იხ. ცხრ. 1.1) ან პირობითი აღნიშვნით, სადაც მასშტაბში მოცემულია მხოლოდ პროფილის ელემენტის სიგრძე (ნახ. 1.12).

რკინიგზის უბნის გრძივი პროფილის პირობითი წარმოდგენის მაგალითი

ცხრილი 1.1

ელემენტების ნუმერაცია	ელემენტის სიგრძე h -ში	ქანობის დახრა %-%	მრუდის რადიუსი, R -ში	მრუდის რკალის სიგრძე h -ში
1. სადგური A	1 700	0		
2	2 400	-2,5	650	350
3	800	-1,5		
4	1 600	0		
5	1 850	+12,5		
6	500	+7,3		
8. სადგური B	1 600	0		
9	800	-1,5	1 500	500
-	-	-	-	-
-	-	-	-	-
-	-	-	-	-
17 სადგური G	1 400	0		



ნახ. 1.12. რკინიგზის გრძივი პროფილი 1.1. ცხრილის მონაცემებით:

- ა) გრძივი პროფილი (ორგანზომილებიანი გამოსახულება),
- ბ) გრძივი პროფილი (ერთგანზომილებიანი გამოსახულება, მრუდეები დატანილი არაა).

II თავი

ცნობები ელექტრული ფეზის სახეობების შესახებ

2.1. სარელსო ტრანსპორტის წევის სახეობები

სატრანსპორტო გადაზიდვების პროცესში, ლოკომოტივის მიერ მოხმარებული ენერგიის დიდი წილი იხარჯება მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალთა (ხახუნი ბორბალსა და სავალ გზას შორის, ხახუნი საკისრებში, ხახუნი ჰაერსა და მოძრავი შემადგენლობის კორპუსს შორის და ა.შ.) დაძლევაზე. ბორბლიან სატრანსპორტო საშუალებებში, მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების შემცირების ერთ-ერთი ეფექტური (აეროდინამიკური ფორმების გაუმჯობესებასთან ერთად) გზა აღმოჩნდა ბორბლის დაყრდნობა მტკიცე ფოლადის სავალ ნაწილზე, რელსზე, რამაც სათავე დაუდო სარელსო-სარკინიგზო ტრანსპორტის შექმნას.

თავდაპირველად სარელსო ტრანსპორტზე გამწევ საშუალებად გამოიყენებოდა ცოცხალი ძალა (ცხენი).


ორთქლის მექანიკური ძრავას გამოყენებამ განაპირობა პირველი სარკინიგზო ლოკომოტივების (თვითმოძრავი სატრანსპორტო საშუალებების) – ორთქლმავლების და შესაბამისად ორთქლმავლური წევის შექმნა. წევის ამ სახეობამ საუკუნეების განმავლობაში ემსახურა კაცობრიობას და ადგილი დაუთმო უფრო ეფექტურ თბომავლურ წევას, რომლის შექმნა, თავის მხრივ, უკავშირდება ლოკომოტივებზე თბური (შიგაწვის) ძრავების გამოყენებას.

ელექტრული მანქანების (ელექტრული ძრავების, გენერატორების) დანერგვამ და სარკინიგზო ლოკომოტივებზე გამოყენებამ, შესაძლებელი გახადა წევის ახალი, მეტად ეფექტური სახეობის – ელექტრული წევის შექმნა.

ორთქლმავალი და თბომავალი წარმოადგენს ე.წ. ავტონომიურ ლოკომოტივებს, რომლებზეც შეზღუდული სიმძლავრის პირველადი ენერგიის წყარო განთავსებულია უშუალოდ ბორტზე და გადაადგილდება მასთან ერთად. რაც შეეხება ელექტრულ ლოკომოტივებს, ისინი ენერგიას იღებენ პრაქტიკულად უსასრულო სიმძლავრის გარე ელექტრომომარაგების სისტემიდან (ნახ. 2.1).

თუ ზემოაღნიშნულ წევის სამ სახეობას შორის მოვახდენთ ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებით შედარებას, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი – მარგი ქმედების კოეფიციენტი (მოკლედ მ.ქ.ქ.), გვიჩვენებს მთლიანად დახარჯული მუშაობის რა წილი მიდის სასარგებლოდ. მისი მნიშვნელობა:



ნახ. 2.1. ელექტრული რკინიგზის სტრუქტურული სქემა.

- | | |
|--|----------------------|
| 1. ელექტროსადგური, | 5. წევის ქვესადგური, |
| 2. ძაბვის ამამაღლებელი ტრანსფორმატორი, | 6. საკონტაქტო ქსელი, |
| 3. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი, | 7. ელექტრომავალი, |
| 4. რაიონული ქვესადგური, | 8. სარელსო გზა. |

• ორთქლმავლური წევისათვის შეადგენს $\eta=0.03-0.04$, ანუ პროცენტებში 3-4%-ს, რაც დღევანდელი მდგომარეობით წარმოუდგენლად დაბალი მაჩვენებელია.

რომ აგხსნათ ამ კოეფიციენტის ფიზიკური არსი, განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

ვთქვათ ორთქლმავლის წვის კამერაში იწვის 100 ტ. მასის პირობითი საწვავი. მ.ქ.კ.-ის 3-4% მნიშვნელობა ნიშნავს, სასარგებლოდ მოიხმარება 3 – 4 ტ. საწვავის დაწვით მიღებული ენერგია. დანარჩენი 96-97 ტ. საწვავიდან მიღებული თბური ენერგია იკარგება ატმოსფეროში აუნაზღაურებლად.

• თბომავლური წევისათვის ეს მაჩვენებელი ტოლია $\eta=0.2-0.25$, ანუ პროცენტებში 20-25 %-ს, რაც დაახლოებით 8-ჯერ აღემატება ორთქლმავლური წევის მაჩვენებელს.

• ელექტრული წევის შემთხვევაში მთელი სისტემის ჯამური მარგი ქმედების კოეფიციენტი ტოლია $\eta = \eta_1 \cdot \eta_2 \cdot \eta_3 \cdot \eta_4 \cdot \eta_5$, სადაც:

1. η_1 არის ელექტროსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი, რომელიც პიდროსადგურებისათვის შეადგენს 0,96-0,98, ხოლო თბოსადგურებისათვის 0,6-0,75.
2. η_2 არის გადამცემი ხაზების მარგი ქმედების კოეფიციენტი, რომელიც ერთოთან ახლოს მყოფი ციფრია.
3. η_3 არის წევის ქვესადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი, რომელიც ასევე ტოლია 0,92-0,95.
4. η_4 არის საკონტაქტო ქსელის მარგი ქმედების კოეფიციენტი, რომელიც ასევე ახლოსაა ერთოთან.
5. η_5 არის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მარგი ქმედების კოეფიციენტია, ტოლია 0,8-0,85.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, სისტემისათვის განმსაზღვრელია ელექტროსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი, კერძოდ:

- ელექტრული რკინიგზებისთვის, რომლებიც იკვებებიან ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიით, ჯამური მარგი ქმედების კოეფიციენტი $\eta=0,6-0,65$, ანუ 60 – 65%-ს.
- ელექტრული რკინიგზებისათვის, რომლებიც იკვებებიან თბო და ატომურ ელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიით, ეს მაჩვენებელი შეადგენს $\eta=0,25-0,27$, ანუ 25 -27%-ს.

განსხვავებით ელექტრული წევისაგან, ორთქლმავლური და თბომავლური წევის დროს პირველადი ენერგიის წყარო განთავსებულია უშუალოდ ლოკომოტივზე, რის გამოც შეზღუდულია ლოკომოტივის სიმძლავრე, ანუ შეზღუდულია მატარებლების წონა და მათი მოძრაობის სიჩქარე; მაშინ როდესაც ელექტრული წევის შემთხვევაში ელექტრული ლოკომოტივი იკვებება პრაქტიკულად უსასრულო სიმძლავრის ქსელიდან და შეუძლია განავითაროს ნებისმიერი მოთხოვნილი სიმძლავრე.

თუ გავითვალისწინებთ დღის წესრიგში მდგარ მკაცრ ეპოლოგიურ მოთხოვნებს, ელექტრული წევის სისტემა ამ მხრივ აბსოლუტურად უსაფრთხოა.

მოკლე ანალიზითაც დასტურდება ელექტრული წევის უპირატესობა, წევის სხვა სახეობებთან შედარებით. თუმცა მას გააჩნია ერთი ნაკლი – მოითხოვს ძალიან დიდ კაპიტალდაბანდებას.

2.2. წევის ძრავა, ელექტრომოძრავი შემადგენლობის მთავარი კვანძი

სახელმძღვანელოში ელექტრული წევის თეორიის ძირითადი საკითხების საფუძვლიანი განხილვის და შესწავლის გაიოლების მიზნით, ავტორებმა მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მკითხველისათვის პოპულარული, მარტივი ენით აგვესნა ელექტრომოძრავი შემადგენლობის და მისი ძირითადი კვანძების მუშაობის პრინციპი. ავტორების აზრით, ასეთი მიდგომა უფრო საინტერესოს და ადვილად გასაგებს გახდის როგორი პროცესების შესწავლას.

გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წევის ძრავა წარმოადგენს ნებისმიერი სახის ელექტრომოძრავი შემადგენლობის (ელექტრომავალი, ელექტრომატარებელი, მეტროპოლიტენის ელექტრომოძრავი შემადგენლობა, ტრამვაი და ა.შ.) ყველაზე მთავარ, ძირითად კვანძს, რადგან მოძრაობის სიჩქარე და განვითარებული წევის ძალა (მოძრაობის პროცესის ორი მთავარი კომპონენტი) განისაზღვრება სწორედ წევის ძრავას პარამეტრებით და მუშაობის რეჟიმით.

წევის ძრავას მეშვეობით ხდება საკონტაქტო ქსელში არსებული ელექტრული ენერგიის გარდაქმნა მექანიკურ მუშაობად (ე.წ. წევის რეჟიმი), რისი წყალობითაც მოძრავი შემადგენლობა გადაადგილდება სარელსო გზაზე. მიუხედავად მრავალი ცდისა, მომხდარიყო ელექტრული წევის ძრავას, როგორც ენერგიის ელექტრო-მექანიკური გარდამქმნელის ჩანაცვლება სხვა მექანიზმით, ახლო პერსპექტივაში, ის მაინც რჩება ელექტრული წევის უმთავრეს კვანძად და საფუძვლად.

ელექტრული მანქანების უნარი იმუშაონ ურთიერთშექცევად რეჟიმში, საშუალებას გვაძლევს წევის ძრავა წარმოვადგინოთ არამარტო, როგორც ელექტრული ენერგიის მექანიკურ ენერგიად გარდამქმნელი საშუალება, არამედ მისი გადართვით ე.წ. გენერატორულ რეჟიმში, მოძრავი მატარებლის მექანიკური ენერგიის ელექტრულ ენერგიად გარდამქმნელი საშუალება.

თუ წევის რეჟიმში, წევის ძრავა ქსელიდან მოხსნილ ენერგიას ხარჯავს მატარებლის გადაადგილებაზე, გენერატორულ რეჟიმში წევის ძრავა გამოიმუშავებს რა ელექტრულ ენერგიას, ქმნის სამუხრუჭო მომენტს, რომელიც ამცირებს მატარებლის მოძრაობის სიჩქარეს ან აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია გააჩეროს ის.

წევის ძრავას მუშაობის ეფექტურობას განაპირობებს მისი ელექტრული და მაგნიტური პარამეტრები და კონსტრუქცია. რაც უფრო მძლავრია წევის ძრავა, მით უფრო დაძაბულად მიმდინარეობს მასში ელექტრომაგნიტური პროცესები, უფრო რთულია მის ცალკეულ პარამეტრებს შორის ელექტრომაგნიტური კავშირები.

რადგან ძრავას მიერ განვითარებული მექანიკური ენერგია, წყვილთვალს გადაეცემა წევის გადაცემის (მაგალითად კბილანა რელუქტორის) მეშვეობით, გარდაუვალია ძრავაში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების ზეგავლენა წევის გადაცემაში ამ დროს წარმოქმნილ დინამიკურ ძალებზე და პირიქით, წევის გადაცემაში წარმოქმნილი მექანიკური პროცესების გავლენა, ძრავაში მიმდინარე ელექტრომაგნიტურ პროცესებზე (ნახ. 2.2).

არსებული რთული პროცესების ანალიზისას, გამომდინარე ენერგიის მუდმივობის კანონიდან, ითვალისწინებენ ენერგიის ბალანსს გარდაქმნის დროს. სხვაგვარად, ენერგია რომელიც მიეწოდება ძრავას შესასვლელზე, ტოლი უნდა იყოს წყვილთვალის რელსზე მოძრაობის დროს რეალიზებული ენერგიის და წევის გადაცემაში ენერგიის დანაკარგების ჯამის.

წევის ძრავაში და წევის გადაცემაში, ენერგიის გარდაქმნის პროცესზე ზეგავლენას ახდენს, როგორც წინასწარ ცნობილი, კონტროლირებადი ფაქტორები (მაგალითად მატარებლის წონა), ასევე უშუალოდ მოძრაობის პროცესში წარმოქმნილი შემთხვევითი ხასიათის ფაქტორები, კერძოდ:

- სარელსო გზის პირაპირების გავლისას წყვილთვალზე დარტყმები;
- ლოკომოტივის რხევა მოძრაობის პროცესში განპირობებული დრეკადი ელე-მენტების (რესორები, ზამბარები) არსებობით;
- წყვილთვალების გასრიალება რელსზე;
- საკონტაქტო ქსელში ძაბვის მერყეობა;
- გარემოს ტემპერატურის ცვლილება;
- მოძრაობის პროცესში საფალი ნაწილის ზონაში, უშუალოდ წევის ძრავას სიახლოვეს მტვრის და თოვლის გრიგალური ნაკადების წარმოქმნა.

როგორც ვხედავთ, წევის ძრავას და წევის გადაცემის მუშაობის პირობები, გაცილებით მძიმე და დამაბულია, ვიდრე სტაციონალური ელექტრული მანქანების მუშაობის პირობებია.

ელექტრომოძრავი შემადგენლობის და სარელსო გზის ურთიერთქმედებით გამოწვეული დინამიკური დატვირთვები, დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენენ წყვილთვალებზე, წევის ძრავების კვანძებზე, ბუქსებზე, რესორულ ჩამოკიდებაზე და ა.შ.


2.3. როგორ მუშაობს წევის ძრავა?

დასაწყისში განვიხილოთ მუდმივი დენის წევის ძრავას, ხოლო შემდეგ ცვლადი დენის ასინქრონული წევის ძრავას მუშაობის პრინციპი.

საჭიროა გავიხსენოთ – მუდმივი დენი გადის დენის წყაროდან მომხმარებლისკენ ერთი მიმართულებით და მის მიერ შექმნილი მაგნიტური ველი არ იცვლება დროის მიხედვით. თუ ასეთ დენიან სადენს მოვათავსებთ მაგნიტურ ველში, მაშინ ამპერის კანონის თანახმად, მასზე იმოქმედებს მექანიკური ძალა, რომელიც ეცდება ეს დენიანი გამტარი გამოაგდოს მაგნიტური ველიდან. აღნიშნული ძალის მნიშვნელობა დამოკიდებულია სადენში გამავალ დენის ძალის სიდიდეზე, სადენის სიგრძეზე და მაგნიტური ველის ინდუქციაზე, ანუ მაგნიტური ნაკადის სიმკვრი-ვეზე. ამ ძალის მიმართულება განისაზღვრება მარცხნა ხელის წესით.

თუ ამის შემდეგ იმავე მაგნიტურ ველში, დიამეტრალურად საპირისპიროდ მოვათავსებთ მეორე დენიან სადენს, მაშინ მასზე იმოქმედებს მექანიკური ძალა, რომელსაც ექნება პირველ სადენზე მოქმედი ძალის საპირისპირო მიმართულება, რადგან ეს მეორე სადენი განთავსებული იქნება მეორე (განსხვავებული) პოლუსის ქვეშ. თუ პირველი სადენის ბოლოს მიუერთებთ მეორე სადენის დასაწყისს, ხოლო მეორეს ბოლოს პირველის დასაწყისს, მიღებულ ჩარჩოს მოვათავსებთ საკისრებზე


ისე, რომ ჩარჩო განთავსდეს მაგნიტური ველის ძალხაზების მართობულად, მაშინ ჩარჩოს სადენებზე საპირისპიროდ მოქმედი FF ძალები შექმნიან მაბრუნებელ მომენტს M -ს, რომლის წყალობით ჩარჩო დაიწყებს შემობრუნებას მაგნიტური ძალხაზების მიმართ.



ნახ. 2.2. წევის ძრავას, წევილთვალის და სარელსო გზის ურთიერთქმედება მოძრაობის პროცესში.

- 1 – ენერგია, რომელიც წევის ძრავას მიეწოდება საკონტაქტო ქსელიდან.
- 2 – ენერგია, რომელიც გადაეცემა წევის ძრავადან წევილთვალს.
- 3 – დარტყმებით განპირობებული ენერგია, რომელიც გადაეცემა წევილთვალიდან წევის ძრავას.
- 4 – ენერგია, რომელიც იხარჯება წევილთვალის ბრუნვითი მოძრაობის შესაქმნელად.
- 5 – ენერგია, მიღებული სარელსო გზის დეფორმაციით.
- 6 – მბრუნავი მოქნები, რომელიც წარმოიშვება წევილთვალის დარტყმის შედეგად.


მაგნიტური ძალხაზების მიმართ ჩარჩოს შემობრუნების დროს, ფარადების მიერ აღმოჩენილ ელექტრომაგნიტური ინდუქციის კანონის თანახმად, მასში დაინდუქტირდება ელექტრომამოძრავებული ძალა (მოკლედ ე.მ.ძ.), რომლის მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება მაგნიტური ნაკადის სიმკვრივეზე (ინდუქციაზე), გამტარის აქტიურ სიგრძეზე და მაგნიტური ძალხაზების გადაკვეთის სიჩქარეზე (ჩარჩოს ბრუნვის სიხშირეზე). შემობრუნებისას რაღაც დროის მომენტში დენიანი ჩარჩო დაიჭერს მაგნიტური ნაკადის მართობულ მდგომარეობას, ანუ აღმოჩნდება პოლუსების ნაკადების გამყოფ ხაზზე, ე.წ. გეომეტრიულ ნეიტრალზე (ნახ. 2.3). ამ მომენტში ჩარჩოში ე.მ.ძ-ის დაინდუქტირება არ ხდება. ჩარჩოს შემდგომი შემობრუნებისას ის იჭერს მაგნიტური ძალხაზების პარალელურ მდებარეობას (ვერტიკალური მდგომარეობა) და მასში დაინდუქტირდება ე.მ.ძ-ის მაქსიმალური მნიშვნელობა.



ნახ. 2.3. მაგნიტურ ველში დენიან ჩარჩოზე მოქმედი ძალები FF და M მაპრუნებელი მომენტის წარმოქმნის მქანიზმი.

ამგვარად, ჩარჩოს ერთი შემობრუნებისას, რომელიც გრძელდება T დროის განმავლობაში, მასში დაინდუქტირებული ე.მ.პ-ის მნიშვნელობა იზრდება 0-დან მაქსიმალურ დადებით მნიშვნელობამდე, შემდეგ მცირდება 0-ვან მნიშვნელობამდე, შემდეგ 0-დან მაქსიმალურ უარყოფით მნიშვნელობამდე, შემდეგ კვლავ 0-მდე და

ა.შ. ჩარჩოს ბრუნვისას მასში ცირკულირებს სინუსოიდალურად ცვლადი დენი $+I_{max}$ -დან $-I_{max}$ -მდე (იხ. ნახ. 2.4).



ნახ. 2.4. ჩარჩოს ერთი შემობრუნებისას (T -დრო) დენი მასში იცვლება $+I_{max}$ -დან $-I_{max}$ -მდე.

თუ მოგახდენთ ჩარჩოდან დენის მოხსნას იმ მომენტში, როდესაც ის იცვლის მიმართულებას, მაშინ გარე წრედში დენი გაიცლის ერთი და იგივე მიმართულებით. იმისათვის, რომ დენის ცვლილება პრაქტიკულად იყოს შეუმჩნეველი, ერთი ჩარჩოს ნაცვლად საკისრებზე ამაგრებენ ასეულობით ჩარჩოს. ბრუნვისას ჩარჩოების სადენების რიცხვი, რომელიც განთავსებულია ერთი პოლუსის ქვეშ უცვლელია, ამიტომ მათში დაინდუქტირებული ჯამური ე.მ.პ-ც უცვლელია.

ჩარჩოებს ცალკეული სექციების სახით ამაგრებენ ძრავას მბრუნავ ნაწილზე – როტორზე, რომელსაც უწოდებენ ღუზას, ხოლო სექციების ერთობლიობას უწოდებენ ღუზის გრაგნილს.

ძრავას მაბრუნებელი მომენტი წარმოადგენს ღუზის გრაგნილის სექციების მაბრუნებელი მომენტების ჯამს. ბრუნვის დროს გრაგნილის სექციები გაივლიან სხვადასხვა პოლარობის პოლუსების ქვეშ. იმისათვის, რომ მაბრუნებელი მომენტის მიმართულება დარჩეს უცვლელი, საჭიროა მაგნიტური ნაკადის გეომეტრიული ნეიტრალის გავლისას, სექციებში გამავალმა დენმა შეიცვალოს მიმართულება.

ღუზის გრაგნილის სექციის გადართვის ამ პროცესს, როდესაც მასში დენი იცვლის მიმართულებას, უწოდებენ კომუტაციას (ლათინური სიტყვიდან “ვიცვლები”), ხოლო ამ პროცესში მონაწილე მოკლედ შერთულ სექციებს უწოდებენ მაკომუტირებელ სექციებს.


საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ დამყარებულ რეჟიმშიც კი, როდესაც არ იცვლება ძრავას მომჰქერებზე ძაბვის მნიშვნელობა და ძრავას დატვირთვა, ანუ ძრავაში გამავალი დენი, კომუტაციის პროცესი წარმოადგენს დროში ცვლად გარდამავალ პროცესს.

კომუტაციური პროცესები, გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა, რთულდება სხვა მთელი რიგი მიზეზებით, რაც განპირობებულია ძრავაში მიმდინარე რთული ელექტრომაგნიტური პროცესებით. კერძოდ:

პირველ რიგში კომუტაციის პროცესში ღუზის გრაგნილში დენის მიმართულების შეცვლა იწვევს ღუზის გრაგნილის მოკლედ შერთულ სექციაში თვითინდუქციის ე.მ.ძ-ის დაინდუქტირებას. ის წარმოიშვება ამ ხვიის ღუზის გრაგნილის მიერ წარმოქმნილ ცვლად მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედების დროს და მასში განაპირობებს უმნიშვნელო ელექტრული ენერგიის დაგროვებას. ლენცის აღმოჩენის თანახმად ეს ე.მ.ძ. ეწინაღმდეგება მის წარმომქნელ მიზეზს. მაგალითად თუ კონკრეტულ მომენტში კომუტაციის პროცეში მყოფ სექციაში დენი მცირდება, მაშინ თვითინდუქციის ე.მ.ძ ცდილობს დააყოვნოს ამ დენის შემცირება და პირიქით; თუ კომუტაციის შემდეგ მომენტში კომუტაციაში მონაწილე სექციაში დენი იზრდება, მაშინ წარმოქმნილი თვითინდუქციის ე.მ.ძ. ცდილობს შეეწინააღმდეგოს მის ზრდას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ ჯაგრისების ქვეშ კომუტაციის პროცესში მონაწილეობს არა ერთი, არამედ რამდენიმე მოკლედ შერთული სექცია. ამიტომ, თვითინდუქციის ე.მ.ძ-ის მსგავსად, მათში დაინდუქტირდება ურთიერთინდუქციის ე.მ.ძ, რომლის მიმართულებაც განისაზღვრება იმავე ლენცის კანონით.

აღსანიშნავია ისიც, რომ დუზის გრაგნილში გამავალი დენი წარმოშობს მაგნიტურ ნაკადს, ე.წ. დუზის რეაქციის ნაკადს, რომელიც განსხვავებით ძირითადი მუშა ნაკადისაგან (ნახ. 2.5, а), მიმართულია ძირითადი მუშა ნაკადის მართობული მიმართულებით (ნახ. 2.5, ბ) და საბოლოო ჯამში იწვევს მის დამახინჯებას (ნახ. 2.5, გ). აღნიშნულის გამო გეომეტრიულ ნეიტრალის ზონაში მყოფ სექციებში დაინდუქტირდება, დუზის რეაქციით გამოწვეული ე.მ.პ. რომელსაც ბრუნვის ე.მ.პ.-ს უწოდებენ.



ნახ. 2.5.

თუ დუზის გრაგნილში არ გადის დენი, მაშინ ძრავაში არსებობს მხოლოდ მთავარი პოლუსების მიერ შექმნილი სიმეტრიული მაგნიტური ნაკადი (ნახ. 2.5, а). დუზის გრაგნილის დენი წარმოქმნის თავის მაგნიტურ ველს, ე.წ. დუზის რეაქციის ნაკადს, რომელიც მოქმედებს ძირითადი ნაკადის მართობი მიმართულებით (ნახ. 2.5, ბ). აღნიშნული ნაკადების ზედდება წარმოშობს დამახინჯებულ რეზულტირებულ ნაკადს (ნახ. 2.5, გ), რომელსაც გააჩნია გეომეტრიული (1-1') და ფიზიკური (2-2') ნეიტრალები. გენერატორულ რეჟიმში ფიზიკური ნეიტრალი გადაადგილდება დუზის ბრუნვის მიმართულებით (ისარი G), ხოლო ძრავულ რეჟიმში დუზის ბრუნვის საწინააღმდეგოდ (ისარი M).

აღნიშნულის გამო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუტაციის პროცესში, დუზის გრაგნილის მოკლედ შერთულ სექციაში ცირკულირებს დენი, რომელიც შექმნილია თვითინდუქციის, ურთიერთინდუქციის და ბრუნვის ელექტრომამოძრავებელი ძალების ჯამური ქმედებით. მანამ, სანამ ზემოჩამოთვლილი ე.მ.პ-ბი მცირე სიდიდეებია, კომუტაციის პროცესი ძრავაში მიმდინარეობს მეტნაკლებად ნორმალურად. მაგრამ, თუ კომუტაციაში მონაწილე სექციაში დაგროვილი ელექტრომაგნიტური ენერგია აღმოჩნდება საკმარისი, მეზობელ კოლექტორულ ფირფიტებს შორის პაერის იონიზაციისთვის (როდესაც პაერი ხდება დენგამტარი), მაშინ მათ შორის წარმოქმნება ნაპერწყალი, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს ელექტრულ რკალში და წრიულ ცეცხლში, რაც ძრავასათვის სერიოზული ავარიაა.

მუდმივი დენის მანქანებში ფიზიკური პროცესები როგორც ძრავულ, ასევე გენერატორულ რეჟიმში მიმდინარეობს იდენტურად. განსხვავება იმაშია, რომ ღუზის გრაგნილში დაინდუქტირებული ე.მ.ძ-ის მიმართულება განისაზღვრება მარჯვენა ხელის წესით. გენერატორულ რეჟიმში მომუშავე წევის ძრავას მიერ შექმნილი ელექტრომაგნიტური მომენტი, მიმართული იქნება ელექტრომავლის წყვილთვალის მიერ შექმნილი მაბრუნებელი მომენტის საწინააღმდეგოდ და წარმოადგენს დამა-მუხრუჭებელ მომენტს, განსხვავებით წევის რეჟიმისაგან, როდესაც ძრავულ რეჟიმში ძრავის მიერ შექმნილი მაბრუნებელი მომენტი, ასრულებს სასარგებლო მექანიკურ მუშაობას და განაპირობებს მატარებლის სასარგებლო გადაადგილებას სარელსო გზაზე.

2.4. მუდმივი დენის წევის ძრავების ძირითადი კვანძები

წევის ძრავა შედგება უძრავი ნაწილისაგან ე.წ. ჩონჩხისაგან (სტატორი) და მოძრავი ღუზისაგან (როტორი). მუდმივი დენის წევის ძრავებში გაბარიტების და მასალების უკეთ გამოყენების მიზნით, სტატორში განთავსებულია მძლავრი მაგნიტური ნაკადის შემქნელი მაგნიტური სისტემა (მთავარი პოლუსების გულარები მათზე განთავსებული აგზების გრაგნილებით), ხოლო როტორი მბრუნავი ღუზა შედგება გულარისაგან, რომლის ღრმულებში განთავსებულია ღუზის გრაგნილი.

1. სტატორის კორპუსი, ანუ ძრავას ჩონჩხი მუდმივი დენის ელექტრომავლებისათვის წარმოადგენს თხელკედლიან, ლრუ, დაცერებული ყურების მქონე ოთხწახნაგიან ფოლადის სხმულს. ძრავას კორპუსი ერთის მხრივ გვერდით შვერილების და დრეკადი ტრავერსების საშუალებით ეყრდნობა ურიკის ჩარჩოს, ხოლო საპირისპირო მხარეს არსებული შვერილებში განთავსებულ სრიალი საკისრებით ეყრდნობა წყვილთვალის დერძს. ძრავას ასეთ დამაგრებას უწოდებენ ჩამოკიდებას ნახევრად დერძზე დაყრდნობით, ანუ ე.წ. ტრამგაისებრ ჩამოკიდებას (სახელწოდება განსაზღვრა პირველად ამ ტიპის ჩამოკიდების გამოყენებამ ტრამგაიზე), რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს კბილანა რედუქტორების გამოყენებით, ძრავას დიდი მაბრუნებელი მომენტის გადაცემას წამყვან წყვილთვალზე. ზემოდან ძრავას კორპუსზე არსებული მილყელების საშუალებით ძრავაში შეჰყავთ გამაგრილებელი ჰაერი და ახდენენ ჰაერის ევაკუაციას. კორპუსის ზედა და ქვედა ნაწილში არსებული ლუკების მეშვეობით ხდება ძრავას შიგთავსის დათვალიერება.

ჩონჩხი წარმოადგენს წევის ძრავას მაგნიტური სისტემის ნაწილს. პოლუსის შიგა მხარეს არსებულ შვერილებზე სიმეტრიულად მაგრდება მთავარი პოლუსის გულარები, რომლებზეც წინასწარ ჩამოცმულია აგზების გრაგნილები.

2. მთავარი პოლუსის გულარები აკრეფილია 2-3 მმ სისქის, დატვიფრული ელექტროტექნიკური ფოლადის ფირფიტებისაგან. მასიური ლითონით დამზადებული გულარის შემთხვევაში მათში წარმოიშვება გრიგალური დენები, რომელთა არსებობა ძალზე არასასურველია, რადგან იწვევენ გულარების გახურებას და ენერგიის დამატებით დანაკარგებს. ფოლადის ფირფიტებისაგან აკრეფილი გულარების გამოყენების შემთხვევაში კი, იზრდება გრიგალური დენების კონტურის წინააღმდეგობა, რაც ამ დენების მნიშვნელობას ამცირებს მინიმუმამდე.

3. მთავარი პოლუსების აგზნების გრაგნილები შესრულებულია კოჭების სახით, მართკუთხა ფორმის სპილენძის სადენით, სიბრტყით დახვევით ორ ფენად. ხვიები და ფენები იზოლირებულია ერთმანეთისგან და კორპუსისგან.

4. წევის ძრავას დუზა, ისე როგორც პოლუსების გულარები, გრიგალური დენების შემცირების მიზნით, აკრეფილია საიზოლაციო ლაქასმულ, ელექტროტექნიკური თხელი (0,35 მმ სისქის), დატვიფრის გზით მიღებული ფირფიტებისაგან. გარე წრესთან ახლოს, დატვიფრის გზით ფირფიტებს უკეთდება მართკუთხა ფორმის ამონაჭრები ე.წ. დრმული. ფირფიტების აგროვების შემდეგ წარმოიქმნება გრძივი დრმულები, რომლებშიც ათავსებენ დუზის გრაგნილს. დუზის გრაგნილი შესრულებულია სპილენძის ცალკე იზოლირებული სექციისაგან (ან ნახევარ-სექციისაგან). მათ განათავსებენ დრმულებში, უკეთებენ იზოლაციას და ამაგრებენ საიზოლაციო მასალისაგან დამზადებულ სოლებით და არტახებით.

5. წევის ძრავას დუზა დაწნეხვის გზით დამაგრებულია ძრავას ლილვზე, რომელიც დამზადებულია ქრომონიკელის ზემტკიცე ფოლადისაგან. ლილვის ორთავე მხარეს, დაწნეხვის გზით, დასმულია დუზის გორგის საკისრები, რომელთა გარე რგოლები ჩაწნებილია საკისრების ფარებში. ეს უკანასკნელები კი ხრახნებით მაგრდება ძრავას ჩონჩხის შუბლურ ნაწილებში გაჩარხულ ბუდეებში.

იმისათვის, რომ ძრავას დუზამ თავისუფლად იბრუნოს, პოლუსის ბუნიკსა და დუზის გარე ზედაპირს შორის, არსებობს რამდენიმე მილიმეტრიანი საჰაერო დრეჩო. ეს საჰაერო დრეჩო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ძრავას თვისებებს და მახასიათებლებს. ეს აიხსნება იმით, რომ მაგნიტო მამოძრავებელი ძალა (მ.მ.ძ.) ძირითადად იხარჯება ამ საჰაერო დრეჩოს მაგნიტური წინააღმდეგობის დაძლევაზე. ამ საჰაერო დრეჩოში თავს იყრის ძირითადი მაგნიტური ნაკადი, რომლის ურთიერთქმედება დუზის დენთან ქმნის ძრავას მაბრუნებელ მომენტს.

6. კოლექტორ-ჯაგრისების კვანძი წარმოადგენს წევის ძრავას ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ნორმალურ მუშაობას. ეს კვანძი შედგება კოლექტორისაგან, ჯაგრისებისა და ჯაგრისების დამჭერი მოწყობილობისაგან.

7. კოლექტორი წარმოადგენს ელექტრომექანიკურ გარდამქმნელს, რომელიც ძრავულ რეჟიმში, წევის ძრავას ჯაგრისებზე მოყვანილ მუდმივ დენს გარდაქმნის დუზის გრაგნილებში გამავალ ცვლად დენად, ხოლო გენერატორულ რეჟიმში პირიქით, დუზის გრაგნილის ცვლად დენს გამართვის გზით გარდაქმნის მუდმივ დენად. ჯაგრისის მიერ დამოკლებულ დუზის გრაგნილის სექციაში დენი მიმართულებას იცვლის მყისურად. ამ პროცესს, როგორც ზემოთ ვნახეთ, კომუტაცია ეწოდება. წევის ძრავას ნომინალური ბრუნთა რიცხვის დროს, დენის გადართვის რაოდენობა შეადგენს 15 000-ს წამში. ანუ დუზის გრაგნილში დენი პრაქტიკულად ინარჩუნებს მუდმივ მნიშვნელობას. ასეთი დაძაბული მუშაობის პირობების დასაკმყოფილებლად, მის დასამზადებლად საჭიროა დიდი სიზუსტე.

კონსტრუქციულად კოლექტორი წარმოადგენს ფოლადის ცილინდრული ფორმის ფუზე რადიალური მიმართულებით აკრეფილ სპეციალური კადმიუმიანი მტკიცე სპილენძის ფირფიტებს, რომლებიც ერთმანეთისაგან იზოლირებულია სითბოსადმი და ნესტისადმი მედეგი, მაღალი ელექტრული სიმტკიცის მქონე მიკანიტის ფირფიტებით. ცილინდრზე საიმედო დამაგრების მიზნით, სპილენძის ფირფიტების ქვედა ნაწილს აძლევენ მერცხლის კუდის ფორმას. კოლექტორს დაწესევით ამაგრებენ ძრავას ლილვზე. კოლექტორის ყოველი ფირფიტის შვერილზე გააკეთებენ ჭრილებს, რომელშიც ათავსებენ დუზის გრაგნილის სექციების გამომყვან ბოლოებს და საიმედოდ ახდენენ მათ მირჩილვას.

წევის ძრავაში დენის შეყვანა ხდება ჯაგრისების საშუალებით. ჯაგრისებს განალაგებენ ძირითადი მაგნიტური ნაკადის გეომეტრიულ ნეიტრალზე, რაც მნიშვნელოვნად ამსუბუქებს კომუტაციას. კომუტაცია მიმდინარეობს რთულ პირობებში, რაც გამოწვეულია სარელსო გზის არათანაბარი მონაკვეთების გავლისას წარმოქმნილი შემთხვევითი დინამიკური ძალების კოლექტორზე და ჯაგრისებზე ზემოქმედებით.

ჯაგრისებს ამზადებენ სპეციალური მტკიცე მასალისაგან, რომელსაც აქვს დიდი გარდამავალი ელექტრული წინაღობა, მცირე ხახუნის კოეფიციენტი. ისინი უშვებენ დენის ნომინალურ სიმკვრივეს 10-12 ამპ/სმ². ჯაგრისის სიგანე ერთდროულად ფარაგს კოლექტორის რამდენიმე ფირფიტას, რის გამოც ერთი ჯაგრისის ქვეშ ერთდროულად კომუტაციას განიცდის დუზის გრაგნილის რამდენიმე სექცია.

კომუტაციის პირობების გაუმჯობესების მიზნით გატარებული კონსტრუქციული ღონისძიებები, პირველ რიგში, მიმართულია დუზის რეაქციით გამოწვეულ ძირითადი მაგნიტური ნაკადის დამახინჯების აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით:

1. ზრდიან საჭარო დრეჩოს პოლუსის ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით;

2. მთავარ პოლუსებს შორის, გეომეტრიული ნეიტრალის ზონაში, ათავსებენ დამატებით პოლუსებს;
3. მთავარ პოლუსების გულარის ბუნიკებში ჭრიან სპეციალურ ღრმულებს, რომლებშიც ათავსებენ საკომპენსაციო გრაგნილებს.

არათანაბარი საჟაერო ღრეჩო, მთავარ პოლუსის ბუნიკსა და ღუზის გარე ზედაპირს შორის, საშუალებას გვაძლევს შევქმნათ მაგნიტური ნაკადის უფრო თანაბარი სიმკვრივე, მთავარი პოლუსების ქვეშ.

დამატებითი პოლუსების გრაგნილები, რომლებიც ყველაზე უფერტურად ამცირებენ ღუზის რეაქციას, ქმნიან მაგნიტურ ნაკადს, რომელიც აკომპენსირებს ძირითადი ნაკადის დამახინჯებას. ამავე მიზანს ემსახურება საკომპენსაციო გრაგნილები.

ეს გრაგნილები ქმნიან ღუზის რეაქციის ნაკადის საპირისპიროდ (განივად) მიმართულ მაკომპენსირებელ ნაკადს, არ ახდენენ ზეგავლენას ძრავას ძირითად მუშა ნაკადზე და შესაბამისად ძრავას მიერ განვითარებულ მომენტზე.

ძრავას ნორმალურ პირობებში მუშაობისას კომუტაციის ხარისხი ფასდება ჯაგრისების ნაპერწკლიანობის ხარისხით, სხვაგვარად კომუტაციის კლასით.

წევის ძრავას საიმედო მუშაობას მნიშვნელოვნად განაპირობებს გამოყენებული იზოლაცია, რომლითაც მაღალი ძაბვას ქვეშ მყოფი ძრავას ცალკეული კვანძები იზოლირებულია ერთმანეთისგან და კორპუსისგან (მიწისგან).

თანამედროვე წევის ძრავებში იყენებენ იზოლაციის სამ სახეს:

- ა) ხვიათაშორისო იზოლაციას,
- ბ) კორპუსულ იზოლაციას,
- გ) საფარველ იზოლაციას, რომელიც გამოიყენება ძირითადი იზოლაციის მექანიკური დაზიანებისაგან დასაცავად.

პოლიმერების სფეროში მნიშვნელოვანმა გარღვევებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალი საიზოლაციო მასალების შექმნას, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ელექტრული და მექანიკური სიმტკიცით და მაღალი ტემპერატურებისადმი მედეგობით.

2.5. მუდმივი დენის წევის ძრავების პარამეტრები

წევის ძრავების მუშაობის ურთულესი პირობები (ვიბრაცია, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედება, დატვირთვის ცვლილება დიდ ფარგლებში, მკვებავი ძაბვის მერყეობა და ა.შ.) და გამოყოფილ ვიწრო გაბარიტებში დიდი სიმძლავრის ჩატევისაქნ სწრაფვა, განაპირობებს მათ ზღვრული შესაძლებლობებით შესრულებას. მათი სიმძლავრეების ოპტიმალურად გამოყენების ხარისხს კი განსაზღვრავს გზის პროფილი, მატარებლის მოძრაობის პირობები და მატარებლების მასა. გზის

პროფილი თითქმის არ იცვლება. აქედან გამომდინარე გზის გამტარუნარიანობის გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატარებლების მასის გაზრდას და მოძრაობის სწორ ორგანიზაციას. ამ საკითხების საუკეთესო გადაწყვეტაში დიდ როლს თამაშობს ელექტრომომარგების სისტემების და უშუალოდ ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეგულირების თვისებების კომპლექსური შეფასების ხარისხი. როგორიც აროფილის უბნების დაძლევისთვის ხშირად ადგილი აქვს, როგორც ე.მ.შ-ის მოწყობილობის, ასევე ელექტრომომარაგების სისტემის ხანმოკლედ დიდ დატვირთვას. წევის ქვესადგურის მკვებავ ფიდერებზე უცვლელი ძაბვის პირობებში დატვირთვის გაზრდა იწვევს მოხმარებული დენების ზრდას, ეს უკანასკნელი კი, საკონტაქტო ქსელში, ელექტროენერგიის დანაკარგების ზრდას.

წევის ძრავების საპროექტო ანგარიშებში განსაზღვრავენ:

1. ძრავას მომჰქერებზე ძაბვის ხომინალურ მნიშვნელობას;
2. ძრავას ხომინალურ სიმძლავრეს;
3. მაბრუნებელი მომენტის ხომინალურ მნიშვნელობას;
4. წყვილთვალზე წევის ძალის ხომინალურ მნიშვნელობას.

გარდა აღნიშნულისა განსაზღვრავენ, აგრეთვე, წევის ძრავას მაქსიმალურ ბრუნთა რიცხვს და რედუქტორის პარამეტრების გათვალისწინებით ე.მ.შ-ს მაქსიმალურ სიჩქარეს.

ხანგრძლივი საექსპლუატაციო გამოცდილება აჩვენებს, რომ წევის ძრავების მომჰქერებზე ძაბვის ოპტიმალური მნიშვნელობაა 750-900 ვოლტი. ამ დროს ყველაზე უფერტურადაა გამოყენებული ძრავას გაბარიტები, შესაბამისი სიმძლავრეებისათვის.

მაქსიმალურ სიმძლავრეს ძრავა ანვითარებს მაქსიმალური ბრუნთა რიცხვის დროს, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს მაქსიმალური ბრუნთა რიცხვების შეზღუდვა, კომუტაციის პირობების მოსალოდნელი გაუარესების და ცენტრიდანული ძალების ზრდით გამოწვეული მექანიკური ძალების შეზღუდვის აუცილებლობით.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ წევის ძრავას ძირითად გაბარიტებს: დუზის დიამეტრს და მისი გულარის სიგრძეს განსაზღვრავს არა სიმძლავრე, არამედ მაბრუნებელი მომენტი. ძრავას ეს პარამეტრები დაკავშირებულია მის მექანიკურ და ელექტრულ დატვირთვებთან. კერძოდ, საპარამეტრო დრენაჟი მაგნიტური ნაკადის სიმკვრივესთან (ინდუქციასთან) და დუზის ბრუნთა რიცხვთან.

ძრავაში მაგნიტური ნაკადი განისაზღვრება, ელექტრულ წრედებში დენის განსაზღვრის მსგავსად,

$$\Phi = \frac{F_{\text{აა}}}{\sum R_\mu}, \quad (2.1)$$

სადაც, $F_{\text{შბ}} \equiv IW$ არის მთავარი პოლუსის კოჭების მიერ შექმნილი მაგნიტომამოძრავებელი ძალა (შმბ).

I – კოჭებში გამავალი დენის მნიშვნელობა.

W – კოჭების ხვიათა რიცხვი.

ΣR_μ – წევის ძრავას მაგნიტური წრედის უბნების მაგნიტური წინააღმდეგობების ჯამი.

წევის ძრავას მაგნიტური წრედი შეგვიძლია წარმოვადგინოთ, როგორც მიმდევრულად შეერთებული უბნები – მთავარი პოლუსის გულარები, საჰაერო ღრეჩო, ღუზის გულარის კბილები, ღუზის გულარა, ჩონჩხის უდელი. ყოველი უბნის მაგნიტური წინააღმდეგობა დამოკიდებულია ამ უბნის მასალაზე. გულარებში და ჩონჩხები გამოყენებული ელექტროტექნიკური ფოლადის მაგნიტური ინდუქცია უმნიშვნელო მმბ-ის შემთხვევაშიც კი დიდია. აგზების დენის ზრდისას დასაწყისში ინდუქცია იზრდება, მაგრამ შემდეგ მაგნიტური სისტემის გაუდენოვის გამო, აგზების დენის შემდგომი ზრდა აღარ იწვევს ინდუქციის გაზრდას. ის რჩება მაქსიმალური და უცვლელი.

გავიგებთ რა მაგნიტური ნაკადის მნიშვნელობას, ელექტრომაგნიტური ინდუქციის კანონის თანახმად, განვსაზღვრავთ ღუზის გრაგნილში აღძრულ ელექტრომამოძრავებელ ძალას (ემბ)

$$E = C_e \Phi \cdot n. \quad (2.2)$$

სადაც, C_e არის ძრავას კონსტრუქციული მუდმივა და ტოლია $C_e = \frac{PN}{60 \cdot \alpha}$.

P – ძრავას წყვილ პოლუსთა რიცხვი.

N – გამტართა რიცხვი.

α – ღუზის გრაგნილის პარალელურ შტოთა რიცხვი.

n – ძრავას ლილვის (ღუზის) ბრუნთა რიცხვი, ბრ/წთ.

თუ ვიცით ძრავას ბრუნთა რიცხვის მნიშვნელობა და გადამცემი რედუქტორის პარამეტრები, შეგვიძლია განვსაზღვროთ ემბ-ს სიჩქარე V კმ/სთ.

$$V = \frac{0,188D \cdot n}{\mu} \quad \text{კმ/სთ}, \quad (2.3)$$

სადაც D არის წყვილთვალის დიამეტრი მეტრებში.

μ – რედუქტორის გადაცემის რიცხვი, რომელიც პრაქტიკაში იცვლება 3.5–4.5 ფარგლებში.

$$0,188 = \frac{3,14 \cdot 60}{1000}; \quad 3,14 = \pi; \quad 60\text{-წუთების } \text{საათებში} \text{ გადამყვანი } \text{კოეფიციენტი.}$$

1 000 – კი მეტრების კილომეტრებში გადამყვანი კოეფიციენტი.

ძრავას მუშაობის დამყარებულ რეჟიმში არსებობს ელექტრული წონასწორობა მომჰქერებზე მოდებულ ძაბვასა – U , ძრავას ღუზაში დაინდუქტირებულ ემბ-სა – E -ს

და ძრავას წრედში ძაბვის გარდნას – IR -ს შორის (I – ძრავაში გამავალი დენია, R – ძრავას წრედის აქტიური წინააღმდეგობა). ე.ი. ვწერთ

$$U = E + IR. \quad (2.4)$$

თუ E აღმოჩნდება მეტი ძაბვაზე U -ზე, მაშინ დენი შეიცვლის მიმართულებას და წავა ქსელში, ანუ ძრავა დაიწყებს მუშაობას გენერატორულ რეჟიმში.

ამუშავების დასაწყისში, როდესაც ძრავა არ ბრუნავს $n = 0$, ანუ $E = C_e \Phi n = 0$,

$$\text{მივიღებთ } U = IR, \text{ აქედან ძრავაში გამავალი დენი ტოლი იქნება } I = \frac{U}{R} \text{ და იქნება}$$

დასაშვებზე გაცილებით დიდი, რადგან ძრავას წრედის აქტიური წინააღმდეგობა $R \approx 0.1$ ომის რიგისაა. მაგალითად, $U = 500$ ვოლტი ძაბვის დროს, დაძვრის პროცესში, ძრავაში გამავალი დენი ტოლი იქნება $500/0.1 = 5000$ ამპერის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ძრავას როგორც თბური, ასევე მექანიკური დაზიანება. ამის თავიდან ასაცილებლად ახდენენ ამ დენების შეზღუდვას, რასაც დეტალურად ვნახავთ ქვემოთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ძრავას მიერ განვითარებული მომენტი არაა დამოკიდებული ძრავას მომჭერებზე მოდებული ძაბვის სიდიდეზე, არამედ დამოკიდებულია ძრავას ღუზაში გამავალ დენის სიდიდეზე I -ზე და მაგნიტური ნაკადის სიდიდეზე Φ -ზე. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, იქმნება აგზების გრაფნილში გამავალი დენით I_s . ე.ი.

$$M = C_M \Phi I. \quad (2.5)$$

$$\text{სადაც, } C_M = \frac{pN}{2\pi a} \text{ არის ძრავას კონსტრუქციაზე დამოკიდებული კოეფიციენტი.}$$

ძრავას მაბრუნებელი მომენტის M და ღუზის კუთხური სიჩქარის ω -ს ნამრავლი წარმოადგენს ძრავას მექანიკურ სიმძლავრეს, რომელიც გვიჩვენებს თუ, რა სიდიდის ელექტროენერგიის გარდაქმნა შეუძლია მექანიკურ ენერგიად მოცემულ ძრავას დროის ერთეულში. $P_2 = M \cdot \omega \frac{\partial \theta}{\partial t}$. ძრავას სიმძლავრე შეგვიძლია განვსაზღვროთ თრი მხრიდან, წევის ძრავას ე.წ. “შესასვლელის” მხრიდან $P_1 = UI$ და ძრავას ლილგის (გამოსასვლელის) მხრიდან $P_2 = M \cdot \omega$; ეს თრი სიმძლავრე ერთმანეთისგან განსხვავდება ძრავაში სიმძლავრის ელექტრული, მაგნიტური და მექანიკური დანაკარგების არსებობით. ამ უკანასკნელის გათვალისწინება ხდება ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტით (მქპ) η . საბოლოოდ შეგვიძლია დავწეროთ

$$UI\eta = M\omega. \quad (2.6)$$

აქედან შეგვიძლია განვსაზღვროთ ძრავას მქანი η

$$\eta = \frac{M\omega}{UI} = \frac{P_2}{P_1}. \quad (2.7)$$

2.6. მუდმივი დენის წევის ძრავების მახასიათებლები

წევის ძრავას მუშაობისას, ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია ელექტრული და მექანიკური სიდიდეები. ჩვენ გვაინტერესებს ძრავას მიერ რეალიზებული მომენტი M_d , ბრუნვის სიხშირე n_d და მასში ენერგიის დანაკარგები η_d , განვითარებული სიმძლავრის სხვადასხვა მნიშვნელობის დროს. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძრავას სიმძლავრეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის მიერ მოხმარებული დენით I -თი, მაშინ მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას მათემატიკურად გამოსახვენ, როგორც $M_d(I_d)$, $n_d(I_d)$, $\eta_d(I_d)$ და მათ ძრავას ელექტრომექანიკურ მახასიათებლებს უწოდებენ.


ვინაიდან ელექტრომოძრავი შემადგენლობის შესაძლებლობები სიჩქარის სახით რეალიზდება წყვილთვალისა და რელსის შეხების ზონაში, ამიტომ მიზანშეწონილია ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლები გადათვლილი იქნეს წყვილთვალის რელსთან შეხების ზონის მიმართ, რა თქმა უნდა, რედუქტორის გადაცემის რიცხვის და წყვილთვალის დიამეტრის გათვალისწინებით. ამგვარად, განსაზღვრული დამოკიდებულებები $V(I_d)$, $F(I_d)$ და $\eta_{\text{ელ}}(I_d)$ ($\eta_{\text{ელ}} = \eta_d \cdot \eta_{\text{რედ}}$; $\eta_{\text{რედ}}$ არის რედუქტორის მ.ქ.პ.) იწოდება ელექტროწევით მახასიათებლებად.

$V(I_d)$, $F(I_d)$ ელექტროწევითი მახასიათებლების საშუალებით აგებენ ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის მახასიათებელს $F_{\text{ელ}}(V)$, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მატარებელთა მოძრაობასთან დაკავშირებულ მრავალ ტექნიკურ-ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტაში.

იმისათვის, რომ ავაგოთ ე.მ.შ-ს წევის მახასიათებელი $F_{\text{ელ}}(V)$, წინასწარ ცნობილი ელექტროწევითი მახასიათებლების საშუალებით, საჭიროა ერთი წყვილთვალის შესაბამისი წევის ძალა გავამრავლოთ ე.მ.შ.-ს წევის ძრავების რიცხვზე. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული წყვილთვალი მოძრაობაში მოდის თავისი წევის ძრავათი.

ელექტრომექანიკური და ელექტროწევითი მახასიათებლების სახე განისაზღვრება, პირველ რიგში, წევის ძრავას აგზნების სისტემით, ანუ სხვაგვარად, აგზნების დენსა და ღუზის დენს შორის დამოკიდებულებით. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია აგზნების გრაფნილის, ღუზის გრაფნილის მიმართ ჩართვის სქემაზე.

აგზნების გრაგნილი შეიძლება ჩართული იყოს დუზის გრაგნილის მიმდევრობით. ასეთი ციპის ძრავას უწოდებენ მიმდევრობითაგზნებიან ძრავას. მისი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ დუზის და აგზნების გრაგნილში გადის ერთი და იგივე დენი (ნახ. 2.6. ა).




ნახ. 2.6. მიმდევრობით აგზნებიან წევის ძრავებს აქვთ რბილი ელექტრომექანიკური $n(I), M(I)$ მახასიათებლები ლილვის მიმართ. რადგან ხაზოვანი სიჩქარე V პროპორციულია ძრუნთა რიცხვის n -ის, ხოლო წევის ძალა F პროპორციულია მომენტის M -ის, ამიტომ ელექტროწევით მახასიათებლებს $V(I), F(I)$ წევილთვალის ფერსოს მიმართ ექნებათ იგივე ფორმა, ოღონდ სხვა მასშტაბში (ისინი განსხვავდებიან რაოდენობრივად).

თუ აგზნების გრაგნილს ჩავრთავთ დუზის გრაგნილის პარალელურად (ნახ. 2.7. ა), ასეთ ძრავას უწოდებენ პარალელურ აგზნებიან ძრავას. მისი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ძრავას დუზაში გადის დუზის დენი I_{el} , ხოლო აგზნების გრაგნილში გადის სხვა – აგზნების დენი I_{ag} , ძრავას წრედში კი ცირკულირებს ამ ორი დენის ჯამი $I_{\text{el}} + I_{\text{ag}}$.


ძრავას აგზნების გრაგნილი შეიძლება არ მივაერთოთ დუზის გრაგნილთან და ჩაერთოთ დამოუკიდებელ დენის წყაროზე. ასეთი ტიპის ძრავას დამოუკიდებელ აგზნებიან ძრავას უწოდებენ (ნახ. 2.8.ა). როგორც წესი, ასეთ ძრავებს აქვთ ხისტი მახასიათებლები (ნახ. 2.8.ბ), მაგრამ ავტომატური მარეგულირებელი მოწყობილობების გამოყენებით შეგვიძლია გცვალოთ მახასიათებლების სიხისტის ხარისხი და შესაბამისად ძრავას თვისება.

ძრავას შეიძლება გააჩნდეს ორი აგზნების გრაგნილი. ერთი ჩაირთოს დუზის გრაგნილის მიმდევრობით, ხოლო მეორე დამოუკიდებელ დენის წყაროზე. ასეთი ტიპის ძრავას შერეულ აგზნებიან ძრავას უწოდებენ. იმის მიხედვით, თუ ცალკეული აგზნების გრაგნილების მიერ შექმნილი მაგნიტური ნაკადები ერთმანეთს აძლიერე-

ბენ, თუ ასუსტებენ (ანუ რა პოლარობით არიან ჩართულნი აგზების გრაფიკები), გვაქვს შერეულ შემხვედრ აგზებიანი და შერეულ თანხვედრილ აგზებიანი ძრავები.



ნახ. 2.7. პარალელურ აგზებიან ძრავას აქვს ხისტი ელექტრომექანიკური მახასიათებლები $n(I), M(I)$ ლილვის მიმართ. აქაც ელექტროწევით მახასიათებლებს $V(I), F(I)$ წყვილთვალის ფერსოს მიმართ ექნებათ იგივე ფორმა, ოდონდ სხვა მასშტაბში. (ისინი განსხვავდებიან რაოდენობრივად).



ნახ. 2.8. დამოუკიდებელ აგზებიან ძრავას აქვს ხისტი ელექტრომექანიკური მახასიათებლები $n(I), M(I)$ ლილვის მიმართ, რომელთა სიხისტის ხარისხი შეგვიძლია ვარეგულიროთ. აქაც ელექტროწევით მახასიათებლებს $V(I), F(I)$ წყვილთვალის ფერსოს მიმართ ექნებათ იგივე ფორმა, ოდონდ სხვა მასშტაბში (ისინი განსხვავდებიან რაოდენობრივად).

მიმდევრობით აგზებიანი ძრავებისთვის ძაბვათა ბალანსის განტოლებიდან თუ განვსაზღვრავთ სიჩქარეს, მივიღებთ

$$V = \frac{(U - I_d R_d)}{C \cdot \Phi}. \quad (2.8)$$

ვინაიდან დუზის დენი და აგზების დენი ასეთ ძრავებში ერთი და იგივეა, ამიტომ მანქანის მაგნიტური გაუდენოვის ზონაში შესვლამდე, მაგნიტური ნაკადი

პროპორციულია დუზის (რაც იგივე აგზების) დენის და იზრდება მის პროპორციულად. ე.ი. დატვირთვის (ძრავას დენის) ზრდისას (2.8) განტოლების მრიცხველი მცირდება, ხოლო ერთდროულად მნიშვნელი იზრდება, რის გამოც სიჩქარე მკვეთრად მცირდება. ძრავას, მაგნიტური გაუდენოვის ზონაში შესვლისას (დიდი დენების დროს), სიჩქარე მცირდება ნაკლები ინტენსივობით.

ძრავას მიერ განვითარებული მომენტის (წევის ძალის) მე-(2.5) ფორმულაში ძრავას მაგნიტური სისტემის გაუდენოვამდე, მაგნიტური ნაკადი შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც $\Phi = kI$ (ნაკადი პროპორციულია დუზის დენის), მაშინ მომენტი განისაზღვრება როგორც $M = kC_M I^2$, ე.ი დაძვრის მომენტი, მცირე დენების დროს, ძრავას მაგნიტური სისტემის გაუდენოვამდე, განვითარებული მომენტი (წევის ძალა) დენის კვადრატის პროპორციულია. მაგნიტური გაუდენოვის ზონაში შესვლის შემდეგ მომენტი იზრდება წრფივად.

მიმდევრობით აგზებიან ძრავას აქვს მთელი რიგი უპირატესობები:

- პროფილის ცვლილებისას რეგულირება ხდება ავტომატურად. კერძოდ, პროფილის მშიმე ქანობზე გადასვლისას, სიჩქარე იწყებს კლებას, ერთდროულად იზრდება ძრავას დენი, წევის ძალა და ხდება გაზრდილი წინააღმდეგობის ძალის დაძლევა გარედან ჩაურევლად (ავტომატურად).
- დატვირთვის გადანაწილება პარალელურად მომუშავე ძრავებს შორის არ მოითხოვს დამატებითი ღონისძიებების გატარებას.
- კონსტრუქციულად მარტივი და საიმედოა.
- ნაკლებად მგძნობიარეა ქსელში ძაბვის მერყეობის მიმართ.

ერთდროულად, ამ ტიპის ძრავას აქვს სერიოზული ნაკლოვანებები:

- არ შეუძლია ავტომატურად გადასვლა ელექტრული (გენერატორული) დამუხრუჭების რეჟიმში.
- რთულ პროფილებზე მოძრაობისას, მოძრაობისადმი გაზრდილი წინააღმდეგობის ძალების დაძლევის მიზნით, წევის ძალის გაზრდა (მაგნიტური სისტემის გაუდენოვის გამო) ხდება მხოლოდ დუზის დენის გაზრდის ხარჯზე, სიჩქარეები მცირდება, რის გამოც იზრდება სვლის დროები და ძრავას გახურების ტემპერატურა.
- არაეფექტურად ხდება ჩაჭიდების წონის გამოყენება (დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ).

დამოუკიდებელი აგზების შემთხვევაში, იმის გამო, რომ აგზების გრაგნილი, რომელიც ქმნის მაგნიტურ ნაკადს, იკვებება დამოუკიდებელი კვების წყაროდან,

დატვირთვის (დუზის დენის) ზრდისას ძრავას ბრუნთა რიცხვი, ანუ მოძრაობის სიჩქარე იცვლება უმნიშვნელოდ. (ნახ. 2.7, ბ) $V(I)$ მახასიათებელი ოდნავ დახრილი წრფეა, რაც ნიშნავს პროფილის ნებისმიერ ელემენტზე მოძრაობისას სიჩქარე თითქმის არ იცვლება. ასეთ მახასიათებელს უწოდებენ ხისტ მახასიათებელს.

დიდი უპირატესობაა ის, რომ ხისტი მახასიათებლების მქონე დამოუკიდებელ აგზებიანი წევის ძრავებით აღჭურვილ ე.მ.შ-ას შეუძლია რეალიზება გაუკეთოს 15-20%-ით მეტ ჩაჭიდების წევის ძალას, ვიდრე ე.მ.შ-ს მიმდევრობით აგზებიანი წევის ძრავებით, რაც განსაკუთრებით ეფექტურია რთული მთაგორიანი რკინიგზის უბნებისათვის. უპირატესობაა ისიც, რომ ასეთი ტიპის ძრავებს შეუძლიათ ავტომატური გადასვლა ელექტრული დამუხრუჭების რეჟიმში და იქ მდგრადად მუშაობა.

ნაკლია, საჭირო დამატებითი ღონისძიებების გატარება, პარალელურად მომუშავე ძრავებს შორის დატვირთვის თანაბარი გადანაწილების უზრუნველსაყოფად.

ხშირად წევის ძრავების დამზადების ან შეკეთების დროს არსებული ტექნოლოგიური დაშვებების გამო, განსხვავებაა ერთი ტიპის წევის ძრავების ელექტრომექანიკურ მახასიათებლებს შორის. ასევე, შეიძლება განსხვავება იყოს წყვილთვალის არტახების დიამეტრებს შორის. ასეთი გაბნეული მახასიათებლების მქონე ამძრავების გამოყენება, ერთ მოძრავ, შემადგენლობაზე დაუშვებელია. ამიტომ, პრაქტიკაში ცდილობენ წევის ძრავები და წამყვანი წყვილთვალების არტახები შეარჩიონ ისე, რომ დაკმაყოფილდეს პირობა

$$n_1 D_1 = n_2 D_2 = \dots n_k D_k = \text{const.} \quad (2.9)$$

2.7. უკოლექტორო წევის ძრავები და მათი თავისებურებები

დღეისათვის ფართოდ გამოყენებულ მუდმივი დენის და პულსირებულ დენზე მომუშავე წევის ძრავებს აქვთ მთელი რიგი ნაკლოვანებები. მათ შორის უმთავრესია კოლექტორის არსებობა, რომელიც


- რთულ პირობებში მუშაობის გამო მოითხოვს ექსპლუატაციაში განსაკუთრებულ მომსახურეობას, ძვირია და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ძრავას საიმედოობას;
- ითვლება ძრავას სიმძლავრის და სიჩქარის (ბრუნთა რიცხვის) შემზღვდავ მთავარ კვანძად.

ცვლადი დენის სამ ფაზაზე მომუშავე წევის ძრავები (ე.წ. ასინქრონული და სინქრონული ელექტრული მანქანები) არ საჭიროებენ კოლექტორს. ეს მანქანები იმავე გაბარიტებში (გაბარიტებს განსაზღვრავს სარელსო გზის სიგანე) იძლევიან გაცილებით მეტ სიმძლავრეს (უშვებენ გაცილებით მეტ ბრუნთა რიცხვს),

გამოირჩევიან ერთეულ სიმძლავრეზე ნაკლები მასით, სიიაფით, კონსტრუქციის, მომსახურეობის სიმარტიფით და ექსპლუატაციაში მაღალი საიმედოობით.

დღემდე აღნიშნულ უკოლექტორო წევის ძრავების ფართოდ გამოყენებას ზღუდავდა ორი ძირითადი ფაქტორი:

1. საკონტაქტო ქსელში არსებული ერთფაზა ცვლადი დენის (ან მუდმივი დენის) სამფაზა ცვლად დენად გარდაქმნის სირთულე;
2. რეგულირების სისტემების შექმნის გზაზე განსაკუთრებული ტექნიკური სირთულე.



ნახ. 2.9. უკოლექტორო წევის ძრავებიანი ე.შ. ტირისტორული რეგულირებით, საშუალებას იძლევა წევითი შესაძლებლობები სრულად გამოვიყენოთ საექსპლუატაციო შეზღუდვების (1 – ჩაჭიდებით, 2 – ძაბვით, 3 – მაქსიმალური სიჩქარით) შიგნით, მთელ არიალში.

ნახევარგამტარულ ტექნიკაში ბოლო წლებში განხორციელებულმა დიდმა ძვრებმა, შესაძლებელი გახდა აღნიშნული პრობლემების მოხსნა. დღეისათვის საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში (გერმანია, შვეიცარია, ჩეხეთი, იაპონია) შექმნილია სამფაზა ასინქრონულ ძრავების ბაზაზე მომუშავე არამარტო საცდელი, არამედ სერიული ელექტრომავლები და ელექტრომატარებლები, რომელთა ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება დღემდე არსებულ მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

სრულად მართვადი ნახევარგამტარების ბაზაზე შექმნილი რეგულატორები საშუალებას იძლევიან მთლიანად იყოს რეალიზებული, უკოლექტორო წევის ძრავების ბაზაზე შექმნილი, ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევითი შესაძლებლობები, მათი მუშაობის საექსპლუატაციო შეზღუდვების მთელ არეალში (იხ.ნახ.2.9). რეგულირების ამოცანა კი მდგომარეობს საკონტაქტო ქსელში არსებული ძაბვა და დენი, მოთხოვნილი კანონის შესაბამისად, გარდავქმნათ უკოლექტორო წევის ძრავების გრაგნილებისათვის საჭირო ძაბვად და დენად, მაღალი საიმედოობით და მინიმალური დანაკარგებით.

2.8. ასინქრონული წევის ძრავები და მათი მახასიათებლები

ელექტრულ ძრავებში კონსტრუქციულად ყველაზე მარტივია ერთფაზა ასინქრონული ძრავა, მაგრამ მისი მთავარი ნაკლია არ გააჩნია საწყისი მაბრუნებელი მომენტი.

ეს აიხსნება იმით, რომ ამ ძრავაში გამავალი დენი და მის მიერ შექმნილი მაგნიტური ნაკადი პულსირებს ერთდროულად, ერთნაირი სიხშირით. ბრუნავი მომენტის შესაქმნელად კი საჭიროა მათ შორის იყოს ფაზით წანაცვლება. თუ ამ ძრავას სტატორში განვათავსებთ ორ ერთმანეთის მიმართ 90° -ით წანაცვლებულ გრაგნილს და მათ მივაწვდით კვებას ცალკეული ფაზიდან, მაშინ წარმოიქმნება არასიმეტრიული მბრუნავი მაგნიტური ველი, რომელიც როტორში დააინდუქტირებს დენს. ამ დენის ქმედება მბრუნავ მაგნიტურ ველთან წარმოქმნის მაბრუნებელ მომენტს, მაგრამ, ამ დროს გვექნება ძალზე დიდი დანაკარგები. ამის ნაცვლად, თუ სტატორში განვათავსებთ სამ გრაგნილს, რომელიც გეომეტრიულად განლაგებული იქნება 120° კუთხით, მაშინ წარმოიქმნება სიმეტრიული მბრუნავი მაგნიტური ველი. თუ ამ ველში მოვათავსებთ დენგამტარი მასალისაგან დამზადებულ, საკისრებზე მოძრავ ცილინდრს (როტორს), მასში დაინდუქტირდება ელექტრომამოძრავებული (ე.მ.ძ) ძალა; ამის შედეგად დენი, რომლის ურთიერთქმედება მბრუნავ მაგნიტურ ველთან წარმოქმნის მაბრუნებელ მომენტს და როტორი დაიწყებს ბრუნვას.

დანაკარგების შემცირების მიზნით როტორი მზადდება არა მასიური ცილინდრის სახით, არამედ ცილინდრის ღრმულებში ჩაწყობილ იზოლირებულ სპილენძის დეროებისაგან, რომლებიც თავებში მიღუდებულია ასევე სპილენძისაგან დამზადებულ რგოლებთან. ამგვარად მიიღება მოკლედ შერთული როტორი ე.წ. “ციფვის ბორბალი”, მრავალფაზიანი გრაგნილით, რომელშიც ყოველი დერო წარმოადგენს ცალკე ფაზურ გამტარს.

მიუხედავად იმისა, რომ ასინქრონული ძრავას როტორი გარეგნულად ჰგავს მუდმივი დენის მბრუნავ ღუზას, კოლექტორის გარეშე, მას არ უწოდებენ ღუზას და უწოდებენ როტორს. განსხვავება იმაშია, რომ მუდმივი დენის მანქანის ღუზა კოლექტორის მეშვეობით უკავშირდება მკვებავ გარე ქსელს, რაც არაა მოკლედ-შერთულ როტორიან ასინქრონულ ძრავაში.

ასინქრონულ ძრავაში როტორის ბრუნვის სიხშირე ოდნავ ($1-3\%$ -ით ჩამორჩება მბრუნავი მაგნიტური ველის ბრუნვის სიხშირეს (სინქრონულ სიხშირეს), რაც განაპირობებს ამ ძრავის სახელწოდებას ასინქრონული (არა სინქრონული).

ვინაიდან ($1-3\%$ -ა განსხვავება სინქრონულ სიხშირესა და მბრუნავ როტორის სიხშირეს, ამიტომ როტორში დაინდუქტირებული დენის სიხშირეც სწორედ ეს ($1-3\%$) იქნება.

ასინქრონული ძრავას დამყარებულ რეჟიმში მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრია **როტორის ფარდობითი სრიალი**, რომელიც გამოისახება შემდეგი სახით

$$S = \frac{(n_1 - n_2)}{n_1}, \quad (2.10)$$

ან სხვაგვარად, შეგვიძლია წარმოვსახოთ როგორც

$$S = \frac{(f_1 - f_2)}{f_1} \quad (2.11)$$

სადაც, n_1 – მბრუნავი მაგნიტური ველის ბრუნთა რიცხვია,

n_2 – როტორის ბრუნთა რიცხვია,

f_1 არის მბრუნავი მაგნიტური ველის ბრუნვის სიხშირე,

f_2 არის როტორის ბრუნვის სიხშირე.

სხვაობას $\Delta f = f_1 - f_2$ უწოდებენ როტორის აბსოლუტურ სრიალს. ფარდობითი სრიალისაგან განსხვავებით აბსოლუტური სრიალი არის ძრავას გარდამავალი რეჟიმების დამახასიათებელი ძირითადი პარამეტრი.


ძრავას ნომინალურ რეჟიმში მუშაობისას, აბსოლუტური სრიალი Δf არ აღემატება 3–4 ჰერცს. სწორედ ასეთი სიხშირე აქვს როტორში დაინდუქტირებულ ემბ-ას და დენს. რაც შეეხება სტატორის გრაგნილის მკვებავი ძაბვის სიხშირეს f_1 , ამ რეჟიმში ტოლია 130-140 ჰერცის. სტატორის მაგნიტური ველის და როტორის ბრუნთა რიცხვი სხვა სიხშირეებზე, ასინქრონულ ძრავაში ენერგიის კარგვები იქნება მეტი, შესაბამისად მ.ქ.პ. იქნება დაბალი. ასევე შემცირდება სიმძლავრის კოეფიციენტი $\cos\varphi$.

უცვლელი მკვებავი ძაბვის U_1 და სიხშირის f_1 დროს დამოკიდებულებას $M(s)$, ასინქრონული ძრავას ბუნებრივ (არარეგულირებად) მახასიათებელს უწოდებენ. M – არის ძრავას მიერ განვითარებული მომენტი.

ძრავას ამუშავების პროცესში ფარდობითი სრიალი იცვლება $S=1$ -დან (როცა ძრავას როტორი უძრავია), $S=0$ -მდე (როდესაც როტორი ბრუნავს მბრუნავი მაგნიტური ველის სინქრონული ბრუნთა რიცხვით, ანუ როდესაც $f_2 = f_1$). ამ დროს როტორში არავითარი ემბ არ ინდუქტირდება და ის არ ანვითარებს არავითარ მაბრუნებელ მომენტს.

წევის რეჟიმში $M(S)$, მახასიათებლის მუშა ზონას წარმოადგენს $S=0$ $S_{\text{კ.}} = 5-6\%$ ინტერვალში არსებული წრფივი მონაკვეთი, რომლის გარეთაც ძრავას მუშაობა ხდება არამდგრადი (ნახ. 2.10). მუშა ზონაში ნომინალური მახასიათებელი ხისტია (მონაკვეთი (0-A)). თუ როტორის ბრუნვის სიხშირე გახდება მეტი

სინქრონულ სიხშირეზე (ეს მოხდება დიდ ქანობებზე დიდი სიჩქარით მოძრაობისას), მაშინ ასინქრონული ძრავა ავტომატურად გადადის გენერატორულ რეჟიმში.



ნახ. 2.10. ასინქრონული ძრავას მომენტის დამოკიდებულება სრიალზე.

რეჟიმები შეიძლება იყოს სხვადასხვა.

რადგან პროფილის და მოძრაობის პირობების მიხედვით ძრავას დატვირთვა (მაღრუნებელი მომენტი) იცვლება დიდ ფარგლებში, საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს ძრავას სიმძლავრის ეფექტური გამოყენება. ამისათვის საჭიროა ძრავას მუშაობის ყველა რეჟიმში, სიმძლავრის დანაკარგები ΔP იყოს მინიმალური და უცვლელი. რადგან სიმძლავრის ეს დანაკარგები ტოლია

$$\Delta P = M \Delta f . \quad (2.12)$$

დანაკარგების მინიმიზაცია და უცვლელობა მიიღწევა, როცა

$$\Delta f = \Delta f_{\min} = \text{const} . \quad (2.13)$$

დიდი დატვირთვებისას, ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ძაბვის ვარდნები სტატორის გრაფიკში. ემშ-ზე ამ პროცესებს წარმართავს ძრავების როტორების ბრუნთა რიცხვის ავტომატური რეგულირების სისტემები.

ასინქრონული წევის ძრავას მინიმალური დანაკარგებით მუშაობის რეჟიმი განისაზღვრება სამი სიდიდით:

1. მკვებავი ძაბვით U ,
2. მოძრაობის სიჩქარით V ,
3. განვითარებული წევის ძალით F .


ამგვარად, ასინქრონული ძრავებით აღჭურვილ ემშ-თვის რეგულირების ძირითად კანონს აქვს შემდეგი სახე,

ფარდობითი სრიალი სრულად არ განსაზღვრავს ასინქრონული წევის ძრავას მუშაობის რეჟიმს, რადგან გზის პროფილის მიხედვით მემანქანებ უნდა არეგულიროს სიჩქარე, ე.ი. არეგულიროს სტატორის მაგნიტური ველის ბრუნვის სიხშირე და როტორში დენის სიხშირე ასინქრონულ ძრავებიანი ემშ-ს სიჩქარის რეგულირება შესაძლებელია, აგრეთვე, ძრავას მომჭერებზე ძაბვის რეგულირებითაც. ამიტომ, ერთი და იგივე ფარდობითი სრიალისას, ძრავას მუშაობის

$$\frac{U_1}{U'_1} = \frac{V_1}{V'_1} \cdot \sqrt{\frac{F_1}{F'_1}}. \quad (2.14)$$

ამ გამოსახულებაში V_1 სიჩქარე და F_1 წევის ძალა შეესაბამება სტატორის მკვებავ U_1 ძაბვას და f_1 სიხშირეს, ხოლო V'_1 სიჩქარე და F'_1 წევის ძალა შეესაბამება სტატორის მკვებავ U'_1 ძაბვას და f'_1 სიხშირეს.

ეშ-ს მუშაობის დამახასიათებელი რეჟიმებია – დაძრა უცვლელი წევის ძალით $F = const$, მოძრაობა უცვლელი სიმძლავრით $P = const$ და მოძრაობა მაქსიმალური



ნახ. 2.11. ასინქრონული ძრავას რეგულირების მახასიათებელი.

სიჩქარით V_{max} (ნახ. 2.11).

თუ დაძრა ხდება უცვლელი წევის ძალით, მაშინ (2.7)-ის თანახმად $\frac{F_1}{F'_1} = 1$ და

$$\text{ვწერთ} \quad \frac{U_1}{U'_1} = \frac{V_1}{V'_1}. \quad (2.15)$$

ე.ო. დაძრის პროცესში უცვლელი წევის ძალის შესანარჩუნებლად ძაბვა უნდა გვიალოთ (გზარდოთ) სიხშირის პროპორციულად. წევის ძრავას ნომინალურ მახასიათებელზე გასვლის შემდეგ (ნახ. 2.11-ზე V_s სიჩქარე) ელექტრომომარაგების სისტემის თანაბარი დატვირთვისათვის, სასურველია ძრავას სიმძლავრე შევინარჩუნოთ უცვლელი $FV = const$. ეს ნიშნავს იმას, რომ

$$\frac{F_1 \cdot V_1}{F'_1 \cdot V'_1} = 1,$$

ანუ (2.7)-ის თანახმად

$$\frac{U_1}{U'_1} = \sqrt{\frac{V_1}{V'_1}}. \quad (2.16)$$

ე.ო. მოძრაობის დროს უცვლელი სიმძლავრის შესანარჩუნებლად საჭიროა ძაბვა ძრავას მომჰერებზე ვარეგულიროთ, სიჩქარის მნიშვნელობიდან კვადრატული ფესვის შესაბამისად.

თანაბარი სიჩქარით მოძრაობის რეჟიმი $\frac{V_1}{V'_1} = 1$ გოლფასია მკვებავი ძაბვის უცვლელი სიხშირის პირობის $\frac{f_1}{f'_1} = 1$. გამომდინარე (2.7)-დან ვწერთ,

$$\frac{U_1}{U'_1} = \sqrt{\frac{F_1}{F'_1}}. \quad (2.17)$$

ე.ო. მოძრავი შემადგენლობა რომ ვატაროთ თანაბარი სიჩქარით, საჭიროა ძაბვა ძრავას მომჰერებზე გარეგულიროთ წევის ძალის მნიშვნელობიდან კვადრატული ფესვის პროპორციულად.

$$\text{თუ } \text{ძრავას } \text{მომჰერებზე } \text{ძაბვა } \text{უცვლელია, } \text{ ე.ო. } \frac{U_1}{U'_1} = 1, \text{ მაშინ } \text{ფორმულა } (2.7)$$

$$\text{გამომდინარე } \frac{(V_1)^2}{(V'_1)^2} = \frac{F_1}{F'_1}. \quad (2.18)$$

ამ დროს წევის მახასიათებელი იცვლება კვადრატული პიპერბოლის კანონით, როგორც გაუქდენთავ მიმდევრობით აგზებიან მუდმივი დენის ძრავაში.

გამოდის რომ, თუ ძრავას მომჰერებზე ძაბვა არ იცვლება და სიხშირეს შევცვლით წევის ძალის უკუპროპორციულად, მივიღებთ რბილ მახასიათებელს მინიმალური დანაკარგებით.

მაგალითად, თუ უცვლელი U_1 ძაბვის და $f_1 = 50$ ჰერცი სიხშირის დროს წევის ძრავა ავითარებს F_1 წევის ძალას და სიხშირეს გავზრდით $\sqrt{2}$ -ჯერ, ანუ $f'_1 = \sqrt{2}f_1 = 1,41 \cdot 50 = 70$ ჰერცი, მაშინ ფორმულა 2.7-ის თანახმად წევის ძალა შემცირდება $\sqrt{\frac{F_1}{F'_1}} = \sqrt{2}$ -ჯერ, ანუ განახევრდება. ამ დროს როგორის აბსოლუტური სრიალი დარჩება უცვლელი. თუ შემდგომ სიხშირე (მოძრაობის სიჩქარე) გაიზარდა 2-ჯერ და გახდა 100 ჰერცის ტოლი, იგივე ფორმულა (2.7)-ის თანახმად წევის ძალა შემცირდება 4-ჯერ.

თუ ერთდროულად ვცვლით მკვებავ ძაბვას და სიხშირეს, ფორმულა (2.7)-ის კანონის შესაბამისად შეგვიძლია მივიღოთ ნებისმიერი სიხისტის წევის მახასიათებელი.

2.9. ელექტრომოძრავი შემადგენლობის ძირითადი მოწყობილობები

დანიშნულების და მუშაობის პრინციპის მიხედვით ელექტრომოძრავ შემადგელობაზე გამოყენებული მოწყობილობა იყოფა სამ ჯგუფად:

1. ელექტრული მოწყობილობა,
2. პნევმატური მოწყობილობა,
3. მექანიკური მოწყობილობა.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

2.9.1. ემშ-ს ელექტრული მოწყობილობა

ძირითად ელექტრულ მოწყობილობებს მიეკუთვნება:

- დენმიმდები,
- ენერგიის სტატიკური და მბრუნავი გარდამქმნელები (მათ შორის წევის ძრავი),
- მაღალი და დაბალი ძაბვის საკომუტაციო (გადამრთველი) აპარატურა,
- მზომი და მანათობელი ხელსაწყოები.

ყველა ეს აპარატურა შესრულებულია სპეციალურად წევის პირობებისათვის. მათ უნდა გაუძლონ მექანიკურ (რხევები, დარტყმები), ატმოსფერულ (ნესტიანობა, ტემპერატურის დიდ ფარგლებში მერყეობა, დამტვერიანება), როლი გარდამავალი რეჟიმების ზემოქმედებას, შეინარჩუნონ იზოლაციის საიზოლაციო ოვისებები ექსპლუატაციის რთულ პირობებში.

დენმიმდების დანიშნულებაა უზრუნველყოს ემშ-ს ელექტრული წრედების საიმედო ელექტრული კავშირი საკონტაქტო ქსელთან, სიჩქარეთა მთელ დიაპაზონში, რაც საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა.

ელექტრულ გარდამქნელებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება წევის ძრავები, რომლებიც ელექტრულ ენერგიას გარდაქმნიან მექანიკურ მუშაობად (წევის რეჟიმი) ან მოძრავი მატარებლის კინეტიკურ ენერგიას გარდაქმნიან ელექტრულ ენერგიად (ელექტრული დამუხრუჭებების რეჟიმი). გარდა წევის ძრავებისა, მუდმივი დენის ემშ-ზე გამოყენებულია სტატიკური და მბრუნავი გარდამქმნელები, ოპერატიული (მართვის) დაბალი ძაბვის მისაღებად და წევის ძრავების აგზების გრაგნილების საკვებად, ელექტრული დამუხრუჭებების რეჟიმში.

ცვლადი დენის ემშ-ზე დამატებით გამოყენებულია წევის ტრანსფორმატორები, წევის ძრავების მომჰქერებზე ძაბვის სარეგულირებლად და სტატიკური გამმართველები მუდმივი დენის მისაღებად.

მუდმივი დენის ემშ-ზე წევის ძრავების მომჰქერებზე ძაბვის სარეგულირებლად დღეისათვის გამოყენებულია რეოსტატები და ე.წ. იმპულსური გარდამქმნელები.

ძალური წრედების საკომუტაციო აპარატურას მიეკუთვნება:

- ინდიგიდუალური და ჯგუფური კონტაქტორები (ამა თუ იმ მოწყობილობების დატვირთვის ქვეშ ჩართვა-გამორთვისათვის, რისთვისაც ისინი აღჭურვილნი არიან რკალმქრობი კამერებით).
- რევერსორები (ემშ-ს მოძრაობის მიმართულების შესაცვლელად).

- სამუხრუჭო გადამრთები (წევის რეჟიმიდან დამუხრუჭების რეჟიმზე და პირიქით გადართვისათვის).
- სხვადასხვა სახის გამოშავები და ამომრთველები (მაგალითად დაზიანებული წევის ძრავების ამოსართველად).

ელექტრომოწყობილობების მოკლედ შერთვისაგან, გადატვირთვისაგან და გადამეტმაბევებისაგან დამცავ აპარატებს მიეკუთვნება: სწრაფმომქმედი ავტომატები, სწრაფმომქმედი კონტაქტორები, მცლელები, ღნობადი მცველები, დამცავი კონდენსატორები და სხვა.

უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ძალური საკომუტაციო აპარატურა იმართება არაპირდაპირ, დისტანციურად, დაბალი ძაბვის (50 კოლტი) ოპერატიული წრედებით.

გარდა ძალური ელექტრული წრედებისა, ემშ-ზე გამოყოფენ ე.წ. დამხმარეწრედებს, რომლებშიც გაერთიანებულია – დამხმარე აგრეგატების, მართვის, სიგნალიზაციის და განათების წრედები.

დამხმარე აგრეგატებს მიეკუთვნება: მოტორ-ვენტილატორები, მოტორ-კომპრესორები, მართვის გენერატორები.

- ვენტილატორები ქმნიან გამაგრილებელი ჰაერის მარაგს, წევის ძრავების, სტატიკური გარდამქნელების და სხვა მოწყობილობების გასაგრილებლად.
- კომპრესორები ქმნიან მაღალი წნევის დაჭირხნული ჰაერის მარაგს, მექანიკური მუხრუჭების და სხვადასხვა აპარატურის პრევარი ამძრავების სამართვად.
- ტუბმბოები გამოიყენება ცვლადი დენის ემშ-ზე წევის ტრანსფორმატორებში გამაგრილებელი ზეთის ნაკადის შესაქმნელად.

ზემოჩამოთვლილი მოწყობილობების მოძრაობაში მოსაყვანად, მუდმივი დენის ემშ-ზე გამოიყენება მაღალი ძაბვის მუდმივი დენის ძრავები, ხოლო ცვლადი დენის ემშ-ზე, მოკლედ შერთულ როტორიანი, სამფაზა ასინქრონული ძრავები.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ ემშ-ს ისეთ მნიშვნელოვან აგრეგატებს, როგორებიცაა მოტორ-ვენტილატორები, მოტორ-კომპრესორები, მოტორ-გენერატორები, მოტორ-ტუბმბოები, არც თუ სამართლიანად უწოდებენ დამხმარე მანქანებს. ეს მათ თითქოს მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. მაგალითად, წევის ძრავა ვერ იმუშავებს გამართულად და მაქსიმალური სიმძლავრით, თუ მოტორ-ვენტილატორი არ იმუშავებს გამართულად და არ მიაწვდის მას საჭირო რაოდენობის გამაგრილებელ ჰაერს. ემშ და მისი სამუხრუჭო სისტემა ვერ ამოქმედდება, თუ არ გვექნება მაღალი წნევის ჰაერის მარაგი, ანუ მოტორ კომპრესორი არ იმუშავებს გამართულად და ა.შ.

ამ მანქანებისთვის “დამხმარე” იარღიყის მიწებება განაპირობა იმან, რომ ისინი, როგორც წევის ძრავები, უშუალოდ არ მონაწილეობენ ტგირთების გადატანასა და მგზავრების გადაყვანაში.

2.9.2. პნევმატური მოწყობილობა

პნევმატურ მოწყობილობას მიეკუთვნება: დაჭირხნული ჰაერის შემქმნელი წყარო-კომპრესორი, სამარაგო მაღალი წნევის საჰაერო რეზერვუარები, სამუხრუჭო პნევმატური სისტემა, სხვადასხვა დანიშნულების მიღებაყვანილობა და სხვა.

2.9.3. გექანიკური მოწყობილობა

გექანიკურ მოწყობილობას მიეკუთვნება: ძარა, ურიკები, წყვილთვალები, წევის გადაცემები (კბილანა რედუქტორები), სარესორო ჩამოკიდება, აგტოგადაბმულობები და სხვა.

2.10. ელექტრომოძრავი შემადგენლობის მართვის სისტემები

განვიხილოთ მიმდევრობით აგზებიანი წევის ძრავებით აღჭურვილი მუდმივი დენის და ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მართვის სისტემების მუშაობის პრინციპი, წევის და ელექტრული დამუხრუჭების რეჟიმებში.

ა) წევის რეჟიმი

როგორც ზემოთ ვნახეთ, მუდმივი დენის მიმდევრობით აგზებიანი ძრავას ძაბვათა ბალანსის განტოლებას აქვს სახე

$$U = E + IR_{\text{დრ}}, \quad (2.19)$$

სადაც, $E = C_v \Phi V$ არის ძრავას უკუმლესებრომამოძრავებელი ძალა ვოლტებში,

Φ – ძრავას მაგნიტური ნაკადი,

V – ხაზოვანი სიჩქარე, კმ/სთ-ში,

I – ძრავაში გამავალი დენია ამპერებში,

$R_{\text{დრ}}$ – ძრავას გრაფნილების ჯამური აქტიური წინააღმდეგობა ომებში.

ჩავსვათ E -ს მნიშვნელობა ფორმულა 2.19-ში, მივიღებთ

$$U = C\Phi V + IR_{\text{დრ}}. \quad (2.20)$$

ფორმულა (2.20)-დან განვსაზღვროთ სიჩქარე V , მივიღებთ

$$V = \frac{(U - IR_{\text{დრ}})}{C\Phi}. \quad (2.21)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ძაბვის ვარდნა ძრავაში $IR_{\text{დ}} \approx 7\text{мн} \cdot \text{шв} \cdot \text{нэл}$ სიდიდეა (30–50 კ) და შეგვიძლია უგულებელვყოთ, მაშინ საბოლოოდ მივიღებთ

$$V \approx \frac{U}{C\Phi}. \quad (2.22)$$

ფორმულა (2.22)-დან გამომდინარე გამოდის, რომ სიჩქარის რეგულირება შესაძლებელია ორი გზით – ძრავას მომჭერებზე U ძაბვის რეგულირებით და ძრავას Φ მაგნიტური ნაკადის რეგულირებით.

მუდმივი დენის ემშ-ზე ძაბვის რეგულირებას ახორციელებენ ძრავების შეერთების სქემის ცვლილებით (ძრავების გადაჯგუფებით) და თითოეულ დაჯგუფებაზე ასამუშავებელი რეოსტატების წრედში შეევანით.

მაგნიტური ნაკადის Φ -ის რეგულირება ხდება საფეხურისებურად, ძრავას აგზნების გრაგნილის შენტირებით, ე.წ. ველის შესუსტების რეზისტორებით.

აღნიშნულ საკითხებს დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ.

რაც შეეხება ცვლადი დენის ემშ-ას, ტრანსფორმატორის არსებობა, აქ მნიშვნელოვნად აიოლებს ძრავას მომჭერებზე ძაბვის და მ.შ. სიჩქარის რეგულირების საკითხს. წევის ტრანსფორმატორის ტრანსფორმაციის კოეფიციენტის საფეხურისებრი რეგულირებით, ასევე, საფეხურისებრივად შეგვიძლია გცვალოთ ძაბვა ძრავას მომჭერებზე.

ნახევარგამტარული მართვადი მოწყობილობების ტირისტორების გამოყენებით, შესაძლებელია ძრავას მომჭერებზე ძაბვის მდოვრე რეგულირება, როგორც ცვლადი დენის ემშ-ზე (ე.წ. ფაზური რეგულირება), ასევე მუდმივი დენის ემშ-ზე (ე.წ. იმპულსური რეგულირება). აღნიშნულის შესახებ დეტალური განხილვა გვექნება ქვემოთ.

ბ) ელექტრული დამუხრუჭების რეჟიმი

მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას გააჩნია კინეტიკური ენერგია, რომელიც მოძრავი სხეულის მასის და სიჩქარის კვადრატის პროპორციულია. ვინაიდან მატარებლების შემთხვევაში საქმე გვაქვს სოლიდურ მასასთან და საკმაოდ დიდ სიჩქარეებთან, ამიტომ მათი კინეტიკური ენერგია იქნება ძალზე დიდი. მათი სიჩქარის შესამცირებლად ან გასაჩერებლად საჭიროა მათ წავართვათ ეს ენერგია და (ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად) ის გარდავქმნათ სხვა სახის ენერგიად. მაგალითად თბურ ენერგიად, როგორც ეს ხდება ფრიქციულ-მექანიკურ მუხრუჭებში. ელექტრულ სატრანსპორტო საშუალებებში არსებობს ელექტრული დამუხრუჭების შესაძლებლობა, რაც არამარტო ზრდის მოძრაობის უსაფრთხოებას, არამედ მნიშვნელოვნად ზოგავს ელექტროენერგიის დანახარჯს.

ელექტრულ მანქანებს, სხვა ტიპის მანქანებთან შედარებით, აქვთ ერთი ძალზე დიდი უპირატესობა. მათ შეუძლიათ მუშაობა ურთიერთშექცევად რეჟიმში. კერძოდ, თუ მანქანის მომჭერებზე მოვიყვანთ ელექტროენერგიას, მაშინ ლილვზე შეგვიძლია მივიღოთ მექანიკური ენერგია ან პირიქით, თუ ლილვზე მოვდებთ მექანიკურ ენერგიას და მანქანას დავაბრუნებთ, მაშინ მომჭერებიდან შეგვიძლია მოვხსნათ ელექტრული ენერგია.

აქედან გამომდინარე, თუ მუდმივი დენის წევის ძრავას მიუერთებთ ელექტრო-მომარაგების ქსელს, ის იმუშავებს, როგორც ელექტრული ძრავა და მოძრავ შემადგენლობას მოიყვანს მოძრაობაში.

თუ ემშ მოძრაობს დიდი დახრილობის უარყოფითი ნიშნის ქანობზე, (თავდაღ-მართზე) მაშინ ქანობის პოტენციური ენერგია გადადის მოძრავი შემადგენლობის კინეტიკურ ენერგიაში, რომელსაც ბრუნვით მოძრაობაში მოჰყავს წევის ძრავა, ის გადადის გენერატორულ რეჟიმში და გამოიმუშავებს ელექტროენერგიას. ეს ელექტ-როენერგია შეიძლება ჩავაქროთ სპეციალურ რეოსტატებში, სითბოს გამოყოფაზე. ამ დროს ამბობენ, რომ ვახორციელებთ ელექტრულ რეოსტატულ დამუხხუჭებას. თუ გამომუშავებულ ელექტროენერგიას სპეციალური გარდამქნელებით გარდავქმნით და მივაწოდებთ უკან ელექტრომომარაგების სისტემას, მაშინ ის მოიხმარება სხვა ელექტრომომხმარებლის მიერ და განხორციელდება ე.წ. **რეკუპერაციული დამუხხუჭება** (ლათინური სიტყვა “recuperation” ნიშნავს აღდგენას, რეგენერაციას, ენერგიის დაბრუნებას უკან მკვებავ ქსელში).

ელექტრული წევის სახეობის სატრანსპორტო საშუალებებზე შეიძლება გამოყე-ნებული იყოს, როგორც რეოსტატული, ასევე რეკუპერაციული დამუხხუჭება. ცალკეულ შემთხვევაში მოძრავ ერთეულზე შეიძლება გამოყენებული იქნეს ორივე სახის დამუხხუჭება. ელექტრული დამუხხუჭების შესახებ უფრო დეტალური განხილვა იქნება ქვემოთ.

2.11. ელექტრული წევის თანამედროვე და პერსპექტიული სახეობები

ელექტრული წევის სახეობებს შეიძლება მივაკუთნოთ სარელსო და არასა-რელსო მოძრავი შემადგენლობა, რომელშიც ელექტრული ამძრავის საშუალებით, ელექტრული ენერგია, წყვილთვალისა და გზის შეხების ზონაში, გარდაიქმნება მექანიკურ მუშაობად.

იმის მიხედვით, თუ ელექტრომოძრავ შემადგენლობას (მოკლედ ე.შ-ს) როგორ


მიეწოდება პირველადი ენერგია, შეიძლება განვასხვაოთ მოძრავი შემადგენლობის სამი ჯგუფი:

1. ელექტრომოძრავი შემადგენლობა, რომელიც საკონტაქტო ქსელის საშუალებით, უწყვეტადაა დაკავშირებული გარე ელექტრომომარაგების სისტემასთან. მათ მიეკუთვნება – მაგისტრალური და სამრეწველო ელექტრომავლები, ელექტრომატიკებლები, მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობა, საქალაქო ელექტრული ტრანსპორტი.
2. ელექტრომოძრავი შემადგენლობა, რომელშიც პირველადი ენერგიის წყარო უშუალოდ განთავსებულია ბორტზე. მათ მიეკუთვნება – დიზელ-ელექტრომავლები, დიზელ ელექტრომატიკებლები და სხვა.
3. ელექტრომოძრავი შემადგენლობა, რომლის ბორტზეც განთავსებულია ენერგიის წყარო და რომელიც ენერგიის შესაგვებად პერიოდულად უკავშირდება გარე ელექტრომომარაგების სისტემას. მათ მიეკუთვნება – ელექტრო და მექანიკურ აუმულატორებზე მომუშავე ელექტრომობილები, ე.წ. ავტოკარები და სხვა.
ჩამოთვლილ სამი სახეობიდან, სახელმძღვანელოში ძირითადად განვიხილავთ პირველი ჯგუფის ელექტრომოძრავ შემადგენლობას.

ელექტრული წევის დანერგვის საწყის ეტაპზე, მუდმივი დენის სისტემის არჩევა განაპირობა სატრანსპორტო ამოცანების მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების იმ დროინდელმა შესაძლებლობამ. კერძოდ, ტრანსპორტის მიმართ წაყენებული უმთავრესი მოთხოვნაა სიჩქარის რეგულირების შესაძლებლობა ფართო დიაპაზონში. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს მუშაობის განსაკუთრებით მძიმე პირობები – ვიბრაცია, დამტვერიანება, ატმოსფერული მოვლენები, ტემპერატურის დიდ ფარგლებში მერყეობა და სხვა.

ელექტრული წევის გარიურაჟზე, ამ მოთხოვნებს მეტნაკლებად სრულად აკმაყოფილებდა მუდმივი დენის კოლექტორიანი წევის ძრავები. ამიტომ ელექტრული ლოკომოტივები აღჭურვილი იყო ასეთი ძრავებით.


მეორე მხრივ, მკვებავ ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირების მიზნით, სასურველი იყო ძაბვა ყოფილიყო რაც შეიძლება მაღალი. მაგრამ, წევის ძრავასა და საკონტაქტო ქსელს შორის ხისტი ელექტრული კავშირი ზღუდავდა ამ უკანასკნელის ძაბვის მნიშვნელობას. გამომდინარე სარელსო გზის გაბარიტებიდან და ძრავას დასაშვები ძაბვის მნიშვნელობიდან, საკონტაქტო ქსელში მაქსიმალური შესაძლო ძაბვის მნიშვნელობა განისაზღვრა 3000 ვოლტით; შედეგად მივიღეთ მუდმივი დენის 3000 ვოლტიანი ელექტრული წევის სისტემა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში (იხ. ნახ. 2.12).



ნახ. 2.12. მუდმივი დენის 3 000 ვოლტ ძაბვაზე მომუშავე ელექტრიფიცირებული რკინიგზის პრინციპული სქემა.

G_1 – ელექტროსადგური, T_1 – ძაბვის ამამაღლებელი ქვესადგური, T_2 ძაბვის დამადაბლებელი ქვესადგური, L_1 – ელექტროგადამცემი ხაზი, G_2 – მუდმივი დენის წევის ქვესადგური, T_3 – წევის ტრანსფორმატორი, V სტატიკური გამმართველი, L_2 – საკონტაქტო ქსელი, M – ელექტრომოძრავი შემადგენლობა, R – სარელსო გზა.

ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი და გადამამუშავებელი დარგების ახალი სიმძლავრეების ათვისებამ, განაპირობა ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ტვირთბრუნვის განუწყვეტელი გაზრდა, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლებელი გახდა მატარებელთა წონის და სიჩქარის გაზრდით, რამაც თავის მხრივ მოითხოვა ელექტრული ლოკომოტივების სიმძლავრეების გაზრდა. საკონტაქტო ქსელში, 3000 ვოლტის ძაბვის პირობებში მოთხოვნილი სიმძლავრეების ასეთმა გაზრდამ, მნიშვნელოვნად გაზარდა ძაბვის ვარდნა საკონტაქტო ქსელში. ელექტრული ლოკომოტივების დენმიმდებზე ძაბვა შემცირდა დასაშვებ ნორმაზე ქვეით, რის შედეგად შემცირდა მოძრაობის სიჩქარე და პრაქტიკულად შეიზღუდა სარკინიგზო ტრანსპორტის გამტარუნარიანობა. აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა ძაბვის გაზრდის და შესაბამისად არსებული მუდმივი დენის 3000 ვოლტიანი სისტემის შეცვლის აუცილებლობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოხდა წევის ქვესადგურის ფუნქციის ნაწილობრივი გადატანით ლოკომოტივზე. კერძოდ, ელექტრულ ლოკომოტივზე განთავსდა მისი სიმძლავრის გვივალების სიმძლავრის წევის ტრანსფორმატორი და სტატიკური გამმართველი. ამან შესაძლებლობა მოგვცა საკონტაქტო ქსელში აგვერჩია ძაბვის ოპტიმალური მნიშვნელობა. შედეგად მივიღეთ 25 კილოვოლტი ძაბვის, სამრეწველო სისტემის, ერთფაზა ცვლადი დენის სისტემა (იხ. ნახ. 2.13), სადაც T_4 წარმოადგენს ქვესადგურში განთავსებულ ძაბვის დამადაბლებელ ტრანსფორმატორს. შესაბამისად, T_3 და V ელექტრომობავლის ეკვივალენტური სიმძლავრის წევის ტრანსფორმატორს და გამმართველს.



ნახ. 2.13. ერთფაზა, 25 კვ. ძაბვის, სამრეწველო სისტემის ცვლად დენზე
მომუშავე, ელექტრიფიცირებული რკინიგზის პრინციპული სქემა.

თანამედროვე ელექტრომავლების ერთ ღერძზე მოსული სიმძლავრე შეადგენს 850-1 000 კვტ-ს, ანუ ხვედრითი სიმძლავრე მოსული ლოკომოტივის ერთ ტონაზე საშუალოდ ტოლია 40-45 კვტ/ტ-ზე. ღერძზე მოსული სიმძლავრე და შესაბამისად წევის ძალა იზღუდება წყვილთვალსა და რელსს შორის ჩაჭიდებით. ჩაჭიდების პირობების გაუმჯობესება შესაძლებელია, როგორც ღერძზე დაწოლის გაზრდით (ლოკომოტივის ჩაჭიდების წონის გაზრდით), ასევე არსებული ჩაჭიდების წონის გამოყენების უფასებური ღონისძიებების გატარებით (რეგულირებადი მახასიათებლების მქონე წევის ძრავების, წყვილთვალების განტვირთვის საწინააღმდეგო სისტემების, ბუქსაობის საწინააღმდეგო სისტემების გამოყენებით).

დღეისათვის მძლავრი ნახევარგამტარული ტექნიკის (ასობით ამჟრზე და ათასობით ვოლტ ძაბვაზე მომუშავე ტრანზისტორები და სრულად მართვადი ტირისტორები), ბაზაზე სტატიკური გარდამქმნელების შექმნამ, შესაძლებელი გახადა ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე, რთული კონსტრუქციის და ნაკლებად საიმედოდ მომუშავე კოლექტორიანი ძრავების ნაცვლად, გამოვიყენოთ საიმედოდ მომუშავე, მარტივი კონსტრუქციის და იაფი ასინქრონული წევის ძრავები, რაც ითვლება ელექტრული რკინიგზების განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიულ მიმართულებად.

მატარებლების სიჩქარის ზრდისას (500 კმ/სთ და მეტი), მკვეთრად მცირდება ჩაჭიდება ბორბალსა და რელსს შორის და ბორბალი, როგორც ტრანსპორტის ამძრავი საშუალება, წყვეტს ფუნქციონირებას. აღნიშნულის გამო, დღის წესრიგში დგება წევის ისეთი ახალი სახეობის შექმნა, რომელიც გამორიცხავს კონტაქტს ბორბალსა და რელსს შორის. წევის ასეთ ახალ, პერსპექტიულ სახეობაა მაგნიტურ ბალიშებზე მოძრავი, ხაზური ძრავებით აღჭურვილი ელექტრომოძრავი შემადგენლობა. ის განხილული იქნება ქვემოთ.

2.12. მატარებელზე მოქმედი ძალები

რეალური მატარებელი წარმოადგენს ერთმანეთთან დრეკადი ელემენტებით დაკავშირებულ, ცალკეული რგოლებისაგან შემდგარ როლ სისტემას, რომლის ცალკეული შემადგენელი დეტალები, გარდა სარელსო გზაზე სასარგებლო გადაადგილებისა, ასრულებენ ბრუნვით (ლოკომოტივის და გაგონების წყვილ-თვალები, წევის ძრავების ღუზები, რედუქტორების კბილანები) და პარაზიტულ რხევით (რესორზედა მასები, გრძივი რხევები, განპირობებული ავტოგადაბმულობებით) მოძრაობებს. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს მატარებლის მართვადი ხაზოვანი მოძრაობა (ტვირთების და მგზავრების გადაადგილება), რომელსაც განაპირობებს რელსის გასწვრივ მიმართული სამი ძირითადი ძალა;

1. წევის ძალა F , რომელსაც ქმნის ლოკომოტივის წევის ძრავები და რომელიც მიმართულია ყოველთვის მოძრაობის მიმართულებით (იხ. ნახ. 2.14).
2. მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა W , რომელიც, წარმოადგენს სტიქიურად მოქმედ, არამართვად ძალას და, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, მიმართულია მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მატარებელი მოძრაობს დიდი დახრილობის თავდადმართებზე, ანდა, როდესაც მატარებელზე ზემოქმედებს მოძრაობის მიმართულებით მქროლავი ძლიერი ზურგის ქარი (იხ. ნახ. 2.14)).
3. სამუხრუჭო ძალა B , რომელიც წარმოადგენს ხელოვნურად შექმნილ წინააღმდეგობის ძალას. ის ყოველთვის მიმართულია მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგოდ და განკუთვნილია მოძრაობის სიჩქარის შესაზღუდავად ან მატარებლის გასაჩერებლად.



ნახ. 2.14. მატარებლის სტრუქტურული სქემა.

2.13. მატარებლის მოძრაობის რეჟიმები

იმის მიხედვით, ამ სამი ძალიდან, ერთდროულად რა ძალები მოქმედებენ მატარებელზე, გვაქვს მოძრაობის სამი რეჟიმი:

1. წევის რეჟიმი. ამ რეჟიმში მატარებელზე მოქმედებს წევის ძალა F და მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა – W . ეს ძალები მიმართული არიან

რელსის გასწვრივ ურთიერთსაწინააღმდეგოდ. მათი ტოლქმედი ძალა იქნება $F_\delta = F - W$.

აქ შეიძლება გვქონდეს სამი შემთხვევა:

- $F_\delta > 0$ -ზე, ანუ $F > W$ -ზე, მატარებელი მოძრაობს აჩქარებულად.
- $F_\delta = 0$, ანუ $F = W$, მატარებელი მოძრაობს თანაბარი სიჩქარით.
- $F_\delta < 0$ -ზე, ანუ $F < W$ -ზე, მატარებელი მოძრაობს შენელებულად.

2. თავისუფალი გორგის რეჟიმი. მატარებელზე მოქმედებს – W ძალა.

ამ ძალისთვის დადებით მიმართულებად ითვლება მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულება.

აქაც შეიძლება გვქონდეს სამი შემთხვევა:

- $W > 0$ -ზე, მატარებელი მოძრაობს შენელებულად.
- $W = 0$, მატარებელი მოძრაობს თანაბარი სიჩქარით (რაც ძალზე იშვიათი შემთხვევაა, რადგან ინერციის ძალით გამოწვეული მოძრაობა გამორიცხავს დამყარებულ რეჟიმს საზოგადოდ).
- $W < 0$ -ზე და ის აბსოლუტური მნიშვნელობით აღემატება მავნე ქანობის (განვმარტავთ ქვემოთ) მნიშვნელობას, მატარებელი მოძრაობს აჩქარებულად.

3. დამუხრუჭების რეჟიმი. მატარებელზე მოქმედებს სამუხრუჭო ძალა - B და მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა W ; ეს ძალები მიმართული არიან რელსის გასწვრივ მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. მათი ტოლქმედი ძალა იქნება $F_\delta = -(B + W)$.

აქაც განვიხილოთ სამი შემთხვევა:

- $F_\delta = -(B + W) > 0$ -ზე, მატარებელი მოძრაობს შენელებულად.
- $F_\delta = -(B + W) = 0$ -ს, მატარებელი მოძრაობს თანაბარი სიჩქარით.
- $F_\delta = -(B + W) < 0$ -ზე, მატარებელი მოძრაობს აჩქარებულად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მატარებელი მოძრაობს დიდი ქანობის თავდაღმართზე და სამუხრუჭო ძალა არაა საკმარისი, ანუ როდესაც $B < -W$ -ზე.

III თავი

შევის ძალა და მისი რეალიზაცია

3.1. ბორბლიან ტრანსპორტზე წევის ძალის წარმოქმნის მექანიზმი

როგორც მექანიკიდანაა ცნობილი, სისტემა (სხეული, მატარებელი და ა.შ.) გამოდის წონასწორობიდან (იწყებს მოძრაობას) ან იცვლის მოძრაობის სიჩქარეს მაშინ, თუ მასზე მოქმედებს გარეშე ძალა. ამ საკითხს ზოგადად ჩვენ შევეხეთ პირველ თავში. ახლა კი განვიხილოთ საფუძვლიანად.


გამომდინარე აღნიშნული კანონიდან, ლოკომოტივის ძრავების მიერ განვითარებულ წევის ძალებს, თავისთავად არ შეუძლიათ მისი მოძრაობაში მოყვანა, რადგან ისინი სისტემის შიგნით არსებული ძალებია. ნახ. 3.1-ზე მოცემულია წევის ძალის წარმოქმნის მექანიზმის ახსნა.

წევის ძრავას მიერ შექმნილი მაბრუნებელი მომენტი, კბილანა რედუქტორით (ნახაზზე არ ჩანს) გადაეცემა წყვილთვალს, მომენტი M . ეს უკანასკნელი, მექანიკის კანონის თანახმად, შეგვიძლია შევცვალოთ F_1F_2 წყვილძალით, რომელთაგან ერთი მოდებულია წყვილთვალის O ცენტრში და მიმართულია მოძრაობის მიმართულებით; ხოლო მეორე წყვილთვალის არტახისა და რელსის შეხების k წერტილში და მიმართულია რელსის გასწვრივ მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. ეს უკანასკნელი F_2 ძალა ცდილობს არტახის საყრდენი k წერტილი გააცუროს რელსის ზედაპირზე. არტახზე ვერტიკალურად მოქმედი G სიმძიმის ძალის წყალობით, k წერტილში წარმოიქმნება რელსის რეაქციის ძალა $F_{\text{ჩა}}^{\text{ა}}$, რომელიც აკომპენსირებს (ანეიტრალულებს) F_2 ძალის მოქმედებას. რჩება გაუწონასწორებელი F_1 ძალა, რომელიც შემოაბრუნებს წყვილთვალს დროებითი საყრდენი k წერტილის მიმართ. რელსთან შეხებაში მოვა არტახის ახალი k წერტილები. წყვილთვალი დაიწყებს რელსის ზედაპირზე გორგას, რასაც მოპყვება ლოკომოტივის ხაზოვანი გადაადგილება სარელსო გზის გასწვრივ. $F_{\text{ჩა}}^{\text{ა}}$ არის სწორედ ის გარეშე ძალა, ე.წ. ჩაჭიდების ძალა, რომლის წყალობითაც შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალების სარელსო გზაზე სასარგებლო გადაადგილება.

საზოგადოდ, ჩაჭიდების ძალა ხახუნის ბუნებისაა და განისაზღვრება ფორმულით

$$F_{\text{ჩა}}^{\text{ა}} = G\Psi_{\text{ჩა}}(V), \quad (3.1)$$

სადაც, G არის ლოკომოტივის ჩაჭიდების წონა, ხოლო $\Psi_{\text{ჩა}}$ არის ჩაჭიდების (არტახსა და რელსს შორის არსებული ხახუნის) კოეფიციენტი.



ნახ. 3.1. წევის ძალის წარმოქმნის მექანიზმი.

ეს უკანასკნელი (ψ კოეფიციენტი) დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: კერძოდ, რელსისა და არტახის მასალაზე, მათი ზედაპირების მდგომარეობაზე, სისუფთავეზე, მოძრაობის სიჩქარეზე, ატმოსფერულ მოვლენებზე და ა.შ. მისი მნიშვნელობა გაითვლება ეწ. ემპირიული (ცდების შედეგებით მიღებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე გამოყვანილი) ფორმულით. მაგალითად, მუდმივი დენის ელექტრომაგ-ლისათვის ჩაჭიდების კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულას აქვს სახე

$$\Psi_{\beta} = 0.25 + \frac{8}{100 + 20V}. \quad (3.2)$$

3.1, ბ ნახაზზე ნაჩვენებია ჩაჭიდების კოეფიციენტის დამოკიდებულება სიჩქარეზე $\Psi_{\beta}(V)$.

წევის ძრავას მიერ შექმნილი F_2 ძალის სიდიდე დამოკიდებულია ძრავას მუშაობის რეჟიმზე და ექვემდებარება რებულირებას (მართვას).

რაც შეეხება F_{β} ძალას, ის ხახუნის ბუნებისაა და გააჩნია ზღვარი, რომლის იქეთაც ის შეიძლება აღმოჩნდეს ნაკლები F_2 ძალაზე. ამ შემთხვევაში დაიწყება წყვილთვალის სრიალი რელსის ზედაპირზე, რასაც ეწოდება ბუქსაობა და რაც მეტად არასასურველი მოვლენაა, განსაკუთრებით სარელსო ტრანსპორტზე (თუ რატომ, ვნახავთ ქვემოთ).

იმისათვის, რომ ბუქსაობას არ ჰქონდეს ადგილი, საჭიროა დაცული იყოს პირობა $F_{\beta} > F_2,$ (3.3)

რასაც წევის ძირითადი კანონი ეწოდება.

წარმოქმნილი ბუქსაობის აღსაკვეთად, საჭიროა გავზარდოთ F_{β} ძალა, მობუქსავე წყვილთვალის არტახსა და რელსს შორის მშრალი კვარცის ქვიშის

შეფრქვევით ან მართვის პულტიდან მოვახდინოთ ზემოქმედება და შევამციროთ F_2 ძალის მნიშვნელობა, რათა ადდგეს (3.3) პირობა.

3.2. წყვილთვალის არტახების რელსთან ჩაჭიდებაზე მომქმედი ფაქტორები


არტახის და რელსის ჩაჭიდებაზე ზემოქმედებას ახდენს მრავალი, მათ შორის შემთხვევითი ხასიათის ფაქტორი, კერძოდ, მასალა, რისგანაცაა დამზადებული არტახი და რელსი, მათი ზედაპირების მდგომარეობა, ატმოსფერული მოვლენები და სხვა. განვიხილოთ ამ ფაქტორების მოქმედება.

3.2.1. არტახისა და რელსის მასალა და მათი ზედაპირების ძღვომარეობა

რაც უფრო მტკიცე მასალისგანაა დამზადებული არტახი და რელსი, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მაღალია მათ შორის ჩაჭიდების კოეფიციენტი. თუ რელსის ზედაპირი დაბინძურებულია მტვერით, ზეთის ფენით, დაფარულია ლიპინულით და ა.შ., ამ შემთხვევაში ჩაჭიდების კოეფიციენტი მგვეთრად მცირდება.

3.2.2. ბორბლების გაცურება

როგორც ცნობილია, მრუდეებში მოძრავი შემადგენლობის ჩაწერის გაიოლების მიზნით, არტახებს აძლევენ კონუსურ ფორმას (დაახლოებით 7° დახრით) (ნახ. 3.2).



ნახ. 3.2. არტახის დაურდნობა
რელსის ზედაპირზე.

დაუშვათ არტახი რელსს ეყრდნობა oab სიგანის შესაბამის ფართზე. გორგისას არტახის სხვადასხვა წერტილები ცდილობენ გაიარონ სხვადასხვა მანძილი. კერძოდ “ oa ” მონაკვეთის წერტილები გადიან უფრო მოკლე მანძილს, ხოლო “ ob ” მონაკვეთის წერტილები უფრო გრძელ მანძილს. ვინაიდან, თვალი ბრუნვისას გადის ერთნაირ მანძილს; გამოდის, რომ არტახის სხვადასხვა წერტილები განუწყვეტლივ განიცდიან გაცურებას რელსის ზედაპირზე. ასეთივე სურათი შეიმჩნევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც წყვილთვალის არტახები არათანაბრადაა გაცვეთილი. მაგალითად, ვთქვათ წყვილთვალის ერთი არტახის დიამეტრია

ბრ/წთ-ში სიჩქარით, მაშინ პირველი არტახის მიერ განვლილი მანძილი ტოლი იქნება $S_1 = \pi D_1 n_{\text{o}} = 3,14 \cdot 1,200 \cdot 100 = 376,8$ მეტრის, ხოლო მეორე არტახის მიერ განვლილი მანძილი იქნება $S_2 = \pi D_2 n_{\text{o}} = 3,14 \cdot 1,197 \cdot 100 = 375,8$ მეტრი. გამოდის, წყვილთვალის მიერ განვლილი მანძილი ორმ იყოს ერთნაირი 100 ბრ/წთ-ში სიჩქარით მოძრაობისას, ნაკლები დიამეტრის მქონე არტახმა რელსზე უნდა ისრიალოს 1 მეტრ მანძილზე.

წყვილთვალის არტახების დამატებითი სრიალი წარმოიშვება მრუდეში მოძრაობისას, როდესაც ისინი წყვილთვალის ერთი და იგივე ბრუნვისას გადიან სხვადასხვა მანძილს.


3.2.3. წევის ძრავების მახასიათებლების სიხისტის გავლენა ჩაჭიდების წევის ძალის რეალიზაციაზე

სხვადასხვა სიხისტის მახასიათებლების მქონე ელექტრომოძრავი შემადგენლობის ხანგრძლივმა ექსპლუატაციამ აჩვენა ხისტი მახასიათებლების უდაო უპირატესობა. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. მაგალითების განხილვის დროს ვუშვებთ, რომ წევის ძრავები იკვებებიან უსასრულო სიმძლავრის კვების წყაროდან, ანუ წევის ძრავების მომჰქერებზე ძაბვის სიდიდე არაა დამოკიდებული დატვირთვის დენზე და უცვლელია.

ვთქვათ, გვაქვს სხვადასხვა სიხისტის წევის მახასიათებლის $F_{\text{ძრ}}(V)$ მქონე წევის ძრავები – რბილი მახასიათებლით – 1 მრუდი (აქვს ნახ. 3.3, ბ-ზე მოცემულ მიმდევრობით აგზებიან წევის ძრავას) და ხისტი მახასიათებლით – 2 წრფე, (აქვს ნახ. 3.3, გ-ზე მოცემულ დამოუკიდებელ აგზებიან წევის ძრავას). ორივე ტიპის წევის ძრავას მახასიათებელი მოცემულია ნახ. 33, ა-ზე. აქვე მოცემული მე-3 მრუდი წარმოადგენს ჩაჭიდების წევის ძალის ცვლილებას სიჩქარის მიხედვით $F_{\text{ძრ.ჩაჭ}}(V)$.

ნომინალურ რეჟიმში ერთი ან მეტი პარალელურად ჩართული წევის ძრავების სტატიკური და დინამიკური მახასიათებლები განისაზღვრება 1-მრუდით და 2 წრფით. ნორმალური ჩაჭიდების პირობებში, მათ მდგრად მუშაობას შეესაბამება A წერტილი. რამე შემთხვევითი ფაქტორით ჩაჭიდების წევის ძალის ΔF სიდიდით შემცირების შემთხვევაში, ჩაჭიდების წევის ძალის ცვლილებას შეესაბამება წყვეტილი მე-4 მრუდი. ამ შემთხვევაში სხვადასხვა სიხისტის მქონე მახასიათებლისათვის წევის ძალის და სიჩქარის გადახრა იქნება სხვადასხვა და მათ შორის იქნება მნიშვნელოვანი განსხვავება (შევადაროთ ერთმანეთს ΔV_1 , ΔV_2 და ΔF_1 , ΔF_2).

რბილი მახასიათებლის მქონე ძრავას შემთხვევაში (1-მრუდი), მდგრადი ბუქსაობის რეჟიმს შეესაბამება a -წერტილი, ხოლო ხისტი მახასიათებლის მქონე



ნახ. 3.3. ბუქსაობის პროცესი რბილი (1 მრუდი) და ხისტი (2 – წრფე) მახასიათებლის დროს.

ძრავას შემთხვევაში (მე-2 წრფე) b წერტილი. როგორც ნახაზიდან გარკვევით ჩანს, რბილი მახასიათებლის შემთხვევაში, სრიალის სიჩქარე, რომელიც ტოლია $\Delta V_{\delta 1} = V_{\delta 1} - V_6$ გაცილებით დიდია, ვიდრე ხისტი მახასიათებლის შემთხვევაში $\Delta V_{\delta 2} = V_{\delta 2} - V_6$. შესაბამისად ჩაჭიდების წევის ძალების გადახრაშიც იქნება განსხვავება, $\Delta F_1 > \Delta F_2$. ხისტი მახასიათებლის შემთხვევაში უმნიშვნელო წაბუქსავები შეიძლება თავისთავად აღმოიფხვრას ან მათ აღმოფხვრას დასჭირდეს მცირე ძალისხმევა. აღნიშნულის გამო, ამ შემთხვევაში ლოკომოტივის ჩაჭიდების შესაძლებლობების გამოყენება უფრო მაღალია. რაც შეეხება ბუქსაობას, რბილი მახასიათებლების მქონე ამძრავის შემთხვევაში, როგორც საექსპლუატაციო გამოცდილებამ აჩვენა, შემთხვევითი უმნიშვნელო წაბუქსავება შეიძლება გადავიდეს ზებრუნ სრიალში. მის აღსაკვეთად საჭიროა მობუქსავე წყვილთვალის ქვეშ ქვიშის მიწოდება ან ძრავას მიერ განვითარებული წევის ძალის სწრაფად შემცირება.

3.2.4. წევის ძრავების შეერთების სქემის გავლენა

განხილულთან დაკავშირებით, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს საკითხი, თუ როგორაა დამოკიდებული წევის მახასიათებლის სიხისტე, წევის ძრავების შეერთების სქემაზე. თუ დამოუკიდებელ ან მიმდევრობით აღგზებიანი წევის ძრავები იმავე მძლავრ წრედში ჩართულნი არიან პარალელურად, მაშინ მათი სტატიკური

მახასიათებლები ემთხვევიან დინამიკურ მახასიათებლებს. მაგრამ თუ წევის ძრავები ირთვებიან მიმდევრობით, მაშინ სურათი იცვლება. ამ შემთხვევაში მიმდევრულად ჩართული ძრავების რიცხვის მიხედვით, მნიშვნელოვანია განსხვავება სტატიკურ და დინამიკურ მახასიათებლებს შორის.

მართლაც, თუ გვექნება მიმდევრობით ჩართული ძრავების რაოდენობა m და სიმცირის გამო უგულვებელყოფთ ძაბვის ვარდნებს დუზის გრაგნილებში (მათი მნიშვნელობები არ აღემატება 3%-ს), შეგვიძლია დავწეროთ

$$U = mCV_0\Phi, \quad (3.4)$$


სადაც, m – მიმდევრულად ჩართული ძრავების რიცხვი,

C – ძრავას და გადამცემი რელუქტორის ცნობილი მუდმივა,

V_0 – ლოკომოტივის სიჩქარე.

Φ – მაგნიტური ნაკადია.

თუ ბუქსაობას ადგილი არ აქვს ან თუ ბუქსაობს ყველა წყვილთვალი, მაშინ ერთი და იგივე დუზის დენის მნიშვნელობის დროს, ძაბვა თანაბრად განაწილდება მიმდევრულად ჩართულ ძრავების შორის და ტოლი იქნება U/m . ყოველ წევის ძრავას მახასიათებელს შეესაბამება მრუდი 1 (ნახ. 3.4).



ნახ. 3.4. ბუქსაობის პროცესი სხვადასხვა სიხისტის მახასიათებლის მქონე წევის ძრავების, მიმდევრობით შეერთების დროს.

თუ მიმდევრულად ჩართულ m ძრავადან, ბუქსაობს ერთ ძრავთან დაბავშირებული წყვილთვალი (მაგალითად ეს წყვილთვალი მოხვდა ზეთის ფენით დაბინძურებულ რელსზე და დაკარგა ჩაჭიდება), მაშინ (3.4) განტოლება შეგვიძლია ჩავწეროთ ასე

$$mCV_0\Phi = (m-1)CV_0\Phi + C(V_0 + \Delta V_\delta)\Phi, \quad (3.5)$$

სადაც, V_0 არის 1 მრუდიდან განსაზღვრული საწყისი სიჩქარე,

V_δ – ასრიალების სიჩქარე.

(3.5) განტოლებიდან ასრიალების სიჩქარე

$$\Delta V_{\delta} = m(V_{\delta} - V_0). \quad (3.6)$$

მობუქსავე წყვილთვალის სიჩქარე იქნება

$$V_{\delta} = V_0 + m(V_{\delta} - V_0). \quad (3.7)$$

ნახ. 3.4-ზე ამ რეჟიმს შეესაბამება a_1 წერტილი ორი ძრავას შემთხვევაში, a_2 წერტილი სამი ძრავას შემთხვევაში და ა.შ. ამ რეჟიმებს შეესაბამება შესაბამისი მრუდები 1', 1'' და ა.შ. როგორც ნახაზიდან ჩანს დინამიკური მახასიათებლები (მრუდები 1', 1'' და ა.შ.), მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ნორმალური 1 – მრუდიდან. ამავე დროს, მახასიათებლის სიხისტე მიმდევრულად ჩართული წევის ძრავების რიცხვის უკუპროპორციულია.

იმავე ნახაზზე ნაჩვენებია ბუქსაობის იგივე პროცესი ხისტი მახასიათებლის შემთხვევაში (2-წრფე). $\Delta V_{\delta_2} \ll \Delta V_{\delta_1}$ და, ამ შემთხვევაში, ბუქსაობის აღკვეთა უფრო ადგილია. ამ მიზეზით ყველა სხვა თანაბარ პირობებში, მიმდევრობით აღგზნებიანი ძრავების გამოყენება არაა მიზანშეწონილი. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის, რომ ჩაჭიდების წონის გამოყენება ცვლადი დენის ელექტრომაგლებში (სადაც წევის ძრავები ჩართულია უცვლელი პარალელური სქემით) გაცილებით მაღალია, ვიდრე მუდმივი დენის ელექტრომაგლებში.

3.3. ელექტრომაგლის წევითი თვისებების ამამაღლებელი ლონისძიებები


ა) ჩაჭიდების წონის გამოყენების ამაღლება

ვინაიდან ლოკომოტივის წევის ძალა და მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა მოქმედებს სხვადასხვა სიბრტყეში და სხვადასხვა მიმართულებით, ამიტომ მოძრაობის პროცესში ადგილი აქვს გერტიკალური დატვირთვის გადანაწილებას წყვილთვალებზე. ამავე დროს ლოკომოტივის წონა, რომელიც ტოლია წყვილთვალებზე მოსული წონების ჯამის, არ იცვლება.

ვთქვათ ელექტრომაგალი შემადგენლობასთან ერთად, მოძრაობს თანაბარი სიჩქარით. ამ დროს ელექტრომაგლის წევის ძალა $F_{\text{ელ}}$. ტოლია მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის W . ე.ი. $F_{\text{ელ}} = W$.

წევის ძალა $F_{\text{ელ}} = \sum F_{\text{ძ}}$ მოდებულია არტახის და რელსის შეხების ზონაში, ხოლო მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა W , რელსიდან h სიმაღლეზე (ნახ. 3.5). შედეგად წარმოიქმნება ე.წ. ამავირავებელი მომენტი, რომელიც ცდილობს

წამოხსიოს ძარის წინა ნაწილი (მოძრაობის მიმართულების მიხედვით) და დასწიოს უკანა. ამის გამო წინა ურიკის დერძები განიტვირთება ΔG_1 და ΔG_2 სიდიდით, ხოლო უკანა დერძები დამატებით დაიტვირთება ΔG_3 და ΔG_4 სიდიდით.



ნახ. 3.5. წყვილთვალებზე დატვირთვების გადანაწილება წევის რეჟიმში.

დერძებზე ვერტიკალური დატვირთვის ასეთი არათანაბარი გადანაწილება $F_{\text{ძრ.ნა}} = (G_0 - \Delta G)\Psi_0$ - ფორმულის თანახმად გამოიწვევს ჩაჭიდების წევის ძალის შემცირებას წინა დერძებზე, რაც თავის მხრივ გაზრდის ბუქსაობის ალბათობის შესაძლებლობას უკანა დერძებთან შედარებით. აღნიშნულის გამო ლოკომოტივის ჩაჭიდების წონა სრულად არ გამოიყენება და შესაბამისად მცირდება ლოკომოტივის ჩაჭიდების წევის ძალა.

ჩაჭიდების წონის სრულად გამოყენების მიზნით, მშენებლობის პროცესში ცდილობენ მოწყობილობები განალაგონ ისე, რომ ცალკეულ დერძზე დატვირთვა არ განსხვავდებოდეს საშუალო მნიშვნელობიდან + 2% -ით.

თანამედროვე ლოკომოტივები აღჭურვილია განტვირთვის საწინააღმდეგო მოწყობილობებით.

ბ) წევის ძრავების და წყვილთვალების შერჩევა

ჩაჭიდების წონის ეფექტურ გამოყენებას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოტორ-დერძების სწორი შერჩევა, რაც მეტნაკლებად უნდა აკმაყოფილებდეს პირობას

$$D_1 n_1 = D_2 n_2 = D_3 n_3$$

სადაც, D_1, D_2, D_3 არის წყვილთვალების დიამეტრები, ხოლო n_1, n_2, n_3 – მათთან დაკავშირებული ძრავების ბრუნთა რიცხვები.

აღნიშნულის გამო, მოტორდერძული ბლოკების აგროვების დროს მაღალ-სიჩქარიანი მახასიათებლების მქონე წევის ძრავებს აყენებენ იმ დერძებზე, რომელთაც აქვთ ბორბლების არტახების ნაკლები დიამეტრი.

გ) მატარებლის ტარების რეჟიმი

ლოკომოტივის ჩაჭიდების წონის გამოყენების ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს გზის პროფილის შესაბამისად, მატარებლის ტარების რეჟიმის სწორი შერჩევა და ჩაჭიდების კოეფიციენტის ამამაღლებელი დონისძიებების დროული გამოყენება. რთულ აღმართებთან მძიმეწონიანი მატარებლებით მიახლოებისას, მემანქანემ უნდა გაზარდოს სიჩქარე მაქსიმალურ დასაშვებ მნიშვნელობამდე, ველის შესუსტების საფეხურების დროული გამოყენებით. დიდი დახრილობის აღმართზე მოძრაობისას, უნდა გამოიყენონ კვარცის მშრალი ქვიშა ხშირად, მცირე პროპორციებით, რათა თავიდან ავიცილოთ მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის გაუმართლებელი გაზრდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ძრავების ერთი დაჯგუფებიდან მეორეზე გადასვლის დროს ან ველის საფეხურებზე გადასვლისას არ დაუშვათ დენის დიდი ნახტომები, რადგან ეს გამოიწვევს ცალკეული წყვილთვალების ბუქსაობას, მათ წევის ძალების დაკარგვას და მ.შ. სიჩქარის შემცირებას.

IV თავი

მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალები

4.1. მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალთა კლასიფიკაცია

წყვილთვალის არტახისა და რელსის შეხების ზონაში წარმოქმნილი გარეშე მამოძრავებელი ძალის (შემდგომში მას მარტივად ვუწოდებთ წევის ძალას) მიერ შესრულებული მუშაობის უმეტესი წილი, იხარჯება მატარებლის გადაადგილების საწინააღმდეგოდ წარმოქმნილი გარეშე ე.წ. წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე, ანუ სხვაგვარად, მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა ეწოდება მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიმართულ ძალთა ეპვიგალენტურ ძალას, რომლის დაძლევაზეც იხარჯება ლოკომოტივის მიერ განვითარებული წევის ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისადმი წარმოქმნილ წინააღმდეგობის ძალებს, როგორც ვიცით, აღნიშნავენ ლათინური W (გერმანული სიტყვის **der Widerstand** – წინააღმდეგობა, უკუმოქმედება) ასოთ.

წინააღმდეგობის ძალთა კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. წინააღმდეგობის ძალთა კლასიფიკაცია მოძრავი შემადგენლობის წონის მიხედვით:
 - სრული წინააღმდეგობა W , (კგ) მატარებლის, როგორც ერთი მთლიანი ერთეულის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა.
 - ხვედრითი წინააღმდეგობა w (N/m), (kg/ℓ) მატარებლის ერთეული წონის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა.

აღნიშნულ ძალებს შორის არსებობს შემდეგი ურთიერთკავშირი

$$\left. \begin{aligned} W &= w(P+Q), \\ w &= \frac{W}{P+Q} \end{aligned} \right\} \quad (4.1)$$

სადაც, $(P+Q)$ არის მატარებლის სრული წონა კნ-ში, ან (ტონებში).

2. წინააღმდეგობის ძალთა კლასიფიკაცია ექსპლუატაციის პირობებით:

- ძირითადი წინააღმდეგობის ძალა W_0 ; w_0 ,
- დამატებითი წინააღმდეგობის ძალა $W_{დამ}$; $w_{დამ}$,
- დაძვრის წინააღმდეგობის ძალა $W_{დაძ}$; $w_{დაძ}$,
- საერთო (სრული) წინააღმდეგობის ძალა W ; w .

მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალებს პირობითად ჰყოფენ ორ ჯგუფად:

ა) პირველ ჯგუფში შედის წინააღმდეგობის ძალები, რომლებიც დამოკიდებულია მოძრავი შემადგენლობის ტიპზე და მოძრაობის სიჩქარეზე. მათ უწოდებენ მოძრაობისადმი ძირითად წინააღმდეგობის ძალებს და აღნიშნავენ W_0 სიმბოლოთ.

მატარებელში შემავალი ყველა ერთეული, მათ შორის ლოკომოტივების მოძრაობა აღიწერება, ერთი და ოგივე ურიკის მოძრაობის განტოლებით. მაგრამ ლოკომოტივებში, კერძოდ ელექტრომავლებში ვაგონებთან შედარებით წევის ძრავების და კბილანა რედუქტორების არსებობა, განაპირობებს მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალებს შორის განსხვავებას. ასევე, მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალების სიდიდეზე, მნიშვნელოვნად მოქმედებს ლოკომოტივის მუშაობის რეჟიმები.

აღნიშნულის გამო, მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალებს დამატებით განასხვავებენ ლოკომოტივის მუშაობის რეჟიმის მიხედვით:

- მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალები წევის რეჟიმში $W_0; w_0$,
- მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალები თავისუფალი გორგის რეჟიმში $W_x; w_x$.

ბ) მეორე ჯგუფში აერთიანებენ ე.წ. დამატებით წინააღმდეგობის ძალებს, რომლებიც ძირითადად განპირობებულია გზის პროფილით, გეგმით, (ქანობი, მრუდები), ქარით, გვირაბებით.

$$W_{\varrho} = W_i + W_{\vartheta\vartheta} + W_{\vartheta\ddot{J}} + W_{\ddot{J}\ddot{J}} + W_{\vartheta\ddot{\vartheta}} + W_{\ddot{\vartheta}\ddot{\vartheta}}, \quad (4.2)$$

სადაც, W_i , $W_{\vartheta\vartheta}$, $W_{\vartheta\ddot{J}}$, $W_{\ddot{J}\ddot{J}}$, $W_{\vartheta\ddot{\vartheta}}$, $W_{\ddot{\vartheta}\ddot{\vartheta}}$ შესაბამისად არის – ქანობით, მრუდებით, ქარით, გვირაბით, დაძრით და ვაგონქვეშა გენერატორების მუშაობით გამოწვეული წინააღმდეგობის ძალები.

მოძრავი შემადგენლობის (მატარებლის) მოძრაობისადმი სრული წინააღმდეგობის ძალა, არის ძირითადი და დამატებითი წინააღმდეგობის ძალთა ალგებრული ჯამი.

$$\text{ან სვედრით ფორმაში.} \quad \begin{aligned} W &= W_0 + W_{\varrho}, \\ w &= w_0 + w_{\varrho}. \end{aligned} \quad (4.3)$$

3. წინააღმდეგობის ძალთა კლასიფიკაცია მოძრავი შემადგენლობის ტიპის მიხედვით:

- ლოკომოტივის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა $W'; w'$,
- შემადგენლობის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა $W''; w''$,
- მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა $W; w$.

4.2. მატარებლის მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალები

მატარებლის მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალები განპირობებულია ხახუნით მოძრავი შემადგენლობის ცალკეულ კვანძებში, გარემო ჰაერსა და მოძრავი შემადგენლობის გარსაცმს შორის. სხვაგვარად, მოძრაობისადმი ძირითად წინააღმდეგობის ძალებს მიეკუთვნებათ ის ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მატარებლის გადაადგილებას, სწორ, ჰორიზონტალურ უბანზე, უქარო ამინდში მოძრაობისას. ეს ძალები წარმოიქმნებიან მოძრაობის პროცესში, ყველგან და ყოველთვის. მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალები განპირობებულია: ხახუნით:

- ბუქსების საკისრებში,
- გორგის ხახუნით არტახსა და რელსს შორის,
- სრიალის ხახუნით არტახსა და რელსს შორის,
- ხახუნით გარემო ჰაერსა და მოძრავი შემადგენლობის კორპუსს შორის.

ენერგიის გაპნევით:

- ბორბალსა და რელსს შორის,
- მოძრავ შემდგენლობასა და გარემოს შორის.

ქვემოთ განვიხილოთ ხახუნის ძალები ცალ-ცალკე.

ა) ბუქსების საკისრებში ხახუნი დამოკიდებულია ღერძზე მოსულ ვერტიკალურ დაწოლის ძალაზე და, რა თქმა უნდა, ბუქსებში ხახუნის კოეფიციენტზე. ეს უკანასკნელი თავის მხრივ დამოკიდებულია ღერძის ვერტიკალურ დატვირთვაზე, ბუქსის საკისრის ტიპზე და მოძრაობის სიჩქარეზე. დაძვრის მომენტი, იმის გამო, რომ არაა ზეთის ფენა, მოძრაობა იწყება მშრალი ხახუნით, შესაბამისად ხახუნის კოეფიციენტი დიდია და სიჩქარის ზრდასთან ერთად (30-50 კმ/სთ სიჩქარის დროს) მცირდება მინიმუმადე. სიჩქარის შემდგომი ზრდისას, იმის გამო, რომ ზეთის ტემპერატურა იზრდება და შესაბამისად მცირდება მისი სიბლანტე, იზრდება ხახუნის კოეფიციენტი და შესაბამისად ბუქსებში ხახუნით გამოწვეული მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა.

ბ) არტახსა და რელსს შორის გორგის ხახუნი.

წყვილთვალის გორგას, რელსის ზედაპირზე, თან ახლავს გორგის ხახუნი, რომლის დაძლევაზე იხარჯება ლოკომოტივის მიერ მოხმარებული ენერგიის ნაწილი. გორგის ხახუნის ფიზიკური არსი მდგომარეობს შემდეგში; წყვილთვალის

რელსზე ვერტიკალური დაწოლის 2G-ს ზემოქმედებით წარმოიქმნება რელსის და არტახის დრეკადი დეფორმაცია. ამ დეფორმაციის შედეგად წყვილთვალის თვლები, რელსში ეშვება Δ მანძილზე და მის საწყის მდგომარეობაში დასაბრუნებლად საჭიროა გარკვეული ენერგიის დახარჯვა. მეორეს მხრივ არტახი რელსის საყრდენ ზონაში ქმნის ე.წ. “ნაპლივს” (ქართულად ითარგმნება, როგორც რელსის თია, ანუ რელსის მეტალის გარკვეული სიჭარბე). მისი ანალოგი შეიძლება იყოს გემის მოძრაობა წყალში (როდესაც გემის ცხვირი დევნის წინ წყლის გარკვეულ ნაკადს.

გ) არტახსა და რელსს შორის სრიალის ხახუნი.

წყვილთვალის რელსზე მოძრაობას ყოველთვის თან ახლავს არტახის გაცურება რელსზე. ამას კი მოჰყვება სრიალის ხახუნის ძალის წარმოქმნა და შესაბამისად მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის გაზრდა. ამის განმაპირობებელი ფაქტორებია:

- წყვილთვალის არტახების კონუსური ფორმა,
- რელსებს შორის წყვილთვალის მიმოქნევითი მოძრაობა,
- წყვილთვალის თვლებს შორის განსხვავება დიამეტრებში,
- წყვილთვალის არასწორი ჩამაგრება ურიკაში.

დ) ხახუნი გარემო ჰაერსა და მოძრავი შემადგენლობის კორპუსს შორის.

დია სივრცეში მოძრაობის დროს მატარებელს უხდება გარემო ჰაერის აეროდინამიკური წინააღმდეგობის გადალახვა. ამ სახის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის ფიზიკური არსი შეიძლება აიხსნას პიდროდინამიკის კანონებით.

თუ მივიღებთ მოძრავ მატარებელსა და გარემო ჰაერს შორის ურთიერთქმედების გამარტივებულ სქემას, მაშინ აეროდინამიკის ძირითადი პრინციპების გამოყენებით შეგვიძლია მიახლოებით განვსაზღვროთ აეროდინამიკური წინააღმდეგობა.

გარემო ჰაერის წინააღმდეგობის ძალის წარმოქმნის ძირითადი მიზეზებია:

- ლოკომოტივის შუბლურ ნაწილზე მომქმედი ჰაერის ნაკადის დინამიკური დაწოლა.
- მატარებლის ბოლო ვაგონის უკან ძლიერი გრიგალური ნაკადის წარმოქმნა, რაც განაპირობებს ამ ზონაში გარკვეული გაკუუმის შექმნას.
- ვაგონთაშორის სივრცეში ჰაერის ნაკადის ტურბულენტურობა (მდგინვარე ნაკადი);
- მატარებლის გარსაცმსა და ჰაერს შორის ხახუნი.
- განსაკუთრებით ძალიან დიდი ტურბულენტურობა ვაგონქვეშა სივრცეში, რასაც ხელს უწყობს წყვილთვალების, როგორც ვენტილატორების თვლების მსგავსი მუშაობა.

მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის ამ მდგენელის შემცირება შესაძლებელია მოძრავი შემადგენლობის გარსაცმის აეროდინამიკური ფორმის გაუმჯობესებით და მატარებლის სწორი ფორმირებით.

ექსპერიმენტებით დასტურდება, რომ მცირე სიჩქარეების დროს (40 კმ/სთ-ზე ნაკლები), განმსაზღვრელია ხახუნი ბუქსის საკისრებში, გორვის და სრიალის ხახუნი წყვილთვალსა და რელსს შორის. 60 კმ/სთ სიჩქარის ზემოთ, განმსაზღვრელი ხდება გარემო პარამეტრით განპირობებული წინააღმდეგობის ძალა.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია სიჩქარე. ძირითადი წინააღმდეგობის ძალა სიჩქარის კვადრატის პროპორციულია.

$$W_0 \equiv f(V^2). \quad (4.4)$$

მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ვაგონების დატვირთვა (დერძზე მოსული დაწოლა q_0)

$$W_0 \equiv f\left(\frac{1}{q_0}\right). \quad (4.5)$$

მოძრაობისადმი ძირითადი ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა w_0 დამოკიდებულია მოძრავი შემადგენლობის ტიპზე.

ლოკომოტივების და სამგზავრო ვაგონებისათვის (რომლებშიც $q_0 = const$) საანგარიშო ფორმულას აქვს სახე $W'_0 = a + bV + cV^2 - \frac{6}{\delta^6} \left(\frac{\delta\ddot{\delta}}{\delta} \right).$ (4.6)

სატვირთო ვაგონებისათვის $W''_0 = \frac{a + (b + cV + dV^2)}{q_0} - \frac{6}{\delta^6} \left(\frac{\delta\ddot{\delta}}{\delta} \right).$ (4.7)

სადაც, a, b, c, d ემპირიული კოეფიციენტებია.

4.3. მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალების გაანგარიშება

მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისადმი ძირითად წინააღმდეგობის ძალაზე მრავალი, მათ შორის, შემთხვევითი ხასიათის ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას. ამიტომ, მისი ანალიზური (ჩვეულებრივად ფორმულის საშუალებით) გზით გაანგარიშება შეუძლებელია. აღნიშნულის გამო გაანგარიშებას ახდენენ ექსპერიმენტულად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე.

ცალკეული ტიპის მოძრავი შემადგენლობისათვის ექსპერიმენტებით მიღებული მონაცემების დამუშავება ხდება სტატისტიკური და ალბათობის თეორიაზე დაყრდნობის მიზანით.

ნობილი მეთოდების გამოყენებით. მიღებული შედეგების საფუძველზე მიიღება ემპირიული საანგარიშო ფორმულები, რომლებიც განსაზღვრავენ W_d -ის საშუალო მნიშვნელობებს. გაანგარიშების დროს სამი ძირითადი საექსპლუატაციო ფაქტორია გამოკვეთილი, რომელიც განსაზღვრავს W_0 -ს – სიჩქარე, მოძრავი შემადგენლობის ტიპი და დერძხე საშუალო დაწოლა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი წინააღმდეგობის ძალის მნიშვნელობა ლოკომოტივებისათვის დამოკიდებულია მათ მუშაობის რეჟიმზე და ცალკალკულირებული განისაზღვრება წევის და თავისუფალი გორვის რეჟიმებისათვის.

მაგალითად, მატარებლის მოძრაობისადმი ხვედრით წინააღმდეგობის ძალა ლოკომოტივის წევის რეჟიმში მუშაობის დროს, განისაზღვრება ფორმულით,

$$w_d = \frac{(w'_d P + w''_d Q)}{P+Q} \cdot \frac{6}{\beta^6}; \left(\frac{\partial \delta}{\delta} \right), \quad (4.8)$$

სადაც, P – ლოკომოტივის წონა, კნ-ში; Q – შემადგენლობის წონა კნ-ში.

მაგარებლის მოძრაობისადმი ხვედრით წინააღმდეგობის ძალა, ლოკომოტივის თავისუფალი გორვის რეჟიმში მუშაობის დროს, განისაზღვრება ფორმულით,

$$w_{\text{ძო}} = \frac{(w'_{\text{ძო}} P + w''_{\text{ძო}} Q)}{P+Q} \cdot \frac{6}{\beta^6}; \left(\frac{\partial \delta}{\delta} \right). \quad (4.9)$$

თუ გაგონების წონითი წილი შემადგენლობაში და მათი საკისრების ტიპი მოცემულია კოეფიციენტებით:

- α_{b4} – სრიალის საკისრებიანი, ოთხდერძიანი,
- $\alpha_{\delta4}$ – გორვის საკისრებიანი, ოთხდერძიანი,
- β_{b6} – სრიალის საკისრებიანი, ექვსდერძიანი,
- $\beta_{\delta6}$ – გორვის საკისრებიანი, ექვსდერძიანი,
- γ_{b8} – სრიალის საკისრებიანი, რვადერძიანი,
- $\gamma_{\delta8}$ – გორვის საკისრებიანი, რვადერძიანი.

ამ შემთხვევაში შემადგენლობის მოძრაობისადმი ძირითად წინააღმდეგობის ძალა გაითვლება ფორმულით,

$$w''_0 = \alpha_{b4} w''_{04} + \alpha_{\delta4} w''_{04} + \beta_{b6} w''_{06} + \beta_{\delta6} w''_{06} + \gamma_{b8} w''_{08} + \gamma_{\delta8} w''_{08}. \quad (4.10)$$

რა თქმა უნდა

$$\alpha_{b4} + \alpha_{\delta4} + \beta_{b6} + \beta_{\delta6} + \gamma_{b8} + \gamma_{\delta8} = 1. \quad (4.11)$$

4.4. მატარებლის მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალები

ექსპლუატაციაში მოძრავ შემადგენლობაზე გარკვეულ კონკრეტულ პირობებში მოქმედებენ შემდეგი დამატებითი წინააღმდეგობის ძალები:

- ქანობით გამოწვეული წინააღმდეგობის ძალა,
- მრუდეებით გამოწვეული წინააღმდეგობის ძალა,
- ქარით გამოწვეული წინააღმდეგობის ძალა,
- გვირაბით გამოწვეული წინააღმდეგობის ძალა,
- სამგზავრო ვაგონებში ვაგონქვეშა გენერატორების მუშაობით გამოწვეული წინააღმდეგობის ძალა.

განვიხილოთ ისინი დეტალურად.

4.4.1. ქანობით გამოწვეული მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალა

ქანობზე მოძრავ მატარებელზე დამატებით მოქმედებს სიმძიმის ძალის მდგენელი $(P+Q)\sin \alpha$ ძალა, რომელიც ყოველთვის მიმართულია თავდალმართის მიმართულებით. ამ მდგენელის ფიზიკური არსი განხილული იყო ზემოთ.

სანამ ძალებს განვიხილავდეთ განვმარტოთ ქანობის მცნება.

ქანობს აღნიშნავენ i სიმბოლოთი და გამოსახავენ მეათასედებში (%). მას წარმოადგენენ, როგორც პროფილის ელემენტის ჰორიზონტალთან დახრის კუთხის α -ს ტანგენსს გამრავლებულს 1 000-ზე. ე.ი. $i = 1000 \operatorname{tg} \alpha$ (ნახ. 4.1).

სამკუთხედ ABC -დან შეგვიძლია დავწეროთ

$$\operatorname{tg} \alpha = \frac{BC}{AC} = \frac{H}{S}, \quad (4.12)$$


თუ გზის მონაკვეთს ავიდებთ 1 000 მეტრს, ე.ი. $S = AC = 1000$ მ, მაშინ $i = \frac{1000H}{1000} = H$.

ე.ი. ქანობის მნიშვნელობა გვიჩვენებს, რამდენი მეტრით მაღლდება გზის ბოლო მის საწყისთან შედარებით, გზის ყოველ კილომეტრზე.

განვიხილოთ სამკუთხედი abc და განვსახლვროთ α კუთხის \sin -სი, მაშინ $\sin \alpha = \frac{bc}{ab} = \frac{W_i}{P+Q} = w_i$. თუ გავითვალისწინებთ, რომ რკინიგზის პროფილისთვის α მცირე კუთხეა, მაშინ $\sin \alpha \approx \operatorname{tg} \alpha$, ე.ი.

$$w_i = i. \quad (4.13)$$

ე.ი. ქანობით გამოწვეული ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა, თვით ამ ქანობის ტოლია.



ნახ. 4.1. ქანობზე მოძრავ მატარებელზე მომქმედი ძალები.

მიღებულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქანობზე მოძრაობისას მატარებელზე მომქმედი ჯამური სვედრითი წინააღმდეგობის ძალა ტოლია

$$w = w_0 \pm w_i \quad (4.14)$$

ნიშანი “+” შეესაბამება აღმართებს, ხოლო “-“ ნიშანი თავდაღმართებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ წევის ანგარიშების გაიოლების მიზნით ახდენენ ე.წ პროფილის გასწორებას პროფილში (როდესაც ერთნაირი ნიშნის აღმართებს ან თავდაღმართებს ცვლიან ერთი გასაშუალოებული ერთი ელემენტით და აღნიშნავენ i'_δ -ით) და გეგმაში (როდესაც რეალურად არსებულ მრუდეებს ცვლიან ფიქტიური აღმართებით და აღნიშნავენ i''_δ), თუ გასწორებულ ქანობზე არის მრუდე, მაშინ საბოლოოდ გასწორებული ქანობი მრუდეების გათვალისწინებით იქნება

$$i_\delta = \pm i'_\delta + i''_\delta. \quad (4.15)$$

აღნიშნულს დეტალურად განვიხილავთ ქვემოთ.

4.4.2. მრუდეებით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა

მრუდეში მოძრაობის დროს მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალის წარმოქმნა აიხსნება შემდეგი გარემოებებით:


1. ერთი და იგივე დიამეტრის წყვილთვალის თვლები, ერთი და იგივე ბრუნთა რიცხვის პირობებში გადიან სხვადასხვა მანძილს, რაც იწვევს თვლების რელსზე გაცურების გაზრდას, ეს უკანასკნელი კი იწვევს მოძრავი შემადგენლობის ენერგიის დამატებით დანაკარგას.

წევის ანგარიშებში მიღებულია – მრუდეში მოძრაობისას წყვილთვალები გადიან გზის ღერძის რადიუსის R შესაბამის მანძილს S -ს (ნახ. 4.2).

$$S = 2\pi R. \quad (4.16)$$

სინამდვილეში მრუდეში მოძრაობისას წყვილთვალის მარცხენა თვალი (ნახ. 4.2), მოძრაობს გარე რელსზე, რომლის რადიუსი $R_d > R$ -ზე და ტოლია

$$R_d = R + \frac{b}{2}. \quad (4.17)$$



ნახ. 4.2. R რადიუსიან მრუდეში წყვილთვალის მოძრაობა.

წყვილთვალის მარჯვენა თვალი მოძრაობს შიგა რელსზე, რომლის რადიუსი R_d ტოლია

$$R_d = R + \frac{b}{2}, \quad (4.18)$$

სადაც, b არის ლიანდის სიგანე.

შესაბამისად გარე რელსზე განვლილი მანძილი იქნება მეტი, ვიდრე შიდა რელსზე განვლილი მანძილი. ადნიშნულის გამო ადგილი ექნება წყვილთვალის სრიალს და სრიალის ხახუნის წინააღმდეგობის ძალის წარმოქმნას.

2. მრუდეში მოძრაობისას ცენტრიდანული ძალის $\frac{MV^2}{2}$ -ის მოქმედებით მარცხენა ბორბლის არტახის ქიმი ებჯინება გარე რელსის შიდა გვერდს. იზრდება რელსისა და არტახის შეხების ფართი, გვერდითი სრიალის ხახუნი და შესაბამისად წინააღმდეგობის ძალა.
3. მრუდეში მოძრაობისას ლოკომოტივების და ვაგონების ურიკები შემობრუნდებიან ძარის მიმართ, რის შედეგად საქუსლეების საყრდენებში და ბუქსებში იზრდება სრიალის ხახუნი, რაც, რა თქმა უნდა, ზრდის წინააღმდეგობის ძალას.

ყველა ფაქტორის გათვალისწინების სირთულის გამო, მრუდეებით გამოწვეულ დამატებითი წინააღმდეგობის ძალას განსაზღვრავენ ემპირიული ფორმულით

$$w_{\text{აღ}} = \frac{A}{R} - \frac{6}{36}; \left(\frac{\delta \vartheta}{\delta} \right). \quad (4.19)$$

სადაც, R არის მრუდის რადიუსი მეტრებში, ხოლო A ემპირიული კოეფიციენტია, რომელიც საბჭოთა კავშირის რკინიგზებისთვის მიღებული იყო ტოლი 700-ის (ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნების რკინიგზებისთვის სხვდასხვაა. მაგალითად: აშშ-ში $A = 446$, ინგლისში და იაპონიაში $A = 600$, იტალიაში და პოლონეთში $A = 800$). ე.ო. ჩვენი რკინიგზისათვის

$$w_{\text{აღ}} = \frac{700}{R} - \frac{6}{36}; \left(\frac{\delta \vartheta}{\delta} \right). \quad (4.20)$$

თუ მრუდის რადიუსის ნაცვლად მოცემული გვექნება ცენტრალური კუთხე α° და მრუდის რკალის სიგრძე $S_{\text{აღ}}$, მაშინ რკალის სიგრძესა და ცენტრალურ კუთხეს შორის, ცნობილი დამოკიდებულების თანახმად


$$S_{\text{აღ}} = \frac{2\pi R \alpha^\circ}{360}. \quad (4.21)$$

აქედან განვსაზღვროთ მრუდის რადიუსი R . მივიღებთ

$$R = \frac{360 S_{\text{აღ}}}{2\pi \alpha^\circ}. \quad (4.22)$$

შევიტანოთ R -ის მნიშვნელობა (4.20) ფორმულაში. მივიღებთ

$$w_{\text{აღ}} = \frac{12.2 \alpha^\circ}{S_{\text{აღ}}}. \quad (4.23)$$



ნახ. 4.3. მატარებლის მიერ მრუდეების გავლის სქემები:
ა) $L_{\theta\Delta\vartheta} < S_{\theta\Delta\vartheta}$. ბ) $L_{\theta\Delta\vartheta} > S_{\theta\Delta\vartheta}$.

(4.20) და (4.23) ფორმულა გამოიყენება, როდესაც მატარებელი მთლიანად თავსდება მრუდეში (ნახ. 4.3, ა). თუ მატარებლის სიგრძე $L_{\text{ას}}$ აღემატება მრუდის რკალის სიგრძეს $S_{\text{არ}}$ -ს (ნახ. 4.3, ბ), მაშინ (4.20), (4.23) ფორმულებს ამრავლებენ $\frac{S_{\text{არ}}}{L_{\text{ას}}} < 1$ სიდიდეზე. ე.ი. დამატებით წინააღმდეგობის ძალას ანგარიშობენ მატარებლის მრუდეში არსებულ ნაწილზე.

$$W_{\text{არ}} = \frac{700}{R} \cdot \frac{S_{\text{არ}}}{L_{\text{ას}}} . \quad (4.24)$$

4.4.3. ქარით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა

ნახ. 4.4-ზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით, მოძრავი მატარებლის მიმართ ქარი შეიძლება მიმართული იყოს შემხვედრი მიმართულებით, თანმხვედრი მიმართულებით ან გვერდითი მიმართულებით.

ქარის ზემოქმედება ზრდის მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისადმი აეროდინამიკურ წინააღმდეგობას. თუ ქარი მოქმედებს მატარებლის შემხვედრი მიმართულებით $V_{\text{ქ}}$, მაშინ იზრდება შუბლური წინააღმდეგობა. ამ დროს ჰაერის რეზულტირებული სიჩქარე ტოლია მოძრავი შემადგენლობის V და ქარის სიჩქარის $V_{\text{ქ}}$ ჯამის, $V + V_{\text{ქ}}$. თანხვედრილი მიმართულების ქარის $V_{\text{ქ2}}$ შემთხვევაში, ჰაერის რეზულტირებული ნაკადის სიჩქარე იქნება $V - V_{\text{ქ1}}$. მატარებლის მოძრაობისადმი შემხვედრი ან თანხვედრილი ქარით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა გამოითვლება ფორმულით

$$W_{\text{ქ}} = CS(V \pm 0.8V_{\text{ქ}})^2 , \quad (4.25)$$

სადაც, C არის ლოკომოტივის შუბლური ნაწილის გარშემოვლის კოეფიციენტი.

S – შუბლური ნაწილის განიკვეთის ფართი მ².

V – მოძრავი შემადგენლობის სიჩქარე მ/წ.


$V_{\text{ქ}}$ – ქარის სიჩქარე მ/წ.

0.8 – ქარის ზემოქმედების უთანაბრობის კოეფიციენტი. მაგალითად განპირობებული ძარასა და გზის სავალ ნაწილს შორის არსებული სიცარიელით.

“+” ნიშანი აიღება შემხვედრი ქარის დროს, ხოლო “-“ ნიშანი თანხვედრილი ქარის დროს.

გვერდითი ქარის დროს ხდება მოძრავი შემადგენლობის სავალი ეკიპაჟის გადაადგილება სარელსო გზის განივი მიმართულებით. არტახის ქიმები გარკვეული ძალით ებჯინება გარე რელსის შიდა გვერდს, რაც ზრდის სრიალის ხახუნს და

მ.შ. მოძრაობისადმი წინააღმდევების ძალას. განსაკუთრებით ძლიერ ზემოქმედებას ახდენს 30° კუთხით მოქმედი გვერდითი ქარი.



ნახ. 4.4. ქარის მიმართულება მოძრავი მატარებლის მიმართ.

4.4.4. გვირაბებით გამოწვეული მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდევების ძალა

ამ ძალის წარმოქმნას განაპირობებს გარემო ჰაერის წინააღმდევების ძალის გაზრდა. მატარებელი გვირაბში მოძრაობს, როგორც დგუში ცილინდრი, რის გამოც მატარებლის თავში იქმნება ჭარბი დაწნევა, ხოლო ბოლოში გაიშვიათება. ასეთნაირად მიღებული წნევათა სხვაობა, განაპირობებს დიდი რაოდენობით ჰაერის ნაკადს მოძრავ შემადგენლობის გვერდით კედლებსა და გვირაბის კედლებს შორის, მოძრაობის საწინააღმდევო მიმართულებით. ჰაერის ამ ნაკადით განპირობებული მატარებლის მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდევების ძალა $W_{\ddot{\beta}}$, შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც

$$W_{\ddot{\beta}} = W_{\dot{\beta}} \beta, \quad (4.26)$$

სადაც, $W_{\dot{\beta}}$ არის ჰაერით გამოწვეული დამატებითი წინააღმდევების ძალა გვირაბს გარეთ, ხოლო β არის მატარებლის გარე ფორმაზე და გვირაბის გაბარიტებზე დამოკიდებული კოეფიციენტი.

მაგალითად, ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ ერთლიანდაგიან გვირაბში 50 კ/სთ სიჩქარით მოძრაობის დროს, ჰაერის ნაკადით გამოწვეული მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდევების ძალა ორჯერ მეტია, ვიდრე გვირაბს გარეთ, ანუ ამ შემთხვევისთვის კოეფიციენტი $\beta = 2$ -ს.

4.4.5. სამგზავრო მატარებლებში გაგონებებში გენერატორების მუშაობით წარმოქმნილი დამატებითი წინააღმდევების ძალა

გაგონებებში გენერატორები წარმოადგენენ ელექტროენერგიის წყაროებს და უზრუნველყოფენ გაგონების განათების, კონდიცირების, საყოფაცხოვრებო მოწყობილობების და სააკუმულატორო ბატარეიების დამუხტვის წრედების მუშაობას.

ვაგონქვეშა გენერატორების მუშაობით წარმოქმნილი მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალა განისაზღვრება ფორმულით

$$W_{\text{ვ}} = \frac{1360P'}{q_0 V}, \quad (4.27)$$

სადაც, V არის მატარებლის მოძრაობის სიჩქარეა კმ/სთ-ში.

P' – ერთი ვაგონის გენერატორის საშუალო სიმძლავრე კვტ-ში.

q_0 – ვაგონის დერძხე დაწოლა კნ-ში.

P' -ის მნიშვნელობა შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი გამოსახულებით:

$$P' = \frac{P_{\text{ვ}} n_{\text{ვ}} + (P_{\text{ვ}} + P_{\text{გ}}) n_{\text{გ}}}{n}, \quad (4.28)$$

სადაც, $P_{\text{ვ}}$ არის ვაგონქვეშა გენერატორის სიმძლავრე, რომელიც იხარჯება სამოსამსახურო საჭიროებაზე კვტ-ში.

$n_{\text{ვ}}$ – უკონდინციონერო ვაგონების რაოდენობა.

$P_{\text{გ}}$ – პაერის კონდიციორებაზე დახარჯული სიმძლავრე კვტ-ში.

$n_{\text{გ}}$ – კონდიციონერებით აღჭურვილი ვაგონების რაოდენობა.

n – მატარებელში ვაგონების რაოდენობა.

4.4.6. მატარებლის დაძვრით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა

გაჩერების პუნქტებში ხანგრძლივი (20 წთ და მეტი) დგომის დროს, ვინაიდან წყვილთვალის დერძის ყელსა და ბუქსის საკისარს შორის ზეთის თხელი ფენა იშლება, ამასთანავე ზამთრის პერიოდში იზრდება ზეთის სიბლანტე, დაძვრის მომენტში ბუქსის საკისრებში ადგილი აქვს მშრალ ხახუნს, რის გამოც მნიშვნელოვნად იზრდება დაძვრის წინააღმდეგობის ძალა. ამ ძალის სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს – ვაგონების დატვირთვა (q_0), მატარებლის სიგრძე, მოძრავი შემადგენლობის სავალი ნაწილის მდგომარეობა და ბუქსის საკისრის ტიპი. ბურთულა საკისრებით აღჭურვილი მოძრავი შემადგენლობის დაძვრის წინააღმდეგობის ძალა, დაახლოებით 5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე სრიალა საკისრებიანი ბუქსების გამოყენების შემთხვევაში.

სრიალა საკისრებით აღჭურვილი მოძრავი შემადგენლობის დაძვრის წინააღმდეგობის ძალა გამოითვლება შემდეგი ემპირიული ფორმულით

$$w_{\text{და}}^{\text{ს}} = \frac{1420}{q_0 + 70} \cdot \frac{6}{\delta^6}; \left(\frac{\delta \delta}{\delta} \right). \quad (4.29)$$

ბურთულა საკისრებით აღჭურვილი მოძრავი შემადგენლობის დაძვრის წინააღმდეგობის ძალა კი ფორმულით

$$w_{\text{gssd}} = \frac{280}{q_0 + 70} \cdot \frac{6}{36}; \quad \left(\frac{\delta \partial}{\partial} \right), \quad (4.30)$$

სადაც, q_0 არის ვაგონის დერძხე დაწოლა ქნ-ში, ან ტ-ში.

4.5. მატარებლის მოძრაობისადმი სრული წინააღმდეგობის ძალა

მატარებლის მოძრაობისადმი სრული წინააღმდეგობის ძალა წარმოადგენს ძირითადი, დამატებითი და დაძვრის წინააღმდეგობის ძალთა ალგებრულ ჯამს.

ზოგადად, მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალა, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც ჯამი

$$W_{\text{g}} = W_i + W_R + W_{\text{J}} + W_{\text{g3}} + W_{\text{g36}} + W_{\text{gssd}}. \quad (4.31)$$

ლოკალურ შემთხვევებში აღნიშნულ ჯამში რჩება ის წევრები, რომლებიც ექსპლუატაციის პირობებში რეალურად არსებობენ. მაგალითად, თუ სატვირთო მატარებლის დაძვრა ხდება სწორ პორიზონტალურ უბანზე, უქარო ამინდში, გვირაბს გარეთ, მაშინ დამატებითი წინააღმდეგობის ძალა ტოლი იქნება

$$W_{\text{g}} = W_{\text{gssd}}.$$

პრაქტიკაში მოძრაობისადმი საერთო (სრული) წინააღმდეგობის ძალა წევის რეჟიმში

$$W = W_0 \pm W_i + W_{\text{g3}}, \quad (4.32)$$

სადაც, W_0 არის მატარებლის მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალა,

$$W_0 = w'_0 P + w''_0 Q \quad (4.33)$$

W_i არის ქანობით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა ნ-ში,

W_{g3} არის მრუდებით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა

$$W_{\text{g3}} = w_{\text{g3}} (P + Q) = i''_{\text{g}} (P + Q), \quad (4.34)$$

სადაც, i''_{g} არის დაყვანილი ფიქტიური ქანობი, რომლითაც ვცვლით რეალურ მრუდით

გამოწვეულ წინააღმდეგობის ძალას w_{g3} -ს. ანუ $i''_{\text{g}} = w_{\text{g3}}$.

თუ შევიტანოთ მნიშვნელობებს (4.21) ფორმულაში, მივიღებთ

$$W = w'_0 P + w''_0 Q \pm i'_{\text{g}} (P + Q) + i''_{\text{g}} (P + Q).$$

აღნიშნული ფორმულის გარდაქმნის შემდეგ გვექნება

$$W = w'_0 P + w''_0 Q \pm i_{\text{g}} (P + Q), \quad (4.35)$$

სადაც, $i_{\text{g}} = \pm i'_{\text{g}} + i''_{\text{g}}$.

საერთო ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა წევის რეჟიმში ნ/კნ-ში

$$w = w_0 \pm i_{\delta}, \quad (4.36)$$

w_0 – მატარებლის მოძრაობისადმი ხვედრითი ძირითადი წინააღმდეგობის ძალა წევის რეჟიმში ნ/კნ-ში განისაზღვრება ფორმულით

$$w_0 = \frac{w'_0 P + w''_0 Q}{P + Q}. \quad (4.37)$$

ლოკომოტივის თავისუფალი გორგის რეჟიმში მუშაობისას, შესაბამისად გვექნება: სრული წინააღმდეგობის ძალა ნ-ში

$$W_x = (w'_x P + w''_x Q). \quad (4.38)$$

შესაბამისად სრული ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა ნ/კნ-ში

$$w_x = \frac{w'_x P + w''_x Q}{P + Q}. \quad (4.39)$$

მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე, ლოკომოტივის მექანიკური მუშაობის 100 % წილიდან იხარჯება:

- ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევაზე – 60%.
- პროფილის ქანობების დაძლევაზე – 35%.
- მრუდებით განპირობებულ წინადობის დაძლევაზე – 5%.

4.6. ლონისძიებები მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების შესამცირებლად

როგორც ცნობილია, რკინიგზის ტრანსპორტი წარმოადგენს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ერთ-ერთ მსხვილ მომხმარებელს. ამ რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე. ამიტომ, წინააღმდეგობის ძალების შემცირება დიდწილად განაპირობებს რკინიგზის მუშაობის ეფექტურობის გაზრდას.

ლონისძიებები, რომლებიც მიმართულია მატარებლების მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების შესამცირებლად, შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

- ა) ორგანიზაციულ – ტექნიკური ლონისძიებები,
- ბ) ტექნიკური (კონსტრუქციული) ლონისძიებები,
- გ) ორგანიზაციული ლონისძიებები.

ა) ორგანიზაციულ – ტექნიკური ლონისძიებები:

1. სატვირთო ვაგონების სტატიკური დატვირთვის $-q_0$ -ის გაზრდა.

ძირითადი წინააღმდეგობის ძალების საანგარიშო ფორმულებიდან (იხ. ზემოთ) ჩანს, რომ q_0 -ის გაზრდით ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა მცირდება.

2. ცარიელი ვაგონების გარბენის შემცირება.

რკინიგზის მუშაობის ხარისხის და მოძრავი შემადგენლობის ეფექტური გამოყენების უნივერსალურ მაჩვენებელს წარმოადგენს ვაგონის ბრუნვა (დრო ვაგონის დატვირთვიდან დატვირთვამდე). ვაგონის ბრუნვის შემცირება ექსპლუატაციაში ამცირებს არა მარტო მოთხოვნილი ვაგონების რაოდენობას, არამედ მნიშვნელოვნად აჩქარებს ტვირთების გადაზიდვას.

ბ) ტექნიკური (კონსტრუქციული) ღონისძიებები:

1. ვაგონების ტარის შემცირება, თანამედროვე მსუბუქი მასალების და შედევრების ტექნოლოგიის გამოყენებით.
2. სრიალა საკისრებიანი ბუქსების შეცვლა ბურთულა საკისრებიანი ბუქსებით.
3. გზის პროფილის გაიოლება. კერძოდ მრუდეების რადიუსების გაზრდა და ე.წ. მაგნე ქანობების დახრილობის შემცირება.
4. გზის კონსტრუქციის მოდერნიზაცია და გაძლიერება. კერძოდ, მძიმე ტიპის რელსების გამოყენება და გზის ყოველ კმ-ზე შპალების რაოდენობის გაზრდა.
5. მოძრავი შემადგენლობის აეროდინამიკური წინააღმდეგობის შემცირება.
6. ვაგონების თვლების დიამეტრის გაზრდა 950 მმ-დან, 1 050 მმ-დან.
7. მრუდეებში მოძრაობისას არტახების ქიმების და რელსის შიდა გვერდითი ზედაპირის შეზეთვა.
8. ქარსაფარი და ოოვლის ნამქერებისაგან დამცავი ზონების მოწყობა.
9. სატვირთო მატარებლების სწორი ფორმირება. ერთი ტიპის ვაგონების დაჯგუფებით, მატარებლის შუბლური წინააღმდეგობის განმაპირობებელი ფართის შემცირება.

გ) ორგანიზაციული ღონისძიებები:

1. მოძრავი შემადგენლობის და საგალი გზის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში შენახვა.
2. ხარისხიანი საზეთ-საცხი მასალების გამოყენება.
3. სამუხრუჭო სისტემების გამართულ მდგომარეობაში მოვლა-პატრონობა.
4. სატვირთო მატარებლების გაჩერებების რიცხვის და დგომის ხანგრძლივობების შემცირება, განსაკუთრებით, ჰაერის დაბალი ტემპერატურის დროს.

V თავი

სამუხრავო ძალა და მატარებელთა დამუხრავება

5.1. ზოგადი ცნობები დამუხრავების სისტემების შესახებ

წევის რეჟიმში ელექტრული ლოკომოტივის წევის ძრავების მიერ საკონტაქტო ქსელიდან მოხმარებული ელექტრული ენერგია, წყვილთვალისა და რელსის შეხების ზონაში გარდაიქმნება მექანიკურ მუშაობად. ნაწილი ამ მექანიკური მუშაობისა იხარჯება მატარებლის მოძრაობისადმი წარმოქმნილი წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი ახდენს მატარებლის გაქანებას და გადადის მის კინეტიკურ ენერგიაში $\frac{mV^2}{2}$. ზოგადად, ბუნებრივ პროფილზე მოძრავი მატარებლის სრული ენერგია შეგვიძლია გამოვსახოთ ფორმულით

$$A = \frac{mV^2}{2} + mg\Delta H, \quad (5.1)$$

სადაც, $m = (m_p + m_Q)$ არის მატარებლის სრული ფიზიკური მასა კნ-ში, ან ტ-ში.

V – მოძრაობის სიჩქარეა კმ/სთ-ში

g – სიმძიმის ძალის აჩქარება მ/წმ²;

$\Delta H = H_b - H_d$ არის იმ ქანობის სიმაღლეთა სხვაობა, რაზეც მოძრაობს მატარებელი.

(5.1) ფორმულის პირველი მდგრელი $\frac{mV^2}{2}$ არის მოძრავი მატარებლის კინეტიკური ენერგია, ხოლო მეორე მდგრელი $mg\Delta H$ არის ქანობის სიმაღლეთა სხვაობით ΔH -ით განპირობებული პოტენციალური ენერგია. თუ მატარებელი მოძრაობს პორიზონტალურ პროფილზე (ნულოვან ქანობზე), მაშინ $\Delta H = 0$ -ს და მატარებელს გააჩნია მხოლოდ კინეტიკური ენერგია.

დამუხრავების ფიზიკა გულისხმობს მოძრავ მატარებლისგან ენერგიის ჩამორთმევას და (ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად) მის გარდაქმნას სხვა სახის ენერგიად. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია, შესაძლებელი იყოს მისი სიჩქარის რეგულირება ან გაჩერება მოძრაობის გრაფიკით განსაზღვრულ ადგილებში, ამკრძალავი სიგნალის დროს, ავარიულ სიტუაციებში.

მატარებლის გაჩერებისათვის (მისი კინეტიკური ენერგიის შთანთქმისათვის), მუდმივად მოქმედი ბუნებრივი წინააღმდეგობის ძალები საკმარისი არ არის. მოვიყვანო ასეთ მაგალითს: ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ გზის სწორ, პორიზონტალურ უბანზე 72 კმ/სთ (20 მ/წმ) სიჩქარით მოძრავი 3500 ტ მასის მქონე

მატარებელი, წევის ძრავების ამორთვის შემდეგ, მოძრაობას აგრძელებს 22 წთ-სა და 39წ-ის განმავლობაში გაჩერებამდე გაივლის 13,6კმ მანძილს, რაც აბსოლუტურად მიუღებელია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მოძრავი შემადგენლობის ყველა ერთეულზე (ლოკომოტივები და ვაგონები) დაყენებული იყოს დამატებითი ხელსაწყოები (მოწყობილობა), რომელიც მართული იქნება, მემანქანის კაბინიდან, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება, საჭიროების დროს, მოძრაობისადმი ხელოვნური წინააღმდეგობის ძალების შექმნა. ასეთ მოწყობილობას სამუხრუჭო მოწყობილობა (მუხრუჭი) ეწოდება.

ამრიგად, სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის მუხრუჭი ეწოდება მოწყობილობათა კომპლექსს, რომელიც განლაგებულია მოძრავი შემადგენლობის ყველა ერთეულზე და ქმნის მატარებლის მოძრაობისადმი რეგულირებად ხელოვნურ წინააღმდეგობის ძალას; მოძრაობის სიჩქარის შემცირების ან მოძრაობის გრაფიკით გათვალისწინებულ ადგილებში და ავარიულ სიტუაციებში, წინასწარდასახულ სამუხრუჭო $S_{\text{დ}}$ მანძილის ფარგლებში გაჩერებას.

აღნიშნულ, ხელოვნურად შექმნილ რეგულირებად წინააღმდეგობის ძალას სამუხრუჭო ძალა, ხოლო ამ ძალის მოქმედებით მატარებლის მოძრაობის პროცესს, დამუხრუჭების რეჟიმი ეწოდება.

თუ მატარებელი აღჭურვილია სამუხრუჭო საშუალებებით და მოძრაობს ΔH სიმაღლეთა სხვაობის მქონე ქანობზე V სიჩქარით, მის გასაჩერებლად საჭიროა დაკმაყოფილდეს პირობა

$$(B_{\text{დ.საჟ}} + W_{\text{დ.საჟ}})S_{\text{დ}} = \frac{mV^2}{2} + mg\Delta H, \quad (5.2)$$

სადაც, $B_{\text{დ.საჟ}}$ არის სიჩქარის ($V=0$) დიაპაზონში სამუხრუჭო ძალის საშუალო მნიშვნელობა.

$W_{\text{დ.საჟ}}$ – მატარებლის მოძრაობისადმი სრული წინააღმდეგობის ძალის მნიშვნელობა სიჩქარის ($V=0$) დიაპაზონში.

$S_{\text{დ}}$ – გწ. სამუხრუჭო მანძილი, ანუ მანძილი რომლის ფარგლებში ჩერდება მატარებელი.

მოყვანილ განტოლებიდან ჩანს, რომ მატარებლის მინიმალურ სამუხრუჭო მანძილში $S_{\text{დ}}\text{-ში}$ გასაჩერებლად (რაც პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოთხოვნაა), საჭიროა სამუხრუჭო ძალის $B_{\text{დ.საჟ}}$ სიდიდე იყოს რაც შეიძლება დიდი. როგორც წესი, ექსპლუატაციაში მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის მოთხოვნების უზრუნველყოფად, მატარებლის სამუხრუჭო საშუალებებით შექმნილი სამუხრუჭო ძალა

B დ.ს.ა, რამდენჯერმე აღემატება ლოკომოტივის წევის ძალას, რაც უზრუნველყოფს, შესაბამისი წონის მატარებლის, წინასწარ დასახულ სამუხრუჭო მანძილში გარანტირებულ გაჩერებას.

5.2. სამუხრუჭო სისტემების კლასიფიკაცია

თანამედროვე ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე, ძირითადად, გამოიყენება დამუხრუჭების ორი სისტემა – მექანიკური (ფრიქციული, ხახუნის პრინციპზე მომუშავე) და ელექტრული.

მექანიკურ სამუხრუჭო სისტემებში, მოძრავი მატარებლის კინეტიკური ენერგია გარდაიქმნება ხახუნის ძალთა მუშაობად და იხარჯება მოხახუნე ზედაპირების (არტახი-ხუნდი, დოლი-ხუნდი, დისკო-ფერადო) ცვეთაზე და გახურებაზე. ამ შემთხვევაში ეს ენერგია იკარგება აუნაზღაურებლად.

თავის მხრივ ელექტრული მუხრუჭები იყოფა ორ ჯგუფად:

1. ელექტროდინამიკური მუხრუჭები.
2. ელექტრომაგნიტური-სარელსო მუხრუჭები.

ელექტროდინამიკური დამუხრუჭების პრინციპი ემყარება ელექტრული მანქანების შექცევად რეჟიმში მუშაობის უნარს. ელექტრული დამუხრუჭების დროს, ელექტრული მოძრავი შემადგენლობის წევის ძრავები გადადიან გენერატორულ რეჟიმში.

მატარებლის კინეტიკური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად, რომელიც შთაინოქმება სპეციალურ სამუხრუჭო რეოსტატებში და გამოიყოფა სითბოს სახით. ასეთი ტიპის ელექტრულ დამუხრუჭებას უწოდებენ ე.წ. რეოსტატულ დამუხრუჭებას. თუ ელექტრული დამუხრუჭების რეჟიმში გამომუშავებულ ელექტროენერგია გადაეცემა უკან მკვებავ ქსელში და მოიხმარება სხვა მომხმარებლის მიერ, ასეთი ტიპის ელექტრულ დამუხრუჭებას უწოდებენ ე.წ. რეგულაციულ დამუხრუჭებას.

ელექტროდინამიკური მუხრუჭები დეტალურად განხილული იქნება ქვემოთ.

ელექტრომაგნიტური-სარელსო დამუხრუჭების დროს სამუხრუჭო ხუნდები, ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით მიზიდება რელსის მიერ და სამუხრუჭო ძალის წარმოქმნას განაპირობებს მათ შორის სრიალის ხახუნი. ამ საკითხს დეტალურად განვიხილავთ ქვემოთ.


პერსპექტივაში, ე.წ. მაგნიტური ჩამოკიდების მქონე მატარებლებში, შეიძლება გამოყენებული იყოს დამუხრუჭების ელექტრომაგნიტური სისტემა. ამ სისტემის მუხრუჭებში სამუხრუჭო ძალა წარმოიშვება, მოძრავი მატარებლის და უძრავი სარელსო გზის მაგნიტური ნაკადების ურთიერთქმედებით.

განხილული სამუხრუჭო სისტემებიდან, დღეს სარკინიგზო ტრანსპორტისათვის ყველაზე საიმედო და ეფექტური სახის მუხრუჭად ითვლება მექანიკური დამუხრუჭების სისტემა, რომლითაც აღჭურვილია მოძრავი შემადგენლობის ყველა ერთეული.

5.3. მექანიკური დამუხრუჭება

სამუხრუჭო ძალის შექმნის ხერხების მიხედვით გვაქვს მექანიკური დამუხრუჭების თვალ-ხუნდებიანი, დოლური და დისკური სისტემები.


თვალ-ხუნდებიანი სისტემებით დამუხრუჭების დროს, სამუხრუჭო ძალა წარმოიქმნება სამუხრუჭო ხუნდების წყვილთვალის არტახებზე დაწოლით. სამუხრუჭო ხუნდების დაწოლა შეიძლება იყოს ცალმხრივი, ან ორმხრივი (ნახ. 5.1). ვინაიდან ასეთი სისტემა ითვლება სარკინიგზო ტრანსპორტზე ძირითად სამუხრუჭო სისტემად, ამიტომ მას დეტალურად განვიხილავთ ქვემოთ.




ნახ. 5.1. თვალ-ხუნდებიანი მუხრუჭის სქემა: а) ცალმხრივი, б) ორმხრივი.

დოლური მუხრუჭების პრინციპული განსხვავებაა ის, რომ გამოიყენება წყვილთვალის ღერძზე ან თვალზე დამაგრებული სპეციალური სამუხრუჭო დოლები, რომლებზეც სამუხრუჭო ხუნდები აჭერს რადიალურად გარედან (ნახ. 5.2, а, ბ) ან შიგნიდან (ნახ. 5.2, გ). ამ ტიპის მუხრუჭების გამოყენების დროს არ ხდება არტახების პროფილების ზედაპირის გახურება და ზედმეტი ცვეთა, რაც ზრდის წყვილთვალების რემონტთაშორის გარენებს. ნაკლს მიეკუთვნება ის, რომ რთულდება კონსტრუქცია და შესაბამისად მცირდება მათი მუშაობის საიმედოობა.

დისკური მუხრუჭების მუშაობის პრინციპი ნაჩვენებია ნახ. 5.3-ზე. ლოკომოტივის თვლების ცენტრზე დამაგრებულია სამუხრუჭო დისკები, რომლებსაც ორივე მხრიდან, სპეციალური ბერკეტული სისტემების მეშვეობით, აჭერს ფრიქციული ზესადებები (ფერადო), რომლებიც ქმნიან ხახუნის ძალას და, შესაბამისად, სამუხრუჭო მომენტს. ეს მომენტი რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე თვალ-ხუნდიან მუხრუჭებში, რადგან დისკების



ნახ. 5.2. დოლური მუხრუჭის სქემა: а) სამუხრუჭო დოლი განთავსებულია დერძზე, ბ) სამუხრუჭო დოლი მოთავსებულია თვალის ცენტრზე, გ) სამუხრუჭო ხუნდების დაწოლა შიგნით.



ნახ. 5.3. დისკური მუხრუჭის სქემა.

დიამეტრი ბევრად ნაკლებია თვლის არტანის დიამეტრზე. დისკური მუხრუჭები განსაკუთრებით ეფექტურია მაღალი სიჩქარეების (200 კმ/სთ და მეტი) დროს. მისი გამოყენება, აგრეთვე, ზრდის წყვილთვალების რემონტაშორის გარბენებს. ნაკლია ის, რომ ექსპლუატაციაში მოითხოვს ხშირ მომსახურეობას და შედარებით ნაკლებსაიმედოა.

მექანიკური მუხლები განსხვავდებიან ამძრავების ტიპის მიხედვით. განასხვავები: **ანეგმატიკური, ელექტოპენეგმატიკური, ხელის და ჰიდრავლიკური** მუხლების.

მექანიკური დამუხლების **ანეგმატიკური სისტემებში**, სამუხლო მაგისტრალში წნევის დაცემისას, სამუხლო ცილინდრებში ჰაერი შედის სამარაგე რეზერვუარებიდან. დგუშებს მოძრაობაში მოჰყავს ბერკეტული სისტემა, რომლის მეშვეობით სამუხლო ხუნდი აწვება წყვილთვალის არტას. ე.ი. ანეგმატიკური მუხლის მუშა სხეულს წარმოადგენს დაჭირხნული ჰაერი. ექსპლუატაციაში მაღალი საიმედოობის გამო, ის წარმოადგენს მექანიკური მუხლის ამძრავ ძირითად სისტემას.

დამუხლების **ელექტროპენეგმატიკური სისტემებში**, ჰაერთან ერთად, გამოიყენება ელექტრული დენი. სპეციალური ელექტრო ჰაერგამნაწილებლები ელექტრული სიგნალების მიხედვით არეგულირებენ წნევას სამუხლო ცილინდრებში, ხუნდების დაწოლას არტახებზე და, შესაბამისად, სამუხლო ძალას. ელექტროპენეგმატური მუხლის გამოყენება მნიშვნელოვნად აჩქარებს მუხლების ამოქმედებას. ასეთი მუხლებით აღჭურვილია სამგზავრო ვაგონები, ელექტრომატარებლები და ცალკეული ლოკომოტივები.

ხელის მუხლებით აღჭურვილია ლოკომოტივები, ელექტრომატარებლები, სამგზავრო ვაგონები და სატვირთო ვაგონების ნაწილი. ასეთი მუხლები გამოიყენება მოძრავი შემადგენლობის ადგილზე დასამაგრებლად.


ჰიდრავლიკურ მუხლებში, სამუხლო საშუალებების მოძრაობაში მოსაყვანად, გამოყენებულია სპეციალური სამუხლო სითხე. ამ ტიპის მუხლები ფართოდ გამოიყენება ავტოტრანსპორტზე.

5.4. სამუხლო ძალის წარმოქმნის მექანიზმი

განვიხილოთ სამუხლო ძალის წარმოქმნის მექანიზმი ფრიქციული (ხახუნის პრინციპზე მომუშავე) მუხლების შემთხვევაში (ნახ. 5.4).

ფრიქციული (მექანიკური) დამუხლების დროს, სამუხლებები ცილინდრიდან გამოსული 4 ჭოკი, 1-სამუხლო ხუნდს აწვება K ძალით. 1 ხუნდისა და 2-არტახის შეხების ზონაში წარმოშვება მხები მიმართულებით მიმართული ხახუნის ძალა $B = K\varphi_k$, ხადაც φ_k არის არტახისა და ხუნდს შორის ხახუნის კოეფიციენტი. წარმოქმნილი ხახუნის ძალა ქმნის დამამუხლებელ მომენტს $M_{\text{და}}$. ეს მომენტი, მექანიკის კანონების თანახმად, შეგვიძლია წარმოვადგინოთ B_1B_2 წყვილძალის სახით. B_2 ძალა, რომელიც მოდებულია არტახის და რელსის შეხების გამრბენ T წერტილში, ცდილობს დაიჭიროს ეს უკანასკნელი, მაგრამ B_2 ძალის მოქმედებას

ანეიტრალურს მისი ტოლი და საწინააღმდეგოდ მიმართული რელსის რეაქციის



ნახ. 5.4. სამუხრუჭო ძალის წარმოქმნის მექანიზმი.

ძალა $B_{\text{ჩაჭ}}$. გაუწონასწორებელი რჩება O წერტილში მოდებული და მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიმართული B_1 ძალა, რომელიც წარმოადგენს სამუხრუჭო ძალას (ნახ. 5.4).

ერთ ხუნდზე შექმნილი სამუხრუჭო ძალა ტოლია

$$B_b = 1000 K_b \varphi_k \text{ ნ, (გვ).} \quad (5.3)$$

მთელი მატარებლის სამუხრუჭო ძალა

$$B_a = 1000 \sum K_b \varphi_k \text{ ნ, (გვ).} \quad (5.4)$$

ხვედრითი სამუხრუჭო ძალა ტოლია

$$b_a = \frac{B_a}{P+Q} = \frac{1000 \sum K_b \varphi_k}{P+Q} \frac{\text{ნ}}{\text{გვ}}, \left(\frac{\partial \delta}{\partial} \right). \quad (5.5)$$

სადაც, P და Q შესაბამისად არის ლოკომოტივის და შემადგენლობის წონა კნ-ში.

სახუნის კოეფიციენტი φ_k დამოკიდებულია არტანის და ხუნდის მასალაზე, მათი ზედაპირების მდგომარეობაზე, ტემპერატურაზე, მოძრაობის სიჩქარეზე, ხუნდის დაწოლის K_b ძალაზე.

დღეისათვის რკინიგზის ტრანსპორტზე გამოიყენება **სტანდარტული თუჭის, ფოსფორის მაღალი შემცველობის მქონე თუჭის** და **კომპოზიციური ხუნდები**. სახუნის კოეფიციენტი φ_k ჩამოთვლილი ხუნდებისათვის სიჩქარის V და დაწოლის ძალის K_b ზრდისას მცირდება. ეს აიხსნება იმით, რომ ბორბალსა და ხუნდს შორის სახუნით გამოყოფილი სითბოს რაოდენობა იზრდება, კონტაქტში მყოფი ზედაპირები რბილდებიან, უფრო პლასტიკური ხდებიან, რაც იწვევს სამუხრუჭო ეფექტის შემცირებას.

φ_k სახუნის კოეფიციენტის განსაზღვრა ხდება ცალკეული ტიპის ხუნდებისათვის შესაბამისი ემპირიული (ცდების შედეგებით მიღებული) ფორმულის საშუალებით. კერძოდ:

- **სტანდარტული თუჭის ხუნდებისათვის**

$$\varphi_k = 0.6 \frac{16K + 100}{80K + 100} \cdot \frac{V + 100}{5V + 100}. \quad (5.6)$$

- **ფოსფორიანი თუჭის ხუნდებისათვის**

$$\varphi_k = 0.5 \frac{16K + 100}{52K + 100} \cdot \frac{V + 100}{5V + 100}. \quad (5.7)$$

- კომპოზიციური ხუნდებისათვის

$$\varphi_k = 0.44 \frac{K+20}{4K+20} \cdot \frac{V+150}{2V+150}. \quad (5.8)$$

როგორც (5.6) ფორმულიდან ჩანს სიჩქარის ზრდის დროს სტანდარტული თუკის ხუნდებისათვის ხახუნის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მცირდება. ასეთი ტიპის ხუნდების ნაკლს მიეკუთვნება, აგრეთვე, მათი ცვეთის დიდი ინტენსივობა, განსაკუთრებით მაღალი სიჩქარეების დროს.

კომპოზიციურ ხუნდებს ამზადებენ აზბესტ-კაუჩუკის შემცველ მასალისაგან. მათ, თუკის ხუნდებთან შედარებით, აქვთ რამდენჯერმე მაღალი ხახუნის კოეფიციენტი (განსაკუთრებით მაღალი სიჩქარეების ზონაში), მათი ცვეთამედეგობა 3-4 ჯერ მაღალია თუკისაზე. მაგრამ, გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც ზღუდავენ მათ ფართო გამოყენებას მოძრავ შემადგენლობაზე. კერძოდ, მათი დაბალი თბოგამტარობა იწვევს ხუნდისა და არტახის შეხების ზონაში ტემპერატურის მნიშვნელოვან ზრდას (300° -მდე), რამაც შეიძლება გამოიწვიოს არტახის მოშვება თვალზე ან თერმული მიკრობზარების წარმოქმნა. ზამთრის პერიოდში მოსალოდნელია ასეთი ხუნდების ზედაპირების დაფარვა ლიპინულით, რაც იწვევს სამუხრუჭო ეფექტის მკვეთრ შემცირებას. ამ და სხვა ნაკლოვანებების გამო ამ ტიპის ხუნდები გამოიყენება მხოლოდ სამგზავრო ვაგონებზე.

მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამუხრუჭო ძალის სიდიდეზე. დიდი სიდიდის სამუხრუჭო ძალას კი ძირითადად განაპირობებს სამუხრუჭო ხუნდების ჯამური დაწოლა ΣK . მაგრამ ჯამურ დაწოლას და მ.შ. მატარებლის სამუხრუჭო ძალას ზღუდავს ჩაჭიდება არტახისა და რელსს შორის.

5.5. წევის ძირითადი კანონი დამუხრუჭების რეჟიმისათვის. თვალის ჩასოლვა

დამუხრუჭების რეჟიმში არტახსა და რელსს შორის ჩაჭიდების ძალა განისაზღვრება ფორმულით

$$B_{\text{ჩაჭ}} = 1000G\Psi_{\text{ჩაჭ}}, \text{ ნ (კგ),} \quad (5.9)$$

სადაც, $\Psi_{\text{ჩაჭ}}$ არის არტახსა და რელსს შორის ჩაჭიდების კოეფიციენტი.

მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია – მოძრაობის სიჩქარეზე; რელსის და არტახის მასალაზე, მათი ზედაპირების მდგომარეობაზე, ატმოსფერულ მოვლენებზე, წყვილთვალის რელსზე დაწოლის ძალის G მნიშვნელობაზე და გაითვლება ემპირიული ფორმულებით, რომელსაც ზოგადად შეიძლება პქონდეს შემდეგი სახე

$$\Psi_{\text{ჩაჰ}} = a + \frac{b}{c + d \cdot V}, \quad (5.10)$$

სადაც, a, b, c, d არის კოეფიციენტები, რომლებიც კონკრეტული მნიშვნელობებს იძენენ კონკრეტული შემადგენლობისთვის და განისაზღვრებიან ცდების შედეგად მიღებული მონაცემებით.

ვ არის მოძრაობის სიჩქარე, კმ/სთ-ში.

იმისათვის რომ, დამუხრუჭების რეჟიმში შენარჩუნებული იქნეს წყვილთვალის ნორმალური გორვა რელსის ზედაპირზე, საჭიროა შესრულდეს პირობა

$$B_{\text{ჩაჰ}} > B_2. \quad (5.11)$$

(5.11) გამოსახულებას წევის ძირითადი კანონი ეწოდება. თუ ეს პირობა დაირღვა, ე. ი. თუ $B_2 > B_{\text{ჩაჰ}}$, მაშინ მოხდება წყვილთვალის ჩასოლვა. თვალი შეწყვეტს გორვას და დაიწყებს რელსის ზედაპირზე სრიალს. ეს მოვლენა სარელსო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში ძალზე არასასურველია, რადგან ერთი მხრივ იწვევს არტახისა და რელსის ზედაპირების ინტენსიურ ცვეთას და მეორე მხრივ ამცირებს დამუხრუჭების ეფექტს (რადგან გორვის ხახუნს ენაცვლება სრიალის ხახუნი, რომლის კოეფიციენტი რაოდენობრივად ნაკლებია გორვის ხახუნის კოეფიციენტზე), ეს კი ამცირებს სამუხრუჭო ძალის სიდიდეს და ზრდის სამუხრუჭო მანძილს.

წევის ძირითადი კანონი თვალის მიმართ შეიძლება ჩავწეროთ ასე

$$B_{\text{ოვ}} = 1000 K_{\text{ოვ}} \varphi_{k_{\text{ოვ}}} \leq 1000 G_{\text{ოვ}} \Psi_{\text{ოვ}} \quad (5.12)$$

ანუ

$$K_{\text{ოვ}} \varphi_{k_{\text{ოვ}}} \leq G_{\text{ოვ}} \Psi_{\text{ოვ}}.$$


თვალის ნორმალური გორვის ზღვრული პირობა იქნება

$$K_{\text{ოვ}} \varphi_{k_{\text{ოვ}}} = G_{\text{ოვ}} \Psi_{\text{ოვ}}, \quad \text{აქედან}$$

$$\frac{K_{\text{ოვ}}}{G_{\text{ოვ}}} = \frac{\Psi_{\text{ოვ}}}{\varphi_{k_{\text{ოვ}}}}. \quad (5.13)$$

ფარდობას $\frac{K_{\text{ოვ}}}{G_{\text{ოვ}}} = \delta$ და უწოდებენ ხუნდების დაწოლის კოეფიციენტს. შინაარსობრივად ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს მატარებლის წონის რა პროცენტს შეადგენს ხუნდებზე დაწოლის ჯამური ძალა. (5.13) გამოსახულებიდან ჩანს, რომ ხუნდების

დაწოლის კოეფიციენტი დამოკიდებულია $\frac{\Psi_{\text{ოვ}}}{\varphi_{k_{\text{ოვ}}}}$ ფარდობაზე. ამ კოეფიციენტების მნიშვნელობა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია მოძრაობის სიჩქარეზე, ხუნდების მასალაზე და ამინდზე.



ხას. 5.5. ჩაჭიდების Ψ_k და ხუცის ხახუნის φ_k კოეფიციენტების დამოკიდებულება სიჩქარეზე.

სატვირთო მატარებლებისათვის $\delta = 0.60$,

სამგზავრო მატარებლებისათვის $\delta = 0.7-0.75$,

ლოკომოტივებისათვის $\delta = 0.5-0.6$.

5.6. მატარებლის სამუხრუჭო ძალის გაანგარიშება

მატარებლის სრული სამუხრუჭო ძალა გაითვლება ფორმულით

$$B_a = 1000 \sum K_b \varphi_k \text{ ნ, (5.14)}$$

სადაც, K_b არის ღერძზე სამუხრუჭო სუნდების დაწოლა კნ-ში.

თუ მივიღებთ, ხახუნის კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობა მატარებელში არსებული ყველა ღერძისათვის ერთნაირია, მაშინ (5.14) შეგვიძლია ჩავტეროთ როგორც

$$B_a = 1000 \varphi_k \sum K_b \text{ ნ, (5.15)}$$

პრაქტიკაში ხშირად სარგებლობენ მატარებლის ხედრითი სამუხრუჭო ძალის მნიშვნელობით, რომელიც მიიღება (5.15) ფორმულის გაყოფით მატარებლის სრულ წონაზე

$$b_a = \frac{1000 \varphi_k \sum K_b}{P+Q} \frac{\text{ნ}}{\text{ბ}}, \left(\frac{\text{ბ}}{\text{ბ}} \right), \quad (5.16)$$

სიდიდეს $\frac{\sum K_b}{P+Q} = \theta$ უწოდებენ ნამდვილ სამუხრუჭო კოეფიციენტს.

აღნიშნულის გათვალისწინებით (5.15) განტოლება მიიღებს სახეს

$$b = 1000 \varphi_k \theta. \quad (5.16)'$$

როგორც კვლევებმა აჩვენა, სიჩქარის ზრდის დროს ჩაჭიდების კოეფიციენტი ψ_k მცირდება უფრო ნელა [მრუდი $\Psi_k = f(V)$], ვიდრე ხახუნის კოეფიციენტი φ_k [მრუდი $\varphi_k = f(V)$] (ხას. 5.5). როგორც ნახაზიდან ჩანს ჩასოლვის (იუზის) ყველაზე დიდი საშიშროებაა დაბალი სიჩქარეების $V < V_A$ დროს.

იმისთვის, რომ ჩასოლვის ალბათობა იყოს მინიმალური, დაწოლის კოეფიციენტს ზღუდავენ ქვემოთ მოყვანილ ფარგლებში:

შინაარსობრივად **სამუხრუჭო კოეფიციენტი** გვიჩვენებს სამუხრუჭო ხუნდებზე დაწოლის რა ძალა მოდის მატარებლის ერთეულ წონაზე. ის ყოველთვის 1-ზე ნაკლები სიდიდეა და არაა დამოკიდებული სიჩქარეზე. თუ მატარებელში არსებული ყველა დერძი აღჭურვილია მუხრუჭებით, მაშინ **სამუხრუჭო კოეფიციენტი ტოლია** ხუნდების დაწოლის კოეფიციენტის. გ.ი.

$$\theta = \delta.$$

(5.15) და (5.16)' ფორმულებით გაითვლება სამუხრუჭო ძალის მნიშვნელობა, მატარებელში არსებულ ცალკეული ჯგუფის გაგონებისათვის ცალ-ცალკე და შემდეგ ხდება მათი შეკრება მთელი მატარებლისათვის.

სამუხრუჭო ძალის ზემოგანხილული მეთოდი მისაღებია პრაქტიკული გაანგარიშებების დროს, თუ მატარებელი შედგება ერთნაირი ტიპის, დაახლოებით ერთნაირი წონის გაგონებისაგან (მაგალითად სამგზავრო მატარებლებისთვის).

თუ მატარებელი შედგება სხვადასხვა დაწოლის კოეფიციენტების მქონე ვაგონებისაგან, მაშინ გაანგარიშება უნდა ჩატარდეს ცალკე ცალკეული ხუნდებისათვის, რაც ართულებს გაანგარიშებას და ზრდის მის მოცულობას.

ასეთ შემთხვევებში, ანგარიშის გაიოლების მიზნით, მიმართავენ ე.წ. **დაყვანის (გაერთმნიშვნელიანების)** მეთოდს. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნამდვილ ხახუნის კოეფიციენტს φ_k და ნამდვილ დაწოლის ძალას K -ს ცვლიან მათი საანგარიშო მნიშვნელობებით $\varphi_{k\text{საან}}$. და $K_{\text{საან}}$.

იმისათვის, რომ ამ დროს შევინარჩუნოთ ნამდვილი სამუხრუჭო ძალის მნიშვნელობა, საჭიროა დაცული იქნეს პირობა

$$\begin{aligned} 1000 \sum_{\text{ანუ}} K_b \varphi_k &= 1000 \varphi_{k\text{საან}} \sum K_{\text{საან}} \\ K \varphi_k &= K_{\text{საან}} \varphi_{k\text{საან}}. \end{aligned} \quad (5.17)$$

ხახუნის საანგარიშო კოეფიციენტს შესაბამისი ტიპის ხუნდებისათვის განსაზღვრავენ (5.6), (5.7), (5.8) ფორმულებიდან შესაბამისი ფორმულით, რომელშიც მაგალითად, თუჯის ხუნდების მქონე ყველა ტიპის გაგონისათვის, დაწოლის ძალის საშუალო მნიშვნელობა აიღება ერთნაირი და ტოლი $K = 26.5$ კნ. აღნიშნულის გათვალისწინებით (5.6) ფორმულა მიიღებს სახეს

$$\varphi_{k\text{საან}} = 0.27 \frac{(V+100)}{5V+100}. \quad (5.18)$$

(5.17) ფორმულიდან განვსაზღვროთ $K_{\text{საან}}$.

$$K_{\text{საან}} = \frac{K \varphi_k}{\varphi_{k\text{საან}}}. \quad (5.19)$$

თუ (5.19) ფორმულაში შევიტანო φ_k და $\varphi_{k_{\text{სას}}}$ მნიშვნელობებს მივიღებთ

$$K_{\text{სას}} = 2.22K \frac{16K + 100}{80K + 100}. \quad (5.20)$$

ფოსფორშემცველი თუჯის ხუნდებისათვის ანალოგიურად მივიღებთ

$$K_{\text{სას}} = 1.67K \frac{16K + 100}{52K + 100}. \quad (5.21)$$

კომპოზიციური ხუნდებისათვის

$$K_{\text{სას}} = 1.22K \frac{K + 20}{4K + 20}. \quad (5.22)$$

ყოველივე ზემოდ აღნიშნულის გათვალისწინებით, მატარებლის სამუხრუჭო ძალა (5.15) და (5.16)' ფორმულის ნაცვლად იანგარიშება ფორმულებით:

სრული სამუხრუჭო ძალა

$$B_g = 1000\varphi_{k_{\text{სას}}} \sum K_{\text{სას}}. \quad (5.23)$$

ხვედრითი სამუხრუჭო ძალა

$$b = \frac{1000\varphi_{k_{\text{სას}}} \cdot \sum K_{\text{სას}}}{P+Q} \cdot \frac{6}{\delta^6}, \left(\frac{\delta\delta}{\delta} \right). \quad (5.24)$$

ფარდობას $\frac{\sum K_{\text{სას}}}{P+Q}$ -ს უწოდებენ საანგარიშო სამუხრუჭო კოეფიციენტს.

საბოლოოდ მატარებლის ხვედრითი სამუხრუჭო ძალა ტოლია

$$b = 1000\varphi_{k_{\text{სას}}} \theta_{\text{სას}} \cdot \frac{6}{\delta^6}, \left(\frac{\delta\delta}{\delta} \right). \quad (5.25)$$

VI თავი

მუდმივი დენის ელექტრომოძრავის შემაღგენლობის წევის მახასიათებლები


ელექტრომავლის წევის მახასიათებლები წარმოადგენენ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას ლოკომოტივის წევის ძალასა F და სიჩქარეს V შორის $F(V)$, რეგულირების სხვადასხვა საფეხურისათვის. წევის მახასიათებლების საშუალებით განისაზღვრება ელექტრომავლის შესაძლებლობები, რომლებიც შემდგომში საფუძვლად უდევს წევის ანგარიშების ჩატარებას (მატარებლების წონის, მოძრაობის სიჩქარეების, სვლის დროების, ენერგიის ხარჯის და ა.შ. განსაზღვრას). წევის მახასიათებლების აგება წარმოებს ელექტრული წევის ძრავების ელექტრომექანიკური მახასიათებლების საფუძველზე.

6.1. მუდმივი დენის წევის ძრავების კლასიფიკაცია და ელექტრომექანიკური მახასიათებლების აგება

ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლები წარმოადგენენ ფუნქციონალურ დამოკიდებულებებს – ძრავას ბრუნთა რიცხვს n და მოხმარებულ დენს I შორის $n(I)$, რომელსაც ეწოდება სიჩქარის მახასიათებელი. ძრავას მიერ განვითარებულ მომენტს M და დენს I შორის $M(I)$, რომელსაც ეწოდება მომენტის (წევის ძალის) მახასიათებელი. ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტსა (მოკლედ მ.ქ.η) და დენს I შორის, $\eta(I)$, რომელსაც უწოდებენ ძრავას მ.ქ.კ-ის მახასიათებელს.

წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების ფორმა და რაოდენობრივი მხარე დამოკიდებულია ძრავას ტიპზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ძრავას ღუზის დენსა და მის მაგნიტურ (აგზების) სისტემას შორის არსებულ კავშირზე. აღნიშნულის მიხედვით განასხვავებენ 4 ტიპის მუდმივი დენის წევის ძრავას:

1. მიმდევრობით აგზებიანი წევის ძრავა (ნახ. 6.1, а), რომელშიც აგზების გრაგნილი (აგ) ელექტრულად ჩართულია ღუზის გრაგნილის (ღგ-ის) მიმდევრობით.
2. პარალელურ აგზებიანი წევის ძრავა (ნახ. 6.1, б), რომელშიც აგზების გრაგნილი (აგ) ჩართულია ღუზის გრაგნილის (ღგ-ის) პარალელურად.
3. დამოუკიდებელ აგზებიანი ძრავა (ნახ. 6.1, გ), სადაც აგზების და ღუზის გრაგნილს შორის არის მხოლოდ მაგნიტური კავშირი.
4. შერეულ აგზებიანი ძრავა (ნახ. 6.1, დ), სადაც გვაქვს აგზების ორი გრაგნილი: მიმდევრობითი აგ-1 და პარალელური აგ-2.



ნახ. 6.1. α) მიმდევრობით აგზნებიანი, β) პარალელურ აგზნებიანი,
γ) დამოუკიდებელ აგზნებიანი, δ) შერეულ აგზნებიანი.

ჩამოთვლილ ძრავას ტიპებიდან დღეისათვის ელექტრულ წევაში ფართოდ გამოიყენება მიმდევრობით აგზნებიანი (96%) და დამოუკიდებელ აგზნებიანი (4%) წევის ძრავა. ამიტომ, ელექტრომექანიკური მახასიათებლების აგებას დაწვრილებით განვიხილავთ მხოლოდ ამ ძრავებისათვის.

დღემდე, ყველა სასწავლო სახელმძღვანელოში მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავების ელექტრომექანიკური მახასიათებლებს აგებენ პრაქტიკული ანგარიშებისათვის საკმარისი სიზუსტის მქონე გრაფო-ანალიზური მეთოდით. ერთდროულად შესაძლებელია განვიხილოთ ასეთივე საკმარისი სიზუსტის მქონე გაანგარიშების კიდევ ორი მეთოდი – ანალიზური მეთოდი და თანამედროვე პერსონალურ კომპიუტერზე სპეციალური პროგრამით გათვლის მეთოდი.

წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების აგება შესაძლებელია, როგორც ექსპერიმენტალურად, აღტული ძრავას სტენდზე გამოცდის გზით (ძრავას მიაერთებენ ქსელთან, ცვლიან დატვირთვის დენს და ხელსაწყოების ჩვენებით აიღებენ შესაბამისი სიდიდეების მნიშვნელობებს), ასევე თეორიული გათვლების გზით, თუ წინასწარ მოცემული გვექნება ძრავას დამაგნიტების მრუდი $C_e \Phi(I)$ (იხ. ნახ. 6.2, ა).

6.2. მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების აგება გრაფო-ანალიზური მეთოდით

ა) სიჩქარის მახასიათებელი $n(I)$

მიმდევრობით აგზნებიანი ძრავასათვის ძაბვათა ბალანსის განტოლებას აქვს სახე

$$U = E + IR, \quad (6.1)$$

სადაც, E არის ძრავას უკუმელესებრომამოძრავებელი ძალა და ტოლია

$$E = C_e \Phi n$$

I – ძრავაში გამავალი დენი, ამპერებში.

R – ძრავას გრაგნილების ჯამური აქტიური წინადობა, ომებში.

U – ძრავაზე მოდებული ძაბვა, კოლტებში.

$C_e = pN/60\alpha$ – ძრავას კონსტრუქციული მუდმივა.

p – ძრავას წყვილ პოლუსთა რიცხვი.

N – ღუზის გამტართა რიცხვი.

α – პარალელურ შტოთა რიცხვი.

Φ – ძრავას აგზების სისტემის მიერ შექმნილი მაგნიტური ნაკადი.

n – ძრავას ბრუნვის სიხშირე ბრ/წთ-ში.

თუ (6.1) ფორმულაში შევიტანო E -ს მნიშვნელობას და განვსაზღვრავთ n -ს,

$$\text{მივიღებთ} \quad n = \frac{U - IR}{C_e \Phi} \quad \frac{\text{ბრ}}{\text{წთ}}. \quad (6.2)$$

(6.2) ფორმულით შეგვიძლია ავაგოთ სიჩქარის მახასიათებელი ძრავას ლილვის მიმართ, მოცემული დამაგნიტების მრუდისათვის $C_e \Phi(I)$, შემდეგი თანმიმდევრობით;

კუშებთ ძრავას დენის მნიშვნელობას I_1 -ს. ნახ. 6.2, ა-დან ვსაზღვრავთ ამ დენის შესაბამის მაგნიტურ ნაკადს $C_e \Phi_1$ -ს და (6.2) ფორმულით ვსაზღვრავთ აღვებული დენის შესაბამის ბრუნთა რიცხვს n_1 -ს.

$$n_1 = \frac{U - I_1 R}{C_e \Phi_1}.$$

გვოულობთ საძიებელი მახასიათებლის 1 წერტილს (ნახ. 6.2, ბ). ძაბვა U და წინადობა R წინასწარ ცნობილია. შემდეგ კუშებთ დენის მნიშვნელობას I_2 -ს. ნახ. 6.2, ა-დან ვსაზღვრავთ მის შესაბამის მაგნიტურ ნაკადს $C_e \Phi_2$ -ს და (6.2) ფორმულით განვსაზღვრავთ ბრუნთა რიცხვს n_2 -ს.

$$n_2 = \frac{U - I_2 R}{C_e \Phi_2}.$$

ვიღებთ საძიებელი მახასიათებლის 2 წერტილს და ა.შ. მიღებული მონაცემებით ვაგებთ საძიებელ სიჩქარის მახასიათებელს $n(I)$ (ნახ. 6.2, ბ).

ხაზური სიჩქარე წყვილთვალის არტახისა და რელსის შეხების ზონაში განისაზღვრება ფორმულით

$$V = \frac{\pi D_o \cdot n_o}{60} \quad \frac{\partial}{\partial} \text{-ში}, \quad (6.3)$$

სადაც D_o არის თვალის დიამეტრი, მეტრებში;

n_o – თვალის ბრუნთა რიცხვი ბრ/წთ-ში, რომელიც განისაზღვრება, როგორც $n_o = n/\mu$,
 სადაც μ – კბილანა რედუქტორის გადაცემის რიცხვია, n – ძრავას ბრუნთა რიცხვი
 წუთში.

$$\pi = 3.14.$$

60 – წუთების წამებში გადამყვანი კოეფიციენტი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხაზური სიჩქარე ჩვენ გვჭირდება პრაქტიკულ
 კმ/სთ განზომილებაში, მაშინ უნდა შემოვიღოთ მ/წთ-იდან კმ/სთ-ში გადამყვანი
 კოეფიციენტი $3600/1000 = 3,6$ (ერთ საათში 3600 წამია, ხოლო 1 კმ-ში 1000 მეტრია).
 აღნიშნულის გათვალისწინებით (6.3) ფორმულის გამოსახულება მიიღებს ასეთ
 სახეს

$$V = \frac{3,6 \cdot 3,14 D_o n}{60 \mu} = \frac{0,188 D_o n}{\mu} \frac{\text{კმ}}{\text{სთ}}. \quad (6.4)$$

წევის ძრავას წყვილთვალის ფერსოს მიმართ სიჩქარის მახასიათებლის $V(I)$
 გასათვლელი ფორმულის მისაღებად (6.4) გამოსახულებაში ჩავსვათ (6.2) გამო-
 სახულება. მივიღებთ

$$V = \frac{0,188 D_o (U - I_d R_d)}{\mu C_e \Phi}. \quad (6.5)$$

თუ მოცემული ტიპის ელექტრომოძრავი შემადგენლობისთვის მუდმივ პარამეტ-
 რებს აღვნიშნავთ

$$C = \frac{C_e \mu}{0,188 D_o}, \quad (6.6)$$

მივიღებთ სიჩქარის მახასიათებლის განტოლებას

$$V = \frac{U - I_d R_d}{C_e \Phi}. \quad (6.7)$$

ბ) მომენტის მახასიათებელი $M(I)$.

ძრავას მაბრუნებელი მომენტი განისაზღვრება ფორმულით

$$M = C_M \Phi I, \quad (6.8)$$


$$C_M = \frac{pN}{2\pi\alpha}; \quad \frac{C_M}{C_e} = \frac{\frac{pN}{2\pi\alpha}}{\frac{pN}{60\alpha}} = 9,55,$$

აქედან

$$C_M = C_e \cdot 9,55. \quad (6.8)^1$$

ვუშვებთ ძრავას დენის მნიშვნელობას I_1 -ს. ძრავას დამაგნიტების მრუდიდან
 (ნახ. 6.2, ა), ვსაზღვრავთ $C_e \Phi_1$ -ს და (6.8)¹ ფორმულით გამოვითვლით C_M , შემდეგ
 კი (6.8) ფორმულით მაბრუნებელ მომენტს $M_1 = C_M \Phi_1 I_1$ -ს. ვიღებთ საძიებელი

მახასიათებლის 11 წერტილს. დენის I_2 მნიშვნელობისთვის $C_M \Phi_2$ -ს, $M_2 = C_M \Phi_2 I_2$ -ს, გაგებთ საძიებელი მახასიათებლის 12 წერტილს და ა.შ. მიღებული კოორდინატებით გაგებთ საძიებელ მომენტის მახასიათებელს $M(I)$ (ნახ. 6.2, ბ).



ნახ. 6.2. მუდმივი დენის წევის ძრავას ელექტრომექანიკურ მახასიათებლების აგების თანმიმდევრობა.

გ) მარგი ქმედების კოეფიციენტის (მქპ) მახასიათებელი $\eta(I)$.

ამ მახასიათებლის არსის გასაგებად, გავიხსენოთ მ.ქ.პ-ის ცნება, რომელიც წევის ძრავასათვის შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

წევის ძრავას მ.ქ.პ არის სასარგებლოდ დახარჯული მუშაობის ფარდობა, ძრავას მიერ მთლიანად შესრულებულ მუშაობასთან, რაც ჩაიწერება ასე

$$\eta = \frac{A_{\text{სა}}}{A_{\text{მო}}} . \quad (6.9)$$

გამოვსახოთ მუშაობა სიმძლავრის და დროის ნამრავლით $A = Pt$. მაშინ

$$\eta = \frac{P_{\text{სა}} t}{P_{\text{მო}} t} = \frac{P_{\text{სა}} - \sum \Delta P}{P_{\text{მო}}}, \quad (6.10.)$$

სადაც, $P_{\text{სა}}$ არის ძრავას მიერ განვითარებული სასარგებლო სიმძლავრე.

$P_{\text{მო}}$ – ძრავას მიერ განვითარებული სრული სიმძლავრე.

$\sum \Delta P$ – სიმძლავრის ჯამური დანაკარგები ძრავაში.

$$\sum \Delta P = \Delta P_{\text{აე}} + \Delta P_{\text{აგ}} + \Delta P_{\text{ელე}}$$

$\Delta P_{\text{აე}}$ – ძრავაში სიმძლავრის მექანიკური კარგები. განპირობებულია ხახუნით საკისრებში,

ჰაერსა და მბრუნავ ლუზას შორის.


$\Delta P_{\text{лвб.}}$ – ძრავაში სიმძლავრის მაგნიტური კარგები. განპირობებულია დანაკარგებით ფოლადში, გრიგალურ დენტზე და პისტერეზისზე.

$\Delta P_{\text{ელექტ.}}$ – ძრავაში სიმძლავრის ელექტრული კარგები. განპირობებულია კარგებით ძრავას გრაგნილების აქტიურ წინააღმდეგობებში.

$$\Delta P_{\text{ელექტ.}} = IR_{\text{დრ.}} \cdot I = I^2 R_{\text{დრ.}}$$

ძრავას დენის I_1 მნიშვნელობებისათვის განვსაზღვრავთ დანაკარგებს $\Delta P_{\text{ელ.}}$,

$\Delta P_{\text{ლაგ.}}, \Delta P_{\text{ელექტ.}}$, შემდეგ გავთვლით მათ ჯამს.



ნახ. 6.3. პარალელურ აგზებიანი ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების აგება.

$\sum \Delta P_1 = \Delta P_{\text{ელ.}} + \Delta P_{\text{ლაგ.}} + \Delta P_{\text{ელექტ.}}$
და (6.10)-ე ფორმულით ვანგარიშობთ
შესაბამის მ.ქ.კ.-ის მნიშვნელობას
 $\eta_1 = \frac{P_{\text{მთ.}} - \sum \Delta P_1}{P_{\text{მთ.}}}$

და ვაგებთ საძიებელ მ.ქ.კ.-ის
მახასიათებლის 21 წერტილს (ნახ.
6.2, ბ). ანალოგიურად ვახდენთ
გაანგარიშებას $I_2; I_3$ და ა.შ. დენის
მნიშვნელობებისათვის. (22, 23 და ა.შ
წერტილები). 21, 22, 23 წერტილების
მდოვრე მრუდით შეერთება მოგვცემს
საძიებელ $\eta(I)$ მახასიათებელს
(ნახ. 6.2, ბ).

ანალოგიური მიდგომით შეგვიძლია გავთვალოთ და ავაგოთ ელექტრომექანიკური მახასიათებლები პარალელური აგზების მქონე ძრავასათვის თუ დაგწერთ,
რომ

$$n = \frac{U - I_d R_d}{C_e \Phi_0} = \frac{U}{C_e \Phi_0} - \frac{I_d R_d}{C_e \Phi_0} = n_0 - \frac{I_d R_d}{C_e \Phi_0} \quad (6.11)$$

(ნახ. 6.3).

6.3. ელექტრომექანიკური მახასიათებლების გაანგარიშების ანალიზური მეთოდი

თუ დავუკირდებით ზემომოყვანილ (6.2) გამოსახულებას, ვნახავთ, რომ ძრავას ბრუნთა რიცხვის დენისაგან დამოკიდებულების ანალიზური გაანგარიშებისთვის საჭიროა გვქონდეს ძრავას დამაგნიტების მრუდის $\Phi(I)$ -ის აღმწერი მათემატიკური

გამოსახულება. დღეისათვის არსებობს მათემატიკური ფორმულები, რომლებიც სხვა-დასხვა სიზუსტით აღწერენ ძრავას დამაგნიტების მრუდს. ფორმულათა სიმრავლი-დან გამოვყოფთ ორ ფორმულას, რომელმაც ფართო გამოყენება პპოვა ელექტრულ წევაში.

პირველი ესაა წილადურ-წრფივი ფუნქცია

$$\Phi = \frac{I}{aI + b}; \quad I = \frac{b\Phi}{1 - a\Phi}. \quad (6.12)$$

მეორე ფორმულას აქვს შემდეგი სახე

$$I = a\Phi + b\Phi^3. \quad (6.13)$$

(6.12) ფორმულის მნიშვნელოვანი თვისებაა ის, რომ ცვლადები I და Φ წრფივად განისაზღვრებიან ერთმანეთის საშუალებით.

(6.13) ფორმულის დადებით მხარედ ითვლება ის, რომ შეიძლება გამოყენებული იქნეს ცვლადი დენის შემთხვევებშიც.

შემდგომ გაანგარიშებებში ჩვენ მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ (6.12) ფორმულა. დამაკმაყოფილებელი შედეგების მისაღწევად (6.12) ფორმულისათვის a და b კოეფიციენტები შეიძლება განისაზღვროს ორი საცდელი წერტილის I_1 , Φ_1 და I_2 , Φ_2 -ის მკაცრი შერჩევით და შემდეგი გამოსახულებების გამოყენებით

$$a = \frac{I_2\varphi_1 - I_1\varphi_2}{\varphi_1\varphi_2^3 - \varphi_2\varphi_1^3}; \quad b = \frac{I_1\varphi_2^3 - I_2\varphi_1^3}{\varphi_1\varphi_2^3 - \varphi_2\varphi_1^3}. \quad (6.14)$$

a და b კოეფიციენტების მნიშვნელობების განსაზღვრის პროცესი შეგვიძლია მნიშვნელოვნად გავამარტივოთ, თუ გამოვიყენებოთ ე.წ. შეუდლების მეთოდს, რისთვისაც (6.12) გამოსახულება გადავწეროთ შემდეგი ფორმით

$$aI + b = \frac{I}{\Phi} = z \quad (6.15)$$

მიღებული წრფის დახრას განსაზღვრავს a კოეფიციენტი, ხოლო ორდინატა დერმზე მონიშნულ მონაკვეთს b კოეფიციენტი.

მათემატიკაში არსებული წესების მიხედვით a და b კოეფიციენტს განსაზღვრავნ თვალდათვალ, ისე რომ $a\Phi + b$ წრფე იყოს ახლოს (6.15) დამოკიდებულებასთან. ჩვენ შემთხვევაში (6.15) დამოკიდებულება წარმოადგენს ორ ურთიერთ-გადამკვეთ წრფეს; ერთი პარალელურია აბცისთა დერძის და მისი ორდინატა b_0 , ხოლო მეორეს გადაღუნვის ε წერტილის შემდეგ აქვს დახრა

$$K = \frac{Z_2 - b_0}{I_2 - I_1},$$

სადაც, Z_2 და I_2 არის ცვლადების მაქსიმალური გადახრა.

თუ გამოვიყენებთ უმცირესი კვადრატების მეთოდს, $0 < I < I_2$ და $I_1 < I < I_2$ ინტერვალებისათვის შეგვიძლია დავწეროთ

$$\int_0^{i_1} [b_0 - (ai + b)]^2 di = \varepsilon_1, \quad \int_0^{i_2} [b_0 + K(i - i_1)(ai + b)]^2 di = \varepsilon_2, \quad (6.16)$$

სადაც, ε_1 და ε_2 არის აღებულ ინტერვალებში შეფანხმებლობა.

აღნიშნულ ინტერვალებში a და b კოეფიციენტების ოპტიმიზაციისთვის საჭიროა ავიდოთ მათი წარმოებულები და გაუტოლოთ ნულს. შედეგად მივიღებთ განტოლებათა სისტემას

$$\frac{2}{3}I_1a + bb_0; \quad aA + b = b_0 + K(A - I_1); \quad A = \frac{I_1 + I_2}{2}. \quad (6.17)$$

თუ (6.17) სისტემას ამოვხსნით a და b -ს მიმართ, მივიღებთ მათი ოპტიმალური მნიშვნელობების განსასაზღვრულ ფორმულებს

$$a = \frac{K(A - i_1)}{\left(A - \frac{2}{3}i_1\right)}, \quad b = \frac{b_0 - \frac{2}{3}i_1 K(A - i_1)}{\left(A - \frac{2}{3}i_1\right)}. \quad (6.18)$$

ამგვარად, (6.2) ფორმულის ნაცვლად, საზოგადოდ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ფორმულა

$$n = \frac{(u - I_d R_d)(a\beta I + b)}{\beta I}, \quad (6.19)$$

სადაც, β არის ველის შესუსტების კოეფიციენტი.


ქვემოთ, მაგალითის სახით განვიხილოთ TL-3B წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების ანალიზური გაანგარიშება.

როგორც ცნობილია, წევის ძრავებისათვის დამაგნიტების მრუდი (მაგნიტური ნაკადის დამოკიდებულება აგზნების დენზი) $C_e \Phi(I)$ შეიძლება ავაგოთ ანალიზური გაანგარიშების გზით ან ექსპერიმენტულად. 6.4 ნახაზზე მოცემული დამაგნიტების მრუდისათვის (6.15) განტოლების საფუძველზე მიღებული გვაქვს ორი ურთიერთგადამჯერითი წრფე 1 და 2, ორდინატით b_0 და დახრით K .

a და b კოეფიციენტების (6.15) ფორმულით გაანგარიშებული ოპტიმალური მნიშვნელობები იქნება $a = 0,2875$ და $b = 152$. საცდელი წერტილებისათვის $I_1 = 200$ ა, $I_2 = 500 I_1$, $C_e \Phi_1 = 9319$, $C_e \Phi_2 = 1,706$ (6.9) ფორმულით გათვლილი იგივე კოეფიციენტების მნიშვნელობები შესაბამისად იქნება $a = 0,2615$; $b = 162,3$.

6.5 ნახაზზე არსებული გრაფონალიზური მითოდით აგებულია ბრუნთა რიცხვის (მრუდები 1, 2) და მომენტის (მრუდი 3) დამოკიდებულება დატვირთვის დენზი I ,

სრული $\beta = 1$ და შესუსტებული $\beta = 0,75$ გელისათვის. იხილეთ მრუდეები 6.5 ნახაზზე, სადაც ნაჩვენებია ანალიზური გათვლებით მიღებული კოორდინატები, (ჯვრებით აღნიშნული წრეები მრუდეების გარშემო). როგორც ვრწმუნდებით ცდომილება უმნიშვნელოა.




ნახ. 6.4.

მაპრუნებელი მომენტის დამოკიდებულება დატვირთვის დენზე, ანალიზურად გაითვლება ფორმულით

$$M = C_M \Phi I = \frac{C_M I^2 \beta}{0,2875 \beta I} + 152, \quad (6.20)$$

სადაც, $C_M = 9,554 \cdot C_e$.

(6.19) და (6.20) ფორმულების მნიშვნელოვან უპირატესობას, გრაფო-ანალიტიკური გაანგარიშების მეთოდთან შედარებით, წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერ კომპიუტერში ფორმულების მარტივი შეყვანით, მახასიათებლების გაანგარიშება და მათი გრაფიკი აგება ხდება რამდენიმე წამში.



ნახ. 6.5.

6.4. წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების გაანგარიშება კომპიუტერული პროგრამით

წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების ასაგებად ვიყენებთ საოფისე კომპიუტერულ პროგრამას MS EXCEL-ს.

ა) სიჩქარის მახასიათებელი $n(I)$

დამოკიდებულება ძრავას ბრუნთა რიცხვს და დენს შორის, როგორც ზემოთ ვნახეთ, გამოისახება (6.2) ფორმულით

$$n = \frac{U - IR}{C_e \Phi} \cdot \frac{\delta \tau}{\text{წთ}}.$$

აღნიშნულ ფორმულას გავშლით EXCEL-ის ცხრილში. ცხრილი 6.1.

#	I _a	U _a	R _a	C _e Φ	I * R _a	U - I * R	n=(U-I*R)/C _e Φ	ΔR/ΔI
	(A)	(V)	(Ω)			(V)		
	1	2	3	4	5	6	7	7
1	50	1500	0.129	0.3	6.5	1493.6	4978.5	
2	100	1500	0.129	0.68	12.9	1487.1	2186.9	
3	150	1500	0.129	1	19.4	1480.7	1480.7	
4	200	1500	0.129	1.25	25.8	1474.2	1179.4	
5	250	1500	0.129	1.4	32.3	1467.8	1048.4	
6	300	1500	0.129	1.56	38.7	1461.3	936.7	
7	350	1500	0.129	1.62	45.2	1454.9	898.1	
8	400	1500	0.129	1.7	51.6	1448.4	852.0	
9	450	1500	0.129	1.75	58.1	1442.0	824.0	
10	500	1500	0.129	1.82	64.5	1435.5	788.7	
11	550	1500	0.129	1.88	71.0	1429.1	760.1	
12	600	1500	0.129	1.91	77.4	1422.6	744.8	
13	650	1500	0.129	1.95	83.9	1416.2	726.2	
14	700	1500	0.129	1.99	90.3	1409.7	708.4	

ცხრილის მე-2-ე გრაფაში შეგვაქვს ძრავას დენის $I_{d\sigma}$ (არგუმენტის) მნიშვნელობა ამპერებში (ა). ცხრილის მე-3-ე გრაფაში შეგვაქვს ძაბვის მნიშვნელობა ძრავას მომჭერებზე $U_{d\sigma}$, რომლისთვისაც ვაგებთ სიჩქარის მახასიათებელს, ვოლტებში (გ). კონკრეტული მახასიათებლისთვის ის მუდმივი სიდიდეა $U_{d\sigma} = const$. ცხრილის მე-4-ე გრაფაში შეგვაქვს ძრავას გრაგნილების ჯამური აქტიური წინაღობა R ომებში (ომი), რომელიც ასევე მუდმივი სიდიდეა. ცხრილის მე-5-ე გრაფა ივსება საანგარიშო ფორმულით $RI_{d\sigma}$, რომელიც წარმოადგენს ძაბვის ვარდნას ძრავას გრაგნილების აქტიურ წინაღმდეგობაში ვოლტებში (გ). ცხრილის მე-6-ე გრაფაში ძრავას დამაგნიტების მრუდიდან $C_e\Phi$ ($I_{d\sigma}$) შეგვაქვს E/n ვწყობრ. მნიშვნელობა. ცხრილის მე-7-ე გრაფა ივსება საანგარიშო ფორმულით $(U_{d\sigma} - RI_{d\sigma})$ ვოლტებში (გ). ცხრილის მე-8-ე გრაფა ივსება საანგარიშო ფორმულით $n = \frac{U - IR}{C_e\Phi} = \frac{\delta R}{\delta I}$. ცხრილის მე-2 და მე-8 გრაფის მონაცემებით ვაგებთ სამიებელ სიჩქარის $n(I)$ მახასიათებელს.

ბ) მომენტის მახასიათებელი $M(I)$

როგორც ზემოთ ვნახეთ, ძრავას დენისა და მომენტს შორის, დამოკიდებულება გამოისახება (6.8) ფორმულით

$$M = C_M \Phi I \quad \text{გნ.6.}$$

აღნიშნულ ფორმულას გავშლით EXCEL-ის ცხრილში. ცხრილი 6.2.

ცხრილი 6.2

#	I _φ (s)	C _e Φ	C _M =9.55 C _e Φ	M=C _M Φ I
	1	4	5	6
1	50	0.3	2.9	143.3
2	100	0.68	6.5	649.4
3	150	1	9.6	1432.5
4	200	1.25	11.9	2387.5
5	250	1.4	13.4	3342.5
6	300	1.56	14.9	4469.4
7	350	1.62	15.5	5414.9
8	400	1.7	16.2	6494.0
9	450	1.75	16.7	7520.6
10	500	1.82	17.4	8690.5
11	550	1.88	18.0	9874.7
12	600	1.91	18.2	10944.3
13	650	1.95	18.6	12104.6
14	700	1.99	19.0	13303.2

ცხრილის მე-2-ე გრაფიში, ისე როგორც პირველ შემთხვევაში შეგვაქვს ძრავას დენის I_{ϕ} . (არგუმენტის) მნიშვნელობა ამპერებში (ა). ცხრილის მე-3-ე გრაფიში გადმოგვაქვს $C_e \Phi$ მნიშვნელობები (6.1) ცხრილიდან. მე-4-ე გრაფი ივსება საანგარიშო ფორმულით

$$C_M \Phi = C_e \Phi 9.55 .$$

ცხრილის მე-5-ე გრაფი ივსება საანგარიშო ფორმულით $M = C_M \Phi I$. ცხრილი 6.2-ის მე-2 და მე-5 გრაფების მონაცემებით ვაგებთ საძიებელ მომენტის $M(I)$ მახასიათებელს.

გ) მარგი ქმედების კოეფიციენტის (მქპ) მახასიათებელი $\eta(I)$.

როგორც ცნობილია მარგი ქმედების კოეფიციენტი წარმოადგენს სასარგებლო სიმძლავრის შეფარდებას მთლიანად მოხმარებულ სიმძლავრესთან

$$\eta = \frac{P_2}{P_1} = \frac{P_1 - \sum \Delta P}{P_1} = \frac{1 - \sum \Delta P}{P_1},$$

სადაც, $\sum \Delta P$ არის სიმძლავრის ჯამური დანაკარგები.

P_2 სასარგებლო სიმძლავრეა, რომელიც ტოლია

$$P_2 = U \cdot I \cdot \eta .$$

ძრავას მომენტი განისაზღვრება ფორმულით

$$M = \frac{0.974 \cdot P_2}{n} = 0,974 \cdot U \cdot I \cdot \eta.$$

აქედან განვსაზღვროთ მარგი ქმედების კოეფიციენტი

$$\eta = \frac{M \cdot n}{0,974 U I}.$$

აღნიშნულ ფორმულას გავშლით EXCEL-ის ცხრილში 6.3.

ცხრილი 6.3.

#	Iარ (s)	Uარ (g)	M	პ	M*პ	0.974*Iარ	M*პ/0.974*Iარ	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	
1	50	1500	143.3	4978.5	71317.0	73050.0	0.976	
2	100	1500	649.4	2186.9	142018.1	146100.0	0.972	
3	150	1500	1432.5	1480.7	212103.1	219150.0	0.968	
4	200	1500	2387.5	1179.4	281572.2	292200.0	0.964	
5	250	1500	3342.5	1048.4	350425.3	365250.0	0.959	
6	300	1500	4469.4	936.7	418662.5	438300.0	0.955	
7	350	1500	5414.9	898.1	486283.6	511350.0	0.951	
8	400	1500	6494.0	852.0	553288.8	584400.0	0.947	
9	450	1500	7520.6	824.0	619678.0	657450.0	0.943	
10	500	1500	8690.5	788.7	685451.3	730500.0	0.938	
11	550	1500	9874.7	760.1	750608.5	803550.0	0.934	
12	600	1500	10944.3	744.8	815149.8	876600.0	0.930	
13	650	1500	12104.6	726.2	879075.1	949650.0	0.926	
14	700	1500	13303.15	708.4	942384.5	1022700.0	0.921	

ცხრილი 6.3-ის პირველი და მე-7 გრაფის მონაცემებით ვაგებთ მქბ-ის საძიებელ მახასიათებელს $\eta(I)$.

6.5. მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავას თავისებურებები

მიმდევრობით აგზნებიანი ძრავას თავისებურებაა ის, რომ ღუზაში გამავალი დენი და აგზნების დენი ერთი და იგივეა (ნახ. 6.1, ა). ამიტომ, დატვირთვის დენის ზრდისას იზრდება რა ღუზის დენი, ერთდროულად იზრდება მაგნიტური ნაკადი. (6.2) ფორმულაში მცირდება მრიცხველი, ამავე დროს იზრდება მნიშვნელი; ამიტომ, დენის ზრდისას ძრავას ბრუნთა რიცხვი მკვეთრად ეცემა. იხ. სიჩქარის მახასიათებლის 1-2 მონაკვეთი (ნახ. 6.2, ბ).

დიდი დენების მნიშვნელობისას ძრავას მაგნიტური სისტემა იქდინობა (მაგნიტური მახასიათებლის 2-3 მონაკვეთი) (ნახ. 62, ა), რის გამოც მაგნიტური

ნაკადი თითქმის არ იზრდება და ძრავას ბრუნთა რიცხვი მცირდება ძალიან ნელა. სიჩქარის მახასიათებლის 2-3 მონაკვეთი, (ნახ. 6.2, ბ).

მცირე დენებისას (მაგნიტური სისტემის გაუდენტვამდე) მაგნიტური ნაკადი იზრდება ძრავას დენის პროპორციულად. $C_M \Phi = Itg\alpha$ (იხ. ნახ. 6.2, ა). ე.0. (6.8) ფორმულაში თუ შევიტანო $C_M \Phi = Itg\alpha$ მნიშვნელობას, მივიღებთ

$$M = C_M \Phi = I^2 tg\alpha. \quad (6.21)$$

ე.0. ძრავას მიერ განვითარებული მომენტი დენის კვადრატის პროპორციულია. მონაკვეთი 0-11; (ნახ. 6.2, ბ).

დიდი დენების დროს მაგნიტური ნაკადი თითქმის არ იცვლება და ძრავას მომენტი დენის პროპორციულია. მონაკვეთი 11-12 (ნახ. 6.2, ბ).

მცირე დენების (დატვირთვების) დროს სიმძლავრის დანაკარგები ძირითადად მოდის ხახუნზე საკისრებში (ბრუნვის მაღალი სიჩქარეების გამო, დიდია მექანიკური კარგვა), იხ. მახასიათებლის მონაკვეთი 21-22 (ნახ. 6.2, ბ) ხოლო დიდი დენების (დატვირთვების) დროს ძირითადია (განმსაზღვრელია) მაგნიტური კარგვა ფოლადში და ელექტრული კარგვა გრაგნილებში. მონაკვეთი 23-24, (ნახ. 6.2, ბ).

რაც შეეხება პარალელურაგზებიანი ძრავას ელექტრომექანიკურ მახასიათებლებს, როგორც ვხედავთ, ასეთი ძრავების სიჩქარის მახასიათებელი ხისტია. დატვირთვის (დენის) ცვლილებისას სიჩქარე იცვლება უმნიშვნელოდ. (Δn -ფარგლებში) (ნახ. 6.3). ვინაიდან, დატვირთვის დენის ცვლილება პრაქტიკულად არ ცვლის მაგნიტურ ნაკადს, ამიტომ $M = C_M \Phi I$ ფორმულის თანახმად, მომენტი იცვლება წრფივად, დენის პროპორციულად (ნახ. 6.3).

მქანის მახასიათებელი პარალელურაგზებიან ძრავებში თითქმის იგივეა, რაც მიმდევრობითაგზებიან ძრავებში (ნახ. 6.3).

6.6. მუდმივი დენის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლა წყვილთვალის ფერსოს მიმართ

ვთქვათ მოცემულია კონკრეტული წევის ძრავას მახასიათებლები ძრავას ლილვის მიმართ: $n(I); M(I); \eta(I)$ (ნახ. 6.2). საჭიროა ამ მახასიათებლების გადათვლა წყვილთვალის არტახისა და რელსის შეხების ზონაში, სადაც ისინი რეალიზდება ხაზოვანი სიჩქარის V (ჯ/სთ) და წევის ძალის F (ნ) – სახით. ძრავადან წყვილთვალზე მომენტის გადაცემის კინემატიკური სქემა მოცემულია ნახ. 6.6-ზე, სადაც: 1-წევის ძრავაა, 2-კბილანა რედუქტორი, 3-წყვილთვალი, 4-რელსი. ხაზოვანი სიჩქარე არტახისა და რელსის შეხების ზონაში განისაზღვრება ფორმულით:

$$V = \frac{\pi D_{\omega} n_{\omega}}{\mu_{\omega}}, \quad (6.22)$$


სადაც, D_{ω} არის წყვილთვალის დიამეტრი, მ-ში.

n_{ω} – წყვილთვალის ბრუნთა რიცხვი, ბრ/წთ-ში.

μ_{ω} – რედუქტორის გადაცემის რიცხვი.

იმისათვის, რომ სიჩქარე მივიღოთ $\text{კმ}/\text{სთ-ში}$, საჭიროა (6.22) ფორმულის მრიცხველი გავამრავლოთ 60 -ზე, ხოლო მნიშვნელი 1000 -ზე. მივიღებთ

$$V = \frac{\pi D_{\omega} n_{\omega} \cdot 60}{\mu_{\omega} \cdot 1000} = \frac{0.188 D_{\omega} N_{\omega}}{\mu_{\omega}} \frac{\text{ბრ}}{\text{სთ}}, \quad 0.188 = \frac{3.14 \cdot 60}{1000}. \quad (6.23)$$



ნახ. 6.6. მომენტის გადაცემა ძრავადან წყვილთვალზე.

წევის ძრავადან წყვილთვალზე მომენტის გადაცემა ხდება μ_{ω} გადაცემის რიცხვის მქონე კბილანა 2 რედუქტორით (ნახ. 6.6). თვალზე მოდებული მომენტი გაითვლება ფორმულით

$$M_{\omega} = M \mu_{\omega}. \quad (6.24)$$

თუ ძრავას ლილვის მიმართ განვითარებული მომენტის M -ის მნიშვნელობას შევიტანო (6.8) ფორმულიდან, მივიღებთ

$$M_{\omega} = C_M \Phi I \mu_{\omega} \text{ ნ.მ.} \quad (6.25)$$

წევის ძალა არტახისა და რელსის შეხების ზონაში (ნახ. 6.6). განისაზღვრება ფორმულით

$$F = \frac{M_{\omega}}{\frac{D_{\omega}}{2}} = \frac{2M_{\omega}}{D_{\omega}} = \frac{2C_M \Phi I \mu_{\omega}}{D_{\omega}} \text{ ნ. (ჯ).} \quad (6.26)$$

თუ კონკრეტული ელექტრომოძრავი შემადგენლობისთვის აღვნიშნავთ მუდმივათი,

$$\text{მივიღებთ} \quad C_M = \frac{D_{\omega}}{\mu} \cdot C = \frac{9,55}{5,3} \frac{D_{\omega}}{\mu} \cdot C = 1,8 \frac{D_{\omega}}{\mu} \cdot C$$

$$F = 0.367 C \Phi I \text{ ნ. (ჯ).} \quad (6.27)$$

წყვილთვალის ფერსოს მიმართ მარგი ქმედების კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით


$$\eta = \eta_d \eta_r, \quad (6.28)$$

სადაც, η_d არის ძრავას მ.ქ.პ, η_r არის რედუქტორის მ.ქ.პ-ი.

თუ ვისარგებლებთ (6.23), (6.27) და (6.28) ფორმულებით შეგვიძლია გადავთვალოთ მახასიათებლები წყვილთვალის ფერსოს მიმართ $V(I)$, $F(I)$, $\eta(I)$.

6.7. წევის ძრავას მახასიათებლების გადათვლა რედუქტორის გადაცემის რიცხვის და წყვილთვალის დიამეტრის ცვლილებისას

მოცემული გვაქვს ელექტრომექანიკური მახასიათებლები წყვილთვალის ფერსოს მიმართ, რომლებიც შეესაბამებიან μ_1 გადაცემის რიცხვს და ბორბლის D_1 დიამეტრს (ნახ. 6.7) (უწყვეტი ხაზები). ვთქვათ, შევცვალეთ რედუქტორი და წყვილთვალი, რომელთა პარამეტრებია μ_2 და D_2 . ამ შემთხვევაში, ცხადია შეიცვლება მახასიათებლები და მათი გადათვლა მოხდება შემდეგნაირად:



ნახ. 6.7. ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლა
რედუქტორის გადაცემის რიცხვის და წყვილთვლის
დიამეტრის ცვლილებისას.

μ_1 და $D_{\omega 1}$ პარამეტრების შემთხვევაში სიჩქარე (6.23) ფორმულის თანახმად იქნება

$$V_1 = \frac{0,188 D_{\omega 1} \cdot n}{\mu_1}. \quad (6.29)$$

μ_2 და $D_{\omega 2}$ პარამეტრების შემთხვევაში კი იქნება

$$V_2 = \frac{0,188 D_{\omega 2} \cdot n}{\mu_2}. \quad (6.30)$$

გავყოთ (6.30)-(6.29)-ზე და განვხაზდვროთ V_2 . მივიღებთ

$$V_2 = V_1 \frac{D_{\omega 2} \mu_1}{D_{\omega 1} \mu_2} = V_1 \cdot \gamma, \quad (6.31)$$

$$\text{სადაც } \gamma = \frac{D_{\omega 2} \mu_1}{D_{\omega 1} \mu_2}.$$

F_1 წევის ძალა μ_1 და D_1 პარამეტრების შემთხვევაში (6.26) ფორმულის თანახმად იქნება

$$F_1 = \frac{2M\mu_1}{D_{o1}}, \quad (6.32)$$

μ_2 და D_2 პარამეტრებისათვის

$$F_2 = \frac{2M\mu_2}{D_{o2}}. \quad (6.33)$$

თუ გავყოფთ (6.33)-ს (6.32) ფორმულაზე და განვსაზღვრავთ F_2 -ს მივიღებთ

$$F_2 = F_1 \cdot \frac{D_{o1}\mu_2}{D_{o2}\mu_1} = F_1 \cdot \frac{1}{\gamma}, \quad (6.34)$$


$$\text{სადაც, } \frac{1}{\gamma} = \frac{D_1\mu_2}{D_2\mu_1}.$$

პარგი ქმედების კოეფიციენტის მახასიათებელი პრაქტიკულად იქნება იგივე (6.31) და (6.34) ფორმულებით გადათვლილი მახასიათებლები მოცემულია ნახ. 6.7-ზე (წყვეტილი ხაზები).


6.8. ელექტრომავლის წევის მახასიათებლები და მათი აგება

ელექტრომავლის წევის მახასიათებელი $F_{\text{ელ}}(V)$ აიგება წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების საფუძველზე, რეგულირების სხვადასხვა საფეხურისათვის. ვთქვათ, მოცემულია წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლები რედუქტორის გადაცემის რიცხვის μ და წყვილთვალის დიამეტრის D კონკრეტული მნიშვნელობებისათვის (ნახ. 6.8, a).

a)




ბ)



ნახ. 6.8. ელექტრომავლის წევის მახასიათებლის $F(v)$ აგების თანმიმდევრობა.

აგებას ვახდენთ შემდეგი თანმიმდევრობით: ვუშვებთ ძრავას დენის მნიშვნელობას I_1 და მახასიათებელზე ვპოულობთ მის შესაბამის სიჩქარეს V_1 , რომელიც იგივეა, რაც ელექტრომაგლის სიჩქარე $V_1 = V_{\text{ელ.1}}$, იმავე დენისათვის ვსაზღვრავთ ძრავას წევის ძალას F_1 (ნახ. 6.8, ა). ელექტრომაგლის წევის ძალას საზღვრავთ



ნახ. 6.9. წევის მახასიათებლები რეგულირების სხვადასხვა საფეხურისთვის.

ცორმულით

$$F_{\text{ელ.1}} = k \cdot F_1, \quad (6.35)$$

სადაც, k არის ელექტრომაგალზე ძრავების რიცხვი. $k = 4$, $k = 6$, $k = 8$, $k = 12$.

მიღებული $V_{\text{ელ.1}}$ და $F_{\text{ელ.1}}$ კოორდინატებით ვაგებთ წევის მახასიათებლის 1 წერტილს (ნახ. 6.8, ბ). შემდეგ ვუშვებთ დენის I_2 მნიშვნელობას, ვსაზღვრავთ შესაბამის სიჩქარეს $V_{\text{ელ.2}}$ და წევის ძალას $F_{\text{ელ.2}}$, ვაგებთ საძიებელი წევის მახასიათებლის 2 წერტილს და ა.შ. თუ მიღებულ წერტილებს შევაერთებთ ლეპალოს დახმარებით, მივიღებთ კონკრეტული რეგულირების საფეხურის

(ძრავას მომჰქერებზე ძაბვის კონკრეტული მნიშვნელობის) წევის მახასიათებელს $F(V)$ (ნახ. 6.8, ბ). თუ ანალოგიურად გავთვლით კოორდინატებს რეგულირების სხვადასხვა საფეხურისათვის (სხვადასხვა ძაბვისათვის და ველის შესუსტების სხვადასხვა კოეფიციენტისათვის), მივიღებთ წევის მახასიათებელთა ოჯახს.

ნახ. 6.9-ზე 1 მრუდი შეესაბამება წევის ძრავების მიმდევრობითი შეერთების (სერიესული “S” შეერთების) სრული ველის (სრ.3) წევის მახასიათებელს. 2 მრუდი მიმდევრობით პარალელური (სერიეს-პარალელური SP) შეერთების სრული ველის მახასიათებელს. 3 მრუდი პარალელური შეერთების (P) სრული ველის წევის მახასიათებელს. 4-5-6 და 7-8-9 მრუდეები შესაბამისად წარმოადგენენ მაგნიტური ველის შესუსტების პირველი და მეორე საფეხურების წევის მახასიათებელებს შესაბამისად S, SP, P შეერთებებზე.

6.9. შეზღუდვები წევის მახასიათებლებზე

ექსპლუატაციაში გამოიყენება წევის მახასიათებლების არა სრული არე, არამედ მისი გარკვეული შემოფარგლული ნაწილი. ეს განპირობებულია გარკვეული საექსპლუატაციო შეზღუდვებით. გვაქვს წევის მახასიათებლების შემდეგი შეზღუდვები:

1. წევის ძრავას მაქსიმალური დენით,
2. ჩაჭიდებით,
3. ველის შესუსტების მაქსიმალური დასაშვები სიდიდით,
4. კონსტრუქციული სიჩქარით.

განვიხილოთ აღნიშნული შეზღუდვები ცალ-ცალკე.

1. შეზღუდვა ძრავას მაქსიმალური დენით.

წევის ძრავას აქვს მაქსიმალური დასაშვები დენი $I_{\text{მაქ}}$, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში წევის ძრავა შეიძლება ელექტრულად დაზიანდეს. ძრავას მაქსიმალურ დენს შესაბამება მაქსიმალური წევის ძალა $F_{\text{მაქ}}$ (ნახ. 6.8, а). შესაბამისად ელექტრომავლის წევის ძალის მაქსიმალური მნიშვნელობა ძრავას დასაშვები დენის მიხედვით იქნება

$$F_{\text{მაქ.}}^i = m F_{\text{დ.მაქ.}}, \quad (6.36)$$

სადაც, m არის ელექტრომავლის ძრავების რიცხვი.

i – სიმბოლო ნიშნავს წევის ძალის შეზღუდვას დენით.

აღნიშნულ წევის ძალის მნიშვნელობას გადავზომავთ კოორდინატთა დერძზე და გავავლებთ აბცისთა დერძის პარალელურ 1-წრფეს (ნახ. 6.10).

2. შეზღუდვა ჩაჭიდებით.

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ არტახისა და რელსის შეხების ზონაში ძრავას მიერ განვითარებული წევის ძალა გადააჭარბებს ჩაჭიდების ძალის მაქსიმალურ შესაძლო მნიშვნელობას, მაშინ ადგილი ექნება ბუქსაობას. თავიდან რომ ავიცილოთ ბუქსაობა, საჭიროა დაცული იყოს პირობა

$$F_{\text{მაქ.}} < F_{\text{ჩაჭ.}}$$

ამისათვის კი საჭიროა გავთვალოთ $F_{\text{ჩაჭ.}}$ სხვადასხვა სიჩქარისათვის. როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩაჭიდების წევის ძალა განისაზღვრება ფორმულით

$$F_{\text{ჩაჭ.}} = 1000G\Psi_{\text{ჩაჭ.}}, \quad (6.37)$$

სადაც, G არის ელექტრომავლის ჩაჭიდების წონა, კნ-ში. $G = kq$.

k – ლოკომოტივის დერძების რიცხვი.

q – ლოკომოტივის დერძზე დაწოლა, კნ-ში, (ტ).

Ψ_{ნაჭ} არის ჩაჭიდების კოეფიციენტი, რომელიც მუდმივი დენის ელექტრო-მავლებისათვის განისაზღვრება შემდეგი ემპირული ფორმულით

$$\Psi_{\text{ნაჭ}} = 0.28 \frac{3}{50 + 20V} - 0.0007V \quad (6.38)$$

სადაც, V არის სიჩქარე.

გაანგარიშებას ვახდენთ ცხრილის სახით. სხვადასხვა სიჩქარისათვის ვსაზღვრავთ $\Psi_{\text{ნაჭ}}$ და (6.37) ფორმულით შესაბამის წევის ძალას $F_{\text{ნაჭ}}$; მიღებული სიდიდეები შეგვაქვს ცხრილში და ვაგებთ ჩაჭიდებით შეზღუდვის მრუდს. მრუდი 2 (ნახ. 6.10).

V ვტ/სთ	0	10	20	30
$\Psi_{\text{ნაჭ}}$	0.34	0.292	0.273	0.264
$F_{\text{ნაჭ}}$ (ნ)	625 600	537 280	502 320	485 760

3. შეზღუდვა ველის შესუსტებით.

მაგნიტური ველის ღრმა შესუსტების დროს, ღუზის რეაქციის ზემოქმედებით მახინჯდება ჯამური მაგნიტური ნაკადი, რაც იწვევს ძრავას გეომეტრიული ნეიტრალის გადაადგილებას. აღნიშნულის შედეგად ძრავას კოლექტორზე წარმოქმნილი ნაპერწკლიანობა შეიძლება გადაიზარდოს წრიულ ცეცხლში, რაც გამოიწვევს წევის ძრავას დაზიანებას. ამის თავიდან ასაცილებლად აწესებენ შეზღუდვას ველის მაქსიმალურად დასაშვები შესუსტებით. მრუდი 3 (ნახ. 6.10).

4. შეზღუდვა კონსტრუქციული სიჩქარით.

ელექტრომავალს საპასპორტო მონაცემებით აქვს კონსტრუქციის სიმტკიცით დასაშვები მაქსიმალური სიჩქარე, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში კონსტრუქცია შეიძლება დაიშალოს. კონსტრუქციული სიჩქარის შეზღუდვას შეესაბამება 4-წრფე (ნახ. 6.10).

ნახ. 6.10-დან ჩანს, რომ მივიღეთ **ABCDE** ტეხილით შემოფარგლული არე, რომლის ფარგლების დარღვევა იწვევს:


AB – ზონის გარეთ - ძრავას თბურ დაზიანებას;

BC – ზონის გარეთ - ჩაჭიდების დარღვევას;

CD – ზონის გარეთ - ნაპერწკლიანობის გაზრდას კოლექტორზე. სხვაგვარად ძრავას კომუტაციის გაუარესებას;

DE – ზონის გარეთ - კონსტრუქციის დაშლას.

ე.ო. ნორმალური ექსპლუატაციისთვის, წევის შესაძლებლობები შეიძლება გამოყენებული იქნეს **ABCDE** ტეხილით შემოფარგლულ ფარგლებს შიგნით.



ნახ. 6.10. შეზღუდვების დატანა წევის მახასიათებლებზე.

აგებულ წევის მახასიათებლიდან, მაქსიმალური სიმძლავრის გამოყენების კუთხით, ირჩევენ საანგარიშო წევის ძალას $F_{\text{საანგ.}}$ და სიჩქარეს $V_{\text{საანგ.}}$ (ნახ. 6.10), რომლებიც შემდგომ გამოიყენება მატარებლის წონის განსასაზღვრავად.

VII თავი

გუდმივი დენის პონტაქტორულ-რეოსტატული მართვის მძრევი ელექტრომოძრავი შემაღბენლობის ამუშავება და სიჩქარის რეგულირება

დღეისათვის მსოფლიოში არსებული რკინიგზები ძირითადად ელექტრიფიცირებულია მუდმივ დენზე (საკონტაქტო ქსელში 3 000 ვ. ძაბვაზე) და ერთფაზა ცვლად დენზე (საკონტაქტო ქსელში 25 კვ. ძაბვაზე). შესაბამისად გვაქვს მუდმივ დენზე და ცვლად დენზე მომუშავე ელექტრომოძრავი შემადგენლობის (ელექტრომავლები, ელექტრომატარებლები) პარკი. ეს ლოკომოტივები ელექტრული სქემების, გამოყენებული მოწყობილობის და კონსტრუქციის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავებულია. შესაბამისად განსხვავებულია მათი ამუშავების და სიჩქარის რეგულირების პრინციპები. განვიხილოთ ეს პრინციპები ცალკეული სისტემებისათვის.

7.1. მუდმივი დენის წევის ძრავას ამუშავების პროცესი

მატარებლის მოძრაობა იწყება გადასარბენზე მატარებლის დაძვრით, როდესაც $V = 0$, ძრავას ბრუნთა რიცხვი $n = 0$. წევის ძრავაში გამავალი დენი (რომელიც ჰქმნის დაძვრისთვის აუცილებელ წევის ძალას) განისაზღვრება ძრავას მომჰქერებზე მოდებული ძაბვის და ძალური წრედის წინაღობის ფარდობით. ნულოვან სიჩქარეზე წევის ძრავას ჩართვა ქსელის ნომინალურ ძაბვაზე დაუშვებელია, ვინაიდან ძრავას გრაგნილების ძალიან მცირე აქტიური წინაღობის გამო, ძრავაში გაივლის ძალიან დიდი დენი. წევის ძრავა ელექტრულად და შესაძლებელია მექანიკურადაც დაზიანდეს.

საკითხის უკეთ გაგებისა და ძრავაში მიმდინარე პროცესების ანალიზის სიმარტივისათვის, განვიხილოთ ამუშავების პროცესი ერთი ძრავას მაგალითზე.

როგორც ელექტრული მანქანების კურსიდანაა ცნობილი, მუდმივი დენის მანქანის ძრავული რეჟიმის ძაბვათა ბალანსის განტოლებას, მუშაობის პროცესში, აქვს შემდეგი სახე

$$U_{\text{დრ}} = E + IR_{\text{დრ}}, \quad (7.1)$$

სადაც, E არის ძრავას უკუელექტრომამოძრავებელი ძალა (ემ) ვოლტებში.

$$E = C_e \Phi n \quad (7.2)$$

C_e – ძრავას კონსტრუქციული მუდმივა.

Φ – ძრავას მაგნიტური ნაკადი, ვებერებში.

n – ძრავას დუზის ბრუნთა რიცხვი, ბრ/წთ-ში.

$I_{\text{д}} = \frac{U_{\text{д}}}{R_{\text{д}}}$ – дრავаში გამავალი დენი, ამპერებში.

$R_{\text{д}}$ – дрავას გრაგნილების (დუზის, აგზნების, დამატებითი პოლუსის, საკომპენსაციო) ჯამური ძებიური წინააღმდეგობა, ომებში.

შევიტანოთ (7.2) ფორმულის მნიშვნელობა (7.1) ფორმულაში, მივიღებთ

$$U_{\text{д}} = C_e \Phi n + I R_{\text{д}}. \quad (7.3)$$

(7.3) ფორმულა შეგვიძლია წავიკითხოთ ასე:

წევის მრავას მომჭერებზე მოდებული ძაბვა ტოლია, თვითინდუქციის (უკუ) ელექტრომამოძრავებელი ძალის $C_e \Phi n$ და მრავას გრაგნილების აქტიურ წინააღმდებაში ძაბვის გარდნის $I R_{\text{д}}$ ჯამის.

(7.3) ფორმულიდან განვსაზღვროთ მრავას დენი


$$I_{\text{д}} = \frac{U_{\text{д}} - C_e \Phi n}{R_{\text{д}}} \quad (7.4)$$

დაძვრის მომენტში, რადგან $n_{\text{д}} = 0$, ამიტომ $C_e \Phi n = 0$ და დენის საანგარიშო ფორმულა მიიღებს სახეს

$$I = \frac{U_{\text{д}}}{R_{\text{д}}}.$$

ვინაიდან $R_{\text{д}}$ ძალზე მცირე სიდიდეა (დაახლოებით 0,1-0,15 ომი), ამიტომ მრავას დენი აღწევს დაუშვებლად დიდ მნიშვნელობას.

თავიდან, რომ ავიცილოთ მრავას დაზიანება, საჭიროა შევზღუდოთ მრავას ამუშავების დენი დასაშვებ მნიშვნელობამდე. ამისთვის საჭიროა შევამციროთ მრავას მომჭერებზე ძაბვის მნიშვნელობა, რისთვისაც მუდმივი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობებში, მრავას მიმდევრობით ირთვება დამატებითი წინააღმდები, ე.წ. ასამუშავებელი რეოსტატები, რომლებშიც შთაინთქმება ძაბვის მნიშვნელოვანი ნაწილი (იხ. ნახ. 7.1).



ნახ. 7.1. ასამუშავებელი რეოსტატი R_d ჩართულია მრავას მიმდევრობით.

($F_{\text{д}} = 0,367 C_e \Phi I$), დაიწყებს შემცირებას. იმისათვის, რომ წევის ძალა და შესაბამი-

აღწერილი შემთხვევისთვის (7.4) განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს

$$I_{\text{д}} = \frac{U_{\text{д}} - C_e \Phi n_{\text{д}}}{R_{\text{д}} + R_s}. \quad (7.5)$$

მატარებლის დაძვრისას წევის მრავების დუზები იწყებენ ბრუნვას. წარმოიქმნება უკუ ემ $E = C_e \Phi n$, რის გამოც მრავას დენი და, შესაბამისად, წევის ძალა

სად მატარებლის აჩქარება შევინარჩუნოთ უცვლელად, საჭიროა ძრავას ამუშავების დენი შევინარჩუნოთ მაქსიმალურ დასაშვებ ფარგლებში უცვლელად (ან ვცვალოთ წინასწარ განსაზღვრული კანონით). ამისთვის კი საჭიროა სიჩქარის ზრდისას შევამციროთ ასამუშავებელი რეოსტატის წინაღობა R_{r} . ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ასამუშავებელი რეოსტატი მთლიანად არ ამოირთვება წრედიდან, ანუ სანამ მატარებლის სიჩქარე არ მიაღწევს ძრავას ავტომატურ მახასიათებელზე (ურეოსტატო პოზიციის სიჩქარე) გასვლის სიჩქარეს. ამით ამუშავების პროცესი დამთავრებულია. შემდგომში, მოძრაობის სიჩქარის ცვლილებისას ავტომატურად იცვლება ძრავას დენი და შესაბამისად ძრავას მიერ განვითარებული წევის ძალა.

იმისათვის, რომ განახორციელონ მდოვრე დაძვრა და თავიდან აიცილონ დარტყმები კბილანა რედუქტორებში, საწყის ეტაპზე ძრავას დენს ამცირებენ შესაბამის მინიმალურ მნიშვნელობამდე (ასამუშავებელ რეოსტატზე კ.წ. სამანევრო საფეხურების წინაღობების დამატებით), შემდეგ კი ზრდიან ძრავას მაქსიმალურად დასაშვები დენის მნიშვნელამდე. (ძრავას მაქსიმალური დენის მნიშვნელობა აიღება თვით ძრავას დასაშვები დენის ჩაჭიდების მაქსიმალური წევის ძალის შესაბამისი დენის, ან მაქსიმალური დასაშვები აჩქარების შესაბამისი დენის მიხედვით).

7.2. წევის ძრავას მდოვრე რეოსტატული ამუშავება

როგორც ვნახეთ, რეოსტატული ამუშავების დროს ძრავაში გამავალი დენის სიდიდე განისაზღვრება ფორმულით

$$I_{\text{sd}} = \frac{U_{\text{d}\sigma} - C_e \Phi n_{\text{d}\sigma}}{R_{\text{d}\sigma} + R_{\text{r}}}$$


დაძვრის მომენტისთვის ეს ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს

$$I_{\text{sd}} = \frac{U_{\text{d}\sigma}}{R_{\text{d}\sigma} + R_{\text{r}}}. \quad (7.6)$$

თუ (7.6) ფორმულას ამოვხსნით $(R_{\text{d}\sigma} + R_{\text{r}})$ -ის მიმართ, მივიღებთ

$$(R_{\text{d}\sigma} + R_{\text{r}}) = \frac{U_{\text{d}\sigma}}{I_{\text{d}\sigma}}. \quad (7.7)$$

მიღებული გამოსახულებიდან ჩანს, რომ ამუშავების დენის (შესაბამისად წევის ძალის), მუდმივი მნიშვნელობის შესანარჩუნებლად, საჭიროა ასამუშავებელი რეოსტატის წინაღობა შევამციროთ სიჩქარის ზრდის უკუპროპორციულად (ნახ. 7.2 ა) (ნახაზის მარცხენა მხარე). ჩანს, რომ ამუშავების პროცესში რეოსტატის წინაღობა იცვლება ab წრფის მიხედვით. b წერტილში რეოსტატის წინაღობა 0-ის ტოლია. k წერტილი შეესაბამება ავტომატურ მახასიათებელზე გასვლის სიჩქარეს V_s -ს.



ნახ. 7.2. წევის ძრავას მდოვრე რეოსტატული ამუშავება.

7.2 ბ ნახაზზე ნაჩვენებია ძაბვის და ელექტრომამოძრავებელი ძალის ცვლილება ერთი ძრავას შემთხვევაში. გამარტივების მიზნით, ამუშავების პროცესში, მექანიკურ და მაგნიტურ კარგების ძრავაში არ ვითვალისწინებოთ. ამავე დროს ვუშვებოთ, რომ სიჩქარის ზრდისას მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა არ იცვლება, ანუ მატარებლის აჩქარება მუდმივი სიდიდეა.

თუ ძრავას უკუელექტრომამოძრავებელ ძალას (1 წრფე), დავუმატებოთ ძაბვის ვარდნას ძრავას აქტიურ წინააღმდებაზი $IR_{\text{ძ}}$, მივიღებოთ ძაბვის მნიშვნელობას ძრავას მომჭერებზე (2 წრფე). ქსელის ძაბვა უცვლელია და გამოსახულია 3 წრფით.

თუ 7.2 ბ ნახაზზე მოცემულ წრფეების ორდინატებს გავამრავლებოთ ძრავას ამუშავების დენზე $I_{\text{ძ}}$, მაშინ მივიღებოთ სიმძლავრეების განაწილებას ამუშავების პროცესში (ნახ. 7.3).

7.3 ნახაზზე 3 წრფე შეესაბამება ქსელიდან მოთხოვნილ სიმძლავრეს $U_{\text{ქ.}I}$. 3 და 2 წრფეების ორდინატთა სხვაობა შეესაბამება სიმძლავრის დანაკარგებს ასამუშავებელ რეოსტატებში $I^2R_{\text{ძ}}$, (სამკუთხედი ced). 2 და 1 წრფეების ორდინატთა სხვაობა სიმძლავრის დანაკარგებს ძრავას აქტიურ წინააღმდებაზი $I^2R_{\text{ძ}}$, 1, 2 და 3 წრფეებით შემოფარგლული ფართები, შეესაბამისად შეესაბამება ენერგიის განაწილებას ამუშავების პროცესში. კერძოდ,

oedb – მართკუთხედის ფართი შეესაბამება ქსელიდან მიღებულ ენერგიას,

$$A_{\text{ქ}} = U_{\text{ქ.}} \cdot I_{\text{ძ}} \cdot t_s$$


ocda – ფართი შეესაბამება ენერგიის დანაკარგებს ძრავაში,

$$A_{\text{ж}} = U_{\text{ж}} \cdot I_{\text{ж}} \cdot t_s$$

ced – პორიზონტალურად დაშტრიხული ფართი შეესაბამება ენერგიის დანაკარგებს ასამუშავებელ რეოსტატებში,


$$A_{\text{ж}} = I_{\text{ж}}^2 R_{\text{ж}} t_s.$$

როგორც 7.3 ნახაზიდან ჩანს, ამუშავების პროცესში, ქსელიდან მიღებული ენერგიის თითქმის ნახევარი ფუჭად იკარგება ასამუშავებელ რეოსტატებში.




ნახ. 7.3. სიმძლავოის გახაწილება ერთი ძრავას ამუშავების პროცესში.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც გვაქვს ორი წევის ძრავა, ჯერ მიმდევრობით (ნახ. 7.4 ა), ხოლო შემდგომ პარალელურად ჩართული (ნახ. 7.4 ბ). რეოსტატის გარეშე მიმდევრობით შეერთებისას ერთი ძრავას მომჭერებზე ძაბვა ქსელის ძაბვის ნახევრის ტოლია, ხოლო პარალელური შეერთების დროს ქსელის ძაბვის ტოლი. ამუშავების პროცესში ძაბვა იცვლება Oabcd ტეხილის მიხედვით (ნახ. 7.5). ბ წერტილში წევის ძრავას ძაბვა უტოლდება ქსელის ძაბვის ნახევარს და რეოსტატი მთლიანადაა გამოყვანილი წრედიდან. ამავე წერტილში ხდება გადართვა პარალელურ შეერთებაზე და ასამუშავებელი რეოსტატი ხელმეორედ ირთვება წრედში. ამუშავება მთავრდება d წერტილში, როდესაც ასამუშავებელი რეოსტატის წინაღობა უტოლდება 0-ს და ძრავაზე მოედება ქსელის ძაბვა. როგორც 7.5 ნახაზიდან ჩანს, განსილული ვარიანტის შემთხვევაში ამუშავებაზე ენერგიის დანაკარგები თითქმის ორჯერ მცირდება. იდე-სამკუთხედის ფართი მცირდება aecb-მართკუთხედის ტოლი ფართით.




ნახ. 7.4. წევის ძრავების ჩართვა: а) მიმდევრობით და ბ) პარალელურად.



ნახ. 7.5. ამუშავების პროცესი ორი ძრავას დაჯგუფების შემთხვევაში.

ექსპრავიანი ლოკომოტივის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს ძრავების შეერთების სამი ვარიანტი: მიმდევრობითი შეერთება – ძრავას მომჭერებზე 500 ვ ძაბვით, მიმდევრობით-პარალელური შეერთება – ძრავას მომჭერებზე 1 000 ვ ძაბვით და პარალელური შეერთება – ძრავას მომჭერებზე 1 500 ვ ძაბვით. ამ ვარიანტისათვის ამუშავების დიაგრამა მოცემულია 7.6 ნახაზზე.

2-ტეხილი გვიჩვენებს ძაბვის ცვლილებას ძრავას მომჭერებზე, ხოლო დაშტრიხული სამკუთხედები – ენერგიის დანაკარგებს ასამუშავებელ რეოსტატებში. როგორც ნახაზიდან ჩანს, ამ შემთხვევაში ენერგიის დანაკარგები რეოსტატებში მცირდება სამჯერ, იმასთან შედარებით, რაც გვექნებოდა წევის ძრავების ერთი, (პარალელური) დაჯგუფების შემთხვევაში.



ნახ. 7.6. ამუშავების პროცესი ძრავების სამი დაჯგუფების შემთხვევაში.


7.3 საფეხურისებრივი რეოსტატული ამუშავება

მუდმივი დენის ელექტრომავლებზე, ასამუშავებელ რეოსტატებს ასრულებენ ცალკეული სექციების სახით (ნახ. 7.7 ა). ამუშავების პროცესში რეოსტატის სექციებს გარკვეული თანმიმდევრობით გამორთავენ საკომუტაციო აპარატების-ინდივიდუალური კონტაქტორების საშუალებით. განვიხილოთ ეს პროცესი 7.7 ა ნახაზზე მოცემული სქემის მაგალითზე.

ასამუშავებელი რეოსტატების სექციების რიცხვის შერჩევისას ცდილობენ მათი მინიმალური რაოდენობით მიიღონ პოზიციების მაქსიმალური რაოდენობა და ამით უზრუნველყონ დენის, და შესაბამისად, წევის ძალის ნაკლები რყევა. ამის მიღწევა შესაძლებელია სექციების შეერთების სხვადასხვა კომბინაციებით.

7.7 ა ნახაზზე თუ ჩავკეტავთ 1 კონტაქტორს და დანარჩენი იქნება დია, მაშინ *a, b* და *c* სექციები ჩაირთვებიან მიმდევრობით. 2-კონტაქტორის ჩართვით ამოირთვება *a* სექცია. 3 კონტაქტორის ჩართვით წრედში ჩართული დარჩება მხოლოდ *c* სექცია. თუ გამოვრთავთ 1, 2 კონტაქტორებს და ჩავრთავთ 4 კონტაქტორს, მაშინ *a* და *b* სექციები ჩაირთვებიან *c* სექციის პარალელურად. თუ ჩავრთავთ 2, 3, 4 კონტაქტორებს, პარალელურად ჩაირთვებიან *a* და *c* სექციები. და ბოლოს თუ ჩავრთავთ ყველა ოთხივე კონტაქტორს, ასამუშავებელ რეოსტატს მთლიანად ამოვრთავთ

წრედიდან (გავალთ ე.წ. ავტომატურ მახასიათებელზე). იმისათვის, რომ ვიცოდეთ რომელ პოზიციაზე რომელი კონტაქტორებია ჩართული და სექციები როგორაა ჩართული, ადგენერ კონტაქტორების ჩართვის ცხრილს (ნახ. 7.7, ბ).



ნახ. 7.7. ა – საფეხურისებრივი რეოსტატული რეგულირების სქემა და
ბ) კონტაქტორების ცხრილი.

7.4. სიჩქარის რეგულირება

საზოგადოდ ცნობილია, რომ მუდმივი დენის კოლექტორიანი წევის ძრავები პროექტირდება 1500 ვოლტ ძაბვაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ უფრო მაღალი მუშა ძაბვის დროს რთულდება ძრავას კონსტრუქცია და დაუშვებლად იზრდება ძრავას გაბარიტები (რაც ლიმიტირებულია სარელსო გზის ლიანდის სიგანით). 1500 ვოლტ ძაბვაზე დაბალი მუშა ძაბვის შემთხვევაში, (როდესაც საკონტაქტო ქსელში შენარჩუნებულია 3 000ვ ძაბვა), ძალზე რთულდება წევის ძრავას მომჰქერებზე ძაბვის და, შესაბამისად, სიჩქარის რეგულირება.

ზემოთ მოყვანილი ძაბვათა ბალანსის განტოლებიდან (ფორმულა 7.4) განვსაზღვროთ ძრავას ბრუნთა რიცხვი n , მივიღებთ

$$n = \frac{U_{\text{დრ}} - IR_{\text{დრ}}}{C_e \Phi}. \quad (7.8)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ძრავაში ძაბვის ვარდნა $IR_{\text{დრ}}$, U -თან შედარებით, ძალზე მცირე სიდიდეა (არ აღემატება 4%-ს), მაშინ ის შეიძლება უგულვებელყოთ და (7.8) განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს

$$n = \frac{U_{\text{დრ}}}{C_e \Phi}. \quad (7.9)$$

მიღებული (7.9) განტოლების თანახმად, ძრავას ბრუნთა რიცხვის n და, შესაბამისად, ელექტრომავლის სიჩქარის რეგულირება, შესაძლებელია ძრავას მომჰქერებზე ძაბვის U ან ძრავას მაგნიტური ნაკადის Φ რეგულირებით.

7.4.1. სიჩქარის რეგულირება ძაბვის ცვლილებით

ამჟამავების პროცესის განხილვის დროს ვნახეთ (ნახ. 7.7), ასამუშავებელი რეოსტატის საფეხურების მთლიანი ამორთვის შემდეგ, თითოეულ ძრავაზე გვექნება $1\ 500$ ვოლტი ძაბვა (ორი ძრავა მიმდევრობით $\frac{3000}{2}=1500$ ვ). სინამდვილეში, როგორც ვიცით, ელექტრომავლის ძრავების (დერძების) რიცხვი შეიძლება იყოს 4, 6, 8 და მათი მიმდევრობით შეერთებისას თითოეულზე ძაბვა შესაბამისად იქნება:

$$4 \text{ ღერძიანი ელექტრომავლისთვის } \frac{3000}{4}=750 \text{ ვოლტი;}$$

$$6 \text{ ღერძიანი ელექტრომავლისთვის } \frac{3000}{6}=500 \text{ ვოლტი;}$$

$$8 \text{ ღერძიანი ელექტრომავლისთვის } \frac{3000}{8}=375 \text{ ვოლტი.}$$


(ნახ. 7.8).

სიჩქარის შემდგომი გაზრდისთვის საჭიროა გავაგრძელოთ ძრავას მომჭერებზე ძაბვის გაზრდა. ამ მიზნით წევის ძრავებს მიმდევრობითი (ე.წ. სერიესული) შეერთებიდან, გადართავენ მიმდევრობით-პარალელურ (სერიეს-პარალელურ) შეერთებაზე. ე.ი. გვექნება:


$$4 \text{ ღერძიან ელექტრომავლებში ორი პარალელური შტო, თითოეულში ორ-ორი მიმდევრობით ჩართული ძრავათი და ძაბვით } - \frac{3000}{2}=1500 \text{ ვ (ნახ. 7.9, a);}$$

$$6 \text{ ღერძიან ელექტრომავლებში ორი პარალელური შტო, თითოეულში სამ-სამი მიმდევრობით ჩართული ძრავათი, ძაბვით } \frac{3000}{3}=1000 \text{ ვ (ნახ. 7.9, b);}$$

$$8 \text{ ღერძიან ელექტრომავლებში ორი პარალელური შტო. თითოეულში ოთხ-ოთხი მიმდევრობით ჩართული წევის ძრავათი } \frac{3000}{4}=750 \text{ ვ ძაბვით (ნახ. 7.9, c).}$$



ნახ. 7.8. წევის ძრავების მიმდევრობითი შეერთება: a) 4 ღერძიანი,
b) 6 ღერძიანი და გ) 8 ღერძიანი ელექტრომავლებისთვის.



ნახ. 7.9. წევის ძრავების სერიეს-პარალელური შეერთება: а) 4 ღერძიანი,
б) 6 ღერძიანი და გ) 8 ღერძიანი ელექტრომავლებისთვის.

სიჩქარის შემდგომი ზრდისათვის წევის ძრავებს გადართავენ პარალელურ შეერთებაზე (ნახ. 7.10).

შენიშვნა: ოთხღერძიან ელექტრომავლებში ძრავების შემდგომი გადაჯგუფება შეუძლებელია, რადგან მათთვის ნომინალური ძაბვის მნიშვნელობა – $1\ 500$ გ უკვე მიღწეულია.


6 და 8 ღერძიანი ელექტრომავლებისთვის გვექნება:

6 ღერძიან ელექტრომავლებში სამი პარალელური შტო, თითოეულში ორ-ორი

$$\text{მიმდევრულად ჩართული ძრავათი, ძაბვით } \frac{3000}{2} = 750 \text{ გ (ნახ. 7.10, а);}$$

8 ღერძიან ელექტრომავლებში ოთხი პარალელური შტო, თითოეულში ორ-ორი

$$\text{მიმდევრულად ჩართული ძრავათი, ძაბვით } \frac{3000}{2} = 750 \text{ გ (ნახ. 7.10, б).}$$



ნახ. 7.10. წევის ძრავების პარალელური შეერთება: б) 6 ღერძიანი
და გ) 8 ღერძიანი ელექტრომავლებისათვის.

7.4.2. სიჩქარის რეგულირება მაგნიტური ნაკადის რეგულირებით

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული (ფორმულა 7.9), სიჩქარის რეგულირება შეიძლება მაგნიტური ნაკადის Φ ცვლილებით, ძრავას მოჭერებზე უცვლელი ძაბვის დროს.

მიმდევრობით აგზნებიან ძრავებში, სადაც დუზის დენი გადის აგზნების გრაგნილში, მაგნიტური ნაკადის მხოლოდ შემცირება შეიძლება. ამიტომ, ამ მოქმედებამ მიიღო გელის შესუსტების სახელწოდება. ამ დროს იზრდება დუზის დენი და შესაბამისად ქსელიდან მოთხოვნილი სიმძლავრე.

ელექტრული მანქანების კურსიდან ცნობილია, რომ მაგნიტური ნაკადის სიდიდე პროპორციულია ამპერ ხვიების. ეს ფორმულის სახით შეგვიძლია ჩავწეროთ ასე

$$\Phi \equiv WI_s, \quad (7.10)$$

სადაც, W არის აგზნების გრაგნილის ხვიათა რიცხვი.

I_s – აგზნების გრაგნილში გამავალი დენი.


ე.ო. გამოდის რომ მაგნიტური ნაკადი შეიძლება ვარეგულიროთ ორი გზით:

- 1 – აგზნების გრაგნილის ხვიათა რიცხვის W ცვლილებით;
- 2 – აგზნების გრაგნილში გამავალი დენის I_s ცვლილებით.

პირველი ხერხი პრაქტიკაში არ გამოიყენება, რადგან აგზნების გრაგნილის გამომყვანების რიცხვის გაზრდის გამო, ართულებს ძრავას კონსტრუქციას და

ამცირებს მისი მუშაობის საიმედოობას.

მეორე ხერხის გამოყენების დროს, წევის ძრავას აგზნების გრაგნილს აშუნტებენ რეგულირებადი წინაღობის მქონე რეზისტორით (რეზისტატით). მაშუნტირებელი რეზისტორი დაყოფილია სექციებად, რომელთა ჩართვა-გამორთვა ხდება ინდივიდუალური ელექტროპერმატური კონტაქტორებით (ნახ. 7.11). 1-კონტაქტორის ჩართვისას, აგზნების გრაგნილის პარალელურად ირთვება გელის შესუსტების რეზისტორის სრული წინააღმდეგობა $R = r_1 + r_2 + r_3$. ამ დროს აგზნების დენის დიდი ნაწილი (ვთქვათ 80%) გაივლის აგზნების გრაგნილში, ხოლო დანარჩენი 20% გაივლის მაშუნტირებელ წრედში. შედეგად მივიღებთ გელის შესუსტების პირველ 80%-იან საფეხურს.



ნახ. 7.11. გელის შესუსტების პრინციპული სქემა.

შემდეგ ჩართავენ 2 კონტაქტორს. მაშუნტირებელი წრედის წინადობა შემცირდება r_1 სიდიდით. (ვთქვათ სრული წინააღმდეგობის R -ის 10%-ით), მივიღებთ ველის შესუსტების 70%-იან მეორე საფეხურს და ა.შ.

მაგნიტური ნაკადის შემცირება შესაძლებელია რაღაც მინიმალურ ზღვრამდე უფრო დრმად ველის შესუსტების შემთხვევაში, დუზის რეაქციის ნაკადის ზემოქმედებით მახინჯდება რეზულტირებული ნაკადი, გეომეტრიული ნეიტრალი (რომელზეც განთავსებულია მუსები) იცვლის ადგილს (მუსდამჭერები კი რჩებიან დამაგრებული ადგილზე), რის გამოც ძრავა იწყებს ნაპერწკლიანობას, რაც შეიძლება კოლექტორზე გადაიზარდოს წრიულ ცეცხლში.

7.11 ნახაზზე ველის შესუსტების რეზისტორების მიმდევრობით ჩართულია დიდი ინდუქტივობის მქონე ელემენტი ე.წ. ინდუქტიური შუნტი იშ. მისი გამოყენების აუცილებლობა აიხსნება შემდეგნაირად:

მოძრაობის დროს ხანმოკლე ვადით შეიძლება გამოირთოს წევის ქვესადგური, ან დენტიმდები მოწყდეს საკონტაქტო სადენს. ძაბვის (კონტაქტის) აღდგენის მომენტში ძრავაში გაივლის დიდი დენი (რადგან გამორთვის გამო, ძრავას ე.მ.დ. იყო შემცირებული). ვინაიდან აგზნების გრაგნილს აქვს გაცილებით დიდი ინდუქტიური წინააღმდეგობა, ვიდრე ველის შესუსტების მაშუნტირებელ წრედს, ამიტომ ამ დენის უდიდესი ნაწილი გაივლის მაშუნტირებელი წრედის გავლით. ძრავა დარჩება აგზნების გარეშე. დუზის რეაქციის ნაკადი მკვეთრად დაამახინჯებს მუშა ნაკადს, რასაც მოჰყვება გეომეტრიული ნეიტრალის გადახრა და ძრავას კომუტაციის მკვეთრი გაუარესება. ეს რომ ავიცილოთ თავიდან, მაშუნტირებელ წრედში, ველის შესუსტების რეზისტორების მიმდევრობით რთავენ დიდი ინდუქტივობის მქონე ინდუქტიურ შუნტს – იშ-ს.

თუ მაგალითისთვის განვიხილავთ ВЛ-10 სერიის ელექტრომავალს, ვნახავთ, რომ ძაბვის რეგულირებით მიიღება სამი სავალი (ხანგრძლივ რეჟიმში მუშაობის-თვის) საფეხური. თუ თითოეულ ამ საფეხურზე გამოვიყენებთ ველის შესუსტების 4 საფეხურს, სულ მივიღებთ $3 + 3 \cdot 4 = 15$ სავალ საფეხურს.

ძალური ნახევარგამტარული ტექნიკის განვითარების დღევანდელი დონე შესაძლებლობას იძლევა, ე.წ. რეოსტატული ამუშავების და მაგნიტური ნაკადის რეგულირების რეოსტატული სისტემების ნაცვლად მუდმივი დენის ელექტრომავლებში გამოვიყენოთ ე.წ. მდოვრე რეგულირების სქემები, პრაქტიკულად უსასრულო სავალ საფეხურთა რაოდენობით.

7.5. ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლა ძრავას მომჰერებზე ძაბვის ცვლილებისას

თუ ცნობილია ძრავას ელექტრომექანიკური ან წვის მახასიათებლები რომელიმე U_1 ძაბვაზე და საჭიროა მახასიათებლების აგება სხვა U'_1 ძაბვაზე, ეს შეიძლება გავაკეთოთ ორი გზით:

1. ზემოთ აღწერილი მეთოდით (იხ. მე-6 თავის მე-2 და მე-3 პარაგრაფები) მოვახდინოთ მახასიათებლების გათვლა U'_1 ძაბვაზე და მათი შემდგომი აგება;
 2. მოვახდინოთ U_1 ძაბვაზე გათვლილი და აგებული ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლა განსხვავებულ U'_1 ძაბვაზე.
- პირველი გზა ჩვენთვის ცნობილია, განვიხილოთ მეორე.

ა) სიჩქარის მახასიათებელის $V(I)$ გადათვლა.

(6.7) ფორმულის თანახმად ძრავას მომჰერებზე U_1 ძაბვის და ძრავას I_d დენის დროს, სიჩქარე იქნება

$$V_1 = \frac{U_1 - I \cdot R_d}{C\Phi}. \quad (7.11)$$

ანალოგიურად U'_1 ძაბვის და იგივე I_d დენის დროს, სიჩქარე იქნება

$$V'_1 = \frac{U'_1 - I \cdot R_d}{C\Phi}. \quad (7.12)$$

თუ გავყოფთ (7.12)-ს (7.11)-ზე და განვსაზღვრავთ სიჩქარეს V'_1 , მივიღებთ


$$V'_1 = \frac{V_1(U'_1 - I \cdot R_d)}{U_1 - I \cdot R_d}. \quad (7.13)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ძაბვის ვარდნა ძრავაში IR_d , ძრავაზე მოდებულ ძაბვასთან შედარებით მცირე სიდიდეა და შეგვიძლია უგულვებელყოთ, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი და იგივე დატვირთვის (დენის) დროს, სიჩქარე ძრავას მომჰერებზე მოდებული ძაბვის პროპორციულია, ანუ სხვა, განსხვავებულ ძაბვაზე სიჩქარის მახასიათებლის აგებას ვახდენთ შემდეგი თანმიმდევრობით:

$$V'_1 = V_1 \frac{U'_1}{U_1}. \quad (7.14)$$

U_1 ძაბვის შესაბამის არსებულ სიჩქარის მახასიათებელზე ვუშვებთ ძრავას დენის მნიშვნელობას I_{d1} და ვსაზღვრავთ შესაბამის სიჩქარეს V_1 -ს. შემდეგ (7.14) ფორმულით გამოვთვლით სიჩქარეს V'_1 . I_{d1} და V'_1 კოორდინატებით ვაგებთ საძიელი მახასიათებლის 1 წერტილს (ნახ. 7.12). შემდეგ ვუშვებთ ძრავას დენის

მეორე, I_{d2} -ის მნიშვნელობას, არსებული მახასიათებლიდან ვსაზღვრავთ სიჩქარეს V_2 -ს, (7.14) ფორმულით გამოვთვლით სიჩქარეს V'_2 -ს. I_{d2} და V'_2 კოორდინატებით ვაგებთ საძიებელი მახასიათებლის 2 წერტილს და ა.შ. (1, 2, 3,...) მიღებული წერტილების შეერთება მრუდი წირით მოგვცემს U'_1 ძაბვის შესაბამის სიჩქარის მახასიათებელს (ნახ. 7.12 წყვეტილი მრუდი).



ნახ. 7.12. სიჩქარის მახასიათებლის გადათვლა ძაბვის ცვლილებისას.

ბ) წევის ძალის მახასიათებლის $F(I)$ გადათვლა.

როგორც ზემოთ მოყვანილ (6.27) ფორმულიდან ჩანს, არტახის და რელსის შეხების ზონაში განვითარებული წევის ძალა ძაბვაზე არაა დამოკიდებული. ამიტომ ის რჩება უცვლელი და გადათვლას არ საჭიროებს.

გ) მარგი ქმედების კოეფიციენტის მახასიათებლის $\eta_o(I)$ გადათვლა.


თვალის მიმართ მარგი ქმედების კოეფიციენტი წევის ძრავას და კბილანა რედუქტორის მარგი ქმედების კოეფიციენტთა ნამრავლის ტოლია. $\eta_o = \eta_d \eta_{\text{რედ}}$ რედუქტორის მარგი ქმედების კოეფიციენტი, რედუქტორში დანაკარგების უცვლელობის გამო, მუდმივი სიდიდეა $\eta_{\text{რედ}} = \text{const}$. ძაბვის გაზრდისას, ვინაიდან იზრდება ძრავას ბრუნვის სიჩქარე, გაიზრდება მექანიკური კარგები ძრავაში და შესაბამისად შემცირდება ძრავას მქპ. ძრავას მომჰერებზე ძაბვის შემცირებისას,

მცირდება ძრავას ბრუნთა რიცხვი, მცირდება მექანიკური კარგვები და შესაბამისად იზრდება ძრავას მქპ. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ავაგოთ მქპ-ის მახასიათებელი წყვილთვალის ფერსოს მიმართ ძაბვის ცვლილებისას $\eta_{\text{v}}(I)$.

დ) ძრავას წევის მახასიათებლის $F(V)$ გადათვლა.

რაც შეეხება ძრავას წევის მახასიათებლის $F(V)$ გადათვლას სხვა ძაბვაზე, ის წარმოებს ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლის ანალოგიურად.

ვთქვათ მოცემულია ძრავას წევის მახასიათებელი U_1 ძაბვაზე, (ნახ. 7.13, უწყვეტი მრუდი) და საჭიროა გადავთვალოთ ეს მახასიათებელი U_2 ძაბვაზე. ვიღებთ სიჩქარის მნიშვნელობას V_1 და მოცემული წევის მახასიათებლიდან ვსაზღვრავთ მის შესაბამის წევის ძალას F_1 -ს ვინაიდან წევის ძალის სიდიდე არაა დამოკიდებული ძაბვაზე, ის რჩება უცვლელი; ხოლო სიჩქარე, ამ შემთხვევაში, გაიზრდება ძაბვის პროპორციულად და გახდება V'_1 -ის ტოლი. ამ ორი F_1 და V'_1 კოორდინატით ავაგებთ საძიებელი მახასიათებლის 1 წერტილს (ნახ. 7.13). შემდეგ ვუშვებთ სიჩქარის V_2 მნიშვნელობას, ვსაზღვრავთ მოცემული წევის მახასიათებლიდან წევის ძალას F_2 -ს, ხოლო ვანგარიშობთ V'_2 -ს. მიღებული თრი კოორდინატით ვაგებთ საძიებელი მახასიათებლის 2 წერტილს და ა.შ. წერტილების შეერთება მრუდი წირით მოგვცემს U_2 ძაბვის შესაბამის წევის საძიებელ მახასიათებელს (წყვეტილი მრუდი, ნახ. 7.13).



ნახ. 7.13. წევის მახასიათებლის გადათვლა ძაბვის ცვლილებისას.

7.6. ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლა მაგნიტური ნაკადის (მაგნიტური ველის) შესუსტებისას

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული (იხ. მე-7 თავის 7.4.2 პარაგრაფი) სიჩქარის რეგულირება შესაძლებელია მაგნიტური ნაკადის რეგულირებით, ელექტრული მანქანების კურსიდან ცნობილია, რომ მაგნიტური ნაკადი

$$\Phi \equiv I_{\text{აგ}} \cdot W_{\text{აგ}}. \quad (7.15)$$

ასევე მე-7 თავის 7.4.2 პარაგრაფიდან ცნობილია, რომ პრაქტიკაში მაგნიტური ნაკადის სარეგულირებლად (ამ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ მისი შემცირების გზა) არეგულირებენ აგზნების დენს $I_{\text{აგ}}$, რასაც ველის შესუსტებას უწოდებენ.

ზოგადად ნახ. 7.14 ა-ზე მოცემული სქემის შესაბამისად, მიმდევრობით აგზნებიანი მუდმივი დენის ძრავებისათვის შეგვიძლია დავწეროთ

$$V(I) = \frac{U - (R_{\text{ა}} + \beta R_{\text{აგ}})I}{C\Phi(\beta I)}, \quad (7.16)$$

სადაც $R_{\text{ა}}$ არის ღუზის ჯამური აქტიური წინააღმდეგობა, ომებში.

$R_{\text{აგ}}$ – აგზნების გრაგნილის აქტიური წინააღმდეგობა, ამპერებში.


I – ძრავაში გამავალი დენი, ამპერებში.

β – მაგნიტური ველის კოეფიციენტი, რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება, როგორც

$$\beta = \frac{R_{\text{ა}}}{(R_{\text{ა}} + R_{\text{აგ}})} < 1,$$

$R_{\text{ა}}$ – აგზნების გრაგნილის მაშუნტირებელი წრედის აქტიური წინააღობა ომებში.

$\beta \cdot I = I_{\text{აგ}} = \text{აგზნების დენი}.$



ნახ. 7.14. მიმდევრობითაგზნებიანი წევის ძრავას ელექტრული სქემა: а) შესუსტებული, б) სრული მაგნიტური ველის დრო.

თუ ცნობილი იქნება ძრავას დამაგნიტების მრუდი $\Phi(I_{\text{ა}}) = \Phi(\beta I)$, მაშინ გელის შესუსტების კოეფიციენტის β -ს ნებისმიერი მნიშვნელობისათვის, (7.16) ფორმულით შეგვიძლია გავთვალოთ და ავაგოთ ველის შესუსტების შესაბამისი მახასიათებელი.

გელის შესუსტების მახასიათებლები შეგვიძლია ავაგოთ დამაგნიტების მრუდის გამოყენების გარეშეც, სრული ველის მახასიათებლების გადათვლის გზით.

ა) სიჩქარის მახასიათებლის გადათვლა.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით (7.16) ფორმულას, ვნახავთ, რომ დუზის წრედში გადის I სიდიდის დენი, ხოლო აგზნების გრაგნილში $I_{\text{ა}} = \beta I$ სიდიდის დენი. თუ დავუშვებთ, რომ, როგორც დუზის, ასევე აგზნების გრაგნილში გადის ერთი და იგივე βI სიდიდის დენის, მაშინ (7.16) ფორმულის ნაცვლად გვექნება

$$V(\beta I) = \frac{U - (R_{\text{ა}} + R_{\text{ა}})\beta I}{C\Phi'(\beta I)}. \quad (7.17)$$

როგორც (7.16) და (7.17) გამოსახულებიდან ჩანს, ერთი და იგივე აგზნების დენის βI დროს, ნაჩვენებია მაგნიტური ნაკადები $\Phi(\beta I)$ და $\Phi'(\beta I)$. სინამდვილეში დუზის რეაქციის იდეალური კომპენსირებისას (დუზის სხვადასხვა დენებისათვის) მაგნიტური ნაკადები პრაქტიკულად იქნება ერთნაირი. თუ ამის გათვალისწინებით (7.17) ფორმულას გავყოფთ (7.16) ფორმულაზე, მივიღებთ

$$\frac{V(\beta I)}{V(I)} = \frac{U - (R_{\text{ა}} + R_{\text{ა}})\beta I}{U - (R_{\text{ა}} + \beta R_{\text{ა}})I}. \quad (7.18)$$


თუ ყურადღებით დავაკვირდებით (7.18) გამოსახულებას, დავინახავთ, რომ ის მიისწრაფვის ერთისაკენ, რადგან $(R_{\text{ა}} + R_{\text{ა}})\beta I$ და $(R_{\text{ა}} + \beta R_{\text{ა}})I$ გამოსახულება შეადგენს 3-4%-ს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის, რომ $R_{\text{ა}} \gg R_{\text{ა}}$ და $\beta < 1$. ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავწეროთ

$$V(\beta I) \approx V(I). \quad (7.19)$$

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიჩქარის მახასიათებელი მაგნიტური ველის შესუსტებისას, შეგვიძლია გადათვალოთ სრული ველის შესაბამისი სიჩქარის მახასიათებლიდან შემდეგნაირად:

ვთქვათ მოცემულია სრული ველის ($\beta = 1$) სიჩქარის მახასიათებელი (უწყვეტი მრუდი ნახ. 7.15). ველის შესუსტების სიჩქარის მახასიათებლის ასაგებად ვუშვებთ ძრავას დენის მნიშვნელობას I_1 -ს, რომელსაც სრული ველის სიჩქარის მახასიათებელზე შეესაბამება 1 წერტილი. შემდეგ განვსაზღვრავთ დენის მნიშვნელობას $(\beta I)_1$ -ს. გადავდებთ მას აბსცისთა დერმზე და ავღმართავთ ვერტიკალს სრული

ველის სიჩქარის მახასიათებლის გადაკვეთამდე, 1^1 წერტილი. მიღებული წერტილიდან ვავლებთ პორიზონტალს I_1 დენის შესაბამისი ვერტიკალის გადაკვეთამდე. გადაკვეთის 1^{11} წერტილი წარმოადგენს ველის შესუსტების საძიებელი მახასიათებლის პირველ წერტილს. შემდეგ ვუვვებთ დენის მნიშვნელობას I_2 -ს, რომელსაც სრული ველის სიჩქარის მახასიათებელზე შეესაბამება 2 წერტილი. ვანგარიშობთ $(\beta I)_2$ -ს მნიშვნელობას, გადავდებთ აბსცისთა ღრემზე და მიღებული წერტილიდან ავღმართავთ ვერტიკალს სრული ველის მახასიათებლის გადაკვეთამდე 2^1 წერტილი. ამ წერტილიდან ვავლებთ პორიზონტალს I_2 დენის შესაბამისი ვერტიკალის გადაკვეთამდე. მიღებული 2^{11} წერტილი წარმოადგენს ველის შესუსტების საძიებელი მახასიათებლის მეორე წერტილს და ა.შ. 1^{11} , 2^{11} , 3^{11} და ა.შ. წერტილების შეერთება მრუდი წირით მოგვცემს ველის შესუსტების საძიებელ სიჩქარის მახასიათებელს (წყვეტილი მრუდი ნახ. 7.15).



ნახ. 7.15. სიჩქარის მახასიათებლის გადათვლა
მაგნიტური ველის შესუსტებისას.

ბ) წევის ძალის მახასიათებლის გადათვლა.

წევის ძალის სრული ველის მახასიათებლის მიახლოებითი გადათვლა ველის შესუსტების β კოეფიციენტის ნებისმიერ მნიშვნელობაზე, წარმოებს სიჩქარის მახასიათებლის გადათვლის ანალოგიურად. ღუზის დენის I და აგზნების დენის βI მნიშვნელობისათვის ძრავას წევის ძალა განისაზღვრება, როგორც

$$F(I) = 0,367 C \Phi(\beta I) I. \quad (7.20)$$

სრული გელის მახასიათებელზე ($\beta=1$) βI დენის მნიშვნელობას შეესაბამება წევის ძალის მნიშვნელობა

$$F(\beta I) = 0,367 C\Phi(\beta I)\beta I . \quad (7.21)$$

თუ (7.20) გავყოფო (7.21)-ზე მივიღებთ


$$\frac{F(I)}{F(\beta I)} = \frac{1}{\beta} . \quad (7.22)$$

აქედან

$$F(I) = \frac{F(\beta I)}{\beta} . \quad (7.23)$$

რადგან $F(I)$ და $F(\beta I)$ წევის ძალების დროს სიჩქარე ერთნაირია, ამიტომ წევის მახასიათებლის გადათვლას ვახდენთ (7.23) ფორმულით შემდეგნაირად:

სრული გელის წევის მახასიათებელზე ვიღებთ 1 წერტილს, რომელსაც შეესაბამება სიჩქარის კოორდინატა V_1 და წევის ძალის კოორდინატა $F(\beta I)_1$ გადათვლის შემდეგ 1¹ წერტილს კოორდინატებით V_1 და $F(I)_1 = \frac{F(\beta I)_1}{\beta}$, რომელიც წარმოადგენს (ნახ. 7.16). შემდეგ სრული გელის მახასიათებელზე ვუშვებთ 2 წერტილს, კოორდინატებით V_2 და $F(\beta I)_2$, გადათვლის შემდეგ მივიღებთ 2¹ წერტილს კოორდინატებით V_2 და $F(I)_2 = \frac{F(\beta I)_2}{\beta}$ და ა.შ. თუ მიღებულ 1¹, 2¹, 3¹... წერტილებს შევაერთებთ მრუდის წირით, მივიღებთ საძიებელ ვალის შესუსტების მახასიათებელს (ნახ. 7.16. წყვეტილი წირი).



ნახ. 7.16. წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლის გადათვლა გელის შესუსტებისას.

გ) მარგი ქმედების კოეფიციენტის მახასიათებლის $\eta(I)$ გადათვლა

მარგი ქმედების კოეფიციენტის მახასიათებელი $\eta(I)$ მაგნიტური ველის შესუსტებისას უმნიშვნელოდ იცვლება, ამიტომ მის რაოდენობრივ გადათვლას არ ვაკეთებთ. განვმარტავთ, რომ მისი მნიშვნელობა ველის შესუსტების დროს, ძრავას დიდი დატვირთების (დენების) ზონაში უფრო მაღალია, ვიდრე სრული ველის დროს. ეს აიხსნება სიმძლავრის ელექტრული კარგების შემცირებით. მცირე დენების ზონაში კი სრული ველის შესაბამის მნიშვნელობაზე უფრო დაბალია. ეს აიხსნება, ბრუნვის სიჩქარის გაზრდის გამო, ძრავაში და კბილანა რედუქტორში მექანიკური კარგების გაზრდით.

7.7. სიჩქარის ცვლილების პროცესი ძრავას მომჭერებზე ძაბვის ცვლილებისას და მაგნიტური ველის შესუსტებისას

ძრავას მომჭერებზე ძაბვის მატების ან შემცირების დროს, ასევე ძრავას მაგნიტური ველის შესუსტებისას სიჩქარე არ შეიძლება შეიცვალოს მყისივე. ეს აიხსნება მატარებლის დიდი მასით გამოწვეულ ინერციულობით.

ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ სიჩქარის ცვლილებას მკვებავი ძაბვის და მაგნიტური ველის ცვლილებისას.

ა) სიჩქარის (ძრავას მუშაობის რეჟიმის) ცვლილება მკვებავი ძაბვის ცვლილებისას

ვნახოთ, თუ როგორ იცვლება სიჩქარე მატარებლის უცვლელ პროფილზე მოძრაობის დროს მკვებავი ძაბვის გაზრდისას.

ვთქვათ, ძრავას მომჭერებზე U_1 ძაბვას შეესაბამება სიჩქარის მახასიათებელი 1 (ნახ. 7.17 ა). ძრავას მუშაობის დამყარებულ რეჟიმს შეესაბამება V_1 სიჩქარე, დენი $I_{\text{d}1}$ და წევის ძალა $F_{\text{d}1}$. მახასიათებლებზე ამ რეჟიმს შეესაბამებიან a და b წერტილები (ნახ. 7.17 ა). მექანიკის კანონის თანახმად დამყარებული (უცვლელი, თანაბარი) სიჩქარით მოძრაობის რეჟიმს ადგილი ექნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხეულზე მომქმედი ძალების ტოლქმედი ძალა იქნება ნულის ტოლი. ანუ ჩვენ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ლოკომოტივის წევის ძალა ძალა ტოლი იქნება მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის. ე.ო.

$$F_{\text{ლ}} = kF_{\text{d}} = W, \quad (7.24)$$

სადაც, k არის ლოკომოტივის წევის ძრავების რიცხვი.

ამავდროულად (6.1) ფორმულის თანახმად, ძრავაზე მოდებული ძაბვა წონასწორდება უკულექტრომამოძრავებული ძალის და ძრავას გრაგნილებში ძაბვის ვარდნათა ჯამით. ძაბვის გაზრდისას U_1 მნიშვნელობიდან U_2 მნიშვნელობამდე (ამ უკანასკნელს ნახ. 7.17 ა-ზე შეესაბამება სიჩქარის 2 მახასიათებელი), ირლვევა ბალანსი ძრავაზე მოდებულ ძაბვასა, უკუ ემძ-სა და ძრავას გრაგნილებში ძაბვის ვარდნებს შორის. ძაბვის მყისი გაზრდისას, საწყის მომენტში ძრავას უკუ ემძ არ იცვლება (რადგან სიჩქარე და მაგნიტური ნაკადი პრაქტიკულად რჩება იგივე) ძაბვის მყისური გაზრდით U_1 მნიშვნელობიდან U_2 მნიშვნელობამდე, ძაბვასა და უკუ ემძ-ს შორის გაჩნდება დისბალანსი, რაც

$$I_d = \frac{U - C\Phi V}{R_d}. \quad (7.25)$$

ფორმულის თანახმად გამოიწვევს დენის მკვეთრ, ნახტომისებრ გაზრდას I_{d1} მნიშვნელობიდან I_{d2} მნიშვნელობამდე, პრაქტიკულად უცვლელი V_1 სიჩქარის დროს (ნახ. 7.17 ა-ზე იხილე მონაკვეთი aa_1). დენის გაზრდას (6.27) ფორმულის თანახმად მოჰყვება ძრავას (შესაბამისად ლოკომოტივის) წევის ძალის გაზრდა F_{d1} მნიშვნელობიდან F_{d2} მნიშვნელობამდე. ეს კი გამოიწვევს მატარებელზე მომქმედ ძალებს შორის წონასწორობის დარღვევას. წევის ძალა გახდება მეტი წინააღმდეგობის ძალაზე და დაიწყება აჩქარებული მოძრაობა. სიჩქარე დაიწყებს ზრდას 2 მახასიათებელზე არსებული a_1a_2 მონაკვეთის შესაბამისად (ნახ. 17.7 ა); მოძრაობის სიჩქარის ზრდისას დენი დაიწყებს შემცირებას, შესაბამისად შემცირებას დაიწყებს წევის ძალაც b_1b_2 მრუდის შესაბამისად.


სიჩქარის ზრდის და წევის ძალის შემცირების პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ არ დამყარდება ახალი წონასწორობა ლოკომოტივის წევის ძალასა და მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალას შორის. ასეთი წონასწორობა დადგება F_{d1} წევის ძალაზე ოდნავ მეტ წევის ძალისას, რადგან გაზრდილი სიჩქარის დროს უფრო მეტი იქნება მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა. ახალ დამყარებულ რეჟიმს შეესაბამება ძრავას წევის ძალა $F_{d3} > F_{d1}$ (წერტილი b_2). ამ დროს დამყარდება ძრავას დენი I_{d3} , ხოლო სიჩქარე V_2 . (ნახ. 17.7, ა) განსხვავება F_{d3} , F_{d1} და შესაბამისად I_{d3} , I_{d1} დენებს შორის უმნიშვნელოა და პრაქტიკულად თვლიან, რომ ძაბვის გაზრდა იწვევს მოძრაობის სიჩქარის გაზრდას, ხოლო დენი და წევის ძალა რჩება უცვლელი და ძაბვის გაზრდამდე არსებული მნიშვნელობის ტოლი.

ძრავას მომჰქერებზე ძაბვის შემცირებისას პროცესი მიმდინარეობს აღწერილის ანალოგიურად, ოდონდ მცირდება სიჩქარე, ხოლო დენი და წევის ძალა რჩება უცვლელი.

ბ) სიჩქარის (ძრავას მუშაობის რეჟიმის) ცვლილება აგზნების (ჟელის) შესუსტების ჩართვის დროს

აგზნების შესუსტებისას ძრავას მუშაობის რეჟიმის ცვლილება ნაჩვენებია ნახ.

7.17 ბ-ზე. სრული ველის დროს ძრავას მუშაობა მიმდინარეობს სიჩქარის 1 და წევის ძალის 3 მახასიათებლებზე. დამყარებული სიჩქარის რეჟიმს შეესაბამება a და b წერტილები (სიჩქარე V_1 , დენი I_{d1} , წევის ძალა F_{d1}). ველის შესუსტებისას ირდვევა ბალანსი ძრავაზე მოდებულ ძაბვასა (რომელიც ამ შემთხვევაში უცვლელია), ძრავას უკუ ემბ-სა და ძრავას გრაფიკილებში ძაბვის ვარდნებს შორის. ამის მიზეზია ძრავას უკუ ეგმ-ს შემცირება, აგზნების გრაფიკილის ველის შესუსტების რეზისტორით დაშუნტების გამო, რის შედეგად (6.1) ფორმულის თანახმად დენი ნახტომისებურად იზრდება I_{d1} მნიშვნელობიდან I_{d2} მნიშვნელობამდე. ამას შეესაბამება გადასვლა სრული ველის მახასიათებლის a წერტილიდან, შესუსტებული ველის მახასიათებლის a_1 წერტილში. ძრავას წევის ძალა იზრდება F_{d1} მნიშვნელობიდან F_{d2} მნიშვნელობამდე (შესუსტებული ველის 3 მახასიათებელზე b_1 წერტილი).



ნახ. 7.17. წევის ძრავას მუშაობის რეჟიმის ცვლილების თანმიმდევრობა:

- ა) ძაბვის ნახტომისებრი ცვლილებისას, ბ) აგზნების შესუსტების ჩართვისას.


გაზრდილი წევის ძალა აღმოჩნდება მეტი მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალაზე და სიჩქარე დაიწყებს ზრდას. სიჩქარის ზრდისას ძრავას დენი, მაგნიტური ნაკადი და შესაბამისად წევის ძალა შემცირდება 4-ე მახასიათებლის მიხედვით (ნახ. 7.17 ბ). ახალი წონასწორობა აღდგება b_2 წერტილში. ამ დროს წევის ძალას აწონასწორებს გაზრდილი (სიჩქარის გაზრდის გამო) მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა. წევის ძალას და ახალ და დამყარებულ რეჟიმს შეესაბამება ძრავას დენი I_{d3} , სიჩქარე V_2 სიჩქარის ველის შესუსტების მახასიათებელზე a_2 წერტილი (2-მრუდი ნახ. 7.17, ბ).

VIII თავი

მუდმივი ძაბვის მდოვრე რეგულირება ელექტრომანქანური გარდამქმნელებით

გარდამქმნელი ტექნიკის თანამედროვე დონე შესაძლებლობას იძლევა როგორც მუდმივი, ასევე ცვლადი დენის სისტემებში გამოვიყენოთ ძაბვის რეგულირების სხვადასხვა სქემები. გასულ საუკუნეში, როდესაც შესაბამისი ხელსაწყოები (ნახევარგამტარული დიოდები, ტრანზისტორები, ტირისტორები და ა.შ.) არ იყო, მუდმივი დენის სისტემებში ძაბვის რეგულირება პრობლემას წარმოადგენდა. ამ მიზნით, ძირითადად იყენებდნენ მბრუნავ სამანქანო აგრეგატებს.

8.1 ნახაზზე მოცემულია წევის სინქრონული გენერატორის და არამართვადი ვენტილების გამოყენებით მუდმივი ძაბვის მდოვრე რეგულირების ერთ-ერთი ვარიანტი.




ნახ. 8.1. ძაბვის მდოვრე რეგულირების ერთ-ერთი ვარიანტი, მბრუნავი მანქანების გამოყენებით.

გასული საუკუნის ორმოცდათიან წლებამდე, როდესაც ნახევარგამტარული ვენტილები ჯერ კიდევ არ იყო, სინქრონული გენერატორის ნაცვლად იყენებდნენ მუდმივი დენის გენერატორებს.

როგორც 8.1 ნახაზიდან ჩანს, წევის სინქრონული გენერატორი G ბრუნვით მოძრაობაში მოჰყავს საერთო ლილგზე დასმულ, 1 500 ვოლტ ძაბვაზე მომუშავე,

ორ პირველად ძრავას M_1 და M_2 -ს. ამ ძრავების ასამუშავებლად გამოიყენება ორი K_2, K_3 კონტაქტორი და მცირე გაბარიტების R_1 რეოსტატი (ამუშავების პროცესის ხანგრძლივობა ძალზე მცირეა). ამძრავებად გამოყენებულია დამოუკიდებელ აღგზებიანი მუდმივი დენის ძრავები, რომელთა სიჩქარის მახასიათებელი $n(I)$ მოცემულია 8.2 ნახაზზე (სწორი ხაზი).



ნახ. 8.2. გენერატორის ბრუნთა რიცხვის და ძრავების სიჩქარის მახასიათებელი $n(I)$.

საკონტაქტო ქსელში ძაბვის უცვლელი 3 000ვ მნიშვნელობისას, M_1 და M_2 ძრავების ბრუნთა რიცხვი თითქმის უცვლელია.

პრაქტიკულ რეალურ სქემებში, საკონტაქტო ქსელში ძაბვის მნიშვნელობა განუწყვეტლივ იცვლება, ამიტომ M_1 და M_2 ძრავების უცვლელი ბრუნთა რიცხვის შესანარჩუნებლად გამოიყენება ბრუნთა რიცხვის სტაბილიზაციის ჩაკეტილი სისტემა, რომელიც ქსელში, ძაბვის მერყეობის მიხედვით, არეგულირებს ძრავების მაგნიტურ ნაკადს და ამ გზით ახდენს ბრუნთა რიცხვის სტაბილიზირებას. თუ ძრავების და მ.შ. სინქრონული გენერატორის ბრუნთა რიცხვი უცვლელია, მაშინ სინქრონული გენერატორის აგზნების დენის ცვლილებით (R_2 რეოსტატით), შეგვიძლია მდოვრედ ვცვალოთ გენერატორის ძაბვა, შესაბამისად ლოკომოტივის M_3, M_4, M_5 და M_6 მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავების ბრუნთა რიცხვი და შესაბამისად ლოკომოტივის სიჩქარე. წევის ძრავების სიჩქარის მახასიათებელი $V(I)$, ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის ($U_1 \dots U_4$) მოცემულია 8.2 ნახაზზე.

მუდმივი დენის მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავების გამოყენება განაპირობა პარალელურ რეჟიმში მათმა უკეთესმა მუშაობის უნარმა.

მუდმივი დენის გენერატორის ნაცვლად, მაღალსიხშირიანი წევის სინქრონული

გენერატორის გამოყენება, მნიშვნელოვნად ამცირებს გარდამქნელი აგრეგატის მასა-გაბარიტულ მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია ის, რომ გასულ საუკუნეში მსგავსი სისტემები ფართოდ გამოიყენებოდა ამერიკაში და ევროპაში. დღეისთვის შედარებით დიდი მასა-გაბარიტების და რთული საექსპლუატაციო პირობების გამო, ისინი ელექტრულ ლოკომოტივებში არ გამოიყენება, თუმცა წარმატებით მუშაობენ თანამედროვე თბომავლებში.


8.2. მუდმივი ძაბვის მდოვრე იმპულსური რეგულირება

იმპულსური რეგულირების დროს წევის ძრავებს ენერგია მიეწოდება ცალკეული იმპულსების სახით. იმპულსური რეგულირების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ჩვენ შევძლებთ ვარეგულიროთ უცვლელი ენერგიის მქონე იმპულსების მიწოდების სიხშირე ძრავაში, ან უცვლელი სიხშირით მიწოდებული იმპულსების ენერგია, ან ორივე კომბინირებულად, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვარეგულიროთ წევის ძრავას მომჰქერებზე ძაბვის საშუალო მნიშვნელობის სიდიდე და შესაბამისად მოძრაობის სიჩქარე. 8.3 ნახაზზე მოცემულია მიმდევრობით აგზნებიან ძრავას მომჰქერებზე ძაბვის იმპულსური რეგულირების უმარტივესი სქემა. სქემაზე ნახევარგამტარული ხელსაწყოების ნაცვლად, პირობითად გამოყენებულია უბრალო “K” მწყვეტარა.


მაღალ ძაბვებზე და დიდ დენებზე ($U = 4500$ ვ; $I = 4000$ ა) მომუშავე მთლიანად მართვადი **GTO**, **IGCT** ტირისტორების და ($U = 6500$ ვ; 500 ა; $U = 3300$ ვ; $I = 1200$ ა) პარამეტრების მქონე **IGBT** ტრანზისტორების გამოჩენამდე, გასული საუკუნის სამოციან წლებში, გამოიყენებოდა არასრულად მართვადი (ხელოვნური კომუტაციის სქემების მქონე) ჩვეულებრივი ტირისტორების ბაზაზე შექმნილი გარდამქმნელები.

ნახ. 8.5, ა და ნახ. 8.5 ბ-ზე მოცემულია იმ დროისათვის გავრცელებული იმპულსური რეგულირების სქემური ვარიანტები. მთელი რიგი ნაკლოვანებების გამო, აღნიშნულმა სქემებმა პრაქტიკაში ვერ ჰქოვეს გავრცელება. ორივე სქემის მთავარი ნაკლია ე.წ. რბილი ფორმის $U_d(I_d)$ გარე მახასიათებელი და წევის ძრავების მომჰქრებზე ქსელის ძაბვის ორმაგი მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი გარემოება მოითხოვდა წევის ძრავების ღუზების მიმდევრობით, დიდი სიდიდის ინდუქტივობების ჩართვას, რაც ზრდიდა მასა-გაბარიტულ მაჩვენებლებს და აძვირებდა მათ.

8.4 ნახაზზე ნაჩვენებია ყველა სამივე ტიპის რეგულატორის გარე მახასიათებელი (1, 2, და 3), ხოლო 8.5 ნახაზის ე და კ-ზე გარდამქნელების გამოსასვლელზე ძაბვის ფორმების მრუდეები. როგორც მრუდეებიდან ჩანს, პირველი ორი სქემის გამოყენების შემთხვევაში, წევის ძრავების მომჰქრებზე ძაბვის მნიშვნელობა ქსელის ძაბვის



ნახ. 8.3. მუდმივი დენის ემშ-ის სიჩქარის იმპულსური
რეგულირების მუშაობის პრინციპი.



ნახ. 8.4. დამოკიდებულება გამოსასვლელზე ძაბვასა და
დატვირთვის დენს შორის.

გაორმაგებული მნიშვნელობის $2U$ -ს ტოლია. დროის გარკვეულ მომენტებში (მაგალითად $t_1 - t_2$), დატვირთვის დენი გადის საკომუტაციო კონდენსატორის გავლით, რაც განაპირობებს მახასიათებლების სირბილეს (მრუდეები 1, 2). ეს მიმდევრობით

ადგზნებიანი ძრავას გამოყენების შემთხვევაში კიდევ უფრო არბილებს ამ უკანასკნელის ისედაც რბილ მახასიათებელს, რაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩაჭიდების წევის ძალის გამოყენებისთვის (ხშირი ბუქსაობის გამო).

8.5 ნახაზის გ-ზე მოცემულია სქემა, რომელშიც დატვირთვის დენი არ გადის საკომუტაციო კონდენსატორში. ამით აიხსნება გარე მახასიათებლის სიხისტე (ნახ. 8.4-ზე 3 წრფე). როგორც 8.5 ნახაზის ზე დიაგრამიდან ჩანს, ამ შემთხვევაში ძრავაზე მოდებულია ქსელის ძაბვა. სიხშირულ-იმპულსური რეგულირების ეს სქემა დანერგილია საქართველოს რკინიგზაზე, წლების განმავლობაში მომუშავე ტP2 სერიის მოდერნიზირებულ ელექტრომატარებლებში. ამ სქემის თავისებურებას, მსგავს სქემებთან შედარებით, შეადგენს VD უკუდიოდის მიმდევრობით R რეზისტორის გამოყენება, რაც უზრუნველყოფს VT₁ ტირისტორის საიმედოდ ჩაკეტვისთვის საკმაო სიდიდის უკუძაბვას (100 ვ).

გარკვეულ ინტერესს იწვევს 8.5 ნახაზ დ-ზე მოცემული სქემა, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ძაბვის განივ იმპულსური რეგულირება. ამ სქემის გარე მახასიათებელი მსგავსია 8.5 ნახაზ გ-ზე მოცემული სქემის მახასიათებლის (3 წრფე. ნახ. 8.4).

8.5 ნახაზ კ, ლ-ზე მოცემულია რეგულატორები, რომლებიც შესრულებულია მთლიანად მართვად GTO და IGCT – ტირისტორებზე (ნახ. 8.5, კ) და JGBT – ტრანზისტორებზე (ნახ. 8.5, ლ). აქვე 8.5 ნახაზ მ, ნ-ზე მოცემულია დატვირთვაზე შესაბამისი ძაბვის მრუდეები.

სიხშირულ იმპულსური რეგულირებისათვის შეგვიძლია დაგწეროთ

$$U \cdot t_0 = U_d T, \quad (8.1)$$

სადაც U არის კვების წყაროს ძაბვა.

t_0 – იმპულსის სიგანე, რომელიც ამ შემთხვევაში უცვლელია.

U_d – ძრავას მომჰქერებზე ძაბვის საშუალო მნიშვნელობა.

T – იმპულსებს შორის პერიოდი, რომელიც ამ შემთხვევაში იცვლება.


(8.1) ფორმულიდან განვსაზღვროთ U_d . მივიღებთ

$$U_d = U_0 \frac{t_0}{T} = U \cdot t_0 \cdot f, \quad (8.2)$$

სადაც, $f = \frac{1}{T}$ არის იმპულსების სიხშირე.

როგორც (8.2) გამოსახულებიდან ჩანს, თუ $U = const$, $t_0 = const$ და სიხშირეს მდოვრედ შევცვლით, შეგვიძლია ძაბვა ძრავას მომჰქერებზე მდოვრედ ვარეგულიროთ.

განივ-იმპულსური რეგულირების დროს ანალოგიურად შეგვიძლია დაგწეროთ



ნახ. 8.5. ნახევარგამტარული მწყვეტარების სქემები და დატვირთვაზე ძაბვის
მრუდები: а), б), გ), დ) ხელოვნური კომუტაციის ჩვეულებრივ
ტირისტორებზე, ე) მთლიანად მართვად ტირისტორებზე,
ვ) ბიპოლარულ ტრანზისტორებზე.

$$U \cdot t = U_d T_0. \quad (8.3)$$

ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ გარდამქმნელებში ძაბვის სიხშირულ და განივ იმპულსური რეგულირების პროცესებს, შესაბამისი ანალიზით.

8.6 ნახაზზე მოცემულია სიხშირულ იმპულსური (ა) და განივ-იმპულსური (ბ) რეგულირების შესაბამისი ძაბვების და დენების დიაგრამები.

ამ დროს იმპულსებს შორის პერიოდი T_0 ან მისი შებრუნებული სიდიდე სიხშირე f_0 – უცვლელია, ხოლო იმპულსის სიგანე t იცვლება. ამ შემთხვევაში ძაბვის საშუალო მნიშვნელობა იქნება

$$U_d = \frac{U \cdot t}{T_0} = U \cdot t \cdot f_0, \quad (8.4)$$


$U = \text{const}$ და $T_0 = \text{const}$ -ის დროს, თუ მდოვრედ შევცვლით იმპულსის სიგანეს t -ს შეგვიძლია ძაბვა ძრავას მოჰქერებზე ვარეგულიროთ მდოვრედ.

8.3 ნახაზზე ნაჩვენებია პრაქტიკული სქემა, რომელზეც:

$L_0 C_0$ არის საფილტრო მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა ქსელში დენის პულსაციის შემცირება;

L_0 დროსელის დანიშნულებაა ძრავაში დენის პულსაციის შემცირება;

V_0 – უკუ დიოდია, რომელიც უზრუნველყოფს ძრავაში გამავალი დენის უწყვეტობას და “K” მწყვეტარაზე გადამეტაბვის მოხსნას.



ნახ. 8.6. ძაბვის და დენის დიაგრამები სიხშირულ ა) და განივ-იმპულსურ
ბ) რეგულირების დროს.

როგორც 8.6 ნახაზზე მოცემული დენის მრუდეებიდან ჩანს, რეგულირების ორივე შემთხვევაში ძრავას დენი განიცდის პულსაციას, რომელიც ჩვეულებრივი შესრულების ძრავებისთვის არ უნდა აღემატებოდეს 5-7%-ს.


8.3. მუდმივი დენის წევის პერსპექტიული ელექტრომოძრავი შემადგენლობა

მუდმივი დენის 3 000ვ ძაბვის სისტემაში მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავების გამოყენება განაპირობა ამ ძრავების პარალელურ რეჟიმში უპრობლემო მუშაობამ, რაც არ მოითხოვს დამატებითი ღონისძიებების და მოწყობილობების გა- მოყენების აუცილებლობას, რომლებიც საჭირო იქნებოდა დამოუკიდებელ აგზნებიანი მუდმივი დენის ძრავების ან ასინქრონული ძრავების გამოყენების შემთხვევაში.

იმ დროისათვის 3 000 ვ. ძაბვის მქონე მუდმივი დენის მისაღებად, წევის ქვესადგურებში გამოიყენებოდა ვერცხლისწყლიანი გამმართველები, რომლებიც სტაციონალურ პირობებში მუშაობდნენ დამაკმაყოფილებლად.

რკინიგზებზე ტვირთნაკადების და, შესაბამისად, ელექტრომომარაგების სისტე- მების დატვირთვების გაზრდამ, ტვირთდაძაბულ უბნებზე გამოიწვია საკონტაქტო ქსელში ძაბვის ძალიან დიდი ვარდნები და თავი იჩინა მუდმივი დენის 3 000 ვოლტიანი სისტემის ნაკლოვანმა მხარეებმა. დღეისათვის მრავალი გამოკვლევით დადგენილია – იმისათვის რომ მუდმივი დენის სისტემამ კონკურენცია გაუწიოს ცვლადი დენის 25 კვ ძაბვის სისტემას, აუცილებელია ძაბვა საკონტაქტო ქსელში გაიზარდოს 6 000-12 000 ვოლტამდე. მაგრამ დღეისათვის არსებული ნახევარგამტა- რული ტექნიკა, მაღალ ძაბვაზე და დიდ დენებზე ($U = 4500$ ვ, $I = 4000$ ა) მოუშავე მთლიანად მართვადი **GTO**, **IGCT** ტირისტორების და ($U = 6500$ ვ, 600 ა, $U = 3300$ ვ, $I = 1200$ ა) **IGBT** ტრანზისტორების ბაზაზე, არ იძლევა მათი დამოუკიდებელ ერთეუ- ლებად მუშაობის შესაძლებლობას; ხოლო მიმდევრობით შეერთებისას ისინი ან საერთოდ ვერ მუშაობენ (**IGBT** ტრანზისტორები), ან მუშაობენ ძალზე ცუდად (**IGCT** ტირისტორები). მრავალმხრივმა ექსპერიმენტალურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 3 000 ვ ძაბვაზე მუშაობისას, ხელსაწყოს საერთო ძაბვა უნდა იყოს 8000-9000 ვოლტის ფარგლებში. ამის გამო ზოგიერთი სპეციალისტი მიმართავს სხვადასხვა სქემურ კომბინაციას. მაგალითად მკვებავ ძაბვას ფილტრის კონდენსატორების საშუალებით ყოფენ ნაწილებად. ასეთი გარდამქმნელების სიმძლავრე შეზღუდულია და არ აღემატება 300 კვტ-ს. საკონტაქტო ქსელში 6 000ვ ძაბვის დროს, შეიძლება რეკომენდებული იქნეს 8.7 ნახაზზე მოცემული სქემა. ამ შემთხვევაში VT_1 და VT_2 ვენტილებზე ჯდება ქსელის ძაბვის ნახევარი და შეიძლება გამოყენებული იქნეს თანამედროვე **IGBT** ტრანზისტორები 6 500 ვოლტ ძაბვაზე და 500 ამპერ დენზე. როგორც ცნობილია ნებისმიერი რაოდენობის პარალელურად ჩართული ტრანზის- ტორები ნორმალურად მუშაობენ. საკონტაქტო ქსელში 12 000 ვ ძაბვის არსებობის

შემთხვევაში, VT_1 და VT_2 ხელსაწყოებად შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ მიმდევრულად ჩართული სამი **IGCT** ტირისტორი 5 000 ვოლტ ძაბვაზე და 4 000 ამპერ დენზე. **IGBT** ტრანზისტორების გამოყენების შემთხვევაში (ისინი მუშაობენ 10-15 კჰც სიხშირეზე) L_3C_3 და L_1C_1 ფილტრების მასა-გაბარიტები მინიმალურია, რაც არ ითქმის **IGCT** ტირისტორების გამოყენების შემთხვევაში (მუშა სიხშირე 1 300 ჰერცი).



ნახ. 8.7. მუდმივ დენზე წევის პერსპექტიული ამძრავი.

8.7 ნახაზზე მოცემულ სქემაზე, VT_1 , VT_2 ტრანზისტორების მუშაობის რეჟიმების შერჩევით, მეორე საფილტრო L_1C_1 კასკადზე შეგვიძლია მივიღოთ ნებისმიერი დადაბლებული, სტაბილური ძაბვა. სიჩქარის შემდგომი რეგულირება ხდება A ინვერტორის საშუალებით. აქვე მოცემულია ოპტიმალური ორსაფეხურიანი ძაბვის მრუდი.

საკონტაქტო ქსელში ამაღლებული 6 000–12 000 ვ. ძაბვის შემთხვევაში, ლოკო-მოტორის ჩაჭიდების წონის უკეთ გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ხისტ მახასიათებლებიანი დამოუკიდებელ აგზებიანი მუდმივი დენის, ან ასინქრონული წევის ძრავები. 8.7 ნახაზზე მოყვანილია ასინქრონულ წევის ძრავებიანი სქემა. ასეთი სისტემის გამოყენების შემთხვევაში მაღალია მუშაობის საიმედოობა და მნიშვნელოვნად დაბალია საექსპლუატაციო ხარჯები, ვიდრე დამოუკიდებელ აგზებიანი მუდმივი დენის ძრავების გამოყენების დროს.

ვინაიდან ასინქრონულ ძრავებს მახასიათებლების სიხისტის გამო არ შეუძლიათ პარალელური სქემით მუშაობა, ამიტომ მათი ნორმალური მუშაობისთვის სასურველია ყოველი ასინქრონული ძრავა იკვებებოდეს თავისი ინვერტორიდან. ამ შემთხვევაში ძრავების პარალელურ რეჟიმში მუშაობას (ლერძებზე დატვირთვის თანაბარ გადანაწილებას) უზრუნველყოფს დატვირთვის გამათანაბრებელი მოწყობილობის გამოყენება, რომელიც ზემოქმედებს ინვერტორებზე.

8.4. დამოუკიდებელ აგზებიანი წევის ძრავების მქონე მუდმივი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე სიჩქარის იმპულსური რეგულირება

მუდმივი დენის მიმდევრობით აგზებიან წევის ძრავებით აღჭურვილ ემშ-ზე, სიჩქარის რეგულირების ხელოვნური კომუტაციის მქონე იმპულსური სისტემების გამოყენების ხანგრძლივმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, როგორც მრავალი დადებითი, ასევე მრავალი უარყოფითი მხარე.

დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სპეციალისტებმა მიიღეს გამოცდილება პრინციპულად ახალი ელექტრომოწყობილობების პროექტირების და ექსპლუატაციის ხაზით.

უარყოფითია ის, რომ გასული საუკუნის 60-90-წლებში საბჭოთა კავშირში ნახევარგამტარული და კონდენსატორული ტექნიკის მასა-გაბარიტული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მსოფლიო სტანდარტებს. აღნიშნულის გამო სტატიკური გარდამქმნელების მასა-გაბარიტული მაჩვენებლები იყო ძალზე დიდი, ხოლო ახალი ელექტრომოწყობილობის დაბალი სარისხის გამო, საქმე საცდელი ერთეულების საექსპლუატაციო გამოცდებს ვერ გასცდა. მაშინ არ იყო ელექტრომავალი ან ელექტრომატარებელი, რომელიც იმუშავებდა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამავე დროს მუდმივი დენის მიმდევრობით აგზებიანი წევის ძრავების ელექტრული დამუხხუჭების რეჟიმში არამდგრადი მუშაობა, ართულებდა სიტუაციას და საცდელი ნიმუშების დანერგვას.


როგორც ცნობილია, მიმდევრობით აგზებიან გენერატორებს მდგრადად მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ დაუშვებელი სიდიდის, დიდი დატვირთვის დენის დროს. ამის გამო (დენების შესაზღუდად) იძულებული იყვნენ დუზის წრედში ჩაერთოთ მნიშვნელოვანი სიდიდის აქტიური წინააღმდეგობა, რომელიც აუარესებდა მთელი სისტემის ენერგეტიკულ მაჩვენებლებს. წევის რეჟიმიდან რეკუპერაციულ რეჟიმზე და პირიქით გადასვლა მიმდინარეობდა კონტაქტორულ-რეოსტატული მართვის სისტემის მსგავსად, სქემის დაშლით (ციპლური სქემა და ა.შ.). ყოველივე ამისგან

შეიძლება განვთავისუფლდეთ, თუ გამოვიყენებოთ სიჩქარის იმპულსური რეგულირების სისტემას და დამოუკიდებელ აგზებიან წევის ძრავებს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ძალური სქემის დაშლის გარეშე მდოვრე გადასვლა წევის რეჟიმიდან რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმზე და პირიქით. რაც მთავარია, ამ დროს რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმი მდგრადია სიჩქარის მთელ დიაპაზონში, 3–5 კმ/სთ მინიმალურ სიჩქარემდე.


დღეისათვის კონდესატორების და ნახევარგამტარული ტექნიკის ტექნოლოგიაში მიღწეულია უზარმაზარი პროგრესი, რაც უკავშირდება ათასობით ვოლტ ძაბვაზე და ათასობით ამპერ დენზე მომუშავე, სრულიად მართვადი GTO IGCT ტირისტორების და IGBT ტრანზისტორების დანერგვას. ამან შესაძლებელი გახდა ელექტრულ წევაში დანერგილიყო ასინქრონული ელექტრული ამძრავი, რომელიც მოტორულ რეჟიმში სხვა ტიპის ელექტროამძრავებთან შედარებით, ხასიათდება ძალზე დიდი უპირატესობით კერძოდ: სიიაფით, კონსტრუქციის სიმარტივით, მაღალი საიმედოობით, სამსახურის ხანგრძლივი ვადით და ა.შ. რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში ის მუშაობს ძალზე ცუდად. როგორც ცნობილია [10] გენერატორულ რეჟიმში მუშაობისას ასინქრონული მანქანა მოიხმარს დამაგნიტების დენს, რომელმაც შეიძლება შეადგინოს ნომინალური დენის 50%, რაც მისი ძალზე უარყოფითი მხარეა. შედარებისთვის აგზების სისტემისთვის მოთხოვნილი სიმბლავრე სინქრონული გენერატორებისთვის და მუდმივი დენის TЛ2К და TЛ3Б წევის მანქანების-თვის შეადგენს დაახლოებით 1%-ს. რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში, დამოუკიდებელაგზებიანი გენერატორები იმპულსური რეგულირებით, რეალური დანაკარგების გათვალისწინებით მთელ სიმბლავრეს გადასცემენ ქსელში. წარმოდგენილი სისტემა ჩაჭიდების წონის მაქსიმალური გამოყენების, მახასიათებელთა სიხისტის, ძალური და მართვის სისტემების სიმარტივის გამო, შეიძლება ჩაითვალოს წევის ასინქრონული ამძრავების სრულფასოვან ალტერნატივად.

8.8 ნახაზზე ნაჩვენებია წარმოდგენილი სისტემის უმარტივესი სქემა, რომელიც ერთნაირი წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ელექტრომავლებზე, ელექტრომატარებლებზე და მეტროპოლიტენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე. ამ სქემაში გამოყენებულია IGBT ტრანზისტორების მოდულები 6 500 ვოლტ ძაბვაზე და 600 ამპერ დენზე. დატვირთვის სიმბლავრის მიხედვით V1, V2, V3 მოდულები შეიძლება წარმოადგენდნენ ნებისმიერი რაოდენობის პარალელურად ჩართულ ტრანზისტორს ან ნებისმიერი რაოდენობის ფაზებს, რომლებიც მუშაობენ ერთმანეთისგან გარკვეული წანაცვლებული პუთხით.


ა)



ბ)



გ)



ნახ. 8.8. ა) მუდმივი დენის დამოუკიდებელ აგზებიანი წევის ძრავების სიჩქარის იმპულსური რეგულირების სქემა, ბ), გ) ამგზები სტატიკური გარდამქნელის ძაბვების და დენების დიაგრამა.

ძრავულ რეჟიმში, V2 მოდული აწარმოებს განივიმპულსურ მოდულაციას და მდოვრედ არეგულირებს ძაბვას ძრავების მომჭერებზე.

გენერატორულ რეჟიმში მუშაობისას V2 მოდული გამორთულია, მუშაობს V3 მოდული როგორც მწყვებარა (გარკვეული პერიოდულობით ამოკლებს და ახდენს დუზის წრედის გაწყვეტას), რისი წყალობითაც რეკუპერაცია მიმდინარეობს

ელექტრომოძრავი შემადგენლობის გაჩერებამდე. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დუზის წრედის პერიოდული გაწყვეტით საკონტაქტო ქსელის ძაბვას დარღება $E_d + L_{\varphi} \frac{di}{dt}$ სიდიდე და არა ძრავას უკულექტრომამოძრავებელი

ძალა E_d , როგორც კლასიკურ რელეურ-კონტაქტორულ სქემებში, რომელთა გამოყენებისას რეაქტორაციის მინიმალური სიჩქარე იყო 25-30 კმ/სთ-ში. ადნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ რაც მეტია დატვირთვის (დუზის) წრედის ინდუქტივობა L_{φ} , მით უფრო ნაკლები იქნება რეაქტორაციული დამუხრუჭების მინიმალური სიჩქარე.

საკონტაქტო ქსელში რეაქტორირებული ელექტროენერგიის მომხმარებლის არ არსებობისას ან ძაბვის 4 000 კოლტზე გადამეტებისას, VI მოდულის ჩართვით ხდება მდოვრე გადასვლა რეაქტორაციული დამუხრუჭების რეჟიმიდან რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად დამოუკიდებელი აგზნების მქონე ძრავებისა, მოძრავი შემადგენლობის ავტომატურ მახასიათებელზე გასვლამდე, ძრავას აგზნების დენი იცვლება დუზის დენის პროპორციულად (ავტომატური რეგულირების სისტემის წყალობით), რის გამოც სტატიკაში მიიღება ისეთივე რბილი მახასიათებლები, როგორც მიმდევრობით აგზნებიან ძრავებში. დინამიკაში კი მახასიათებლები ხისტი ფორმისაა. მაგალითად ბუქსაობის დროს აგზნების დენი არ იცვლება. მსგავსი სქემა შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერ სიმძლავრეზე. საკმარისი იქნება მხოლოდ UZ1 გარდამქნელების რაოდენობის გაზრდა (იხ. პუნქტირით შემოფარგლული სქემა).

წევის ძრავების პარალელურ შტოთა რიცხვის შესაბამისად, აგზნების გრაგნილები შეიძლება ჩაირთოს ყველა მიმდევრობით ან პარალელურად ერთ სწრაფმოქმედ კვების წყაროზე UZ 2-ზე (იხილეთ პუნქტირით შემოფარგლული სქემა). წევის ძრავების ცალკეულ შტოებს შორის დენების გათანაბრება ხდება შტოების V2 მოდულების და დენის BI გადამწოდებების საშუალებით.

მუშაობის ორივე რეჟიმში (წევის, ელექტრული დამუხრუჭების) მოკლედ შერთვისას, დუზის წრედების დენები კონტროლდება შესაბამისი დენის BI და ძაბვის BU გადამწოდებით ერთდროულად, ხოლო მათგან მოსულის საფუძველზე ხდება ფორსირებული ძაბვის რეგერსი, რათა განხორციელდეს წევის ძრავების სწრაფი განმაგნიტება (ფორსირებისთვის როგორც [12]-ში მოყვანილმა გათვლებმა აჩვენა საკმარისია ძაბვის 5 ჯერადი მარაგი).

როგორც 8.8 ნახაზიდან ჩანს, წევის ძრავების აგზნების გრაგნილების კვება ხდება UZ 2 გარდამქნელით, რომელიც თავის მხრივ იკვებება ძირითადი L_{φ} C_{φ} ფილტრიდან. C_{φ} ტევადობის სიდიდემ უნდა უზრუნველყოს განმამაგნიტებელი

დენის გავლის დროის ხანგრძლივობა არა ნაკლები 100 მწ. მკვებავი ძაბვა სტაბილიზირდება 500 ვოლტის დონეზე V8 მოდულით. ეს ძაბვა მიეწოდება V4, V5, V6 და V7 მოდულებს, რომლებიც ქმნიან ბოგირულ სქემას. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დენის მიმართულების შეცვლა და ძრავას სწრაფი განმაგნიტება. V10 დიოდის დანიშნულებაა მოკლედ შერთვის დროს აღპვეთოს ფილტრის კონდენსატორის გადამუხტვა.

რევერსირებადი ძაბვის საშუალო მნიშვნელობა ტოლია

$$U_{ds_0} = U_1 \left[\frac{2t_{\text{obj}}}{T} - 1 \right], \quad (8.5)$$

სადაც t_{obj} არის იმპულსის ხანგრძლივობა.

U_1 – მკვებავი ძაბვა, რომელიც ტოლია

$$U_1 = K_3 U_{\text{აგ.ნომ.}}$$

სადაც $K_3 = (4-5)$ ფორსირების კოეფიციენტი.

T – ძაბვის განმეორების პერიოდი.

$$U_{\text{აგ.ნომ.}} = \text{ყველა } \text{ძრავას } \text{აგზნების } \text{გრაგნილების } \text{ნომინალური } \text{ძაბვათა } \text{ჯამი.}$$

8.8 ბ, გ ნახაზზე ნაჩვენებია UZ2 გარდამქმნელის ძაბვების და დენების ფორმები დამყარებულ რეჟიმში და აგზნების დენის რევერსირების რეჟიმში.

IX თავი

ერთფაზა ცვლადი-მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემაღებელობის წევის რეზიგნი


9.1. წევის ძრავების მომჭერებზე ძაბვის რეგულირების სერხები

თუ გავიხსენებთ, რომ მეტწილ შემთხვევებში ელექტროენერგიის განერაცია (მიღება) და გადაცემა ხდება ცვლად დენზე, ცხადი გახდება ცვლად დენზე ელექტროფიცირებული რკინიგზების უპირატესობა, მუდმივ დენის სისტემასთან შედარებით. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ცვლადი დენის წევის ქვესადგურები და საკონტაქტო ქსელი გაცილებით მარტივი და იაფია, ვიდრე 3 000 ვ. ძაბვის მუდმივი დენის ქვესადგურები და საკონტაქტო ქსელი.


აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე ერთფაზა-მუდმივი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობებზე გამოყენებულია მუდმივ (პულსირებულ) დენზე მომუშავე მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავები. ეს ძრავები მუდმივი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე გამოყენებულ ძრავებისაგან კონსტრუქციულად განსხვავდებიან იმით, რომ მათ მასიურ ფოლადის კორპუსში ჩამაგრებულია ელექტრომაგნიტური ფოლადის ფირფიტებისაგან აწყობილი ჩანართები, ხოლო მთავარი პოლუსების მაგნიტოგამტარები აკრეფილია ელექტრომაგნიტური ფოლადის იზოლირებული ფირფიტებით. ამ სისტემაზე მომუშავე პირველი ელექტრომაგლები და ელექტრომატარებლები აღჭურვილნი იყვნენ იგნიტორნული გამმართველებით, რომლებიც არსებული ვიბრაციის და რყევების პირობებში მუშაობდნენ დიდი ხარვეზებით (ნჯდრევების შედეგად ხშირად ირღვვეოდა ვაკუუმის ჰერმეტულობა).

პირველი ნახევარგამტარული დიოდების (ВЛ-200-12) გამოჩენამ მძლავრი ბიძგი მისცა უფრო იაფი და ექსპლუატაციაში საიმედოდ მომუშავე ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის შექმნას.

9.1 ნახაზზე მოცემულია დღემდე საიმედოდ მომუშავე ცვლადი დენის ВЛ-60, ВЛ-80^к ელექტრომაგლების გამარტივებული პრინციპული სქემა. როგორც სქემიდან ჩანს, წევის T ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილიდან, 1-7 კონტაქტორების საშუალებით, საფეხურებისამებრ რეგულირებადი ძაბვა მიეწოდება $V_2 - V_6$ ნახევარგამტარული დიოდებისაგან შემდგარ გამმართველს. ყოველი საფეხურის ძაბვა $\Delta U = 30 - 40$ ვოლტია. ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა მიმდინარეობს ძრავას დენის წყვეტის გარეშე. პირველ ელექტრომაგლებზე ეს ხდება L_1, L_2 დროსელების დახმარებით. შემდგომში ეს ფუნქცია დაეკისრა V_1 და V_4 დიოდებს.




ნახ. 9.1. ВЛ-60 ელექტრომავლის ძაბვის (სიჩქარის) საფეხურისგან რეგულირების სქემა.



ნახ. 9.2. ВЛ-60 ელექტრომავლის წევის მახასიათებლები.

მოცემული სქემა უზრუნველყოფს წევის ძრავების მუდმივ პარალელურ შეერთებას, რაც გას ჩაჭიდების წონის უკეთ გამოყენების თვალსაზრისით, მუდმივი დენის ელექტრომავლებთან შედარებით, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. როგორც ვიცით, ამ უკანასკნელში დაძვრის პროცესში წევის ძრავები შეერთებულია მიმდევრობით, რაც აუარესებს ჩაჭიდების პირობებს.

ამ სქემის კიდევ ერთ უპირატესობას შეადგენს ის, რომ თითქმის მთელ დიაპაზონში სიმძლავრის კოეფიციენტი უცვლელია, რაც სხვა ცნობილ სქემებთან შედარებით ამაღლებს ძაბვის გამოყენების ეფექტურობას, რადგან ქსელში გამავალ დენს აქვს პარმონიკების თითქმის უცვლელი საექტრო. რეალურად დენის კომუტაციის კუთხის შეცვლის გამო, მისი ფორმა ოდნავ მახინჯდება. 9.2 და 9.3 ნახაზე მოცემულია VL-60 და VL-80^K ელექტრომავლების წევის მახასიათებლები.



ნახ. 9.3. VL-80K ელექტრომავლის წევის მახასიათებლები.

9.2. გამართული დენის პულსაცია

წევის ძრავას ერთფაზა გამართველიდან მიღებული ძაბვით კვების შემთხვევაში, დენი განიცდის პულსაციას. გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს დენის პულსაციის დასაშვები საზღვრების დადგენა.

9.4 ა ნახაზე მოცემულია გამართული ძაბვის u_d იდიალიზირებული ფორმა, დენის და უკულექტრომამოძრავებული ძალის e_d -ს რეალური ფორმები. თუ უგულებელყოფთ ძაბვის აქტიურ ვარდნებს მათი სიმცირის გამო (3-5%), ამ შემთხვევაში შეგვიძლია დაგწეროთ


$$u_d = e_d + X_d \frac{dI_d}{d\theta}, \quad (9.1)$$

სადაც, u_d არის გამართული ძაბვის მყისური მნიშვნელობა.

e_d – უპუ ემბ-ის მყისური მნიშვნელობა და როგორც ნახაზიდან ჩანს ისიც პულსირებს.

i_d – გამართული დენის მყისური მნიშვნელობა.

X_d – წრედის ჯამური ინდუქტიური წინააღმდეგობა (წევის ძრავასა და დატვირთვის დროსელის ჩათვლით).



ნახ. 9.4. ა) და ბ) არამართვადი გამმართველის ძაბვების და დენების წრფივი დიაგრამები, გ) დატვირთვის დროსელის მახასიათებლები.

თუ e_d -ს შეგველით მისი საშუალო მნიშვნელობით E_d -თი (ნახ. 9.4 ბ) და შემთვედებთ აღნიშვნებს $\varepsilon = \frac{E_d}{U_m}$, $\lambda_l = X_d \frac{I_6}{U_m}$, $\frac{I_d}{I_6} = i_d$, $\omega t = \theta$ -ს, მაშინ (9.1) ფორმულის ნაცვლად $\theta_1 - \theta_2$ ინტერვალისთვის შეგვიძლია დაგწეროთ

$$\sin \theta = \varepsilon + \lambda_l \frac{dI_d}{d\theta}. \quad (9.2)$$

(9.2) გამოსახულებიდან დენის პულსაციისთვის შეგვიძლია დაგწეროთ

$$\Delta i_d = i_{d \max} - i_{d \min} = \frac{1}{\lambda_l} \int (\sin \theta - \varepsilon) d\theta = \frac{1}{\lambda_l} \int (\sin \theta - \varepsilon) = \frac{2}{\lambda_l} \left[\cos \theta_1 + \frac{2}{\pi} \theta_1 - 1 \right]. \quad (9.3)$$

θ_1 კუთხე შეგვიძლია განვსაზღვროთ ტოლობებიდან:

$$U_m \sin \theta_1 = E_d, \quad \sin \theta_1 = \frac{E_d}{U_m} = \varepsilon, \quad \theta_1 = \arcsin \varepsilon.$$

ამ შემთხვევაში (9.3) ფორმულიდან შეგვიძლია დავწეროთ

$$\Delta i_d = \frac{2}{\lambda} \left[\sqrt{1 - \varepsilon^2} + \frac{2}{\pi} \arcsin \varepsilon - 1 \right]. \quad (9.4)$$

დენის პულსაციის შესაფასებლად იყენებენ პულსაციის კოეფიციენტს, რომელიც

$$K_d = \frac{i_{d \max} - i_{d \min}}{i_{d \max} + i_{d \min}}. \quad (9.5)$$

მთელ დიაპაზონში წევის ძრავას ნორმალური მუშაობისათვის ეს კოეფიციენტი უნდა იყოს 0,2–0,4-ის ფარგლებში.

როგორც ცნობილია, დატვირთვის ცვლილებისას Δi_d -ს მნიშვნელობა იცვლება. პულსაციის კოეფიციენტის K_d -ს უცვლელად შენარჩუნებისათვის საჭიროა დამანელებელ დროსექლს ჰქონდეს ჰიპერბოლური მახასიათებელი.

9.3. არამართვადი გამმართველის გარე მახასიათებელი

დენის პულსაციის განსაზღვრის დროს გამოყენებული იყო გამართული ძაბვის იდეალიზირებული ფორმა. სინამდვილეში საკონტაქტო ქსელის და წევის ტრანსფორმატორის ინდუქტივობის გამო, დენი ერთი ვენტილიდან მეორეზე გადადის არა მყისერად, არამედ რაღაც γ დროის დაყოვნებით. 9.5 პ ნახაზზე მოცემულია ერთფაზა გამმართველის უმარტივესი სქემა, რომელზეც ნაჩვენებია კვების წყაროს X ინდუქტივობა, რომელიც შეიძლება გამოვსახოთ როგორც

$$X = X_{\text{ტრ.}} + X_{\text{ქს.}},$$

სადაც, $X_{\text{ტრ.}}$ არის ტრანსფორმატორის მოკლედ შერთვის წინააღმდეგობა.


$X_{\text{ქს.}}$ – ქსელის დაყვანილი ინდუქტიური წინააღმდეგობა.

9.5 პ ნახაზზე წარმოდგენილია გამართული ძაბვის მრუდი, რომელიც γ ინტერგალის განმავლობაში 0-ის ტოლია. ამავე დროის განმავლობაში დატვირთვის დენი I_n , $V_1 - V_4$ ვენტილებიდან გადადის $V_2 - V_3$ ვენტილებზე.

ამ დროის განმავლობაში ქსელი და ტრანსფორმატორი მოკლედაა შერთული. ამ ინტერგალისთვის ვწერთ

$$U_m \sin \theta = X \frac{di}{d\theta}, \quad (9.6)$$

სადაც, $\theta = \omega t$; $X = \omega(L_{\text{ქს.}} + L_{\text{ტრ.}})$.



ნახ. 9.5. არამართვადი გამმართველის დენების და ძაბვების მყისური მნიშვნელობების მრუდეები.

i არის ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილის დენი. (9.6) განტოლების ამ

$$\text{ინტერვალში ამონასსნი იქნება} \quad i = \frac{U_m}{X} (1 - \cos \theta). \quad (9.7)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ინტერვალის განმავლობაში ტრანსფორმატორის მეორად გრაგნილში დენი იცვლის მიმართულებას $-I_6$ -დან $+I_6$ -მდე, მაშინ (9.7) ფორმულიდან შეგვიძლია დავწეროთ

$$\cos \gamma = 1 - \frac{2I_6}{U_m} X. \quad (9.8)$$


ამ ინტერვალში ძაბვის დანაკარგი იქნება

$$\Delta U_\gamma = \frac{1}{\pi} \int_0^\gamma U_m \sin \theta d\theta = \frac{U_m}{\pi} (1 - \cos \gamma) = U_{d0} \sin^2 \frac{\gamma}{2}, \quad (9.9)$$

სადაც, $U_{d0} = \frac{2U_m}{\pi}$ არის გამმართველის უქმი სვლის ძაბვა.

(9.9) ფორმულიდან ჩანს, რომ დატვირთვის დენის გაზრდისას, ძაბვის დანაკარგი, რომელიც პროპორციულია კომუტაციის γ კუთხის ნახევრის სინუსის კვადრატის, იზრდება. (9.7) და (9.8) ფორმულიდან გამოდის, რომ

$$\Delta U_{\gamma} = \frac{XI_6}{\pi}. \quad (9.10)$$




ნახ. 9.6. VL-80K და VL-80T ელექტრომაგ-
ლების გარდამქნელი მოწყობილობების
გარე მახასიათებლები.

უნდა აღინიშნოს, რომ (9.10) ფორმულაში უნდა შესულიყო დანაკარგები ტრანს-
ფორმატორის აქტიურ წინაღობაში, მაგრამ ეს დანაკარგები ინდუქტიურ წინაღობაში დანაკარგებითან შედარებით უმნიშვნელოა და შეგვიძლია მათი უგულებელყოფა.

ცნობილია, რომ ტრანსფორმატორის ინდუქტიური წინაღობა ნომინალური დატვირთვის დენის დროს, ხასიათდება სიდიდით $U_{\text{დ.პ.}}\%$. $U_{\text{დ.პ.}}$ – (მოკლე შერთვის ძაბვა), ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ

$$X = X_{\text{ძ.}} + X_{\text{ღ.}} = X_{\text{ძ.}} + \frac{U_{\text{დ.პ.}} \% \cdot U_6}{100I_6}.$$




ნახ. 9.7. VL-60 ელექტრომაგლის HБ-412K წევის ძრავას ელექტრო-
მექანიკური მახასიათებლები და $U_{\text{ძ.}}(I_{\text{ძ.}})$ დამოკიდებულება,
მთავარი კონტროლერის 33-ე პოზიციაზე.

ამ შემთხვევაში გარე მახასიათებლისთვის შეგვიძლია დაგწეროთ

$$U_d = U_{d0} - \Delta U_\gamma = \frac{2}{\pi} U_m - \frac{XI_6}{\pi}. \quad (9.11)$$

9.5 დ ნახაზიდან ჩანს თუ როგორ მოქმედებს კომუტაციის პუთხის სიდიდე ვენტილების უკუმაბდვის სიდიდეზე (γ ინტერვალის ბოლოს ვენტილებზე მოედება უკუ $U_{\text{კუ}}$ ძაბვის ნახტომი (ნახ. 9.5, გ).

9.6 ნახაზზე მოცემულია VL-80^T და VL-80^K ელექტრომავლების გარდამქმნელების გარე მახასიათებლები, ხოლო 9.7 და 9.8 ნახაზზე შესაბამისად NB-412K და NB-418K წევის ძრავების ელექტრომექანიკური მახასიათებლები.



ნახ. 9.8. VL-80K და VL-80T ელექტრომავლების NB-418K წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლები და $U_{d6}(I_{d6})$ დამოკიდებულება, მთავარი კონტროლერის 33-ე პოზიციაზე.

X თავი

ერთფაზა-მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემაღებელობის წევის ძრავების მომჰკორებაზე ძაბვის მდობრე რეგულირება

10.1. სქემების კლასიფიკაცია და მათი ანალიზი

თანამედროვე ცვლადი დენის ელექტრულ წევაში ფართო გავრცელება პპოვა ნახევარგამტარული ხელსაწყოების-ტირისტორების და დიოდების ბაზაზე შექმნილმა გამმართველების სქემებმა. 10.1 ა ნახაზზე ნაჩვენებია ე.წ. არასიმეტრიული გამართვის სქემა. ამ სქემაში დენის გამართვის პროცესში მონაწილეობს ორი ტირისტორი VT1, VT3 და ორი დიოდი VD2, VD4. 10.1, ბ ნახაზზე კი მოცემულია სიმეტრიული გამმართველის სქემა, რომელშიც ოთხივე ელემენტად გამოყენებულია ტირისტორები VT1; VT2; VT3; VT4.

წარმოდგენილ ორივე სქემაში მიმდინარე ელექტრული პროცესების აღმწერი ანალიზური გამოსახულებების გამარტივების მიზნით, ვაკეთებოთ გარკვეულ დაშვებების. კერძოდ:

- ვთვლით, რომ ნახევარგამტარულ ვენტილებზე დენის კომუტაცია ხდება მყისურად, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვთვლით, რომ საკონტაქტო ქსელის და წევის ტრანსფორმატორის ინდუქტივობა ნულის ტოლია.
- ასევე ვთვლით, რომ დატვირთვის წრედის ინდუქტივობა უსასრულოდ დიდია, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვენტილების გამტარ ინტერვალში დატვირთვაში გამავალი დენები დროის მიხედვით არ იცვლება, აღნიშნული დაშვებების გათვალისწინებით, ორივე სქემისათვის, 10.1, გ, დ ნახაზზე მოცემულია დენების და ძაბვების შესაბამისი მრუდეები.

როგორც 10.1 გ ნახაზის დიაგრამიდან ჩანს, მართვის კუთხის α -ს მნიშვნელობის მიხედვით, პირველადი დენის იმპულსის სიგანე იცვლება და შესაბამისად იცვლება პირველი ჰარმონიკის ამპლიტუდა და ფაზა.

მეორე შემთხვევაში (10.1 დ ნახაზი) პირველადი დენის ფორმა არ იცვლება და დენის მრუდის ჰარმონიკების შემადგენლობა რჩება მუდმივი.

როგორც საზოგადოდ ცნობილია, გამმართველ სქემებში ცვლადი ძაბვის გამოყენების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს სიმძლავრის კოეფიციენტი. ამიტომ საინტერესოა ორივე სქემისთვის განვსაზღვროთ სრული სიმძლავრის აქტიური და რეაქტიული მდგრენელები.

ორივე სქემისთვის აქტიური სიმძლავრე შესაბამისად იქნება:


$$P_{11} = \frac{1}{\pi} \int_{-\alpha}^{\pi} U_m \sin \theta I_0 d\theta = \frac{2U_m I_0}{\pi} \cdot \frac{1 + \cos \alpha}{2}, \quad (10.1)$$

$$P_{12} = \frac{1}{\pi} \int_{-\alpha}^{\pi+\alpha} U_m \sin \theta I_0 d\theta = \frac{2U_m I_0}{\pi} \cos \alpha. \quad (10.2)$$

რეაქტიულ სიმძლავრეებს განვსაზღვრავთ [12] ლიტერატურაში მოცემული ინტეგრალური გამოსახულებების საფუძველზე

$$Q_{11} = -\frac{1}{\pi} \int_{0}^{\pi} \frac{dU}{d\theta} i d\theta = -\frac{U_m I_0}{\pi} \int_{-\alpha}^{\pi} \cos \theta d\theta = \frac{2U_m I_0}{\pi} \frac{\sin \alpha}{2}, \quad (10.3)$$

$$Q_{12} = -\frac{1}{\pi} \int_{0}^{\pi} \frac{dU}{d\theta} i d\theta = -\frac{U_m I_0}{\pi} \int_{-\alpha}^{\pi+\alpha} \cos \theta d\theta = \frac{2U_m I_0}{\pi} \sin \alpha. \quad (10.4)$$



ნახ. 10.1. ა) ასიმეტრიული და ბ) სიმეტრიული გამმართველების პრინციპული სქემები და დენების და ძაბვების დიაგრამები.

როგორც ეს (10.3)–(10.4) გამოსახულებებიდან ჩანს 10.1, ბ სქემის შემთხვევაში, მოხმარებული რეაქტიული სიმძლავრე ორჯერ მეტია.

დენების ეფექტური მნიშვნელობები იქნება:

$$I_{\text{gg}1} = I_0 \sqrt{1 - \frac{\alpha}{\pi}}; \quad I_{\text{gg}2} = I_0. \quad (10.5)$$

გამართული ძაბვები შესაბამისად იქნება:

$$U_{d1} = \frac{1}{\pi} \int_{-\alpha}^{\pi} U_m \sin \theta d\theta = \frac{2U_m}{\pi} \cdot \frac{1 + \cos \alpha}{2}, \quad (10.6)$$

$$U_{d2} = \frac{1}{\pi} \int_{-\alpha}^{\pi+\alpha} U_m \sin \theta d\theta = \frac{2U_m}{\pi} \cos \alpha. \quad (10.7)$$

თუ გამართული ძაბვის მაქსიმალურ მნიშვნელობას, $\alpha = 0$ -ის დროს აღვნიშნავთ U_{d0} -ით, მაშინ რეგულირების ხარისხი ორივე შემთხვევისათვის გამოისახება გამოსახულებებით:

$$C_1 = \frac{U_{d1}}{U_{d0}} = \frac{(1 + \cos \alpha)}{2}, \quad C_2 = \frac{U_{d2}}{U_{d0}} = \cos \alpha. \quad (10.8)$$

შესაბამისად სიმძლავრის კოეფიციენტები იქნება:

$$\left. \begin{aligned} K_{M1} &= \frac{P_{11}}{UI_{\text{gg}1}} = \sqrt{\frac{2}{\pi}} \frac{1 + \cos \alpha}{\sqrt{\pi - \alpha}}, \\ K_{M2} &= \frac{P_{12}}{UI_{\text{gg}2}} = \frac{2\sqrt{2}}{\pi} \cos \alpha, \end{aligned} \right\} \quad (10.9)$$

სადაც, P_{11} და P_{12} – პირველი პარმონიკების სიმძლავრეები.

U , $I_{\text{gg}1}$, $I_{\text{gg}2}$ – მკვებავი ძაბვის და არასინუსოიდალური დენების ეფექტური მნიშვნელობები.

Q_{11} , Q_{12} – პირველი პარმონიკების რეაქტიული სიმძლავრეები.

სიმძლავრის კოეფიციენტების დამოკიდებულება რეგულირების ხარისხზე, ორივე სქემისათვის მოცემულია 10.2 ნახაზზე 1-მრუდით და 2-წრფით.


ასევე, ორივე სქემისათვის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს რეაქტიული სიმძლავრის მოხმარება. აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით, Q_{11} და Q_{22} რეაქტიული სიმძლავრეები გავყოთ $\frac{2U_m I_0}{\pi}$ -ზე და განაყოფები შესაბამისად აღვნიშნოთ q_{11} და q_{12} -ით

$$q_{11} = \frac{Q_{11}\pi}{2U_m I_0} \quad \text{და} \quad q_{12} = \frac{Q_{12}\pi}{2U_m I_0};$$

q_{11} და q_{12} -ის დამოკიდებულებები რეგულირების ხარისხზე მოცემულია 10.2 ნახაზზე, 4 და 5 მრუდების სახით. 1, 2 და 4, 5 მრუდების შედარებით ვრწმუნდებით, რომ სიმძლავრის კოეფიციენტი K_{M1} რეგულირების მთელ დიაპაზონში, ბუფერული დიოდებიან სქემაში უფრო მაღალია, ხოლო რეაქტიული სიმძლავრის მოხმარება

ორჯერ ნაკლებია; მიუხედავად იმისა, რომ დენის ფორმა მკვეთრადაა დამახინჯებული. ორიგე სქემის შემთხვევაში ქსელიდან მოხმარებული დენი არასინუსოიდალურია, ფაზით ჩამორჩება ძაბვას, იწვევს ძაბვის დიდ ვარდნებს და მისი ფორმის დამახინჯებას. ასევე, 2 მრუდის და 1 წრფის შედარებით ირკვევა, რომ 10.1 ა ნახაზის სქემის შემთხვევაში სიმძლავრის კოეფიციენტი დაახლოებით 20%-ით მაღალია. ორიგე შემთხვევაში სიმძლავრის კოეფიციენტი იზრდება ნულოვანი მნიშვნელობიდან, მაქსიმალურ 0.9 მნიშვნელობამდე.

[12] ლიტერატურაში ერთფაზა გამართული ძაბვის რეგულირების ყველა შესაძლო ვარიანტის გაანალიზების საფუძველზე, რეკომენდებულია რეგულირების სისტემა დენის სიმძლავრიული ფორმის შენარჩუნებით $\pi/2$ -ის მიმართ. ასეთი სქემა მოცემულია 10.3 ნახაზზე. აქვეა ძაბვის და დენის დიაგრამები.



ნახ. 10.2. სიმძლავრის კოეფიციენტების და რეაქტიული სიმძლავრეების დამოკიდებულება რეგულირების ხარისხზე, ძაბვის ერთრგოლიანი (მრუდები 1;2;3;4;5) და ორ რგოლიანი (მრუდები 6;7) რეგულირების დროს.

VD4 დიოდების გზით. შემდეგ ნახევარპერიოდში მართვის იმპულსი ეძლევა VT1 ტირისტორს და აღწერილი პროცესი მეორდება.


ეს სქემა ერთ-ერთი ავტორის მიერ გამოცდილი იქნა გასული საუკუნის 60-იან წლებში, ხელოვნური კომუტაციის (არასრულად მართვადი) ტირისტორების ბაზაზე, 100კვტ სიმძლავრის მაკეტზე, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ელექტრული ტრანსპორტის კათედრაზე.

როგორც ქსელის დენის დიაგრამიდან ჩანს (ნახ. 10.3 გ), დენის პირველი პარმნიკი ფაზით ემთხვევა ქსელის ძაბვას, რაც გამორიცხავს რეაქტიული სიმძლავრის მოხმარებას. ეს, რა თქმა უნდა, ძაბვის რეგულირების აღწერილი ხერხის მნიშვნე-

როგორც სქემიდან ჩანს, ვენტილები VT1 და VT3 წარმოადგენენ მთლიანად მართვად ტირისტორებს. სქემა მუშაობს შემდეგნაირად:

პირველ ნახევარპერიოდში α_1 მომენტში მართვის სისტემიდან მართვის იმპულსი ეძლევა VT3 ტირისტორს. ტირისტორის გადების შემდეგ, დენი გადის შემდეგი კონტურით: VT3 – X_d – E_d – VD2. α_2 – მომენტში VT3-ტირისტორს ეძლევა ჩამპეტი (უარყოფითი) მართვის იმპულსი და ის იკეტება. VT3-ტირისტორის ჩაკეტვის შემდეგ, დატვირთვის დენი გადის VD2,

ლოგანი დადებითი მხარეა. ძაბვის ფორმის დამახინჯება და ძაბვის ვარდნები ამ დროს, აგრეთვე, იქნება მინიმალური. რეგულირების ასეთი ხერხის გამოყენებისას საკმარისია მხოლოდ ორი საფეხური, რაც ფაზური რეგულირების ჩვეულებრივ სქემების ოთხი საფეხურის ტოლფასი იქნებოდა. რაც მთავარია, არ მოითხოვება რეაქტიული სიმძლავრის მძლავრი წყარო, რომლის გარეშეც ჩვეულებრივი ფაზური რეგულირების მქონე სქემები ვერ მუშაობენ.



ნახ. 10.3. ფაზური რეგულირების სქემა ბ, გ) ძაბვის და გ) დენის დიაგრამა.

ხანგრძლივ რეჟიმში ქსელის დენის ორსაფეხურიანი ფორმის შემთხვევაში, სიმძლავრის კოეფიციენტი აღწევს 0,975 მნიშვნელობას, ნაცვლად დენის მართვული ფორმის შემთხვევაში არსებული 0,9-მნიშვნელობისა.

რეგულირების განხილული ხერხის შემთხვევაში, ძირითად პარამეტრებს შორის ურთიერთკავშირის დამამყარებელ განტოლებებს ექნებათ შემდეგი სახე:

$$P_{13} = \frac{2U_m I_0}{\pi} \sin \frac{\alpha}{2}, \quad U_{d3} = \frac{2U_m}{\pi} \sin \frac{\alpha}{2}, \quad I_{m3} = I_0 \sqrt{\frac{\alpha}{\pi}},$$

$$K_{M3} = \frac{2\sqrt{2\pi}}{\pi} \frac{\sin \frac{\alpha}{2}}{\sqrt{\alpha}}, \quad C_{p3} = \frac{U_{d3}}{U_{d0}} \sin \frac{\alpha}{2}. \quad (10.10)$$

(10.10) ფორმულის საფუძველზე გაანგარიშებული და აგებულია სიმძლავრის კოეფიციენტის მრუდი (იხ. ნახ. 10.2 მრუდი 3). როგორც შედარებით ჩანს, რეგულირების ასეთი ხერხის გამოყენებისას სიმძლავრის კოეფიციენტი ყოველთვის მეტია

წინა ორ სქემასთან შედარებით და მაქსიმალურ მნიშვნელობას 0,96096-ს აღწევს, როდესაც რეგულირების კუთხე $\alpha = 2,33(133,5^\circ)$ -ს

10.2. დატვირთვის დენის პულსაცია

10.1 ნახაზზე მოცემული სქემების ანალიზის გამარტივების მიზნით ჩვენ დავუშვით, რომ დატვირთვის წრედის ინდუქტივობა უსასრულოა, დატვირთვაში და ნახევარგამტარულ ვენტილებში გამავალი დენები, გარკვეულ ინტერვალებში უცვლელია. რეალურ პრაქტიკულ სქემებში ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის, რადგან დატვირთვის წრედის ინდუქტივობა არაა უსასრულო. ის სასრულო სიდიდეა, რის გამოც დატვირთვაში და ვენტილებში გამავალი დენები პულსირებს. აღნიშნულის გამო, სასურველია ფაზური რეგულირების დროს, განვსაზღვროთ დენის პულსაციის სიდიდე თრივე სქემისათვის.

იგივე დაშვებებისას თუ უგულებელყოფთ ძაბვის ვარდნებს დატვირთვაში, 10.1, ანაზის სქემისათვის, $0 < \theta_1 < \pi$ ინტერვალისათვის შეგვიძლია დაგწეროთ:

$$U_m \sin \theta = X_d \frac{dI_d}{d\theta} + E_d, \quad (10.11)$$

სადაც, X_d არის დატვირთვის წრედის ჯამური ინდუქტიური წინააღმდეგობა.

E_d არის უკულექტრომამოძრავებელი ძალა, რომელიც გარკვეულ დროში უცვლელია და ტოლია გამართული ძაბვის საშუალო მნიშვნელობის,

$$U_d = \frac{U_m}{2\pi} (1 + \cos \alpha). \quad (10.12)$$

(10.11) გამოსახულებიდან, დატვირთვის დენის პულსაცია ΔI_d (ნახ. 10.1, გ) შეიძლება გამოვსახოთ როგორც

$$\Delta I_d = \frac{1}{X_d} \int_{\alpha}^{\alpha+\theta_1} [U_m \sin \theta - E_d] d\theta = \frac{1}{X_d} \{ U_m [\cos \alpha - \cos(\alpha + \theta_1)] - E_d \theta \}, \quad (10.13)$$

θ_1 -ინტერვალის ხანგრძლივობა განისაზღვრება თანაფარდობიდან,

$$U_m \sin(\alpha + \theta_1) = E_d = \frac{2U_m}{2\pi} \frac{1 + \cos \alpha}{2},$$

საიდანაც θ_1 -სთვის შეგვიძლია დაგწეროთ:

$$\theta_1 = \frac{\arcsin(1 + \cos \alpha)}{\pi} - \alpha. \quad (10.14)$$

θ_1 -ის ცვლილების დიაპაზონია $0 < \theta_1 < \pi$. ნახ. 10.1, ბ-ზე მოცემული სქემისათვის (10.11) განტოლება რჩება ძალაში, თოვონდ ამ შემთხვევაში

$$\frac{2U_m}{\pi} \cos \alpha = E_d.$$

θ_1 -ის ხანგრძლივობა განისაზღვრება პირობიდან

$$U_m \sin(\alpha + \theta_1) = E_d = \frac{2U_m}{\pi} \cos \alpha; \\ \text{აქედან } \text{ ვწერთ} \\ \theta_1 = \arcsin \frac{2}{\pi} \cos \alpha - \alpha. \quad (10.15)$$

ამ შემთხვევაში θ_1 -ის ცვლილების დიაპაზონია $0 < \theta_1 < \frac{\pi}{2}$ (10.13) განტოლებაც ამ

შემთხვევაში რჩება ძალაში, ოდონდ θ_1 უნდა განისაზღვროს (10.15) განტოლებით. ორივე სქემისათვის დატვირთვის დენების ცვლილება ნაჩვენებია 10.1 ზე და 10.1, პნახაზზე.

10.3. მმართვადი გამმართველის გარე მახასიათებელი

თუ გავითვალისწინებთ მკვებავი ქსელის და წევის ტრანსფორმატორის ინდუქტიურ წინააღმდეგობებს, ხოლო დატვირთვის წრედის ინდუქტივობას ჩავთვლით უსასრულოდ დიდს, მაშინ დენების და ძაბვების ფორმებს უქნებათ ნახ. 10.4-ზე მოცემული სახე.

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, გამმართველი ბოგირების ცალკეულ მხრებში გამავალი დენები თავისი ფორმით განსხვავდებიან 10.1 ნახაზზე მოცემული დენებისაგან. დენების გადასვლა გამმართველის ერთი მხრიდან მეორეზე არ ხდება მყისევა. ამ შემთხვევაში გამმართველის ერთ მხარში დენები მდოვრედ მცირდება, ხოლო მეორეში მდოვრედ იზრდება; ანუ გარკვეულ γ და γ_1 ინტერვალებში გამმართველი ბოგირების ყველა ვენტილი ერთდროულად ატარებს დენს, რაც კვების წყაროსათვის მოკლედ შერთვაა.

ნახ. 10.4, ა სქემის $0 < \theta < \gamma$ ინტერვალისათვის შეგვიძლია დავწეროთ:

$$U_m \sin \theta = X \frac{dI}{d\theta}, \quad (10.16)$$

სადაც, X არის ქსელის და წევის ტრანსფორმატორის ჯამური ინდუქტიური წინააღმდეგობა.

თუ მოვახდენთ (10.16) განტოლების ინტეგრირებას, მივიღებთ

$$I = -\frac{U_m \cos \theta}{X} C_1. \quad (10.17)$$

განვსაზღვროთ ინტეგრირების მუდმივა C_1 , საწყისი პირობიდან: როცა $\theta = 0$, $I = -I_0$. მაშინ საბოლოოდ გვექნება


$$I = \frac{U_m}{X} (1 - \cos \theta) - I_0. \quad (10.18)$$

(10.18) ფორმულიდან კომუტაციის კუთხისათვის $\theta = \gamma$ და $I = 0$; გვექნება

$$(1 - \cos \gamma) = \frac{I_0 \cdot X}{U_m}. \quad (10.19)$$

როგორც (10.19) ფორმულიდან ჩანს, დენის და ინდუქტიობის გაზრდისას კუთხე იზრდება, ხოლო კვების ძაბვის გაზრდისას მცირდება.

მართვის კუთხის $\alpha > \gamma$ მნიშვნელობისას, თუ მივცემთ მართვის იმპულსს, მაგალითად VT3 ტირისტორს, მაშინ ქსელის დენი დაიწყებს ზრდას ნულოვანი მნიშვნელობიდან და გაუტოლდება I_0 მნიშვნელობას.



ნახ. 10.4. ა) და ბ) სქემისთვის დენების და ძაბვების დიაგრამები, ქსელის და წვის ტრანსფორმატორის ინდუქტიური წინააღმდეგობების გათვალისწინებით.

γ_1 დროის განმავლობაში, ასევე განმეორდება მოკლედ შერთვის რეჟიმი. ამ ინტერვალისათვის, როდესაც $\alpha < \theta < \alpha + \gamma_1$ შეგვიძლია დავწეროთ:

$$U_m \sin \theta = X \frac{dI}{d\theta}. \quad (10.20)$$

თუ ამ განტოლებას ნულოვანი საწყისი პირობების გათვალისწინებით ამოვხსნით, მივიღებთ

$$I = \frac{U_m}{X} (\cos \alpha - \cos \theta). \quad (10.21)$$

(10.21) ფორმულიდან γ_1 კომუტაციის კუთხისათვის გვექნება

$$\cos \alpha - \cos(\alpha + \gamma) = \frac{I_0 X}{U_m}. \quad (10.22)$$

(10.22) ფორმულიდან ჩანს, რომ γ_1 -ის სანგრძლივობა დამოკიდებულია მართვის α კუთხეზე. (10.22) ფორმულის თანახმად $\pi/2$ -მდე ის დასაწყისში მცირდება, ხოლო შემდეგ იწყებს ზრდას. კომუტაციის კუთხე γ , როდესაც $I_0 = \text{const}$, $U_m = \text{const}$ და $X = \text{const}$. მუდმივი სიდიდეა. გამართული საშუალო ძაბვის მნიშვნელობა იქნება:

$$U_d = \frac{1}{\pi} \left[\int_{\alpha}^{\pi} U_m \sin \theta d\theta - \int_0^{\gamma} U_m \sin \theta d\theta - \int_{\alpha}^{\alpha+\gamma} U_m \sin \theta d\theta \right]. \quad (10.23)$$

საბოლოოდ შეგვიძლია დავწეროთ

$$U_d = \frac{U_m}{\pi} \left[(1 + \cos \alpha) - 2 \frac{I_d X}{U_m} \right]. \quad (10.24)$$

(10.24) ფორმულის გამოსახულებით შეგვიძლია გავთვალოთ და ავაგოთ გარე მახასიათებლების $U_d(I_d)$ ოჯახი, α -ს სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის.

სიმეტრიული გამმართველისთვის (ნახ. 10.4, ბ), როგორც ეს ჩანს 10.4 ზორ ნახაზის დიაგრამებიდან, კომუტაცია ხდება ერთჯერადად, γ ინტერვალის ფარგლებში. ამ შემთხვევაში რეზულტირებული საშუალო ძაბვის მნიშვნელობა იქნება

$$U_d = \frac{1}{\pi} \left[\int_{\alpha}^{\pi+\alpha} U_m \sin \theta d\theta - \int_{\alpha}^{\alpha+\gamma} U_m \sin \theta d\theta \right]. \quad (10.25)$$

$\alpha < \theta < \alpha + \gamma$ ინტერვალში, (10.16) და (10.17) განტოლებების და სხვა საწყისი მნიშვნელობებისათვის, კერძოდ, როდესაც $\theta = \alpha$, $I = -I_0$, ხოლო როდესაც $\theta = \alpha + \gamma$, $I = +I_0$, გვექნება:

$$\cos \alpha - \cos(\alpha + \gamma) = \frac{2I_d X}{U_m}. \quad (10.26)$$

(10.26) ფორმულის გათვალისწინებით საბოლოოდ გამართული ძაბვის საშუალო მნიშვნელობა იქნება

$$U_d = \frac{2U_m}{\pi} \left(\cos \alpha - \frac{X \cdot I_d}{U_m} \right). \quad (10.27)$$

თუ ვიხელმძღვანელებთ (10.27) ფორმულის გამოსახულებით, მარტივად შეგვიძლია ავაგოთ გარე მახასიათებელთა $U_d(I_d)$ ოჯახი, სხვადასხვა მართვის კუთხის α მნიშვნელობისათვის.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ:

(10.22) და (10.27) ფორმულის გამოსახულებები, რომლითაც ვაგებთ გარე მახასიათებლებს გამართვის ორივე სქემისათვის, წარმოადგენენ სწორი ხაზის განტოლებებს. ეს შესაძლებლობას გვაძლევს გამმართველი წარმოვადგინოთ, როგორც

$$\text{მუდმივი } \dot{m} \text{ მაბვის } \text{გენერატორი, } r_{\text{აპ}} = \frac{\Delta U_{\gamma}}{I_0} = \frac{2X}{U\pi} - \text{ეკვივალენტური } \dot{m} \text{ შიგა } \dot{m} \text{ წინააღმდეგობით.}$$

გამოდის, რომ ქსელის ინდუქტივობა და წევის ტრანსფორმატორის ფანტვის ნაკადი, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს გამმართველის გარე მახასიათებელზე.

10.4. კომბინირებული რეგულირება


ფაზური რეგულირება, მიუხედავად სიმარტივისა, მხოლოდ, დენის ფორმის დამახინჯებისა და სიმძლავრის კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობის გამო,

პრაქტიკულ სქემებში არ გამოიყენება. ორივე სქემაში, დენის ზრდის სისწრავა $\frac{dI}{d\theta}$,

მართვის კუთხის $\frac{\pi}{2}$ მნიშვნელობის ფარგლებში, აღწევს ძალიან დიდ მნიშვნელობებს. დენის ცვლილების ასეთმა დიდმა სიჩქარემ, შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ქსელზე და კავშირგაბმულობის ხაზებზე. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ გამოვიყენებოთ ძაბვის გ.წ. კომბინირებულ (დასექციებულ) რეგულირებას (ნახ. 10.5, ა). ამავე ნახაზზე მოცემულია ორი საფეხურისთვის გამართული, ქსელის ძაბვების და დენების დიაგრამები (ნახ. 10.5, ბ). დენის ასეთი ფორმის შემთხვევაში, ორსაფეხურიანი სქემისათვის $\frac{dI}{d\theta}$ მცირდება ორჯერ. შესაბამისად, თუ საფეხურთა რიცხვს გავზრდით 4-ჯერ ან მეტად, ის სიდიდე კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შემცირდება.

10.2 ნახაზზე ნაჩვენებია სიმძლავრის კოეფიციენტის დამოკიდებულება რეგულირების ხარისხზე C -ზე, ორი საფეხურისათვის (მრუდი 7), სამ საფეხურისთვის (მრუდი 6). ცხადია საფეხურთა რიცხვის გაზრდით, შესაძლებელია სიმძლავრის კოეფიციენტის მნიშვნელოვანი გაზრდა. ასეთი კომბინირებული რეგულირების საერთო ნაკლია, ტრანსფორმატორის სექციების გადასართველად კონტაქტორული ელემენტების არსებობა სქემაში.

ბოლო დროს ზემოგანხილული სქემების ნაცვლად გავრცელდა კომბინირებული რეგულირების უკონტაქტო სქემები, რომლებიც პრაქტიკულად გამოყენებული იქნა ვლ-80Р, ვლ-85 ელექტრომავლებში.



ნახ. 10.5. ძაბვის კომბინირებული რეგულირების სქემა და დენების და ძაბვების დიაგრამები.


რეგულირების ასეთი სქემა ნაჩვენებია ნახ. 10.6-ზე. სქემაში, დასაწყისში მდოვრე რეგულირება წარმოებს პირველი ბოგირის მეშვეობით. შემდეგ მორიგეობით მიმდევრობით ირთვება მეორე და მესამე ბოგირი. როგორც ჩანს, ამ სქემაში ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილის სექციები ერთმანეთისგან იზოლირებულია.

მეორე სქემაში (ნახ. 10.6, ბ), ყველა ნახევარგამტარული ხელსაწყო მართვადი ტირისტორებია. ამ სქემაში ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილის სექციები ერთმანეთთან გალვანურადაა დაკავშირებული.

10.6, ა ნახაზზე მოცემული სქემის უპირატესობას (ნახ. 10.6, ბ) მოცემულ სქემასთან შეადგენს ის, რომ სიმძლავრის კოეფიციენტი რეგულირების მთელ დიაპაზონში უფრო მეტია. ნაკლია ის, რომ მახინჯდება ქსელის დენის ფორმა და შეუძლებელია რეკუპერაციული დამუხრუჭება.

10.6, ბ ნახაზზე მოცემულ სქემაში, VT7,VT8 ტირისტორების მართვის გარკვეული კომბინაციით, შესაძლებელია ტრანსფორმატორის მეორადი სამი გრაგნილით მივაღწიოთ ოთხზონიან რეგულირებას. კონკრეტულად, პირველ ზონაში გამართვა და რეგულირება მიმდინარეობს VT1, VT2 და VT3, VT4 მხრებით. მეორე ზონაში აღნიშნული მხრები რჩება მუშაობაში და ემატება VT5,VT6 მხარი. აღნიშნულ მხრებზე მუშაობის დასრულების შემდეგ ხდება გადასვლა VT5-VT8. ამ დროს ისესნება მართვის იმპულსები VT1-VT6 ტირისტორებზე. შემდეგ, რეგულირების

მესამე საფეხურზე იმპულსები მიეწოდება VT3-VT4 მხარს. რეგულირების მეოთხე ზონაში ირთვება VT1,VT2. როდესაც რეგულირება მთავრდება, მუშაობაში ჩართული რჩება მხოლოდ VT1,VT2 და VT7, VT8.



ნახ. 10.6. გამართული ძაბვის მდოვრე კომბინირებული რეგულირების პრაქტიკული სქემები.

ორივე სქემაზე სქემის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, არაა ნაჩვენები რეაქტიული სიმძლავრის მძლავრი წყაროები და ჰარმონიკების საფილტრო მოწყობილობა, რომელთა გარეშე აღნიშნული სქემები არ მუშაობენ.

10.5. ცვლადი დენის პერსპექტიული ელექტრომოძრავი შემადგენლობა

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ცვლადი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე, ძაბვის როგორც კონტაქტორულ საფეხურებრივ, ასევე მდოვრე რეგულირების სქემებში, ძლიერ მახინჯდება ქსელიდან მოხმარებული დენი, რაც მავნედ ზემოქმედებს კაგშირგაბმულობის ხაზებზე და თვით ელექტრომომარაგების ქსელზე.


თუ ძაბვის საფეხურებრივი რეგულირებისას, სიმძლავრის კოეფიციენტი და მოხმარებული რეაქტიული სიმძლავრე იცვლება მცირე ფარგლებში, ამას ვერ ვიტყვით მდოვრე რეგულირების სქემებისთვის, რომლებშიც სიმძლავრის კოეფიციენტი იცვლება 0-ვანი მნიშვნელობიდან მაქსიმალურ $-0,9$ მნიშვნელობამდე; ხოლო რაც შეეხება რეაქტიულ სიმძლავრეს, ის იგივე რიგისაა, რაც აქტიური სიმძლავრე ყოველივე აღნიშნული, ექსპლუატაციის რეალურ პირობებში იწვევს საკონტაქტო ქსელის ძაბვის ფორმის მკვეთრ დამახინჯებას და შემცირებას 27 000 ვოლტიდან 16 000 ვოლტამდე, რაც თავის მხრივ ამცირებს უბნებზე მოძრაობის სიჩქარეს.

დღეისათვის მძლავრი GTO და IGCT ტირისტორების და IGBT ტრანზისტორების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მუშაობენ ათასობით ვოლტ ძაბვაზე და ათასობით ამპერ დენზე, შესაძლებელი და აუცილებელია უარი ვთქვათ კლასიკურ ფაზური რეგულირების პრინციპზე და გადავიდეთ რეგულირების ახალ, თანამედროვე ხერხებზე.

[3,4] შრომებში შემოთავაზებულია ძაბვის მდოვრე რეგულირების სხვადასხვა სქემა, რომლებშიც ქსელის დენს აქვს თითქმის სინუსოიდალური ფორმა და ფაზით ემთხვევა ძაბვას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სიმძლავრის კოეფიციენტი მაქსიმალური და უცვლელია, ხოლო ცვლადი ძაბვა გამოიყენება მაქსიმალურად. ნახ. 10.7-ზე მოცემულია ძაბვის რეგულირების ერთ-ერთი ასეთი სქემა, რომელშიც წევის ძრავებად გამოყენებულია ასინქრონული მანქანები.

როგორც 10.7, ა ნახაზის სქემიდან ჩანს, წევის ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილი შედგება ერთმანეთისგან იზოლირებული (დენის სამსაფეხურიანი ფორმა) სამი სექციისაგან U_1 , U_2 , U_3 ძაბვებით, რომლებიც კვებავენ $V1$, $V2$ და $V3$ გამმართველ ბოგირებს. პირველი ბოგირი $V1$ არის არამართვადი და იძლევა I_1 დენის პირველ საფეხურს. შემდეგი ორი ბოგირი $V2$ და $V3$ მართვადია და იძლევა შემდეგ საფეხურებს. პირველადი I_1 დენის ფორმა $L1, C1$ და $L2, C2$ ფილტრების გარეშე ნაჩვენებია 10.7, ბ ნახაზზე. დენის ასეთი სამსაფეხურიანი ფორმისას ჰარმონიკების ფილტრების $L1$, $C1$ და $L2$, $C2$ გამოყენების შემთხვევაში, რეალურ დენს პრაქტიკუ-


ლად აქვს სინუსოიდალური ფორმა და ფაზით ემთხვევა ძაბვას. ამ დროს სიმძლავრის კოეფიციენტი იქნება უცვლელი, მაქსიმალური და ტოლი 0,99-ის. L1, C1 და L2, C2 ფილტრებზე არსებული გამართული ძაბვა VT ტრანზისტორის საშუალებით რეგულირდება, სტაბილიზირდება და მიეწოდება A, B სალტეს. სალტიდან სტაბილური ძაბვა ინ-1 და ინ-2 ინვერტორებით მიეწოდება ცალკეულ M1 და M2 ასინქრონულ წევის ძრავებს. ის, რომ ყოველი ასინქრონული ძრავა იკვებება ცალკე ინვერტორიდან განპირობებულია იმით, რომ ასინქრონულ ძრავებს, დამოუკიდებელ აგზებიანი მუდმივი დენის ძრავების მსგავსად, აქვთ ხისტი მახასიათებელი, რაც ართულებს მათ პარალელურ მუშაობას.



ნახ. 10.7. ა) ცვლადი დენის პერსაექტიული ელექტრომოძრავი შემადგელობის პრინციპული სქემა; ბ) ქსელის დენის სამსაფეხურიანი დიაგრამა, გ) ასინქრონული ძრავას მომჭერებზე ძაბვის ოპტიმალური ორსაფეხურიანი დიაგრამა.

ნახ. 10.8, ა-ზე მოცემულია ტექნიკურ ლიტერატურაში “4-კვადრანტიან” ($4q-S$) სქემად წოდებული ძაბვის რეგულირების გამარტივებული სქემა [5]. პირობითად “K” მწყვეტარას (ტირისტორული ან ტრანზისტორული) ციკლური გადართვის მეშვეობით, დიოდური V გამმართველის შესასვლელზე ფორმირდება $\sin^2 \omega t$ -ის

პროპორციული დენი. ამ შემთხვევაში დენს ექნება მუდმივი მდგენელი, რომლის სიხშირე ორჯერ აღემატება კვების წყაროს სიხშირეს. ნახ. 10.8, ა სქემაზე C_2L_2 ფილტრი გაწყობილია გამართული დენის მეორე ჰარმონიკაზე, განსხვავებით ნახ. 10.7, ა სქემისაგან, სადაც ის გაწყობილია საფეხურისებრი დენის ჰარმონიკებზე.



ნახ. 10.8. ცვლადი დენის პერსპექტიული ელექტრომოძრავი
შემადგენლობის: ა) ე.წ. “4-კვადრანტული” სქემა და
ბ) ქსელის დენის დიაგრამა

ნახ. 10.8, ა-ზე წარმოდგენილი სქემა წევის ტრანსფორმატორს უყენებს სპეციალურ მოთხოვნას. კერძოდ, ტრანსფორმატორს უნდა ჰქონდეს ფანტვის დიდი ინდუქტივობა, რომ შეძლოს მოკლედ შერთვის დენის შეზღუდვა.

ნახ. 10.8, ა-ზე წარმოდგენილი სქემის ნაკლ ნახ. 10.7, ა. სქემასთან შედარებით წარმოდგენს ნახევარგამტარულ ხელსაწყოებში გაზრდილი სიხშირის (500-1 000 ჰერცი) გამო დიდი დანაკარგები. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ასევე, საკონტაქტო ქსელის მოკლედ შერთვა წევის ტრანსფორმატორის გავლით. ტრანსფორმატორის პირველად გრაგნილის დენის ფორმა მოცემულია ნახ. 10.8, ბ-ზე.

XI თავი

ელექტრომოძრავი შემადგენლობა ასინქრონული ჰელის ძრავებით

11.1. ზოგადი ცნობები

მუდმივი და პულსირებული დენის მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავების, მუდმივი და ერთფაზა ცვლადი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობებზე ხანგრძლივმა გამოყენებამ, დაადასტურა მათი საკმაოდ კარგი საექსპლუატაციო მონაცემები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი კარგი და საიმედო მუშაობა პარალელურ რეჟიმში (ნებისმიერი რაოდენობის ძრავების შემთხვევაში), დატვირთვის გამათანაბრებელი ყოველგვარი დამატებითი მოწყობილობების გამოყენების გარეშე, რომლის გარეშეც სხვა ტიპის წევის ძრავებს, (ხისტი მახასიათებლების გამო) არ შეუძლიათ მუშაობა. უნდა აღინიშნოს საკონტაქტო ქსელში ძაბვის მერყეობის ნაკლები ზეგავლენას ამ ტიპის ძრავების მუშაობის რეჟიმზე. აღსანიშნავია ამ ძრავების კონსტრუქციის სირთულე, შესაბამისად სიძვირე და დაბალი საიმედოობა; დიდი საექსპლუატაციო ხარჯები და სხვა. ძალური ელექტრონიკის სერიოზულმა მიღწევებმა, მნიშვნელოვნად გაზარდა ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე მოკლედ შერთულ როტორიანი ასინქრონული წევის ძრავების გამოყენებისადმი ინტერესი. სიჩქარის ელექტრონული რეგულირების სისტემებით აღჭურვილ ასინქრონული ძრავების ძირითად უპირატესობას მიეკუთვნება:

- თვით ასინქრონული ძრავას კონსტრუქციული სიმარტივე და საიმედოობა.
- სიხშირის გარდამქნელის და მართვის სისტემის მაღალი საიმედოობა.
- ხისტი მექანიკური მახასიათებლების გამო, ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევითი თვისებების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.
- სპილენძის სოლიდური ეპონომია (2,5-ჯერ ნაკლები), მუდმივ და პულსირებულ დენზე მომუშავე ძრავებთან შედარებით.
- დიდი გადატვირთვის უნარი (შეზღუდვის გარეშე).

ნაკლს მიეკუთვნება – პარალელურად მომუშავე შტოებში დატვირთვის გამათანაბრებელი, დამატებითი ზუსტი სისტემების გარეშე მუშაობის შეუძლებლობა, გენერატორულ რეჟიმში მუშაობის არაეკონმიურობა.

დღეისათვის მძლავრი (ათასობით ამპერ დენზე და ვოლტ ძაბვაზე), სრულად მართვადი GTO და IGCT სერიის ტირისტორების და, ასევე, დიდი სიმძლავრის IGBT ტრანზისტორების არსებობა შესაძლებელს ხდის შეიქმნას საიმედოდ მომუშავე

სიხშირის გარდამქმნელები, ასინქრონული ძრავების სიჩქარის მდოვრე რეგულირებისათვის, რაც სატრანსპორტო საშუალებისადმი ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა.

ზემოაღნიშნული ნახევარგამტარული ხელსაწყოების შექმნამდე, 50-60 წლის განმავლობაში, იყო ცდები არასრულად მართვადი, ხელოვნური კომუტაციის მქონე სწრაფმომქმედი ტირისტორების ბაზაზე აეთვისებინათ ასინქრონული წევის ძრავები. დამზადდა და გამოიცადა ელექტრომაგლების და ელექტრომატარებლების საცდელი ნიმუშები, მაგრამ მათ გავრცელება ვერ პპოვეს. ქვემოთ განვიხილავთ ასინქრონული ძრავების მუშაობის პრინციპს და ძირითად მახასიათებლებს.

11.2. ასინქრონული ძრავას მუშაობის პრინციპი და ძირითადი მახასიათებლები

ასინქრონული მანქანის მუშაობის პრინციპის უკეთ გაგების მიზნით მივიღოთ, რომ მისი მბრუნავი მაგნიტური ველი იქმნება ორი პოლუსის (მუდმივი მაგნიტების, ან ელექტრომაგნიტების) ბრუნვის შედეგად, როგორც ნაჩვენებია 11.1, ა ნახაზე. როტორის მოკლედ შერთულ გრაგნილში დაინდუქტირდება ელექტრომამოძრავებელი ძალა და გაივლის დენი. დენის მიმართულება განისაზღვრება მარჯვენა ხელის წესით. მარცხენა ხელის წესით განისაზღვრება მომენტის მიმართულება, რომელიც აბრუნებს როტორს. მაგნიტური ველის ბრუნვის სიჩქარე აღვნიშნოთ n_0 -ით. მას სინქრონული სიჩქარე ეწოდება. როტორის ბრუნვის სიჩქარე აღვნიშნოთ n -ით.

სხვაობას ($n_0 - n$) უწოდებენ სრიალის სიჩქარეს, ხოლო სიდიდეს $s = \frac{n_0 - n}{n_0}$ სრიალი

ეწოდება. აღნიშნულიდან ჩანს, რომ როტორი მოძრაობაში მოდის მბრუნავი მაგნიტური ველის და როტორის გრაგნილის მიერ შექმნილი მაგნიტური ველის ურთიერთქმედებით. აქ მსგავსებაა მუდმივი დენის მანქანასთან. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მაგნიტური ველი ცვლადია. რეალურ ასინქრონულ მანქანაში მბრუნავი მაგნიტური ველი იქმნება სამ, ერთმანეთისგან 120° კუთხით წარცვლებულ გრაგნილებში გამავალ სამფაზა დენით. მათემატიკურად ეს შეიძლება დადასტურდეს შემდეგი გამოსახულებით:

$$B_A + B_B + B_C = B_m \sin \omega t \cos \frac{\pi x}{\tau} + B_m \sin \left(\omega t - \frac{2\pi}{3} \right) \cos \left(\frac{\pi x}{\tau} - \frac{2\pi}{3} \right) + \\ + B_m \sin \left(\omega t - \frac{4\pi}{3} \right) \cos \left(\frac{\pi x}{\tau} - \frac{4}{3}\pi \right) = \frac{2}{3} B_m \sin \left(\omega t - \frac{\pi x}{\tau} \right), \quad (11.1)$$


სადაც, B_A , B_B , B_C არის სტატორის მაგნიტოგამტარები ინდუქციები.

$$\tau = \frac{\pi D}{2P} - \text{საპოლუსე დანაყოფი}; \quad 2p \quad \text{წყვილპოლუსთა რიცხვი}.$$

X – კოორდინატთა სისტემის კოორდინატა.

ეს მაგნიტური ველი, რომელიც ბრუნავს n_0 სიჩქარით, როტორში წარმოქმნის n სიჩქარით მბრუნავ მაგნიტურ ველს. ამ ორი მბრუნავი მაგნიტური ველის ურთიერთქმედება წარმოქმნის მაბრუნებელ მომენტს. ეს არ შეიძლება ითქვას სამფაზა ტრანსფორმატორზე, სადაც, მართალია, არსებობს 120° კუთხით წანაცვლებული სამფაზა დენი, მაგრამ გრაგნილები, რომლებშიც ეს დენი გადის, განლაგებულია ერთ სიბრტყეში. ტრანსფორმატორებში დროის ნებისმიერ მომენტში ადგილი აქვს ტოლობას:

$$B_m \sin \omega t + B_m \sin\left(\omega t - \frac{2}{3}\pi\right) + B_m \sin\left(\omega t - \frac{4}{3}\pi\right) = 0. \quad (11.2)$$



ნახ. 11.1. ასინქრონული ძრავას ჩანაცვლების სქემები.

11.3. ასინქრონული ძრავას ექვივალენტური ჩანაცვლების სქემა

ასინქრონული ძრავა უძრავი როტორით წარმოადგენს იგივე ტრანსფორმატორს, რომელიც ჩვეულებრივი ტრანსფორმატორისგან განსხვავდება გრაგნილების განლაგების კონსტრუქციული შესრულებით (სტატორზე, როტორზე) და საჰაერო დრეჩის არსებობით. არსებითი განსხვავება მათ შორის არაა, რადგან ურთიერთქმედება

სტატორსა და როტორს შორის იგივეა, რაც ურთიერთქმედება საჭაერო დრენოთი შესრულებულ ტრანსფორმატორის პირველად და მეორად გრაგნილებს შორის.

11.1, ბ ნახაზზე ნაჩვენებია ტრანსფორმატორის სქემა თავისი დამამაგნიტებული Φ და ფანტვის Φ_{1s} , Φ_{2s} ნაკადებით. 11.1, გ ნახაზზე ნაჩვენებია იგივე სქემა, ოდონდ საჭაერო ბ დრენოთი. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ასინქრონული ძრავას შესწავლა მიზანშეწონილია დავიწყოთ ისევე, როგორც ტრანსფორმატორის შესწავლა. სრული ანალოგიისათვის განვიხილოთ ფაზურ როტორიანი ასინქრონული ძრავა. როგორც ეს 11.1, გ ნახაზზე ნაჩვენები სქემიდან ჩანს, სტატორსა და როტორს შორის ელექტრომაგნიტური კავშირი ხდება მბრუნავი ველის ძირითადი Φ ნაკადით. უძრავი როტორის შემთხვევაში მის ფაზებში ინდუქტიორდება E_2 ელექტრომამოძრავებული ძალა, ხოლო მოძრავი როტორის შემთხვევაში ინდუქტიორდება $E_{2s} = E_2S$ ელექტრომამოძრავებული ძალა. X_1 და X_2 ინდუქტიური წინაღობები განპირობებულია Φ_{1s} და Φ_{2s} ფანტვის ნაკადებით. როტორის დენის სიხშირე განისაზღვრება როტორის ბრუნთა რიცხვით სტატორის მაგნიტური ველის მიმართ და ტოლია $f_2 = f_0S$. ტრანსფორმატორის მსგავსად 11.1, ე ნახაზზე მოცემული ჩანაცვლების სქემა შეიძლება შეიცვალოს 11.1, ვ ნახაზზე მოცემული სქემით, რომელიც უფრო სრულად აღწერს ასინქრონულ ძრავაში მიმდინარე პროცესს.

როტორის მეორადი წრედის დენი ბრუნვისას (ნახ. 11.1, დ) იქნება

$$I_2 = \frac{E_2 S}{\sqrt{r_2^2 + (X_2 S)^2}}. \quad (11.3)$$

ეს გამოსახულება შეგვიძლია ჩავწეროთ სხვაგვარად

$$I_2 = \frac{E_2}{\sqrt{\left(\frac{r_2}{S}\right)^2 + X_2^2}}. \quad (11.4)$$

(11.4) ფორმულის გამოსახულება არა თუ განსხვავდება (11.3) ფორმულის გამოსახულებიდან, არამედ მას აქვს სულ სხვა ფიზიკური არსი.

კერძოდ, (11.4) ფორმულის გამოსახულების თანახმად, მბრუნავი მანქანის ნაცვლად შეგვიძლია განვიხილოთ უძრავი როტორი, რომელშიც ინდუქტიორდება E_2 ემ. ამ დროს ინდუქტიური წინაღობა ტოლია X_2 -ის, ხოლო აქტიური წინაღობა გაიზარდა $r_{\varphi} = \frac{r_2(1-S)}{S}$, რადგან $\frac{r_2}{S} = r_2 + \frac{r_2(1-S)}{S}$. პირველადი და მეორადი წრედის I_1 და I_2 დენები რჩება უცვლელი. ამ დროს ძრავას მიერ მბრუნავ ლილვზე განვითარებული სიმძლავრე, ტოლი იქნება $r_{\varphi} = \frac{r_2(1-S)}{S}$ დამატებითი წინაღობის მიერ ქსელიდან

მოთხოვნილი სიმძლავრის. ამრიგად 11.1, დ ნახაზზე მოცემული ინდუქციური ძრავას შევალენტერი სქემა, შეგვიძლია შევვალოთ მეორად წრედში დამატებითი წინაღობის $r_{\varphi} = \frac{r_2(1-S)}{S}$ შემცველ 11.1, ე ნახაზზე მოცემული სქემით.

დაყვანილი ძაბვა

$$E'_2 = E_1 = E_2 \frac{W_1}{W_2}$$

$E_2 S$ -ისაგან განსხვავებით, E_2 -ს აქვს მკვებავი ქსელის სიხშირე. r'_2 და X'_2 წარმოადგენტ პირველად მხარეს დაყვანილ წინააღმდეგობებს და შესაბამისად უტოლდებიან:

$$r'_2 = K \cdot r_2 ; \quad X'_2 = K \cdot X_2 = K \cdot \omega_0 \cdot L'_2 ; \quad X_1 = \omega_0 L_1 ,$$

K – ტრანსფორმაციის კოეფიციენტი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ასინქრონული მანქანის რეჟიმების აღმწერ მათემატიკური გამოსახულებების გამარტივების მიზნით, შეგვიძლია უგულებელვყოთ დამაგნიტების დენის და პირველად გრაგნილში $I_1 r_1$ ძაბვის ვარდნის ცვლილებები და ვისარგებლოთ 11.1, ხ ნახაზზე მოცემული ჩანაცვლების სქემით.

11.4. მექანიკური მახასიათებლის განტოლება

11.1, ე ნახაზზე მოცემული ჩანაცვლების სქემის მიხედვით, მეორადი დენის გამოსახულებას ექნება შემდეგი სახე

$$I'_2 = \frac{U_1}{\sqrt{\left(r_1 + \frac{r'_2}{S}\right)^2 X_k^2}} . \quad (11.5)$$

ცნობილია, რომ როტორის ლილვზე სიმძლავრე ტოლია $P = M \omega_0 S$; მეორეს მხრივ ეს სიმძლავრე ტოლია $P = 3(I'_2)^2 r'_2$; თუ მათ გაუტოლებთ ერთმანეთს და განგსაზღვრავთ მომენტს M -ს, მივიღებთ

$$M = \frac{3(I'_2)^2}{\omega_0} \frac{r'_2}{S} ; \quad (11.6)$$

თუ I'_2 -ის ნაცვლად შევიტანო მის მნიშვნელობებს (11.5) ფორმულიდან (11.6) ფორმულაში, მივიღებთ

$$M = \frac{3}{\omega_0} \cdot \frac{U_1^2}{\left(r_1 + \frac{r'_2}{S}\right)^2 + X_k^2} \cdot \frac{r'_2}{S} . \quad (11.7)$$

თუ აუცილებელია მომენტი გავზომოთ 6.8-ში, (11.7) ფორმულის გამოსახულება უნდა გავვოთ 9.81-ზე.

ცნობილია აგრეთვე, რომ მუდმივი დენის ძრავების მსგავსად მომენტი ტოლია

$$M = K_1 I'_2 \Phi \cos \Psi_2, \quad (11.8)$$

სადაც, K_1 – არის ძრავას კონსტრუქციული მუდმივი კოეფიციენტი.

$\cos \Psi_2 - E_2$ ძაბვასა და დენს შორის კუთხის კოსინუსი.

ჩვეულებრივ $\cos \Psi_2$ მიახლოებით ერთის ტოლია.

(11.7) ფორმულის რთული გამოსახულება შეგვიძლია რამდენადმე გავამარტივოთ, თუ (11.7) ფორმულიდან განვსაზღვრავთ dM/dS წარმოებულს და გაუტოლებთ 0-ს. ცნობილი მათემატიკური გარდაქმნების შემდეგ, მივიღებთ შემდეგ გამოსახულებებს:

$$M_k = \pm \frac{3U_1^2}{2\omega_0[r_1 \pm \sqrt{r_1^2 + X_k^2}]}, \quad (11.9)$$

$$S_k = \pm \frac{r'_2}{\sqrt{r_1^2 + X_k^2}}. \quad (11.10)$$

მიღებულ გამოსახულებებში ნიშანი “+” შეესაბამება ძრავულ რეჟიმს, ხოლო ნიშანი “-“ გენერატორულ რეჟიმს.

სადაც, M_k არის მომენტის მაქსიმალური მნიშვნელობა.

S_k – სრიალის ის მნიშვნელობა, როდესაც მომენტი აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას.

$$X_k = X_1 + X'_2 \quad \text{მოკლედ} \quad \text{შერთვის ინდუქტიური} \quad \text{წინაღობა.}$$

გავყოთ (11.7) ფორმულა (11.9) ფორმულაზე, რაც საშუალებას გვაძლევს დაგწეროთ

$$M = \frac{2M_k(1+aS_k)}{\frac{S}{S_k} + \frac{S_k}{S} + 2aS_k}, \quad (11.11)$$

$$\text{სადაც } a = \frac{r_1}{r'_2}.$$

მეტწილ შემთხვევებში (ეს განსაკუთრებით ეხება დიდი სიმძლავრის ასინქრონულ ძრავებს), გაანგარიშების სიზუსტის შენარჩუნებით შეგვიძლია უგულებელვყოთ სტატორის გრაგნილის აქტიური წინაღობა r_1 სიმცირის გამო, რაც საშუალებას მოგვცემს (11.9), (11.10) და (11.11) ფორმულის გამოსახულებები ჩავწეროთ ასე

$$M_k = \frac{3U_1^2}{2\omega_0 X_k}, \quad (11.12)$$

$$S_k = \pm \frac{r'_2}{X_k}, \quad (11.13)$$

$$M = \frac{2M_k}{\frac{S}{S_k} + \frac{S_k}{S}}. \quad (11.14)$$

(11.14) ფორმულის გამოსახულების შემდგომი გამარტივება შეგვიძლია ვაწარმოოთ S სრიალის მცირე მნიშვნელობების დროს, $\frac{S}{S_k}$ -ის უგულებელყოფით. ამ შემთხვევაში (11.14) ფორმულის ნაცვლად, გვექნება

$$M = \frac{2M_k}{S_k} \cdot S. \quad (11.15)$$

მიღებული (11.15) ფორმულა აღწერს ე.წ. მახასიათებლის წრფივ უბანს, რომელიც ანალოგიურია დამოუკიდებელ აგზებიანი მუდმივი დენის ძრავას მახასიათებლის. ძრავას მომენტსა და სიჩქარეს შორის დამოკიდებულების უფრო ზუსტი ფორმულა შეგვიძლია მივიღოთ (11.14) ფორმულის გამოსახულებიდან, თუ მასში S -ს ნაცვლად ჩავსვამთ $s = \frac{n_0 - n}{n_0}$ მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში მივიღებთ

$$M = \frac{2M_k}{\frac{n_0 - n}{n_0} + \frac{n_0 S_k}{n_0 - n}}. \quad (11.16)$$

ნომინალური ძაბვის პირობებში (11.14) და (11.16) ფორმულის გამოსახულებებით შეგვიძლია გავთვალოთ ნახ. 11.2, ა და ნახ. 11.2, ბ-ზე ნაჩვენები მახასიათებლები. (მსხვილი ხაზებით გამოსახული 1-მრუდეები).

11.5. ასინქრონული ძრავების ბრუნთა რიცხვის რეგულირების ხერხები

წევის ძრავას ტიპის მიუხედავად, როდესაც სტატიკური მომენტი $M_{\text{ს.}} = \text{const}$, მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისთვის, მომენტი (წევის ძალა) და სიმძლავრე უნდა იცვლებოდეს 11.2, გ ნახაზზე მსხვილი და პუნქტირით ნაჩვენები ხაზების შესაბამისად. სიჩქარის ასეთი რეგულირების შემთხვევაში ხდება წევის ძრავას შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება. მუდმივი დენის მიმდევრობით და დამოუკიდებელ აგზებიანი ძრავების შემთხვევაში, ასეთი ფორმის მახასიათებლები შედარებით ადგილად მიიღება. რაც შეეხება ასინქრონულ ძრავებს, ასეთი მახასიათებლების მიღება შესაძლებელია რთული დამატებითი მოწყობილობების, ე.წ. განივ იმპულსური მოდულაციის მქონე ინვერტორების გამოყენებით, რომელიც გაცილებით რთული და ძვირია, ჩვეულებრივ გამმართველებთან შედარებით. თუ გავიხსენებთ (11.7) ფორმულას და გავითვალისწინებთ სიჩქარის ფორმულას

$$n = \frac{60f_0(1-S)}{P}, \quad (11.17)$$

მაშინ ცხადი ხდება, თუ როგორ უნდა ვარეგულიროთ ასინქრონული ძრავას ბრუნვის სიჩქარე:


- წყვილ პოლუსთა რიცხვის p -ს ცვლილებით;
- სრიალის S -ის ცვლილებით;
- ძაბვის U -ის ცვლილებით;
- სიხშირის f -ის ცვლილებით;
- ერთდროულად ძაბვის U -ის და სიხშირის f -ის ცვლილებით.

ქვემოთ მოკლედ მიმოვინილავთ სიჩქარის რეგულირების ჩამოთვლილ ხერხებს.


1. **სიჩქარის რეგულირება წყვილპოლუსთა რიცხვის p ცვლილებით**, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არ მოითხოვება სიჩქარის რეგულირება დიდ ფარგლებში.

2. **სიჩქარის რეგულირება S სრიალის ცვლილებით** ფართოდ გამოიყენება სამრეწველო ობიექტებში (ამწე მანქანები), სადაც სიჩქარის რეგულირებისას არ აინტერესებთ ძირითადი ენერგეტიკული მახასიათებლები. რეგულირების ეს ხერხი ხდება როტორის წრედში რეგულირებადი რეზისტორის ჩართვით, რომლის რეგულირებით იცვლება სიჩქარე. რეგულირების ეს ხერხი თანამედროვე შესრულებით ნაჩვენებია 11.3, ბ ნახაზზე მოცემულ სქემაზე. როგორც სქემიდან ჩანს ასინქრონული ძრავას როტორი მიერთებულია სამფაზა გამმართველ “ VD ” ბოგირზე, რომელიც კვებავს “ K ” მწყვეტარათი შუნტირებულ R რეზისტორს. “ K ” მწყვეტარას ჩართვა – გამორთვით რეგულირდება R რეზისტორის წინააღმდეგობა და შესაბამისად როტორის ბრუნვის სიხშირე. “ K ” მწყვეტარად დღეისათვის გამოიყენება GTO, IGCT ტიპის მართვადი ტირისტორები, ან IGBT ტიპის ტრანზისტორები. ასეთი რეგულირების დროს ასინქრონული ძრავას სიჩქარის მახასიათებელი მსგავსია დამოუკიდებელ აგზნებიანი მუდმივი დენის ძრავას სიჩქარის მახასიათებლის. სწორი ხაზების ფორმის სიჩქარის მახასიათებლები, რომლებიც შეესაბამება რეგულირების ამ ხერხს, ნაჩვენებია 11.2, ბ ნახაზზე (4, 5, 6 ხაზები).

3. **მკვებავი ძაბვის რეგულირებით** სიჩქარის რეგულირების დროს მცირდება მომენტი (რადგან მომენტი (11.7) ფორმულის თანახმად ძაბვის კვადრატის პროპორციულია). შესაბამისი მრუდეები ნაჩვენებია ნახ. 11.2, ა, ბ, 2, 3,-ს სახით. სიჩქარის რეგულირების ეს ხერხი ფართოდ გამოიყენება სამრეწველო ისეთ ობიექტებში, სადაც ამუშავების მომენტებს არ წაეყენებათ დიდი მოთხოვნები. ტექნიკურად ასეთი რეგულირება ხდება მარტივად, სტატორის წრედში ჩვეულებრივი ტირისტორების ჩართვით (ნახ. 11.3 ა).



ნახ. 11.2. ასინქრონული ძრავას მახასიათებლები.



ნახ. 11.3. სიჩქარის რეგულირების სხვადასხვა სქემები.

4. სიჩქარის რეგულირება მკვებავი ძაბვის მხოლოდ სიხშირის რეგულირებით, შესაძლებელია გამოყიყენოთ მხოლოდ ნომინალურ ბრუნთა რიცხვს ზემოთ. დაბალ ბრუნთა რიცხვებზე ამ მეთოდის გამოყენება არ შეიძლება, რადგან მოხდება სტატორის მაგნიტური სისტემის გაუდენოვა და როტორის დენის სიდიდის მიუხედავად მასში გაივლის დიდი დენი. მის საფუძვლად აიღება თანაფარდობა $\Phi \equiv \frac{U}{f}$,

საიდანაც ჩანს, რომ როდესაც $U = const$ სიხშირე უმნიშვნელოა, ნაკადი მკვეთრად იზრდება, რაც იწვევს სწორედ სტატორის მაგნიტური სისტემის ძლიერ გაუდენოვას.

როგორც მრავალრიცხვანი შრომებით დასტურდება, ასინქრონული ძრავას შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისთვის, მაღალი ენერგეტიკული მაჩვენებლების: სიმძლავრის კოეფიციენტის, მარგი ქმედების კოეფიციენტის გადატვირთვის უნარის მისაღწევად აუცილებელია სიხშირის რეგულირებასთან ერთად ვცვალოთ მკვებავი ძაბვის სიდიდე. ძაბვის სიდიდის ცვლილების ხასიათი კი დამოკიდებულია სტატიკური მომენტის და სიჩქარის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათზე.

ტექნიკურ ლიტერატურაში მაქსიმალური შესაძლებლობების გამოყენების პირობა ცნობილია მ.პ. კოსტენკოს [10] ფორმულის სახით

$$\frac{U}{U_0} = \frac{f}{f_0} \sqrt{\frac{M}{M_0}}, \quad (11.18)$$

სადაც, U, U_0 არის მომქმედი და ნომინალური ძაბვების მნიშვნელობები.

f, f_0 – მომქმედი და ნომინალური სიხშირეები.

M, M_0 – მომქმედი და ნომინალური მბრუნვის მომენტები.

უცვლელი სტატიკური მომენტის $M_{\text{ტ.}} = const$ დროს, $\frac{M}{M_{\text{ტ.}}} = 1$ და (11.18) ფორმულით მივიღებთ

$$\frac{U}{f} = \frac{U_0}{f_0} = const \quad (11.19)$$

დატვირთვის ვენტილატორული ხასიათის შემთხვევაში, (11.18) ფორმულით

$$\frac{U}{f^2} = \frac{U_0}{f_0^2}. \quad (11.20)$$

ჩვენ შემთხვევაში, როგორც ნახ. 11.2 გ ჩანს, ხვედრითი წინაღობის ძალა იცვლება ცნობილი კანონით და ნაჩვენებია $w(V)$ მრუდის სახით. როგორც ნახაზიდან ჩანს, ნომინალურ სიჩქარემდე w ხვედრითი ძალა თითქმის არ იცვლება და ის შეგვიძლია ჩავთვალოდ უცვლელად და w_1 -ის ტოლად. ამ შემთხვევაში (11.18) ფორმულის პირობა მარტივდება და უტოლდება (11.19) ფორმულას.

ამგვარად ნომინალურ სიჩქარემდე რეგულირება უნდა მოხდეს (11.19) ფორმულის პირობის დაცვით (მომენტის უცვლელობა), ხოლო ნომინალური სიჩქარის ზემოთ,

რეგულირება უნდა ვაწარმოოთ სიხშირის ცვლილებით, რადგან ამ დროს სიმძლავრე შენარჩუნდება უცვლელად. მართლაც (11.12) ფორმულის თანახმად, მაქსიმალური მომენტი სიხშირის უკუპროპორციულია

$$\omega_0 = \frac{2\pi f_0}{p}.$$

ასეთი რეგულირების დროს სიჩქარემ შეიძლება მიაღწიოს $2,5n_0$ მნიშვნელობას. ამაჩქარებელ ძალებსა და სიჩქარეს შორის დამოკიდებულებათა მრუდეები ნახ. 11.2 გ ნაჩვენებია 1,2,3,...,9 წვრილი ხაზებით.

11.6. ასინქრონული მანქანების სამუხრუჭო რეჟიმები

ასინქრონულ მანქანას, როგორც ყველა ელექტრული მანქანას, აქვს უნარი იმუშაოს შექცევად რეჟიმში. თუ ასინქრონული მანქანის ლილვზე მოვდებთ სტატიკურ სამუხრუჭო მომენტს, მანქანა განაგრძობს მუშაობას როგორც ძრავა, რომელიც გადალახავს რა გარედან მოდებულ მომენტს, მოიხმარს სიმძლავრეს ქსელიდან. ამ პირობებში, თუ მოიხსენება გარეშე სტატიკური მომენტი ძრავას დერმზე, მაშინ ძრავას როტორი იბრუნებს სინქრონული სიჩქარის მიახლოებული სიჩქარით. ამ დროს ქსელიდან მოიხმარება ელექტრული ენერგია, რომელიც საჭიროა დანაკარგების დასაფარავად. თუ გარეშე დამხმარე ძრავათი ამ დროს როტორს დავაბრუნებოთ სინქრონული სიჩქარით, ანუ დავფარავთ მხოლოდ დანაკარგებს სტატორში, მაშინ დანაკარგები როტორში (მექანიკური კარგვები), დაიფარება პირველადი ძრავათი, ანუ ქანობზე მოძრავი გარკვეული მასის მატარებლის კინეტიკური ენერგიის ხარჯზე.

ჩვეულებრივ ასინქრონული მანქანების დამუხრუჭებაში განასხვავებენ სამ რეჟიმს:


ა) რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმი, როდესაც ასინქრონული მანქანა მუშაობს როგორც გენერატორი სინქრონულ სიჩქარეზე მეტი სიჩქარით ქსელზე და გარდამქმნელის მეშვეობით რეოსტატზე.

ბ) დინამიური დამუხრუჭების რეჟიმი, როდესაც მანქანა მუშაობს, როგორც ცვალებადი სიხშირის სინქრონული გენერატორი ცალკე სამუხრუჭე რეზისტორზე (ამ შემთხვევაში სტატორი იკვებება დამოუკიდებელი რეგულირებადი დენის წყაროდან, ხოლო როტორში შეიძლება ჩაირთოს წინაღობა, ან იყოს მოკლედ შერთული).

გ) დამუხრუჭების რეჟიმი ურთიერთ შემსვედრი ჩართვით.

ბოლო ორი სახის დამუხრუჭების რეჟიმი [ა) და ბ)], ძირითადად გამოიყენება სამრეწველო დანიშნულების ელექტროამძრავებში.

11.4 ა ნახაზზე ნაჩვენებია სიჩქარის შემცირების (დამუხტოფების) შემთხვევა, წყვილპოლუსოა რიცხვის გადართვით (P და $2P$) და სიშირის ცვლილება ($f; 0.5f$) (1, 2 მახასიათებელზე a და a_1 წერტილები). როგორც ნახაზიდან თვალნათლივ ჩანს, ამ შემთხვევებშიც სიჩქარის შემცირება ხდება გენერატორულ რეჟიმში გადასვლით, ისე როგორც ეს ხდება მუდმივი დენის დამოუკიდებელაგზებიან მანქანაში, რაც იმავე ნახაზზე ნაჩვენებია წყვეტილი ხაზებით 1', 2'. სიჩქარის გაზრდისას ხდება მდოვრე გადასვლა ძრავული რეჟიმიდან გენერატორულ რეჟიმში. რაც შეეხება გენერატორულ რეჟიმში გადასვლას მაგნიტური ნაკადის გაზრდით, ამ შემთხვევაში საჭიროა გამოვიჩინოთ გარკვეული სიფრთხილე, რადგან მაგნიტური ნაკადის მნიშვნელოვან ზრდას შეიძლება მოჰყვეს მანქანის მაგნიტური სისტემის გაუდენთვა და ღუზის დენის გაზრდა.



ნახ. 11.4. გენერატორულ და ძრავულ რეჟიმებში მომუშავე ასინქრონული მანქანის მართვის სქემა (სიშირის გარდამქმნელი), კეპტორული დიაგრამები და მექანიკური მახასიათებლები.

დამუხტოფების ეს სახე შეიძლება რეალიზებული იყოს სიშირის გარდამქმნელი-ძრავას სისტემით, ასინქრონული ძრავას გაჩერებისას, ან მახასიათებლიდან მახასიათებელზე გადასვლისას. ამისათვის წარმოებს გარდამქმნელის გამომავალი

ძაბვის სიხშირის $f_{\text{შშ}} \cdot$ და ამ გზით სინქრონული სიჩქარის $\omega_0 = \frac{2\pi f_{\text{შშ}}}{P} \cdot$ ის შემცირება. მატარებლის მექანიკური ინერციის წყალობით, ასინქრონული ძრავას როტორის მიმდინარე ბრუნთა რიცხვი n ან მისი შესაბამისი კუთხური სიჩქარე ω , ვერ ასწრებს მყისვე შეცვლას, იცვლება გაცილებით ნელა, ვიდრე ძრავას მაგნიტური ნაკადის ბრუნვის სიჩქარე ω_0 და ყოველთვის იქნება მასზე მეტი, რაც იძლევა რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმის და მ.შ. ქსელში ენერგიის მიწოდების საშუალებას.

დეტალურად განვიხილოთ გენერატორული რეჟიმი, როდესაც როტორის ბრუნვის სიჩქარე აჭარბებს სინქრონულს. ამ შემთხვევაში საწყისი $a -$ წერტილი გადადის a_2 მდებარეობაში, სადაც გადის საწინააღმდეგო ნიშნის დენი, რომელიც ქმნის სამუხრუჭე მომენტს M_2 . ამ რეჟიმში სრიალი S იქნება უარყოფითი, როტორის ე.მ.ძ. ასევე შეიცვლის მიმართულებას. ამ შემთხვევაში მაგნიტური ნაკადიც, რა თქმა უნდა, იცვლის მიმართულებას, მოტორული რეჟიმის შესაბამისი მიმართულების საწინააღმდეგოდ.

ამ რეჟიმისათვის შეგვიძლია დაგწეროთ:

$$E'_{2S} = (-S)E'_2 = -SE'_2. \quad (11.21)$$

ამ შემთხვევაში როტორის დენი ტოლი იქნება:

$$\begin{aligned} I'_2 &= \frac{-SE'_2}{r'_2 + jX'_2(-S)} = \frac{E'_2}{-\frac{r'_2}{S} + jX'_2} = -\frac{E'_2}{\frac{r'_2}{S} - jX'_2} = \\ &= -\left[\frac{E'_2 \frac{r'_2}{S}}{\left(\frac{r'_2}{S}\right)^2 + (X'_2)^2} + J \frac{E'_2 X'}{\left(\frac{r'_2}{S}\right)^2 + (X'_2)^2} \right] = (I_{\text{ა}} + jI_{\text{ი}}), \end{aligned} \quad (11.22)$$

სადაც r'_2 და X'_2 არის როტორის წრედის აქტიური და ინდუქტიური წინააღმდეგობები.

$E'_2 = E'_1$ როტორის ემბ-ის დაყვანილი მნიშვნელობები უძრავ მდგომარეობაში.

(11.22) გამოსახულების საფუძველზე აგებულია ასინქრონული მანქანის გენერატორული რეჟიმის ვექტორული დიაგრამა (ნახ. 11.4 ბ). გენერატორული რეჟიმის უკეთ შესწავლისათვის, იქვე მოყვანილია მოტორული რეჟიმის შესაბამისი ვექტორული დიაგრამა (ნახ. 11.5 ბ), რომელიც აგებულია შემდეგი გამოსახულებით:

$$I'_2 = \frac{SE'_2}{r'_2 + jX'_2} = \frac{E'_2}{-\frac{r'_2}{S} + jX'_2} = -\frac{E'_2 \frac{r'_2}{S}}{\left(\frac{r'_2}{S}\right)^2 - (X'_2)^2} = -\frac{E'_2 X'}{\left(\frac{r'_2}{S}\right)^2 + (X'_2)^2} = -(I_{\text{ა}} - jI_{\text{ი}}). \quad (11.23)$$

როგორც მოტორული რეჟიმის ვექტორული დიაგრამიდან (ნახ. 11.4 გ) ცხადად ჩანს, პირველადი დენი I_1 ძაბვას ჩამორჩება φ_1 კუთხით, რომელიც თავისი სიდიდით ნაკლებია $\pi/2$. დენის აქტიური მდგენელი $I_{\text{აქ}}$ უარყოფითია, რაც ცხადყოფს ქსელიდან აქტიური სიმძლავრის მოხმარებას.

(11.22) ფორმულიდან და ნახ. 11.4 ბ-ზე მოცემული ვექტორული დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ გენერატორულ რეჟიმში გადასვლის დროს მიმართულებას იცვლის დენის აქტიური მდგენელი, ხოლო რეაქტიული მდგენელი რჩება უცვლელი. როტორის დენის აქტიური მდგენელი მიმართულებას იცვლის იმის გამო, რომ ლილვზე მომენტი იცვლის მიმართულებას.

ვექტორული დიაგრამა, ასევე, უჩვენებს, რომ U ძაბვასა და I_1 დენს შორის წანაცვლების კუთხე $\varphi_1 > \frac{\pi}{2}$, რაც აიხსნება იმით, რომ I_1 დენის წარმოქმნას განაპირობებს არა U ძაბვა, არამედ E_2 ემდ. ამის გამო სტატორის გრაგნილი მუშაობს გენერატორულ რეჟიმში და გადასცემს ენერგიას ქსელში. მაგრამ, ასეთი რეჟიმი არაა ხელსაყრელი, რადგან მანქანა მუშაობს დიდი ბრუნთა რიცხვით. იგივე ეფექტი, გენერატორულ რეჟიმში, შეგვიძლია მივიღოთ სიჩქარის (ბრუნთა რიცხვის) გაზრდის გარეშე, თუ შევცვლით სიხშირეს (1 და 2 მრუდეები).

IGBT ტიპის ტრანზისტორები და GTO, IGCT ტიპის სრულად მართვადი ტირის-ტორები საშუალებას იძლევა დამზადდეს გარდამქმნელები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძაბვის და სიხშირის დასახული კანონით ცვლილებას. უფრო მეტიც, მათ ბაზაზე შესაძლებელია წევის ნებისმიერი ელექტრული ამძრავის შექმნა. ნახ. 11.4 ბ-ზე ნაჩვენებია ძაბვის და სიხშირის გარდამქმნელის გამარტივებული სქემა, სადაც ნახევარგამტარული ხელსაწყოები ჩანაცვლებულია უბრალო დენმკვეთებით 1,2,...5,6, რომლებიც იძლევიან ნებისმიერი რეჟიმის რეალიზაციის საშუალებას.

სქემა საშუალებას იძლევა ძრავამ იმუშაოს ქსელზე (ძრავულ რეჟიმში) და სამუხრუჭო რეოსტატზე (ელექტრული დამუხრუჭების რეჟიმში). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასინქრონული ძრავების უდიდესი ნაკლი გენერატორულ (რეკუპერაციული დამუხრუჭების დროს) რეჟიმში მუშაობისას, როდესაც ისინი მოიხმარენ ნომინალური დენის $I_{\text{ნომ}} = 25\text{-}50\%$ -მდე დამაგნიტების დენს. ამ შემთხვევაში გენერატორულ რეჟიმში მომუშავე ასინქრონული ძრავას აგზნებაზე იხარჯება სრული სიმძლავრის 25-50%. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ელექტროსადგურში განთავსებულია ერთნაირი სიმძლავრის ასინქრონული გენერატორები, მაშინ აღსაგზნებლად საჭირო ხდება მათი ეკვივალენტური სიმძლავრის სინქრონული გენერატორის გამოყენება. საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი სიმძლავრის სინქრონული გენერატორის

აგზნებისთვის მოთხოვნილი სიმძლავრე არ აღემატება 1%-ს. აგზნებისთვის მოთხოვნილ სიმძლავრეებს შორის ასეთი დიდი განსხვავება მიანიშნებს ასინქრონული გენერატორების უდიდეს ნაკლებ. გენერატორულ რეჟიმში დენი ძაბვას ჩამორჩება 90° -ზე მეტი კუთხით, რის გამოც ასინქრონული გენერატორების სინქრონულ გენერატორებთან პარალელური მუშაობა მნიშვნელოვნად ამცირებს სიმძლავრის კოეფიციენტს $\cos\varphi$ -ს, მაშინაც კი, როდესაც დატვირთვა სუფთა აქტიური ხასიათისაა.

უნდა აღინიშნოს მცირე სიმძლავრეების დროს ასინქრონული გენერატორების სიმარტივე და გარკვეული უპირატესობა სინქრონულ გენერატორებთან შედარებით, რაც მიიღწევა გენერატორის თვითაგზნების მიზნით სტატორის წრედში კონდენსატორების ჩართვით. ასეთი სქემა გაცილებით იაფია სინქრონულ გენერატორებისა და მათი აგზნების სისტემების ლირებულებაზე.



11.7. სამფაზა ინვერტორის ძაბვის და სიხშირის რეგულირების ოპტიმალური მეთოდი

11.5 ა ნახაზზე ნაჩვენებია IGBT ტრანზისტორების ბაზაზე შესრულებული სამფაზა ინვერტორის რეალური სქემა, ორ ვარიანტად: როდესაც დატვირთვა შეერთებულია ვარსკვლავურად და როდესაც დატვირთვა შეერთებულია სამკუთხედად.


11.5 ბ, გ, დ ნახაზზე ნაჩვენებია ფაზური ძაბვების მრუდეების ფორმები, ძაბვის ნახევარპერიოდის 180 გრადუსისათვის, დატვირთვის ვარსკვლავური შეერთებისას. დატვირთვის სამკუთხა შეერთებისას, ნახევარპერიოდის 120 გრადუსისათვის, ხაზური ძაბვების ფორმა იქნება იგივე, რაც 11.5 ბ, გ, დ ნახაზზე, იმ განსხვავებით, რომ ძაბვის საფეხურები იქნება სხვა. $\frac{1}{3}E_d$ და $\frac{2}{3}E_d$ -ს ნაცვლად იქნება $\frac{E_d}{2}$ და E_d . 11.5 გ ნახაზზე მოცემულია ტრანზისტორების გადართვის ყოველი ინტერვალისათვის, ფაზური წინაღობების სქემები.

დღეისათვის გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ 3-ე და მისი ჯერადი ჰარმონიკების გამორიცხვისათვის, საჭიროა α კუთხე აღებული იქნას 60° -ის ტოლი. მაგრამ, როგორც გათვლები აჩვენებს, ამ დროს მნიშვნელოვნად მცირდება პირველი ჰარმონიკა. ამიტომ, მიზანშეწონილია საფეხურების ძაბვა U და კუთხე α გათვლილი იქნება ოპტიმალური მეთოდებით, მაგალითად, უმცირესი კვადრატების მეთოდის საფუძველზე. ამ გზით ჩატარებული გათვლებით ძაბვის ერთნაირი მნიშვნელობებისას (ნახ. 11.5 ა, ბ) აღმოჩნდა, რომ $\alpha = 1,7693$, (გრადუსებში 101°), ხოლო საფეხურების ძაბვა ერთნაირია და ტოლია $\frac{1}{3}E_d$ და E_d -სი.

ა)



ვ)



ნახ. 11.5. ა) სამფაზა ინვერტორის სქემა, ბ) მართვის ალგორითმი,
გ), დ), ე) ფაზური ძაბვების დიაგრამები, ვ) დატვირთვის
წინაღობების ჩართვის სქემები, სხვადასხვა ინტერვალისათვის.

α კუთხის და საფეხურების ძაბვების ასეთი ოპტიმალური მნიშვნელობისას, ძირითადი (პირველი) ჰარმონიკა იქნება მნიშვნელოვნად დიდი, ხოლო დანარჩენი ჰარმონიკები იქნებიან მინიმალური სიდიდის.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია უარი ვთქვათ ძაბვის რეგულირების დღემდე ფართოდ გამოყენებულ განივ-იმპულსური რეგულირების (გირ) მეთოდზე, რომლის დროსაც ყველაზე ოპტიმალურ რეჟიმშიც კი ჰარმონიკების კოეფიციენტები მაღალია.

როგორც ცნობილია [15]-დან, ჰარმონიკების კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი არასინუსოიდალური პერიოდული ფუნქციის სინუსოიდთან მიახლოების მაჩვენებელს, განისაზღვრება როგორც

$$K_3 = \frac{\sqrt{1 - K_{\varphi}^2}}{K_{\varphi}}; \quad K_{\varphi} = \frac{U_1}{U_{\text{ფ}}}, \quad (11.24)$$

სადაც, K_{φ} არის დამახინჯების კოეფიციენტი;

U_1 და $U_{\text{ფ}}$ – პირველი ჰარმონიკის და მთელი მრუდის ეფექტური მნიშვნელობა. მაგალითად, სინუსოიდისათვის $K_3 = 0$.


თუ (11.24) ფორმულით გამოვთვლით ჰარმონიკების კოეფიციენტს, მაგალითად ოპტიმალური გირ-თვის, ის აღმოჩნდება გაცილებით დიდი, ვიდრე ორსაფეხურიანი ძაბვის და $\alpha = 60^\circ$ კუთხის დროს.

მაგალითად, ოპტიმალური გირ-თვის $K_3 = 0,7708$, ხოლო ორსაფეხურიანი $\alpha = 60^\circ$ -თვის $K_3 = 0,2986$. ეს კოეფიციენტი ორსაფეხურიანი ძაბვის ოპტიმალური მრუდისათვის $\alpha = 1,7693$ (გრადუსებში 101°) დროს ტოლი იქნება $K_3 = 0,2132$. კოეფიციენტების მიღებული რიცხვითი მნიშვნელობების შედარება ცხადყოფს ოპტიმალური ვარიანტის უპირატესობას გირ-თან შედარებით.

ორსაფეხურიანი ოპტიმალური ფორმის ცვლადი ძაბვის ინგერტორის მეორე თვალსაჩინო უპირატესობას გირ-თან შედარებით წარმოადგენს ამ მრუდების დაშლა ფურიეს მწკრივად.

ზოგადად, ძაბვის ორსაფეხურიანი მრუდისათვის k -ური ჰარმონიკის ამპლიტუდას (ნახ. 11.6 ა) ექნება შემდეგი სახე

$$U_{mk} = \frac{8E_d}{\pi k} \left[\sin k \frac{a_1 + b_1}{2} \sin k \frac{b_1 - a_1}{2} + \sin k \frac{a_2 + b_2}{2} \sin k \frac{b_2 - a_2}{2} + \right. \\ \left. + \sin k \frac{a_3 + b_3}{2} \sin k \frac{b_3 - a_3}{2} \right], \quad (11.25)$$



ნახ. 11.6 ასინქრონული ძრავას გიმ-ის და ოპტიმალური ფორმის
ძაბვების ფორმირების დიაგრამები.

თუ (11.25) ფორმულაში ჩავსვათ $a_1, a_2, a_3, b_1, b_2, b_3$ -ის რიცხვით მნიშვნელობებს (ნახ. 11.6) გარკვეული გარდაქმნების შემდეგ ოპტიმალური გირ-ისათვის შეგვიძლია დავწეროთ:

$$U(\theta) = 0,808E_d \left[\sin \theta + \frac{0,2363}{3} \sin 3\theta - \frac{0,04229}{5} \sin 5\theta + \frac{0,1368}{7} \sin 7\theta + \right. \\ \left. + \frac{1,5}{9} \sin 9\theta + \frac{4,2543}{11} \sin 11\theta - \frac{5,0}{13} \sin 13\theta - \frac{2,68}{15} \sin 15\theta - \frac{0,78}{17} \sin 17\theta + \dots \right]. \quad (11.26)$$

ორსაფეხურიანი ძაბვის მრუდისათვის (ნახ. 11.6, ბ) ზოგადად k -ური პარმონიკი იქნება

$$U_{mk} = \frac{4U}{\pi k} \left[\sin^2 k \frac{\pi}{2} + \sin k \frac{\pi}{2} \sin k \frac{\alpha}{2} \right], \quad (11.27)$$

სადაც, $U = 0,44E_d$ ძაბვის პირველი საფეხურის სიდიდეა.

თუ (11.27) ფორმულაში ჩავსვამთ მნიშვნელობებს $U = 0,44E_d$ და $d = 1,7693$


საბოლოოდ მივიღებთ:

$$U(\theta) = 0,9963E_d \left[\sin \theta + \frac{0,3398}{3} \sin 3\theta - \frac{0,02658}{5} \sin 5\theta + \frac{0,6973}{7} \sin 7\theta + \right. \\ \left. + \frac{1,2744}{9} \sin 9\theta + \frac{0,8317}{11} \sin 11\theta - \frac{0,0793}{13} \sin 13\theta + \frac{2,226}{15} \sin 15\theta + \frac{1,262}{17} \sin 17\theta + \dots \right]. \quad (11.28)$$


(11.28) და (11.26) ფორმულის მწკრივების შედარებიდან ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში ძირითადი პარმონიკა გაცილებით დიდია, ხოლო მე-11-ე, მე-13-ე, მე-15-ე და მე-17-ე პარმონიკები უმნიშვნელოა გირ-თან შედარებით. რაც შეეხება მე-3, მე-5, მე-7 და მე-9 პარმონიკების მნიშვნელობებს, ისინი თითქმის ერთნაირია ორივე შემთხვევისათვის.

თუ ინვერტორის ძაბვის განივ იმპულსური რეგულირების ხერხი მისაღები იყო ჩემულებრივი ტირისტორებით აღჭურვილ სელოვნური კომუტაციის სქემებში, სადაც საკომუტაციო კონდენსატორების დასამუხტად მოითხოვებოდა მუდმივად უცვლელი ძაბვა, სრულიად მართვადი GTO, IGCT ტირისტორებისთვის და IGBT ტრანზისტორებისთვის ასეთი მოთხოვნების საჭიროება არაა. აქედან გამომდინარე, საზოგადოდ, ხდება ძაბვის და სიხშირის რეგულირების ორდონიანი სქემის შემოთავაზება, რომელიც მოცემულია ნახ. 11.7-ზე. როგორც სქემიდან ჩანს, ინვერტორის შემავალი ძაბვა რეგულირდება IGBT (V5) ტრანზისტორით, რომელიც L , C ფილტრის გაბარიტების შემცირების მიზნით, მუშაობს მაღალ სიხშირეებზე 10-20 კილოჰერცზე. ამ დროს, ინვერტორის ძაბვის ფორმა ოპტიმალურია და უცვლელია, რეგულირების მთელ დიაპაზონში (ნახ. 11.7 ბ). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ორდონიანი სქემისა, საერთო მ.ქ.კ-ტი და სიმძლავრის კოეფიციენტი იქნება უფრო მაღალი, ვიდრე ერთდონიანი სქემის შემთხვევაში, გირ-ის გამოყენებისას; ამასთანავე, მართვის სისტემა იქნება გაცილებით მარტივი. ნახ. 11.7 დ, ე, გ-ზე ნაჩვენებია ქსელის დენების მრუდების ფორმები. არამართვადი ($V_1 - V_4$) ერთფაზა გამართვის შემთხვევისთვის (ნახ. 11.7 დ), როგორც ცნობილია, სიმძლავრის კოეფიციენტი $\cos\varphi = 0,9$. ნახ. 11.7, გ-ზე ნაჩვენებია შემთხვევა, როდესაც V_1 და V_2


a)




b)



c)



d)



ნახ. 11.7. 3-ფაზა ინვერტორის ძაბვის და სიხშირის ეკონომიკური რეგულირების შესაძლო სქემების გარიანტები.

ხელსაწყოები წარმოადგენენ მართვად ტირისტორებს. მათი წყალობით ქსელის დენის ფორმა ოპტიმალურია. ამ შემთხვევისთვის $\alpha = 2,323$ (133°), ხოლო სიმძლავრის კოეფიციენტი $\cos\varphi = 0,96$.

სამფაზა გამმართველისთვის, როდესაც $\alpha = 2\pi/3$, სიმძლავრის კოეფიციენტი $\cos\varphi = 0,9594$ (ნახ. 11.7, ვ).

11.7, ვ ნახაზზე მოცემულია 3 000 ვოლტიან საკონტაქტო ქსელიდან კვების ვარიანტი. როგორც ნახაზიდან ნათლად ჩანს, ქსელის ძაბვა $U_{\text{ქ}}$, ნებისმიერი ერთტრანზისტორიანი (IGBT, 6 500 ვ, 600 ამპ.) UZ1 გარდამქმნელით გარდაიქმნება მოთხოვნილი სიდიდის დაბალ U_2 ძაბვად, რომელიც შემდეგ დაბალი კლასის იგივე (IGBT) V1 ტრანზისტორით, სიხშირესთან ერთად, მდოვრედ რეგულირდება და მიეწოდება LC ფილტრს, შემდეგ კი UZ ინვერტორს.

11.6, პ ნახაზზე ნაჩვენებია ორსაფეხურიანი ძაბვის ოპტიმალური ფორმა, რომელიც რეგულირების პროცესში რჩება უცვლელი. ასევე უცვლელი რჩება შემავალი ინვერტორში რეგულირებული კუთხე α . იცვლება მხოლოდ მართკუთხედების სიმაღლე და სიხშირე.

ელექტრული დამუხრუჭება

12.1. ზოგადი ცნობები ელექტრული დამუხრუჭების შესახებ

გვაქვს ელექტრული დამუხრუჭების ორი სისტემა:

- ელექტროდინამიკური,
- ელექტრომაგნიტური.

ელექტროდინამიკური ელექტრული დამუხრუჭების პრინციპი ეფუძნება ელექტრული მანქანის უნარს, იმუშაოს ურთიერთშექცევად რეჟიმში; თუ მის მომჭერებზე მოვიყვანთ ელექტროენერგიას, მაშინ ლილგზე მივიღებთ მექანიკურ ენერგიას. ამ დროს ამბობენ, რომ ელექტრული მანქანა მუშაობს **ძრავულ რეჟიმში**. თუ იგივე მანქანის ლილგს მოვიყვანთ ბრუნვით მოძრაობაში რაიმე სხვა ძრავათი (მაგალითად შიგაწვის, ქარის, წყლის და ა.შ.), მაშინ მანქანის მომჭერებიდან შეგვიძლია მოვხსნათ ელექტრული ენერგია. ამ დროს ამბობენ, რომ ელექტრული მანქანა მუშაობს **გენერატორულ რეჟიმში**.

ელექტრული ლოკომოტივების შემთხვევაში, პირველად ენერგიას (რომელიც იწვევს ელექტრული მანქანების, ამ შემთხვევაში წევის ძრავების ბრუნვით მოძრაობაში მოვგანას და მათ გენერატორულ რეჟიმში მუშაობას), წარმოადგენს მოძრავი მატარებლის კინეტიკური ენერგია. გამომუშავებული ელექტრული ენერგია (ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად) იხარჯება სპეციალურ რეოსტატებში სითბოს გამოყოფაზე, ან გადაიცემა ქსელში და მოიხმარება სხვა მომხმარებლების მიერ. ე.ი. მოძრავ მატარებელს ჩამოერთმევა მისი მასის და სიჩქარის კვადრატის პროპორციული კინეტიკური ენერგია; რადგან მატარებლის ფიზიკური მასა არ შეიძლება შეიცვალოს; ამ ენერგიის ჩამორთმევა გამოიწვევს მოძრაობის სიჩქარის შემცირებას; ე.ი განხორციელდება დამუხრუჭების ეფექტი. პირველ შემთხვევაში გვაქნება ე.წ. რეოსტატული ელექტრული დამუხრუჭება, ხოლო მეორე შემთხვევაში რეგულირაციული ელექტრული დამუხრუჭება.

რაც შეეხება ელექტრომაგნიტურ-სარელსო დამუხრუჭებას, ამ დროს სამუხრუჭო ეფექტს განაპირობებს სპეციალურ ფოლადის ხუნდებს და რელსს შორის ხახუნი. წარმოქმნილი სამუხრუჭო ძალა არ იზღუდება ბორბალსა და რელსს შორის ჩაჭიდებით, რაც წარმოადგენს ასეთი ტიპის მუხრუჭის თავისებურებას.

ელექტრული დამუხრუჭების განხორციელების შესაძლებლობა წარმოადგენს ელექტრული ლოკომოტივების ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას, წევის სხვა სახეობებთან შედარებით და საშუალებას გვაძლევს:

- შევამციროთ სამუხრუჭო ხუნდების და წყვილთვალის არტახების ინტენსიური ცვეთა;
- საიმედოდ მომუშავე დამატებითი ელექტრული სამუხრუჭო სისტემის წყალობით, აგამაღლოთ მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოება;
- გავზარდოთ მოძრაობის სიჩქარეები, დიდი დახრილობის თავდაღმართებზე მოძრაობისას;
- შევამციროთ ხარჯები ძირითადი მექანიკური მუხრუჭების მოვლა პატრონიბაზე;
- გამოვიყენოთ დამუხრუჭებების რეჟიმების ავტომატური რეგულირების სისტემები, რაც განსაკუთრებული ეფექტის მომცემია მეტროპოლიტენების, საგარეუბნო მატარებლების და ჩქაროსნული მოძრაობის პირობებში.

ელექტროდინამიკური მუხრუჭების ნაკლს შეიძლება მივაკუთნოთ:

- სამუხრუჭო ეფექტის რეალიზაცია მხოლოდ მოძრაობის პროცესში, ანუ ვერ გამოიყენება გაჩერებული მატარებლების დასამაგრებლად;
- წევის ძრავების და სხვა ელექტრომოწყობილობის გახურების ტემპერატურის ამაღლება მუშაობის ინტენსივობის გაზრდის გამო.


განვიხილოთ ელექტრული დამუხრუჭების სახეობები დაწვრილებით.

12.2. მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეოსტატული დამუხრუჭება

რეოსტატული დამუხრუჭების დროს ლოკომოტივის წევის ძრავები გამოირთვება საკონტაქტო ქსელიდან, გადაირთვება გენერატორულ რეჟიმში და ჩაირთვება სპეციალურ სამუხრუჭო რეოსტატებზე. მოძრავი მატარებლის მექანიკური ენერგია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად და იხარჯება სამუხრუჭო რეოსტატებში სითბოს გამოყოფაზე. რეპუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმისაგან განსხვავებით (რასაც გავეცნობით ქვემოთ), წევის რეჟიმში გამოყენებული მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავები, რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმში მუშაობენ მდგრადად. ეს შესაძლებლობას გვაძლევს დამუხრუჭების რეჟიმში გამოვიყენოთ მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავების მარტივი თვითაგზნების სქემები ან წევის ძრავები გადავიყვანოთ დამოუკიდებელ აგზნებაზე.

12.2.1. რეოსტატული დამუხრუჭება წევის ძრავების თვითაგზებით

სიმარტივისთვის განვიხილოთ მიმდევრობით აგზნებიანი ერთი წევის ძრავას მუშაობა რეოსტატული დამუხრუჭების დროს, თვითაგზნების რეჟიმში (ნახ. 12.1).



ნახ. 12.1. а) წევის ძრავას წევის რეჟიმის პრინციპული სქემა,
б) რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმში, გრაგნილების გადართვის
გარეშე, გ) აგზნების გრაგნილის მომქერების გადართვით,
დ) ღუზის გრაგნილის მომქერების გადართვით.


თუ წევის რეჟიმის შემდეგ (ნახ. 12.1, а), გადართვა მოხდება რეოსტატულ დამუხრუჭების რეჟიმზე სქემის შეუცვლელად (ნახ. 12.1, б), ნარჩენი მაგნიტური ნაკადის წყალობით წარმოქმნილი ემდ, სამუხრუჭო რეოსტატში უზრუნველყოფს რეოსტატულ დამუხრუჭების დენს I_R . ეს დენი ძრავას აგზნების გრაგნილში გაივლის ძრავული რეჟიმის დენის საპირისპირო მიმართულებით, (ნაჩვენებია წყვეტილი ისრით ნახ. 12.1, ბ-ზე), შედეგად ძრავა განმაგნიტდება და სამუხრუჭო უვაჭრება. თვითაგზნების პროცესის სწორად წარმართვისათვის, საჭიროა გადაირთოს აგზნების გრაგნილი ან ღუზის გრაგნილი (ნახ. 12.1, გ, დ). პრაქტიკაში მიღებულია აგზნების გრაგნილის გადართვა.

ა) თვითაგზნების პროცესი.

განვიხილოთ თვითაგზნების პროცესი. ვთქვათ მოძრაობის რაიმე უცვლელ სიჩქარეზე წევის რეჟიმიდან გადავედით რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმზე (ნახ. 12.1, გ). ნარჩენი მაგნიტური ნაკადის წყალობით ღუზაში აღიძვრება ემდ E_0 და რეოსტატის წრედში გაივლის დენი I_R . ამ დენის მოქმედებით გაიზრდება აგზნების გრაგნილის მიერ შექმნილი მაგნიტომამოძრავებული ძალა, შესაბამისად მაგნიტური

ნაკადი. ეს გაზრდის ძრავას ემძ-ს, ეს უკანასკნელი დენს და ა.შ. ეს პროცესი გაგრძელდება ზვავისებურად A წერტილამდე, როდესაც ძრავას ემძ გაუტოლდება წრედში ძაბვის ვარდნებს (ნახ. 12.2). თვითაგზების პროცესი ნაჩვენებია ისრებიანი ტებილით.

რეოსტატული დამუხხუჭების დროს, როგორც აღვნიშნეთ, იცვლება დენის



ნახ. 12.2. თვითაგზების დროს წრედში ემძის და ძაბვის ვარდნების დამოკიდებულება დენზე.

დიდი ინერციულობის გამო, ვთვლით, რომ სიჩქარე გარდამავალ პროცესი უცვლელია. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავწეროთ

$$C\Phi V = i(R + r) + \frac{Ldi}{dt}$$

ან

$$\frac{Ldi}{dt} = C\Phi V - i(R + r), \quad (12.1)$$

სადაც, r არის ძრავას გრაფიკის აქტიური წინაღობა.

R – რეოსტატის ერთ ძრავაზე დაყვანილი წინაღობა.

L – რეოსტატული დამუხხუჭების წრედის ინდუქტიობა.

V – სიჩქარე, რომელზეც ხორციელდება დამუხხუჭება.

(12.1) განტოლების მდგრენელები 12.2 ნახაზე წარმოდგენილია გრაფიკულად დენის ფუნქციაში. დამოკიდებულება $C\Phi(i)$ წარმოდგენილია 1 – მრუდის სახით, იმის გათვალისწინებით, რომ საწყის სტატიაში, როდესაც $i=0$, $E=E_0=C\Phi_0V$. აქ Φ_0 ნარჩენი მაგნიტური ნაკადია. ძაბვის ვარდნათა ჯამი ძრავაში და სამუხუჭო რეოსტატში $i(R + r)$, წარმოდგენილია კოორდინატთა სათავეში გამავალი 2 წრფით.

$\frac{Ldi}{dt}$ – ემბ 12.2 ნახაზზე წარმოადგენს 1 მრუდის და 2 წრფის ოორდინატთა სხვაობას.

როგორც 12.2 ნახაზიდან ჩანს, E_0 ემბის არსებობა დამუხრუჭების რეჟიმზე გადასვლის მომენტში, განაპირობებს $\frac{Ldi}{dt}$ სიდიდის დადებით ნიშანს. დენის ზრდისას დასაწყისში $\frac{Ldi}{dt}$ სიდიდე იზრდება, შემდგომ იწყებს კლებას და A წერტილში, როდესაც $C\Phi V = i(R + r)$, ხდება 0-ის ტოლი. ე.ი მყარდება ელექტრული წონასწორობა, ძრავას ემბ უტოლდება წრედში ძაბვათა ვარდნას და მთავრდება გარდამავალი პროცესი (თვითაგზნების პროცესი).

A წერტილში ელექტრული წონასწორობა არის მდგრადი. მართლაც, თუ რაიმე მიზეზით რეოსტატული დამუხრუჭების დენი გახდება I_{R0} -ზე მეტი, მაშინ ძაბვის ვარდნები $i(R + r) > C\Phi V$, $\frac{Ldi}{dt} < 0$ -ზე იქნება უარყოფითი, დენი დაიწყებს შემცირებას და გაუტოლდება – I_{R0} -ს. თუ რაიმე მიზეზით დენი გახდება ნაკლები I_{R0} დამყარებულ მნიშვნელობაზე, მაშინ $C\Phi V > i(R + r)$, $\frac{Ldi}{dt} > 0$ დენი დაიწყებს ზრდას და დაუბრუნდება პირვანდელ მნიშვნელობას I_{R0} -ს. მდგრადობის კრიტერიუმი შეიძლება მათემატიკურად ჩაიწეროს შემდეგნაირად

$$\frac{dC\Phi V}{dt} < (R + r). \quad (12.2)$$

ე.ი. რეოსტატული დამუხრუჭება ელექტრულად მდგრადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დენის ზრდისას ემბის $E = C\Phi V$ ზრდის სისწრაფე ნაკლებია ძაბვის ვარდნების $i(R + r)$, ზრდის სისწრაფეზე.

მოცემული სიჩქარის V -ს დროს A წერტილის მდებარეობას განსაზღვრავს 2 წრფის $[i(R + r)]$ -ის, დახრის კუთხე აბცისთა დერძთან. ამ უკანასკნელს კი R რეოსტატის წინააღმდეგობის სიდიდე. რაც დიდია რეოსტატის წინააღმდეგობა, 2 წრფის დახრის კუთხე, მით მარცხნივ გადაადგილდება A წერტილი. ანუ სხვაგვარად, მით უფრო ნაკლებია რეოსტატული დამუხრუჭების დენის დამყარებული მნიშვნელობა.

ბ) მახასიათებლები

რეოსტატული დამუხრუჭების დამყარებული რეჟიმის ($\frac{Ldi}{dt} = 0$, A წერტილი) დროს (12.1) განტოლება მიიღებს სახეს

$$E = C\Phi V = I_{\phi}(R+r). \quad (12.3)$$

(12.3) განტოლებიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ სიჩქარე

$$V = \frac{I_{\phi}(R+r)}{C\Phi}. \quad (12.4)$$

ელექტრომავლის სქემაში შეიძლება იყოს წევის ძრავების p პარალელურ შტოთა რიცხვი, თოთოეულ შტოში მიმდევრულად ჩართულ n ძრავათი. მაშინ ძრავების ემდ ტოლი იქნება

$$n \cdot C\Phi V = p \cdot I_{\phi} R + n I_{\phi} r.$$

აქედან სიჩქარე

$$V = \frac{p I_{\phi} R + n I_{\phi} r}{C\Phi} = \frac{I_{\phi} \left[\frac{p}{n} (R+r) \right]}{C\Phi}. \quad (12.5)$$

რეოსტატული დამუხრუჭების დროს სამუხრუჭო ძალის ფიზიკური არსი იგივეა, რაც წევის ძალის. განსხვავება მდგრმარეობს იმაში, რომ დანაკარგები ძრავაში და რედუქტორში ზრდის სამუხრუჭო ეფექტს. ამის გათვალისწინებით ერთი ძრავას მიერ შექმნილი სამუხრუჭო ძალა ტოლია

$$B_{\phi} = 0,367 C\Phi I_{\phi} + \Delta B.$$

თუ ლოკომოტივის ძრავების რიცხვი შეადგენს k -ს ($k = pn$), მაშინ რეოსტატული დამუხრუჭების დროს ლოკომოტივის სამუხრუჭო ძალა იქნება

$$B_{\text{ლო}} = k(0,367 C\Phi I_{\phi} + \Delta B). \quad (12.6)$$

ΔB არის მექანიკური და მაგნიტური კარგებით განპირობებული ძალა, რომელიც ტოლია

$$\Delta B = \frac{3,6(\Delta P_{\text{მექ.}} + \Delta P_{\text{მაგ.}} + \Delta P_{\text{მექ.მაგ.}})}{V}, \quad (12.7)$$


სადაც, $\Delta P_{\text{მექ.}}$ არის მექანიკური დანაკარგები ძრავას საკისრებში.

$\Delta P_{\text{მაგ.}}$ – მაგნიტური დანაკარგები ძრავაში.


$\Delta P_{\text{მექ.მაგ.}}$ – მექანიკური დანაკარგები კბილანა რედუქტორებში.

V – მატარებლის სიჩქარე, რომელზეც ხორციელდება დამუხრუჭებები.

თუ ვისარგებლებთ (12.5) და (12.7) ფორმულებით, შეგვიძლია ავაგოთ ფუნქციონალური დამოკიდებულებები $I_{\phi}(V)$ და $B(I_{\phi})$, (ნახ. 12.3, ნახ. 12.4), ხოლო მათი მეშვეობით სამუხრუჭო მახასიათებლები $B(V)$ (ნახ. 12.5).



ნახ. 12.3. რეოსტატული დამუხრუჭების დენის მახასიათებლები თვითაგზნების დროს
შემდეგი შეზღუდვებით: 1 – ჩაჭიდებით,
2 – მაქსიმალური დენით, 3 – დასაშვები
ძაბვით, 4 – მაქსიმალური სიჩქარით.




ნახ. 12.4. სამუხრუჭო ძალის B და წევის
ძალის F -ის დამოკიდებულება დენზე.

დენის $I_6(V)$ და სამუხრუჭო მახასიათებლები $B(V)$ მოცემულია სამუხრუჭო რეოსტატის

სხვადასხვა $(R_1 - R_6)$
წინადობების მნიშვნელობებისთვის.

(12.5) ფორმულიდან ჩანს, რომ მიმდევრობით აგზნებიანი ძრავებით რეოსტატული დამუხრუჭების შემთხვევაში, სიჩქარის რეგულირება ყველაზე ეფექტურად შეიძლება განვახორციელოთ სამუხრუჭო რეოსტატის წინააღმდეგობის ცვლილებით. რაც მეტია ეს წინააღმდეგობა, მოცემული დენისათვის და მ.შ. სამუხრუჭო ძალისათვის, მით უფრო მეტი შეიძლება იყოს სიჩქარე. რეოსტატის წინადობის გაზრდა ნებისმიერ სიჩქარეზე, ამცირებს დენს და შესაბამისად სამუხრუჭო ძალას.



ნახ. 12.5. რეოსტატული დამუხრუჭების სამუხრუჭო მახასიათებლები, შემდეგი შეზღუდვებით: 1 – ჩაჭიდებით,
2 – მაქსიმალური დენით, 3-დასაშვები
ძაბვით, 4-მაქსიმალური სიჩქარით.

სამუხრუჭო მახასიათებლებზე (ნახ. 12.5) დატანილია შემდეგი შეზღუდვები:

1 – ჩაჭიდებით. ამ შეზღუდვის გარეთ მოსალოდნელია თვლების ჩასოლვა.

2 – წევის ძრავას ან რეოსტატის დასაშვები დენით, რომლის გადაჭარბებისას მოსალოდნელია მათი თბური დაზიანება.

3 – წევის ძრავაზე მაქსიმალური დასაშვები ძაბვით.

რეოსტატული დამუხრუჭების დროს გადამეტმაბვების საფრთხეს განაპირობებს, დიდი სიჩქარეების დროს, დიდი სამუხრუჭო ძალების რეალიზაციის სურვილი. ამ შემთხვევაში ძრავას ემბ-ის მნიშვნელობა დიდია, რადგან ის მუშაობს მაღალ სიჩქარეზე დიდი მაგნიტური ნაკადით (განსხვავებით წევის რეჟიმისაგან, როდესაც დიდ ნაკადს შეესაბამება შედარებით მცირე სიჩქარეები). დასაშვებზე მეტი სიჩქარის პირობებში ძაბვამ ძრავას მომჰქერებზე შეიძლება მის ნომინალურ მნიშვნელობას გადაჭარბოს 1,5-ჯერ, რასაც შეიძლება მოჰყვეს ძრავას კომუტაციის გაუარესება და კოლექტორზე წრიული ცეცხლი.

4 – მაქსიმალური დასაშვები სიჩქარით.


მაღალ სიჩქარეებზე დამუხრუჭების ინტენსივობა იზღუდება მაქსიმალურად დასაშვები ძაბვით, ხოლო დაბალ სიჩქარეებზე მაქსიმალურად დასაშვები დენით. სიჩქარეების შემცირებისას, დაახლოებით ერთნაირი სამუხრუჭო ძალის შესანარჩუნებლად საჭიროა სამუხრუჭო რეოსტატის წინაღობის შემცირება რეოსტატის ცალკეული სექციების საფეხურების ამორთვით. რეოსტატის ბოლო საფეხურის ამორთვის შემდეგ, სამუხრუჭო დენის და შესაბამისად სამუხრუჭო ძალის მნიშვნელობა მკვეთრად მცირდება. ძალიან მცირე სიჩქარის დროს პრაქტიკულად ქრება ძრავას ემბ, დენი და შესაბამისად სამუხრუჭო ძალა. ამიტომ მხოლოდ რეოსტატული მუხრუჭით შეუძლებელია მატარებლის გაჩერება, ან მისი დამაგრება გაჩერებულ მდგომარეობაში ე.წ. მავნე ქანობებზე.

გ) რეოსტატული რეჟიმის დამუხრუჭების სქემები.

ერთი ძრავას შემთხვევაში წევის რეჟიმიდან რეოსტატულ რეჟიმზე გადასვლის სქემა ჩვენ მოყვანილი გვქონდა ნახ. 12.1-ზე.

თუ წევის რეჟიმში გვექნებოდა პარალელურად ჩართული ორი ძრავა, მაშინ მათი გადაყვანა რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმში, ყველაზე მარტივად შეიძლებოდა, თუ ამ ორ ძრავას შევაერთებდით მიმდევრობით და ჩავრთავდით ერთ საერთო სამუხრუჭო რეოსტატზე. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, რეოსტატული დამუხრუჭების დროს, განსაკუთრებით მაღალ სიჩქარეებზე, თითოეულ ძრავაზე ძაბვამ შეიძლება მიაღწიოს ნომინალურზე ორჯერ მეტ მნიშვნელობას. ეს კი ნიშნავს ორ მიმდევრობით ჩართულ ძრავაზე ძაბვის 4-ჯერ გადაჭარბებას, რაც მიუღებელია. ამიტომ რეოსტატული დამუხრუჭების დროს ცდილობენ შეინარჩუნონ ძრავების წევის რეჟიმის შესაბამისი პარალელური შეერთების სქემები.

მაგრამ მიმდევრობით აგზნებიანი ძრავების პარალელურად ჩართვის შემთხვევაში (ნახ. 12.6, ა) საჭირო ხდება სპეციალური ღონისძიებების გატარება, მათი მდგრადი მუშაობის უზრუნველსაყოფად.



ნახ. 12.6.


თუ რეოსტატულ დამუხრუჭების რეჟიმში დაგტოვებთ ჩვეულებრივ პარალელურ შეერთებას (ნახ. 12.6, ბ), მაშინ სქემა იქნება არამდგრადი, წევის ძრავების და წყვილთვალების დამზადებისას ტექნოლოგიური დაშვებებით განპირობებული პარამეტრების (მახასიათებლების) გაბნევის გამო. მაგალითად, თუ $M1$ ძრავა აღმოჩნდებოდა $M2$ ძრავაზე ჩქარმავალი, მაშინ მისი ე.მ.მ $E = C_e \Phi n$ ფორმულის თანახმად, იქნებოდა მეტი $M2$ ძრავას ემბ-ზე. ეს გამოიწვევდა $M1$ ძრავას აგზნების გრაგნილში დენის გაზრდას. ეს უკანასკნელი აგზნების ნაკადის Φ -ის გაზრდას. ის კი თავის მხრივ $M1$ ძრავას ე.მ.მ-ის E გაზრდას და $M2$ ძრავას ემბ-ის შემცირებას. ეს გამოიწვევდა ძრავებს შორის ე.წ. გამათანაბრებელ დენს, რომელიც კიდევ უფრო დატვირთავდა $M1$ ძრავას და განტვირთავდა $M2$ ძრავას. ეს პროცესი გაგრძელდებოდა მანამ, სანამ მთლიანად არ გადაიტვირთებოდა (მოკლედ შერთვამდე) $M1$ ძრავა და მთლიანად არ განტვირთებოდა (სრულ განმავნიტებამდე) $M2$ ძრავა. შემდეგ დენი შეიცვლიდა მიმართულებას, რაც გამოიწვევდა $M2$ ძრავას გადამაგნიტებას და $M1$ ძრავას განმაგნიტებას. საბოლოოდ ეს მიგვიყვანდა ორი მიმდევრულად ჩართულ გენერატორის მოკლედ შერთვამდე.

რეოსტატული დამუხხუჭების რეჟიმში ორი გენერატორის ელექტრულად მდგრადი მუშაობის უზრუნველსაყოფად, შეგვიძლია გამოვიყენოთ სქემა გამათანაბრებული სადენიო (ნახ. 12.6, გ). ეს სქემა უზრუნველყოფს მდგრად მუშაობას იმიტომ, რომ გამათანაბრებული დენები გადიან არა პარალელურად მომუშავე მანქანების აგზების გრაგნილებში, არამედ მოკლე გზით გამათანაბრებულ სადენიო. ეს სქემა მართალია უზრუნველყოფს მდგრადობას, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს დატვირთვის თანაბარ გადანაწილებას M_1 და M_2 ძრავებს შორის.

მდგრადობას და დატვირთვების თანაბარ გადანაწილებას უზრუნველყოფს ე.წ. აგზების გრაგნილების ჯვარედინი ჩართვის სქემა, როდესაც M_1 ძრავას აგზების გრაგნილი ჩართულია M_2 ძრავას ღუზის მიმდევრობით და პირიქით, M_2 ძრავას აღგზების გრაგნილი ჩართულია M_1 ძრავას ღუზის მიმდევრობით (ნახ. 12.6, დ).

ორი ძრავადან ერთ-ერთში ღუზის დენის გაზრდა იწვევს მეორე ძრავაში აგზების გაზრდას, მის ემდ-ის და შესაბამისად ღუზის დენის გაზრდას, რაც უზრუნველყოფს არა მარტო ელექტრულ მდგრადობას, არამედ დატვირთვის თანაბარ გადანაწილებას პარალელურად მომუშავე გენერატორებს შორის.


ექსდერმიანი ელექტრომავლის შემთხვევაში, რეოსტატული დამუხხუჭების დროს, პარალელურ რეჟიმში მომუშავე გენერატორების სამი ჯგუფი (1-2, 3-4 და 5-6 წევის ძრავები) ჩართულია საერთო სამუხრუჭო R რეოსტატზე ე.წ. ციკლური სქემით (ნახ. 12.7).



ნახ. 12.7. რეოსტატული დამუხხუჭების ციკლური სქემა.

ციკლური სქემის შემთხვევაში 1-2 ძრავას გაზრდილი ე.მ.ძ. E გამოიწვევს აგზების ნაკადების და შესაბამისად ე.მ.ძ-ის გაზრდას სხვა ძრავებში და ისინი დაიტვირთებიან ერთნაირად. პარალელურად ოთხი და მეტი ჯგუფის ძრავების შემთხვევაში რეოსტატული დამუხხუჭება ციკლური სქემით არამდგრადი ხდება. ერთ-ერთი მიზეზი, რამაც განაპირობა ორი წევის ძრავას მუდმივად მიმდევრობით

შეერთება, როგორც წევის, ასევე რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმში, სწორედ ეს იყო. ამ შემთხვევაში ვიღებთ ორ პარალელურ შტოს, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ზემოთ აღწერილი ჯვარედინი სქემა (ნახ. 12.6, დ). ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მეტროპოლიტენის ვაგონის ძალური პრინციპული სქემა წევის რეჟიმში (ნახ. 12.8, ა) და რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმში (ნახ. 12.8, ბ). განსხვავებით (ნახ. 12.6, დ)-ზე მოყვანილი სქემიდან, აქ არ არის გრაგნილების გადართვის აუცილებლობა. სამუხრუჭო რეჟიმზე გადასვლისთვის საკმარისია წევის ძრავები გამოვრთოთ ქსელიდან და ab წერტილებს შორის ჩავრთოთ სამუხრუჭო რეოსტატი R (ნახ. 10.8, ბ), რომელშიც გაივლის წევის ძრავების ორივე ჯგუფის ჯამური დენი $I_1 + I_2$, რადგან პირველი ჯგუფის ძრავების დენი I_1 გადის მეორე ჯგუფის ძრავების აგზნების გრაგნილებში, ხოლო მეორე ჯგუფის ძრავების დენი I_2 , პირველი ჯგუფის აგზნების გრაგნილებში. ამიტომ განსახილველ სქემას აქვს ჯვარედინი სქემის თვისება. მიწის მიმართ პოტენციალის შესამცირებლად სქემა დამიწებულია სამუხრუჭო გადამრთის K_1 კონტაქტორით და K_2 დამიწების რელეთი (ნახ. 12.8, ბ).



ნახ. 12.8. მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობის პრინციპული სქემა:
ა) წევის რეჟიმში; ბ) რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმში.

სამუხრუჭო ძალა დამოკიდებულია ძრავას დენის მნიშვნელობაზე. მისი რეგულირება კი შესაძლებელია სამუხრუჭო რეოსტატის წინააღმდეგობის R -ის რეგულირებით.

12.2.2. რეოსტატული დამუხრუჭება წევის ძრავების დამუშკიდებელი აგზნებით


თვითაგზნებიანი რეოსტატული დამუხრუჭება, ერთის მხრივ, მარტივია და შესაბამისად მუშაობაში საიმედო. მან ფართო გავრცელება პპოვა მუდმივი დენის ემშ-ზე, მაგრამ ხასიათდება გარკვეული ნაკლიოთ. კერძოდ, თვითაგზნების პროცესის

გარკვეული ინერციულობის (ნელი ტემპის) გამო გვიანდება სამუხრუჭო ეფექტის გაჩენა. ეს განპირობებულია მცირე სიდიდის ნარჩენი ნაკადით და შესაბამისად მცირე სიდიდის E_0 -ით.

თვითაგზნების პროცესის დასაჩქარებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს წევის ძრავას აგზნების გრაგნილის თანკვება დამოუკიდებელი კვების წყაროდან, ან წევის ძრავას გადაყვანა დამოუკიდებელ აგზნებაზე.

არსებობს წევის ძრავების დამოუკიდებელი აგზნებით რეოსტატული დამუხრუჭების სხვადასხვა სქემა, რომლებიც ანალოგიურია რეკუპერაციული დამუხრუჭების სქემების (განხილულ იქნება ქვემოთ).

12.9 ნახაზზე მოცემულია სქემა, რომელზეც ძრავას აგზნების გრაგნილი დამუხრუჭების რეჟიმში კვებას იღებს, სტაბილური ბრუნთა რიცხვის მქონე, დამოუკი-



ნახ. 12.9. რეოსტატული დამუხრუჭების პრინციპული სქემა, დამოუკიდებელი აგზნების მბრუნავი მანქანით.

დებელ აგზნებიანი მბრუნავი მანქანიდან. ვინაიდან ამ სქემაში აგზნების დენი არაა ელექტრულად დაკავშირებული ღუზის დენთან, ხოლო ღუზის რეაქციის ზეგავლენა მაგნიტურ ნაკადზე უმნიშვნელოა, ამიტომ (12.5) ფორმულის თანახმად შეგვიძლია მივიღოთ სამუხრუჭო მახასიათებელთა ოჯახი, რომლებიც წარმოადგენენ აბცისთა დერძთან დახრილ წრფეებს. მახასიათებლების დახრის კუთხე დამოკიდებულია სამუხრუჭო რეოსტატის წინაღობის სიდიდეზე და აგზნების ნაკადზე.

შესაბამისად დამუხრუჭების ასეთ შეიძლება, როგორც რეოსტატის წინაღობის რეგულირებით, ასევე მაგნიტური ნაკადის ცვლილებით.


სისტემებში სამუხრუჭო ძალის რეგულირება სისტემებში სამუხრუჭო რეგულირებით, ასევე მაგნიტური ნაკადის ცვლილებით.

12.9 ნახაზზე მოცემული სქემის ნაკლია ის, რომ ცუდად ხდება დატვირთვის გადანაწილება, საერთო სამუხრუჭო რეოსტატზე პარალელურად მომუშავე წევის ძრავებს შორის. ამიტომ, მიზანშეწონილია პარალელურად მომუშავე წევის ძრავების თითოეული ჯგუფი ჩაირთოს ცალკე სამუხრუჭო რეოსტატზე.

12.3. ერთფაზა-მუდმივი დენის ელექტრომომრავი შემადგენლობის რეოსტატული დამუხრუჭება

ასეთი სქემა განვიხილოთ ერთფაზა ცვლადი დენის ელექტრომავლის მაგალითზე, სადაც იყენებენ რეოსტატული დამუხრუჭების სქემებს წევის ძრავების

დამოუკიდებელი აგზნებით. 12.10 ნახაზზე მოცემულია ასეთი ტიპის რეოსტატული დამუხრუჭების პრინციპული სქემა. წევის ძრავას დუზები ჩართულია თავთავის სამუხრუჭო რეოსტატზე R_1, R_2 . აგზნების გრაგნილები შეერთებულია მიმდევრობით და იკვებება კვების წყაროდან (კვ.წ.) სამუხრუჭო ძალას არეგულირებენ აგზნების დენის I_s -ს ცვლილებით. დენის მახასიათებელს ანგარიშობენ (12.4) ფორმულით. აგზნების დენის უცვლელი მნიშვნელობისას მაგნიტური ნაკადი თითქმის არ იცვლება. ამიტომ დამუხრუჭების დენი I_s – სიჩქარის პროპორციულია. თითოეული მახასიათებელი შეესაბამება გარკვეულ აგზნების დენს I_s -ს. სამუხრუჭო ძალას ანგარიშობენ (12.7) ფორმულით. დენის და სამუხრუჭო ძალის მახასიათებლები მოცემულია შესაბამისად ნახ. 12.11 და ნახ. 12.12-ზე.



ნახ. 12.10. რეოსტატული დამუხრუჭების სქემა
წევის ძრავების დამოუკიდებელი აგზნებით.

დენის და სამუხრუჭო მახასიათებლებზე დატანილია შემდეგი შეზღუდვები:

აგზნების დენის მაქსიმალური მნიშვნელობით – 1,

ჩაჭიდებით – 2,

ძრავას კომუტაციით – 3,


მაქსიმალური სიჩქარით – 4,

სამუხრუჭო რეოსტატის სიმძლავრით – 5,


დუზის და აგზნების დენების თანაფარდობით – 6.

ცვლადი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე რეოსტატული დამუხრუჭების რეჟიმში თავს იჩენს იგივე სირთულეები, რაც წევის რეჟიმში. კერძოდ, დატვირთვის თანაბარი გადანაწილება პარალელურად მომუშავე მანქანებს შორის და ჩაჭიდების გაუარესების საშიშროება. ამ პრობლემების მოგვარება შედარებით მარტივად

თითქოს შესაძლებელია წევის ძრავების ცალკეული ჯგუფების ინდივიდუალური აგზებით, ცალკე სტატიკური გარდამქმნელიდან ძაბვის მდოგრე ავტომატური რეგულირებით. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა გაგვეთანაბრებინა დატვირთვა პარალელურად მომუშავე წევის ძრავების ჯგუფებს შორის (ნაკლებად დატვირთულისთვის აგზების გაზრდით და გადატვირთულისთვის აგზების შემცირებით). ამასთანავე, ჩასოლვის საფრთხის შემთხვევაში შეგვემცირებინა აგზება შესაბამისი ძრავასათვის. მაგრამ ამ ვარიანტმა ვერ პკოვა გავრცელება სქემის სირთულის გამო.



ნახ. 12.11. რეოსტატული დამუხხუჭების მახასიათებლები, დამოუკიდებელი აგზების დროს.




ნახ. 12.12. სამუხრუჭო მახასიათებლები დამოუკიდებელი აგზების დროს.

სხვადასხვა შემოთავაზებული სქემური ვარიანტებიდან საყურადღებოა 12.13 ნახაზზე მოცემული სქემა, რომელიც საშუალებას იძლევა ჩაჭიდება დარღვეულ წყვილთვალთან კავშირში მყოფი ძრავას ღუზის დენი შემცირდეს ნულამდე უფრო სწრაფად, ვიდრე მათი (ძრავას ღუზის და წყვილთვალის) კუთხური სიჩქარე გაუტოლდება ნულს (ანუ მოხდება ჩასოლვა). ამას იწვევს ის, რომ ამ მანქანის ემბ-ზე და დენზე შემხვედრად მოქმედებს ძაბვის ვარდნა R_0 რეზისტორზე – I_0R_0 (ნახ. 12.13).

რეოსტატული დამუხხუჭების დროს სასურველია დამუხრუჭება მიმდინარეობდეს ქსელიდან დამოუკიდებლად. ზემოთ განხილულ სქემებში (სადაც ამგზები გენერატორები ან სტატიკური გარდამქმნელებია გამოყენებული), თუ საკონტაქტო ქსელიდან მოიხსნება ძაბვა, დამუხხუჭება გახდება შეუძლებელი. ამ დროს პრინციპულად შესაძლებელია სქემა გადავრთოთ:

1. თვითაგზნებაზე, რაც ძალზე ართულებს სქემას და ზრდის მოწყობილობის გაბარიტებს, რომლის განთავსებაც ბორგზე შეუძლებელია;

2. სამუხრუჭო რეოსტატზე ძაბვის ვარდნის ნაწილით კვებაზე (რისთვისაც აგზ-ნების გრაგნილები სამუხრუჭო რეოსტატს უერთდება სტატიკური გარდამქმნელის მეშვეობით);
3. ამგზნებ მანქანად გამოვიყენოთ ერთ-ერთი წევის ძრავა, ხოლო მისი აგზნება მოვახდინოთ სააკუმულატორო ბატარეიდან.



ნახ. 12.13. გენეტატორების პარალელური მუშაობა საერთო დატვირთვაზე რეოსტატული დამუხრუჭების დროს.

12.4. მუდმივი დენის კონტაქტორულ-რეოსტატული ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეკუპერაციული დამუხრუჭება

12.4.1. ზოგადი ცნობები რეკუპერაციული დამუხრუჭების შესახებ

როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ რეკუპერაციული დამუხრუჭების დროს (recuperation – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს აღდგენას, ქსელში უკან დაბრუნებას) წევის ძრავების მიერ გამომუშავებული ელექტრული ენერგია ბრუნდება უკან ქსელში და მოიხმარება (აუცილებლად მოიხმარება) სხვა მომხმარებლის მიერ.

განსხვავებით მექანიკური მუხრუჭებისაგან, ელექტრული დამუხრუჭების დროს, ელექტრული სქემების და მათში შემავალი პარამეტრების შერჩევით შეგვიძლია მივიღოთ სასურველი ფორმის სამუხრუჭო მახასიათებელი.

თუ ელექტრული დამუხრუჭება განკუთვნილია გრძელ, დიდი დახრილობის დაღმართებზე სიჩქარის შესაზღუდავად, მაშინ შეგვიძლია მივიღოთ მექანიკურად

მდგრადი ხისტი სამუხრუჭო მახასიათებლები, როდესაც სიჩქარის ზრდისას მკვეთრად იზრდება შემანელებელი $B + W_0$ ძალის მნიშვნელობა.

თუ ელექტრული დამუხრუჭება განკუთვნილია მატარებლების გასაჩერებლად, (მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობა, საგარეუბნო ელექტრომატარებლები), მაშინ სასურველია უცვლელი სამუხრუჭო ძალა შევინარჩუნოთ სიჩქარეთა მთელ დიაპაზონში.

რეგუპერაციული დამუხრუჭების გამოყენება, განსაკუთრებით ინტენსიური მოძრაობის მქონე საუდელტეხილო უბნებზე, იძლევა დიდ ეკონომიურ ეფექტს. კერძოდ:

- წევაზე დახარჯული ელექტროენერგიის 20%-მდე ეკონომიას;
- დიდი დახრილობის თავდაღმართებზე მოძრაობის სიჩქარეების ამაღლების შესაძლებლობას;
- საკონტაქტო ქსელში ძაბვის სტაბილიზაციის ხელშეწყობას;
- სამუხრუჭო ხუნდების და წყვილთვალის არტახების ცვეთის შემცირებას;
- კიდევ ერთი საიმედოდ მომუშავე მუხრუჭის გამოყენების გზით მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლებას.

კონტაქტორულ-რეოსტატული მართვის მქონე ემშ-ის რეგუპერაციული დამუხრუჭების განხორციელებისთვის პირველი და აუცილებელი პირობაა წევის მანქანის ემბ-ამ, ანუ მიმდევრულად ჩართულ წევის ძრავების ჯამურმა ემბ-ამ, გადააჭარბოს საკონტაქტო ქსელის ძაბვას. რეგუპერაციული დამუხრუჭების დროს ძაბვათა ბალანსის განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$E = C\Phi V = U + Ir. \quad (12.8)$$

აქედან დენის მნიშვნელობა იქნება

$$I = \frac{C\Phi V - U}{r}. \quad (12.9)$$

მატარებლის სიჩქარე რეგუპერაციული დამუხრუჭების დროს

$$V = \frac{U + Ir}{C\Phi}. \quad (12.10)$$

თუ მიმდევრობით ჩართული იქნება n_3 რაოდენობის წევის ძრავა, მაშინ

$$V = \frac{U_{\text{შ}} + \sum Ir}{n \cdot C\Phi}, \quad (12.11)$$

სადაც, $\sum Ir$ არის ძალურ წრედში ჯამური ძაბვის გარდნა.

სამუხრუჭო ძალა გამოითვლება იგივე ფორმულით (იხ. ფორმულა 12.6), როგორც რეოსტატული დამუხრუჭებისას

$$B_{\text{ლობ}} = k(0,367C\Phi I_{\text{ძ}} + \Delta B). \quad (12.12)$$


რეკუპერაციული დამუხსრუჭების მქმ წარმოადგენს ქსელში მიწოდებული სიმძლავრის ფარდობას დამუხსრუჭების მექანიკურ სიმძლავრესთან

$$\eta_{\text{რე}} = \frac{367(UI - \Delta P_s)}{BV}, \quad (12.13)$$

სადაც, ΔP_s არის აგზნების წრედის მიერ მოხმარებული სიმძლავრე.

(12.11), (12.12) და (12.13) ფორმულების გამოყენებით, შეგვიძლია ავაგოთ რეკუპერაციული დამუხსრუჭების მახასიათებლები, თუ გვეცოდინება მაგნიტური ნაკადის დამოკიდებულება რეკუპერაციის დენზე $\Phi(I_r)$. გენერატორულ რეჟიმში მუშაობისას მუდმივი დენის წევის ძრავებს აქვთ $\Phi(I_r)$ დამოკიდებულების 4 სახე, რომლებიც შეესაბამებიან: მიმდევრობით, დამოუკიდებელ, შერეულ-თანხვედრ და შერეულ შემხვედრ აგზნების სისტემებს.

მიმდევრობით აგზნებიანი და შერეულ-თანხვედრ აგზნებიანი გენერატორები რეკუპერაციული დამუხსრუჭების რეჟიმისთვის ქსელთან მუშაობის არამდგრადობის გამო გამოუყენებლები არიან. 12.14 ნახაზზე 1 – მრუდი შეესაბამება ასეთი გენერატორის ემბის დამოკიდებულებას რეკუპერაციის დენზე, როდესაც $V = \text{const}$, ხოლო 2 – წრფე ქსელის ძაბვის და გენერატორში ძაბვის გარდნის ჯამს $U + I_r r$. გარდამავალი პროცესი აღიწერება პროცესის განტოლებით



აქედან


$$L \frac{di}{dt} = C\Phi V - (U + I_r r). \quad (12.15)$$

1 და 2 ხაზების გადაკვეთის A წერტილი წარმოადგენს ელექტრული წონასწორობის წერტილს, როდესაც $C\Phi V = U + I_r r$. მაგრამ ის არამდგრადია. მართლაც, თუ შემთხვევით მოხდება რეკუპერაციის დენის შემცირება I_r1 ქვემოთ, მაშინ ემბ აღმოჩნდება ნაკლები ქსელის ძაბვის და მანქანაში ძაბვის გარდნის ჯამზე, $U + I_r r$ -ზე, $L \frac{di}{dt}$ გახდება ნაკლები 0-ზე, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ემბს. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ მანქანა მთლიანად არ განმაგნიტდება და პირიქით, თუ რეკუპერაციის დენი შემთხვევით გაიზრდება, მაშინ ემბ გახდება მეტი $U + I_r r$ ჯამზე, $L \frac{di}{dt} > 0$ -ზე და ეს პროცესი

გაგრძელდება ახალი წონასწორობის B წერტილამდე. ეს წერტილი კი იქნება მდგრადი, მაგრამ მისი შესაბამისი დენი $I_{\text{r}0}$ ისეთი დიდია, რომ მისი პრაქტიკულად რეკუპერირება შეუძლებელი იქნება.

მუდმივი დენის ელექტრომაგლებზე, რეკუპერაციულ რეჟიმში მდგრადი მუშაობის უზრუნველსაყოფად, წევის ძრავები მიმდევრობითი აგზნებიდან გადაჰყავთ დამოუკიდებელ აგზნებაზე. აგზნების გრაფიკების საკვებად გამოიყენება მბრუნავი დაბალი ძაბვის გენერატორი (ამგზნები მანქანა), რომელიც ბრუნვით მოძრაობაში მოჰყავს საკონტაქტო ქსელზე მიერთებულ მაღალი ძაბვის ძრავას ან სტატიკურ გარდამქმნელს.

დამოუკიდებელ აგზნებიან წევის ძრავებს გენერატორულ რეჟიმში აქვთ ნაკლებად ციცაბო გარე მახასიათებელი (1,2 წრფები), რის გამოც პარალელური მუშაობის რეჟიმში ისინი არათანაბრად არიან დატვირთულნი (ნახ. 12.15, ა). ($I_{\text{r}1}$ და $I_{\text{r}2}$ დატვირთვის დენებს შორის სხვაობა გაცილებით დიდია დამოუკიდებელაგზნებიან გენერატორებისთვის, ვიდრე შერეულ შემსვედრაგზნებიან გენერატორებისთვის) (ნახ. 12.15, ბ).




ნახ. 12.15. გარე მახასიათებლები და დატვირთვის გადანაწილება
ა) პარალელურ აგზნებიან და ბ) შერეულ შემსვედრაგზნებიან გენერატორებს შორის.

კონსტრუქციული სირთულის და შესაბამისად ნაკლებ საიმედოობის გამო, სარკინიგზო მაგისტრალურ ტრანსპორტზე, შერეულ შემსვედრაგზნებიანი ძრავები არ გამოიყენება. იმისათვის, რომ დამოუკიდებელ აგზნებიან ძრავას (გენერატორის) გარე მახასიათებელს მისცენ ციცაბო ფორმა რეკუპერაციის დენის გაზრდისას მკვეთრად შემცირდეს ემდ, ადგენენ სპეციალურ სქემებს. განვიხილოთ ორი მათგანი.

12.4.2. რეკუპერაციული დამუხრუჭების სისტემა მასტაბილიზირებელი რეზისტორით

ასეთი სისტემის გამოყენებისას, M_1 წევის ძრავას აგზნების წრედს, “მიწის” მხრიდან უერთებენ ამგზნებ გენერატორს G -ს, რომლის ღუზა მოძრაობაში მოჰყავს მაღალ ძაბვაზე მომუშავე M_2 ელექტროძრავას. წევის ძრავას ღუზის წრედში, ასევე “მიწის” მხრიდან, რთავენ მასტაბილიზირებელ რეზისტორს R -ს, რომელიც უზრუნველყოფს გარე მახასიათებლის ვარდნის გაზრდას.



ნახ. 12.16. რეკუპერაციული დამუხრუჭების სქემა
მასტაბილიზირებელი რეზისტორით.

გრავიტაციის W_{ss} -ში დენის მნიშვნელობას, შესაბამისად მაგნიტურ ნაკადს, ამ გზით ამგზნები გენერატორის G -ს ძაბვას და წევის ძრავას აგზნების დენს.

ამგზნები გენერატორის ძაბვა U_G ბალანსირდება ძაბვის ვარდნით მასტაბილიზირებელ რეზისტატში $(I_\phi + I_s)R$ და აგზნების გრავიტაციის $I_\phi r_s$. ე.ი.

$$U_G = (I_\phi + I_s)R + I_\phi r_s. \quad (12.16)$$

სადაც, I_ϕ და I_s არის წევის ძრავას რეკუპერაციის და ადგზნების დენები.

r_s – აგზნების გრავიტაციის წინაღობა.


(12.16) ფორმულიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ აგზნების დენი. მივიღებთ

$$I_s = \frac{I_\phi + I_\phi R}{R + r_s}$$

ას

$$I_s = \frac{U_G}{R + r_s} - \frac{I_\phi R}{R + r_s}. \quad (12.17)$$

როგორც (2.17) ფორმულიდან ჩანს, რეკუპერაციის დენის I_a ზრდისას მცირდება წევის ძრავას აგზნების დენი I_s , ძრავას მაგნიტური ნაკადი და შესაბამისად ძაბვა U . რეკუპერაციის დენის შემცირებისას პირიქით, ძაბვა გაიზრდება. ფიზიკურად ეს



შეგვიძლია წარმოვადგინოთ ასე: რეკუპერაციის დენის გაზრდისას იზრდება ძაბვის ვარდნა მასტაბილიზირებელ R რეზისტორზე, რაც ტოლფასია ამგზნები გენერატორის წრედში წინაღობის გაზრდის და შესაბამისად წევის ძრავას აგზნების დენის შემცირების. როგორც (12.17) ფორმულიდან ჩანს, ფუნქციონალური დამოკიდებულება $I_a(I_r)$ წარმოადგენს დახრილ წრფეს. გენერატორის სხვადასხვა ძაბვისათვის გვაქვს ასეთი წრფეების ოჯახი (ნახ. 12.17).


თუ შევცვლით მასტაბილიზირებელი რეზისტორის სიდიდეს, შესაბამისად შევცვლით $I_a(I_r)$ წრფეების დახრის კუთხეს. მაგრამ მასტაბილიზირებელ რეზისტორში იკარგება ელექტროენერგია და მისი გაზრდა სასურველი არაა. (მასტაბილიზირებელი რეზისტორის წინაღობა 0,05 ომის ტოლია ყოველი ძრავასათვის). რადგან მასტაბილიზირებელი რეზისტორის გამოყენების შემთხვევაში ამგზნებმა გენერატორმა უნდა დააბალანსოს ძაბვის ვარდნა არა მარტო აგზნების გრაგნილში, არამედ მასტაბილიზირებელ რეზისტორშიც, ამიტომ მისი სიმძლავრე და შესაბამისად მასა-გაბარიტული მაჩვენებლები დიდია, რის გამოც თანამედროვე ელექტრომაგლებზე განხილული სისტემის ნაცვლად გამოიყენება რეკუპერაციული სისტემის ახალი ვარიანტი, ე.წ. ამგზნები მანქანის უკუ აგზნების სისტემა.

12.4.3. რეკუპერაციული დამუხრუჭების სისტემა ამგზნები მანქანის უკუ აგზნებით


როგორც ცნობილია, მიმდევრობით აგზნებიან ძრავას არ შეუძლია ავტომატურად გადავიდეს გენერატორულ რეჟიმში. ეს აიხსნება იმით, რომ მაგნიტური ნაკადის სიდიდე და შესაბამისად ე.მ.ძ-ის სიდიდე დამოკიდებულია დატვირთვის დენზე და მისი შემცირებისას მკვეთრად ეცემა, ე.ი. არ სრულდება რეკუპერაციული დამუხრუჭების განხორციელების პირველი ძირითადი მოთხოვნა, ძაბვა ძრავას მომჭერებზე არ გახდება საკონტაქტო ქსელის ძაბვაზე მეტი. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს რეკუპერაციული დამუხრუჭება, საჭიროა მიმდევრობითი აგზნებიანი ძრავა

გადავიყვანოთ დამოუკიდებელ აგზნებაზე. ამ მიზნით საჭიროა აგზნების გრაგნილები გამოვრთოთ დუზის გრაგნილებიდან და ჩავრთოთ დამოუკიდებელ კვების წყაროზე ე.წ. ამგზნებ მანქანაზე (ნახ. 12.18 ა). ამ შემთხვევაში ძრავას აგზნების გრაგნილში აგზნების დენი I_s შეიძლება გავზარდოთ ისე, რომ ძრავების ე.მ.დ. გახდეს ქსელის ძაბვაზე მეტი. თუ მატარებლის მოძრაობის სიჩქარე შემცირდება, შესაბამისად შემცირდება ე.მ.დ. ამ დროს სამუხრუჭო მომენტის შესანარჩუნებლად საჭიროა გავზარდოთ აგზნების დენი I_s და შესაბამისად ე.მ.დ. მოთხოვნილ მნიშვნელობამდე. ამ მიზნით ვარეგულირებთ ამგზნები მანქანის აგზნების დენს I_{sd} -ს, r რეოსტატის საშუალებით. ამგზნები მანქანა მოძრაობაში მოჰყავს მუდმივი დენის ძრავას **ძრ**, რომელიც K კონტაქტორის საშუალებით ირთვება ქსელში.

ა)



ბ)



ნახ. 12.18. რეგულირაციული დამუხრუჭების პრინციპული სქემა:
ა) წევის ძრავების დამოუკიდებელი აგზნებით;
ბ) ამგზნები მანქანის უკუ აგზნებით.

12.18 ა ნახაზზე მოცემული სქემა არაპრაქტიკულია, რადგან ის მეტად მგრძნობიარეა ქსელში ძაბვის ცვლილებაზე. თუ საკონტაქტო ქსელში ძაბვა რაიმე მიზეზით გაიზრდება, მაშინ ის მეტი გახდება ძრავების ძაბვაზე. ამ უკანასკნელში დენი შეიცვლის მიმართულებას, ძრავა გადავა წევის რეჟიმში და იმის ნაცვლად რომ მატარებელი დაამუხრუჭოს, პირიქით გააქანებს მას. თუ საკონტაქტო ქსელში ძაბვა რაიმე მიზეზით შემცირდება, მკვეთრად გაიზრდება რეაქციურაციის დენი, შესაბამისად სამუხრუჭო მომენტი და მატარებელში წარმოიშვება ბიძგები. უნდა აღვნიშნოთ, რომ მატარებლის დენიმდებაზე (საკონტაქტო ქსელში) ძაბვის სიდიდე განუწყვეტლივ იცვლება, საფიდერო ზონაში მყოფი მატარებლების რაოდენობის და მათი მუშაობის რეჟიმების ცვლილების გამო (ზოგი მატარებელი იძვრის, ზოგი

ამუხრუჭებს, ზოგი გადის საფიდერო ზონიდან, ზოგი შემოდის საფიდერო ზონაში და ა.შ.). ამ პირობებში მატარებლის მემაქანის მიერ დაყენებული სამუხრუჭო ძალა (იგივე სამუხრუჭო მომენტი) და მ.შ. მისი შემქმნელი რეკუპერაციის დენი უნდა იყოს უცვლელი. ამ მოთხოვნის დაცვა შესაძლებელია ნახ. 12.18 ბ-ზე მოცემული რეკუპერაციული დამუხრუჭების პრინციპული სქემით, სადაც რეალიზდება რბილი მახასიათებელი. შესაბამისად ის არაა მგრძნობიარე ქსელში ძაბვის მერყეობის მიმართ. ეს სქემა რეალიზებულია ВЛ-10, ВЛ-11 ელექტრომავალებზე.

როგორც სქემიდან ჩანს, წევის ძრავას აგზნების გრაგნილი მიერთებულია ა – ამგზნებოან, რომელსაც თავად აქვს ორი აგზნების გრაგნილი. ერთი მიერთებულია წევის ძრავას ღუზასთან და მასში გადის რეკუპერაციის დენი I_1 , ხოლო მეორე გრაგნილი იკვებება დამოუკიდებელი დენის წყაროდან, r რეოსტატის გავლით. ეს გრაგნილები ჩართულია ურთიერთშემხვედრად და მათ მიერ შექმნილი მაგნიტური ნაკადები ერთმანეთს აკლდება. თუ საკონტაქტო ქსელის ძაბვის შემცირების გამო გაიზრდება რეკუპერაციის დენი, გაიზრდება მის მიერ შექმნილი მაგნიტური ნაკადი ამგზნების 1 გრაგნილში. ამგზნები მანქანის ა-ს რეზულტირებული მაგნიტური ნაკადი შემცირდება, შესაბამისად შემცირდება ამგზნების ძაბვა და მ.შ. წევის ძრავას აგზნების დენი I_2 . ამას მოჰყვება ძრავების ძაბვის და შესაბამისად რეკუპერაციის დენის I_1 -ის შემცირება. თუ ძაბვა გაიზრდება საკონტაქტო ქსელში, შემცირდება რეკუპერაციის დენი I_2 . ეს გამოიწვევს ამგზნები მანქანის მაგნიტური ნაკადის და მ.შ. ძაბვის გაზრდას. ეს კი თავის მხრივ გაზრდის წევის ძრავას (ამ შემთხვევაში გენერატორის) აგზნების დენს, ძრავების ძაბვას და შესაბამისად რეკუპერაციის დენის I_1 -ის გაზრდას.

მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით რეკუპერაციული დამუხრუჭების დროს, წევის ძრავების აგზნების გრაგნილებს რთავენ ციკლური სქემით, როგორც რეოსტატული დამუხრუჭების დროს.

გენერატორის აგზნების დენს და მ.შ. სამუხრუჭო მომენტს არეგულირებენ ამგზნების აგზნების დენის I_{2a} -სა რეგულირებით, მემანქანის კონტროლერის ელექტრული მუხრუჭის სახელურის გადართვით.

წევის რეჟიმიდან რეკუპერაციულ რეჟიმზე ძალური წრედის გადართვა და პირი-ქით, რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმიდან წევის რეჟიმზე წრედის გადართვა, ხდება სამუხრუჭები გადამრთველის საშუალებით, რომელიც კონსტრუქციულად იგივე აპარატია, რაც რევერსორი.

რეკუპერაციული დამუხრუჭების დიაპაზონის გაფართოების მიზნით ცვლიან წევის ძრავების დაჯგუფების სქემებს, მოძრაობის სიჩქარის მიხედვით. მაგალითად, ВЛ-10

სერიის ელექტრომავლებში 25–30 კმ/სთ სიჩქარეთა დიაპაზონში წევის ძრავები შეერთებულია მიმდევრობით (სერიესულად „S“); 30–55 კმ/სთ სიჩქარეთა დიაპაზონში სერიეს-პარალელურად („SP“); 55–100 კმ/სთ სიჩქარეთა დიაპაზონში პარალელურად („P“).

12.5. მუდმივი დენის ელექტრომავლების რეგულირაციული დამუხსრუჭების პრაქტიკული სქემები


ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეგულირაციული დამუხსრუჭების სქემის აგების ძირითადი პრინციპები. განვიხილავთ ВЛ10; ВЛ11 და ВЛ15 ელექტრომავლებზე გამოყენებულ რეგულირაციული დამუხსრუჭების კონკრეტულ სქემებს.

12.19 ნახაზზე მოცემულია ВЛ10 და ВЛ11 ელექტრომავლების რეგულირაციული დამუხსრუჭების პრინციპული ძალური სქემები, წევის ძრავების პარალელური (ნახ. 12.19 ა) და მიმდევრობითი (ნახ. 12.19 ბ) შეერთების რეჟიმებისათვის. როგორც ნახაზიდან ჩანს, რეგულირაციის რეჟიმში აიკრიფტება ე.წ. “ციკლური” სქემა, რომელზეც ერთი სექციის წევის ძრავას დუზები სპეციალური გადამრთველების საშუალებით განცალკევდებიან აგზების გრაგნილებისაგან. წევის ძრავების აგ-1, აგ-2, აგ-3 და აგ-4 აგზების გრაგნილები კვებას იღებენ სპეციალური მუდმივი დენის “G” გენერატორიდან, რომელიც შედის НБ-436В. გარდამქნელში ამ გენერატორის ძაბვა რეგულირდება მართვის დენის ცვლილებით, რომელიც თავის მხრივ რეგულირდება, მემანქანის კონტროლერის სამუხსრუჭო სახელურთან დაკავშირებულ რეოსტატის წინადობის ცვლილებით. როგორც სქემიდან ჩანს, “G” გენერატორს დამოუკიდებელი აგზების $W_{\text{და}}$ გრაგნილის გარდა, გააჩნია დენური გრაგნილი $W_{\text{დე}}$, რომელშიც გადის ერთი შტოს რეგულირაციის დენი და იწვევს ანტიკომპაუნდირებას (გენერატორის აგზების ნაკადის საწინააღმდეგო მოქმედება). შედეგად მიიღება რბილი მახასიათებელი.

R_{ST} ბალასტური რეზისტორები, რომელთა თითოეულის სიმძლავრეა 50 კვტ, გამოიყენებიან პარალელურ შტოებს შორის დენების გასათანაბრებლად.

მუშაობის ნორმალურ რეჟიმში, როდესაც პარალელურ შტოებს შორის დენები ერთნაირია, აგ-1 ÷ აგ-4 აგზების გრაგნილებში გადის “G” გენერატორით განპირობებული დენები (ნახაზზე ნაჩვენებია უწყვეტი ისრებით). ამ შემთხვევაში A და B წერტილების პოტენციალები იქნება ერთნაირი. პარალელურ შტოებს შორის დისბალანსის (დენების უთანაბრობის) შემთხვევაში, A და B წერტილებს შორის პოტენციალები განსხვავდებიან. მაგალითად, ოუ 1 და 2 ძრავების დენი მეტია 3 და

4 ძრავების დენზე, მაშინ B წერტილის პოტენციალი მეტი ხდება A წერტილის პოტენციალზე. ამ შემთხვევაში B წერტილიდან A წერტილის მიმართულებით გაივლის გამათანაბრებელი დენი ΔI_3 (ნახ. 10.19-ზე ნაჩვენებია წყვეტილ ხაზებიანი ისრით). ეს დენი ტოლი იქნება $\Delta I_3 = 0.5(I_1 - I_2)$. როგორც ნახაზიდან ვრწმუნდებით, ამ შემთხვევაში გენერატორულ რეჟიმში მომუშავე 1 და 2 წევის ძრავების შტოს დენი შემცირდება, ხოლო 3 და 4 წევის შტოს ძრავების დენი გაიზრდება. ამგარად აღდგება თანასწორობა. პირიქით, თუ 3 და 4 წევის ძრავების შტოების დენი გაიზრდება, მაშინ A წერტილის პოტენციალი გახდება მეტი B წერტილის პოტენციალზე და განვითარდება უკუ პროცესი. **L1** და **L2** ინდუქტიური შუნგების დანიშნულებაა შეზღუდონ დენის მნიშვნელობები მოკლედ შერთვისას და საკონტაქტო ქსელში ძაბვის ნახტომისებრი ცვლილების დროს.



ნახ. 12.19. VL10 და VL11 ელექტრომავლების ერთი სექციის რეკუპერაციული დამუხრუჭების ძალური სქემა, წევის ძრავების ა) პარალელური ("P") და ბ) სერიუსული ("S") დაჯგუფებისათვის.

რეკუპერაციის რეჟიმი იწყება მემანქანის მიერ ამგზნები "G" გენერატორის მართვის დენის რეგულირებით, სამუხრუჭო სახელურის მეშვეობით. როდესაც წევის ძრავების აგზნების დენები 0-ის ტოლია, მაშინ რეკუპერაციის ორივე რელე KR ჩართულია, რის შედეგად $K1$ და $K2$ ხაზური კონტაქტორები გამორთულია. მართვის დენის $I_{გარ}$ გაზრდით, იზრდება აგზნების დენი და შესაბამისად წევის ძრავების

ელექტრომამოძრავებელი ძალა. როდესაც სხვაობა საკონტაქტო ქსელის ძაბვასა და ძრავების უკულექტრომამოძრავებელ ძალებს შორის მიაღწევს 50-100 ვოლტს, გამოირთვება რეკუპერაციის რელე *KR*, რომელიც თავის მხრივ რთავს *K1* და *K2* სახაზო კონტაქტორებს.

შემდგომში რეკუპერაციის რეჟიმის მიმდინარეობა მთლიანად დამოკიდებულია მემანქანებე (სამუხრუჭო სახელურის მდებარეობაზე).

რეკუპერაციის რეჟიმიდან გამოსვლას, აგრეთვე, ახორციელებს მემანქანე გენერატორის აგზნების დენის შემცირებით.

12.5.1. სქემის დაცვა ავარიულ რეჟიმებში

რეკუპერაციული დამუხრუჭების ავარიულ რეჟიმში მოკლედ შერთვის დენები-საგან დაცვას, განსხვავებით მოტორული რეჟიმისაგან, სწრაფმომქმედი ავტომატი ვერ ახორციელებს. ამიტომ მოკლედ შერთვის დენებისაგან დაცვა ხორციელდება სპეციალური სწრაფმომქმედი *KF* კონტაქტორით, რომელთა კოჭები ჩართულია *L1* და *L2* ინდუქტიური შუნტების პარალელურად. მოკლედ შერთვის შემთხვევაში *KF*-ის კონტაქტები, რომლებიც ჩართულია აგზნების გრაგნილების წრედში, გაწყდება და წევის ძრავები განმაგნიტდება. ამის შემდეგ *K1* და *K2* სახაზო კონტაქტორები გაწყვეტენ წევის ძრავების წრედს.

რეკუპერაციული დამუხრუჭების აღნიშნული სისტემის უდიდესი ნაკლია ის, რომ იცვლება რეკუპერაციის მახასიათებლების სიხისტე. მაგალითად, თუ რეკუპერა-ციული დამუხრუჭება იწყება მაღალ სიჩქარეებზე, როდესაც მახასიათებლები ძალზე რბილია და პროცესის მართვა ძალზე მარტივია; სიჩქარის შემცირებისას და მართვის დენის *I_{ამო}* გაზრდისას, მახასიათებლები ხისტდება, რაც ართულებს პროცესის ხელით მართვას. ამ დროს საკონტაქტო ქსელში ძაბვის ოდნავი შეცვლა, იწვევს წევის ძრავების დუზებში დენის დიდ ფარგლებში ცვლილებას.

როგორც ცნობილია, მოტორულ რეჟიმში ძრავების რბილი მახასიათებლები, ელექტრომავლის მართვისათვის არავითარ სირთულეს არ ქმნის. ამგზნები გენერა-ტორის ორხვიიანი დენის გრაგნილი მნიშვნელოვნად ზრდის ამგზნები გენერატო-რის ინერციულობას. ამ მიზეზით, ძაბვის (სიმძლავრის) მიხედვით მარაგის არ არსებობის გამო, რომელიც აუცილებელია ფორსირებისთვის (გარდამავალი პროცესების ხანგრძლივობის შესამცირებლად), ძალზე რთულია რეკუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური მართვა. მიუხედავად ამისა გაპეთდა *BL10* და *BL11* ელექტრომავლების გარკვეული პარტია, მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის

ინსტიტუტის მიერ შემუშავებული რეკუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური მართვის სისტემით.

აღნიშნულ სისტემაში დამოუკიდებელი აგზნების წრედის მართვა ხდება განივიმპულსურ რეჟიმში მომუშავე ტრანზისტორული მწყვეტარას საშუალებით. მართვის გრაფიკილის პარალელურად ჩართულია დიოდი, რომელიც დამატებით ზრდის ამგზნები გენერატორის ინერციულობას. ასეთ სისტემებში საკონტრაქტო ქსელის ძაბვის ნახტომისებრი შემცირებისას ($-\Delta U$) ადგილი ჰქონდა დაცვის ხშირ მოქმედებას. ასეთი ავტომატური რეგულირების სისტემებით აღჭურვილმა ელექტრომავლების ექსპლუატაციამ აჩვენა გაცილებით დაბალი საიმედოობა, კიდრე ხელით მართვის სისტემას ჰქონდა.

12.5.2. მბრუნავ გარდამჯმნელიანი მუდმივი დენის ელექტრომავლების რეკუპერაციული მახასიათებელების ანალიზური გამოსახულებები

დღემდე არ არსებობს ანალიზური გამოსახულებები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება რეკუპერაციული მახასიათებლების გაანგარიშება. აქამდე სარგებლობები გრაფო-ანალიზური მეთოდით, ან ექსპერიმენტული მონაცემებით.

ანალიზური გამოსახულებები, მახასიათებლების აგების გარდა, საჭიროა რეკუპერაციული დამუხრუჭების პროცესზე წრედის სხვადასხვა პარამეტრების ზეგავლენის დასადგენად.

დამაგნიტების მრუდისთვის შემოთავაზებული ანალიზური გამოსახულებებით შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით ავაგოთ რეკუპერაციული დამუხრუჭების მახასიათებლები. წინამდებარე წიგნში შემოთავაზებული დამაგნიტების მრუდის აპროქსიმაციის მეთოდი საკმარისი სიზუსტით აკეთებს TЛ-2К და TЛ3Б წევის ძრავების ელექტრომექანიკური მახასიათებლების აპროქსიმაციას.

რეკუპერაციული რეჟიმისთვის ანალიზური გამოსახულებების მისაღებად გვწერთ

$$E = C\Phi V = U + IR, \quad (12.18)$$

სადაც, $C = 5,3\mu C/D_{\omega}$ არის ძრავას და გადაცემის მუდმივა.

$\mu = n/n_{\omega} - \text{რედუქტორის } \text{გადაცემის } \text{რიცხვი.}$

n – ძრავას ბრუნთა რიცხვი.

n_{ω} – წყვილთვალის ბრუნთა რიცხვი.

D_{ω} – წყვილთვალის დიამეტრი.

$C_e = PN/60a$ – ძრავას მუდმივა.

(10.18) გამოსახულების ორივე მხარე გავყოთ ნომინალურ ემბ-ზე $E_6 C \Phi_6 V_6$ -ზე და შემოვიდოთ შემდეგი აღნიშვნები:

$$\varphi = \frac{\Phi}{\Phi_b}; \quad v = \frac{V}{V_b}; \quad \gamma = \frac{IR}{C\Phi_b V_b}; \quad i = \frac{I}{I_b}; \quad u = \frac{U}{C\Phi_b V_b},$$

რის შემდეგ (10.18) გამოსახულება ფარდობით ერთეულებში შეგვიძლია ჩავწეროთ ასე:

$$v\varphi = u + \gamma i. \quad (12.19)$$

აგზნების წრედისათვის შეგვიძლია დავწეროთ

$$\frac{U_{\text{აღ}}}{R_{\text{აღ}}} = I_{\text{აღ}} = \frac{K_{\text{აღ}}(I_{\text{მართ}} W_{\text{დამ}} - IW_{\text{კ}})}{R_{\text{აღ}}}, \quad (12.20)$$

სადაც, $K_{\text{აღ}}$ არის ამგზნები მანქანის გაძლიერების კოეფიციენტი.

$R_{\text{აღ}}$ – წევის ძრავას აგზნების გრაგნილის აქტიური წინააღმდეგობა.

$I_{\text{მართ}} W_{\text{დამ}} - A_{\text{მართ}} W_{\text{დამ}}$ – ამგზნების დამოუკიდებელი აგზნების გრაგნილის ამპერსვეულები.

$IW_{\text{კ}}$ – დენური გრაგნილის ამპერსვეულები.

ანალოგიურად შეგვიძლია ჩავწეროთ (12.20) განტოლება ფარდობით ერთეულებში.

მივიღებთ:

$$i_{\text{აღ}} = \frac{I_{\text{აღ}}}{I_{\text{ამ}}} = \frac{I_{\text{მართ}} W_{\text{დამ}} - IW_{\text{კ}}}{I_{\text{მართ}} W_{\text{დამ}} - I_n W_{\text{კ}}} = \frac{i_{\text{მართ}} - \lambda_0 i}{1 + \lambda_0}, \quad (12.21)$$

სადაც, $i_{\text{აღ}}$ არის აგზნების დენის ფარდობითი მნიშვნელობა.

$i_{\text{მართ}}$ – ამგზნების მართვის დენის ფარდობითი მნიშვნელობა.

$$\lambda_0 = \frac{I_b}{I_{\text{მართ}}} \cdot \frac{W_{\text{კ}}}{W_{\text{დამ}}} - \text{კომპაუნდირების კოეფიციენტი}.$$

თუ გავითვალისწინებთ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას ფარდობით ნაკადს φ და ფარდობით აგზნების დენს $i_{\text{აღ}}$. შორის, შეგვიძლია დავწეროთ

$$\varphi = \frac{i_{\text{აღ}}}{ai_{\text{აღ}} + b}.$$


(12.20) და (12.21) გამოსახულებებიდან საბოლოოდ მივიღებთ

$$v = (u + \gamma i) \left[a + \frac{b(1 - \lambda_0)}{i_{\text{მართ}} - \lambda_0 i} \right]. \quad (12.22)$$

(12.22) ფორმულის საფუძველზე გაითვლება და აიგება რეკუპერაციული დამუხუჭების მახასიათებლები აგზნების დენის სხვადასხვა ფარდობითი მნიშვნელობებისათვის $i_{\text{აღ}} = 0.3, 0.4, 0.5, 0.6, 0.7$ და კომპაუნდირების კოეფიციენტისათვის.

$$\lambda_0 = 0,2898.$$

რეკუპერაციული დამუხუჭების მახასიათებლების შესაბამისი მრუდები მოცემულია 10.20 ნახაზზე.



ნახ. 12.20. მბრუნავი გარდამქმნებლებით აღჭურვილი ВЛ-10, ВЛ-11 ელექტრომაც-ლების რეკუპერაციული მახასიათებლების საანგარიშო მრუდეები.

როგორც მახასიათებლებიდან ჩანს, სიჩქარის შემცირებისას მათი სიხისტე მნიშვნელოვნად იცვლება.


12.20 ნახაზზე მოცემული მახასიათებლები და (12.21) ფორმულა ასახავენ რეალურ ექსპერიმენტულ მრუდეებს.

აუცილებლობის შემთხვევაში, (12.21) ფორმულით შეგვიძლია გავთვალოთ დამოკიდებულება აგზების დენის ფარდობით მნიშვნელობასა და დუბის დენის ფარდობით მნიშვნელობას შორის.

12.5.3. ВЛ-15 ელექტრომაცლის რეკუპერაციული დამუხრუჭების სქემა

12.21 ნახაზზე მოცემულია ВЛ-15 ელექტრომაცლის ერთი სექციის რეკუპერაციული დამუხრუჭების სქემა, წევის ძრავების პარალელური “P” შეერთებისათვის. განსხვავებით ზემოგანხილულ სქემიდან (ნახ. 12.19), აღნიშნული სქემა არ შეიცავს მასტაბილიზირებელ რეზისტორებს, ხოლო რეკუპერაციის რელეს ნაცვლად გამოყენებუ-

ლია VD1, VD2 და VD3 დიოდები. როგორც ზემოთ ვნახეთ, BL10 და BL11 ელექტრომაკლებზე რეკუპერაციის რეჟიმში შესვლა ხდება რეკუპერაციის რელეს KR-ის საშუალებით, რომლის დროს ადგილი აქვს დენების ნახტომისებრ ცვლილებას დიდ ფარგლებში $I_{\text{დე}} = (50-100)/0.2 = 250-500$ ამპ, რასაც მოყვება წევის (სამუხრუჭო) ძალის დიდი ბიძგები. VD1, VD2 და VD3 დიოდების გამოყენების შემთხვევაში კი წევის რეჟიმიდან რეკუპერაციის რეჟიმში გადასვლა ხდება მდოვრედ, ყოველგვარი ბიძგების გარეშე, ძრავების ჯამურ ემბ-სა და საკონტაქტო ქსელის ძაბვას შორის 2-3 ვოლტით განსხვავების პირობებში, ნაცვლად 50-100 ვოლტისა. დიოდების ჩართვა, ამავე დროს, უზრუნველყოფს პარალელური შტოების სტაბილურ მუშაობას, რაც გამორიცხავს პარალელურ შტოების მუშაობაზე ურთიერთ ზეგავლენას.



ნახ. 12.21. BL-15 ელექტრომაკლის ერთი სექციის რეკუპერაციული დამუხრუჭების სქემა წევის ძრავების პარალელური შეერთებისას.

სქემიდან ასევე ცხადად ჩანს, რომ აგზების გრაგნილების ყოველი წევილი იკვებება თავისი სწრაფმომქმედი ამგზებით (გამმართველით), რაც მათი ცვლადი პოლარობის, უინერციო ძაბვით კვების საშუალებას იძლევა.


UZ4, UZ5 და UZ6 ამგზებებში პუნქტირით ნაჩვენებია VD₀ ნულოვანი დიოდები, რომლებიც, ერთის მხრივ, აუმჯობესებენ გარდამქმნელების ენერგეტიკულ მახასია-

თებლებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდიან მათ ინერციულობას. ამ მიზეზით ისინი აღარ გამოიყენებიან.

ძალური წრედის დაცვა მოკლედ შერთვის დენებისაგან ხდება KF1, KF2 და KF3 სწრაფმომქმედი კონტაქტორებით ისევე, როგორც მბრუნავ გარდამქმნელებიან სქემებში. VS1-VS2, VS3-VS4 და VS5-VS6 ტირისტორების დაცვა წევის ძრავების გენერატორული რეჟიმის გამრღვევი ძაბვისაგან ხდება სპეციალური VS31, VS32 და VS33 დაცვის ტირისტორებით, რომელთა მართვის წრედებში ჩართულია 300ვ ზღურბლური ძაბვის მქონე სტაბილიტრონები. ასე, რომ ნორმალურ რეჟიმში ეს ტირისტორები ჩაკეტილია და იღებიან როდესაც ძაბვა გადააჭარბებს 300 ვოლტს.

12.22 ა) ნახაზზე მოცემულია სტატიკური გარდამქმნელის სქემა, რომელიც 3000ვ ძაბვის მუდმივ დენს გარდაქმნის 300 ჰერცი სიხშირის, მართკუთხა ფორმის ცვლად დენად და კვებავს UZ4, UZ5 და UZ6 ამგზნებებს. თითოეული ამგზნები, ურთიერთ ზეგავლენის გამოსარიცხად იკვებება ცალკე T1, T2 და T3 ტრანსფორმატორით, რომელთა პირველადი გრაგნილები ჩართულია პარალელურად.

12.22 ბ, გ ნახაზზე ნაჩვენებია ამგზნებების ძაბვის ფორმები, გამმართველ (დადებითი ძაბვა) და ინგერტორულ (უარყოფითი ძაბვა) რეჟიმებში, რომლებიც წარმოადგენებ UZ4, UZ5 და UZ6 ამგზნებების პოლარობის ცვლილების იმიტაციას.




ნახ. 12.22. ა) ამგზნებების მკვებავი სტატიკური გარდამქმნელის სქემა; ამგზნებების ძაბვის ფორმები – ბ) ინგერტორულ და გ) გამმართველ რეჟიმებში.

გათვალისწინებულია რა მბრუნავ გარდამქმნელებიან სქემებში ფორსირების შეუძლებლობა (ძაბვა 37 ვოლტი), განსახილველ სქემაში ამგზნების მაქსიმალური ძაბვა 90 ვოლტია. ძაბვის მიხედვით ასეთმა მარაგმა და ამგზნებების არაინერციულობამ, რეალური VL-15 ელექტრომაგლის გამოცდისას აჩვენა ძაბვების ნახტომისებრი ვარდნა ქვემოთ 30%-ით (1200ვ); ამავე დროს ღუზის დენების ამპლიტუდა არ აღემატებოდა (2-2,5) $I_{\text{ნო}}$. მნიშვნელობას, ხოლო ხანგრძლივობა 100-150 მილიწამს.

12.23 ნახაზზე ნაჩვენებია რეკუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური მართვის სისტემით (რდამს) აღჭურვილი ელექტრომაგლის რეკუპერაციული დამუხრუჭების

მახასიათებლები. როგორც ნახაზიდან ჩანს, მახასიათებლებს აქვთ ერთნაირი დახრა და ის შეიძლება ვარეგულიროთ დიდ ფარგლებში, რაც მიიღწევა დამსახავი ძაბვის და უგუკომპაუნდირების კოეფიციენტის ერთდროული ცვლილებით.

ამ გარდამქმნელის შექმნისას (1985წ) არსებული საგარდამქმნელო და კონდენსატორული ტექნიკა არ იძლეოდა დიდ შესაძლებლობებს. კერძოდ, ინვერტორულ



ნახ. 12.23. რდამს-ით აღჭურვილი ალექტრომავლის რეკუპერაციული დამუხრუჭების მახასიათებლები.

ნაწილში VS1-VS4 ტირისტორების ნაცვლად გამოყენებული იყო ერთმანეთის მიმდევრობით ჩართული 8 ტირისტორი და დიოდი; ფილტრის კონდენსატორებად გამოყენებული იყო ΦСТ-150 ტიპის კონდენსატორები; საკომუტაციო კონდენსატორებად PCT-240 ტიპის კონდენსატორები. გარდამქმნელის საერთო წონა შეადგენდა 1 000 კგ-ზე მეტს.

ნახევარგამტარული და კონდენსატორული ტექნიკის დღევანდელი დონე (T553-800-40 სერიის ტირისტორები, ДЛ353-800-40 სერიის დიოდები; გერმანული B25650-350-2 600-2x16 ტიპის საფილტრო კონდენსატორები, B25855y2675K-3x6.7 MkF-3 400 v-10 კგ ტიპის საკომუტაციო კონდენსატორები) საშუალებას იძლევა, იგივე სიმძლავრის (100 კვტ) გარდამქმნელის წონა არ აღემატებოდეს 500 კგ-ს.

დღეისათვის ევროპაში მზადდება იგივე ტიპის გარდამქმნელები, IGBT ტიპის ტრანზისტორების ბაზაზე. დაბალი ძაბვის და შესაბამისად იაფი ტრანზისტორების გამოყენების მიზნით, მკვებავი ძაბვა ფილტრის კონდენსატორების გამოყენებით იყოფა შუაზე.


ამ ტიპის გარდამქმნელების უდიდესი ნაკლია ის, რომ მათი ამგზნებები (გამმართველები) წარმოადგენენ პარალელურად ჩართულ, არამართვად ვენტილებზე აგებულ, ერთფაზა გამმართველებს, რომელთა სწრაფმოქმედება მბრუნავ გარდამქმნელებზე გაცილებით უარესია. ნაკლია, აგრეთვე, მათი სიძვირე. დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს მათი დაბალი წონა (350 კგ).

12.5.4. ВЛ-15 ელექტრომავლის რეკუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური მართვის სისტემა (რდამს)

ВЛ-10 და ВЛ-11 ელექტრომავლების ხანგრძლივგამა ექსპლუატაციაში, აჩვენა მბრუნავი გარდამქმნელებით აღჭურვილი, ხელის მართვის მქონე რეკუპერაციული დამუხრუჭების სისტემის სირთულე და დაბალი საიმედოობა, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო რეალურ პირობებში არაკონტროლირებადი გარდამავალი პროცესებით. აღნიშნულის გამო, ВЛ-15 ელექტრომავლის რეკუპერაციული დამუხრუჭების სისტემის დამუშავების დროს, მიღებული იქნა გადაწყვეტილება რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმის სრული ავტომატიზაციის შესახებ.

12.24 ნახაზზე მოცემულია ВЛ-15 ელექტრომავლის რეკუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური მართვის სისტემის ფუნქციონალური სქემა. როგორც სქემიდან ჩანს, თითოეულ ამგზნებს (გამმართველს) აქვს თავისი ფაზორეგულატორი B1, B2, B3, რომელიც აწყობილია ვერტიკალური პრინციპით. აქ ხდება შედარება ხერხისპირის-მაგვარ ძაბვას და აგზნების და ღუზის დენების რეგულატორების გამოსასვლელებზე არსებული მუდმივ ძაბვას შორის. სქემიდან ჩანს, რომ გამოყენებულია ე.წ. “დაქვემდებარებული რეგულირების” პრინციპი. კერძოდ, აგზნების დენის რეგულატორის (DI_{ag}) გამოსასვლელი ძაბვა წარმოადგენს ღუზის დენის რეგულატორის (DI_{reg}) შემავალ ძაბვას. როგორც აგზნების, ასევე ღუზის სამივე შტოს დენების პროპორციული სიგნალები შედიან სპეციალურ DD1 და DD2 შემდარებელ მოწყობილობებში, რომლებშიც ხდება სამი შემავალი დენის მნიშვნელობიდან უდიდესი $I_{reg,max}$ და $I_{reg,max}$ სიგნალების გამოვლენა. შემდეგ ეს მაქსიმალური სიგნალები მიეწოდება თავთავის რეგულატორს. ამავე დროს, ამ მოწყობილობებში მაქსიმალური დენების პროპორციული სიგნალები დარდება შესაბამისი დენების ნამდვილ მნიშვნელობებს. დენებს შორის სხვაობის შესაბამისი სიგნალები, UV1, UV2, UV3 გამაძლიერებლების გავლით მიეწოდება შესაბამის B1, B2, B3 ფაზორეგულატორებს. ამგვარად ხდება აგზნების და ღუზის დენების გათანაბრება სამივე შტოში.

სქემაში რეკუპერაციული რეჟიმი მიმდინარეობს K1, K2 და K3 ხაზური კონტაქტორების ჩართვით და ინტენსივობის დამსახავ DD ბლოკზე შემავალი ძაბვის მიწოდებით. ამ დროს მუშაობას იწყებს აგზნების დენის რეგულატორი DI_{ag} , რომელიც გარკვეული ინტენსიონით, მდოვრედ ზრდის აგზნების დენს სამივე შტოში. შედეგად ხდება მდოვრე შესვლა რეკუპერაციულ რეჟიმში. როდესაც ღუზის დენი მიაღწევს დაყენების მნიშვნელობას, მუშაობას იწყებს ღუზის დენის რეგულატორი DI_{reg} , რომელიც ინარჩუნებს აღნიშნული დენის და მ.შ. მის პროპორციულ სამუხრუჭო ძალის უცვლელ მნიშვნელობას.



ნახ. 12.24. VL-15 ელექტრომავლის რეგუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური მართვის ფუნქციონალური სქემა.

როგორც 12.21 ნახაზზე მოცემული ძალური სქემიდან ჩანს, აგზების და დუზის დენების პროპორციული სიგნალები მიიღება სპეციალური BI_{B1} , BI_{B2} , BI_{B3} , BI_{L1} , BI_{L2} და BI_{L3} გადამწოდებიდან, რომლებიც იმ პერიოდისათვის წარმოადგენდნენ დენის და ძაბვის გადამწოდებად გამოყენებულ მაგნიტურ გამაძლიერებლებს.

დღეისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საზღვარგარეთული ფირმების თანამედროვე რევერსიული გადამწოდები. კერძოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ფირმა LEM.SA-ას დენის და ძაბვის გადამწოდები, რომელთა მონაცემებია:

1. დენის გადამწოდი $LT-1\ 000-S1 \pm 1\ 000\ A$;
2. ძაბვის გადამწოდი $LV\ 100 /SPS1$.

გარდა იმისა, რომ ავტომატური მართვის სისტემა რეგუპერაციული დენის სხვადასხვა დასახულ მნიშვნელობებს ინარჩუნებს უცვლელად, ამასთანავე უზრუნველყოფს მაქსიმალური ძაბვის შეზღუდვას 4 000 ვოლტის ფარგლებში. ეს ხორციელდება 12.21 ნახაზზე ნაჩვენები ძაბვის გადამწოდის BU-ს მეშვეობით. ამ გადამწოდიდან სიგნალი მიეწოდება დუზის დენის DI_L რეგულატორს.

12.6. ერთფაზა-მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეკუპერაციული დამუხრუჭება

მუდმივი დენის სისტემაში რეკუპერაციული დამუხრუჭების მთავარ ნაკლს, ერთის მხრივ, წარმოადგენს წევის ძრავების მომჭერებზე მუდმივი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ძაბვასთან შედარების კლასიკური სქემა; ხოლო მეორეს მხრივ წევის ძრავების მაგნიტური სისტემის გაჯერება, რაც არ იძლევა საშუალებას გავზარდოთ ძრავას ელექტრომამოძრავებელი ძალა გენერატორულ რეჟიმში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ღუზის წრედის ინდუქტივობა ამ პროცესში არავითარ როლს არ თამაშობს, გარდა იმისა რომ ზღუდავს დენის მნიშვნელობას მოკლედ შერთვის შემთხვევაში, ან ძაბვის ნახტომისებრი ცვლილების დროს.

სხვა სურათია ცვლად დენზე რეკუპერაციის შემთხვევაში. აქ ხდება წევის ძრავას მომჭერებზე არსებული მუდმივი ძაბვის შედარება საკონტაქტო ქსელის სინუსოიდალური ფორმის ძაბვასთან ან ძაბვის ნახტომისებრი ცვლილების დროს.


ამ შემთხვევაში წევის ძრავების წრედში საკმარისი ინდუქტივობის არსებობის დროს, რეკუპერაცია შესაძლებელია თითქმის გაჩერებამდე, განსხვავებით მუდმივი დენისაგან, სადაც 8 წევის ძრავას მიმდევრობით შეერთებისას რეკუპერაცია შეუძლებელია 25 კმ/სთ სიჩქარის ქვემოთ.

ცნობილია, რომ დღემდე ცვლადი დენის ელექტრომაგლებზე გამოიყენება მიმდევრობით აგზნებიანი პულსირებულ დენზე მომუშავე წევის ძრავები. წევის რეჟიმში წევის ძრავები შეერთებულია პარალელურად და მიერთებულია საერთო გამმართველზე. რეკუპერაციულ რეჟიმზე გადასვლისას, აქაც ისევე, როგორც მუდმივ დენზე, ხდება გადართვები ძალურ წრედში. კერძოდ: წევის ძრავების აგზნების გრაგნილები განირთვებიან თავიანთი ღუზებიდან და ირთვებიან ცალკე დამოუკიდებელ რეგულირებად კვების წყაროზე, ინდივიდუალურად ან ერთდებიან მიმდევრობით და იკვებებიან ერთი საერთო რეგულირებად კვების წყაროდან. პირველ შემთხვევაში პარალელურად, მდგრადი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, ღუზების წრედში ირთვება ბალასტური რეზისტორები. მეორე შემთხვევაში წევის ძრავების პარალელურად მდგრადი მუშაობა მიიღწევა აგზნების დენის რეგულირებით და, ასევე, საკმარისი ხარისხის უკუაგზნების მიღებით. გამართვის რეჟიმიდან ინვერტირების რეჟიმზე გადასვლის დროს, საჭიროა რეგულირების კუთხე გაზარდოთ $\pi/2$ -ზე ზემოთ და შევცვალოთ წევის ძრავების პოლარობა.

სანამ განვიხილავთ ინვერტორული რეჟიმის ელექტრომაგნიტურ პროცესებს, საკითხის შესწავლის გაიოლების მიზნით, პარალელურად განვიხილოთ გამართვის რეჟიმი.

გამართვის რეჟიმში ენერგიის წყაროს (გენერატორს) წარმოადგენს საკონტაქტო ქსელი. ამიტომ, როდესაც $\alpha = 0$, დენის მრუდი ფაზით ემთხვევა ქსელის ძაბვის მრუდს. როდესაც X_d ძალზე დიდია და $\alpha = 0$, დენის ფორმა ახლოსაა მართკუთხედოან (ნახ. 12.25 ა). ამ შემთხვევაში წევის ძრავა მუშაობს ძრავულ რეჟიმში და ქსელიდან მოიხმარს ენერგიას. ინვერტორულ რეჟიმში მუშაობის დროს წევის ძრავა არის ენერგიის წყარო (გენერატორი), ხოლო საკონტაქტო ქსელი წარმოადგენს მომხმარებელს, (ნახ. 12.25 ბ). 12.25 ა და ბ ნახაზზე ნაჩვენებია დენის იდეალიზირებული ფორმები ზღვრული რეჟიმებისათვის, როდესაც $\alpha = 0$ (გამართვის რეჟიმი) და $\alpha = 180^\circ$ (ინვერტორული რეჟიმი).

12.25 გ და დ ნახაზზე ნაჩვენებია დენის მრუდები, როდესაც $\alpha = \pi/6$ და $\beta = \pi/6$. როგორც 12.25 ა და ბ ნახაზიდან ჩანს, თუ გარდამქმნელები მუშაობენ ერთდროულად ზღვრულ რეჟიმებზე, მაშინ ქსელიდან მოხმარებული და მიწოდებული დენების ჯამი ΣI ნულის ტოლია, 12.25 გ ნახაზზე. $\alpha = \pi/6$ და $\beta = \pi/6$ კუთხეების დროს, ქსელიდან მოხმარებულ რეზულტირებულ დენს ექნება 12.25, გ ნახაზზე ნაჩვენები ფორმა.




ნახ. 12.25. ძაბვების და დენების იდიალიზირებული მრუდები ა), გ), გამმართველ და ბ), დ) ინვერტორულ რეჟიმებში.

ტირისტორების გამოყენება საშუალებას გვაძლევს ვარეგულიროთ ძაბვა გამართვის რეჟიმში, ხოლო რეგულირაციულ რეჟიმში მოვახდინოთ ინვერტირება და გადავცეთ ენერგია ცვლადი დენის პირველად წრედში.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ ფიზიკურ პროცესებში, განვიხილოთ ორივე (გამმართველ და ინვერტორულ) რეჟიმში მართვა იმპულსების მიწოდების α კუთხის ცვლილებით.

ნახ. 12.26-ზე მოცემულია დენების და ძაბვების რეალური დიაგრამები ორივე რეჟიმისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ დატვირთვის დენის ფორმა ნაჩვენებია დატვირთვის წრედის სასრულო ინდუქტივობის გათვალისწინებით (დიაგრამა ა და გ), ხოლო ქსელის დენი (დიაგრამები ბ და დ) უსასრულო ინდუქტივობისათვის.



ნახ. 12.26. ა), ბ) გამმართველი და გ), დ) ინვერტორული რეჟიმების დენების და ძაბვების დიაგრამები.

12.26 ა ნახაზზე მსხვილი კონტურით ნაჩვენებია α კუთხის შესაბამისი გამართული ძაბვის ფორმა. როგორც ა) და ბ) დიაგრამებიდან ჩანს, $\alpha < \theta < \pi$, ინტერვალისთვის მკვებავი ძაბვა $U_m \sin \omega t$ და ქსელის დენი მიმართულებით ერთმანეთს

ემთხვევა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქსელიდან მოიხმარება ენერგია (ძრავული რეჟიმი). $\pi < \theta < \pi + \alpha$ ინტერვალისათვის ძაბვა იცვლის ნიშანს, ხდება უარყოფითი, ხოლო დენი ინარჩუნებს დადებით მიმართულებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დენი მუდმივი დენის წრედიდან გადადის ცვლადი დენის წრედში (ნახ. 12.26 დ).

$\alpha < \theta < \alpha + \theta_1$ ინტერვალში იზრდება დატვირთვის დენი მინიმალური მნიშვნელობიდან I_{\min} , მაქსიმალურ მნიშვნელობამდე I_{\max} . ამ ინტერვალში მკვებავი ძაბვა მეტია უპუ ემბ-ზე. თუ წრედში ინდუქტივობა არ იქნებოდა საკმარისი სიდიდის, მაშინ დენს ექნებოდა ნახევარსინუსობის ფორმა (ნახ. 12.26 ბ დიაგრამაზე ნაჩვენებია წყვეტილით). ინდუქტივობის არსებობის გამო დენს აქვს მართკუთხედის ფორმა, ამ ინტერვალისათვის შეგვიძლია დავწეროთ:

$$U_m \sin \omega t = E_d + X_d \frac{dI_d}{d\theta}. \quad (12.23)$$

$\alpha + \theta_1 < \theta < \theta_1 + \theta_2 + \alpha$ ინტერვალში დატვირთვის დენი მცირდება მაქსიმალურ I_{\max} მნიშვნელობიდან მინიმალურ I_{\min} მნიშვნელობამდე, რადგან ამ ინტერვალში უპუ ემბ მეტია მკვებავ ძაბვაზე ცხადია, რომ დაშტრიხული ფართობი S_1 და S_2 იქნებიან ტოლი. ამ შემთხვევში შეგვიძლია დავწეროთ

$$\int_{-\frac{\theta_1}{2}}^{+\frac{\theta_1}{2}} [U_m \cos \theta - E_d] d\theta = \frac{1}{2}(\pi - \theta_1)(E_d + U_m \sin \alpha), \quad (12.24)$$

სადაც, $E_d = \frac{2U_m \cos \alpha}{\pi}$ გამართული ძაბვაა კომუტაციის γ კუთხის გაუთვალისწინებლად.

α კუთხის გაზრდით $\frac{\pi}{2}$ -მდე, გამართული ძაბვა გაუტოლდება 0-ს. α კუთხის შემდგომი ზრდისას, თუ შევცვლით უპუ ემბ-ს ნიშანს, დაიწყება ინვერტირება. ამ რეჟიმისათვის უარყოფითი ძაბვის, დატვირთვის და ქსელის დენების დიაგრამები მოცემულია 12.26 გ ნახაზზე.

როგორც გ დიაგრამიდან ჩანს, θ_1 -ინტერვალში მკვებავი ძაბვა მეტია უპუ ემბ-ზე. ამ მიზეზით დატვირთვის დენი მცირდება მაქსიმალური I_{\max} მნიშვნელობიდან მინიმალურ I_{\min} მნიშვნელობამდე. აქაც ცხადია, რომ S_1 და S_2 დაშტრიხული ფართობი იქნება ერთნაირი. თუ (12.24) ფორმულაში α -ს ნაცვლად ჩავსვამთ $\pi - \beta$ -ას, მაშინ მივიღებთ გამართველი რეჟიმისათვის:

$$U_d = \frac{2}{\pi} U_m \cos \alpha - \frac{2XI_0}{U_m} = -\frac{2}{\pi} \cos \beta - \frac{2XI_0}{U_m} = -\left[\frac{2}{\pi} U_m \cos \beta + \frac{2XI_0}{U_m} \right]. \quad (12.25)$$

(12.25) განტოლებით გათვლილია და აგებულია გამმართველი და ინვერტორული რეჟიმების გარე მახასიათებლები (ნახ. 12.27 ა). აქვე ნაჩვენებია გარდამქმნელის

მუშაობის რეჟიმის დამოკიდებულება მართვის α კუთხის სიდიდეზე (ნახ. 12.27 ბ). ინგერტირების რეჟიმისთვის შეგვიძლია დავწეროთ:

$$U_d = U_m \sin \theta + X_d \frac{dI_d}{d\theta}. \quad (12.26)$$

თუ (12.26) გამოსახულებაში არ იქნებოდა $X_d \frac{dI_d}{d\theta}$ წევრი, მაშინ დენი გაივლიდა მხოლოდ იმ ინტერვალებში, რომლებშიც უკუ ემდ იქნებოდა მეტი ქსელის ძაბვის მყისურ მნიშვნელობაზე. $X_d \frac{dI_d}{d\theta}$ -ის წყალობით დენი გადის იმ ინტერვალებშიც, რომლებშიც უკუ ემდ ნაკლებია ძაბვის მყისურ მნიშვნელობაზე. განსხვავებით გამმართველ რეჟიმიდან, ინგერტორულ რეჟიმს გააჩნია გარკვეული შეზღუდვები, რომელსაც განვიხილავთ ქვემოთ.


12.26 ა და გ ნახაზზე დაშტრიხული ფართებით, ორივე რეჟიმისათვის მოცემულია კომუტაციის γ ინტერვალები, რომლის განმავლობაში გამართული და ინგერტირებული ძაბვები 0-ის ტოლია. ინგერტორულ რეჟიმში, თუ δ ინტერვალი (დრო), რომელიც განკუთვნილია ტირისტორის ვენტილური თვისებების აღსადგენად (მოცემულია ტირისტორის პასპორტში), არ იქნება საკმარისი, მაშინ ინგერტორი „ამოყირავდება“ (ასეთი ტექნიკური ტერმინია მიღებული) და მოხდება მოკლე შერთვა. ამ მიზეზით მართვის კუთხე $\beta = \gamma + \delta$ მკაცრად კონტროლდება.

რაც შეეხება სიმძლავრის აქტიურ P და რეაქტიულ Q მდგენელებს; ამ შემთხვევაშიც ისინი იანგარიშება (12.2), (12.4) ფორმულებით. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქსელის დენის პირველი ჰარმონიკი წინ წასწრებს მკვებავ ძაბვას, როგორც ნაჩვენებია 12.27 გ ნახაზზე.

სიმძლავრის კოეფიციენტიც გამოითვლება (12.9) ფორმულით (K_{M2} -თვის) და გამოისახება 2 წრფით (ნახ. 12.2). რაც შეეხება რეაქტიულ სიმძლავრეს, ისიც გამოითვლება (12.4) ფორმულით და გამოისახება 4 მრუდით (ნახ. 12.2). განსხვავება იქნება იმაში, რომ ამ შემთხვევაში ის მიეწოდება ქსელში.

12.27 გ ნახაზზე მოცემულია მკვებავი ძაბვის $U_m \sin \omega t$ -ის მრუდი, დენის მრუდი (მსხვილი მართკუთხა ფორმის) და, ასევე, ამ დენის პირველი ჰარმონიკა. როგორც ნახაზდან ჩანს, პირველი ჰარმონიკა წინ უსწრებს ძაბვას β კუთხით. 12.27 დ ნახაზზე მარჯვნივ ნაჩვენებია ვექტორული დიაგრამა ორივე რეჟიმისათვის. იმისათვის, რომ ინგერტირების რეჟიმში შევინარჩუნოთ სიმძლავრის კოეფიციენტის დიდი მნიშვნელობა, აქაც გამოიყენება კომბინირებული რეგულირება.

α და β -ს ერთნაირი მნიშვნელობის დროს, $\delta = 5,4 - 7,2^\circ$ (300-400 მკმ) კუთხის არსებობის გამო, სიმძლავრის კოეფიციენტი ინვერტორულ რეჟიმში ყოველთვის იქნება ნაკლები გამართველ რეჟიმზე.



ნახ. 12.27. გარდამქმნელის გარე მახასიათებლები: а, б გამართვის და ინვერტინგინგის რეჟიმებში და გ, დ დენების და ძაბვების დიაგრამები.


12.7. რეკუპერაციულ-რეოსტატული დამუხსრულება

თუ ელექტრული დამუხსრულება გვხურს გამოვიყენოთ მატარებლის გასაჩერებლად, მაშინ სასურველია მაღალ სიჩქარეებზე რეკუპერაციული დამუხსრულება შევუთავსოთ დაბალ სიჩქარეებზე რეოსტატულ დამუხსრულებას. სხვაგვარად, განვახორციელოთ რეკუპერაციულ-რეოსტატული დამუხსრულება. რეოსტატული დამუხსრულება, ასევე, შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სარეზერვო დამუხსრულება, რეკუპერაციის ჩაშლის შემთხვევაში (როდესაც ქსელში გაგზავნილი ენერგიის მოხმარება არ ხდება, ან

სიჩქარეები შემცირდება). მაგალითისათვის განვიხილოთ 12.28 ნახაზზე მოცემული რეკუპერაციულ-რეოსტატული დამუხრუჭების პრინციპული სქემა.

მოცემული სქემით დამუხრუჭება ხდება შემდეგნაირად:

დასაწყისში K_2 და K_3 კონტაქტორების ჩართვით იკრიფება რეოსტატული დამუხრუჭების სქემა, დამოუკიდებელი აგზებით: მიმდევრულად ჩართული 4 წევის ძრავას დუზების +, სამუხრუჭო რეოსტატი R_{R} , K_2 კონტაქტორი, R რეზისტორი, 1-4 წევის



ნახ. 12.28. რეკუპერაციულ-რეოსტატული დამუხრუჭების პრინციპული სქემა.

მოხმარების შეწყვეტის დროს, რეკუპერაციის რეჟიმი წყდება და სპეციალური მინიმალური ძაბვის რელე, აკრეფს რეოსტატული დამუხრუჭების სქემას.

ამგზნები მანქანის განვირთვისთვის, დაბალი სიჩქარეების დროს ჩაირთვება K_4 კონტაქტორი, სქემა გადავა თვითაგზნების რეჟიმში (წევის ძრავების +, სამუხრუჭო რეოსტატი R_{R} , კონტაქტორი K_2 , კონტაქტორი K_4 , წევის ძრავების 1-4 აგზნების გრაგნილები, ამგზნების მიმდევრობითი აგზნების გრაგნილი მა, 1-4 წევის ძრავას დუზა, + მომჰერი) ამის შემდეგ ამგზნები მანქანა K_3 კონტაქტორით წრედიდან ამოირთვება.

ძრავების აგზნების გრაგნილები, K_3 კონტაქტორი, ამგზნები გენერატორის დუზა G , ამგზნების მიმდევრობითი აგზნების გრაგნილი მა, 1-4 წევის ძრავას დუზა, + მომჰერი. ამგზნები მანქანის ძაბვის გაზრდით (R_{R} რეოსტატით) იზრდება 1-4 წევის ძრავების ემდ. როდესაც მათი ჯამი გაუტოლდება საკონტაქტო ქსელის ძაბვას, სპეციალური ძაბვათა ბალანსის რელე ჩართავს K_1 კონტაქტორს, შემდეგ გამოირთვება K_2 კონტაქტორი და დაიწყება რეკუპერაცია.

სიჩქარის შემცირებისას, როდესაც წევის ძრავების ჯამური ემდ გახდება ქსელის ძაბვაზე ნაკლები ან ენერგიის

12.8. ელექტრული დამუხრუჭება მდოვრე იმპულსური რეგულირებით

იმპულსური მართვის სისტემა საშუალებას იძლევა სიჩქარის მდოვრე რეგულირება მოვახდინოთ არა მარტო წევის რეჟიმში, არამედ ელექტრული დამუხრუჭების რეჟიმშიც. ელექტრული დამუხრუჭება ამ შემთხვევაში შეგვიძლია განვახორციელოთ შედარებით მარტივად და სიჩქარეთა გაცილებით დიდ დიაპაზონში, ვიდრე კონტაქტორულ-რეოსტატული მართვის დროს. განვიხილოთ დაწვრილებით რეკუპერაციული და რეოსტატული დამუხრუჭების მუშაობის პრინციპები, მდოვრე იმპულსური რეგულირების შემთხვევაში.


12.8.1. რეკუპერაციული დამუხრუჭება

კონტაქტორულ რეოსტატული მართვის მქონე ემშ-ს შემთხვევაში, რეკუპერაციული დამუხრუჭების განხორციელებისთვის დაცული უნდა იყოს ორი აუცილებელი პირობა:

1. წევის ძრავები გადაყვანილი უნდა იყოს დამოუკიდებელ აგზებაზე.
2. გენერატორულ რეჟიმში მომუშავე წევის ძრავების ჯამური ემბ-ა უნდა გაუტოლდეს, ან მეტი გახდეს ქსელის ძაბვაზე.


იმპულსური რეგულირება კი საშუალებას იძლევა შევინარჩუნოთ წევის ძრავა მიმდევრობით აგზებით (წევის რეჟიმის შესაბამისად) და დამუხრუჭება განვახორციელოთ ისეთ სიჩქარეებზე, როდესაც ემბ-ის ჯამური მნიშვნელობა ნაკლებია ქსელის ძაბვაზე.

განვიხილოთ იმპულსური გარდამქმნელის მუშაობის პრინციპი რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში, 12.29 ნახაზზე მოცემული გამარტივებული სქემის მაგალითზე. ამ სქემაში გამოყენებულია ყველა ის ელემენტი, რომელიც გვქონდა იმპულსური რეგულირების წევის რეჟიმის სქემაში (ნახ. 8.3) იმ განსხვავებით, რომ შეცვლილია მათი ჩართვის სურათი. კერძოდ, L_3C_3 საფილტრო მოწყობილობას აკისრია იგივე ფუნქცია, რაც მას პქონდა წევის რეჟიმში. V_0 – დიოდი ეწინააღმდეგება ქსელიდან დენის გავლას გენერატორულ რეჟიმში მომუშავე წევის ძრავაში დროის იმ შუალედში, როდესაც ძაბვა ძრავებზე ნაკლებია ქსელის ძაბვაზე. L_0 – რეაქტორი ახდენს ძრავას წრედში დენის პულსაციის დანელებას და ანხორციელებს ელექტრომაგნიტური ენერგიის დაგროვებას იმ შუალედში, როდესაც V_0 ჩაკეტილია (სხვაგვარად, როცა ქსელის ძაბვა აღემატება ძრავების მომჭერებზე ძაბვას).



ნახ. 12.29. რეკუპერაციული დამუხრუჭების პრინციპული სქემა, იმპულსური რეგულირების დროს.

ნახ. 12.30-ზე მოცემულია დენების და ძაბვების ცვლილების დიაგრამები



ნახ. 12.30. დენების და ძაბვების ცვლილების დიაგრამები რეკუპერაციული დამუხრუჭების დროს.

რეკუპერაციული დამუხრუჭების დროს.

Т პერიოდის ნაწილ t_b დროის განმავლობაში K -მწყვეტარა ჩართულია, ხოლო $t_d = T - t_b$ დროის განმავლობაში, K -მწყვეტარა გამორთულია. როდესაც K -მწყვეტარა ჩაირთვება, შეიკვრება ელექტრული წრედი: ძრავას დუნების +, L -რეაქტორი, K -მწყვეტარა, ძრავას აგზების გრაფიკილი აგ, ძრავას დუნების წრედის მცირე წინააღმდეგობის გამო, გენერატორული დენი i იზრდება i_b საწყისი მნიშვნელობიდან i_d ბოლო მნიშვნელობამდე, რის გამოც იზრდება კონტურის ინდუქტივობებში (L -რეაქტორი, წევის ძრავას გრაფიკილები) ელექტრომაგნიტური ენერგიის მარაგი. ამ ინტერვალის განმავლობაში რეკუპერა-

ციის დენი ნულის ტოლია, $i_1 = 0$.

შემდეგ, როდესაც K -მწყვეტარა გამოირთვება, კონტურში გამავალი ძრავას დენი დაიწყებს შემცირებას i_2 -დან, i_2 -მდე ამის გამო წრედის ინდუქტივობებში (L რეაქტორი, წევის ძრავას გრაგნილები) დაინდუქტირებული თვითინდუქციის ემდი იქრიბება ძრავას ემბ-თან. მათი ჯამი მეტი აღმოჩნდება საკონტაქტო ქსელის ძაბვაზე და გაჩნდება რეკუპერაციის დენი i_1 .

წევის ძრავას მომჭერებზე ძაბვის საშუალო მნიშვნელობა, პერიოდის განმავლობაში, ბალანსირდება U_{f} ძაბვით. დიაგრამების შესაბამისად ძაბვის საშუალო მნიშვნელობისთვის შეგვიძლია დაგწეროთ

$$U = U_1 \frac{1-t_{\text{f}}}{T}. \quad (12.27)$$

თუ გავითვალისწინებთ სიმძლავრეთა დაახლოებით ბალანსს

$$UI = U_1 I_1.$$

აქედან შეგვიძლია განვსაზღვროთ ძრავას საშუალო დენი

$$I = I_1 \frac{T}{T-t_{\text{f}}}, \quad (12.28)$$

სადაც, I_1 არის ქსელში რეკუპერაციული დენის საშუალო მნიშვნელობა.

როგორც (12.27) და (12.28.) გამოსახულებებიდან ჩანს U ძაბვის, I დენის და შესაბამისად სამუხრუჭო ძალის და, რა თქმა უნდა, სიჩქარის რეგულირება იმპულსური მართვით რეკუპერაციული დამუხრუჭებისას, შეგვიძლია $\frac{t_{\text{f}}}{T}$ სიდიდის

ცვლილებით. სხვაგარად, იმპულსური გარდამქმნელის $f = \frac{1}{T}$ სიხშირის ცვლილებით (სიხშირულ-იმპულსური გარდამქმნელის გამოყენებით) ან, როდესაც $f = \text{const}$, ანუ


$T = \frac{1}{f} = \text{const}$, $\frac{t_{\text{f}}}{T} = \gamma$ იმპულსების შევსების კოეფიციენტის რეგულირებით (განივი იმპულსური გარდამქმნელის გამოყენებით).

12.8.2. რეოსტატული დამუხრუჭება

იმპულსური მართვით რეკუპერაციული დამუხრუჭების მსგავსად, შეგვიძლია განვახორციელოთ რეოსტატული დამუხრუჭება სიჩქარის ფართო დიაპაზონში, სამუხრუჭო რეოსტატის წინაღობის რეგულირების გარეშე. ეს შესაძლებელია განხორციელდეს იგივე სქემით, რაც განვიხილეთ რეკუპერაციული დამუხრუჭების დროს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იმპულსური გარდამქმნელი უერთდება

არა საკონტაქტო ქსელს, არამედ ირთვება სამუხრუჭო R რეოსტატზე, 12.29 ნახაზზე წყვეტილი კონტური. შესაბამისად ის მუშაობს არა საკონტაქტო ქსელის ძაბვასთან პარალელურ რეჟიმში, როგორც რეგუპერაციული დამუხრუჭებისას, არამედ სამუხრუჭო რეოსტატზე, რომელზეც ძაბვა რეოსტატული დამუხრუჭების დენის პროპორციულია. ასეთი სქემით მუშაობა შესაძლებელია ნებისმიერი აგზნების მქონე (მათ შორის მიმდევრობით აგზნებიანი) ძრავათი. რა თქმა უნდა წევის ძრავების რამდენიმე პარალელური ჯგუფის შემთხვევაში, ელექტრული მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, უნდა გამოვიყენოთ კონტაქტორულ-რეოსტატული მართვისას გამოყენებული ანალოგიური სქემები.

რეოსტატული დამუხრუჭების განსახორციელებლად საჭიროა გარდამქმნელი K_1 კონტაქტორის მეშვეობით, გამოვრთოთ ქსელიდან და K_2 კონტაქტორის მეშვეობით მიუერთოთ R სამუხრუჭო რეოსტატს, სქემის a და b წერტილებს შორის (12.29 ნახაზზე წყვეტილი კონტური). სქემას შეესაბამება იგივე დიაგრამები (ნახ. 12.30), რომელიც განვიხილეთ რეგუპერაციული დამუხრუჭებისას, იმ განსხვავებით, რომ ქსელის U_1 ძაბვის ნაცვლად, უნდა გავითვალისწინოთ ძაბვის ვარდნა სამუხრუჭო რეოსტატზე I_1R .



ნახ. 12.31. რეგუპერაციულ-რეოსტატული დამუხრუჭების პრინციპული სქემა.

K მწყვეტარას ჩართულ მდგომარეობას შეესაბამება დროის ინტერვალი t_b , ხოლო K მწყვეტარას გამორთულ მდგომარეობას დროის ინტერვალი $t_d = T - t_b$. K მწყვე-

ტარას ჩართულ მდგომარეობაში შეიკვრება ძალიან მცირე წინადობის მქონე წრედი: ძრავას ღუზა, L -რეაქტორი, K მწყვეტარა, ძრავას აგზნების გრაგნილი აგ, ძრავას ღუზა. დაიწყება გენერატორულ რეჟიმში მომუშავე წევის ძრავას ფორსირებული თვითაგზნება. დაიწყებს დენი ზრდას და შესაბამისად დაიწყება ელექტრომაგნიტური ენერგიის დაგროვება წრედის ინდუქტივობებში. ამ ინტერვალში, სამუხრუჭო რეოსტატში გამავალი დენი ნულის ტოლია $I_1 = 0$.

K მწყვეტარას გამორთვის შემდეგ წრედი გაწყდება და ძრავაში დენი დაიწყებს კლებას, რის გამოც ძრავას ემბ-ს და L -რეაქტორში დაინდუქტირებული, თვითინდუქციის ემბ-ის ჯამი უზრუნველყოფს დენის გავლას სამუხრუჭო რეოსტატში და შესაბამისად სამუხრუჭო ძალას. (12.22) ფორმულის თანახმად რეოსტატში გამავალი დენი I_1 , რომელიც ქმნის სამუხრუჭო ძალას იქნება

$$I_1 = I \frac{T - t_b}{T} = I(1 - \gamma), \quad (12.29)$$

სადაც I არის ძრავას საშუალო დენი.

მძლავრი L_C ფილტრი უზრუნველყოფს სამუხრუჭო რეოსტატში გამავალი დენის უცვლელ მნიშვნელობას პერიოდის განმავლობაში.

ძაბვის მნიშვნელობა სამუხრუჭო R რეოსტატზე იქნება

$$U_1 = I_1 R = IR \frac{T - t_b}{T} = IR(1 - \gamma). \quad (12.30)$$

t_b ინტერვალში ძრავას მომჰქერებზე ძაბვა იქნება ნულის ტოლი, ხოლო $t_d = T - t_b$ ინტერვალში, ძაბვა რეოსტატზე იქნება U_1 . წევის ძრავას მომჰქერებზე ძაბვის საშუალო მნიშვნელობა $U = U_1 \frac{T - t_b}{T} = IR \frac{T - t_b}{T} = IR(1 - \gamma)^2$. (12.31)

(12.31) ფორმულიდან ჩანს, რომ უცვლელი დენის და გ.ვ. უცვლელი სამუხრუჭო ძალის შესანარჩუნებლად, საჭიროა $1 - \gamma$ სიდიდე გვეალოთ \sqrt{V} - პროპორციულად.

იმპულსური მართვის შემთხვევაში სასურველია რეოსტატული დამუხრუჭება გამოვიყენოთ, როგორც სარეზერვო დამუხრუჭება, რეკუპერაციული დამუხრუჭების ჩამოშლის შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც ქსელში მომხმარებელი არაა ან რეკუპერირებული ენერგიის მცირე მოხმარებაა და ვერ მიიღება სასურველი სამუხრუჭო ეფექტი).

12.31 ნახაზზე ნაჩვენებია იმპულსური მართვის დროს რეკუპერაციულ-რეოსტატული დამუხრუჭების ერთ-ერთი შესაძლო სქემითი ვარიანტი, რომელიც მუშაობს შემდეგნაირად: როდესაც ქსელში რეკუპერირებული ენერგიის მოხმარება მცირეა,

მაშინ ფილტრის კონდენსატორზე ძაბვა იზრდება. თუ ძაბვის სიდიდე მიაღწევს წინასწარ დასახულ ზღურბლურ მნიშვნელობას, იმოქმედებს სამუხრუჭო VT ტირისტორის გადების სისტემა და იმპულსური გარდამქმნელი ჩაირთვება R სამუხრუჭო რეოსტატზე. K მწყვეტარას შემდგომი ჩართვისას VT ტირისტორს მოედება უკუ ძაბვა და ის ჩაიკეტება. თუ ერთ-ერთი ასეთი ციკლის დროს აღდგება ქსელში ნორმალური მოხმარება, მაშინ ფილტრის კონდენსატორზე ძაბვა არ გაიზრდება, სამუხრუჭო ტირისტორი VT არ გაიხსნება და აღსდგება რეკუპერაციული დამუხრუჭება. განსხვავებით 10.29 ნახაზზე მოცემული სქემიდან, სადაც სამუხრუჭო რეოსტატი ჩართულია ფილტრის გამოსასვლელზე, 12.31 ნახაზის სქემაზე სამუხრუჭო რეოსტატი ჩართულია K მწყვეტარასა და ფილტრს შორის (იხ. a და b წერტილების ახალი მდებარეობა). ამიტომ, სამუხრუჭო რეოსტატში გამავალი დენი განიცდის წყვეტას. $t_{\delta} = T - t_b$ -დროის განმავლობაში რეოსტატში გამავალი დენი I_1 , ძრავას დენის I -ს ტოლია, ხოლო t_b დროის განმავლობაში რეოსტატში გამავალი დენი ნულის ტოლია $I_1 = 0$, ხოლო ძაბვა $t_{\delta} = T - t_b$ ინტერვალში IR -ის ტოლია, ხოლო t_b ინტერვალის განმავლობაში ნულის ტოლია. შესაბამისად დენების და ძაბვების საშუალო მნიშვნელობები ტოლია:

$$I_1 = I \frac{T - t_b}{T} = I(1 - \gamma), \quad (12.32)$$

$$U_1 = U = IR \frac{1 - t_b}{T} = IR(1 - \gamma). \quad (12.33)$$

განსხვავებით 12.29 ნახაზზე მოცემული სქემისაგან, სადაც ძაბვის საშუალო მნიშვნელობა იყო $IR(1 - \gamma)^2$, განსახილველ სქემაზე ძაბვის საშუალო მნიშვნელობა ტოლია $IR(1 - \gamma)$. შესაბამისად იმპულსების შევსების კოეფიციენტი უნდა ვცვალოთ V სიჩქარის პროპორციულად.


12.9. ელექტრომაგნიტური სარელსო დამუხრუჭება

სარელსო დამუხრუჭების დროს სამუხრუჭო ძალა იქმნება სამუხრუჭო ხუნდის და რელსის ზედაპირებს შორის, მექანიკური ხახუნის მეშვეობით.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ამ შემთხვევაში სამუხრუჭო ძალა არ იზღუდება ჩაჭიდებით არტახსა და რელსს შორის.

სამუხრუჭო ხუნდები ზამბარებით ჩამოკიდებულია ურიკის ჩარჩოს გვერდით ქლებზე, სპეციალური მიმმართველების და ურიკაზე განთავსებული პნევმატური ცილინდრების საშუალებით გადაადგილდებიან ვერტიკალურად 15-20 მმ მანძილზე.

სამუხრუჭო ხუნდების აგზნების გრაგნილებზე ოპერატორული ძაბვის მიწოდებისას, წარმოიქმნება მაგნიტური ნაკადი, რომელიც იკვრის ხუნდის გულარის და რელსის მეშვეობით. სამუხრუჭო ხუნდი მიზიდება რელსის მიერ და წარმოიქმნება სამუხრუჭო ძალა B . თანამედროვე ელექტრომაგნიტურ სარელსო მუხრუჭებში, სამუხრუჭო ხუნდის დაწოლის ხვედრითი ძალა რელსზე შეადგენს 50 კნ/1 მეტრზე.



ნახ. 12.32. სარელსო მუხრუჭის სქემა.

მთელი ლოკომოტივის სამუხრუჭო ძალა შეიძლება გავთვალით ფორმულით

$$B = 1000 \sum K_b \varphi, \quad (12.34)$$

სადაც, $\sum K_b$ არის ხუნდების ჯამური დაწოლის ძალა რელსზე.

φ – სამუხრუჭო ხუნდსა და რელსს შორის ხახუნის კოეფიციენტი.

ხუნდის რელსზე დაწოლის ძალა კნ-ზი განისაზღვრება ფორმულით

$$K_b = \frac{B_F \cdot S}{1000 \mu_0}, \quad (12.35)$$

სადაც, B_F არის მაგნიტური ინდუქცია ტესლებში.

S – ერთი ხუნდის კვეთის ფართი, dm^2 .

$$\mu_0 = \text{საჰაერო დრეჩოს მაგნიტური შედწევადობა } \mu_0 = 0,4\pi \cdot 10^{-6} = 1,2 \cdot 10^{-6} \frac{\text{ჰენრი}}{\text{მეტრი}}.$$

რელსსა და ხუნდს შორის ხახუნის კოეფიციენტი φ დამოკიდებულია მოძრაობის სიჩქარეზე, აგმოსფერულ მოვლენებზე, მასალაზე და მოხახუნე ზედაპირების მდგომარეობზე. ის გაიანგარიშება ემპირიული ფორმულებით. პერძოდ:

მშრალი რელსებისათვის


$$\varphi = \frac{0,19(10,8V + 100)}{21,6V + 100}. \quad (2.36)$$

სველი რელსებისათვის

$$\varphi = \frac{0,19(7,2V + 100)}{18V + 100}. \quad (12.37)$$

V – დამუხრუჭების სიჩქარეა კმ/სთ-ში;

$$\text{ხედრითი სამუხრუჭო ძალა} \quad b = 1000\varphi\theta \cdot \frac{6}{\delta^6}, \quad (12.38)$$



ნახ. 12.33. ტP-200 ელექტრომატარებლის სამუხრუჭო
მანძილის დამოკიდებულება სიჩქარეზე:
დისკური მუხრუჭებისათვის ----- 1
ელექტრომაგნიტური სარელსო მუხრუჭებისათვის .. 2
კომბინირებული მუხრუჭებისათვის----- 3.

მუხრუჭების კომბინირებული (ერთდროულად დისკური და ელექტრომაგნიტური – სარელსო) გამოყენების შემთხვევაში, სამუხრუჭო მანძილი ელექტრომაგნიტურ – სარელსო მუხრუჭების გამოყენებასთან შედარებით მცირდება დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო დისკური მუხრუჭების გამოყენებასთან შედარებით 1,3 ჯერ.

სადაც, θ არის ხუნდების დაწოლის კოეფიციენტი

$$\theta = \frac{\sum K_b}{P + Q}. \quad (12.39)$$

მაღალი სიჩქარეების შემთხვევაში (200 კმ/სთ და მეტი), სასურველია ელექტრომაგნიტური სარელსო მუხრუჭების მოქმედება შეუთავსოთ სხვა, მაგალითად დისკური მუხრუჭების მოქმედებას. 10.33 ნახაზზე ნაჩვენებია სამუხრუჭო მანძილის დამოკიდებულება სიჩქარეზე: დისკური-1; ელექტრომაგნიტური სარელსო-2 და ერთობლივი (კომბინირებული) – 3 დამუხრუჭების შემთხვევაში, ტP-200 ელექტრომატარებლისათვის. როგორც მრუდეებიდან ჩანს, 160 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას,

XIII თავი

მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება

13.1. მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ზოგადი სახე

როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. თავი 1, პარაგრაფი 1.5) მოძრაობის შესწავლის გაიოლების მიზნით, რეალურ მატარებელს ცვლიან ფიზიკური მოდელით, სიმძიმის ცენტრის მდებარეობის მატერიალური წერტილით, რომელშიც განთავსებულია მოელი მატარებლის ფიზიკური მასა m_3 და რომელზეც მოქმედებს რელსის გასწვრივ მიმართული ტოლქმედი ძალა F_δ . (ნახ. 13.1).

მატარებლის ფიზიკური მოდელის აღწერას მათემატიკურად უწოდებენ მათებურ მოდელს.



მატარებლის მოდელის მათებურ მოდელს.


ნახ. 13.1. მატარებლის ფიზიკური ნიუტონის მეორე კანონზე დაყრდნობით, ერთმანეთთან აკავშირებს მატარებლის კინემატიკურ პარამეტრებს: სიჩქარეს V , დროს t , მატარებელზე მოქმედ ტოლქმედ F_δ ძალას და მატარებლის ფიზიკურ მასას m_3 -ს.

დაუშვათ F_δ ტოლქმედი ძალის ზემოქმედებით, m_3 მასის მქონე მატარებელი გადაადგილდა ელემენტარულ dS მანძილზე (ნახ. 13.2). ამ დროს შესრულდება ელემენტარული მუშაობა $dA_{\delta\delta}$, რომელიც ტოლია:

$$dA_{\delta\delta} = F_\delta dS. \quad (13.1)$$

მოძრავ მატარებელში საკმაოდ დიდი მასის მქონე ცალკეული კვანძები (ლოკომოტივების წამყვანი წყვილთვალები, კბილანა რედუქტორების ჩათვლით, ვაგონების მიმყოლი წყვილთვლები, წევის ძრავების დუზები), გარდა საზოვანი გადაადგილებისა ასრულებენ ბრუნვით მოძრაობას. ე.ი. წევის რეჟიმში მატარებლის მამოძრავებელი ძალის მუშაობა იხარჯება მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის დაძლევაზე, მატარებლის ფიზიკური მასის კინეტიკური ენერგიის შექმნაზე (მატარებლისთვის გარკვეული სიჩქარის მინიჭებაზე) და ზემოჩამოთვლილი მბრუნავი სხეულების ბრუნვით მოძრაობაში მოყვანაზე.

მექანიკის კანონების თანახმად, მოძრავ მატარებელზე დახარჯული სრული კინეტიკური ენერგია ტოლია



ნახ. 13.2

$$A_{\text{общ}} = \frac{m_3 \cdot V^2}{2} + \frac{\sum J \omega^2}{2}, \quad (13.2)$$

სადაც, $\frac{m_3 V^2}{2}$ არის მატარებლის ხაზოვანი სიჩქარის შესაბამისი კინეტიკური ენერგია.

$$\frac{\sum J \omega^2}{2} - ყველა მბრუნავი სხეულების ჯამური კინეტიკური ენერგია.$$

J – მბრუნავი სხეულების ინერციის მომენტი.

ω – მბრუნავი სხეულების კუთხური სიჩქარე.

თუ წამყვანი წყვილთვალების, მიმყოლი წყვილთვალების და წევის ძრავას დაუზების ინერციის მომენტებს შესაბამისად აღვნიშნავთ: J_{v} , J_{a} , J_{g} , ხოლო კუთხურ სიჩქარეებს შესაბამისად: ω_{v} , ω_{a} , ω_{g} და მათ გამოვსახავთ ხაზოვანი სიჩქარეებით

და რადიუსებით $\omega = \frac{V}{R}$, მაშინ (13.2) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს

$$A_{\text{общ}} = \frac{m_3 V^2}{2} + \left(\frac{J_{\text{v}}}{R_{\text{v}}^2} + \frac{J_{\text{a}}}{R_{\text{a}}^2} + \frac{J_{\text{g}}}{R_{\text{g}}^2} \right) \frac{V^2}{2}. \quad (13.3)$$

გავიტანოთ ფრჩხილებს გარეთ $\frac{m_3 V^2}{2}$ -ზე. მივიღებთ

$$A_{\text{общ}} = \frac{m_3 V^2}{2} \left[1 + \frac{\left(\frac{J_{\text{v}}}{R_{\text{v}}^2} + \frac{J_{\text{a}}}{R_{\text{a}}^2} + \frac{J_{\text{g}}}{R_{\text{g}}^2} \right)}{m_3} \right]. \quad (13.4)$$

აღვნიშნოთ $\left(\frac{J_{\text{v}}}{R_{\text{v}}^2} + \frac{J_{\text{a}}}{R_{\text{a}}^2} + \frac{J_{\text{g}}}{R_{\text{g}}^2} \right) = m_{\text{общ}}$ და მას ვუწოდოთ მბრუნავი სხეულების

ეპიფალენტური მასა, მაშინ მივიღებთ

$$A_{\text{общ}} = \frac{m_3 V^2}{2} \left[1 + \frac{m_{\text{общ}}}{m_3} \right] \quad (13.5)$$

ფარდობა $\frac{m_{\text{общ}}}{m_3}$ აღნიშნავენ γ ასოთი, მაშინ

$$A_{\text{общ}} = \frac{m_3 V^2}{2} (1 + \gamma) \quad (13.6)$$

$(1 + \gamma)$ -ს უწოდებენ მბრუნავი სხეულების ინერციის კოეფიციენტს. (13.6) ფორმულას თუ შევიტანოთ (13.1) ფორმულაში, მივიღებთ

$$d \left[\frac{m_3 V^2}{2} (1 + \gamma) \right] = F_{\text{вн}} dS. \quad (13.7)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ $V = \frac{dS}{dt}$ და მოვახდენთ (13.7) განტოლების

დიფერენცირებას, მივიღებთ

$$(1 + \gamma)m_{\vartheta}VdV = F_{\vartheta}Vdt$$

აქედან

$$F_{\vartheta} = \frac{dV}{dt}(1 + \gamma)m_{\vartheta}. \quad (13.8)$$

(13.8) გამოსახულება წარმოადგენს მატარებლის მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას ჩაწერილს სრულ პირველ ფორმაში, რომელიც ამყარებს ურთიერთ კავშირს დიფერენციალური სახით: მატარებელზე მომქმედ F_{ϑ} ტოლქმედ ძალასა, მატარებლის $(1 + \gamma)m_{\vartheta}$ დაყვანილ მასასა და $\frac{dV}{dt}$ აჩქარებას შორის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სიჩქარე

$$V = \frac{ds}{dt}, \quad \text{აქედან} \quad dt = \frac{ds}{V}$$

და dt -ს მნიშვნელობას შევიტანო (13.8) ფორმულაში, მივიღებთ მატარებლის მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას, ჩაწერილს სრულ მეორე ფორმაში

$$F_{\vartheta} = (1 + \gamma)m_{\vartheta} \cdot V \frac{dV}{ds}. \quad (13.9)$$

გავიხსენოთ, რომ მატარებლის ფიზიკური მასა $m_{\vartheta} = \frac{1000(P+Q)}{g}$, ხოლო წევის

რეჟიმში $\frac{F_{\vartheta}}{P+Q} = \frac{F-W}{P+Q} = (f-w)$; მაშინ აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავწეროთ

$\frac{g}{1000(P+Q)}$ სიდიდე წარმოადგენს ხვედრით აჩქარებას, ანუ მატარებლის ერთეული წონის აჩქარებას, მასზე ერთეული ძალის მოქმედებისას და მას აღნიშნავენ ξ (ბერძნული ძეტა) ასოთი. საბოლოოდ

$$\frac{dV}{dt} = \xi(f-w) \quad (13.10)$$

$$V \frac{dV}{ds} = \xi'(f-w). \quad (13.10)^1$$

(13.10) და (13.10)¹ განტოლებები წარმოადგენენ მატარებლის მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებებს წევის რეჟიმისათვის, ჩაწერილს ხვედრით ფორმაში.

ანალოგიურად შეგვიძლია გამოვიყვანოთ მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები თავისუფალი გორგის რეჟიმისათვის

$$\frac{dV}{dt} = \xi(-w_x) \quad (13.11)$$

$$V \frac{dV}{dS} = \xi'(-w_x) \quad (13.11)^1$$

სადაც w_x მოძრაობისადმი ხვედრით წინააღმდეგობის ძალა თავისუფალი გორგის რეჟიმისთვის. დამუხრუჭების რეჟიმისათვის შეგვიძლია დავწეროთ

$$\frac{dV}{dt} = -\xi(0.5b + w_x) \quad (13.12)$$

$$V \frac{dV}{dS} = -\xi'(0.5b + w_x). \quad (13.12)^1$$

სადაც, b არის ხვედრითი სამუხრუჭო ძალა.

მიღებული განტოლებები ზოგადი ხასიათისაა, რადგან არაა დამოკიდებული ელექტრომავლის და ვაგონების ტიპზე, მატარებლის სახეობაზე, მის წონაზე, ლოკომოტივის სიმძლავრეზე და ა.შ.

რადგან ხვედრით წევის და წინააღმდეგობის ძალებს, ფიზიკის თვალსაზრისით განზომილება არა აქვთ, ამიტომ ξ და ξ' მუდმივებს აქვთ აჩქარების განზომილება და, როგორც ვთქვით, წარმოადგენენ ხვედრით აჩქარებას (ანუ მატარებლის 1 კნ წონის აჩქარებას, როდესაც მასზე მოქმედებს ერთეული ხვედრითი ძალა 1 ნიუტონი).

ξ და ξ' მუდმივების რიცხობრივი მნიშვნელობა დამოკიდებულია ძალის, სიჩქარის, დროის და მანძილის განზომილებებზე. კერძოდ $\xi = \frac{g}{1000(1+\gamma)}$, გამოსახულებაში $g = 9,81 \text{ მ/წ}^2$ არის სიმძიმის ძალის აჩქარება. ჩვენ კი მიღებული გვაქვს სიჩქარის განზომილება მ/წ^{-1} -ის ნაცვლად კმ/სთ-ში. განზომილების გადაყვანის შემდეგ მივიღებთ $g = 9,81 \text{ მ/წ}^2 = \frac{9,81 \cdot 3600^2}{1000} = 127 \text{ 000 } \text{ კმ/სთ}^2$. მაშინ

$\xi = \frac{g}{1000(1+\gamma)}$ -ის გათვალისწინებით მივიღებთ

$$\xi = \frac{127}{1+\gamma}. \quad (13.13)$$

ξ და ξ' მუდმივების რიცხობრივი მნიშვნელობები მოცემულია ცნობარებში, დამოკიდებულია მანძილის განზომილებებზე.

მბრუნავი მასების ინერციის კოეფიციენტს $(1+\gamma)$, სხვადასხვა ტიპის მოძრავი შემადგენლობისთვის აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. მისი რიცხვითი მნიშვნელობა ტოლია:

- ელექტრომავლებისათვის – 1,24 – 1,28,
- თბომავლებისათვის – 1,11 – 1,12,
- სატვირთო ვაგონებისათვის, დატვირთულ მდგომარეობაში – 1,03 – 1,04გ,
- სატვირთო ვაგონებისათვის, ცარიელ მდგომარეობაში – 1,08 – 1,09,
- სამგზავრო ვაგონებისათვის – 1,04 – 1,05.

13.2. მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ანალიზი

კონკრეტული მატარებლისთვის მბრუნავი მასების ინერციის კოეფიციენტის მნიშვნელობა დამოკიდებულია ლოკომოტივის და ვაგონების ტიპზე, მათი დატვირთვის ხარისხზე და ა.შ. ამიტომ პრაქტიკაში მისი ზუსტი განსაზღვრა მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ სარგებლობენ გაანგარიშების განზოგადოებული ხერხებით. კერძოდ იღებენ მბრუნავი მასების ინერციის კოეფიციენტის საშუალო შეწონილ მნიშვნელობას მთელი მატარებლისთვის. მაგალითად $(1+\gamma) = 1,06$ -ს და განსაზღვრავენ ხვედრითი აჩქარების საშუალო მნიშვნელობას

$$\xi = \frac{127}{1+\gamma} = \frac{127}{1.06} = 120 \quad \frac{\text{გ}\partial}{\text{ს}\text{თ}^2} \quad \frac{6}{\text{კ}}. \quad (13.14)$$

ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს, აჩქარების ჩვენთვის მისაღები განზომილებისთვის, წევის რეჟიმისთვის მივიღოთ დიფერენციალური განტოლების სამი ფორმა:

$$\begin{aligned} \frac{dV}{dt} &= 120(f - w); \quad \frac{\text{გ}\partial}{\text{ს}\text{თ}^2}, \\ \frac{dV}{dt} &= 2(f - w); \quad \frac{\text{გ}\partial}{\text{ს}\text{თ}} / \text{წ}\text{ო}, \\ \frac{dV}{dt} &= 120(f - w) \cdot \frac{\text{გ}\partial}{\text{ს}\text{თ}} / \text{წ}\text{გ}. \end{aligned} \quad (13.15)$$

განტოლების პირველი ფორმა მოუხერხებელია, აჩქარების განზომილების სირთულის გამო. მესამე ფორმის გამოყენება შეიძლება მხოლოდ სწრაფად მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის. მაგალითად, სასწრაფო დამუხრუჭების შემთხვევისთვის. პრაქტიკულ წევის ანგარიშებში, მატარებლის მოძრაობის ანალიზისთვის

მოსახერხებელია დიფერენციალური განტოლების მეორე ფორმა, სადაც სიჩქარის ცვლილების დროის ერთეულად აღებულია წუთი.

იმის მიხედვით, თუ ერთდროულად რა ძალები მოქმედებენ მატარებელზე, განასხვავებენ მოძრაობის სამ რეჟიმს:

წევის, თავისუფალი გორვის და დამუხრუჭების რეჟიმს.

თითოეულ რეჟიმში, მოქმედ ძალებს შორის თანაფარდობის მიხედვით, შეიძლება გვქონდეს მოძრაობის განსხვავებული სამი შემთხვევა. განვიხილოთ ეს შემთხვევები მოძრაობის ცალკეული რეჟიმისათვის:

ა) წევის რეჟიმი

მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$\frac{dV}{dt} = \xi f_{\delta} = \xi(f - w_0 \pm w_i), \quad (13.16)$$

სადაც, $f_{\delta} = (f - w_0 \pm w_i)$.

აქ გვაქვს სამი შემთხვევა:

1. $f_{\delta} > 0$ ანუ $(f - w_0 \pm w_i) > 0$; მაშინ $\frac{dV}{dt} > 0$; აჩქარება დადებითია, მატარებელი

მოძრაობს აჩქარებულად.

2. $f_{\delta} < 0$ ანუ $(f - w_0 \pm w_i) < 0$; მაშინ $\frac{dV}{dt} < 0$; აჩქარება უარყოფითია, მატარებელი

მოძრაობს შენელებულად.

3. $f_{\delta} = 0$ ანუ $(f - w_0 \pm w_i) = 0$; მაშინ $\frac{dV}{dt} = 0$; აჩქარება 0-ია. მატარებელი მოძრაობს

თანაბარი სიჩქარით.

ბ) თავისუფალი გორვის რეჟიმი

მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$\frac{dV}{dt} = -\xi(w_x \pm w_i), \quad (13.17)$$

სადაც, $f_{\delta} = -(w \pm w_i)$.

აქაც გვაქვს სამი შემთხვევა:

1. $w_x \pm w_i < 0$; $\frac{dV}{dt} > 0$; აჩქარება დადებითია, მატარებელი მოძრაობს აჩქარებულად.

2. $w_x \pm w_i > 0$; $\frac{dV}{dt} < 0$; აჩქარება უარყოფითია, მატარებელი მოძრაობს შენელებულად.

ბულად.

3. $w_x \pm w_i = 0$; $\frac{dV}{dt} = 0$; აჩქარება 0-ია. მატარებელი მოძრაობს თანაბარი სიჩქარით.

გ) დამუხრუჭების რეჟიმი

მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$\frac{dV}{dt} = \xi f_{\dot{\phi}} = -\xi(b + w_x \pm w_i), \quad (13.18)$$

სადაც, $f_{\dot{\phi}} = -(b + w_x \pm w_i)$.

აქაც გვაძეს სამი შემთხვევა:

1. $(b + w_x \pm w_i) < 0$; $\frac{dV}{dt} > 0$; აჩქარება დადებითია, მატარებელი მოძრობს აჩქარებულად.

2. $(b + w_x \pm w_i) > 0$; $\frac{dV}{dt} < 0$; აჩქარება უარყოფითია, მატარებელი მოძრაობს შენელებულად.

3. $(b + w_x \pm w_i) = 0$; $\frac{dV}{dt} = 0$; აჩქარება 0-ია. მატარებელი მოძრაობს თანაბარი სიჩქარით.

გამოდის რომ, თუ მატარებელზე მომქმედი ძალების ტოლქმედი 0-ის ტოლია, მატარებელი უძრავია, ან მოძრაობს თანაბარი სიჩქარით. ყველა სხვა შემთხვევაში მატარებელი მოძრაობს აჩქარებულად ($f_{\dot{\phi}} > 0$), ან შენელებულად ($f_{\dot{\phi}} < 0$).

13.3. მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ამოხსნის მიზანი და ხერხები

მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება, მატარებელზე მომქმედი ტოლქმედი ძალის სიდიდის მიხედვით, განსაზღვრავს მატარებლის აჩქარებას (შენელებას) და შესაბამისად მოძრაობის ხასიათს, მოძრაობის ცალკეული რეჟიმებისათვის.

მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ამოხსნის შედეგად განისაზღვრება მოძრაობის სიჩქარე, განვლილი მანძილი და სვლის დროები გადასარტყების მიხედვით.

მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ამოხსნას ართულებს ის, რომ მატარებელზე მომქმედი ტოლქმედი ძალა სხვადასხვა რეჟიმში ფუნქციაა სიჩქარის (დამოკიდებულია სიჩქარეზე), რომელიც წარმოადგენს საძიებელ სიდიდეს. ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ გვაქვს ერთი განტოლება ორი უცნობით, რაც მათემატიკურად ამოუხსნადია. ადნიშნულის გამო აუცილებელია წინასწარ გავთვალოთ მოძრაობის თითოეული რეჟიმისათვის მატარებელზე მომქმედი ტოლქმედი ძალის დამოკიდებულება სიჩქარეზე, ცხრილების ან დიაგრამების სახით, კერძოდ:

1. წევის რეჟიმისათვის $V(f - w_0)$, რომელსაც გუწოდებთ ხვედრით ამაჩქარებელ ძალთა დიაგრამას;
2. თავისუფალი გორგის რეჟიმისათვის $V(w_x)$;
3. დამუხრუჭების რეჟიმისათვის $V(b + w_x)$.

ამ უკანასკნელებს გუწოდებთ ხვედრით შემანელებელ ძალთა დიაგრამებს (ნახ. 13.3).

ნახ. 13.3-ზე წყვეტილი ხაზებით ნაჩვენებია:

ხვედრითი წევის ძალა f ;


ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა w_0, w_x ;

ხვედრითი სამუხრუჭო ძალა b ;

ხოლო უწყვეტი ხაზებით:


ხვედრით ამაჩქარებელ ძალთა დიაგრამა $V(f - w_0)$;

ხვედრით შემანელებელი ძალთა დიაგრამა $V(b + w_x)$.



ნახ. 13.3. ხვედრით ძალთა დამოკიდებულება სიჩქარეზე.

ამაჩქარებელ და შემანელებელ ძალთა დიაგრამების შესაბამისად 13.4 ა ნახაზე მოცემულია მატარებლის სიჩქარის ცვლილება გზის პორიზონტალურ უბანზე მოძრაობისას. დასაწყისში ხდება მატარებლის დაძვრა და გაქანება V_s სიჩქარემდე თითქმის თანაბარი აჩქარებით (რადგან ხვედრითი ამაჩქარებელი ძალა $(f - w_0)$ იცვლება მცირე ფარგლებში. იხ. მონაკვეთი 1-2 (ნახ. 13.3). შემდეგ გრძელდება სიჩქარის ზრდა ნაკლები აჩქარებით (რადგან $f - w_0$ ამაჩქარებელი ძალა მცირდება. იხ. მონაკვეთი 2-3, (ნახ. 13.3) $V_{\text{თა}}$ თანაბარ სიჩქარემდე. თავისუფალ გორგაზე გადასვლის შემდეგ სიჩქარე მცირდება V_s მნიშვნელობამდე. V_s სიჩქარეზე ირთვება სამუხრუჭო საშუალებები და t_b დროის განმავლობაში სიჩქარე ეცემა 0 მნიშვნელობამდე (ნახ. 13.4 ა).




ნახ. 13.4. მოძრაობის სიჩქარეების დამოკიდებულება დროზე, სხვადასხვა რეჟიმის დროს.

13.4 ბ ნახაზზე oab მრუდი გვიჩვენებს სიჩქარის ცვლილებას დამუხრუჭების გარეშე. a წერტილში ხდება გადასვლა თავისუფალი გორვის რეჟიმზე, სიჩქარე მცირდება და b წერტილში მატარებელი ჩერდება. ვინაიდან განვლილი მანძილი სიჩქარის და დროის პროპორციულია, ამიტომ oab მრუდით შემოსაზღვრული ფართი განვლილი მანძილის ტოლია.

$OABC$ მრუდი გვიჩვენებს მოძრაობას მექანიკური დამუხრუჭების გამოყენებით. ამ მრუდით შემოსაზღვრული ფართიც განვლილი მანძილის პროპორციულია. ორივე შემთხვევაში განვლილი მანძილი ერთნაირია $S_{oab} = S_{OABC}$. მაგრამ დრო, რომელიც დასჭირდა მის გავლას თავისუფალი გორვის შემთხვევაში cb – სიდიდით მეტია, ვიდრე დამუხრუჭების გამოყენების შემთხვევაში.


საზოგადოდ სვლის დროზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს, როგორც დამუხრუჭების ინტენსივობა, ასევე დაძვრისას მატარებლის გაქანების ინტენსივობა. (ნახ. 13.5 ა, ბ).

რომ განვსაზღვროთ მატარებლის აჩქარება, შენელება, სვლის დრო და ა.შ. საჭიროა მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ამოხსნა (ინტეგრირება), რაც, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, საჭიროა ამაჩქარებელ და შემანელებელ ძალთა დამოკიდებულება სიჩქარეზე მოცემული გაქონდეს ანალიზური



ნახ. 13.5. а) დამუხრუჭების და ბ) გაქანების – ინტენსივობის გავლენა სკლის დროზე.

ფორმით. სხვაგვარად, 13.3 ნახაზე უწყვეტი მრუდეები მოცემული უნდა იყოს ანალიზურად, რაც დღეისათვის არ არსებობს. ეს გამოწვეულია იმით, რომ წევის ძრავას სიჩქარე, წევის ძალა და დენი ერთმანეთთან დაკავშირებულია ძრავას მაგნიტური ნაკადით, რომლის დამოკიდებულება ძრავას დენზე არაწრფივია და დღემდე არ აქვს ანალიზური აღწერა. ამიტომ ძრავას დამაგნიტების მრუდი, წევის მახასიათებლები და შესაბამისად ამაჩქარებელი მრუდეები მოცემულია გრაფიკულად. რადგან განტოლების ზუსტი ამოხსნა დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან, ამიტომ, პრაქტიკულ ანგარიშებში იყენებენ ამოხსნის მიახლოებით მეთოდებს,



ნახ. 13.6. ხედრით ამაჩქარებელი რეალური მრუდის ჩანაცვლება, საფეხურისებრი მრუდით.

რომლებიც დაფუძნებულია სიჩქარის რაიმე ინტერვალში $\Delta V = V_2 - V_1$. რეალურად მომქმედი ამაჩქარებელი ძალის $f_{\phi_1} - f_{\phi_2}$ -ის ჩანაცვლებით, ამაჩქარებელის ძალის უცვლელი საშუალო მნიშვნელობით $f_{\text{საშ}} - \text{თი.}$ (რეალური $V_1 - V_2$ ინტერვალის შესაბამისი 1-2 მრუდი იცვლება ab საშუალო მნიშვნელობით, ანუ რეალური მრუდი $V(f - w_0)$ იცვლება საფეხურისებრი ტენილით (ნახ. 13.6)).

მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნა შესაძლებელია ანალიზურად, გრაფოანალიზურად და გრაფიკულად.

13.4. მოძრაობის სიჩქარის გრაფონალიზური გაანგარიშება

ვთქვათ, მატარებელი მოძრაობის თანაბარი აჩქარებით და t_1 მომენტი მისი სიჩქარე იყო V_1 . t_2 მომენტი მატარებლის სიჩქარე იქნება V_2 და გაითვლება ფორმულით

$$V_2 = V_1 + a(t_2 - t_1), \quad (13.19)$$

სადაც a არის მატარებლის აჩქარება.

$$(t_2 - t_1) \text{ სიდიდე აღვნიშნოთ } \Delta t\text{-თი და გავიხსენოთ, რომ } a = \frac{dV}{dt} = \xi f_{\phi}, \text{ მაშინ}$$

$$\text{შეგვიძლია დაგწეროთ } \Delta t \cdot a = \frac{V_2 - V_1}{\xi f_{\phi}}. \quad (13.20)$$

$$\text{თუ დროს გადავიყვანო წუთებში გვექნება } \Delta t = \frac{60 \Delta V}{\xi f_{\phi}}. \quad (13.21)$$

თანაბარაჩქარებული მოძრაობის დროს, განვლილი მანძილი განისაზღვრება როგორც

$$S_2 - S_1 = \Delta S = (t_2 - t_1)V_{\text{საშუალო}} = \Delta t V_{\text{საშუალო}}$$

სადაც, $V_{\text{საშუალო}}$ არის მოძრაობის საშუალო სიჩქარე და განისაზღვრება როგორც

$$V_{\text{საშუალო}} = \frac{V_1 + V_2}{2}.$$

$$\text{თუ გავითვალისწინებთ, რომ } \Delta t = \frac{V_2 - V_1}{\xi f_{\phi}},$$

$$\text{მაშინ მივიღებთ } \Delta S = \frac{1000(V_2^2 - V_1^2)}{2\xi f_{\phi}} = \frac{500(V_2^2 - V_1^2)}{\xi f_{\phi}}. \quad (13.22)$$

გაანგარიშებას ვახდენოთ სიჩქარის ცალკეული ΔV ინტერვალებისათვის. ვსაზღვრავთ Δt -ს და შესაბამისად ΔS . მათი შეკრებით მივიღებთ სრული სვლის დროს $t = \sum \Delta t$ და ჯამურ განვლილ მანძილს $S = \sum \Delta S$.

13.5. მოძრაობის მრუდეების გაანგარიშება გრაფიკული მეთოდით

სანამ უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, სიამაყით გვსურს აღვნიშნოთ, რომ გრაფიკული გაანგარიშების მეთოდების შემუშავებაში და დანერგვაში ცნობილ რუს სპეციალისტებთან გ.ვ. ლებედევთან, ი.ვ.ლომონოსოვთან, ვ.ა.შევალინთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ელექტრული წვვის ქართული სკოლის დამფუძნებელს, ელექტრული ტრანსპორტის კათედრის

ჩამოყალიბებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტ.მ.დ-ს, პროფ. ლევან აბელიშვილს.

დღემდე პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული, დიფერენციალური განტოლების ამოხსნის გრაფიკული მეთოდი, შედარებით მარტივია და იძლევა საკმაოდ ზუსტ შედეგებს. სიჩქარის მრუდის გრაფიკული აგების დროს გამოიყენება კავშირი მატარებელზე მომქმედ ამაჩქარებელ (შემანელებელ) ძალებსა და სიჩქარეს შორის, ანუ ვიყენებთ წინასწარ სპეციალურ მასშტაბში აგებულ ამაჩქარებელ და შემანელებელ ძალთა დიაგრამებს $V(f - w_0)$, $V(w_x)$, $V(b + w_x)$.

გრაფიკული გაანგარიშებისთვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი მასშტაბები:

$$\begin{aligned} \text{დროის} &= m_t, \\ \text{სიჩქარის} &= m_v, \\ \text{მანძილის} &= m_s. \end{aligned}$$

როგორც ზემოთ ვნახეთ, გრაფიკული ინტეგრირების დროს აიღება სიჩქარის ცალკეული ინტერვალები და კეთდება დაშვება, რომ სიჩქარის ცვლილებისას V_1 -დან V_2 -მდე მატარებელზე მომქმედი ხვედრითი ამაჩქარებელი (შემანელებელი) ძალა არ იცვლება და ტოლია საშუალო მნიშვნელობის $(f - w_0)_{\text{საშ}} \quad (\text{ნახ. 13.6})$.

ვთქვათ, რომელიმე ტიპის ლოკომოტივისათვის და რადაც წონის მატარებლის-თვის აგებული გვაქვს ამაჩქარებელ ძალთა დიაგრამა $V(f - w_0)$ მიღებულ მასშტაბებში (ნახ. 13.3). ასევე ვთქვათ ელემენტარულ ΔS მანძილზე სიჩქარე იცვლება ΔV ფარგლებში ab კანონით (ნახ. 13.7). ამ დროს მატარებელზე მოქმედი ხვედრითი ძალა რეალურად იცვლება $(f - w_0)_1$ -დან $(f - w_0)_2$ -მდე. მაგრამ ვთვლით, რომ ის არ იცვლება და არის საშუალო მნიშვნელობის ტოლი $(f - w_0)_{\text{საშ}} \quad (AC \quad \text{წრფე} \quad \text{ნახ. 13.7})$. ამ ძალას შეესაბამება საშუალო სიჩქარე $V_{\text{საშ}} = OC$. სამკუთხედ abd -დან განვსაზღვროთ $\operatorname{tg}\beta$, მივიღებთ


$$\operatorname{tg}\beta = \frac{bd}{ad}$$

$$ad = \Delta S \cdot m_s, \quad bd = \Delta V \cdot m_v \quad \text{რადგან} \quad \Delta S m_s = V_{\text{საშ}} m_v \Delta t m_t, \quad \text{მაშინ მივიღებთ}$$

$$\operatorname{tg}\beta = \frac{\Delta V \cdot m_v}{V_{\text{საშ}} \cdot \Delta t \cdot m_s}. \quad (13.23)$$

სამკუთხედ OAC -დან $\operatorname{tg}\alpha$ ტოლია

$$\operatorname{tg}\alpha = \frac{AC}{OC}.$$



ნახ. 13.7. სიჩქარის მრუდის გრაფიკული აგების პრინციპი.

AC ტოლია $(f - w_0)_{bs\alpha} \cdot m_f$, ხოლო $OC = V_{bs\alpha} m_v$. გ.ვ.

$$\operatorname{tg} \alpha = \frac{(f - w_0)_{bs\alpha} \cdot m_f}{V_{bs\alpha} m_v}.$$

დიფერენციალური განტოლებიდან $(f - w_0)_{bs\alpha} = \frac{a}{\xi}$.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აჩქარება ტოლია $a = \frac{\Delta V}{\Delta t}$, მაშინ

$$\operatorname{tg} \alpha = \frac{\Delta V \cdot m_f}{\Delta t \xi V_{bs\alpha} \cdot m_v}. \quad (13.24)$$

თუ კუთხები α და β ტოლია მაშინ ab მართობია AO -სი.

გაგუბოლოთ $\operatorname{tg} \alpha$ და $\operatorname{tg} \beta$ ერთმანეთს. მივიღებთ

$$\frac{\Delta V \cdot m_f}{\Delta t \xi V_{bs\alpha} \cdot m_v} = \frac{\Delta V m_v}{V_{bs\alpha} \Delta t \cdot m_t}.$$

გამარტივების შემდეგ (ერთნაირი სიდიდეების შეკვეცის შემდეგ) მივიღებთ

$$\frac{m_f}{\xi m_v} = \frac{m_v}{m_s},$$

$$\text{საიდანაც მანძილის მასშტაბი } m_s = \xi \frac{m_v^2}{m_f}. \quad (13.25)$$

თუ სწორად შევირჩევთ სიჩქარის m_v , მანძილის m_s , ხვედრითი ძალების m_f მასშტაბებს, მაშინ კუთხეები α და β იქნება ტოლი. ჩვეულებრივ უშვებენ სამიდან ორ მასშტაბს, ხოლო მესამეს გაიანგარიშებენ.

თუ მოძრაობა ხდება ნულოვან ქანობზე, მაშინ აგების პოლუსი p ემთხვევა კოორდინატთა სათავეს 0 წერტილს. აღმართებისთვის პოლუსი გადაადგილდება მარცხნივ იმდენ დანაყოფზე, რამდენიცაა ქანობი ხოლო თავდადმართებისათვის პოლუსი გადაადგილდება შესაბამისად მარჯვნივ იმდენ დანაყოფზე, რამდენიცაა ქანობი.

13.5.1. სიჩქარის მრუდის აგების თანმიმდევრობა

1. პირველ ეტაპზე მოცემული ტიპის ელექტრომაგლისათვის და განსაზღვრული წონის მატარებლისათვის, ვანგარიშობთ და სათანადო მასშტაბში ვაგებთ ამაჩქარებელ $V(f - w_0)$ და შემანელებელ $V(w_x)$; $V(b + w_x)$ ძალთა დიაგრამებს ნულოვანი ქანობისათვის.

2. მეორე ეტაპზე ვაწარმოებთ პროფილის გასწორებას და სათანადო მასშტაბში გამოვხაზავთ მილიმეტრებიან ფორმატზე.

მილიმეტრებიან ფორმატზე სიჩქარეს გადაზომავენ ორდინატთა ლერძზე სათანადო სიჩქარის მასშტაბში. ამაჩქარებელ და შემანელებელ ძალთა დიაგრამებს ვუთავსებთ სიჩქარის ლერძს.


სიჩქარის ინტერვალებს ვიღებთ შემდეგ ფარგლებში:

ავტომატურ მახასიათებელზე გასვლამდე 10 კმ/სთ, ავტომატურ მახასიათებელზე 5 კმ/სთ, თავისუფალი გორგის რეჟიმისათვის 10 კმ/სთ, დამუხრუჭების რეჟიმში მაქსიმალურიდან 50 კმ/სთ სიჩქარემდე – 10 კმ/სთ; 50 კმ/სთ სიჩქარის ქვემოთ 5 კმ/სთ.

ა) წევის რეჟიმი

სიჩქარის მრუდის $V(S)$ აგებას ვიწყებთ სადგურის ცენტრიდან, რომელიც როგორც წესი, მდებარეობს ნულოვან ქანობზე. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მატარებლის მოძრაობა განიხილება, როგორც ერთი წერტილის, მისი სიმძიმის ცენტრის მოძრაობა. აგებისთვის ვიყენებთ ამაჩქარებელ ძალთა დიაგრამას $V(f - w_0)$.

ვუშვებთ სიჩქარის ცვლილების პირველ ინტერვალს (ΔV)₁ = 0 – 10 კმ/სთ (ნახ. 13.8). ამ ინტერვალის საშუალო სიჩქარისათვის (5 კმ/სთ) ვსაზღვრავთ ამაჩქარებელი ძალის საშუალო მნიშვნელობას (a წერტილი). ამ წერტილს, გრძელი სახაზავის




ნახ. 13.8. სიჩქარის მრუდის აგება მატარებლის დაძვრის დროს.

საშუალებით, ვაერთებთ აგების p პოლუსონი, რომელიც ნულოვანი ქანობისთვის ემთხვევა O წერტილს და O' წერტილიდან ვავლებთ aO -ს მართობს პირველი ინტერვალის საზღვრამდე a' წერტილი; ე.ი პირველ ინტერვალში სიჩქარე იცვლება $O''a'$ წრფის შესაბამისად. შემდეგ ვიღებთ სიჩქარის მეორე ინტერვალს (ΔV)₂ = 10 – 20 კმ/სთ, ვსაზღვრავთ საშუალო სიჩქარეს 15 კმ/სთ, მის შესაბამის საშუალო ამაჩქარებელ ძალას (b -წერტილი) b წერტილს ვაერთებთ სახაზავით O წერტილთან და a' წერტილიდან ვავლებთ მართობს $a'b'$ მეორე ინტერვალის საზღვრამდე და ა.შ. თუ ნულოვანი ქანობი იცვლება აღმართით, ეს ნიშნავს, რომ ამ ქანობის მნიშვნელობით მცირდება ამაჩქარებელი ძალა. ამის გათვალისწინება ხდება აგების პოლუსის p გადატანით მარცხნივ O წერტილიდან იმდენ დანაყოფზე, რამდენიცაა ქანობი. თუ ქანობი უარყოფითია, შესაბამისად იზრდება ამაჩქარებელი ძალა და პოლუსი გადაადგილდება მარჯვნივ, იმდენ დანაყოფზე რამდენიცაა ქანობი.

ბ) დამუხრუჭების რეჟიმი

დამუხრუჭების რეჟიმში სიჩქარის მრუდის ასაგებად ვიყენებთ შემანელებელ ძალთა დიაგრამას სამოსამსახურო დამუხრუჭებისთვის $V(0,5b + w_x)$ ან სასწრაფო დამუხრუჭებისთვის $V(b + w_x)$ სიჩქარის მრუდს ვაგებთ უკუმიმართულებით. ვთვლით, რომ მატარებელი გაჩერებულია სადგურის ცენტრში (O' წერტილი) (იხ. ნახ. 13.9). ვიდებთ სიჩქარის პირველ ინტერვალს 0-10 კმ/სთ. ვსაზღვრავთ საშუალო 5 კმ/სთ სიჩქარისთვის შემანელებელი ძალის საშუალო მნიშვნელობას (a -წერტილის შესა-

ბამისი). a წერტილს სახაზავით ვაერთებთ აგების პოლუსთან (p წერტილი, რომელიც ნულოვანი ქანობისთვის ემთხვევა კოორდინატთა სათავის 0 წერტილს) და O' წერტილიდან ვავლებთ oa -ს მართობ $O'a'$ მონაკვეთს პირველი ინტერვალის საზღვრამდე. შემდეგ ვიღებთ სიჩქარის მეორე ინტერვალს 10-20 კმ/სთ. სიჩქარის საშუალო მნიშვნელობისთვის 15-ჯმ/სთ, გსაზღვრავთ შემანელებელ ძალას (b წერტილი); b -წერტილს სახაზავით ვაერთებთ O წერტილთან და a' წერტილიდან ვავლებთ მართობს $a'b'$ მეორე ინტერვალის საზღვრამდე, b' წერტილი და ა.შ. აგებას ვაგრძელებთ მანამ, სანამ არ მოხდება გადაკვეთა წევის რეჟიმის შესაბამის სიჩქარის მრუდთან (V_d წერტილი). ეს იქნება დამუხრუჭების სიჩქარე, რომელსაც გზაზე შეესაბამება T სიმბოლოთი აღნიშნული დამუხრუჭების ადგილი. TO მონაკვეთი შეესაბამება სამუხრუჭებელის მანძილს S_d . (ნახ. 13.9).




ნახ. 13.9. სიჩქარის მრუდის აგება დამუხრუჭების რეჟიმში.

გ) სიჩქარის მრუდის აგება თავისუფალი გორგის რეჟიმში

თავისუფალი გორგის რეჟიმში სიჩქარის მრუდის ასაგებად ვიყენებთ შემანელებელ ძალთა დიაგრამას $V(w_x)$ (ნახ. 13.10). აგებას ვახდენთ ანალოგიურად, სიჩქარის ინტერვალების მიხედვით. ინტერვალებს ვიღებთ სიჩქარის კლების ან ზრდის ტენდენციის მიხედვით (ქვემოთ ან ზემოთ). ვიღებთ პირველ ინტერვალს სიჩქარის მიხედვით 90-80 კმ/სთ.

საშუალო სიჩქარისათვის 85 კმ/სთ, გსაზღვრავთ w_x საშუალო მნიშვნელობას (a -წერტილი). a წერტილს სახაზავით ვაერთებთ აგების პოლუსთან (p -წერტილი), რომელიც ნულოვანი ქანობისათვის ემთხვევა კოორდინატთა სათავეს O წერტილი. a' -წერტილიდან ვავლებთ ap -ს მართობს ინტერვალის საზღვრის გადაკვეთამდე b' წერტილი. შემდეგ ვიღებთ სიჩქარის მეორე ინტერვალს 80-70 კმ/სთ და ა.შ. სიჩქარე



ნახ. 13.10. სიჩქარის მრუდის აგება თავისუფალი გორვის რეჟიმში.

ამ რეჟიმში შეიცვლება $a'b'c'd'e'$ ტენიანით. სიჩქარის მრუდის აგებისას, აგების პოლუსი P პროფილის გარდატეხის ზონებში გადაადგილდება: დადებითი ქანობებისათვის კოორდინატთა სათავიდან მარცხნივ, უარყოფითი ქანობებისათვის მარჯვნივ იმდენ დანაყოფზე რამდენიცაა ქანობი.

13.5.2. მატარებლის სვლის დროის გრაფიკული გაანგარიშება

სვლის დროის მრუდის $t(s)$ გრაფიკული აგება ხდება სიჩქარის მრუდის $v(s)$ გამოყენებით. გავარკვიოთ როგორი შეიძლება იყოს გეომეტრიული კავშირი სიჩქარის მრუდსა და დროის მრუდს შორის. ვთქვათ გზის AB მონაკვეთზე სიჩქარე იცვლება 1-2 მრუდით, ხოლო სვლის დრო ab მრუდით (ნახ. 13.11). ამ დროს განვლილი მანძილი შეადგენს Δs_m -ს.

$$\text{სამკუთხედ } abc\text{-დან გვერთ} \quad \operatorname{tg}\beta = \frac{ac}{bc} = \frac{\Delta s_m}{\Delta t_m}, \quad (13.26)$$


სადაც, m_V , m_t , m_s შესაბამისად წარმოადგენენ სიჩქარის, დროის და მანძილის მასშტაბებს.

$$\text{რადგან } \frac{\Delta s}{\Delta t} = V_{ba}, \text{ ამიტომ} \quad \operatorname{tg}\beta = \frac{V_{ba} m_s}{m_t}, \quad (13.27)$$

ე.ო. β კუთხის ტანგენსი პირდაპირპორციულია AB მონაკვეთზე საშუალო სიჩქარის V_{ba} მნიშვნელობის. გადავზომოთ კოორდინატთა სათავის O წერტილიდან მარცხნივ ნებისმიერი სიდიდის მონაკვეთი Δ და მის ბოლოდან აღვმართოთ ვერტიკალი $A'B'$. d წერტილიდან, რომელიც შეესაბამება AB მონაკვეთზე განვითარებულ საშუალო სიჩქარეს; გაგავლოთ ჰორიზონტალი, რომელიც $A'B'$

ვერტიკალს გადაკვეთს d' წერტილში. ეს წერტილი შევაერთოთ კოორდინატთა სათავის O წერტილთან. $d'O$ -წრფე Δ მონაკვეთთან ქმნის γ კუთხეს, რომლის

$$\operatorname{tg} \gamma = \frac{B'd'}{OB'} = \frac{V_{\text{bs}} m_v}{\Delta}. \quad (13.28)$$



ნახ. 13.11. დროის მრუდის აგების პრინციპი.

β და γ კუთხეების ტოლობის შემთხვევაში, მათი ტანგენსები ტოლია

$$\operatorname{tg} \beta = \operatorname{tg} \gamma. \quad (13.29)$$

თუ გაუტოლებთ ერთმანეთს (13.27) და (13.28) გამოსახულებების მარჯვენა მხარეებს, მივიღებთ

$$\frac{V_{\text{bs}} \cdot m_s}{m_t} = \frac{V_{\text{bs}} \cdot m_v}{\Delta}.$$

მიღებულ ტოლობაში ჩავსვათ m_s -ის მნიშვნელობა (13.25) ფორმულიდან:

$$m_s = \xi \cdot \frac{m_v^2}{m_f}. \quad \text{მივიღებთ}$$

$$\frac{V_{\text{bs}} \cdot \xi \cdot \frac{m_v^2}{m_f}}{m_t} = \frac{V_{\text{bs}} \cdot m_v}{\Delta}.$$

დაგენერირება


$$\Delta = \frac{m_v \cdot m_t}{m_s}. \quad (13.30)$$

მასშტაბების ასეთი შერჩევის პირობებში ab იქნება $d'O$ -ს მართობი. მიღებული bc მონაკვეთი შესაბამის m_t მასშტაბში შეესაბამება Δt დროს, რომელიც

დასჭირდება მატარებელს AB მანძილის გასავლელად $V_{\text{სა}} \text{ სიჩქარით}$ მოძრაობისას (ნახ. 13.11).

პრაქტიკულად დროის მრუდის აგება წარმოებს შემდეგნაირად:

აგებულ სიჩქარის მრუდს $V(S)$ (0-1-2-3-4 ტეხილს) ვყოფთ პირობით უბნებად 0-1, 1-2, 2-3, 3-4 და ა.შ. (ნახ. 13.12). თითოეული უბნისათვის ვსაზღვრავთ საშუალო სიჩქარის მნიშვნელობებს და ვაგეგმარებთ AB ვერტიკალზე ($1'$, $2'$ და ა.შ.). $1'$ წერტილს ვაერთებთ სახაზავით კოორდინატთა სათავის O წერტილთან და ვავლებთ $1'-O$ -ს მართობს, პირველი უბნის ΔS_1 საზღვრამდე Oa -ს. a წერტილის ორდინატი იქნება დრო Δt_1 , რომელიც დასჭირდება მატარებელს ΔS_1 უბნის გასავლელად. შემდეგ ვიღებთ მომდევნო უბანს ΔS_2 , ვსაზღვრავთ საშუალო სიჩქარეს $V2$ -ს, ვაგეგმარებთ AB ვერტიკალზე. $2'$ წერტილს ვაერთებთ O წერტილთან სახაზავით და ვავლებთ მის მართობს a წერტილიდან ab -ს, მომდევნო უბნის საზღვრამდე და ა.შ. a და b წერტილების ორდინატთა სხვაობა მოგვცემს დროს Δt_2 , რომელიც საჭირო იქნება $V2$ საშუალო სიჩქარით მოძრაობისას ΔS_2 უბნის გასავლელად. თუ შევკრებთ Δt_i დროებს მთელი გადასარბენის ფარგლებში $\Sigma \Delta t_i$, მივიღებთ სვლის ჯამურ დროს (ნახ. 13.12).



ნახ. 13.12. დროის მრუდის აგება
სიჩქარის მრუდის გამოყენებით.

დიფერენციალური განტოლებების გრაფიკული ამოხსნის მასშტაბები მოყვანილი არის [13].

13.6. მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ინტეგრირების ანალიზური მეთოდი

წევის ანგარიშებს საფუძვლად უდევს მოძრაობის არაწრფივი დიფერენციალური განტოლების ინტეგრირება. დღეისათვის ცნობილია განტოლების ამოხსნის რამდენიმე მეთოდი.

მატარებელთა წევის საფუძვლების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, დიდ ინტერესს იწვევდა მოძრაობის არაწრფივი დიფერენციალური განტოლების ამოხსნასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, დიფერენციალური განტოლების ამოხსნა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მატარებელთა მოძრაობის სიჩქარეები და სვლის დროები, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ამოხსავალ მონაცემებს ორთქმავლური და თბომავლური წევისათვის საწვავის ხარჯის, ხოლო ელექტრული წევისათვის ელექტროენერგიის ხარჯის განსასაზღვრავად.

იმის გამო, რომ მოძრაობის აღმწერი დიფერენციალური განტოლება არაწრფივია და დღემდე არ არსებობდა მისი ამოხსნის ანალიზური მეთოდი, როგორც წრფივი დიფერენციალური განტოლებებისთვის, ამიტომ სპეციალისტთა უმრავლესობა იყენებდა და იყენებს ამოხსნის მიახლოებით (ასიმპტოტურ) მეთოდებს. გარდა აღნიშნულისა ლოკომოტივის წევის მახასიათებლებზე არსებული მთელი რიგი შეზღუდვები (ჩაჭიდებით, წევის ძრავების მაგნიტური ველის შესუსტებით, სიჩქარით) განაპირობებს წევის მახასიათებლის არაწრფივობას, რაც ქმნის დამატებით სირთულეებს ამ ამოცანის გადაწყვეტაში. აღნიშნულის გამო, სამწუხაროდ, დღემდე მოძრაობის აღმწერი არაწრფივი დიფერენციალური განტოლების ამოხსნისთვის იყენებენ გრაფო-ანალიზურ ან გრაფიკულ მეთოდებს. დღემდე სასწავლო სახელმძღვანელოებში და სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად როგორც ერთადერთი, ეს მეთოდებია გამოყენებული.

დღეისათვის კომპიუტერული ტექნიკის არნახული განვითარება და მისი დიდი შესაძლებლობები, მოძრაობის არაწრფივი დიფერენციალური განტოლების ამოხსნის ახალი მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა.

კერძოდ, საწყის დიფერენციალურ განტოლებებში: დროის, სიჩქარის, აჩქარების განზომილების შესაბამისად იცვლებიან გადამყვანი კოეფიციენტები, რომლებისთვისაც ხდება სპეციალური ცხრილების შედგენა.

ამავე მიზეზით მნიშვნელოვნად რთულდება გრაფიკული და გრაფო-ანალიზური გაანგარიშებები, რადგან ისინი, აგრეთვე, მოითხოვენ სპეციალური მასშტაბების შერჩევას, რომლებიც რეკომენდებულია სპეციალური ცხრილების სახით.

ამოცანის ანალიზური გადაწყვეტისათვის აუცილებელი ხდება მარტივი ფუნქციის შერჩევა, რომელიც კარგად ახდენს ტეხილ-არაწრფივი დამოკიდებულების $Q(V) = (f - w)$ აპროქსიმირებას, ამავდროულად, შესაძლებლობას იძლევა ადვილად მოვახდინოთ ინტეგრირება და მივიღოთ არართული ფორმულები, რომლებითაც, თავის მხრივ, ადვილად ჩატარდება შესაბამისი გამოთვლები.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებული იყო სხვადასხვა ფუნქციები, რომლებიც მთლიანად, ან ცალკეულ უბნებზე ახდენდნენ $Q(V)$ დამოკიდებულების აპროქსიმირებას. მაგალითად, ერთიანი წრფის სახით, სამწევრა პარაბოლის სახით და ა.შ. ყველა ეს მეთოდი, უზუსტობის და საანგარიშო ფორმულების სირთულის გამო, დღემდე პრაქტიკაში არ გამოიყენება.

ჩვენ მიერ ქვემოთ შემოთავაზებულია ახალი წილად-წრფივი ფუნქციის გამოყენება, რომელიც განსხვავებით სხვა ცნობილი ფუნქციებიდან, უკეთესად ახდენს $Q(V)$ დამოკიდებულების აპროქსიმირებას მინიმალური ცდომილებით და გაანგარიშებისთვის მიღებული მარტივი გამოსახულებების გამოყენებით, შესაძლებლობას იძლევა გაანგარიშებები ჩავატაროთ გამოთვლითი ტექნიკის საშუალებით. აღნიშნულ ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$Q(V) = (f - w) = \frac{f_0(1-aV)}{1-bV}, \quad (13.31)$$

სადაც, a და b კოეფიციენტებია, რომლებიც განისაზღვრებიან შემდეგი გამოსახულებებით:

$$a = \frac{[A_1(bV_1 - 1) + 1]}{V_1}; \quad b = \frac{[(A_1 - 1)V_2 - (A_2 - 1)V_1]}{V_1 V_2 (A_1 - A_2)}, \quad (13.32)$$

$$\text{სადაც, } A_1 = \frac{Q(V_1)}{f_0}, \quad A_2 = \frac{Q(V_2)}{f_0}.$$

V_1 და V_2 არჩეული საცდელი წერტილების კოორდინატები.

$$Q(O) = f_0 - \text{ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობა, როდესაც } V = 0.$$

ქანობების გათვალისწინება ხდება ქვემოთ მოყვანილი გამოსახულებების საფუძველზე

$$Q(V) \pm i = \left[\frac{f_0(1-aV)}{1-bV} \right] \pm i. \quad (13.33)$$

თუ მოვახდენოთ (13.33) გამოსახულების მარტივ გარდაქმნას მივიღებთ:

$$Q(V) \pm i = \frac{f_{0i}(1-a_i V)}{1-bV}, \quad (13.34)$$

$$\text{სადაც, } f_{0i} = f_0 \pm i;$$

$$a_i = \frac{f_0 a \pm ib}{f_0 + i}. \quad (13.35)$$

(13.34) ფორმულიდან ჩანს, რომ ქანობების არსებობის შემთხვევაში, (13.35) ფორმულის თანახმად უნდა ვცვალოთ მხოლოდ f_0 და a .

ა) წევის რეჟიმის გაანგარიშება

(13.31) ფორმულის გათვალისწინებით ძირითად დიფერენციალურ განტოლებებს

$$\text{ექნებათ } \dot{V} = \frac{127}{1+\gamma} \cdot f_0 \frac{1-aV}{1-bV}, \quad (13.36)$$

$$V \frac{dV}{dS} = \frac{127}{1+\gamma} \cdot f_0 \frac{1-aV}{1-bV}. \quad (13.37)$$

(13.36) და (13.37) განტოლებებში სიჩქარე V -იზომება კმ/სთ-ში; მანძილი S – კმ-ში.

ხვედრითი ძალა $f_0 = \frac{\delta\theta}{\delta} \cdot \dot{\theta}$ ან $\left(\frac{\delta}{\delta\theta} \right) \cdot \dot{\theta}$.

საწყისი პირობების გათვალისწინებით, როდესაც $t = t_0$, მაშინ $V = V_0$. (13.36) და

$$(13.37) \text{ განტოლებების ინტეგრირების და გარკვეული გარდაქმნების შემდეგ საბოლოოდ მივიღებთ} \quad t - t_0 = \frac{1}{a^2 F_0} \left[(b-a) \ln \frac{1-aV}{1-aV_0} + b(aV - aV_0) \right], \quad (13.38)$$

$$s - s_0 = \frac{1}{a^3 F_0} \left\{ (b-a) \ln \frac{1-aV}{1-aV_0} + (b-a)(aV - aV_0) + \frac{b}{2} [(aV)^2 - (aV_0)^2] \right\}, \quad (13.39)$$

$$\text{სადაც, } F_0 = \frac{127 f_0}{1+\gamma}.$$

(13.38) და (13.39) გამოსახულებებით შეგვიძლია გავთვალოთ დროის დამოკიდებულება სიჩქარეზე $t(V)$ და განვლილი მანძილის დამოკიდებულება სიჩქარეზე $s(V)$, $t(V)$ და $s(V)$ დამოკიდებულებების საანგარიშო ცხრილების საფუძველზე, ერთი და იმავე V_i სიჩქარეებისთვის ვიღებთ დროის t_i და მანძილის s_i მნიშვნელობებს და ადგილად გავთვლით დამოკიდებულებას $t(s)$.

აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ (13.38) და (13.39) გამოსახულებების თანახმად, დროის, სიჩქარის და მანძილის განზომილება შეიძლება იყოს ნებისმიერ ერთეულში, ანუ არ არსებობს ცვლადების სპეციალურ ერთეულებში განზომილებების მოთხოვნების დაცვის აუცილებლობა.

ბ) დამუხრუჭების რეჟიმის გაანგარიშება

ამ შემთხვევაში სამუხრუჭებე ამოცანების საერთო გადაწყვეტა შეიძლება მივიღოთ დამუხრუჭების რეჟიმის შესაბამისი დიფერენციალური განტოლებების ინტეგრირებით. სამუხრუჭებე ამოცანის გადაწყვეტისას გამოიყენება ფუნქცია

$$Q_{\varrho}(V) = 0.5b_{\varrho} + w_x. \quad (13.40)$$

ეს დამოკიდებულება, ისევე როგორც წევის რეჟიმში, მოცემულია ცხრილის სახით. როგორც მრავალრიცხოვანმა გათვლებმა აჩვენა ეს დამოკიდებულება, ასევე, კარგად შეიძლება იყოს აპროქსიმირებული შემდეგი სახის წილად-წრფივი ფუნქციით

$$Q_{\varrho}(V) = \frac{f_m(1+mV)}{1+nV}, \quad (13.41)$$

სადაც, m და n მუდმივი კოეფიციენტებია, რომლებიც განისაზღვრება ცნობილი მეთოდით $Q_{\varrho}(V)$ მრუდიდან, შემდეგი თანაფარდობიდან

$$n = \frac{(A_1 - 1)V_2 - (A_2 - 1)V_1}{V_1 V_2 (A_2 - A_1)}, \quad m = \frac{1}{V_1} [A_1(1+nV_1) - 1], \quad (13.42)$$

$$\text{სადაც, } \frac{Q_{\varrho}(0)}{f_m} = \frac{f_m}{f_m} = 1, \quad A_1 = \frac{Q_{\varrho}(V_1)}{f_m}, \quad A_2 = \frac{Q_{\varrho}(V_2)}{f_m}.$$

$Q_{\varrho}(V_1)$ და $Q_{\varrho}(V_2)$ არის ხვედრითი სამუხრაჭე ძალების მნიშვნელობები V_1 და V_2 სიჩქარეებზე.

f_m – მაქსიმალური ხვედრითი სამუხრაჭე ძალა, როდესაც $V=0$.

ზემოთგანხილულის მსგავსად ქანობების არსებობის შემთხვევაში გვექნება

$$Q_{\varrho}(V) \pm i = f_m \frac{1+mV}{1-nV} \pm i. \quad (13.43)$$

აქედან შეგვიძლია დავწეროთ

$$Q_{\varrho i}(V) = f_{mi} \frac{1+m_i V}{1-nV}, \quad (13.44)$$

სადაც, $f_{mi} = (f_m \pm i)$;

$$m_i = \frac{f_m m \pm in}{f_m \pm i}. \quad (13.45)$$

როგორც ვრწმუნდებით (13.44) და (13.45) გამოსახულებები მსგავსია (13.33) გამოსახულების.

დამუხრაჭების რეჟიმის შესაბამის დიფერენციალურ განტოლებებს ექნებათ შემდეგი სახე:

$$\frac{dV}{dt} = -\frac{127}{1+\gamma} \cdot f_m \frac{1+mV}{1+nV}, \quad (13.46)$$

$$V \frac{dV}{dS} = -\frac{127}{1+\gamma} \cdot f_m \frac{1+mV}{1+nV}. \quad (13.47)$$

საწყისი პირობების გათვალისწინებით, როდესაც $t=0$, მათიც $V=V_0$ (13.44) და (13.45) განტოლებების ინტეგრირებით საბოლოოდ მივიღებთ

$$t - t_0 = \frac{1}{m^2 F_m} \left[n(mV_0 - mV) - (n-m) \ln \frac{1+mV_0}{1+mV} \right], \quad (13.48)$$

$$S - S_0 = \frac{1}{m^3 F_m} \left[(m-n)(mV_0 - mV) - (m-n) \ln \frac{1+mV_0}{1+mV} + \frac{n}{2} [(mV_0)^2 (mV)^2] \right], \quad (13.49)$$

$$\text{სადაც, } F_m = \frac{127f_m}{1+\gamma}.$$

(13.48) და (13.49) გამოსახულებებით შეგვიძლია გამოვთვალოთ დამოკიდებულება ბები

$$t_m = f(V), \quad S_m = f(V).$$

წევის რეჟიმის მსგავსად შეგვიძლია განვითაროთ $t_m = f(S)$.

გ) თავისუფალი გორვის რეჟიმის გაანგარიშება

ამ რეჟიმში მოძრაობისადმი ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა იქნება

$$w_x \pm i$$

დამოკიდებულება $w_x(V)$ მოცემულია ცხრილის და შესაბამისი დიაგრამის სახით. მისი აპროქსიმაციისთვის, ასევე, წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ გამოსახულება

$$Q_\delta(V) = w_0 \frac{1+m_1 V}{1-n_1 V}, \quad (13.50)$$

სადაც, w_0 არის ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა, როდესაც $V=0$.

m_1 და n_1 განისაზღვრება $Q_\delta(V)$ მრუდიდან აღებული საცდელი წერტილების შერჩევით, შემდეგი გამოსახულებებით:

$$n_1 = \frac{(A_1 - 1)V_2 - (A_2 - 1)V_1}{V_1 V_2 (A_1 - A_2)}, \quad m_1 = \frac{1}{V_1} [A_1(1 - n_1 V_1) - 1], \quad (13.51)$$

$$\text{სადაც, } A_1 = \frac{Q_{\text{თე}}(V_1)}{w_0}, \quad A_2 = \frac{Q_{\text{თე}}(V_2)}{w_0}.$$

ქანობების არსებობის შემთხვევაში გვექნება $Q_\text{თ}(V) \pm i$ და საბოლოო განტოლებას ექნება სახე

$$Q_{\text{თ}i}(V) = w_{0i} \frac{1+m_{1i} V}{1-n_1 V}, \quad (13.52)$$

$$\text{სადაც, } w_{0i} = w_0 \pm i, \quad m_{1i} = \frac{m_1 w_0 \pm n_1 i}{w_0 \pm i}.$$

თუ (13.52) განტოლებას ჩავსვამთ ძირითად დიფერენციალურ განტოლებებში მივიღებთ:

$$\frac{dV}{dt} = -\frac{127}{1+\gamma} w_0 \frac{1 \pm m_1 V}{1 - n_1 V}, \quad (13.53)$$

$$V \frac{dV}{dS} = -\frac{127}{1+\gamma} w_0 \frac{1 \pm m_1 V}{1 - n_1 V}. \quad (13.54)$$

ინტეგრირების შემდეგ, საწყისი პირობების გათვალისწინებით (როდესაც $t=t_0$, $V=V_0$), საბოლოოდ შეგვიძლია დავწეროთ:

$$t - t_0 = \frac{1}{m_1^2 F_\delta} \left[(m_1 + n_1) \ln \frac{1+m_1 V_0}{1+m_1 V} - n_1 (m_1 V_0 - m_1 V) \right], \quad (13.55)$$

$$S - S_0 = \frac{1}{m_1^3 F_\delta} \left[(m_1 + n_1)(m_1 V_0 - m_1 V) - (m_1 + n_1) \ln \frac{1+m_1 V_0}{1+m_1 V} - \frac{n_1}{2} [(m_1 V_0)^2 - (m_1 V)^2] \right], \quad (13.56)$$

$$\text{სადაც, } F_\delta = \frac{127 w_0}{1 + \gamma}.$$

ამგვარად, შესაძლებელია პრაქტიკული ანგარიშებისათვის საკმარისი სიზუსტით გავიანგარიშოთ თავისუფალი გორვის რეჟიმი.

წევის გაანგარიშების წარმოდგენილი ანალიზური მეთოდის სიზუსტის ილუსტრირებისთვის, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები წევის (დაძვრა და გაქანები), დამუხრუჭების და თავისუფალი გორვის რეჟიმებისათვის, გზის ჰორიზონტალურ მონაკვეთებზე (ქანობების გაუთვალისწინებლად).

13.7. წევის გაანგარიშების ანალიზური მეთოდის მაგალითები

1. წევის რეჟიმი


13.13 ა ნახაზზე 1 მრუდის სახით (მსხვილი ხაზი), მოცემულია ВЛ80^k ელექტრომავლის წევის მახასიათებელი ხვედრით ფორმაში, აღებული [1]. ცხრილიდან, ე.წ. ამაჩქარებელ მალთა დიაგრამა $V(f - w_0)$. საცდელი ორი წერტილის კოორდინატებისთვის $[V_1 = 60 \frac{\text{ძ}}{\text{სთ}}, (f - w_0)_1 = 8 \frac{\text{ძ}}{\text{გ}} \text{ და } V_2 = 90 \frac{\text{ძ}}{\text{სთ}}; (f - w_0)_2 = 1 \frac{\text{ძ}}{\text{გ}}]$, (13.30)

გამოსახულების თანახმად ვსაზღვრავთ კოეფიციენტებს $a = 0,1075$, $b = 0,005952$.

(13.31) გამოსახულების საფუძველზე ვსაზღვრავთ მაპროქსიმირებელ 2 მრუდს (ნახ. 13.13-ზე წერილი ჯერებიანი ხაზი). ამ დროს $f_0 = 14,5 \frac{\text{გ}}{\text{გ}}$.

როგორც ნახაზიდან ჩანს, მაპროქსიმირებელი მრუდი 2 საკმაოდ ახლოსაა საწყის 1 მრუდთან. (13.38) და (13.39) გამოსახულებებით გავთვლით დამოკიდებულებებს $t(V)$ და $S(V)$. ამ მრუდების ცხრილების მონაცემებით ვაგებო დროის დამოკიდებულებას განვლილ მანძილზე $t(s)$. ეს დამოკიდებულება $t(s)$ შეიძლება აგაროვ უკვე არსებული ორი მრუდის $t(V)$ და $S(V)$ საშუალებით, რომლებიდანაც ერთი და იგივე სიჩქარის V_i მნიშვნელობისათვის დავადგენო t_i და S_i მნიშვნელობებს. ფუნქციონალური დამოკიდებულებები $t(V)$, $S(V)$, $t(s)$ მოცემულია 13.13 ბ ნახაზზე.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ანალიზური და არსებული გრაფიკული მეთოდით მიღებული გაანგარიშებები მოცემულია 13.1 ცხრილში.



ნახ. 13.13

ცხრილი 13.1

V	20	30	40	50	60	70	80
S გრაფ.	124	291	562,4	916,5	1396,6	2187,5	3750
S ანალ.	137	291	547,7	915,8	1482	2213	3615

როგორც ცხრილიდან ჩანს განსხვავება მიღებულ შედეგებს შორის პრაქტიკული გაანგარიშებებისათვის უმნიშვნელოა. გაანგარიშების არსებული გრაფიკული მეთოდი, მიუხედავად გარკვეული უხერხულობებისა, ხასიათდება საკმაო სიზუსტით. ამის დასამტკიცებლად ქვემოთ განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითს, როდესაც წევის რეჟიმის განტოლებას აქვს ანალიზური ამოხსნა. ამ მიზნით განვიხილოთ წევის (გაქანების) რეჟიმი, როდესაც ხვედრითი ამაჩქარებელი ძალა იცვლება კანონით

$$f - w = a - bV. \quad (13.57)$$

თუ წევის რეჟიმის შესაბამის დიფერენციალურ განტოლებაში ჩავსვამთ (13.57) გამოსახულებას, ინტეგრირების შემდეგ მივიღებთ

$$S = \frac{1000}{120} \frac{1}{b^2} \left[a \ln \frac{a}{a - bV} - bV \right] \quad (13.58)$$

კოფიციენტების ცნობილი კონკრეტული მნიშვნელობებისათვის $a = 15$ კგ/ტ; $b = 0,1363$ გაანგარიშებით მიღებული კონკრეტული მნიშვნელობები მოცემულია 13.2 ცხრილში. შედარებისთვის აქვე მოცემულია გრაფიკული მეთოდით მიღებული გაანგარიშების შედეგები.

ცხრილი 13.2


V	10	20	30	40	50	60	70
S გრაფ	31,22	145,8	354	687,5	1208,33	2043,3	3437,5
S ანალ	29,58	126,72	307,34	593,8	1018,7	1632,9	2521,26

2. დამუხრუჭების რეჟიმი

ამ რეჟიმისათვის ფუნქციონალური დამოკიდებულება ხვედრით სამუხრუჭო ძალასა და სიჩქარის შორის $V(0,5b_T + w_0)$, გ.წ. შემანელებელ ძალთა დიაგრამა მოცემულია 13.13 ა ნახაზზე, (მრუდი 3). საცდელი წერტილების მნიშვნელობებისათვის $V_1 = 25 \text{ კმ/სთ}$, $Q_{\text{დ}}(V_1) = 26,4 \text{ კგ/ტ}$; $V_2 = 80 \text{ კმ/სთ}$, $Q_{\text{დ}}(V_2) = 18,6 \text{ კგ/ტ}$; (13.42) ფორმულების გამოყენებით გამოვთვლით კოეფიციენტების მნიშვნელობებს $m = 0.01152$, $n = 0.04888$ და (13.41) ფორმულით გავთვლით დამოკიდებულებას $Q_{\text{დ}}(V)$. სამუხრუჭო ძალის აპროქსიმაციის საკმარისი სიზუსტის შესაფასებლად, გაანგარიშებით მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 13.3 სახით.

ცხრილი 13.3

V	0	10	20	30	40	50	60	70	80	90	100
რეალ. მრუდი	45.8	34.0	28.1	24.6	22.6	21.0	19.9	19.2	18.7	18.3	18.2
აპროქს. მრუდი	45.8	33.86	28.22	24.94	22.79	21.28	20.1	19.2	18.59	18.0	17.56




ნახ. 13.14

როგორც (13.3) ცხრილიდან ჩანს, ზემომოყვანილი მეთოდით აპროქსიმირება საკმაოდ ზუსტია. თუ ჩავსვამთ რიცხვით მნიშვნელობებს $m = 0.01152$ და $n = 0.04888$ (13.55) და (13.56) ფორმულებში, შეგვიძლია გამოვთვალოთ $t(V)$ და $S(V)$ სამუხრავო რეჟიმისათვის. გაანგარიშებით მიღებული ფუნქციონალური დამოკიდებულებები მრუდების სახით წარმოდგენილია 13.14 ნახაზზე.

ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი გრაფიკული გაანგარიშებით მიღებული სიდიდეების მოყვანა, რადგან ანალიზური გაანგარიშების მეთოდი გაცილებით ზუსტია გრაფიკულზე.

3. თავისუფალი გორგის რეჟიმი

ამ რეჟიმისათვის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის დამოკიდებულება სიჩქარეზე $w_x(V)$ მოცემულია 13.13 ა ნახაზზე. (მრუდი 4). საცდელი წერტილების მნიშვნელობებისათვის $V_1 = 40 \frac{\text{đ}}{\text{სთ}}$, $w_x = 3,4 \frac{\text{đ}}{\text{ტ}}$ და $V_2 = 3,4 \frac{\text{đ}}{\text{ტ}}$, $w_x = 6,0 \frac{\text{đ}}{\text{ტ}}$, (13.51) ფორმულებით განვსაზღვრავთ კოეფიციენტების მნიშვნელობებს $m_1 = 0.000959$ და $n_1 = 0.006675$.



ნახ. 13.15

ცნობილი m_1 და n_1 მნიშვნელობებისთვის (13.50) ფორმულით გამოვთვლით მაპროქსიმირებელ ფუნქციას $Q_\delta(V)$ და იგივე მოსაზრებებით, როგორც დამუხრუჭების რეჟიმისთვის, მონაცემებს შევიტანო ცხრილში (ცხრილი 13.4).

ცხრილი 13.4

V	0	10	20	30	40	50	60	70	80	90	100
რეალ. მრუდი	2.4	2.55	2.76	3.40	3.65	3.83	4.32	4.89	5.52	6.23	7.00
აპროქ. მრუდი	2.4	2.59	2.8	3.086	3.4	3.774	4.232	4.82	5.54	6.52	7.20

(13.55)-(13.56) გამოსახულებებით ვითვლით ფუნქციონალურ დამოკიდებულებებს $t(V)$, $S(V)$ და მათი საშუალებით $t(S)$. აღნიშნული ფუნქციონალური დამოკიდებულებები მოცემულია 13.15 ნახაზზე.

13.8. მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების რიცხვითი ინტეგრირება

აკადემიკოსმა ა.ნ.კრილოვმა ერთმანეთისგან განაცალკავა დიფერენციალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის შემდეგი ჯგუფები:

1. საერთო ინტეგრალის დაშლა მწკრივებად.
2. თანმიმდევრული მიახლოების ხერხის გამოყენება,
3. მიახლოებითი რიცხვითი ინტეგრირება.

წევის გაანგარიშების დროს არ არის აუცილებელი მატარებლის მოძრაობის აღმწერი დიფერენციალური განტოლების ზოგადი ამოხსნის პოვნა. საკმარისია კერძო ამონახსნის პოვნა, რომელიც აკმაყოფილებს საწყის პირობებს. ამასთანავე არაა აუცილებელი საძიებელი ამონახსნი წარმოდგენილი იქნეს ანალიზურად ან ფუნქციის სახით. საკმარისია ის წარმოვადგინოთ შესაბამისი მრუდების სახით, რომლებიც წარმოადგენენ მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ამონახსნს. ქვემოთ განვიხილავთ ამ მეთოდთაგან ერთ-ერთს, ეილერის მეთოდს.

ვთქვათ საძიებელი ფუნქცია განისაზღვრება დიფერენციალური განტოლებით

$$\frac{dy}{dx} = \varphi(x, y) \quad (13.59)$$

საწყისი პირობით $y(x_0) = y_0$.

თუ შევირჩევთ მცირე ბიჯს h და მივიღებთ, რომ სანამ x იმყოფება x_0 და $x_0 + h$ შორის, მაშინ y მცირედ განსხვავდება y_0 -გან, წარმოებული $\frac{dy}{dx}$ ინარჩუნებს

მუდმივ მნიშვნელობას $\varphi(x_0, y_0)$ და შესაბამისად განსახილველ ინტერვალში შეგვიძლია დაგწეროთ

$$y = y_0 + (x - x_0) \cdot \varphi(x_0, y_0). \quad (13.60)$$

როდესაც $x = x_0 + h$, მაშინ

$$y = y_0 + h\varphi(x_0, y_0) = y_1.$$

მეორე ინტერვალისთვის, როდესაც $x = x_1 + 2h$

$$y = y_1 + h\varphi(x_1, y_1) = y_2 \quad \text{და ა.შ.}$$

ამგვარად ვიღებთ x_i, y_i წერტილებს, რომლებიც ტეხილი ხაზის მწვერვალებია და რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს (13.59) დიფერენციალური განტოლების ამონასს. ზოგადად ნებისმიერი y_i -ის თვის შეგვიძლია დაგწეროთ

$$y_{i+1} = y_i + h\varphi(x_i, y_i) \quad (i = 0, 1, 2, 3, \dots). \quad (13.61)$$

რაც ნაკლებია ბიჯი h , მით უფრო ახლოსაა მიღებული ტეხილი საძიებელ ინტეგრალურ $y = y(x)$ მრუდთან.

მაგალითი:

ეილერის მეთოდით ვიპოვოთ დამოკიდებულება $V(S)$ მატარებლის გაქანებისას 19 კმ/სთ სიჩქარიდან 40 კმ/სთ სიჩქარემდე.

გავიხსენოთ მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება ჩაწერილი მეორე ფორმაში

$$V \frac{dV}{dS} = \zeta f_\phi. \quad (13.62)$$

თუ შევადარებთ ერთმანეთს (13.62)-ს და (13.59)-ს ვნახავთ, რომ y -ს შეესაბამება V , x -ს შეესაბამება s , ხოლო $\varphi(x_i, y_i)$ -ს შეესაბამება $\frac{\zeta f_\phi}{V}$. მაშინ, თუ მივიღებთ, რომ $V_0 = 19 \text{ კმ/სთ-ს}$; აღნიშნულ სიჩქარეზე (ამაჩქარებელ დიაგრამიდან) $f_\phi = 5,82 \frac{\text{ს}}{\text{მ}} \cdot \frac{\text{ს}}{\text{მ}}$

და შევირჩევთ ბიჯს $h = 0.1 \text{ კმ-ს}$, მივიღებთ:

$$V_2 = 19 + 0.1 \cdot 120 \cdot \frac{5.82}{19} = 22,7 \frac{\text{ს}}{\text{მ}}.$$

მესამე ინტერვალისთვის

$$V_3 = 22,7 + 0.1 \cdot 120 \cdot \frac{4.94}{22,7} = 25.3 \frac{\text{ს}}{\text{მ}}.$$

შემდგომ ანგარიშს ვაკეთებთ ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 13.5).

ცხრილი 13.5

S გ	V გმ/სთ	f ₀ 6/გნ	Δv გმ/სთ
0	19,0	5,82	3,7
100	22,7	4,94	2,6
200	25,3	4,29	2,0
300	27,3	3,91	1,7
400	29,1	3,60	1,5
500	30,6	3,39	1,3
600	31,9	3,21	1,2
700	33,1	3,04	1,1
800	34,2	2,89	1,0
900	35,2	2,75	0,9
1 000	36,2	2,65	0,9
1 100	37,1	2,55	0,8
1 200	37,9	2,46	0,8
1 300	38,7	2,37	0,7
1 400	39,4	2,29	0,7
1 500	40,1	2,21	0,7

როგორც ცხრილი (13.5)-დან ჩანს მატარებელი 19 გმ/სთ სიჩქარიდან 40,1 გმ/სთ სიჩქარემდე გაქანდება 1 500 მ მანძილზე.

როგორც ეილერის მეთოდი ამტკიცებს, რაც მცირე სიდიდისა ბიჯი h , მით უფრო დიდია გათვლის სიზუსტე. მაგრამ ირკვევა, რომ დიდი მასშტაბის გათვლებისას, ისეთი დიდია ცდომილებათა რაოდენობა, რომ მათმა ჯამში შეიძლება მიაღწიოს მნიშვნელოვან სიდიდეს. ეს ცდომილებები გამოწვეულია იმით, რომ განსახილველ ინტერვალებში x და y სიდიდეები აიღება, როგორც უცვლელი და ინტერვალის საწყისში აღებული მნიშვნელობების ტოლი, რაც სინამდვილეში ასე არ არის.

14.1. წევის გაანგარიშების მიზანი

წევის გაანგარიშების მიზანს შეადგენს მატარებლების წონების, საუბნო სვლის დროების, მოძრაობის დასაშვები სიჩქარეების დადგენა, ლოკომოტივების სიმძლავრის და მატარებლების კინეტიკური ენერგიის მაქსიმალური მნიშვნელობების გამოყენების პირობებში. ამასთანავე, წევის გაანგარიშებებით დგინდება მატარებლების რაციონალური ტარების რეჟიმები, ელექტროენერგიის მინიმალური ხარჯი. წარმოებს სამუხრუჭო ამოცანების გადაწყვეტა.

წევის გაანგარიშების თანმიმდევრობა შემდეგია:

1. პროფილის გასწორება.
2. ელექტრომავლების და ვაგონების მოცემული ტიპისათვის მატარებლების წონების დადგენა.
3. ხელორით ამაჩქარებელ და ხელორით შემანელებელ ძალთა დიაგრამების აგება (მოძრაობის შესაბამისი რეჟიმებისათვის).
4. მატარებლების წონების დაზუსტება, ელექტრომავლის ელექტრომოწყობილობების გახურების მიხედვით.
5. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის განსაზღვრა.
6. ელექტრომომარაგების სისტემის რეჟიმების დადგენა.

გრაფიკული გაანგარიშების შემთხვევაში ვსარგებლობთ წევის გაანგარიშების წესებით [13] რეკომენდებულ მასშტაბებით.

მაჩვენებლებს ვსაზღვრავთ შემდეგი სიზუსტით:

- ქანობები – მძიმის შემდეგ ერთი ნიშანი, 0.1%-მდე.
- მანძილს – 0.1 კმ-მდე.
- ძალას – 50 ნ-ის ფარგლებში დამრგვალებით.
- ხელორითი ძალას – 0.01 ნ/კნ სიზუსტით.
- სიჩქარეს – 0.1 კმ/სთ სიზუსტით.
- შემადგენლობის წონას – 50 კნ-ის სიზუსტით.
- სვლის დროს – 0.1 წთ-ის სიზუსტით.
- ელექტროენერგიის ხელორით ხარჯს – 0.1 კვტ.სთ / გ კმ-ის სიზუსტით.
- ელექტროენერგიის სრულ ხარჯს – 10 კვტ.სთ-ის სიზუსტით.
- გახურების ტემპერატურას – 1°C-ს სიზუსტით.

14.2. პროფილის გასწორება

რკინიგზის პროფილი შედგება ცალკეული ელემენტებისაგან, რომლებისთვისაც დამახასიათებელია გარკვეული სიგრძე და დახრილობა (ქანობი). გეგმაში რკინიგზის ხაზი, გარდა სწორხაზოვანი უბნებისა, მოიცავს მრუდხაზოვან უბნებს (მრუდეებს), რომლებისთვისაც დამახასიათებელია მრუდის რადიუსი ან ცენტრალური კუთხე და რკალის სიგრძე. ქანობების და მრუდეების არსებობა, როგორც ვიცით, დაკავშირებულია მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალების გაჩენასთან. ამიტომ ერთი ტიპის ელემენტიდან მეორეზე გადასვლისას იცვლება მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის მნიშვნელობა და შესაბამისად მოძრაობის სიჩქარე. როგორც ზემოთ ვნახეთ, მატარებლის ფიზიკური მოდელის მიხედვით, მოძრავი მატარებელი წარმოგვიდგება, როგორც მატერიალური წერტილი. ყოველივე აღნიშნულის გამო გაანგარიშებები უნდა ვაწარმოოთ პროფილის ყველა ელემენტისათვის, რაც განუზომლად ზრდის გაანგარიშების მოცულობებს. ამავე დროს ვთვლით, რომ ერთი ელემენტიდან მეორეზე გადასვლისას მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა იცვლება მყისვე. სინამდვილეში რეალურ მატარებელს გააჩნია გარკვეული სიგრძე და ის შეიძლება ერთდროულად იყოს განთავსებული რამდენიმე ელემენტზე, მაგალითად ისე, როგორც ნაჩვენებია 14.1 ნახაზზე. ამიტომ, მიზანშეწონილია ანგარიშებში, ერთი მხრივ ერთმანეთის მიჯრით განთავსებული, რაოდენობრივად მცირედ განსხვავებული, ერთნაირი ნიშნის ელემენტები (აღმართები, ან თავდაღმართები) შეიცვალოს ერთი ელემენტით; ხოლო მხრივ რეალურად არსებული მრუდეები, შეიცვალოს ფიქტიური ქანობებით (აღმართებით). აღნიშნულ პროცესს ეწოდება პროფილის გასწორება.


ზოგადი განმარტება: გასწორება გულისხმობს რეალური პროფილის ისეთი ფიქტიური პროფილით შეცვლას, რომლის დაძლევაზეც დაიხარჯება იგივე ენერგია, რაც დაიხარჯებოდა რეალური პროფილის შემთხვევაში.

გასწორება ტარდება ორ ეტაპად: პროფილში და გეგმაში.

14.2.1. გასწორება პროფილში

ვთქვათ გვაქვს სამი ერთნაირი ნიშნის ქანობი (ქანობის მცნება იხ. მე-2 თაგში), რომელთა მნიშვნელობებია $i_1\%$, $i_2\%$ და $i_3\%$, ხოლო შესაბამისი სიგრძეებია S_1 , S_2 და S_3 (ნახ. 14.1).

თუ მატარებელი მოძრაობს რეალურ $abcd$ პროფილზე, მაშინ წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე შესრულებული რეალური მუშაობა A_f ტოლი იქნება



ნახ. 14.1. პროფილის გასწორება.

$$A_\phi = (P+Q)(w_0 + w'_1)S_1 + (P+Q)(w_0 + w'_2)S_2 + (P+Q)(w_0 + w'_3)S_3, \quad (14.1)$$

სადაც w_0 არის მატარებლის მოძრაობისადმი ძირითადი ხვედრითი წინააღმდეგობა ნ/ქნ.

w'_1 , w'_2 , w'_3 – შესაბამის ელემენტზე ქანობით გამოწვეული დამატებითი ხვედრითი წინააღმდეგობა, ნ/ქნ.

S_1 , S_2 , S_3 – შესაბამისი ელემენტების სიგრძეები, მეტრებში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ $w'_1 = i_1$, $w'_2 = i_2$, $w'_3 = i_3$ (ქანობით გამოწვეული ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა თვით ამ ქანობის ტოლია), მაშინ (14.1)-ის ნაცვლად შეგვიძლია დავწეროთ

$$A_\phi = (P+Q)(w_0 + i_1)S_1 + (P+Q)(w_0 + i_2)S_2 + (P+Q)(w_0 + i_3)S_3. \quad (14.2)$$

თუ მოცემული სამი ელემენტის ნაცვლად ავიღებთ ერთ ელემენტს ad -ს, რომლის ქანობის მნიშვნელობას აღვნიშნავთ i'_δ %, ხოლო სიგრძე იქნება $S_\delta = \sum S_k$, მაშინ ამ ელემენტის დაძლევაზე დახარჯული მუშაობა (ენერგია) A_δ ტოლი იქნება

$$A_\delta = (P+Q)(w_0 + i'_\delta)S_\delta. \quad (14.3)$$

ზოგადი განმარტების თანახმად ეს თრი მუშაობა უნდა იყოს ერთმანეთის ტოლი $A_\delta = A_\phi$. გავუტოლოთ (14.2)-ის და (14.3) ფორმულის მარჯვენა მხარეები ერთმანეთს, მივიღებთ:

$$\sum(P+Q)(w_0+i_k)S_k = (P+Q)(w_0+i'_\delta)S_\delta. \quad (14.4)$$

ორივე მხარეს შევავეცავთ $(P+Q)$ -ზე და გავხსნათ ფრჩხილები, მივიღებთ

$$\sum w_0 S_k + \sum i_k S_k = w_0 S_\delta + i'_\delta S_\delta.$$

თუ გავიტანო ჯამს გარეთ w_0 და გავითვალისწინებთ რომ $\sum S_k = S_\delta$, მაშინ

$$\text{შეგვიძლია დაგწეროთ} \quad w_0 S_\delta + \sum i_k S_k = w_0 S_\delta + i'_\delta S_\delta$$

$$\text{ანუ} \quad \sum i_k S_k = i'_\delta S_\delta$$

$$\text{აქედან} \quad i'_\delta = \frac{\sum i_k S_k}{S_\delta}. \quad (14.5)$$

ზემოთ მსჯელობისას დაშვებული გვქონდა, რომ ცალკეულ ელემენტებზე მოძრაობისადმი ძირითადი ხვედრითი წინააღმდეგობის ძალები იყო ერთნაირი, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავს ამ ელემენტებზე სიჩქარეთა ტოლობას; ეს კი არ შეესაბამება სინამდვილეს. ცხადია, ცდომილება იქნება მით უფრო დიდი, რაც უფრო დიდი იქნება განსხვავება ელემენტების ქანობებს შორის. ამიტომ, გასწორება შეიძლება მხოლოდ ისეთი ელემენტების, რომელთაც აქვთ ერთნაირი ნიშანი და დაახლოებით ერთნაირი დახრილობის ქანობი. ქანობის გასწორების შესაძლებლობის პრიტერიუმი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასე:

$$|i'_\delta - i_k| S_k \leq 2000,$$

ან

$$S_k \leq \frac{2000}{|i'_\delta - i_k|} = \frac{2000}{\Delta_i}, \quad (14.6)$$

$$\text{სადაც, } \Delta_i = |i'_\delta - i_k|.$$

ფიზიკურად აღნიშნული ნიშანის, რომ გასწორებულ და რეალურ პროცესზე, ქანობით გამოწვეულ დამატებითი წინააღმდეგობის დაძლევაზე დახარჯულ მუშაობებს (ენერგიებს) შორის, განსხვავება არ უნდა აღემატებოდეს 2 000 ჯოულს.

14.2.2. გასწორება გეგმაში

მატარებლის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრისას, რომ გავითვალისწინოთ მრუდებით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალების ზეგავლენა სიჩქარეზე, რეალურ მრუდებს ცვლიან ფიქტიური ქანობებით (აღმართებით), იმ მოსაზრებით, რომ ამ ფიქტიური აღმართების დაძლევაზე დაიხარჯება იგივე მუშაობა, რაც რეალური მრუდებით გამოწვეულ წინააღმდეგობის ძალთა დაძლევაზე. აქედან გამომდინარე გწერთ:

$$A_{\partial\sigma} = w_{\partial\sigma,1}(P+Q)S_{\partial\sigma,1} + w_{\partial\sigma,2}(P+Q)S_{\partial\sigma,2} + \dots + w_{\partial\sigma,n}(P+Q)S_{\partial\sigma,n}. \quad (14.7)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ მრუდით გამოწვეული წინააღმდეგობის ძალა (იხ.

$$\text{თავი 2)} \quad w_{\partial\sigma} = \frac{700}{R_{\partial\sigma}},$$

მაშინ

$$\begin{aligned} A_{\partial\sigma} &= \frac{700}{R_{\partial\sigma,1}}(P+Q)S_{\partial\sigma,1} + \frac{700}{R_{\partial\sigma,2}}(P+Q)S_{\partial\sigma,2} + \dots + \frac{700}{R_{\partial\sigma,k}}(P+Q)S_{\partial\sigma,k} = \\ &= 700(P+Q)\sum \frac{S_{\partial\sigma,k}}{R_{\partial\sigma,k}} \end{aligned} \quad (14.8)$$

გასწორებულ ფიქტიურ ქანობზე დახარჯული მუშაობა

$$A_{\text{ფიქტ.}} = i''_{\partial}(P+Q)S_{\partial}. \quad (14.9)$$

თუ გავუტოლებთ ერთმანეთს (14.8) და (14.9) განტოლებების მარჯვენა მხარეებს,

$$\text{მიკილებთ} \quad 700(P+Q)\sum \frac{S_{\partial\sigma,k}}{R_{\partial\sigma,k}} = i''_{\partial}(P+Q)S_{\partial}.$$

$$\text{აქედან განვსაზღვროთ} \quad i''_{\partial} = \frac{700}{S_{\partial}} \sum \frac{S_{\partial\sigma,k}}{R_{\partial\sigma,k}}. \quad (14.10)$$

საბოლოოდ გასწორებული ქანობი, მრუდების გათვალისწინებით იქნება

$$i_{\partial} = \pm i'_{\partial} + i''_{\partial}. \quad (14.11)$$

პროცედურის გასწორებისთვის ანგარიშები საკმაოდ შრომატევადია. სამუშაო მნიშვნელოვნად გამარტივდება თუ გაანგარიშებისთვის გამოვიყენებთ პერსონალურ კომპიუტერის “Mikrosoft Excel”-ის პროგრამას.

14.3. მატარებლის წონის განსაზღვრა

14.3.1. ზოგადი ცნობები

რკინიგზების მწარმოებლობა და რენტაბელობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სატვირთო მატარებლების შემადგენლობის წონაზე. მატარებელთა წონის გაზრდით იზრდება რკინიგზების გამტარუნარიანობა, მცირდება მოთხოვნები ლოკომოტივებზე და შესაბამისად სალოკომოტივო ბრიგადებზე, მცირდება წევაზე დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯი. ყოველივე ზემოაღნიშნული, მნიშვნელოვნად ამცირებს გადაზიდვების თვითღირებულებას.

ამავე დროს შემადგენლობის წონის მნიშვნელოვნად გაზრდამ, შეიძლება გამოიწვიოს ე.მ.შ.-ის წევის ძრავების და სხვა ელექტრომოწყობილობის იზოლაციის ნაადრევი დაბერება და მწყობრიდან გამოსვლა.

სატვირთო მატარებლების შემადგენლობის წონას განსაზღვრავენ გზის პროფილის მიხედვით, ემშ-ს წევის ძალის და სიმძლავრის სრული გამოყენების პირობიდან, მატარებლის მიერ დაგროვილი კინეტიკური ენერგიის გამოყენების შესაძლებლობის გამოყენებით.

გზის პროფილის მიხედვით, სატვირთო შემადგენლობის წონას განსაზღვრავენ მოძრაობის შემდეგი ორი პირობიდან:

1. საანგარიშო ქანობზე დამყარებული (თანაბარი) სიჩქარით მოძრაობის პირობით.
2. რთულ ქანობებზე არათანაბარი სიჩქარით მოძრაობის და დაგროვილი კინეტიკური ენერგიის მაქსიმალური გამოყენების პირობით.

14.3.2. შემადგენლობის წონის განსაზღვრა საანგარიშო ქანობზე დამყარებული სიჩქარის პირობით

საანგარიშო (სახელმძღვანელო) ქანობი წარმოადგენს მოცემულ (განსახილველ) უბანზე, მოცემული მიმართულებით ყველაზე დიდი დახრილობის ქანობს (რა თქმა უნდა აღმართს), რომლის სიგრძე ისეთია, რომ მასზე მოძრაობისას აუცილებლად დამყარდება სიჩქარე. სიჩქარის დამყარების მოთხოვნა ნიშნავს, რომ ლოკომოტივი ეწვა მხოლოდ თავის შესაძლებლობებით (ინერციის ძალების დახმარების გარეშე).

თუ მოცემული ლოკომოტივი ამ ყველაზე რთულ, საანგარიშოდ წოდებულ ქანობზე, გადაადგილებს საძიებელ მაქსიმალური წონის მქონე შემადგენლობას, მისთვის დასაშვები მინიმალური (საანგარიშო) სიჩქარით, მაშინ არსებობს სრული გარანტია იმისა, რომ ის ამ წონის შემადგენლობას წარმატებით გაატარებს მოცემული უბნის ნებისმიერ სხვა ქანობზე. მინიმალურად დასაშვები (საანგარიშო) სიჩქარის პირობა მოთხოვნილია იმიტომ, რომ ამ სიჩქარეზე ნაკლები სიჩქარით სანგრძლივ რეჟიმში მოძრაობამ შეიძლება გამოიწვიოს ლოკომოტივის წევის ძრავების გადატვირთვა და მათი თბური დაზიანება.

როგორც ზემოთ ვნახეთ, წევის რეჟიმისათვის მატარებლის მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას ხვედრით ფორმაში აქვს შემდეგი სახე;

$$\frac{dV}{dt} = \xi(f - w). \quad (14.12)$$

იგივე განტოლება ჩაწერილი სრულ ფორმაში იქნება

$$(P + Q) \frac{dV}{dt} = \xi(F - W), \quad (14.13)$$

სადაც, F არის ელექტრომავლის მიერ საანგარიშო ქანობზე განვითარებული სრული წევის ძალის მნიშვნელობა, ხ-ში. აღვნიშნოთ $F = F_t$ (საანგარიშო).

$$W = \text{საანგარიშო ქანობზე მატარებლის მოძრაობისადმი } \frac{\partial}{\partial t} W + W'' = 0, \quad (14.14)$$

W' – ამ შემთხვევაში არის ელექტრული ლოკომოტივის მოძრაობისადმი სრული წინააღმდეგობის ძალა საანგარიშო ქანობზე და ტოლია

$$W' = P(w'_0 + i_b) \quad 6. \quad (14.15)$$

W'' არის შემადგენლობის მოძრაობისადმი სრული წინააღმდეგობის ძალა საანგარიშო ქანობზე და ტოლია $W'' = Q(w''_0 + i_b) \quad 6.$ (14.16)

w'_0 და w''_0 შესაბამისად ლოკომოტივის და შემადგენლობის ძირითადი ხვედრითი წინააღმდეგობის ძალებია 6/კნ-ში.

i_b – საანგარიშო ქანობი %o-ში.

შევიტანოთ აღნიშნული მნიშვნელობები (14.14) ფორმულაში, მივიღებთ

$$W = P(w'_0 + i_b) + Q(w''_0 + i_b). \quad (14.17)$$

$F = F_b$ და W -ს მნიშვნელობები შევიტანოთ (14.13) გამოსახულებაში. მივიღებთ

$$\frac{dV}{dt} = \xi [F_b - P(w'_0 + i_b) + Q(w''_0 + i_b)]. \quad (14.18)$$

დამყარებული (თანაბარი) სიჩქარით მოძრაობა ნიშნავს, რომ აჩქარება 0-ის

ტოლია. $\frac{dV}{dt} = 0$; გ.օ. (14.18) გამოსახულების მარჯვენა მხარე 0-ის ტოლია.

ξ – კონკრეტული რიცხვია და არ უდრის 0-ს. გამოდის რომ

$$F_b - P(w'_0 + i_b) + Q(w''_0 + i_b) = 0. \quad (14.19)$$

(14.19) გამოსახულებიდან განვსაზღვროთ შემადგენლობის საძიებელი წონა Q . მივიღებთ;

$$Q = \frac{F_b - P(w'_0 + i_b)}{w''_0 + i_b}. \quad (14.20)$$

w'_0 და w''_0 – შესაბამისად ელექტრული ლოკომოტივის და შემადგენლობის მოძრაობისადმი ხვედრითი ძირითადი წინააღმდეგობის ძალებია. 6/კნ-ში. განისაზღვრება საანგარიშო ქანობზე დამყარებული საანგარიშო V_b -სიჩქარისთვის, წევის გაანგარიშების წესებში მოცემული, შესაბამისი ემპირიული ფორმულებით.

F_b და V_b – სიდიდეები მოცემული ელექტრომავლისთვის აიღება ცნობარებიდან.

i_b – საანგარიშო ქანობია %o-ში.

საანგარიშო ქანობზე დამყარებული სიჩქარით გაანგარიშებული წონა აღვნიშნოთ სიმბოლოთი – Q_b (საანგარიშო).

14.3.3. შემადგენლობის წონის განსაზღვრა მატარებლის კინეტიკური ენერგიის გათვალისწინებით

თუ მოცემული მიმართულების პროფილზე შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად ავირჩიოთ საანგარიშო ქანობი, მაშინ შემადგენლობის წონა შეგვიძლია დავადგინოთ შერჩევის მეთოდით. ამ შემთხვევაში საანგარიშო ქანობად შეგვიძლია ავირჩიოთ შედარებით ნაკლები სიდიდის ქანობი და მისთვის გავთვალოთ წონა. შემდეგ კი შევამოწმოთ, მოცემული ლოკომოტივი მიღებული წონის შემადგენლობას გაიყვანს თუ არა უფრო დიდი დახრილობის ქანობზე, საანგარიშო სიჩქარით. შემოწმება მდგომარეობს ყველა საანგარიშოდ მიღებულ ქანობზე მეტი ქანობისთვის სიჩქარის განსაზღვრაში. გაანგარიშება შეგვიძლია ვაჭარმოოთ გრაფიკულად, ანალიზურად, ან მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების რიცხვითი ინტეგრირების მეთოდით. თუ აღმოჩენდება, რომ შესამოწმებელ ქანობზე გაანგარიშებით მიღებული სიჩქარე მეტი ან ტოლია მოცემული ლოკომოტივის საანგარიშო სიჩქარეზე, მაშინ წონა შეგვიძლია დავტოვოთ უცვლელი, ხოლო თუ გაანგარიშებით მიღებული სიჩქარე აღმოჩენდება მოცემული ლოკომოტივის საანგარიშო სიჩქარეზე ნაკლები, მაშინ შემადგენლობის წონა უნდა შევამციროთ და შემოწმებითი ანგარიში ჩავატაროთ განმეორებით. ასე ვიქცევით მანამ, სანამ არ დავადგენთ წონას, რომლის დროსაც სიჩქარე გაუტოლდება ლოკომოტივის საანგარიშო სიჩქარეს. საანგარიშოდ ვიღებთ მიღებულ წონას.

14.4. შემადგენლობის წონის შემოწმება ადგილიდან დაძვრაზე

შემადგენლობის წონა უნდა იყოს ისეთი, რომ ლოკომოტივმა შეძლოს მისი ადგილიდან დაძვრა, სხვა ლოკომოტივების დაუხმარებლად, შუქნიშნებთან ან სადგურებში გაჩერების შემდეგ. იმისათვის, რომ წევის რეჟიმში მოხდეს მატარებლის დაძვრა, საჭიროა აჩქარება იყოს დადებითი, ანუ ამაჩქარებელი ძალა $F_{\text{დაძ}} - W_{\text{დაძ}} > 0$, ანუ $F_{\text{დაძ}} - (P - Q_{\text{დაძ}})(w_{\text{დაძ}} + i_{\text{დაძ}}) > 0$,

$$\text{აქედან} \quad Q_{\text{დაძ}} = \frac{F_{\text{დაძ}}}{w_{\text{დაძ}} + i_{\text{დაძ}}} - P, \quad (14.21)$$

სადაც, $F_{\text{დაძ}}$ არის ელექტრომავლის დაძვრის წევის ძალა, ნ-ში. აიღება ცნობარიდან.

$w_{\text{დაძ}}$ – შემადგენლობის დაძვრის ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა, ნ/კ-ში.

$i_{\text{დაძ}}$ – ქანობი, რომელზეც ხორციელდება დაძვრა, %-ში.


P – ელექტრომავლის წონა, კნ-ში.

თუ საანგარიშო ქანობით განსაზღვრული წონა Q_b ადმოჩნდება ნაკლები დაძვრის პირობით განსაზღვრულ წონაზე $Q_{\text{და}}$, მაშინ მოცემული ელექტრომავალი ამ წონას ადგილიდან დაძრავს.

14.5. შემადგენლობის წონის შემოწმება სასადგურე ლიანდაგებში მატარებლის განთავსებაზე

საანგარიშო ქანობით განსაზღვრული წონა Q_b ადგილიდან დაძვრის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს სასადგურე ლიანდაგების სასარგებლო სიგრძეში ჩატევაზე (განთავსებაზე) (ნახ. 14.2).

იმისათვის, რომ სადგურებში მატარებელთა გეგმიური გაჩერების დროს არ მოხდეს მოძრაობის პარალიზება წინა ან მომდევნო ბლოკ უბნებზე, საჭიროა დაკმაყოფილდეს პირობა $L_{\text{აა}} \leq L_{\text{სადგ.}} - 10$. (14.22)



ნახ. 14.2. მატარებლის განთავსება სადგურის ლიანდაგში.

სადაც, $L_{\text{აა}}$ არის საანგარიშო წონის მქონე მატარებლის სიგრძე, მ-ში.

$L_{\text{სადგ.}}$ – სადგურის ლიანდაგის სასარგებლო სიგრძე, მ-ში. მოცემული.

10 მ – არის მატარებლის ჩაყენების უზუსტობაზე მანძილის რეზერვი.

$$\text{მატარებლის } \text{სიგრძე} \quad L_{\text{აა}} = L_{\text{ლოკ.}} + I_{\text{ა}} = L_{\text{ლოკ.}} + \sum n_i L_i, \quad (14.23)$$

სადაც, $L_{\text{ლოკ.}}$ არის ელექტრომავლის სიგრძე, მ-ში. აიღება ცნობარებიდან.

$$I_{\text{ა}} = \sum n_i L_i - \text{შემადგენლობის } \text{ჯამური } \text{სიგრძე}, \text{ მ-ში.}$$

$$n_i, L_i - \text{შესაბამისი } \text{ტიპის } \text{ვაგონების } \text{რიცხვი } \text{და } \text{სიგრძე}, \text{ მ-ში.}$$

შემადგენლობაში ერთი ტიპის ვაგონების რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით

$$n_i = \frac{Q_b \alpha_i}{q_i}, \quad (14.24)$$

სადაც, α_i არის მატარებელში ერთი ტიპის ვაგონების წონითი წილის კოეფიციენტი/

q_i – აღებული ტიპის ვაგონის წონა, კნ-ში.

თუ (14.23) ფორმულით ნაანგარიშები მატარებლის სიგრძე დააკმაყოფილებს (14.22) ფორმულის პირობას, მაშინ მატარებელი ეტევა სადგურის ლიანდაგის სასარგებლო სიგრძეში.

ვთქვათ შემადგენლობის სიგრძე აღმოჩნდა ΔL მეტრით დასაშვებზე გრძელი (ნახ. 14.2, წყვეტილი კონტური), მაშინ ეს სიგრძე შემადგენლობას უნდა ჩამოვაჭრათ. ვაგონების რაოდენობა, რომლებიც უნდა ჩავსხვათ იქნება

$$n_{\text{ჩაბ.}} = \frac{\Delta L}{L_{\text{გვგ}}}.$$

მიღებული რიცხვი მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე.

მთლიანად ჩახსნილი წონა $\Delta Q = n_{\text{ჩაბ.}} q_{\text{გვგ}}$ კნ.

არსებობს გაანგარიშების მეორე გზაც, კერძოდ:

გამოვთვალოთ ერთ გრძივ მეტრზე მოსული შემადგენლობის წინა

$$q' = \frac{Q_{\text{b}}}{L_{\text{გ}}} \quad \text{კნ/მ.}$$

ΔL ჩამოსაჭრელი სიგრძის შესაბამისი წონა იქნება $\Delta Q = \Delta L q'$ კნ.


ჩახსახსნელი ვაგონების რაოდენობა $n_{\text{ჩაბ.}} = \frac{\Delta Q}{q_{\text{გვგ}}}.$

მიღებული რიცხვი უნდა დამრგვალდეს უახლოეს მთელ რიცხვამდე

14.6. სატვირთო მატარებლების უნიფიცირებული წონების დადგენა

თუ მატარებელი გადაადგილდება საკმაოდ შორ მანძილზე (მრავალფეროვანი პროფილით), მაშინ მოსალოდნელია მომსახურეობის აღებულ მიმართულებაზე, საანგარიშო წონები გადასარბენების მიხედვით განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. მოვახდინოთ ლოკომოტივების შეცვლა რათა ერთი წონა გავატაროთ მთელ მიმართულებაზე, უმრავლეს შემთხვევაში მიზანშეუწონელია. ამიტომ ასეთ შემთხვევებში, მოცემული ლოკომოტივისათვის მთელ მიმართულებაზე, აწესებენ უნიფიცირებულ წონას. როგორც წესი, მას ადგენენ ყველაზე რთულად დასაძლევი უბნის მიხედვით. იმისათვის, რომ შევაფასოთ უნიფიცირებული წონის გაზრდის შესაძლებლობა მოცემულ მიმართულებაზე, მიზანშეუწონელია ავაგოთ ტონა-კილომეტრიანი დიაგრამა (ნახ. 14.3). ზემოთ განხილული მეთოდით გზის ცალკეული უბნებისათვის ადგენენ საანგარიშო წონებს, შემდეგ მათ ცვლიან შესაბამისი მასებით და წარმოადგენენ 14.3 ნახაზზე ნაჩვენები გრაფიკის სახით. აბცისთა დერძზე გადაზომავენ განსახილვები უბნების სიგრძეს კმ-ში. ყოველ უბანზე უთითებენ საანგარიშო ქანობის

სიდიდეს %o-ში და უბნის სიგრძეს. ორდინატთა დერძზე ყოველი უბნისათვის გადაზომავენ მატარებლის საანგარიშო მასას.



ნახ. 14.3. ტონა – კილომეტრიანი დიაგრამის აგება.

აგებული დიაგრამიდან ჩანს, რომ მეორე გადასარბენისთვის განსაზღვრული მატარებლის მასა 3 400 ტ (განსაზღვრულია მოცემულ მიმართულებაზე უველავე რთული 12,7% ქანობით), მოცემულმა ლოკომოტივმა შეიძლება ატაროს მთელ მიმართულებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში დანარჩენ უბნებზე ლოკომოტივის სიმძლავრე სრულად არ იქნება გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში, თუ მეორე უბანზე გამოვიყენებთ ე.წ. მიმწოდ მეორე ლოკომოტივს, მაშინ მატარებლის უნიფიცირებული მასა შეგვეძლო გაგებარდა 4 300 ტონამდე. დიაგრამის შემდგომი ანალიზით, შეიძლება უნიფიცირებული მასა გაგვეზარდა 4 650 ტონამდე.

რომელიმე აღებულ მიმართულებაზე წონითი ნორმების გაზრდისთვის, შეიძლება გატარდეს შემდეგი შესაძლო ღონისძიებები:

1. შემზღვდავი რთული საანგარიშო ქანობის რეკონსტრუქცია მისი გაიოლების მიზნით.
2. შემზღვდავი გადასარბენის მოსაზღვრე გამყოფ პუნქტებში გაჩერებების გაუქმება.
3. გამყოფ პუნქტების ფარგლებში მიმწოდი ლოკომოტივების გამოყენება.
4. ორმაგი წევის გამოყენება.
5. მოცემული ლოკომოტივის შეცვლა უფრო მძლავრით.

მოცემული კონკრეტული პირობებისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ღონისძიება.

სამუხრავებო გაანგარიშებების პრინციპი და ნორმატიული მონაცემები

15.1. სამუხრავებო გაანგარიშებების პრინციპი და ნორმატიული მონაცემები

სარელსო ტრანსპორტზე ძირითადად გამოყენებულია მექანიკური (ხახუნის პრინციპზე მომუშავე) სამუხრავებო საშუალებები. ელექტრული ლოკომოტივების გამოყენების შემთხვევაში, დამუხრავების დამხმარე საშუალებებად გამოიყენება ელექტრული (რეოსტატული, რეკუპერაციული) დამუხრავებება.

არსებობს სამი სახის დამუხრავებება:

- **სამოსამსახურო დამუხრავებება** – მოძრავი შემადგენლობის გასაჩერებლად, გაჩერების პუნქტებში (სადგურებში) და შუქნიშნებთან.
- **რეგულირებადი დამუხრავებება** – უარყოფით ქანობებზე მოძრაობის სიჩქარის შესაზღუდავად.
- **სასწრაფო (ექსტერნული) დამუხრავებება** – ავარიულ სიტუაციებში, მოძრავი შემადგენლობის უსწრაფესად გასაჩერებლად.

სხვადასხვა სახის მოძრავი შემადგენლობის სამოსამსახურო დამუხრავებების დროს, შენელების (უარყოფითი აჩქარების) მ/წმ²-ში რეკომენდებული სიდიდე შეადგენს [13]:

- სატვირთო მოძრავი შემადგენლობისათვის $0.1 - 0.4 \frac{\partial}{\partial^2}$;
- სამგზავრო მოძრავი შემადგენლობისათვის $0.3 - 0.6 \frac{\partial}{\partial^2}$;
- საგარეუბნო ელექტრომატარებლებისათვის $0.6 - 0.8 \frac{\partial}{\partial^2}$;
- მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობისათვის $0.6 - 1.0 \frac{\partial}{\partial^2}$;
- ტრამვაი, ტროლეიბუსისათვის $0.8 - 1.2 \frac{\partial}{\partial^2}$.

მატარებლის გაჩერებისას, მუხრავების მიერ შთანთქმული კინეტიკური ენერგია, შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით

$$\frac{m_{\varrho} V_{\varrho}^2}{2} = (B_{\text{საშ.}} + W_{\text{საშ.}}) S_{\varrho}, \quad (15.1)$$

სადაც, $B_{\text{საშ.}}$ და $W_{\text{საშ.}}$ არის შესაბამისად სამუხრავებო ძალის და მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის საშუალო მნიშვნელობები, ნ-ში;

S_{ϱ} – დამუხრავების (სამუხრავებო) მანძილი, მ-ში.

(15.1.) გამოსახულებიდან ჩანს, რომ მოცემული სამუხრუჭო ძალისათვის, სამუხრუჭო მანძილი იქნება მით უფრო გრძელი, რაც უფრო დიდია მატარებლის მასა m_0 და განსაკუთრებით მისი მოძრაობის სიჩქარე V .

დამუხრუჭების პროცესი ხასიათდება ოთხი ძირითადი პარამეტრით:

1. სამუხრუჭო მანძილით – $S_{\text{დ}}$, მ-ში;
2. დამუხრუჭების საწყისი სიჩქარით – $V_{\text{დ}}$, კმ/სთ-ში;
3. სამუხრუჭო საშუალებებით – (მოცემულია სამუხრუჭო კოეფიციენტის θ სახით);
4. ქანობით, რომელზეც ხდება დამუხრუჭება – $i\%$ -ში.

აღნიშნული ოთხი პარამეტრიდან წინასწარ ცნობილია სამი და ვსაზღვრავთ მეოთხეს. შესაბამისად გვაქვს 4 ამოცანა:

1. სამუხრუჭო მანძილის $S_{\text{დ}}$ განსაზღვრა, როდესაც მოცემულია სიჩქარე $V_{\text{დ}}$, სამუხრუჭო საშუალებები θ და ქანობი $i\%$.
2. მოძრაობის დასაშვები სიჩქარეების $V_{\text{დ}}$ განსაზღვრა, როდესაც მოცემულია სამუხრუჭო მანძილი $S_{\text{დ}}$, სამუხრუჭო საშუალებები θ და ქანობი $i\%$.
3. სამუხრუჭო საშუალებების θ განსაზღვრა, როდესაც მოცემულია სამუხრუჭო მანძილი $S_{\text{დ}}$, მოძრაობის სიჩქარე $V_{\text{დ}}$, ქანობი $i\%$.
4. ქანობის $i\%$ განსაზღვრა, როდესაც მოცემულია სამუხრუჭო მანძილი $S_{\text{დ}}$, მოძრაობის სიჩქარე $V_{\text{დ}}$ და სამუხრუჭო საშუალებები θ .

პრაქტიკაში ძირითადად გვხვდება 1 და 2 ტიპის სამუხრუჭო ამოცანები. განვიხილოთ ისინი დეტალურად.

15.2. სამუხრუჭო მანძილის განსაზღვრა

სრული სამუხრუჭო მანძილი $S_{\text{დ}}$, ესაა მანძილი, რომელსაც გაივლის მატარებელი დამუხრუჭების გადაწყვეტილების მიღებიდან (სამუხრუჭო ონკანის გაღება) მატარებლის სრულ გაჩერებამდე. ეს მანძილი შედგება ორი მდგრენელისაგან

$$S_{\text{დ}} = S_{\text{გ}} + S_{\text{ხ}}, \quad (15.2)$$

სადაც, $S_{\text{გ}}$ არის მოსამზადებელი მანძილი, მ-ში.

$S_{\text{ხ}}$ – ნამდვილი სამუხრუჭო მანძილი, მ-ში.

მოსამზადებელი მანძილი $S_{\text{გ}}$, ესაა მანძილი, რომელსაც მატარებელი გაივლის სამუხრუჭო ონკანის გადართვის მომენტიდან, სამუხრუჭო ხუნდის არტახზე სრული ძალით დაწოლამდე. ეს მანძილი დამოკიდებულია მუხრუჭების მოსამზადებელ დროზე $t_{\text{გ}}$ (დრო, რომელიც სჭირდება მაგისტრალში ჰაერის ტალღის გარბენას, ჰაერგამანაწილებლების ამოქმედებას, ბერკეტული გადაცემების გადაადგილებას,

სამუხრუჭო ცილინდრებში პაკის წევის აწევას) და დამუხრუჭების საწყის სიჩქარეზე V_{d} , რომელიც მატარებლის ინერციის გათვალისწინებით აიღება უცვლელი. მოსამზადებელი მანძილი გაითვლება ფორმულით:

$$S_{\text{d}} = 0,278t_{\text{d}}V_{\text{d}}, \quad (15.3)$$

სადაც, 0.278 არის განზომილების გადამყვანი კოეფიციენტი, $0.278 = 1000/3600$.

1000 – ქმ-ის მეტრებში გადამყვანი კოეფიციენტი.

3600 – საათში წამების რაოდენობა.

მოსამზადებელი დრო დამოკიდებულია მატარებლის სიგრძეზე და მუხრუჭების ტიპზე. ამ დროის განსაზღვრა ხდება ემპირიული ფორმულებით, რომლებიც მოცველია წევის გაანგარიშების წესებში. მაგალითად მატარებლებისათვის, რომელთა დერძების რიცხვი (დერძების რიცხვით ვმსჯელობთ მატარებლის სიგრძეზე) ნაკლებია 200-ზე, საანგარიშო ფორმულას აქვს ასეთი სახე

$$t_{\text{d}} = 7 - \frac{10i}{\varphi_{\text{b}}\theta_{\text{b}}} \quad \text{წ.} \quad (15.4)$$

სადაც i არის ქანობი, რომელზეც ხდება დამუხრუჭება (თავისი ნიშნით).

θ_{b} – საანგარიშო სამუხრუჭო კოეფიციენტი.

φ_{b} – ხახუნის საანგარიშო კოეფიციენტი.

სხვა სიგრძის (დერძების სხვა რიცხვის) მატარებლებისათვის, საანგარიშო ფორმულაში იცვლება კოეფიციენტები. მაგალითად, თუ დერძების რიცხვი 200-დან 300-მდეა, მაშინ საანგარიშო ფორმულას აქვს სახე

$$t_{\text{d}} = 10 - \frac{15i}{1000\varphi_{\text{b}}\theta_{\text{b}}} \quad \text{წ.} \quad (15.5)$$

ხოლო თუ დერძების რიცხვი მეტია 300-ზე

$$t_{\text{d}} = 12 - \frac{18i}{1000\varphi_{\text{b}}\theta_{\text{b}}} \quad \text{წ.} \quad (15.6)$$

პნევმატური მუხრუჭებით აღჭურვილ სამგზავრო მატარებლებისათვის:

$$t_{\text{d}} = 4 - \frac{5i}{1000\varphi_{\text{b}}\theta_{\text{b}}} \quad \text{წ.} \quad (15.7)$$

ელექტროპნევმატური მუხრუჭებით აღჭურვილ სამგზავრო მატარებლებისათვის:

$$t_{\text{d}} = 2 - \frac{3i}{1000\varphi_{\text{b}}\theta_{\text{b}}} \quad \text{წ.} \quad (15.8)$$

ნამდვილი სამუხრუჭო მანძილი S_{d} , ესაა მანძილი, რომელსაც გადის მატარებელი სამუხრუჭო ხუნდის არტახზე დაწოლის მომენტიდან, სრულ გაჩერებამდე. ნამდვილი სამუხრუჭო მანძილი განისაზღვრება ფორმულით:

$$S_{\text{d}} = \frac{500(V_{\text{b}}^2 - V_{\text{d}}^2)}{\xi(1000\varphi_{\text{b}}\theta_{\text{b}} + W_x + i)} \quad \text{მ}, \quad (15.9)$$

სადაც, ξ არის კოეფიციენტი, რომელიც, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მატარებლის შენელებაა $\text{კმ}/\text{სთ}^2$, 1 ნ/კნ შემანელებელი ძალის მოქმედების დროს (სატვირთო და სამგზავრო მატარებლებისათვის $\xi = 120 \frac{\text{კმ}}{\text{ნ/კნ}}$).

V_b და V_d აღებული ინტერვალებისთვის დამუხრუჭების საწყისი და ბოლო სიჩქარეებია $\frac{\partial \theta}{\partial t}$ -ში;

$$1000\varphi_b\theta_b = \text{აღებული ინტერვალის საშუალო } V_{b\text{შ}} = \frac{V_b + V_d}{2} \quad \text{ხვდრითი}$$


$$\text{სამუხრუჭო ძალა } \left(\frac{\partial \theta}{\partial t} \right) - \text{ში};$$

w_x აღებული $V_{b\text{შ}}$ სიჩქარისათვის, მოძრაობისადმი ხვდრითი წინაღობის ძალა, უქმი სვლის დროს $\frac{6}{\delta \theta}$ -ში.

ზემომოყვანილი ფორმულებით შესაძლებელია ანალიზურად გამოვთვალოთ საძიებელი სამუხრუჭო მანძილი.

აღნიშნული ამოცანა შეგვიძლია გადავწყვიტოთ შედარებით მარტივი და საკმარისი სიზუსტის გრაფიკული მეთოდით.

წინასწარ სპეციალურ მასშტაბში მოცემული θ_b სამუხრუჭო კოეფიციენტისათვის გაგებო შემანელებელ ძალთა დიაგრამას $V(b+w_x)$ (ნახ. 15.1, a).



ნახ. 15.1. ნამდვილი სამუხრუჭო მანძილის განსაზღვრა გრაფიკული მეთოდით.

მოცემული საწყისი სიჩქარისათვის V_b , გრაფიკული ინტეგრირების მეთოდით (ცალკეულ ინტერვალების მიხედვით) გაგებო სიჩქარის მრუდს $V(S)$ აბცისთა დერძის გადაკვეთამდე რეკომენდებულ მასშტაბში ($a, b, c, d, e, f, \dots, k$ ტერმინი) (ნახ. 15.1, ბ) მიღებული მონაკვეთი o_1k შეესაბამება საძიებელ ნამდვილ S_b სამუხრუჭო


მანძილს. (15.9) ფორმულით ვსაზღვრავთ მოსამზადებელ მანძილს S_3 . ჯამი გვაძლევს სრულ სამუხრუჭო მანძილს

$$S = S_3 + S_6.$$

15.3. მოძრაობის დასაშვები სიჩქარის განსაზღვრა


მოძრაობის დასაშვები სიჩქარის განსაზღვრა გულისხმობს სიჩქარის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომლის დროს შესაძლებელი იქნება მოცემულ სამუხრუჭო საშუალებებით ადგურვილი მატარებლის გაჩერება, მოცემულ სამუხრუჭო მანძილის ფარგლებში. აღნიშნული ამოცანის გადაწვეტა, პრაქტიკულად მისაღები სიზუსტით, უმჯობესია შევასრულოთ გრაფიკული მეთოდით.

მოცემული სამუხრუჭო θ საშუალებებისათვის, ვაგებთ შემანელებელ ძალთა დიაგრამას $V(b+w_x)$ (ნახ. 15.2 ა). O_1 წერტილიდან მასშტაბში გადავზომავთ მოცემულ სამუხრუჭო მანძილს S_3 . ვთვლით, რომ მატარებელი გაჩერებულია k წერტილში და გრაფიკული ინტეგრირების მეთოდით ვაგებთ სიჩქარის მრუდს $V(S)$, (k, a, b, c, d, e, f ტეხილი). სიჩქარის რაიმე მნიშვნელობისათვის (ვთქვათ $V=100$ კმ/სთ) განვსაზღვრავთ მოსამზადებელ მანძილს S_3 და A წერტილიდან მასშტაბში გადავზომავთ აბცისთა დერძის პარალელურად. მონაკვეთი AB (ნახ. 15.2 ბ). კოორდინატთა სათავეს O_1 ვაერთებთ B წერტილთან. O_1B წრფის და k, a, b, c, d, e, f ტეხილის გადაკვეთის C წერტილის ორდინატა DC შევსაბამება საძიებელ სიჩქარეს V_3 -ს, O_1D მონაკვეთი მოსამზადებელ მანძილს S_3 , ხოლო Dk მონაკვეთი ნამდვილ სამუხრუჭო მანძილს S_6 .



ნახ. 15.2. მოძრაობის დასაშვები სიჩქარეების გრაფიკული განსაზღვრა.

თუ ზემოაღწერილი მეთოდით გავთვლით მოძრაობის დასაშვებ სიჩქარეებს სამი სხვადასხვა $i = 0$, $i = i_{\text{ba}}^+$, $i = -i_{\text{ba}}^-$ ქანობებისათვის $V_{\text{R}1}$, $V_{\text{R}2}$ და $V_{\text{R}3}$ (ნახ. 15.3.), მაშინ შეგვიძლია ავაგოთ დამოკიდებულება $V_{\text{R}}(-i)$ (ნახ. 15.4), რომლის დახმარებითაც გავიგებთ მოცემული მატარებლისათვის მოცემულ მიმართულებაზე მოძრაობის დასაშვებ სიჩქარეებს V_n -ს, ნებისმიერ ქანობი $-i_n$ -ზე.



ნახ. 15.3. მოძრაობის დასაშვები სიჩქარეების განსაზღვრა სამი ქანობისათვის.


ნახ. 15.4. დამოკიდებულება ქანობსა და დასაშვებ სიჩქარეებს შორის.

15.4 მატარებლის სამუხრუჭო საშუალებების განსაზღვრა


ამ ამოცანის გადაწყვეტისას ვმოქმედებთ შემდეგნაირად: ვუშვებთ საანგარიშო სამუხრუჭო კოეფიციენტის სამ მნიშვნელობას, მაგალითად $\theta_{1b} = 0,34$, $\theta_{2b} = 0,4$ და $\theta_{3b} = 0,5$. მათთვის ვითვლით შემანელებელ ძალთა შესაბამის $(b + w_x)$ მნიშვნელობებს და ვაგებთ შემანელებელ ძალთა დიაგრამებს $V(b + w_x)$, რეკომენდებულ მასშტაბში (ნახ. 15.5 ა). ამ დიაგრამებით, ზემოგანხილული გრაფიკული მეთოდით, ვაგებთ მრუდებს $V(S_{\text{R}})$, მათი მეშვეობით კი ვსაზღვრავთ შესაბამის ნამდვილ სამუხრუჭო მანძილებს S_{16} , S_{26} და S_{36} (ნახ. 15.5 ბ). შემდეგ ცნობილი (15.5)–(15.8) ფორმულებით ვითვლით შესაბამის მოსამზადებელ მანძილებს $S_{1\theta}$, $S_{2\theta}$ და $S_{3\theta}$. მოსამზადებელი და ნამდვილი სამუხრუჭო მანძილების შეკრებით ვიღებთ სრულ სამუხრუჭო მანძილებს, შესაბამისი საანგარიშო სამუხრუჭო კოეფიციენტისათვის

$$S_{1\theta} = S_{1\theta} + S_{16}, \quad S_{2\theta} = S_{2\theta} + S_{26}, \quad S_{3\theta} = S_{3\theta} + S_{36}.$$

საბოლოოდ ვაგებთ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას $\theta_b(S_{\text{R}})$, რომლის მეშვეობით მოცემული სამუხრუჭო მანძილისათვის ვსაზღვრავთ საანგარიშო სამუხრუჭო კოეფიციენტის შესაბამის მნიშვნელობას (ნახ. 15.6).



ნახ. 15.5. $V(S_R)$ მრუდეების აგება θ_b -ს სხვადასხვა მნიშვნელობისათვის
გრაფიკული მეთოდით.



ნახ. 15.6. სამუხრუჭო კოეფიციენტის გრაფიკული განსაზღვრა.

XVI თავი

ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენის მახასიათებლები და მოხმარებული დენის მრავდებები

16.1. მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენის მახასიათებლები

ელექტრომოძრავი შემადგენლობის მიერ ქსელიდან მოხმარებული ელექტრო-ენერგიის ხარჯის განსასაზღვრავად, აუცილებელია ვიცოდეთ ქსელიდან მოხმარებული სიმძლავრე და ამ სიმძლავრის მოხმარების დრო. წევის ანგარიშებში, გაანგარიშებების გამარტივების მიზნით, პირობითად საკონტაქტო ქსელის ძაბვა აიღება უცვლელი და საშუალო სიდიდის ტოლი $U_{\text{საჟ}}$. ეს საშუალებას გვაძლევს სიმძლავრის ფორმულის თანახმად,

$$P = U_{\text{საჟ}} I_{\text{ჟლ}}$$

რკინიგზის უბანზე მატარებლის მომსახურეობის დროს მუდმივი დენის ემშის მიერ ქსელიდან მოხმარებულ სიმძლავრეზე და შესაბამისად ენერგიაზე ვიმსჯელოთ, მოხმარებული დენის სიდიდით და მისი მოხმარების ხანგრძლივობით.

წევის ძრავა, როგორც ცნობილია, ელექტრულ ენერგიას არტახისა და რელსის შეხების ზონაში გარდაქმნის მექანიკურ მუშაობად. ენერგიის ამ გარდაქმნას თან ახლავს ელექტრული და მაგნიტური დანაკარგები ძრავაში, რაც იწვევს წევის ძრავას გახურებას. ძრავას გახურების ტემპერატურა დამოკიდებულია ქსელიდან მოხმარებული სიმძლავრის (დენის) სიდიდეზე და მისი მოხმარების ხანგრძლივობაზე.

ე.ი. იმისათვის რომ განვსაზღვროთ მატარებლების წევაზე დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯი და განვსაზღვროთ შეუძლია თუ არა მოცემულ ელექტრომავალს, მოცემულ პროფილზე, მოქმსახუროს, წევის ანგარიშებით მიღებულ მატარებლის წონას, წევის ძრავების გადახურების გარეშე, საჭიროა ვიცოდეთ ქსელიდან მოხმარებული დენი და მოხმარების ხანგრძლივობა.

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად პრაქტიკაში აგებენ ელექტრომოძრავი შემადგენლობის მიერ მოხმარებული დენის მრავდს $I_{\text{ჟლ}}(s)$, ხოლო ძრავაში გამავალ დენს გამოითვლიან ფორმულით $I_{\text{ჟრ}} = \frac{I_{\text{ჟლ}}}{p}$, სადაც, p არის წევის ძრავების პარალელურ შტოთა რიცხვი, რომელიც ტოლია:

1. რვალერძიანი ელექტრომავლებისათვის:

წევის ძრავების მიმდევრობითი “S” შეერთებისას $p = 1$, $p \cdot I_{\text{ჟლ}} = 1 \cdot I_{\text{ჟრ}} = I_{\text{ჟრ}}$.

წევის ძრავების მიმდევრობით-პარალელური “SP” შეერთებისას $p = 2$, $I_{\text{ელ}} = 2 I_{\text{ძრ}}$.

წევის ძრავების პარალელური “P” შეერთებისას $p = 4$, $I_{\text{ელ}} = 4 I_{\text{ძრ}}$.


2. ექსლერმიანი ელექტრომაგლებისათვის:

წევის ძრავების მიმდევრობითი “S” შეერთებისას $p = 1$, $I_{\text{ელ}} = p \times I_{\text{ძრ}} = 1 \times I_{\text{ძრ}} = I_{\text{ძრ}}$.

წევის ძრავების მიმდევრობით-პარალელური “SP” შეერთებისას $p = 2$, $I_{\text{ელ}} = 2 I_{\text{ძრ}}$.

წევის ძრავების პარალელური “P” შეერთებისას $p = 3$, $I_{\text{ელ}} = 3 I_{\text{ძრ}}$.

$I_{\text{ელ}}(s)$ დენის მრუდის აგება ხდება ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენის მახასიათებლის (რომელიც წარმოადგენს ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენსა და სიჩქარეს შორის დამოკიდებულებას) $I_{\text{ელ}}(V)$ საშუალებით, რეგულირების სხვადასხვა საფეხურისათვის.



ნახ. 16.1. TЛ-2К წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლები.

თავის მხრივ ელექტრომაგლის დენის მახასიათებლებს $I_{\text{ელ}}(V)$ აგებენ წევის ძრავას სიჩქარის მახასიათებლების $V(I_{\text{ძრ}})$ საშუალებით, რეგულირების სხვადასხვა საფეხურისათვის (ნახ. 16.1).

დენის მახასიათებლების აგების თანმიმდევრობა განვიხილოთ ვლ-10 ელექტრო-მავლის მაგალითზე:

კუშვებთ ძრავას ელექტრომექანიკურ მახასიათებელზე (ნახ. 16.1) სიჩქარის მნიშვნელობას $V_1 = 10 \text{ კმ/სთ}$. ამ სიჩქარეზე ვავლებთ ჰორიზონტალს და მიმდევრობითი “S” შეერთების სრული ველის (სრ.ვ) სიჩქარის მახასიათებელზე ვპოულობთ გადაკვეთის 1 წერტილს, რომელსაც შეესაბამება ძრავას დენი $I_{\text{კლ.1}} = 570 \text{ ა. ელექტ-რომავლის დენს ვანგარიშობთ ფორმულით:$

$$I_{\text{კლ.1}} = pI_{\text{ძრ.1}} = 1 \times 570 = 570 \text{ ა.}$$


ე. ჩვენ გვაქვს საძიებელი დენის მახასიათებლის 1-წერტილის ორი კოორდინატა: $V_1 = 10 \text{ კმ/სთ}$ და $I_{\text{კლ.1}} = 570 \text{ ა. შევირჩევთ მასშტაბს და კოორდინატა სისტემაში ავაგებთ დენის მახასიათებლის 1 წერტილს (ნახ. 16.3). ასევე ავაგებთ მიმდევრობითი შეერთების დენის მახასიათებლის 2 და 3 წერტილებს. თუ 1, 2 და 3 წერტილს შევაერთებთ მრუდი წირით, მივიღებთ მიმდევრობითი შეერთების სრული ველის საძიებელ დენის მახასიათებელს $I_{\text{კლ}}(V)$. ანალოგიურად ავაგებთ დენის მახასიათებლებს წევის ძრავების სხვადასხვა დაჯგუფების და ველის შესუსტების სხვა-დასხვა საფეხურისათვის. მაგალითად ავაგოთ პარალელური შეერთების ველის შესუსტების მეორე საფეხურის დენი მახასიათებლის ერთი k წერტილი. ძრავას ელექტრომექანიკურ მახასიათებლებზე (ნახ. 16.1) ვიღებთ სიჩქარეს $V = 75 \text{ კმ/სთ}$, ვავლებთ ჰორიზონტალს პარალელური შეერთების ველის შესუსტების მეორე საფეხურის გადაკვეთამდე; k_1 წერტილი, რომლის აბცისთა დერძის კოორდინატა იქნება ძრავას დენი $I_{\text{კლ.}k_1} = 330 \text{ ამპერი. ელექტრომავლის დენი ტოლი იქნება}$$

$$I_{\text{კლ.}k_1} = pI_{\text{კლ.}k_1} = 4 \times 330 = 1320 \text{ ა.}$$

შემდეგ, $V = 75 \text{ კმ/სთ}$ და $I_{\text{კლ.}k_1} = 1320 \text{ ა. კოორდინატებით ვაგებთ საძიებელი მახასიათებლის } k \text{ წერტილს (ნახ. 16.3).}$


რეგულირების ყველა საფეხურზე დენის მახასიათებლების აგების შემდეგ, მასზე უნდა დავიტანოთ ელექტრომავლის დენის შემზღვდავი ხაზები, რომლებიც შეესაბამებიან მაქსიმალურ დასაშვებ წევის ძალას, განსაზღვრულს ძრავას დასაშვები დენით ან წყვილთვალის რელსთან ჩაჭიდებით.

განვიხილოთ აღნიშნული საკითხი ვლ-10 ელექტრომავლის აგებული დენის მახა-სიათებლების მაგალითზე (ნახ. 16.3). აღნიშნულ ელექტრომავალში მაქსიმალური წევის ძალა შეზღუდულია ჩაჭიდებით. ამიტომ საჭიროა ელექტრომავლის წევის მახასიათებლებზე (ნახ. 16.2) განვსაზღვროთ ჩაჭიდების წევის ძალის მნიშვნელობები



Бл. 16.2. ВЛ-10 ელექტრომავლის წევის მახასიათებლები.

სხვადასხვა სიჩქარეზე, გავყოთ ისინი წევის ძრავების რიცხვზე და მივიღებთ ჩაჭიდების წევის ძალის მნიშვნელობას ერთი ძრავასათვის $F_{\text{ძრ.ჩაჭ.}}$. ამ უკანასკნელით, ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლიდან გიპოვით ძრავას დასაშვები დენის მნიშვნელობას ჩაჭიდებით $I_{\text{ძრ.ჩაჭ.}}$, თუ მას გავამრავლებთ ძრავების პარალელურ შტოთა რიცხვზე p -ზე, მივიღებთ ელექტრომაგლის შესაბამის დენს $I_{\text{ელ.ჩაჭ.}} = p \cdot I_{\text{ძრ.ჩაჭ.}}$. ვნახოთ როგორ ხდება ეს პრაქტიკულად:



ნახ. 16.3. ВЛ-10 ელექტრომავლის დენის მახასიათებლები.

ნულოვან სიჩქარეზე $V=0$, ალექტრომაგლის ჩაჭიდვის წევის ძალა ტოლია 62 600 კგ-ის

(ნახ. 16.2). შესაბამისად ერთი ძრავას წევის ძალა იქნება $\frac{62600}{8} = 7825$ 62კგ. აღნიშ-

ნულ წევის ძალას ძრავას ელექტრომექანიკურ მახასიათებელზე შეესაბამება ამჟამების დენის მნიშვნელობა $I_{\text{ძრ.}} = 685 \text{ A}$ (ნახ. 16.1). ვინაიდან დაძვრა ხდება წევის ძრავების მიმდევრობით შეერთებაზე, $p = 1$, ამიტომ, ელექტრომავლის ამჟამების დენი იქნება $I_{\text{ელ.ჩაჭ.}} = p \cdot I_{\text{ძრ.ჩაჭ.}} = 1 \times 685 = 685 \text{ A}$. აღნიშნულ დენს გადავდებო ორდინატა

დერძხე $V=0$ სიჩქარეზე. მივიღებთ A წერტილს (ნახ. 16.3). ანალოგიურად განვსაზღვრავთ დენს $V = 5 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე, $I_{\text{კლ.}} = 615 \text{ ა.}$ დენის მახასიათებელზე $V = 5 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე გადავდებთ $615\text{-ს},$ მივიღებთ B წერტილს და $V = 10 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე, შესაბამისად $I_{\text{კლ.}} = 595 \text{ ა-ს, } C$ წერტილი (ნახ. 16.3). 10 კმ/სთ სიჩქარეზე ელექტრომაგლი გადის მიმდევრობითი შეერთების სრული ველის მახასიათებელზე; მემანქანე გადართავს წევის ძრავებს მიმდევრობით-პარალელურ შეერთებაზე და ძალურ წრედში კვლავ შეჰყავს რეოსტატები. იმავე წევის ძალის რეალიზაციისათვის წევის ძრავებში კვლავ გადის დენი 595 ამპერი, მაგრამ ამ დროს წევის ძრავების პარალელურ შტოთა რიცხვი $p = 2\text{-ს,}$ ამიტომ ელექტრომაგლის დენი იქნება $I_{\text{კლ.}} = 2 \times 595 = 1190 \text{ ა.}$ დენის მახასიათებელზე შეესაბამება D წერტილი (ნახ. 16.3). $V = 15 \text{ კმ/სთ-ზე}$ ელექტრომაგლის ჩაჭიდების წევის ძალა ტოლია $51\ 200 \text{ კგ}$ (ნახ. 16.2). შესაბამისად, ერთი ძრავის წევის ძალა იქნება $\frac{51200}{8} = 6400 \text{ კგ,}$ რასაც ძრავას ელექტრომექანიკურ მახასიათებლებზე შეესაბამება ძრავის დენი 580ა (ნახ. 16.1). ელექტრომაგლის დენი იქნება $2 \times 580 = 1160 \text{ ა}$ (ნახ. 16.3-ზე E წერტილი). $V = 22 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე ელექტრომაგლი გადის მიმდევრობით-პარალელური შეერთების სრული ველის ავტომატურ მახასიათებელზე და მემანქანე კვლავ გადართავს წევის ძრავებს, ამჟამად პარალელურ შეერთებაზე. ამ სიჩქარეზე ელექტრომაგლის წევის ძალა ტოლი იქნება $49\ 850 \text{ კგ-ის,}$ ერთი ძრავას წევის ძალა $\frac{49850}{8} = 6230 \text{ კგ-ს,}$ რასაც ძრავას ელექტრომექანიკურ მახასიათებელზე შეესაბამება დენი 575ა, ხოლო ელექტრომაგლის დენი ტოლი იქნება მიმდევრობით-პარალელურ შეერთების სრული ველის საფეხურზე გასვლისას $I_{\text{კლ.}} = 2 \times 575 = 1150 \text{ ა-ის } F$ წერტილი (ნახ. 16.3). პარალელურ შეერთებაზე გადასვლისას $I_{\text{კლ.}} = 4 \times 575 = 2300 \text{ ა-ის.}$ დენის მახასიათებელზე G წერტილი (ნახ. 16.3). შემდეგ დენებს გსაზღვრავთ ანალოგიურად სიჩქარეებისათვის $30,$ 40 კმ/სთ. მივიღებთ H და $i.$ K წერტილში $V = 46,7 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარის დროს (ელექტრომაგლის დენი ტოლია $2\ 140\text{ა-ის})$ ელექტრომაგლი გადის პარალელური შეერთების სრული ველის ავტომატურ მახასიათებელზე და მასზე მუშაობს L წერტილამდე. სიჩქარის შემდგომი გაზრდისათვის მემანქანე L წერტილის შესაბამის $V = 48,5 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე რთავს ველის შესუსტების პირველ საფეხურს და ელექტრომაგლის დენი იცვლება ნახტომისებურად, LM წყვეტილი ხაზის შესაბამისად $1\ 980 \text{ ამპერიდან } 2\ 480 \text{ ამპერამდე.}$ M წერტილს ვპოულობთ შემდეგნაირად;

წევის მახასიათებელზე გშ-1 საფეხურზე გადასვლის შემდეგ ელექტრომავლის წევის ძალა ხდება 52300 კგ (ნახ. 16.2). შესაბამისად, ძრავას წევის ძალა იქნება $\frac{52300}{8} = 6540$ კგ. წევის ძრავას პარალელური შეერთების გშ-1 ელექტრომექანიკური

მახასიათებლიდან (ნახ. 16.1), ვპოულობთ ამ წევის ძალის შესაბამის დენს 620ა. შესაბამისად, ელექტრომავლის დენი იქნება $620 \times 4 = 2480$ ა, რასაც შეესაბამება M წერტილი. ანალოგიურად ვპოულობთ დენის მნიშვნელობებს ველის შესუსტების გშ-2 და გშ-3 საფეხურზე გადასვლისას. ველის შესუსტების მესამე საფეხური გშ-3, აღებული ელექტრომავლისათვის ითვლება საანგარიშო ავტომატურ საფეხურად. სიჩქარის ცვლილებისას ავტომატურად იცვლება ელექტრომავლის დენი და შესაბამისად წევის ძალა.

16.2 ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენის მახასიათებლები


ცვლადი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე, განსხვავებით მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობისაგან, არსებობს გარდამქმნელი მოწყობილობა (წევის ტრანსფორმატორი და გამმართველი) და, ამავე დროს, იცვლება სიმძლავრის კოეფიციენტი. აღნიშნულის გამო საჭირო ხდება ავაგოთ შემდეგი დენის მრუდები:

1. $I_{d\alpha}(S)$ – ძრავას გახურების გასაანგარიშებლად;
2. $I_{ds}(S)$ – ტრანსფორმატორის პირველად გრაგნილზე აქტიური დენის მომქმედი მნიშვნელობა-ელექტროენერგიის ხარჯის განსასაზღვრავად;
3. $I_d(S)$ – გამართული დენის დაყვანილი მნიშვნელობა ელექტრომომარაგების სისტემის გასაანგარიშებლად.

იმისათვის, რომ ავაგოთ აღნიშნული მრუდები, საჭიროა მოცემული გვქონდეს ძრავას სიჩქარის მახასიათებელი $V(I_{d\alpha})$ გარდამქმნელი აგრეგატის გარე მახასიათებლის $U_{d\alpha}(I_{d\alpha})$ გათვალისწინებით. ამ მახასიათებელზე დატანილი უნდა იყოს შეზღუდვები ძრავას დასაშვები დენით (ნახ. 16.4 ა) და ჩაჭიდებით (ნახ. 16.4 ბ).

დენით შეზღუდვისას (ნახ. 16.4 ა) დამვრის და გაქანების პერიოდში ვიყენებთ AS ვერტიკალის შესაბამის ამუშავების დენს $I_{d\alpha..}$, ველის შესუსტების საფეხურებზე გადასვლისას დასაშვებია დენის ნახტომები $I_{d\alpha,\max}$ -მნიშვნელობამდე (C, D, E წერტილები).

ჩაჭიდებით შეზღუდვისას უნდა ავაგოთ AS მრუდი (ნახ. 16.4, ბ), რომელიც გვიჩვენებს ერთი ძრავას ჩაჭიდების წევის ძალის შესაბამისი დენის დამოკიდებულებას სიჩქარეზე. ამ მრუდს ვაგებთ ზემოთ განხილულის მსგავსად:



ნახ. 16.4. ძრავის სიჩქარის მრუდეები $V(I_d)$ და შეზღუდვები:
ა) დენიო, ბ) ჩაჭიდებით.


ელექტრომავლის წევის მახასიათებლიდან 0, 5, 10, 20, 30, 40 და ა.შ. სიჩქარეებისათვის გსაზღვრავთ ჩაჭიდების წევის ძალის მნიშვნელობებს. მათი გაყოფით ელექტრომავლის ძრავების რიცხვზე ვიღებთ ჩაჭიდების წევის ძალების მნიშვნელობებს ერთი ძრავასათვის, რომელთა მიხედვით წევის ძრავას წევის ძალის ნორმალური ველის მახასიათებლებიდან გსაზღვრავთ ძრავას დენის მნიშვნელობას $I_{d\text{.н.}}$. ანალოგიურად გსაზღვრავთ ძრავას დენის მნიშვნელობებს ველის შესუსტების საფეხურებისათვის (C, D, E წერტილები).

16.5 ნახაზზე მოცემულია НБ-418К წევის ძრავას (ელექტრომავლები ВЛ-80^Т; ВЛ-80^К) სავალი საფეხურების დენის მახასიათებლები, ჩაჭიდებით შეზღუდვის შემთხვევაში. ელექტრომავლის დენის მომქმედი მნიშვნელობა შეგვიძლია განვსაზღვროთ $I_d(V)$ -ს საფუძველზე, გარდამქმნელი აგრეგატის პარამეტრების გათვალისწინებით. წევის ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილის დენის მნიშვნელობა ბოგირული სქემის შემთხვევაში (საკუთარ მოხმარებაზე ენერგიის გაუთვალისწინებლად) გაითვლება ფორმულით

$$I_1 = \frac{I_2}{k_\delta}, \quad (16.1)$$

სადაც, I_2 არის ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილის დენის მომქმედი მნიშვნელობა.

k_δ – ტრანსფორმატორის ტრანსფორმაციის კოეფიციენტი.



ნახ. 16.5. ВЛ-80^к და ВЛ-80^т ელექტრომავლების НБ-418К წევის
ძრავას, დენის მახასიათებლები $V(I_d)$.

თუ ელექტრომოძრავი შემადგენლობა შედგება იდენტური n სექციისაგან, მაშინ
სრული დენის მნიშვნელობა იქნება:

$$I_d = I_1 n. \quad (16.2)$$

რადგან ბოგირული სქემის დროს $I_2 = k_{\vartheta} I_{\vartheta}$, ამიტომ შეგვიძლია დაგწეროთ

$$I_d = \frac{n k_{\vartheta} I_{\vartheta}}{k_{\vartheta}}. \quad (16.3)$$

ტრანსფორმატორის ტრანსფორმაციის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგი
გამოსახულებით:

$$k_{\vartheta} = \frac{0.9 U_{\vartheta}}{U_{\vartheta^0}}, \quad (16.4)$$

სადაც, U_{ϑ} არის უქმი სვლის გამართული ძაბვა.

U_{ϑ} – საკონტაქტო ქსელის ძაბვა.


გამართული დენი $I_{\vartheta} = I_d p$, სადაც p -ელექტრომავლის ერთ სექციაზე პარალე-
ლურ შტოთა რიცხვია. თუ შევიტანო მნიშვნელობებს (16.2) ფორმულის გამოსახუ-
ლებაში, საბოლოოდ მივიღებთ

$$I_d = \frac{p n U_{\vartheta^0} K_{\vartheta} I_{\vartheta}}{0.9 U_{\vartheta}}. \quad (16.5)$$

(16.5) ფორმულის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია ძრავას დენის I_d ყოველი მოცე-
მული მნიშვნელობისათვის განვსაზღვროთ ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენი

I_d . $U_{\text{d}0}$ -ის მნიშვნელობა აიღება მოცემული საფეხურისათვის გარდამქმნელის გარე მახასიათებლიდან. ცვლადი დენის ეფექტურობის კოეფიციენტი k_{eff} ჩვეულებრივ ტოლია 0.97.

დენის მახასიათებლებს $I_d(V)$ ავაგებთ ძრავას დენის მახასიათებლის $I_{\text{dr}}(V)$ საშუალებით და (16.5) ფორმულის გამოყენებით. აგებას ვახდენთ შემდეგი თანმიმდევრობით: დატვირთვის მთელი დიაპაზონისათვის გუშვებთ ძრავას დენის I_{dr} რამდენიმე მნიშვნელობას და ყველა სავალი საფეხურისათვის გპოულობთ შესაბამის სიჩქარის მნიშვნელობას (პირველი კოორდინატა). შემდეგ, იგივე დენებისათვის (16.5) ფორმულით გამოვთვლით შესაბამის I_d მნიშვნელობებს. (მეორე კოორდინატა) მიღებული კოორდინატებით ვაგებთ საძიებელ $I_d(V)$ მახასითებელს ყველა სავალი და ველის შესუსტების საფეხურისათვის (ნახ. 16.6). მახასიათებლებზე დატანილია I_d დენის შემზღვევა A_s ხაზი, რომელიც შეესაბამება ძრავას ამუშავების დენების მნიშვნელობებს, რეგულირების ყველა სავალ საფეხურზე, მიღებულს ჩაჭიდების შეზღუდვით (იხ. A_s მრუდი ნახ. 16.5).



ნახ. 16.6. ВЛ-80^T და ВЛ-80^K ელექტრომავლების დენის $I_d(V)$ მახასიათებლები.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ელექტროენერგიის ხარჯი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა ავაგოთ დენის აქტიური მდგენელის მახასიათებელი $I_{d\delta}(V)$. დენის აქტიური მდგენელი შეგვიძლია განვსაზღვროთ გამოსახულებით:

$$I_{d\delta} = I_d \cos \varphi, \quad (16.6)$$

სადაც, $\cos \varphi$ ელექტრომოძრავი შემადგენლობის სიმძლავრის კოეფიციენტია

$$\cos \varphi = \frac{P_\delta}{S} = \frac{P_\delta}{UI} = \frac{0.9(U_\delta + \Delta U_{\text{ვწ}} + R_{\text{ჰა}} I_\delta)}{U_\delta \cdot K_{\text{ჰა}}}, \quad (16.7)$$

სადაც, $\Delta U_{\text{ვწ}}$ არის გამმართველ გენტილებში ძაბვის ვარდნა.

$R_{\text{ჰა}}$ – ვენტილების აქტიური წინაღობა არაგამტარი მიმართულებით.


აქტიური დენი $I_{d\delta}$ შეგვიძლია გავთვალოთ უშუალოდ ძრავას დენით. ამისათვის (16.6) ფორმულაში შევიტანოთ I_d -ს მნიშვნელობას (16.5) ფორმულიდან და $\cos \varphi$ -ს მნიშვნელობა (16.7) ფორმულიდან. გამარტივების შემდეგ მივიღებთ

$$I_{d\delta} = \frac{pn[U_\delta - (z_{\text{ჰა}} - pR_{\text{ჰა}})I_{d\delta}]I_{d\delta}}{U_{\text{ჰა}}}, \quad (16.8)$$

სადაც, $z_{\text{ჰა}}$ არის სტატიური გარდამქმნელის ეკვივალენტური წინაღობა.

ძრავას დენის მახასიათებლით $V(I_{d\delta})$ და (16.8) ფორმულით შეგვიძლია გავთვალოთ აქტიური დენის მნიშვნელობა და ავაგოთ ელექტრომავლის აქტიური დენის მახასიათებლები $I_{d\delta}(V)$ სავალი საფეხურებისათვის (ნახ. 16.7).

ამ მახასიათებლებზე დატანილია შეზღუდვის ხაზი AS და ველის შესუსტების საფეხურებზე გადასვლის ხაზები (წყვეტილი ხაზები).



ნახ. 16.7. ВЛ-80^т და ВЛ-80^к ელექტრომავლების აქტიური დენის $I_{d\delta}(V)$ მახასიათებლები.


16.3. ელექტრომოძრავი შემადგენლობის მიერ მოხსმარებული დენის მრუდეები

მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობისათვის დენის მრუდს $I_{\text{ელ}}(s)$ აგებენ სიჩქარის მრუდის $V(s)$ და ელექტრომავლის დენის მახასიათებლების $I_{\text{ელ}}(V)$ საფუძველზე. დენის მრუდის აგება ხდება ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე (დაძვრის და ავტომატურ მახასიათებელზე გასვლის პროცესი), დენის მრუდის აგება ხდება მუშაობის რეჟიმების ცვლილების გათვალისწინებით, ე.წ. მახასიათებელი წერტილების მიხედვით.

მეორე ეტაპზე აგებას ვახდენთ სიჩქარის მრუდზე სიჩქარის ნაზრის ΔV საზღვრების მიხედვით. დენის მრუდის აგების მახასიათებელ წერტილებს მიეკუთვნება წერტილები, რომლებშიც იცვლება ძრავების მუშაობის რეჟიმი. განვიხილოთ დენის მრუდის აგების კონკრეტული მაგალითი.

მაგალითი: ავაგოთ დენის მრუდი $I_{\text{ელ}}(s)$ VL-10 ელექტრომავლისათვის, თუ მოცემულია სიჩქარის მრუდი $V(s)$ (ნახ. 16.8) და VL-10 ელექტრომავლის დენის მახასიათებლები $I_{\text{ელ}}(V)$ (ნახ. 16.3).



ნახ. 16.8. მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენის მრუდის $I_{\text{ელ}}(s)$ აგება.

VL-10 ელექტრომავლის დენის მახასიათებლების მიხედვით სიჩქარეები, რომლებზეც ელექტრომავლები მუშაობენ სხვადასხვა შეერთებზე და გელის შესუსტების სხვადასხვა საფეხურზე (ე.წ. მახასიათებელი წერტილები) შემდეგია:

სიჩქარე – კმ/სთ	დაჯგუფება, ველის შესუსტება
0 10	სერიესული „S“
10 22	სერიეს-პარალელური „SP“
22 46,7	პარალელური, ჩართული რეოსტატებით
46,7 48,5	პარალელური. სრული ველი „P“
48,5 52	გვ1
52 56	გვ2
56 და ზემოთ	გვ3


ელექტრომაგლის დენის მახასიათებლებიდან ჩანს, რომ როდესაც $V = 0$, $I_{\text{მ}} = 685 \text{ A}$.

A წერტილი (ნახ. 16.3). ამ დენს გადავზომავთ მასშტაბში სადგურის ცენტრის O წერტილიდან, $S = 0$ -თვის (წერტილი O' ნახ. 16.8). $V = 10 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე დენი ტოლია 595 ამპერის (c წერტილი, ნახ. 16.3). ამ დენს გადავზომავთ სიჩქარის მრუდის წერტილის ვერტიკალზე, რომელიც შეესაბამება სიჩქარეს 10 კმ/სთ (წერტილი 1' ნახ. 16.8). ამ სიჩქარეზე ხდება წევის ძრავების გადართვა სერიეს-პარალელურ შეერთებაზე (ნახ. 16.3) და დენი ორმაგდება, (1190) დენის ამ მნიშვნელობას გადავზომავთ იმავე ვერტიკალზე. მივიღებთ $1''$ წერტილს (ნახ. 16.8.). $V = 22 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე დენი ტოლია 1150 -ის (წერტილი 2'). ამავე სიჩქარეზე ხდება წევის ძრავების გადართვა პარალელურ დაჯგუფებაზე. დენი იზრდება ორჯერ ($2''$ წერტილი, 2 300) (ნახ. 16.8). $V = 30 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე დენი ტოლია $2 230$ -ის ($3'$ წერტილი). $V = 40 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე დენი ტოლია $2 170$ -ის ($4'$ წერტილი). $V = 46,7 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარეზე ელექტრომაგლი გადის პარალელური შეერთების სრული ველის ურეოსტატო პოზიციაზე. დენი ტოლია $2 140$ -ის ($5'$ წერტილი) ამ სავალ საფეხურზე მოძრაობა მიმდინარეობს $V = 48,5 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარემდე, რომელსაც სრული ველის მახასიათებელზე შეესაბამება დენი $1 970$ ($6'$ წერტილი). ამავე სიჩქარეზე ხდება გადასვლა ველის შესუსტების პირველ საფეხურ-გვ1-ზე. დენი იზრდება $2 480$ ამპერამდე ($6''$ წერტილი) ამ მახასიათებელზე მოძრაობისას 52 კმ/სთ სიჩქარემდე დენი მცირდება $2 060$ ამპერამდე. ($7'$ წერტილი) შემდეგ გვ2-ზე გადასვლა იწვევს დენის გაზრდას 2670 ამპერამდე ($7''$ წერტილი). გვ2 – მახასიათებელზე მოძრაობა 56 კმ/სთ სიჩქარემდე იწვევს დენის შემცირებას $2 270$ ამპერამდე ($8'$ წერტილი). გვ3-ზე გადასვლა იწვევს დენის გაზრდას $2 780$ ამპერამდე ($8''$ წერტილი). სიჩქარის 60 კმ/სთ -მდე გაზრდისას ელექტრომაგლის მიერ მოხმარებული დენი მცირდება $2 420$ ამპერამდე ($9'$ წერტილი). 65 კმ/სთ სიჩქარეზე დენი ტოლია $2 090$ ამპერის ($10'$ წერტილი). 70 კმ/სთ სიჩქარეზე 1870

ამპერის (11' წერტილი) 72 კმ/სთ სიჩქარეზე 1 800 ამპერის (12' წერტილი). შემდეგ მატარებელი იწყებს მოძრაობას აღმართზე და სიჩქარე იწყებს კლებას, შესაბამისად იზრდება დენის მნიშვნელობა. 16 წერტილში (სიჩქარის მრუდზე), სიჩქარე მცირდება 56 კმ/სთ-მდე, ხოლო დენი იზრდება 2 780 ამპერამდე (16' წერტილი) ამ სიჩქარეზე ხდება უკუ გადასვლა ველის შესუსტების მესამე საფეხურიდან, მეორე საფეხურზე, რის გამოც დენი საწყისში მცირდება 2 270 ამპერამდე (16'' წერტილი), ხოლო სიჩქარის შემდგომი შემცირებისას აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას 2 670ა. ამ სიჩქარეზე ხდება გადასვლა ვმ1 საფეხურზე. დენი მცირდება 2 600 ამპერამდე და ა.შ. სიჩქარის მრუდის 18-19 წერტილებს შორის სიჩქარე უცვლელია და ტოლია 49 კმ/სთ. რა თქმა უნდა, დენიც უცვლელია და ტოლია 2 420ა-ის. 24 წერტილში წევის რეჟიმი გამოირთვება და მიმდინარეობს თავისუფალი გორვა. შესაბამისად დენის მოხმარება წყდება და უტოლდება 0-ს.

თუ მიღებულ 1', 2', 3' და ა.შ. წერტილებს შევაერთებთ სწორი ხაზებით მივიღებთ ტეხილს, რომელიც გვიჩვენებს საძიებელ დენის მრუდს $I_{\text{გლ}}(s)$ (ნახ. 16.8).

თუ გამოვიყენებთ დენის მახასიათებლებს $I_{\text{გრ}}(V)$; $I_{\text{გს}}(V)$ და $I_d(V)$ და სიჩქარის წინასწარ აგებულ მრუდს $V(s)$, შეგვიძლია იმავე მეთოდით ავაგოთ დენის მრუდეები $I_{\text{გრ}}(S)$; $I_{\text{გს}}(S)$; $I_d(S)$ - ერთფაზა ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობისათვის (ნახ. 16.9).



ნახ. 16.9. ერთფაზა ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობისათვის
 $I_{\text{გრ}}(S)$, $I_{\text{გს}}(S)$, $I_d(S)$ – დენის მრუდეების აგება.

შევის ძრავების გახურება

17.1. ზოგადი ცნობები ელექტრული მანქანების გახურების შესახებ

ზოგადად, ელექტრული მანქანები და კერძოდ, ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ძრავები ელექტრულ ენერგიას გარდაქმნიან მექანიკურ მუშაობად, რასაც თან სდევს ენერგიის დანაკარგები ძრავაში; ეს კი იწვევს მისი ცალკეული კვანძების და დეტალების გახურებას. წევის ძრავების გახურების ტემპერატურა დამოკიდებულია მათში სიმძლავრის დანაკარგების რაოდენობაზე, მათ ხანგრძლივობაზე და გაგრილების ინტენსივობაზე. ქსელში უცვლელი ძაბვის პირობებში, სიმძლავრის დანაკარგები ძრავაში დამოკიდებულია ძრავას დატვირთვაზე, ანუ იგივე დატვირთვის დენზე. ე.ო. რაც მეტადაა დატვირთული ძრავა, მით მეტ დენს მოიხმარს, მით მეტია მასში დანაკარგები და, შესაბამისად, მით მეტად ხურდება მისი ნაწილები, პირველ რიგში გრავნილები და კოლექტორი.

წევის ძრავების გრავნილების გახურების შემცირების მიზნით, მათ აგრილებენ. ე.წ. იძულებითი გაგრილების სქემის დროს, სპეციალური მოტორ-ვენტილატორები ქმნიან გამაგრილებელი ჰაერის ნაკადს, რომელიც მიმართულია მანქანის შიგნით და ართმევს სითბოს გარკვეულ ნაწილს. ასეთი გაგრილების სისტემებში აღგენენ გამაგრილებელი ჰაერის რაოდენობრივ ნორმებს *Q₃*. თვითგაგრილების მქონე ელექტროძრავებში, სადაც ვენტილატორის ფრთა დასმულია ძრავას დერძზე; ვენტილაციის ხარისხი დამოკიდებულია ძრავას ბრუნთა რიცხვზე, ანუ მოძრობის სიჩქარეზე.

წევის ძრავების გახურების ტემპერატურა იზღუდება მასში გამოყენებული საიზოლაციო მასალების დასაშვები ტემპერატურით. დიდი დატვირთვებისას, მაღალი ტემპერატურების გამოყოფის გამო, ინტენსიურად ბერდება საიზოლაციო მასალები და კარგავენ საიზოლაციო თვისებებს.

დღეისათვის წევის ძრავებში გამოყენებულია სხვადასხვა კლასის საიზოლაციო მასალები, რის გამოც ისინი უშვებენ სხვადასხვა გახურების ტემპერატურას. მაგალითად, *B* კლასის საიზოლაციო მასალები, რომლებიც დამზადებულია სხვადასხვა ნაკობებითუმის და სინთეტიკური ლაქების ბაზაზე, ნაკლებად სითბომედევგია. მაღალი სითბომედევგობით ხასიათდება *F* კლასის საიზოლაციო მასალები, რომლებიც დამზადებულია ახალი სინთეტიკური და მინაქსოვილების ბაზაზე. კიდევ უფრო თბომედევგია *H* კლასის საიზოლაციო მასალები, რომლებიც დამზადებულია კაუ-

ბადორგანული და მინაქსოვილის ნარევების ბაზაზე. ქვემოთ მოგვყავს გახურების დასაშვები ტემპერატურების იზოლაციის კლასზე დამოკიდებულების ცხრილი.

იზოლაციის კლასი	B	F	H
ღუზის გრაფილის იზოლაცია	145°C	165°C	185°C
პოლუსების გრაფილების ტემპერატურა	155°C	180°C	205°C

დიდი დენების დროს წევის ძრავები მაქსიმალურ დასაშვებ ტემპერატურამდე სწრაფად ხურდება, ხოლო მცირე დენების დროს (დანაკარგების სიმცირის გამო) ნელა. გამოყოფენ წევის ძრავების მუშაობის ორ რეჟიმს:

- ხანგრძლივს,
- საათურს.

ხანგრძლივ რეჟიმს (დენს) შეესაბამება წევის ძრავების დატვირთვის ისეთი რეჟიმი (დენი), როდესაც ნომინალური ძაბვის და ნორმალურად მომუშავე გენტილაციის პირობებში, ხანგრძლივ რეჟიმში მუშაობისას გახურების ტემპერატურა არ გადააჭარბებს დასაშვებ მნიშვნელობას.

საათურ რეჟიმს (დენს) შეესაბამება წევის ძრავების დატვირთვის ისეთი რეჟიმი (დენი), როდესაც ნომინალური ძაბვის და ნორმალურად მომუშავე გენტილაციის პირობებში, ერთი საათის განმავლობაში მუშაობისას გახურების ტემპერატურა არ გადააჭარბებს დასაშვებ მნიშვნელობას.

სითბომედეგი საიზოლაციო მასალების გამოყენებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რადგან მათი გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მანქანის გაბარიტებს, ან იგივე გაბარიტების შემთხვევაში იძლევა დიდი სიმძლავრეების (15-20%-ით მეტი) რეალიზაციის შესაძლებლობას.


17.2. წევის ძრავების გახურების გაანგარიშების ანალიზური მეთოდი

წევის ელექტრული მანქანების გახურების გაანგარიშებისას განსაზღვრავენ მანქანის ყველაზე გახურებული ნაწილის (ჩვეულებრივ, როგორც წესი, ღუზის ან მთავარი პოლუსების კოჭების) ტემპერატურის გადამეტებას გარემო ჰაერის ტემპერატურაზე.

სტენდებზე არაერთმა გამოცდამ აჩვენა, რომ ძრავების გახურება მიმდინარეობს ფიზიკის კურსიდან ცნობილი ერთგვაროვანი სხეულის გახურების კანონის შესაბამისად.

ერთგვაროვანი სხეულის გახურების თეორიის თანახმად, გახურების პროცესში გამოყოფილი თბური ენერგიის ნაწილი, სხეულის სითბოტევადობის გამო, რჩება

მასში და იწვევს მისი ტემპერატურის ამაღლებას, ხოლო ამ ენერგიის ნაწილი სხეულის სითბოგაცემის უნარის გამო გადაეცემა გარემოს.



ნახ. 17.1. წევის ძრავას ტემპერატურის ცვლილება დროის მიხედვით, უცვლელი დატვირთვის დროს.

განვიხილოთ წევის ძრავას გრაფიკის გახურების ტემპერატურის ცვლილება t დროის განმავლობაში, უცვლელი დატვირთვის და სითბოგაცემის პირობებში.

პროცესის დასაწყისში, როდესაც ძრავას ტემპერატურა ახლოსაა გარემოს ტემპერატურასთან, გახურების პროცესი მიდის ინტენსიურად, რადგან მთელი გამოყოფილი სითბო ძრავას დიდი სითბო ტევადობის გამო რჩება ძრავაში და იწვევს მისი ტემპერატურის ინტენსიურ

ზრდას. ტემპერატურის ზრდისას, სითბოგაცემის უნარის გამო, განუწყვეტლივ იზრდება გარემოზე გადაცემული სითბოს წილი და დგება ისეთი მომენტი, როდესაც გამოყოფილი სითბო მთლიანად გადაეცემა გარემოს. ეს ნიშნავს იმას, რომ გახურების ტემპერატურა დამყარდა. სითბოგაცემის არარსებობის შემთხვევაში გახურების პროცესი წავიდოდა OA ხაზის მიხედვით (ნახ. 17.1).

ძრავას გახურების პროცესის ანალიზის გაიოლების მიზნით შემოვიდოთ შემდეგი აღნიშვნები:

C – ძრავას სითბოტევადობა, ანუ სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა მისი ტემპერატურის 1°C -ით ასამაღლებლად;

A – ძრავას სითბოგაცემა, ანუ სითბოს რაოდენობა, რომელიც გადაეცემა ძრავადან გარემოს დროის ერთეულში, ტემპერატურის 1°C -ით სხვაობისას;

τ – ძრავას ტემპერატურის გადამეტება გარემომცველი პაერის ტემპერატურაზე გრადუსებში;

θ – დროის ერთეულებში ძრავას მიერ გამოყოფილი სითბოს საერთო რაოდენობა.

თუ სითბოს რაოდენობა გაიზომება კილოკალორიებში, მაშინ ზემოთ მოყვანილ სიდიდეების განზომილებები იქნება: $\theta = \frac{\text{კკალ}}{\text{წმ}}; C = \frac{\text{კკალ}}{^{\circ}\text{C}}; A = \frac{\text{კკალ}}{\text{წმ}^{\circ}\text{C}}$.

ძრავას მიერ გამოყოფილი სითბოს საერთო რაოდენობა

$$\theta = 0,24 \sum \Delta P \frac{\text{კკალ}}{\text{წმ}}, \quad (17.1)$$

სადაც, $\sum \Delta P$ არის ძრავაში ჯამური დანაკარგები კვტ-ში.

ძრავას უცვლელი დატვირთვით მუშაობისას თბური ბალანსის განტოლებას ექნება შემდეგი სახე

$$\theta dt = A\tau dt + Cd\tau \quad \text{გვალ.} \quad (17.2)$$

გახურების პროცესი ხასიათდება დამოკიდებულებით გახურების ტემპერატურისა და დროს შორის $\tau(t)$. (17.2) განტოლების საფუძველზე ვიპოვოთ ეს დამოკიდებულება. ამისათვის პირველ რიგში განვაცალკევოთ ცვლადები, მივიღებთ

$$(\theta - A\tau)dt = Cd\tau$$

$$\text{აქედან გვერთ} \quad dt = \frac{Cd\tau}{(\theta - A\tau)}.$$

$$\text{ინტეგრირების შემდეგ მივიღებთ} \quad t = -\frac{C \ln(\theta - A\tau)}{A} + K. \quad (17.3)$$

განვსაზღვროთ ინტეგრირების მუდმივა K საწყისი პირობიდან, როდესაც $t = 0$, გახურების ტემპერატურა $\tau = \tau_0$ და $K = C \ln(\theta - A\tau_0)$. თუ K -ს მნიშვნელობას ჩავსვამთ (17.3) ფორმულაში მივიღებთ:

$$t = -\frac{C[\ln(\theta - A\tau) - \ln(\theta - A\tau_0)]}{A} = -\frac{C}{A} \left[\frac{\ln(\theta - A\tau)}{(\theta - A\tau_0)} \right]. \quad (17.4)$$

ამოვხსნათ (17.4) განტოლება τ -ს მიმართ.

თუ მოვახდენთ მიღებული განტოლების ორივე მხარის ინტეგრირებას, მივიღებთ:

$$\begin{aligned} e^{-\frac{A}{C}t} &= \frac{(\theta - A\tau)}{(\theta - A\tau_0)}. \\ \text{აქედან} \quad \tau &= \frac{\theta}{A} \left(1 - e^{-\frac{tA}{C}} \right) + \tau_0 e^{-\frac{tA}{C}}. \end{aligned} \quad (17.5)$$

(17.5) ტოლობაში შემოვიდებთ აღნიშვნებს $\frac{C}{A} = T$; $\frac{\theta}{A} = \tau_\infty$, საბოლოოდ მივიღებთ:

$$\tau = \tau_\infty (1 - e^{-\frac{t}{T}}) + \tau_0 e^{-\frac{t}{T}}, \quad (17.6)$$

სადაც, e არის ნატურალური ლოგარითმის ფუძე.

T - დროის თბური მუდმივა. ესაა პირობითი დრო, რომლის განმავლობაში ძრავა გახურდება დამყარებულ ტემპერატურამდე სითბოგაცემის არარსებობის პირობებში. τ_0 - სააგარიშო პერიოდში გახურების საწყისი ტემპერატურა, °C.

ძრავას გამორთვის შემთხვევაში, როცა $t = 0$, შესაბამისად $\tau_\infty = 0$, სითბოს გამოყოფა წყდება და მიმდინარეობს ძრავას გაგრილება:

$$\tau = \tau_0 e^{-\frac{t}{T}}. \quad (17.7)$$

(17.6) და (17.7) ფორმულით გახურების ტემპერატურების გაანგარიშება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული (დღეისათვის კომპიუტერების მასობრივი

გამოყენების ხანაში ეს სირთულეები არაა). ამიტომ, პრაქტიკაში იყენებენ გამარტივებულ ფორმულებს, რომლებიც $\frac{\Delta t}{T} < 0,1$ პირობის დაცვისას იძლევა საკმარის სიზუსტეს. კერძოდ, გახურების რეჟიმისთვის

$$\tau = \tau_{\infty} \frac{\Delta t}{T} + \tau_0 \left(1 - \frac{\Delta t}{T} \right). \quad (17.8)$$

$$\text{გაგრილების რეჟიმისთვის} \quad \tau = \tau_0 \left(1 - \frac{\Delta t}{T} \right), \quad (17.9)$$

სადაც, Δt დროის ინტერვალია, რომელშიც ვანგარიშობთ გახურებას (გაგრილებას), აიღება $\Delta t/T < 0,1$ პირობის დაცვით.

T, τ_{∞} არის მოცემული ძრავას თბური პარამეტრები, რომლებიც დგინდება სტენდზე გამოცდის შედეგად და მოცემულია პასპორტით.

ძრავას გახურების საბოლოო ტემპერატურა გარემოს ტემპერატურის გათვალისწინებით იქნება:

$$T_{\text{გაb}} = \tau + t_{\text{პაj}}.$$

გარემო პაერის ტემპერატურა საანგარიშოდ აიღება 25°C -ის ტოლი.

თუ ელექტრომოძრავი შემადგენლობა მუშაობას იწყებს ხანგრძლივი დგომის შემდეგ, საწყის ტემპერატურად იღებენ $+15^{\circ}\text{C}$.

T, τ_{∞} თბური პარამეტრები სტენდზე გადაღებულია ნომინალური ვენტილაციის პირობებში. თუ ვენტილატორი გამორთულია, მაშინ T აიღება 3-ჯერ მეტი, რადგან სითბოგადაცემა იქნება გაცილებით ნაკლები.

ძრავას დენის მნიშვნელობები აიღება ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობისათვის $I_{\text{ძr}}(s)$, ხოლო მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობისათვის $I_{\text{ძლ}}(s)$ მრუდეებიდან. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ძრავას დენი იანგარიშება ფორმულით:

$$I_{\text{ძr}} = \frac{I_{\text{პ}}}{p},$$

სადაც, p არის ძრავების პარალელურ შტოთა რიცხვი.


თუ აღებული Δt ინტერვალის ფარგლებში დენი იცვლება $I_{\text{ძr1}} - I_{\text{ძr2}}$ ფარგლებში, აიღება საშუალო მნიშვნელობის ტოლი

$$I_{\text{ძr.საშ.}} = \frac{I_{\text{ძr1}} + I_{\text{ძr2}}}{2}.$$

ძრავას დენის მიღებული მნიშვნელობისთვის ვსაზღვრავთ თბურ პარამეტრებს T, τ_{∞} (ნახ. 17.2) და (17.8) ფორმულით ვანგარიშობთ გახურებას, პირველი ინტერვა-

ლისათვის. შემდეგი ინტერვალისათვის საწყის ტემპერატურად ვიღებთ წინა ინტერვალის ბოლო ტემპერატურას და ასე ვაგრძელებთ ანგარიშს. იქ სადაც წყდება დენის მოხმარება, იწყება გაგრილება და ვიყენებთ (17.9) ფორმულას.

რეკუპერაციული ან რეოსტატული დამუხრუჭების პირობებში ანგარიშს ვაწარ-



ნახ. 17.2. ТЛ-2К წევის ძრავას საკომპენსაციო გრაფიკის თბური პარამეტრები $Q=95 \text{ } \text{m}^3/\text{წ}$ გამაგრილებელი ჰაერის პირობებში.

გრაფიკის მრუდების ანალიზით გარემოს ტემპერატურა ვიღებთ +25°C.

მოებთ ისევე, როგორც წევის რეჟიმში.

განვიხილოთ გაანგარიშების კონკრეტული მაგალითი. გაანგარიშებას ვახდენთ ცხრილის სახით. (იხ. ცხრილი 17.1) ცხრილის მე-2 გრაფის ვავსებთ სიჩქარის მრუდის $V(S)$ გაანალიზებთ. მე-3 გრაფის მონაცემებს ვიღებთ დენის $I_{\text{დრ}}(s)$ მრუდიდან. მე-4 გრაფის მონაცემებს ვიღებთ დროის $t(s)$ მრუდიდან. მე-5 და მე-6 გრაფის მონაცემებს ვიღებთ თბური პარამეტრების მრუდიდან.

მაგალითი: გავიანგარიშოთ **ВЛ-80^т**

ელექტრომავლის НБ-418 К ძრავას გახურება. ცხრილის პირველ – მე-4-ებს

გრაფიკის მრუდების ანალიზით. გარემოს ტემპერატურას ვიღებთ +25°C.

ცხრილი 17.1

№	რეჟიმი	$\frac{\Delta t}{T}$									
1	წევის	1020	1,6	176	23	0,0697	12,7	0,9303	23,3	36,0	
2	—	980	0,5	160	23	0,0228	3,65	0,9772	35,2	38,85	
3	—	940	1,9	143	23	0,0620	8,87	0,9380	36,5	45,37	
4	—	900	0,7	137	23	0,0304	4,16	0,9696	44,0	48,16	
5	—	920	0,9	155	23	0,0391	6,07	0,9609	46,3	52,37	
6	—	800	1,1	114	23	0,0495	5,64	0,9505	49,8	55,44	
7	—	720	2,0	100	23	0,0870	8,70	0,9130	50,6	59,30	
8	—	630	1,7	82	23	0,0740	6,07	0,9260	55,0	61,07	
9	თავის გორგა	0	2,2	0	23	0,0957	0	0,9043	55,8	55,8	
		415	1,8	55	23	0,0782	4,30	0,9218	51,5	55,8	
10	რეოსტატული	780	1,3	107	23	0,0565	6,04	0,9435	52,8	58,84	
11	დამუხრუჭება	610	2,1	80	23	0,0913	7,30	0,9087	53,4	61,10	
12	—										

ელექტრომავლის დაძვრა ხდება ძრავას დენით 1 020ა. ეს დენი ძრავაში გადის 1.6 წთ-ის განმავლობაში. აღნიშნული დენისათვის ვსაზღვრავთ თბურ პარამეტრებს $T = 23$ წთ, $\tau_\infty = 182^\circ\text{C}$. თუ ჩავსვამთ მნიშვნელობებს (17.3) ფორმულაში, მივიღებთ:

$$\tau = \tau_\infty \frac{\Delta t}{T} + \tau_0 \left(1 - \frac{\Delta t}{T}\right) = 182 \frac{1,6}{23} + 25 \left(1 - \frac{1,6}{23}\right) = 12,66 + 23,66 = 35,92 = 36^\circ\text{C}.$$

ანალოგიურად ვაკეთებთ ანგარიშს მეორე ინტერვალისათვის, ოდონდ საწყის ტემპერატურად ვიღებთ $\tau_0 = 36^\circ\text{C}$ და ა.შ. მე-8 ინტერვალზე ელექტრომავლი წყვეტს დენის მოხმარებას (თავისუფალი გორვის რეჟიმი) და გაანგარიშებას ვახდენთ გაგრილების (17.4) ფორმულით.

ცხრილის მე-11-ე გრაფის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტემპერატურის ყველაზე დიდი გადამეტება შეადგენს $61,1^\circ\text{C}$. გახურების მაქსიმალური ტემპერატურა ტოლია


$$\tau_{\text{გა.}} = \tau + t_{\text{ასე}} = 61,1 + 25 = 86,1^\circ\text{C}.$$

17.3. წევის ძრავების გახურების გაანგარიშების გრაფიკული მეთოდი, ტემპერატურული მრუდეების ბადის გამოყენებით


ყოველი სერიული ძრავასათვის გამოსაცდელ სტენდზე განსაზღვრავენ გახურების და გაგრილების ტემპერატურას დატვირთვის დენების და მათი მოხმარების ხანგრძლივობის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის და მიღებული მონაცემებით აგებენ გახურების და გაგრილების მრუდეებს ე.წ. ტემპერატურულ ბადეებს $\tau(t)$ (ნახ. 17.3).

ტემპერატურული ბადის გამოყენების ასახსნელად, სიმარტივისათვის განვიხილოთ 17.4 ნახაზზე მოცემული $\tau(t)$ მრუდეები, რომლებიც აგებულია ძრავას რადაც კონკრეტული დენის მნიშვნელობისათვის. ნახაზზე პირველი მრუდი შეესაბამება გახურების პროცესს, ხოლო მე-2 მრუდი გაგრილების პროცესს. პირველი მრუდი-დან ჩანს, რომ დასაწყისში $\Delta t = t_1 - t_0$ დროის განმავლობაში ძრავას ტემპერატურა მკვეთრად იზრდება τ_0 მნიშვნელობიდან τ_1 მნიშვნელობამდე (ab ტრაექტორია). შემდეგ გახურების ინტენსივობა მცირდება და c წერტილში მისი მატება წყდება. ამ მომენტში გახურების ტემპერატურა უტოლდება დამყარებული ტემპერატურის მნიშვნელობას $\tau = \tau_\infty$.

გაგრილების მე-2 მრუდიდან ჩანს, რომ საწყის ეტაპზე ტემპერატურა მკვეთრად ეცემა τ_2 -დან τ_1 -მდე (ტრაექტორია cd) და როცა $\tau = \tau_\infty$, ტემპერატურის დაცემა წყდება.




68b. 17.3



68b. 17.4

განვიხილოთ გაანგარიშების თანმიმდევრობა ნახ. 17.5-ზე მოცემული ტემპერატურული ძაღის მაგალითზე. წინასწარ ვანალიზებთ წევის ანგარიშებით მიღებულ დენის $I_{\text{жл.}}(s)$ და დროის $t(s)$ მრუდეებს და ვსაზღვრავთ ძრავას დენის საშუალო მნიშვნელობებს $I_{\text{ძრ.1}}, I_{\text{ძრ.2}}, I_{\text{ძრ.3}}, \dots, I_{\text{ძრ.}n}$ და მათი მომარების ხანგრძლივობებს $\Delta t_1, \Delta t_2, \Delta t_3, \dots, \Delta t_n$.



ნახ. 17.5

I_{დრ.1} ძრავას დენის მნიშვნელობისთვის ბადეზე (ნახ. 17.5) გპოულობთ შესაბამის მრუდს, ვთქვათ $I_{დრ.1} = I_4$ (მე-4 მრუდს). ამ მრუდზე ძრავას საწყის ტემპერატურას τ_0 -ს შეესაბამება *a* წერტილი, რომლისგანაც ჰორიზონტალურად გადავდებო ამ დენის მოხმარების ხანგრძლივობას Δt_1 -ს და გპოულობთ *b* წერტილს, რომელიც შეესაბამება გახურების τ_1 ტემპერატურას. ე.ი. ძრავაში $I_{დრ.1}$ დენის Δt_1 დროის განმავლობაში გავლისას, ძრავას ტემპერატურა გაიზრდება τ_1 -დან τ_1 -მდე (*ab* ტრაექტორიით). თუ მეორე ინტერვალისთვის ძრავას დენის საშუალო მნიშვნელობა გახდა I_1 -ის ტოლი (1 მრუდი), ხოლო მისი მოხმარების ხანგრძლივობა Δt_2 , მაშინ ამ ინტერვალისთვის საწყისი ტემპერატურა იქნება τ_1 , რასაც პირველ მრუდზე შეესაბამება *c* წერტილი, საიდანაც გადავდებო Δt_2 დროს და ვიპოვით *d* წერტილს. ე.ი. ძრავაში $I_{დრ.2}$ დენის Δt_2 დროის განმავლობაში გავლისას, ძრავა გახურდება τ_1 -დან τ_2 -მდე (*cd* ტრაექტორიით). თუ მესამე ინტერვალში ძრავას მიერ მოხმარებული საშუალო დენი $I_{დრ.3}$ იქნება ტოლი I_6 -ის და აღმოჩნდება $I_{დრ.2}$ -ზე ნაკლები, მაშინ ძრავა დაიწყებს გაგრილებას $6'$ მრუდის შესაბამისად. ამისთვის, *d* წერტილი გადაგვაჭს $6'$ მრუდზე *e* წერტილში, საიდანაც გადავდებო ამ დენის მოხმარების დროს Δt_3 -ს და გპოულობთ *f* წერტილს, რომელსაც შეესაბამება ტემპერატურა τ_3 . ე.ი.

შემცირებული $I_{\text{d}k3}$ დენის გავლის დროს ძრავა Δt_3 დროის განმავლობაში გაგრილდა τ_2 -დან τ_3 -მდე (*ef* ტრაექტორიით). აღწერილი მეთოდით ვაგრძელებთ გათვლებს. თუ ძრავას დენის რაიმე k საშუალო მნიშვნელობისათვის $I_{\text{d}k k}$, შესაბამისი მრუდი არ აღმოჩნდება ბადეზე, მიგმართავთ ინტერპოლაციის ხერხს, ისე როგორც ეს ნაჩვენებია 17.5 ნახაზზე Δt_5 ინტერვალისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე მეთოდი იყენებს ექსპერიმენტულად გადაღებულ მრუდებს, ის მაინც არ იძლევა გაანგარიშების საკმარის სიზუსტეს, რადგან არ ითვალისწინებს ტემპერატურის ფაქტიურ გადანაწილებას ძრავის ცალკეულ კვანძებს შორის.

XVIII თავი

ელექტროენერგიის ხარჯის გაანგარიშება

18.1. მატარებელთა წევაზე დახარჯული ელექტროენერგიის გრაფოანალიზური განვითარება

ელექტრომოძრავი შემადგენლობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია იხარჯება: მატარებლის გადაადგილებაზე (წევაზე), ელექტრომოძრავი შემადგენლობის გადაადგილებაზე დეპოსა და სადგურის ხაზებზე მანევრირებისას და საკუთარ მოხმარებაზე. ელექტროენერგიის ნაწილი იხარჯება დანაკარგებზე თვით ელექტრომოძრავ შემადგენლობაში და მოძრაობის დროს წარმოქმნილი დანაკარგების დაფარვაზე.

მატარებელთა წევაზე ელექტროენერგიის ხარჯი შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ხერხით. მათ შორის ერთ-ერთი პოპულარული გრაფოანალიზური მეთოდი ემყარება მოძრაობის (სიჩქარის, დროის და დენის) მრუდეების გამოყენებას.

ელექტრული რკინიგზების მუდმივი დენის სისტემებში, მატარებელთა წევაზე ელექტროენერგიის ხარჯი დამოკიდებულია საკონტაქტო ქსელში ძაბვის $U_{\text{ქ}}$ სიდიდეზე, ელექტრომოძრავი შემადგენლობის მიერ მოხმარებულ I დენზე და ამ დენის მოხმარების ხანგრძლივობაზე Δt -ზე.

18.1 ნახაზზე ნაჩვენებია მოძრაობის სიჩქარის და მოხმარებული დენის ცვლილება დროის მიხედვით. ამუშავების პროცესში 0-დან $V_{\text{სა}}$ სიჩქარემდე დენი უცვლელია და ტოლია I_1 -ის. ამ დენის მოხმარება ხდება მთელი ამუშავების პროცესის ხანგრძლივობის $\Delta t_1 = t_1 - 0$ განმავლობაში. ამ დროს მატარებლის წევაზე ენერგიის ხარჯი იქნება

$$A_{\text{ვ1}} = U_{\text{ქ}} I_1 \Delta t_1. \quad (18.1)$$

$\Delta t_2 = t_2 - t_1$ დროის განმავლობაში მოხმარებული დენის მნიშვნელობა იცვლება I_1 -დან I_2 -მდე. ის შეგვიძლია შევცვალოთ საშუალო მნიშვნელობით $I_{2\text{სა}} = \frac{I_1 + I_2}{2}$ და ენერგიის ხარჯი იქნება

$$A_{\text{ვ2}} = U_{\text{ქ}} I_{2\text{სა}} \Delta t_2.$$

თუ ჩავატარებთ ანალოგიურ გათვლებს, ჩვენ მივიღებთ ენერგიის ხარჯს წევაზე T დროის განმავლობაში, ვტ.სთ-ში.


$$A_{\text{ვ}} = A_{\text{ვ1}} + A_{\text{ვ2}} + \dots A_{\text{ვi}} = U_{\text{ქ}} (I_1 \Delta t_1 + I_{2\text{სა}} \Delta t_2 + I_{i\text{სა}} \cdot \Delta t_i) \quad (18.2)$$

$$\text{ანუ} \quad A_{\text{ვ}} = U_{\text{ქ}} \sum (I_{i\text{სა}} \cdot \Delta t_i). \quad (18.3)$$

თუ გავითვლისწინებთ იმას, რომ ძაბვა გვაქვს ვოლტებში, დენი ამჟერებში, დრო წუთებში და ელექტროენერგია უნდა გავზომოთ კილოვატ-საათებში, ამიტომ

(18.3) ფორმულა უნდა გავყოთ 60-ზე (წუთების საათებში გადასაყვანად და პიდევ უნდა გავყოთ 1 000-ზე, ვატების კილოვატებში გადასაყვანად). საბოლოოდ წევაზე ელექტროენერგიის გასაანგარიშებელ ფორმულას ექნება შემდეგი სახე

$$A_V = \frac{U_{\text{db}} \sum (I_{i\text{bs}} \Delta t_i)}{60 \cdot 10^3}. \quad (18.4)$$



ნახ. 18.1. სიჩქარის $V(t)$ და დენის $I(t)$ დამოკიდებულება
სვლის t დროზე.

წევის ანგარიშებში დენის, სიჩქარის და დროის მრუდებს აგებენ მანძილთან ფუნქციაში. ტექნიკურად გაანგარიშება ხდება შემდეგი თანმიმდევრობით: სიჩქარის მრუდზე (ნახ. 16.8) იღებენ გარდატეხის წერტილებს (მაგალითად 22 და 23 წერტილებს). ამ წერტილების შესაბამისად დენის მრუდიდან ვსაზღვრავთ შესაბამის დენებს I_{22} და I_{23} -ს და ვანგარიშობთ მათ საშუალო მნიშვნელობას $I_{\text{bs}} = \frac{I_{22} + I_{23}}{2}$. დროის მრუდიდან ვიღებთ Δt ინტერვალს, მიღებულ სიდიდეებს ვსვამთ (18.4) ფორმულაში და ვანგარიშობთ ამ ინტერვალში ენერგიის ხარჯს ΔA -ს.

ცვლადი დენის ელექტიფიცირებული უბნებისათვის, წევაზე ენერგიის ხარჯის გასათვალელად, ვსარგებლობთ წინასწარ აგებულ დენის აქტიური მდგენელის მრუდით $I_d(S)$ (ნახ. 16.9). ამ შემთხვევაში საანგარიშო ფორმულას ექნება შემდეგი სახე:


$$A_V = \frac{U_{\text{db}} \sum (I_{d\text{bs}} \Delta t)}{60 \cdot 10^3}. \quad (18.5)$$

თუ მატარებლის მოძრაობისას გამოიყენება რეგუპერაციული დამუხრუჭება, მაშინ ქსელში დაბრუნებულ ენერგიას აკლებენ წევაზე დახარჯულ ენერგიის ხარჯს.

18.2. წევაზე დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯის გრაფიკული გაანგარიშება

ელექტროენერგიის ხარჯი შეიძლება განისაზღვროს მოხმარებული დენის მრუდის აგების გარეშე გრაფიკულად, ელექტრომავლის დენის მახასიათებლების $I_{\text{ელ}}(V)$, $I_{d_s}(V)$ და სიჩქარის მრუდის $V(S)$ გამოყენებით. განვიხილოთ გაანგარიშების აღნიშნული პრინციპი.

18.2 ა ნახაზზე მოცემულია ელექტრომავლის დენის მახასიათებელი $I_{\text{ელ}}(V)$, ხოლო 18.2 ბ ნახაზზე მატარებლის მოძრაობის სიჩქარის მრუდი $V(S)$. ΔS მონაკვეთზე, რომელზეც მატარებელი მოძრაობს $V_{\text{საშ}}$ სიჩქარით (18.3) ფორმულით გავთვალოთ ენერგიის ხარჯი $\Delta A_{\text{ვ}}$, ენერგიის მიღებული ხარჯი $\Delta A_{\text{მ}}$ გადავდოთ რეკომენდებულ m_A მმ/კვტ.სთ მასშტაბში c წერტილიდან, მონაკვეთი bc . აღებული ელემენტის ΔS ფარგლებში, ელექტროენერგიის ხარჯი შეიცვლება წრფივად – ab კანონით.



ნახ. 18.2. ელექტროენერგიის გრაფიკული გაანგარიშების პრინციპი.

ეხლა ვნახოთ, თუ რა პირობებში შეგვეძლო აგვეგო ab ხაზი გეომეტრიულად $\Delta A_{\text{ვ}}$ ენერგიის წინასწარ გათვლის გარეშე. ამ მიზნით, პირველ რიგში, განვსაზღვროთ ab ხაზის აბსცისთა დერძთან დახრის კუთხის β -ს ტანგენსი,

$$\operatorname{tg} \beta = \frac{bc}{ac} = \frac{\Delta A_{\text{ვ}} m_A}{\Delta s \cdot m_s}, \quad (18.6)$$

სადაც, m_A არის ენერგიის მასშტაბი, მმ/კვტ.სთ.

m_s – მანძილის მასშტაბი, მმ/კმ.

$$\text{გეორგ } \Delta s = V_{\text{საშ}} \Delta t, \text{ მაშინ} \quad tg\beta = \frac{\Delta A_{\text{ვ}} \cdot m_A}{V_{\text{საშ}} \Delta t \cdot m_f}, \quad (18.7)$$

$V_{\text{საშ}}$ სიჩქარის დროს ელექტრომავალი მოიხმარს საშუალო დენის $I_{\text{ელ.საშ}} \cdot m_i$ (CB მონაკვეთი). OBC სამკუთხედიდან შეგვიძლია დავწეროთ:

$$tg\beta' = \frac{CB}{OB} = \frac{I_{\text{ელ.საშ}} m_i}{V_{\text{საშ}} m_V}, \quad (18.8)$$

სადაც, m_i არის დენის მასშტაბი, მმ/ა.

m_V – სიჩქარის მასშტაბი, მმ/კმ/სთ.

(18.8) ფორმულის მრიცხველი და მნიშვნელი გავამრავლოთ $U_{\text{ქ}}$ და Δt -ზე, მივიღებთ:

$$tg\beta' = \frac{I_{\text{ელ.საშ}} m_i U_{\text{ქ}} \Delta t}{V_{\text{საშ}} m_V U_{\text{ქ}} \Delta t} = \frac{\Delta A_{\text{ვ}} m_i}{V_{\text{საშ}} m_V U_{\text{ქ}} \Delta t}. \quad (18.9)$$

$tg\beta$ და $tg\beta'$ გამოსახულებებში შედის ენერგიის ხარჯი $\Delta A_{\text{ვ}}$, თუ $tg\beta$ და $tg\beta'$ გაუტოლებთ ერთმანეთს, მაშინ ab იქნება მართობული BC -სი,

$$tg\beta = tg\beta' = \frac{\Delta A_{\text{ვ}} m_A}{V_{\text{საშ}} \cdot \Delta t \cdot m_s} = \frac{\Delta A_{\text{ვ}} m_i}{V_{\text{საშ}} m_V U_{\text{ქ}} \Delta t}.$$

გამარტივების შემდეგ გვექნება

$$\frac{m_A}{m_s} = \frac{m_i}{m_V \cdot U_{\text{ქ}}}. \quad (18.10)$$

ამ გამოსახულებაში m_A, m_s, m_i და m_V მასშტაბებია, რომლებიც შეირჩევა, ხოლო $U_{\text{ქ}}$ მუდმივი სიდიდეა. მოძრაობის მრუდებიდან სიჩქარის m_V და დროის m_t მასშტაბები ცნობილია. თუ დენის მახასიათებლები უკვე აგერილია m_i მასშტაბში, მაშინ ენერგიის მასშტაბი m_A განისაზღვრება განტოლებით:

$$m_A = \frac{m_s \cdot m_i}{m_V \cdot U_{\text{ქ}}}. \quad (18.11)$$


18.3 ნახაზზე ნაჩვენებია ენერგიის ხარჯის $\Delta A_{\text{ვ}}(S)$ გრაფიკული გაანგარიშების მაგალითი, მოცემული დენის მახასიათებლების $I_{\text{ელ.}}(V)$ და სიჩქარის მრუდის $V(S)$ გამოყენებით.

აქ აღებულია შემდეგი მასშტაბები: $m_s = 40$ მმ/კმ; $m_V = 2$ მმ/კმ/სთ, $m_i = 0.05$ მმ/ა.

$U_{\text{ქ}} = 3000$ კ, მაშინ ენერგიის მასშტაბი (18.6) ფორმულის თანახმად იქნება

$$m_A = 40 \cdot \frac{0.05}{2} \cdot 3000 = 0.00033 \text{ მმ/კმ.სთ.}$$

პირველ ინტერვალში 0-10 კმ/სთ, საშუალო სიჩქარეა $V_{\text{საშ}} = 5$ კმ/სთ; მოხმარებული დენი $I_{\text{ელ.}} = 400$ ამპ. აღნიშნულს შეესაბამება a_1 წერტილი. a_1 წერტილი შევაერთოთ O



ნახ. 18.3. ენერგიის ხარჯის მრუდის $A_F(S)$ აგება.

წერტილთან და ამავე წერტილიდან საიდანაც იწყება მოძრაობა, გავავლოთ Oa_1 სხივის მართობი, V_1 სიჩქარის შესაბამის მანძილის კოორდინატის s_1 -დან აღმართული ვერტიკალის გადაკვეთამდე. მივიღებთ a'_1 წერტილს, რომლის ოორდინატა $a'_1 s_1$ წარმოადგენს ელექტროენერგიის ხარჯს Os_1 მანძილის დაძლევაზე ΔA_{1F} . შემდეგ ვიღებთ მეორე ინტერვალს, რომელსაც შესაბამება საშუალო სიჩქარეს $V_2 = 15 \text{ გვ/სთ}$; დენი $I_{\text{ელ}} = 800 \text{ ამპ. ვაერთებთ ამ წერტილს } O$ წერტილთან და ვავლებთ Oa_2 სხივის მართობს a'_1 წერტილიდან V_2 სიჩქარის მანძილის კოორდინატის s_2 წერტილიდან აღმართული ვერტიკალის გადაკვეთამდე. მივიღებთ a'_2 წერტილს. a'_2 და a'_1 წერტილების ორდინატთა სხვაობა იქნება ენერგიის ხარჯი $s_1 s_2$ მონაკვეთის დაძლევაზე ΔA_{2F} და ა.შ. Os_5 მანძილის გავლის შესაბამისი ჯამური ენერგიის ხარჯი (a'_5 წერტილის კოორდინატას შეესაბამება 53 მმ). შესაბამისად ენერგიის ხარჯი იქნება

$$53/0.000333 = 160600 \text{ ვტ.სთ} = 160.6 \text{ კვტ.სთ.}$$


როგორც ვრწმუნდებით, დენის მოხმარებისას, ელექტროენერგიის ხარჯი განუწყვეტლივ იზრდება. როდესაც დენის მოხმარება არაა (თავისუფალი გორვა, მექანიკური დამუხრუჭება) $A_F(S)$ ხაზი აბცისთა დერძის პარალელური რჩება. თუ ხდება რეკუპერაციული დამუხრუჭება, ამ შემთხვევაში დენის მახასიათებელი უნდა აიგოს სიჩქარის V დერძის მარჯვნივ (არსებულის სარკისებურად). შესაბამისად აგებისას ენერგიის მრუდი მიმართული იქნება ქვემოთ, რაც მიანიშნებს ელექტროენერგიის ხარჯის კლებას.

18.3. მატარებელთა წევაზე ელექტროენერგიის ხარჯის ანალიზური გაანგარიშება

18.3.1. ზოგადი ცნობები

ელექტროენერგიის ხარჯის განსაზღვრის ზემოთ განხილული გრაფოანალიზური და გრაფიკული ხერხები, მოითხოვს დროის დიდ დანახარჯებს სიჩქარის, დროის და დენის მრუდების აგებაზე. ელექტროენერგიის მიახლოებითი (საორიენტაციო) გაანგარიშებისათვის უფრო ხელსაყრელია გამოვიყენოთ გაანგარიშების ანალიზური ხერხი, რომელიც ეფუძნება მატარებელთა წევაზე ელექტროენერგიის ხარჯის ცალკეული მდგრელების ცალ-ცალკე განსაზღვრას.

მატარებლის გადასარჩენზე მოძრაობისას, გზის ნაწილს ის გადის წევის რეჟიმში, დარჩენილ ნაწილს კი თავისუფალი გორგით და დამუხრუჭებით. 18.4 ნახაზზე ნაჩვენებია მატარებლის მოძრაობის სიჩქარის უმარტივესი მრუდი. O წერტილში (სადგურის ცენტრში) იწყება და OS_1 მონაკვეთზე ხდება ამჟმავება, S_1S_2 მონაკვეთზე მოძრაობა წარმოებს წევის რეჟიმში, S_2S_3 მონაკვეთზე მატარებელი მოძრაობს თავისუფალი გორგის რეჟიმში, ხოლო S_3 წერტილში (V_{\varnothing} სიჩქარეზე) იწყება დამუხრუჭება და O' წერტილში მატარებელი ჩერდება.



ნახ. 18.4. მოძრაობის სიჩქარის დამოკიდებულება მანძილზე.

ამჟმავების პერიოდში ელექტრული ენერგია იხარჯება მოძრაობის წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე (OS_1 მონაკვეთი) და მატარებლის მასისთვის კინეტიკური ენერგიის მინიჭებაზე. ელექტროენერგიის ნაწილი იკარგება ასამუშავებელ რეოსტატებში. შემდეგ მონაკვეთზე (S_1S_2), ელექტრული ენერგია იხარჯება მოძრაობის წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე და მატარებლის მასისთვის კინეტიკური ენერგიის შემდგომ გაზრდაზე. S_2 წერტილში წევის რეჟიმი წყდება (დენი უზოლ-

დება 0-ს) და მოძრავი მატარებლის კინეტიკური ენერგია იხარჯება მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე. სპ წერტილში იწყება დამუხრუჭება და კინეტიკური ენერგიის დიდი წილი იხარჯება ხახუნზე მუხრუჭებში, ნაწილი კი მოძრაობისადმი წინააღმდეგობის დაძლევაზე. 0' წერტილში მატარებელი ჩერდება და მისი კინეტიკური ენერგია უტოლდება 0-ს.

გამოდის რომ ამუშავების და გაქანების პროცესში დახარჯული ელექტრული ენერგია, რომელიც გადავიდა მოძრავი მატარებლის კინეტიკურ ენერგიაში, დამუხრუჭების დროს დაიხარჯა მექანიკურ მუხრუჭებში, აუნაზღაურებლად სითბოს გამოყოფაზე.

წევის რეჟიმში ენერგიის ნაწილი მუდმივი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე იკარგება წევის ძრავებში და კბილანა რედუქტორებში, ხოლო ცვლადი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე, დამატებით სტატიკურ გარდამქმნელებში.

ზემონათქვამიდან ვასკვნით, რომ მატარებელთა წევაზე საკონტაქტო ქსელიდან მიღებული ელექტრული ენერგია იხარჯება: მოძრაობისადმი ძირითადი და დამატებითი წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე, დანაკარგების დაფარვაზე მუხრუჭებში, წევის ძრავებში, კბილანა რედუქტორებში, სტატიკურ გარდამქმნელებში, ასამუშავებელ რეოსტატებში და ცვლადი დენის ელექტრომავლებში, დამატებით ამუშავებისას დაბალი მ.ქ.კ-ის გამო. განვსაზღვროთ აღნიშნული მდგენელები ანალიზურად.

18.3.2. მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე დახარჯული ენერგია

ეს ენერგია, რომელსაც აღვნიშნავთ A_w -თი, ტოლია მექანიკური მუშაობისა, რომელსაც განსაზღვრავენ, როგორც ძალას გამრავლებულს გადაადგილებაზე (განვლილ გზაზე).

გზის პროფილის ყოველ ელემენტზე, ძირითადი და დამატებითი წინააღმდეგობის ძალა ტოლია:

$$(P+Q)(w_0 \pm i). \quad (18.12)$$

რომელიმე გადასარბენზე მუშაობა ტოლია პროფილის თითოეულ ელემენტზე შესრულებული მუშაობათა ჯამის:

$$A_w = 1000(P+Q)\sum(w_0 \pm i)S_i, \quad (18.13)$$

სადაც, 1 000 არის კმ-ის მეტრებში გადამყვანი კოეფიციენტი.

$i\%$ – გასწორებული ქანობი.

S_i – ყოველი ელემენტის სიგრძე, კმ-ში.

w_0 სიდიდე სიჩქარის ცვლილებისას იცვლება მცირე ფარგლებში და საორიენტაციო გაანგარიშებისას შეგვიძლია ავილოთ უცვლელი და საშუალო მნიშვნელობის w_0 -საჲ ტოლი.

რეალური პროფილი შეგვიძლია შეგვეალოთ ეკვივალენტური ქანობით, პირობით, რომ მასზე შესრულდება იგივე მუშაობა, რაც რეალურ პროფილზე. ამ მოსაზრების გათვალისწინებით ეკვივალენტური ქანობი განისაზღვრება ფორმულით:

$$i_{\text{აავ}} = \frac{1000(H_{\text{ა}} - H_{\text{ლ}}) + \sum(i_{\text{აავ}} - w_{0\text{აავ}})S_{\text{აავ}} + \sum w_{\text{არ}} S_{\text{არ}}}{S}, \quad (18.14)$$

სადაც, $H_{\text{ა}} - H_{\text{ლ}}$ არის ბოლო და საწყისი პუნქტების, ზღვის დონიდან, სიმაღლეთა სხვაობა, მ-ში.

$i_{\text{აავ}}$ – მავნე ქანობები ‰-ში, რომლებზეც $i > w_x$ (მავნე ჰქვია იმიტომ, რომ ასეთ ქანობებზე თავისუფალი გორვის რეჟიმში სიჩქარე იზრდება და საჭირო ხდება დამუხრუჭება).

$S_{\text{აავ}}$ – მავნე ქანობის სიგრძე, მ-ში.

$w_{\text{არ}}$ – მრუდით გამოწვეული დამატებითი ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა, $\frac{6}{36}$ -ში.

$S_{\text{არ}}$ – მრუდის სიგრძე, მ-ში.

S – უბნის სიგრძე, მ-ში.

(18.14) ფორმულის გათვალისწინებით (18.13) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს

$$A_w = 1000(P + Q)(w_{0\text{აავ}} + i_{\text{აავ}})S. \quad (18.15)$$

18.3.3. ენერგიის დანაკარგები მუხრუჭებში

მუხრუჭების ჩართვამდე მოძრავ მატარებელში დაგროვილი ენერგია ტოლი იქნება:

$$\frac{m(1+\gamma)V_{\text{ლ}}^2}{2}. \quad (18.16)$$

ამ ენერგიის დიდი წილი, როგორც აღვნიშნეთ, იკარგება მუხრუჭებში. ყოველი დამუხრუჭებისას დაკარგული ენერგია ტოლი იქნება:

$$\Delta A_{\text{ლ}} = \frac{m(1+\gamma)V_{\text{ლ}}^2}{2 \cdot 3,6^2} - (P + Q)(w_{\text{ლ}} + i_{\text{ლ}})S_{\text{ლ}}, \quad (18.17)$$

სადაც $m = \frac{1000(P + Q)(1+\gamma)}{g}$ მატარებლის მასაა კნ-ში.

$V_{\text{ლ}}$ – არის დამუხრუჭების საწყისი სიჩქარე, კმ/სთ-ში.

$3,6$ – კმ/სთ^2 -დან მ/წ^2 -ში გადამყვანი კოეფიციენტი;

$w_{\text{ლ}}$ – დამუხრუჭების რეჟიმში ძირითადი ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა, $\frac{6}{36}$ -ში.

$S_{\text{ლ}}$ – სამუხრუჭო მანძილი, მ-ში.

$i_{\text{ლ}}$ – ქანობი ‰-ში, რომელზეც ხდება დამუხრუჭება.

$\alpha_{\text{ა}}$ (მ/წ^2)-შენელებით, თანაბარშენელებული დამუხრუჭებისას განვლილი მანძილი იქნება:

$$S_{\text{ლ}} = \frac{V_{\text{ლ}}^2}{2\alpha_{\text{ა}} \cdot 3,6^2}.$$

თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულს და მატარებლის მასას ჩავანაცვლებთ წონით, მაშინ (18.17) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\Delta A_{\varrho} = \frac{(P+Q)V_{\varrho}^2}{2 \cdot 3,6^2} \left[\frac{1000(1+\gamma)}{9,81} - \frac{w_{\varrho} + i_{\varrho}}{\alpha_{\varrho}} \right]. \quad (18.18)$$

რა თქმა უნდა, წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე დახარჯული და მუხრუჭებში დაკარგული ენერგიათა ჯამი, წევის ძრავების მიერ შესრულებული მექანიკური მუშაობის ტოლია:

$$A_{\text{აღქ.}} = Aw + \Delta A_{\varrho}. \quad (18.19)$$

18.3.4. ენერგიის დანაკარგები ძრავაში და გარდამქმნელებში

თუ წევის ძრავების მიერ სრულდება მექანიკური მუშაობა $A_{\text{აღქ.}}$, მაშინ ქსელიდან მოხმარებული ენერგია იქნება $\frac{A_{\text{აღქ.}}}{\eta_{\text{ხაშ}}}$, სადაც, $\eta_{\text{ხაშ}}$ არის ელექტრომოძრავი შემაღებელობის მარგი ქმედების კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობა, რომელიც ითვალისწინებს დანაკარგებს ძრავებში, რედუქტორებში, გარდამქმნელებში. ენერგიის ეს ჯამური დანაკარგები გაითვლება ფორმულით:

$$\Delta A_{\text{გრ.}} = \left(\frac{A_{\text{აღქ.}}}{\eta_{\text{ხაშ}}} - A_{\text{აღქ.}} \right). \quad (18.20)$$

18.3.5. ენერგიის დანაკარგები ასამუშავებელ რეოსტატებში

ასამუშავებელ რეოსტატებში დანაკარგები შეიძლება განვსაზღვროთ, თუ წევის ძრავების ელექტრომაგნიტურ სიმძლავრეს გავამრავლებთ ამუშავების დანაკარგების კოეფიციენტები $k_{\text{ამუშ.}}$ (იხ. 7-თავი). თუ უგულებელყოფთ დანაკარგებს ძრავში და რედუქტორებში, მაშინ ძრავების ელექტრომაგნიტური სიმძლავრე შეგვიძლია გაუტოლოთ წყვილთვალისა და რელსის შეხების ზონაში რეალიზებულ მექანიკურ სიმძლავრეს. ამუშავების პერიოდში დახარჯული ენერგია $A_{\text{ამუშ.}}$ იხარჯება მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე და კინეტიკური ენერგიის მარაგის შექმნაზე.

$$A_{\text{ამუშ.}} = \frac{m(1+\gamma)V_{\text{სტან}}^2}{2 \cdot 3,6^2} + (P+Q)(w_{\text{ამუშ.}} + i_{\text{ამუშ.}})S_{\text{ამუშ.}}. \quad (18.21)$$

თანაბარ აჩქარებული ამუშავების დროს განვლილი მანძილი იქნება:

$$S_{\varrho} = \frac{V_{\text{სტან}}^2}{2\alpha_{\text{ამუშ.}} \cdot 3,6^2}. \quad (18.22)$$

თუ გავითვალისწინებთ (18.22) ფორმულას და მატარებლის მასას გამოვსახავთ წონით, ყოველი ამუშავებისათვის მივიღებთ ენერგიის დანაკარგს:

$$\Delta A_{\text{св}} = \frac{(P+Q)V_{\text{св}}^2 K_{\text{св}}}{2 \cdot 3,6^2} \left[\frac{1000(1+\gamma)}{9,81} + \frac{w_{\text{св}} + i_{\text{св}}}{\alpha_{\text{св}}} \right]. \quad (18.23)$$

საბოლოოდ ენერგიის ჯამური დანაკარგების ვატ.საათებში მისაღებად, საჭიროა (18.15), (18.18), (18.20) და (18.23) ფორმულით მიღებული მნიშვნელობები შევკრიბოთ. მათი განზომილება იქნება კგძ.ჭ-ში. ვატ.სთ-ში გადასაყვანად ის უნდა გავამრავლოთ გადამყვან კოეფიციენტზე (რადგან $1\text{გძ} = 9.81\text{ვტ.წ}$; ამიტომ $\frac{9,71 \text{ ვტ.წ}}{3,6 \cdot 1000} = \frac{2,725}{1000}$. გ.ი.

ვამრავლებთ $\frac{2,725}{1000}$ -ზე.

თუ დაუშვებთ:

- ამუშავების და დამუხრუჭების დროს, აჩქარების და შენელების საშუალო მნიშვნელობებს;
- ამუშავებისა $w_{\text{ამ}}$, დამუხრუჭების $w_{\text{დ}}$ და $w_{\text{მაშ}}$, წინააღმდეგობის ძალების საშუალო მნიშვნელობებს;
- ამუშავების და დამუხრუჭების სიჩქარეების საშუალო მნიშვნელობებს;
- ელექტრომოძრავი შემადგენლობის მარგი ქმედების კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობას,

მაშინ ცნობილი ეპივალენტური ქანობის მნიშვნელობისას, შეგვიძლია მოცემული ($P+Q$) წონის მატარებლისათვის გავთვალოთ ელექტროენერგიის საორიენტაციო ხარჯი, მოძრაობის მრუდების აუგებლად და მნიშვნელოვნად დავზოგოთ დრო.

18.4. ელექტრული ენერგიის სრული ხარჯის გაანგარიშება

მატარებელთა მომსახურეობაზე ელექტროენერგიის სრული ხარჯი შედგება რამდენიმე მდგენელისაგან. კერძოდ: ელექტროენერგიის ხარჯი უშუალოდ მატარებელთა წევაზე $A_{\text{წ}}$, ენერგიის ხარჯი გადაადგილებაზე დეპოებში და სადგურებში (მანევრებზე) $A_{\text{მა}}$ და ენერგიის ხარჯი საკუთარ მოხმარებაზე $A_{\text{სა}}$, ანუ ენერგიის სრული ხარჯი:

$$A_{\text{ხ}} = A_{\text{წ}} + A_{\text{მა}} + A_{\text{სა}}. \quad (18.24)$$

წევაზე ელექტროენერგიის ხარჯის $A_{\text{წ}}$ განსაზღვრის მეთოდები ჩვენ უკვე განვიხილეთ.

საკუთარ მოხმარებაზე ელექტროენერგიის ხარჯის $A_{\text{სა}}$ (ელექტრომოძრავი შემადგენლობის დამხმარე მანქანების, ოპერატორის მართვის წრედების და განათების მუშაობაზე) განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ ამ მოწყობილობების ჯამური სიმძლავრე და ამ სიმძლავრეების მუშაობის ხანგრძლივობა.

წევის გაანგარიშებების წესებით მოცემულია თითოეული ტიპის ელექტრომოძრავი შემადგენლობისათვის, საკუთარი მოხმარებაზე ელექტროენერგიის ხარჯი ერთი საათის განმავლობაში, კვტ.სთ-ში. მაგალითად, ВЛ10 ელექტომავლებისათვის ეს სიდიდე შეადგენს 70 კვტ.სთ-ს. ელექტრომატარებლებისათვის საკუთარ მოხმარებაზე ელექტროენერგიის ხარჯი იანგარიშება მათი სრული მუშაობის ხანგრძლივობის და საკუთარი მოხმარების საშუალო სიმძლავრის მიხედვით. მაგალითად 9-ვაგონიანი ელექტრომატარებელ ტP2-ისათვის, დამხმარე მანქანების სიმძლავრე შეადგენს 35 კვტ-ს, ხოლო გათბობის და განათების წრედების სიმძლავრე შესაბამისად 175 და 18 კვტ-ს.

დეპოების ხაზებზე მანევრირებისათვის, წევის გაანგარიშების წესებით, რეკომენდებულია ენერგიის ხარჯი ემშ-ს ტიპის მიხედვით. მაგალითად, ВЛ10 სერიის ელექტრომავლებისათვის იგი შეადგენს 20-25 კვტ.სთ-ს

სადგურებში გადაადგილებაზე და მანევრებზე ელექტროენერგიის ხარჯი იანგარიშება მუდმივი დენის ელექტრომავლებისთვის 100 კვტ, საშუალო სიმძლავრით მუშაობის და მანევრების დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

ენერგიის სრული ხარჯი წევის ქვესადგურის ცვლადი დენის მხარეს იქნება

$$A = \frac{A_{\text{ხ}}}{\eta_{\text{ხ}} \eta_{\text{წ.ქ}}},$$

სადაც, $\eta_{\text{ხ}}$ არის საკონტაქტო ქსელის მ.ქ.კ-ი. ის საშუალოდ უდრის 0.92.

$\eta_{\text{წ.ქ}}$ – წევის ქვესადგურის მ.ქ.კ-ი და საშუალოდ ტოლია 0.92-0.95.

მატარებელთა წევაზე ენერგიის ხვედრითი ხარჯი ეწოდება 1 ტონა ტვირთის 1კმ მანძილზე გადატანისთვის საჭირო ენერგიის ხარჯს. მისი განზომილებაა

$$\text{კტ.სთ/ტ.კმ; } \alpha_{\text{წ}} = \frac{1000 A_{\text{წ}}}{QS}, \quad \text{კტ.სთ/ტ.კმ} \quad (18.25)$$

სადაც, $A_{\text{წ}}$ არის წევაზე დახარჯული სრული ენერგია, კვტ.სთ-ში.

Q – შემადგენლობის წონა ტონებში.

S – მატარებლის მიერ განვლილი მანძილი, კმ-ში.

საკუთარი მოხმარების გათვალისწინებით, ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯი იქნება;

$$\alpha'_{\text{წ}} = \frac{U_{\text{ქ}} \sum (I_{\text{ხ}} \Delta t)}{60QS} + \frac{1000 A_{\text{ხ}}}{QS} \quad \text{კტ.სთ/ტ.კმ.} \quad (18.26)$$

18.5. ელექტროენერგიის ეკონომია

ელექტრული რკინიგზები ითვლება ელექტროენერგიის ერთ-ერთ უმსხვილეს მომხმარებლად. ამიტომ, ელექტროენერგიის ეკონომია ძალიან მნიშვნელოვანია და მას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

მატარებელთა წევაზე ენერგიის ხარჯის მდგრადიების ანალიზიდან, პირდაპირ ჩანს ელექტროენერგიის დაზოგვის გზები. ელექტროენერგიის ხარჯის შემცირებისათვის საჭიროა მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალების შემცირება. თუ როგორ გავაკეთოთ ეს, ამაზე საუბარი გვქონდა მე-4 თავში.

ელექტროენერგიის ხარჯი მატარებელთა წევაზე იზრდება სიჩქარის კვადრატის პროპორციულად. იმისათვის, რომ გადასარბენებზე მატარებლები ვატაროთ მაღალი სიჩქარით და ნაკლები ელექტროენერგიის ხარჯით, საჭიროა ეფექტურად გამოვიყენოთ გზის პროფილის თავდაღმართები და მასზე მატარებლები ვატაროთ მაქსიმალური დასაშვები სიჩქარით. ამ გზით მოძრავ მატარებელში დავაგროვოთ მაქსიმალური კინეტიკური ენერგია, რომელსაც შემდეგ გამოვიყენებოთ გზის პროფილის სხვა ელემენტებზე მოძრაობისას. აღნიშნულის შესრულება მოითხოვს სალოკომოტივო ბრიგადის მაღალ კვალიფიკაციას.

მართალია მოძრაობის საშუალო სიჩქარეების გაზრდით იზრდება წინააღმდეგობის ძალები და შესაბამისად ელექტროენერგიის ხარჯი, მაგრამ ამავე დროს ვიღებთ დამატებით ეფექტს იმით, რომ ჩქარდება მგზავრების და ტვირთების გადაადგილება, იზრდება მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის სიჩქარე და ა.შ., რაც ჯამში იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს.


ვაგონების ტვირთამწეობის და მატარებელთა წონის გაზრდა მნიშვნელოვნად ამცირებს მოძრაობისადმი ხვედრით წინააღმდეგობის ძალებს და ერთეული ტვირთის გადატანაზე ელექტროენერგიის ხარჯს.

იმ უბნებზე, რომლებიც გამოირჩევიან რთული პროფილით (დიდი სიდიდის ქანობები და დიდი რაოდენობის მცირე რადიუსიანი მრუდები), რა თქმა უნდა, სხვა თანაბარ პირობებში ელექტროენერგიის ხარჯი დიდია.

ძალზე დიდ ეფექტს იძლევა რეკუპერაციული დამუხრუჭების გამოყენება. გარდა იმისა, რომ ამ დროს ქსელში ბრუნდება 25-30%-მდე ელექტროენერგია, იზრდება მოძრაობის საშუალო სიჩქარე, მოძრაობის უსაფრთხოება და მნიშვნელოვნად მცირდება სამუხრუჭო ხუნდებზე და წყვილთვალების არგახებზე გაწეული ხარჯი.

როგორც ვთქვით, მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის დანაკარგები ამუშავების და დამუხრუჭების დროს. ამიტომ, მოძრაობის გრაფიკი უნდა შეირჩეს სწორად, გაჩერებების და, შესაბამისად, ამუშავების შესაძლო მინიმალური რიცხვით.


ამუშავების დროს ენერგიის დანაკარგები ასამუშავებელ რეოსტატებში შეგვიძლია შევამციროთ დიდი აჩქარებების (ძრავის დიდი დენების) რეალიზაციით, როდესაც ურეოსტატო (ავტომატურ) მახასიათებელზე გასვლა ხდება დაბალ სიჩქარეებზე.



ნახ. 18.5. ურეოსტატო მახასიათებელზე გასვლის სიჩქარის დამოკიდებულება დენზე.

მაგალითად, I_{d1} დენით ამუშავების დროს, ასამუშავებელი რეოსტატები წრედიდან გამოყვანილი იქნება V_1 სიჩქარეზე (ნახ. 18.5), ხოლო თუ ამუშავებას განვახორციელებთ I_{d2} გაზრდილი დენით, მაშინ რეოსტატები ამოირთვება უფრო დაბალ V_2 სიჩქარეზე. ანუ ამით მიიღწევა რეოსტატების ჩართული მდგომარეობის ხანგრძლივობის შემცირება (ამუშავების დროის შემცირება) და, რა თქმა უნდა, ელექტროენერგიის ხარჯის დაზოგვა.

გარდა აღნიშნულისა, საგადასარბენო დროის უცვლელად შენარჩუნებით, დიდი აჩქარებების რეალიზება საშუალებას იძლევა მატარებელი თავისუფალი გორგის რეჟიმით ვატაროთ უფრო ხანგრძლივ დროში, დამუხრუჭება დავიწყოთ უფრო დაბალ სიჩქარეზე ($V_{\text{დ}}_2$ სიჩქარეზე $V_{\text{დ}}_1$ -ის ნაცვლად) (ნახ. 18.6).




ნახ. 18.6. მატარებლის აჩქარების გავლენა ელექტროენერგიის ხარჯზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ თანამედროვე, მაღალეფექტური ნახევარგამტარული ტექნიკის ბაზაზე შესრულებული სტატიკური გარდამქმნელებით აღჭურვილი რეგულირების სისტემების გამოყენება, საშუალებას იძლევა მინიმუმადე დავიყვანოთ ენერგიის დანაკარგები ამუშავების და დამუხრუჭების დროს.

19.1. ზოგადი ცნობები ელექტრომობილების შესახებ

ტერმინი ელექტრომობილის ქვეშ იგულისხმება ავტომობილი, რომლის წამყვანი თვლების მოძრაობაში მოსაყვანად გამოიყენება დენის წყაროდან მიღებული ელექტრული ენერგია (მაგალითად, სააკუმულატორო ბატარეიდან). ელექტრომობილში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი კვანძი: **დენის წყარო, ელექტრული ძრავა და ძაბვის რეგულატორი.** გამარტივებული სტრუქტურული სქემა მოცემულია 19.1 ნახაზზე.



ნახ. 19.1. ელექტრომობილის გამარტივებული სტრუქტურული სქემა.

19.1.1. ძრავა-რეგულატორი

ელექტრომობილზე შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც მუდმივი დენის, ასევე ცვლადი დენის ელექტრული ძრავა.

მუდმივი დენის ძრავას გამოყენების შემთხვევაში, ძრავას ბრუნთა რიცხვის და შესაბამისად ელექტრომობილის სიჩქარის რეგულირება ხდება შედარებით მარტივად, ძრავას მომჭერებზე ძაბვის მდოვრე რეგულირებით. ეს უკანასკნელი შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, სტატიკური განივ-იმპულსური გარდამქმნელის მეშვეობით.

რაც შეეხება ცვლადი დენის ძრავას (მაგალითად სამფაზა ასინქრონული ძრავას) გამოყენების დროს, რეგულატორი წარმოადგენს რამდენიმე კვანძისაგან შემდგარ

როულ ელექტრონულ მოწყობილობას, რომლის ღირებულებამ შეიძლება გადაფაროს ძრავას სიიაფით დაზოგილი ხარჯები. თუმცა, თანამედროვე ნახევარგამტარული ტექნიკის ბაზა საშუალებას იძლევა შეიქმნას კომპაქტური, შედარებით იაფიდა საიმედოდ მომუშავე სტატიკური სამფაზა რეგულატორები.

19.1.2. სააკუმულატორო ბატარეა

ელექტრომობილზე დენის წყაროდ შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც იძლევა ელექტროენერგიას. კერძოდ: აკუმულატორები, მოტორ-გენერატორები, წყალბადის გაზზე მომუშავე ელემენტები, მზის ბატარეები და სხვა. დღეისათვის ყველაზე პრაქტიკულად ითვლება ელექტროქიმიური მოქმედების პრინციპზე მომუშავე სააკუმულატორო ბატარეები, რომლებიც გვხვდება სხვადასხვა ტიპის. კერძოდ: ტყვია-გოგირდმჟავიანი, ნიკელ-კადმიუმიანი, ლითიუმიონური, რკინა-ნიკელის და ა.შ. ჩამოთვლილთაგან ყველაზე იაფია ტყვია-გოგირდმჟავიანი აკუმულატორები, მაგრამ მათი სამსახურის ვადა მცირეა. ეს განპირობებულია დამუხტვის პროცესში ელექტროლიტის “დუღილით” (რასაც განპირობებს დამუხტვის დენის და ძაბვის დიდი მნიშვნელობები). “დუღილის” დროს წარმოქმნილი ბუშტულები “არღვევენ” (შლიან) ფირფიტებს და აკუმულატორი გამოჰყავთ მწყობრიდან. სერიულად გამომავალ აკუმულატორებში ყველაზე ძვირადღირებულია ლითიუმ-იონური აკუმულატორები. მათ აქვთ არსებულ აკუმულატორებში ყველაზე დაბალი ხვედრითი მასა და უშვებენ დამუხტვის დენის შედარებით მაღალ მნიშვნელობებს; კერძოდ, უშვებენ დამუხტვის დენს 3C-ს ტოლს. (C აკუმულატორის ტევადობაა ამპერ-საათებში).

ამერიკული წარმოების მშრალი რულონური ტიპის აკუმულატორებს “ოპტიმა”. შეუძლიათ მუშაობა დიდ დენებზე, სტარტერულ-წევის რეჟიმში, უშვებენ დამუხტვის დენის დიდ მნიშვნელობებს.

19.2. ისტორია

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟდერდეს, ელექტრომობილი შეიქმნა უფრო ადრე, ვიდრე შიდაწვისძრავიანი ავტომობილი. პირველი ელექტრომობილი (ურიკა ელექტროძრავით) შეიქმნა 1841 წელს. რუსი გამომგონებლის იათლიტე რომანვის ორადგილიან ელექტრომობილს ჰქონდა 10 გრადაციის სიჩქარე. მინიმალური 1,6 კმ/სთ, მაქსიმალური 37,4 კმ/სთ.

საწყის ეტაპზე სვლის მარაგი და მოძრაობის სიჩქარეები შიგაწვისძრავიან ავტომობილებს და ელექტრომობილებს ჰქონდათ ერთნაირი. ელექტრომობილების

მთავარ ნაკლად წარმოჩნდა სააკუმულატორო ბატარეების დამუხტვის როცელი სისტემა. დასაწყისში ეს ხდებოდა მძრუნავი მოტორ-გენერატორების საშუალებით. 1906 წელს დაინერგა მუდმივი დენის მისაღებად პირველი სტატიკური გარდამქმნელი, მაგრამ ამან მდგომარეობა ვერ გამოასწორა.

1899 წელს “La Jamais Contente” ელექტრომობილმა დაამყარა ხმელეთზე სიჩქარის რეკორდი 105,882 კმ/სთ. ხოლო “ბორლანდ ელექტრიკის” ფირმის ელექტრომობილმა ერთი დამუხტვით გაიარა მანძილი ჩიკაგოდან – მილოუკამდე 167 კმ, საშუალო სიჩქარით 55 კმ/სთ.

1900-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიუ-იორკში მუშაობდა 70 000 ელექტრომობილი, უფრო მეტი, ვიდრე ავტომობილი. შემდგომში ავტომობილების სიჩქარის მკვეთრმა ზრდამ და ბენზინით გაწყობის სიმარტივემ განაპირობა ავტომობილების რიცხვის ზრდის ტენდენცია.

ელექტრომობილების მიმართ ინტერესი მსოფლიოში განახლდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ავტომობილებმა წარმოშვა ეკოლოგიური პრობლემები და, ამასთანავე, წარმოქმნილმა ენერგეტიკულმა კრიზისმა გამოიწვია ორგანულ საწვავზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა.

19.3. ელექტრომობილების უპირატესობა

ელექტრომობილი ავტომობილთან შედარებით გამოირჩევა დაბალი საექსპლუატაციო ხარჯებით. მაგალითად იაპონური ავტომობილი RAV-4 ერთ კილომეტრ მანძილის გავლაზე ხარჯავს 0,19 კვტ.სთ ენერგიის. საშუალო 20 000 კმ წლიური გარბენის შემთხვევაში, თუ 1 კვტ.სთ ენერგიის დირებულება 12 ცენტია, მაშინ წლიური ხარჯი საშუალოდ იქნება 550 ლოდარი.

თუ ეს ავტომობილი იმუშავებდა ორგანულ საწვავზე, მაშინ წლიური ხარჯი იქნებოდა დაახლოებით 3 500 ლოდარი, ანუ ყველა სხვა თანაბარ პირობებში 6-7-ჯერ მეტი.

გარდა აღნიშნულისა, ელექტრომობილებში წევის ელექტრული ძრავების და ელექტრული ტრანსმისიის ჯამური მარგი ქმედების კოეფიციენტი 2,5 ჯერ მაღალია ავტომობილების თბური ძრავას და მექანიკური ტრანსმისიის ჯამურ მ.ქ.ქ-ზე, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ენერგიის გარდაქმნის პროცესი ავტომობილებში მიმდინარეობს 2,5 ჯერ მეტი დანაკარგებით.

უნდა აღინიშნოს ელექტრომობილის შემდეგი უპირატესობები ავტომობილთან შედარებით:

- მავნე გამონაბოლქვის არარსებობა.
- მაღალი ეკოლოგიურობა იმის გამო, რომ არ ხმარობს ორგანულ საწვავს, ანტიფრიზებს, ზეთებს და მათ ფილტრებს.
- ტექნიკური მომსახურეობების შორის მნიშვნელოვანი გარბენა.
- ავარიისას დაბალი ხანძარ და ფეთქებადი საშიშროება.
- კონსტრუქციის სიმარტივით მაღალი საიმედობა და საგალი ნაწილის დიდი გამძლეობა.
- სააკუმულატორო ბატარეების საყოფაცხოვრებო ქსელიდან დამუხტვის შესაძლებლობა.
- იაფი ელექტროენერგიის (ჰიდრო და ატომურ სადგურებში მიღებული) გამოყენების შესაძლებლობა.
- დამის საათებში სააკუმულატორო ბატარეების დამუხტვის გზით ე.წ. ”ენერგეტიკული პიკების” მოხსნის შესაძლებლობა.
- მნიშვნელოვნად დაბალი ხმაურის დონე.
- სიჩქარეთა მთელ დიაპაზონში სვლის მაღალი სიმდოვრე.
- აკუმულატორების თანდამუხტვა რეაუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში.
- ელექტროდინამიური დამუხრუჭების შესაძლებლობა, რაც განაპირობებს მექანიკური ფრიქიული (ხახუნის პრინციპზე მომუშავე) მუხრუჭების ხშირ არ გამოყენებას, შესაბამისად მათი ცვეთის შემცირებას და დამუხრუჭების პროცესის საიმედობის გაზრდას.
- ე.წ. ”მოტორ-თვალი”-ის მეშვეობით ყველა თვალზე სრული ამძრავის გამოყენებით, გამავლობის და მანევრულობის გაზრდა.

19.4. ელექტრომობილების ნაკლი

- მიუხედავად აკუმულატორების კონსტრუქციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, საუკუნე ნახევრის განმავლობაში ელექტრომობილმა ვერ შეძლო კონკურენცია გაეწია ავტომობილისათვის თრი პარამეტრის: ერთი გაწყობით განვლილი მანძილის და ღირებულების მიხედვით.
- აკუმულატორები, როგორც პირველადი ენერგიის წყარო, კარგად მუშაობენ ელექტრომობილების მდოგრე და უცვლელი (თანაბარი) სიჩქარით მოძრაობისას. მკვეთრი დაძვრის და გაქანების პირობებში მათში ენერგიის დანაკარგები დიდია, რაც ამცირებს გარბენებს. ამ უკანასკნელის გაზრდის მიზნით უნდა

გამოვიყენოთ სპეციალური სასტარტო სისტემები და რეკუპერაციული დამუხრუ-ჭება (ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა აღვადგინოთ დაკარგული ენერგიის 25%-მდე).

- გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს მომწამლავი კომპონენტების (ტყვია, ლითიუმი, გოგირდმჟავა) შემცველი აკუმულატორების წარმოება და უტილიზაცია.
- სააკუმულატორო ბატარეიის ენერგიის ნაწილი იხარჯება ელექტრომობილის დამხმარე საბორტო სისტემების (გათბობა, კონდიცირება, განათება, საჰაერო კომპრესორები და ა.შ.) კვებაზე, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს გარბენას.
- ელექტრომობილების მასიური ექსპლუატაციის პირობებში აუცილებელი ხდება სააკუმულატორო ბატარეიის დამუხტავი ინფრასტრუქტურის (ე.ი. ავტოდამმუხტავი სადგურების) შექმნა.
- ელექტრომობილების მასიური დანერგვის შემთხვევაში, ბატარეიის საყოფაცხოვ-რებო ქსელიდან დამუხტვის პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზრდება ენერგე-ტიკული სისტემის გადატვირთვა, რაც აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას ელექტრომომარაგების ხარისხზე (ძაბვის დანაკარგების გაზრდა, სიხშირეების ვარდნა, ლოკალური გამორთვები).
- სააკუმულატორო ბატარეიის დამუხტვისათვის გაცილებით ხანგრძლივი დროა საჭირო (რამდენიმე საათი), ვიდრე ავტომობილის ორგანული საწვავით გაწყობის დროს (რამდენიმე წუთი).
- ერთჯერადი დამუხტვით გაცილებით ნაკლებია გარბენი, ვიდრე გამოყენებული შიგაწვისძრავიანი ავტომობილით, ერთი გაწყობის საწვავით.

მაგალითად: 24კვტ.სთ ტევადობის მქონე ლითიუმის სააკუმულატორო ბატარეიით, მოძრაობის საშუალო პარამეტრებით (სიჩქარე-60-90კმ/სთ-ში, ახლო განათების მაშუქებით, სალონის გათბობის და კონდიცირების გარეშე) გარბენა შეადგენს 160კმ-ს.

თუ იქნება სალონის კონდიცირება ან გათბობა, ხშირი დაძვრა გაჩერებებით, სიჩქარე 100 კმ/სთ-ზე მეტი, მაშინ გარბენა თითქმის ორჯერ მცირდება და შეადგენს 80 კმ-ს.

ლითიუმის აკუმულატორების მაღალი ღირებულება (მაგალითად 24 კვტ.სთ ენერგოტევადობის სააკუმულატორო ბატარეიის ღირებულება შეადგენს 6 000-9 000 აშშ დოლარს).

დაბალი ღირებულების ტყვია გოგირდმჟავას შემცველი ბატარეა, წონით 400 კბ, უზრუნველყოფს 80 კმ გარბენას.

ზემონათქვამიდან ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება

ელექტრომობილის დირებულება, ხოლო მეორე შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვნად იზრდება მისი მასა.

- გარემოს დაბალი ტემპერატურის უარყოფითი ზეგავლენა აკუმულატორის მახასიათებელზე (ტევადობის შემცირება).
- სააკუმულატორო ბატარეის ტევადობის მნიშვნელოვანი შემცირება ასაკის ზრდასთან ერთად.

19.5. თანამედროვე მიღწევები

2010 წლის მაისის თვეში ელექტრულ წევაზე გადაყვანილმა იაპონურმა ავტომობილმა “Daihatsu Miva EV”-მ ერთი დამუხტვით გაიარა 1 003 კმ. ამავე წლის აგვისტოში ელექტრომობილმა “Venturi jamais Contente”-მ ლითიუმ-იონური აკუმულატორებით, აშშ-ს იუტას შტატში მარილიანი ტბის ფსკერზე დაამყარა სიჩქარის რეკორდი 515 კმ/სთ-ში.

2010 წლის ოქტომბერში, “აუდი A-2”-ის ბაზაზე შექმნილმა ელექტრომობილმა, რეალური მოძრაობის პირობებში (საზოგადოებრივი მოხმარების მაგისტრალზე, ყველა დამხმარე მოწყობილობის, მათ შორის გათბობის მუშაობის პირობებში) მანძილი მიუნხენიდან-ბერლინამდე (605 კმ) გაიარა 55 კვტ სიმძლავრის ძრავათი და 115 კვტ.სთ. ტევადობის ლითიუმ-პოლიმერული (“kalibri-ს) ტიპის სააკუმულატორო ბატარეის ერთჯერადი დამუხტვით, საშუალო სიჩქარით 90 კმ/სთ. ფინიშის შემდეგ ბატარეაში შენარჩუნებული იყო საწყისი ენერგიის 18%, ანუ 21 კვტ.სთ. აღსანიშნავია, რომ “kalibri-ის ტიპის აკუმულატორების რესურსი 500 000 კმ-ს შეადგენს.

19.6. პერსპექტივა

ელექტრომობილების სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 2 005 წლისთვის ელექტროტრანსპორტის გაყიდვების ინდუსტრიამ, ე.წ. პიბრიდული მანქანების ჩათვლით, შეადგინა 31,1 მილიარდი დოლარი. დღევანდელი პროგნოზით ეს ციფრი 2 015 წლისთვის გაიზრდება 227 მილიარდ დოლარამდე, ანუ 7-ჯერ.

სერიოზული მუშაობა მიდის ისეთი სააკუმულატორო ბატარეის შექმნაზე, რომელსაც ექნება მცირე დამუხტვის დრო (15 წუთამდე). უკანასკნელ წლებში წარმატებით გამოიცადა სააკუმულატორო ბატარეაბი $Li_4Ti_5Q_{12}$ – ელექტროდების ბაზაზე, რომელთა დამუხტვის დრო 10-15 წუთია.

მრავალმხრივი მუშაობა მიდის კვების წყაროებად აკუმულატორების ნაცვლად კონდენსატორების გამოყენების მიზნით. კონდენსატორები იმუხტებიან დიდი დენებით

მცირე დროში, აქვთ მაღალი (95%-ზე მეტი) ენერგოეფექტურობა და ძალზე დიდი დამუხტვა განმუხტვის რესურსი (ასეულობით ათასი). აღნიშნული სუპერკონდენსატორების საცდელი ნიმუშების ხვედრითი ენერგოტენადობაა 32 ვტ.სთ/კგ. შედარებისთვის ტყვია-გოგირდმუავიანი აკუმულატორებისათვის ხვედრითი ენერგოტენადობა 30-40 ვტ.სთ/კგ-ია.

19.7. წევის ძრავები

ელექტრომობილებზე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გამოიყენებოდა მხოლოდ მუდმივი დენის მიმდევრობითაგზნებიანი წევის ძრავები. ეს განპირობებული იყო ამ ძრავების მნიშვნელოვანი ღირსებებით. კერძოდ:

- ბუნებრივი რეგულირებადი მახასიათებლით ეს ძრავა ყველაზე კარგად პასუხობს სატრანსპორტო ამოცანებს. მოძრაობის დროს დატვირთვის გაზრდისას (მაგალითად, როგორც პროფილზე გადასვლისას) მცირდება სიჩქარე, რაც ავტომატურად იწვევს დენის და შესაბამისად წევის ძალის გაზრდას.
- დაძვრის მომენტში ეს ძრავები ანგითარებენ დიდ მაბრუნებელ მომენტს. მართლაც მომენტი $M = C\Phi I$; თავის მხრივ დაძვრისას მაგნიტური ნაკადი პროპორციულია აგზნების გრაგნილში გამავალი დენის, რომელიც იგივე დუზის დენია. ანუ $C\Phi = KI$, ე.ი. მაბრუნებელი მომენტი $M = KI^2$ დენის კვადრატის პროპორციულია.
- ამ ტიპის ძრავებს აქვთ კონსტრუქციულად უფრო უკეთესი მასა-გაბარიტული მაჩვენებლები.
- ამ ტიპის ძრავებს ახასიათებთ უფრო მაღალი კომუტაციური მდგრადობა, რადგან აგზნების გრაგნილის მაგნიტომამოძრავებელი ძალის ცვლილებისას, პრაქტიკულად ერთდროულად იცვლება დუზის რეაქციის მაგნიტომამოძრავებელი ძალა, რის გამოც კომპენსირდება დუზის გრაგნილში რეაქტიული ე.მ.დ., სტაბილიზირდება ნაპერწკლიანობა კოლექტორზე.
- სხვა ტიპის ძრავებთან შედარებით მაღალი საიმუდოობა.
- სხვა ძრავებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობისას, დატვირთვის გადანაწილების უნარი ხელოვნური ღონისძიების გარეშე.

წევის ძრავაში და მთლიანად სისტემაში დანაკარგების შემცირების მიზნით ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უფრო ხელსაყრელია დამოუკიდებელ აგზნებიანი მუდმივი დენის ძრავას გამოყენება. ეს შესაძლებელი გახდა დამოუკიდებელი აგზნების გრაგნილების საკვებად ეფექტური ნახევარგამტარული რეგულა-

ტორების შექმნით. ენერგეტიკული მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან ერთად, ასეთი ძრავების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მთელი რიგი ფუნქციონალური უპირატესობების წარმოჩენა. კერძოდ:

- უმჯობესდება ელექტრომობილების მართვა, განსაკუთრებით ელექტრული დამუხრუჭების რეჟიმში.
- ფართოვდება სიჩქარის რეგულირების დიაპაზონი. მიიღწევა დამყარებული სიჩქარის უფრო მაღალი სტაბილურობა, დამვრის და გაქანების უკეთესი დინამიკა.

ენერგიის დანაკარგების მნიშვნელოვანი შემცირება მიიღწევა დუზის მომჭერებზე ძაბვის იმპულსური რეგულატორის და აგზნების დენის რეგულატორის შეთანხმებული მუშაობით. სიჩქარის რეგულირების დიაპაზონის $\frac{2}{3}$ ზონაში, რეგულირება ხდება აგზნების დენის რეგულირებით. ამ დროს დუზის მომჭერებზე ძაბვა მაქსიმალურია, ძაბვის რეგულატორი მუშაობს გაუდენოვის ზონაში და მისი მ.ქ.პ-ი აღწევს 0.95-0.97.

მუდმივი დენის ძრავების ძირითადი ნაკლია:

- კოლექტორი-ჯაგრისების კვანძის არსებობა, რაც აძვირებს ძრავას დირებულებას და ზრდის მის საექსპლუატაციო ხარჯებს.
- ცვლადი დენის ძრავებთან შედარებით დიდი მასა-გაბარიტული მაჩვენებლები.

19.8. პიბრიდული ავტომობილები

დღეისათვის ელექტრომობილების ფართოდ დანერგვას, ძირითადად, ზღუდავს ორი ფაქტორი:


ა) სააკუმულატორო ბატარეის დამუხტვის პროცესის ხანგრძლივობით გამოწვეული სირთულე. სხვაგვარად, სააკუმულატორო ბატარეაში ენერგიის განთავსებისათვის საჭიროა გაცილებით ხანგრძლივი დრო (ყველაზე კარგ შემთხვევაში, რამდენიმე საათი), ნაცვლად ორგანული საწვავით ავტომობილის გაწყობისთვის საჭირო რამდენიმე წუთისა.

ბ) სააკუმულატორო ბატარეაში ერთჯერადი დამუხტვით განთავსებული ენერგიით მნიშვნელოვნად ნაკლები გარბენი, იგივე მონაცემების მქონე ავტომობილის გარბენთან შედარებით.

შექმნილი მდგომარეობიდან საშუალებო გამოსავალია ე.წ. “პიბრიდული” (ავტომობილის და ელექტრომობილის სინთეზი) ავტომობილის შექმნა, კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით.

19.9. ელექტრომობილების ელექტრული ამძრავების კონსტრუქციული შესრულების შესაძლო გარიანტები

ელექტრომობილების ელექტროამძრავების კონსტრუქციული შესრულების რამდენიმე გარიანტი მოცემულია 19.2 ნახაზზე.



მპ- ელექტრული მრავა

სბ- სიჩქარის კოლუმბი

დ- ღიფერენციალი

რ- რეზუქტორი

ნახ. 19.2. წევის ელექტროამძრავის გარიანტები.

19.2 ა ნახაზზე ნაჩვენებია წევის ელექტრული ამძრავი, რომელიც შედგება ელექტრული ძრავასაგან მპ, გადაბმულობისაგან, სიჩქარეთა კოლოფისაგან სბ და დიფერენციალისაგან დ. გადაბმულება გამოიყენება ელექტროძრავას და წამყვანი თვლების დროებითი განცალკავებისათვის. სიჩქარეთა კოლოფი სბ უზრუნველყოფს გადაცემის სხვადასხვა რიცხვს, თვლებზე მბრუნვი მომენტის რეგულირებისათვის. დიფერენციალი დ მექანიკური მოწყობილობაა, რომელიც პლანეტარული მექანიზმის გამოყენებით უზრუნველყოფს ელექტრომობილის მოძრაობას მრუდეებში.

19.2 ბ ნახაზზე ნაჩვენებია ელექტრომობილის ელექტროამძრავი, ელექტრო ძრავას სიჩქარის დიდი დიაპაზონით. ეს სქემა არათუ ამსუბუქებს და ამარტივებს მექანიკურ გადაცემას, არამედ არ მოითხოვს გადაცემის საფეხურების გადართვას.

19.2 გ ნახაზზე მოცემულია წევის ელექტრული ამძრავი, რომელშიც ელექტრული წევის ძრავა, გადამცემი რედუქტორი და დიფერენციალი განთავსებული და გაერთიანებულია ერთ კორპუსში.


19.2 დ ნახაზზე მოცემულია სქემა, სადაც მექანიკური გადაცემა არ გვაქვს და ის შეცვლილია ცალ-ცალკე ბორბალთან დაკავშირებული ორი ელექტრული ძრავათი.

192 ე ნახაზზე მოცემულია წევის ელექტროამძრავი, სადაც წევის ძრავა ჩასმულია თვალში.

19.2 ვ ნახაზზე მოცემულია სქემა, სადაც ელექტრო წევის ძრავასა და თვალს შორის არ არსებობს შუალედური მექანიკური მექანიზმი და წამყვანი თვალი დასმულია უშუალოდ წევის ძრავას როტორის ღერძზე. ასეთი სქემა მოითხოვს, რომ წევის ძრავას პქონდეს დიდი მაბრუნი მომენტი და მისი მასა იყოს გარესორებული.

19.10. ელექტრომობილის წევის ელექტროამძრავის ფუნქციონალური სქემა

ელექტრომობილის წევის ელექტროამძრავის ფუნქციონალური სქემის საფუძვლად შეიძლება მივიღოთ 19.3 ნახაზზე მოცემული სქემა, რომელიც შეიცავს სამ ძირითად კვანძს: წევის ელექტროამძრავის ძალურ ნაწილს, ენერგეტიკულ ბლოკს და დამხმარე მოწყობილობის ბლოკს. ელექტროამძრავის ძალური ნაწილი შეიცავს ელექტრონული მართვის ბლოკს, ძალურ ელექტრონულ ბლოკს, ელექტრულ მანქანას, მექანიკურ ტრანსმისიას და წყვილთვალს.



ნახ. 19.3. ელექტრომობილის წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონალური სქემა:


- 1- წევის ელექტრული ამძრავის ძალური წრედი,
- 2- ენერგეტიკული ბლოკი,
- 3- დამხმარე მოწყობილობის ბლოკი.

ენერგეტიკული ბლოკი შეიცავს ენერგიის ძირითად წყაროს, ენერგიის დამატებით წყაროს და ენერგიის მართვის ბლოკს.

დამხმარე მოწყობილობის ბლოკში შედის ელექტრული კვების ბლოკი, მართვის (საჭის) გამაძლიერებელი ბლოკი და კლიმატური პირობების მართვის ბლოკი.

19.11. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები

კომბინირებული ენერგეტიკული წყაროებით აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებაში, ძალური გადაცემა ენერგიას იღებს არა უმეტეს ორი წყაროდან. იხ. სტრუქტურული სქემა (ნახ. 19.4).



ნახ. 19.4. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით
აღჭურვილი ავტომობილის სტრუქტურული სქემა.

წარმოდგენილი სტრუქტურული სქემის მიხედვით დატვირთვა ენერგიას იღებს სხვადასხვა კომბინაციით; კერძოდ:

- დატვირთვა კვებას იღებს მხოლოდ ენერგიის პირველ წყაროდან (თბური ძრავა), რაც საკმარისია სატრანსპორტო საშუალების მოძრაობაში მოსაყვანად; ამ დროს სააკუმულატორო ბატარეა [ენერგიის მე-2 წყარო] განმუხტულია ან დამუხტულია და გამორთული.
- დატვირთვა კვებას იღებს მხოლოდ ენერგიის მე-2 წყაროდან (სააკუმულატორო ბატარეა). ამ დროს თბური ძრავა პირველ გამორთულია. ეს რეჟიმი გამოიყენება ისეთ ადგილებში, სადაც მავნე გამონაბოლქვების არსებობა მკაცრადაა ლიმიტირებული (მაგალითად დასახლებული ადგილები).
- დატვირთვა ენერგიას იღებს პირველ და მე-2 წყაროდან. ეს ხერხი წარმოადგენს მომხმარებლის სიმძლავრით კვების პიბრიდულ ხერხს და გამოიყენება, როდესაც მომხმარებელი მოითხოვს დიდ სიმძლავრეს (მაგალითად, მკვეთრი დაძვრისას, ან როგორც პროფილზე მოძრაობის დროს).

4. რეგულაციული დამუხრუჭების რეჟიმი, როდესაც მოძრავ სატრანსპორტო საშუალების კინეტიკური ენერგიის ხარჯზე გამომუშავდება ელექტრული ენერგია და დაგროვდება სააკუმულატორო ბატარეაში.
5. ენერგიის პირველი წყარო ამოძრავებს სატრანსპორტო საშუალებას და ერთდრო-ულად მუხტავს სააკუმულატორო ბატარეას (2).
6. ენერგიის პირველი წყარო მუხტავს სააკუმულატორო ბატარეას და ეს უკანასკნელი კვებავს წევის ძრავებს.


19.12. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი წევის ელექტრული ამძრავის კლასიფიკაცია

ტრადიციულად, კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი წევის ელექტრული ამძრავი კლასიფიცირდება ორ ძირითად სტრუქტურულ სქემად: მიმდევრობითი და პარალელური.


19.12.1. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი მიმდევრობითი სტრუქტურული სქემა

მიმდევრობითი სტრუქტურული სქემის ძირითადი პრინციპია ენერგიის წყაროსა (თბური ძრავა) და წამყვან თვლებს შორის მექანიკური კავშირის არარსებობა. ამ დროს თბური ძრავას მიერ შექმნილი მექანიკური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად (გენერატორის მეშვეობით). შემდეგ ეს ელექტრული ენერგია წევის ელექტრული ძრავას მეშვეობით კვლავ გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად. სქემა შეიცავს ენერგიის ორ წყაროს – თბურს (შიგაწვის ძრავა-გენერატორი) და ელექტრულს (სააკუმულატორო ბატარეა).

თბურ ძრავას მოძრაობაში მოჰყავს მუდმივი დენის ელექტრო გენერატორი (ნახ. 19.5) ან სამფაზა ცვლადი დენის სინქრონული გენერატორი (ნახ. 19.6). აღნიშნული გენერატორები ცალკე ან კვების მეორე წყაროსთან (სააკუმულატორო ბატარეასთან) ერთად კვებავენ წევის ელექტრულ ძრავს. პირველ შემთხვევში მუდმივი დენის წევის ძრავას (ნახ. 19.5), ხოლო მეორე შემთხვევაში სამფაზა ასინქრონულ წევის ძრავას (ნახ. 19.6). სისტემა თბური ძრავა-გენერატორი წარმოადგენს ერთმიმართულებიან ენერგიის წყაროს. წევის ელექტრული ძრავა დამუხრუჭების რეჟიმში მუშაობს, როგორც გენერატორი (მოძრავი სატრანსპორტო საშუალების კინეტიკური ენერგიის ხარჯზე) და გამომუშავებული ელექტროენერგიით კვებავს ენერგიის მეორე წყაროს (სააკუმულატორო ბატარეას) (ნახ. 19.5, ნახ. 19.6).



ნახ. 19.5. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი
მიმდევრობითი სქემა, მუდმივი დენის წევის ელექტრული ამძრავით.



ნახ. 19.6. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით
აღჭურვილი მიმდევრობითი სქემა, სამფაზა ცვლადი დენის
წევის ელექტრული ამძრავით.

ელექტრული გენერატორი G წევის ელექტრულ ძრავას (\dot{W}_{d}) უკავშირდება ორი ელექტრონული U_1 და U_2 გარდამქმნელის საშუალებით. მეორე კვების წყარო GB (ხააკუმულატორო ბატარეა) ორმიმართულებიანია და წევის ელექტრულ ძრავას უკავშირდება U_3 ელექტრონული გარდამქმნელით.


ელექტრომობილების წევის ელექტრული ამძრავის მიმდევრობითი სქემის ძირითადი უპირატესობებია:

1. თბური ძრავა მექანიკურად განმხოლოებულია წამყვანი თვლებისაგან და შეუძლია იმუშაოს მაქსიმალური ეფექტურობის (ოპტიმალურ) რეჟიმში.
2. შესაძლებელს ხდის მაღალსიჩქარიანი (მცირებაბარიტიანი) შიგაწვის ძრავების გამოყენებას.
3. მნიშვნელოვნად ამარტივებს ტრანსმისიის კინემატიკურ სქემას.
4. განაპირობებს მართვის კანონების (მოთხოვნების) რეალიზაციის სიმარტივეს.

მიმდევრობითი სქემის ნაკლები შეიძლება მივაკუთვნოთ ენერგიის ორმაგი გარდაქმნა, შესაბამისად მაღალი დანაკარგები და ელექტრომოწყობილობის დიდი მასაგაბარიტული მაჩვენებლები.

19.12.1.1. კომბინირებული ენერგეტიკული დანადგარით აღჭურვილი მიმდევრობითი სტრუქტურის წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონალური სქემა

კომბინირებული ენერგეტიკული დანადგარით აღჭურვილი მიმდევრობითი სტრუქტურის წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონალური სქემა მოცემულია 19.7 ნახაზზე.



ნახ. 19.7. კომბინირებული ენერგეტიკული დანადგარით აღჭურვილი, მიმდევრობითი სტრუქტურის წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონალური სქემა.

გარდა ძალური ნაწილისა, ფუნქციონალური სქემა შეიცავს ელექტრომობილის მართვის და კონტროლის ბლოკს, თბური და ელექტრული წევის ძრავების მართვის ბლოკებს და სქემის ცალკეული ელემენტების კონტროლის ბლოკებს.

ელექტრომობილის მართვის და კონტროლის ბლოკი წარმოადგენს მთელი სისტემის მთავარ, ცენტრალურ ბლოკს, რომელზეც მიეწოდება მძღოლის მიერ გაცემული მართვის სიგნალები, თბური ძრავას და ელექტრული წევის ძრავას მუშაობის მაკონტროლებელი სიგნალები, სააკუმულატორო ბატარეიის დამუხტვის და ელექტრომობილის სიჩქარის შესატყვისი სიგნალები. ცენტრალური ბლოკიდან მართვის სიგნალები მიეწოდება თბური ძრავას, მართვის და ძალური სტატიკური გარდამქმნელის მართვის ბლოკებს.

იმის გამო, რომ თბური ძრავა განმხოლოებულია წამყვანი თვლებისაგან და მისი ბრუნთა რიცხვი და მაბრუნი მომენტი უშუალოდ არაა დამოკიდებული დატვირთვის რეჟიმზე, ამიტომ მართვის სისტემის საშუალებით აირჩევა თბური ძრავას მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი, საწვავის მინიმალური ხარჯის და მავნე გამონაბოლქვების მინიმალური მოცულობის მიხედვით.

1. პიბრიდულ რეჟიმში მუშაობისას, თბური ძრავა-გენერატორი და სააკუმულატორო ბატარეა AB უზრუნველყოფებ ელექტრული წვის ძრავას ერთობლივ კვებას. ამ დროს თბური ძრავას და სააკუმულატორო ბატარეიის სიმძლავრეები იკრიბება,

$$P = P_M + P_{AB} = P_W,$$

სადაც, P არის მძღოლის მიერ მოთხოვნილი სიმძლავრე.

P_M – თბური ძრავას მიერ გაცემული სიმძლავრე.

P_{AB} – სააკუმულატორო ბატარეიის მიერ გაცემული სიმძლავრე.

P_W – მოძრაობის წინააღმდეგობის ძალების დასაძლევად საჭირო სიმძლავრე.

2. ნორმალურ საგზაო პირობებში თბური ძრავადან მუშაობის რეჟიმში, სააკუმულატორო ბატარეა გამორთულია და ელექტრომობილის მართვა მდგომარეობს თბური ძრავა-გენერატორის სიმძლავრის ისეთ მართვაში, რომ დაცული იყოს პირობა:

$$P = P_M = P_W.$$

3. თუ თბური ძრავადან მუშაობის რეჟიმში, ერთდროულად ხდება სააკუმულატორო ბატარეიის დამუხტვა, მაშინ თბური ძრავას მიერ გაცემული სიმძლავრე

$$P_M = P + P'_{AB}, \quad P = P_w,$$

სადაც, P'_{AB} არის სიმძლავრე, რომელიც მიაქვს სააკუმულატორო ბატარეიის დამუხტვას.

4. ელექტრული დამუხტვების (რეგულირაციის) რეჟიმში, წევის ძრავა მუშაობს გენერატორულ რეჟიმში და მოძრავი ელექტრომობილის კინეტიკური ენერგიის ნაწილი იხარჯება სააკუმულატორო ბატარეიის დამუხტვაზე.

5. თუ მოძრაობა მიმდინარეობს დასახლებულ პუნქტში, სადაც არ დაიშვება გამონაბოლქვი აირები, მაშინ გამოირთვება შიგაწვის ძრავა და მოძრაობა გრძელდება სააკუმულატორო ბატარეიიდან გაცემული სიმძლავრის ხარჯზე,

$$P = P_{AB} = P_W.$$


19.12.2. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი პარალელური სტრუქტურული სქემა

პარალელური სტრუქტურული სქემისათვის დამახასიათებელია ორი დამოუკიდებელი წრედის არსებობა: ერთი წრედით ენერგია თბური ძრავადან წამყვან თვლებს გადაეცემა მექანიკურად ისე, როგორც ჩვეულებრივ ავტომობილში. მეორე პარალელური წრედი დაფუძნებულია ელექტროამძრავის გამოყენებაზე, როდესაც ელექტრული წევის ძრავა (ვძრ) შემკრები მოწყობილობის (შმ) საშუალებით ეხმარება თბურ ძრავას და დამატებით ენერგიას აწვდის დატვირთვას (ნახ. 19.8).

პარალელური სქემის ძირითადი უპირატესობებია:

1. გენერატორის უქონლობა.
2. წევის ძრავას შედარებით მცირე სიმძლავრე.
3. თბური ძრავას სიმძლავრის მრავალჯერადი გარდაქმნების თავიდან აცილება.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი ზრდის ამძრავის ეფექტურობას, მაგრამ მექანიკური კავშირი თბურ ძრავასა და თვლებს შორის მიმდევრობით სქემასთან შედარებით. მთლიანობაში მნიშვნელოვნად ართულებს ამძრავის მართვას.




ნახ. 19.8. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით
აღჭურვილი წევის ელექტრული ამძრავის პარალელური
სქემა.

19.12.2.1. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი პარალელური სტრუქტურის წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონალური სქემა


19.9 ნახაზზე მოცემულია ელექტრომობილის ელექტრული ამძრავის პარალელური სტრუქტურის ფუნქციონალური სქემა, რომელიც ძალური ნაწილის ელემენტების (თბური ძრავა, ელექტრული წევის ძრავა, ტრანსმისია, თბური ძრავას და ელექტრული ძრავას სიმძლავრეების გამაერთიანებელი მოწყობილობა შმ) გარდა, შეიცავს მართვის სისტემის ცალკეულ ბლოკებს. კერძოდ: თბური და ელექტრული წევის ძრავებს მართვის ბლოკებს, მაქსიმალური სიმძლავრის წყაროს.

განსხვავებით მიმდევრობითი სტრუქტურული – ფუნქციონალური სქემიდან, პარალელური სქემა შეიცავს შემკრებ მოწყობილობას შმ-ს, რომელიც ახდენს ტრანსმისიონან და წევის ელექტრული ძრავადან გამომავალ სიმძლავრეების შეკრებას.



ნახ. 19.9. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი,
პარალელური სტრუქტურის წევის ელექტრული ამძრავის
ფუნქციონალური სქემა.

19.10 ნახაზზე მოცემულია კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი პარალელური სტრუქტურის წევის ელექტრული ამძრავის მართვის სქემა. სისტემა შეიცავს მართვის ბლოკების ორ დონეს. მაღალი დონე (პირველი დონე) შეიცავს ელექტრომობილის მართვის და კონტროლის ცენტრალურ ბლოკს, რომელშიც ხდება დაბალი დონის მართვისათვის სიგნალების ფორმირება და გაგზავნა.



ნახ. 19.10. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი წევის ელექტრული ამძრავის მართვის სისტემა

დაბალი (მეორე) დონის ბლოკებს მიეკუთვნება თბური მრავას და ელექტრული წევის მრავას მართვის ბლოკები, აგრეთვე მექანიკური დამუხსრულების ბლოკი.

ცენტრალურ ბლოკში მართვის სიგნალების ფორმირება ხდება მძლოლის ბრძანებების და დაბალი დონის ბლოკებიდან მიღებული უკუკავშირის სიგნალების საფუძველზე.

XX თავი

მაღალსიჩქარიანი გიტისზედა სატრანსპორტო სისტემები

20.1. მაღალსიჩქარიანი გიტისზედა ტრანსპორტის შექმნის პროცესები

მაღალსიჩქარიან სატრანსპორტო სისტემებს მიაკუთვნებენ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა სიჩქარე აღემატება 300-400 კმ/სთ-ს. იმისათვის, რომ გადაიღახოს მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისადმი მკვეთრად გაზრდილი წინააღმდეგობის ძალები და რეალიზებული იქნეს ასეთი სიჩქარეები, საჭიროა გაცილებით დიდი სიმძლავრეები და წევის ძალები, ვიდრე დღეისათვის არსებულ მოძრავ შემადგენლობებს გააჩნიათ. ბგერის სიჩქარეები მოძრავ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის გაითვალისწინება მხოლოდ გარემომცველი ჰაერით განპირობებული მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა $W_{\text{ა}}$. რაც შეეხება საკისრებში გორგის ხახუნით განპირობებულ წინააღმდეგობის ძალას, სიმცირის გამო ის შეგვიძლია უგულვებელყოთ. თავის მხრივ, გარემომცველი ჰაერით გამოწვეული მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალა განისაზღვრება როგორც

$$W_{\text{ა}} = \alpha S V^2, \quad (20.1)$$

სადაც, α არის გარშემოვლის კოეფიციენტი.

S – მოძრავი შემადგენლობის განივი კვეთის ფართი, მ^2 – ში.

V – მოძრაობის სიჩქარე, კმ/სთ-ში.

ამ პირობებში, ჩაჭიდების წევის ძალის სრული გამოყენების შემთხვევაში, დამყარებული სიჩქარისათვის, მოძრაობისადმი ხვედრითი წინააღმდეგობის ძალა ტოლი იქნება ჩაჭიდების ხვედრითი ძალის,

$$f_{\text{ჩაჭ.}} = w_{\text{ა}}, \quad \text{ანუ} \quad f_{\text{ჩაჭ.}} = \alpha S V^2. \quad (20.2)$$

აქედან გამომდინარე მაღალი სიჩქარეების რეალიზაციისთვის საჭირო ხვედრითი სიმძლავრე ტოლი იქნება

$$p = f_{\text{ჩაჭ.}} V = \alpha S V^2 V = \alpha S V^3 \quad \text{კტ/ტ.} \quad (20.3)$$


გამოდის, რომ სიჩქარის ორჯერ გაზრდისათვის, საჭიროა სიმძლავრე გაიზარდოს 8-ჯერ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩაჭიდების კოეფიციენტი სიჩქარის ზრდისას მნიშვნელოვნად შემცირდება, მოთხოვნილი სიმძლავრე უნდა გაიზარდოს დაახლოებით 6-ჯერ. მაგალითად, თუ ტP 200 ელექტრომატარებლის კონსტრუქციული სიჩქარისათვის 200 კმ/სთ, რეალიზდება ხვედრითი სიმძლავრე 12 კვტ/ტ-ზე, მაშინ სიჩქარის 400 კმ/სთ-მდე გაზრდისათვის საჭიროა ხვედრითი სიმძლავრე გაიზარდოს

$$12 \cdot 6 = 72 \text{ კვტ/ტ-მდე}$$

სრული სიმძლავრე კი იქნებოდა 62 000 კვტ.

20.1 ნახაზზე მოცემულია 14 ვაგონიანი ტP 200 ელექტრომატარებლისათვის მოძრაობისადმი ხვედრითი წინააღმდეგობის ძალის დამოკიდებულება სიჩქარეზე (1-მრუდი) და მოთხოვნილი ხვედრითი სიმძლავრის დამოკიდებულება სიჩქარეზე (2-მრუდი). ასეთი სიმძლავრეების რეალიზება რკინიგზის ტრადიციული წევის სახეობებით ძალზე რთულია, რადგან სიჩქარეების ზრდისას მკვეთრად ეცემა ბორბალსა და რელსს შორის ჩაჭიდების წევის ძალა. ამიტომ წარმოიშვა წევის ისეთი ახალი სახეობის შექმნის იდეა, რომელიც გამორიცხავს უშუალო კონტაქტს ბორბალსა და რელსს შორის.

W, მ/კნ; P, კტ/ტ;



ნახ. 20.1

ძირითადი სირთულე მდგომარეობს წევის მეტნაკლებად საიმედო და ექონომიკური სახეობის შერჩევაში, რომელიც უზრუნველყოფდა მოძრაობის უსაფრთხოებას. ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელია ორი ფაქტორი:

1. რამდენადაა გადაჭრილი უბორბლო ეკიპაჟის “ჩამოკიდების” პრობლემა, ანუ სხვაგვარად ეკიპაჟის შენარჩუნება “მოტივტივე” მდგომარეობაში, მოძრაობის ნულოვანი სიჩქარის დროს. მოძრაობის პროცესში ეს იწოდება “ლევიტაციად”, ანუ სხვაგვარად “ლიფლიფად” (მაგალითად, როგორც დიდი ფრინველი ლიფლიფებს ცაში).

2. როგორ გადაიჭრება წევის ძალის შექმნის და რეგულირების პრობლემა.


ადნიშნული პრობლემის ერთ-ერთ მიმართულებად ითვლება საპაერო ბალიშზე მოძრავი ეკიპაჟის შექმნა (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი). როგორც ასეთი ეკიპაჟების გამოცდებმა აჩვენა, ისინი ხასიათდებიან:

- “ჩამოკიდებულ” მდგომარეობის განმსაზღვრელი ამწევი ძალის, შუბლური წინააღმდეგობის ძალასთან თანაფარდობის ძალიან დაბალი მნიშვნელობით.
- სასარგებლო დატვირთვის დაბალი კოეფიციენტით.
- ვენტილაციურების ხმაურის მაღალი დონით.
- ძალური დანადგარიდან სიმძლავრის მოხსნის სირთულით.

ზემოჩამოთვლილის გამო, მატარებლები საჰაერო ბალიშებზე აღარ განიხილება, როგორც მაღალსიჩქარიანი მიწისზედა ტრანსპორტის პერსპექტიული სახეობა.

საჰაერო ბალიშებზე შესრულებული ეკიპაჟების ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებისაგან თავისუფალია მაგნიტური ჩამოკიდებით და წევის ძალის შესაქმნელად საზური შესრულების წევის ძრავებით აღჭურვილი ეკიპაჟები.

მაგნიტური ჩამოკიდების მქონე ეკიპაჟებში, შესაძლებელია ჩამოკიდების სამი ვარიანტი: მუდმივი მაგნიტების გამოყენებით, ელექტრომაგნიტური ჩამოკიდებით და ელექტროდინამიური ჩამოკიდებით.



ნახ. 20.2

მუდმივი მაგნიტების გამოყენებით ეკიპაჟის ჩამოკიდება ეფუძნება ერთნაირპოლუსიანი მაგნიტების ურთიერთგანზიდვის პრინციპს, რომელთაგან ერთი განთავსებულია სავალ გზაზე, ხოლო მეორე მოძრავ ეკიპაჟზე (ნახ. 20.2 ა, ნახ. 20.3 ა). დღეისათვის არ არსებობს ისეთი სიმძლავრის მუდმივი მაგნიტები, რომლებსაც შეუძლიათ აწიონ და გზიდან 20-30 მმ სიმაღლეზე აწეულ მდგომარეობაში დაიჭირონ მრავალტონიანი ეკიპაჟი.

ელექტრომაგნიტების გამოყენების შემთხვევაში (ნახ. 20.2 ბ, ნახ. 20.3 ბ.) შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მიზიდვის, ასევე განზიდვის პრინციპები ეკიპაჟზე

დამაგრებული ელექტრომაგნიტურ სისტემასა (გულარა 1, კოჭი 2) და ფოლადის სავალ ნაწილზე განთავსებულ ელექტრომაგნიტურ სისტემას (ფოლადის ზოლი 3, კოჭი 4) შორის. მიზიდვის პრინციპის გამოყენება ხასიათდება არამდგრადობით, რადგან ელექტრომაგნიტურს შორის ღრებოს ცვლილებისას, ამ ღრებოს კვადრატის უკუპროპორციულად მცირდება მიზიდულობის ძალა. ასეთ შემთხვევაში მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელი ხდება, ჩამოკიდების სიმაღლის და გვერდითი გადაადგილების კომპენსაციისთვის ავტომატური რეგულირების სისტემის გამოყენება, რაც ართულებს და არასაიმედოს ხდის მის მუშაობას.

ლევიტაციის სახეობები



ა) ინდუქტიური



ბ) ელექტრომაგნიტური



გ) ელექტროდინამიური



ნახ. 20.3

დინამიური ჩამოკიდების შემთხვევაში გამოიყენება განმზიდი ძალების ურთიერთქმედება, რომლებიც წარმოიშვება კონტურებში გამავალი დენების ურთიერთშემსვედრი მიმართულებით გავლისას. ერთი კონტური განთავსებულია მოძრავ ეკიპაჟზე, ხოლო მეორე წარმოადგენს სავალი გზის სექციას, რომელიც ამ აღებულ მომენტში იმყოფება ეკიპაჟის ქვეშ (ნახ. 20.3 გ). მოძრავი შემადგენლობის ეკიპაჟზე განთავსებულ კონტურში გამავალი დენის ზემოქმედებით სავალ ნაწილზე განთავსებულ კონტურში დაინდუქტირდება დენი, რომელიც კონტურის მიერ შექმნილ მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნის განმზიდ ძალას, რომელიც განაპირობებს ეკიპაჟის აწევას გზის სავალ ნაწილს ზემოთ.

გზის პორიზონტალურ კონტურებში წარმოიშვება დენები, რომლებიც წარმოქმნიან ამწევ ძალას ყოველთვის, როდესაც მათ თავზე გაივლის ეკიპაჟზე განთავსე-

ბული კონტური. გზის სავალ ნაწილზე განთავსებული ვერტიკალური კონტურები პქმნიან დამაბრუნებელ ძალებს, ყოველთვის, როდესაც ეკიპაჟი გადაიხრება გზის დერძის მიმართ. ე.ი. ელექტროდინამიური ჩამოკიდების სისტემა მდგრადია, როგორც ვერტიკალური, ასევე პორიზონტალური მიმართულებით (ამ საკითხს დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ).

რაც უფრო მაღალია მოძრაობის სიჩქარე, მით უფრო დიდი სიდიდის დენი დაინდუქტირდება სავალ გზაზე განლაგებულ კონტურებში და მით უფრო დიდი იქნება ამწევი ძალა (ამწევი ძალა კონტურებში გამავალი დენების ნამრავლის პროპორციულია). მაგრამ მცირე სიჩქარეების დროს, დენების სიმცირის გამო ამწევი ძალა არ იქნება საკმარისი ეკიპაჟის ასაწევად. ჩამოკიდების ასეთი სისტემის მნიშვნელოვან ნაკლად ითვლება ის, რომ საჭირო ხდება არსებული ტრადიციული საშუალებებით ეკიპაჟის დაძვრა და გაქანება იმ სიჩქარემდე, რომელზეც ხდება ეკიპაჟის მოწყვეტა გზის სავალ ნაწილიდან (არსებული სისტემებისათვის აღნიშნული სიჩქარე 60-150 კმ/სთ-ია).

ამწევი ძალის წარმოქმნასთან, ერთდროულად, წარმოიქმნება გრიგალური დენებით განპირობებული მოძრაობისადმი წინააღმდეგობის მაგნიტური ძალა. არსებულ სისტემებში წინააღმდეგობის ეს ძალა 0–20 კმ/სთ სიჩქარის დიაპაზონში იზრდება სიჩქარის პროპორციულად, ხოლო სიჩქარის შემდგომი ზრდისას მცირდება მის უკუპროპორციულად. ამწევი მაგნიტური ძალის ფარდობას მოძრაობისადმი წინააღმდეგობის მაგნიტურ ძალასთან უწოდებენ მაგნიტური ჩამოკიდების ხარისხის კოეფიციენტს, ხოლო მაგნიტური ამწევი ძალის ფარდობას მოძრაობისადმი წინააღმდეგობის მაგნიტურ და აეროდინამიკურ ძალებთან, უწოდებენ ჩამოკიდების ხარისხის სრულ კოეფიციენტს.


მაგნიტური ჩამოკიდების არსებული სისტემებისათვის, ჩამოკიდების ხარისხის სრული კოეფიციენტის მნიშვნელობა შეადგენს 20-40-ს. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს. რაც მაღალია მისი მნიშვნელობა, მით უფრო სრულყოფილია სისტემა და მით უფრო უკეთესია მისი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.

იმისათვის, რომ ელექტროდინამიკურ სისტემაში გვქონდეს რაც შეიძლება დიდი ამწევი ძალა, საჭიროა ეკიპაჟზე განთავსებულ კონტურში გვქონდეს რაც შეიძლება დიდი დენი (ასეულობით კილოამპერი). დღეისათვის, ტექნიკის თანამედროვე დონისათვის ეს შეუძლებელია ზეგამტარების გამოყენების გარეშე, ანუ ე.წ. “კრიოსტატების” გამოყენების გარეშე, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას მივიღოთ დაბალი ტემპერატურები (4-15°K) და ე.წ. “გაყინული” მაგნიტური ველი, რომელიც

არ მოითხოვს მუდმივ თანკვებას და გამორიცხავს ზეგამტარებში დანაკარგების არსებობას. “გაყინული” მაგნიტური ველი მიიღება ზეგამტარი მაგნიტის აგზნების გრაგნილის დამოკლებით. ასეთი ელექტრომაგნიტი თავისი თვისებით მუდმივი მაგნიტის მსგავსია. ეს კი საშუალებას იძლევა არ გამოვიყენოთ ელექტროტექნიკური ფოლადისაგან დამზადებული გულარა და მივიღოთ მაქსიმალური მაგნიტომამოძრავებელი ძალა, რომელიც არ იქნება შეზღუდული ფოლადის მაგნიტური გაჯერებით. ამ მიზნით მოძრავ ეკიპაჟზე განათავსებენ კონტურებს ზეგამტარი მაგნიტებით, ხოლო სავალ გზაზე განათავსებენ ჩვეულებრივ პასიურ კონტურებს.

ელექტროდინამიკური ჩამოკიდების დროს, ჩამოკიდების სიმაღლის რეგულირება ხდება ზეგამტარი მაგნიტების დენის სიდიდეზე ზემოქმედებით, რაც უფრო მარტივია, ვიდრე ელექტრომაგნიტურ ჩამოკიდების შემთხვევაში.

არსებობს მაგნიტური ჩამოკიდების ე.წ. “ნულოვანი ნაკადის” ვარიანტი. ანუ ამ შემთხვევაში გზის ნებისმიერი სექციის რეზულტირებული (ჯამური) ნაკადი 0-ის ტოლია. 20.4 ნახაზზე: 1-ვაგონის სამგზავრო სალონია; 2-ღრმა გაციების სისტემა; 3-ელექტროდინამიკური ჩამოკიდების ზედა ზეგამტარი მაგნიტი; 4-მაგნიტური ჩამოკიდების სისტემის “ნულოვანი” მაგნიტური ნაკადის ალუმინის კონტური; 5- მაგნიტური ჩამოკიდების სისტემის ქვედა ზეგამტარი მაგნიტი; 6-სავალი გზის ფუნდამენტი; 7-საგზაო პასიური კონტურის კოჭი; 8-ხაზური სინქრონული ძრავის ზეგამტარი მაგნიტი.




ნახ. 20.4

თუ ასეთ სისტემაში ეკიპაჟი გადაიწევა სიმეტრიის დერძიდან რაიმე გარეშე შემაშფოთებელი ფაქტორის (მაგალითად, ძლიერი ქარის) ზემოქმედებით, მაშინ წარმოიქმნება გაუკომპენსირებელი მაგნიტური ნაკადი და დენი, რომლებიც განაპირობებენ მაგნიტურ ძალას, რომელიც სისტემას დააბრუნებს საწყის მდგომარეობაში. ამ სისტემის ნაკლი მდგომარეობს ეკიპაჟის მაგნიტური სისტემის სირთულეში (დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ).

საქმაოდ პერსპექტიული ჩანს მაგნიტური ჩამოკიდების ის სისტემები, რომლებშიც ერთი და იგივე ზეგამტარი მაგნიტები ქმნიან როგორც ამწევ, ასევე წევის ძალას. ასეთი სისტემების ნაკლია ლევიტაციის სისტემის გრიგალური დენებით შექმნილი მაგნიტო მამოძრავებელი ძალების ზეგავლენა წევის ძალის შემქმნელ გრაგნილზე.

მაგნიტური ჩამოკიდების პირველ სისტემებში წევის ძალების შესაქმნელად გამოყენებული იყო ხაზური ასინქრონული ძრავები. ასეთი ძრავა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც მსახველზე გაჭრილი და გაშლილი ასინქრონული ძრავას სტატორი და როტორი. მასში წარმოიშვება არა მბრუნავი, არამედ განმრბენი მაგნიტური ველი, ხოლო მბრუნავი მომენტის ნაცვლად წევის ძალა. ხაზური ძრავა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც უსასრულო სიდიდის რადიუსის მქონე ჩვეულებრივი სამფაზა ძრავა (ნახ. 20.5). სტატორის გრაგნილს 1-ჩვეულებრივ განათვებენ მოძრავ ეკიპაჟზე, ხოლო როტორს წარმოადგენს საგზაო სალტე – 2, რომელიც სრულდება, როგორც მართკუთხა ფორმის სალტე, რომელიც განთავსებულია გზის დერძის გასწვრივ. სტატორის მაგნიტური ნაკადის და როტორში დაინდუქტირებული დენის ურთიერთქმედებით, ეკიპაჟი განუწყვეტლივ გადაადგილდება გზის გასწვრივ.



ნახ. 20.5

იმის გამო, რომ სტატორის გრაგნილი, რომელიც განთავსებულია ეკიპაჟზე არაა უწყვეტი და აქვს სასრულო ზომები, ჩვეულებრივი ასინქრონული ძრავასაგან განსხვავებით მაგნიტური ნაკადის განაწილება ხაზური ძრავას შესასვლელზე და გამოსასვლელზე არაა ერთგვაროვანი. ამის მიზეზია მაგნიტური წრედის ერთი ნახევრიდან (სტატორი) მეორეში (როტორში) დრეჩოს გარეშე მაგნიტური ძალხაზების გავლა. ამ მოვლენას, რომელიც ქმნის პულსირებულ განაპირა ნაკადებს, უწოდებენ “კიდურა ეფექტს”. კიდურა ეფექტის არსებობა აუარესებს ხაზური ძრავას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. კერძოდ, ამცირებს ძრავას მ.ქ.კ-ის და სიმძლავრის კოეფიციენტის cosφ-ს მნიშვნელობებს.

მოძრაობის რეჟიმის შეცვლა, ანუ მოძრაობის სიჩქარის და წევის ძალის რეგულირება, შეიძლება განხორციელდეს ან კ.წ. “**ხისტი**” პროგრამით, რომლის დასახვაც ხდება სახაზო სალტეების განივევეთების სპეციალური შერჩევით, ან კ.წ. ”**დრეკადი**” პროგრამით, როდესაც იცვლება ხაზური ძრავას სტატორზე მოდებული ძაბვა, ან სიხშირე, (ჩვეულებრივი ასინქრონული ძრავების მსგავსად). ამ პროგრამების პრაქტიკული გამოყენება როტულდება იმით, რომ როტულდება ხაზური ასინქრონული ძრავას აბსოლუტური სრიალის ჩაზომვა. ამიტომ, პრაქტიკისათვის დასაშვებ კრიტერიუმად შეგვიძლია ავიდოთ მოძრაობისადმი მაგნიტური წინააღმდეგობის ძალის მინიმალური მნიშვნელობა ან მისი ვერტიკალური მდგენელი.


ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება ასინქრონული ძრავების ისეთი სისტემა, როდესაც როტორის წრედში გამოყენებულია ენერგიის დამაგროვებელი (კონდენსატორები). ასეთი სისტემის ელექტრომაგნიტური მახასიათებლები პრინციპულად განსხვავდება ჩვეულებრივი ასინქრონული ძრავას მახასიათებლებიდან. როტორის წრედში ჩართული კონდენსატორის ტევადობის შერჩევით მახასიათებელს შეგვიძლია მივცეთ სასურველი ფორმა.

ხაზური ასინქრონული ძრავათი აღჭურვილ სისტემაში შედარებით ადვილია რეკუპერაციული დამუხრუჭების განხორციელება. ამ დროს ენერგიის ეკონომიის ეფექტურობა იზრდება სიჩქარის ზრდასთან ერთად. მაგრამ ამავდროულად სერიოზული სირთულეები იქმნება სტატორის და როტორის გრაგნილებს შორის არსებული მცირე დრეჩოს გამო. თუ გაგზრდით საპაერო დრეჩოს, მკვეთრად ეცემა სისტემის მ.ქ.კ და სიმძლავრის კოეფიციენტი $\cos\varphi$. მეორე მხრივ მრუდებში მოძრაობისას წარმოქმნილი რხევების პირობებში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია საჭირო სიდიდის დრეჩოს არსებობა.

სინქრონული ძრავების გამოყენების შემთხვევაში, განსაკუთრებით როტულ პრობლემას წარმოადგენს მაღალი სიჩქარეების დროს, მოძრავი შემადგენლობის დიდი სიმძლავრის ელექტროენერგიით მომარაგება. უშუალოდ მატარებელზე ავტონომიური ენერგიის წყაროს განთავსება საზოგადოდ ცნობილი ნაკლულოვანებების გამო მიზანშეუწონელია. გამოსავლად რჩება სამსადენიანი საკონტაქტო ქსელის, ან სამფაზა საკონტაქტო რელეების გამოყენება, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ართულებს და აძვირებს სისტემას.

აღნიშნული ნაკლულოვანებისაგან თავისუფალია სინქრონული ხაზური ძრავით აღჭურვილი სისტემა. ასეთ სისტემაში, რომლის კვება ხდება გარდამქმნელებით აღჭურვილ 1 – წევის ქვესადგურიდან (ნახ. 20.6). ჩამოკიდებას უზრუნველყოფს მოძრავ ეკიპაჟზე განთავსებული მძლავრი ზეგამტარებით შექმნილ მაგნიტურ

ველსა და საგზაო ზოლის ორივე მხარეს განთავსებულ პასიურ კონტურებში დაინდუქტირებულ დენებს შორის ურთიერთქმედება.



ნახ. 20.6

წევის ძალა წარმოიქმნება მოძრავ ეკიპაჟზე განთავსებულ, მძლავრი ზეგამტარი მაგნიტებით შექმნილ, მაგნიტურ ველსა და გზის გასწვრივ განლაგებულ 2-სამფაზა წევის გრაგნილში გამავალ დენებს შორის წარმოქმნილი ურთიერთქმედებით. წევის გრაგნილი იკვებება 1-ქვესადგურებიდან და დაყოფილია 5-10 კმ სიგრძის უბნებად, რომლებიც კვებას იღებენ მხოლოდ მასზე ეკიპაჟის გადავლის შემთხვევაში, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს სისტემის მ.ქ.პ.-ს. წევის გრაგნილს ასრულებენ იგივე ბიჯით, როგორც ეკიპაჟზე განთავსებულ ზეგამტარი მაგნიტების კონტურებს. ამის შედეგად ეკიპაჟი მოძრაობს წევის გრაგნილის განმრბედ მაგნიტო მამოძრავებელი ძალის ფაზაში, რაც იძლევა მატარებელთა სინქრონული მოძრაობის შესაძლებლობას. ეს კი თავის მხრივ, აიოლებს მატარებელთა მოძრაობის ავტომატიზაციის საკითხებს, რომელიც მნიშვნელოვანია მოძრაობის უსაფრთხოებისათვის.

ხაზური სინქრონული ძრავების გამოყენების შემთხვევაში ზემოთ ნახსენები “კიდური ეფექტი” უმნიშვნელოა, რადგან ეკიპაჟზე განთავსებული ზეგამტარი მაგნიტების კონტურების და საგზაო კონტურების გრაგნილების გრძივი ზომები გაცილებით დიდია მათ განივალებზე. გაშლილი წევის გრაგნილი, რომელიც განლაგებულია უსასრულო სიგრძის გზის გასწვრივ, ასევე არ იწვევს “კიდური ეფექტის” წარმოქმნას. ასეთი სისტემის მნიშვნელოვანი უპირატესობაა ის, რომ ეკიპაჟზე განთავსებული ზეგამტარი მაგნიტები მონაწილეობენ, როგორც ამწევი ძალის, ასევე წევის ძალის შექმნაში.

ხაზური სინქრონული ძრავების გამოყენება, ამავდროულად, ხსნის მაღალი სიჩქარით მოძრავი ეკიპაჟის ელექტრო ენერგიით მომარაგების პრობლემას. გზის

გასწვრივ განლაგებული სამფაზა წევის გრაგნილის კვება ხდება წევის ქვესადგურიდან ყოველგვარი პრობლემების გარეშე (ნახ. 20.6)

20.2. ეკიპაჟის ზეგამტარი მაგნიტები

მაღალსიჩქარიანი მაგნიტური ჩამოკიდების მქონე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ზეგამტარი მაგნიტების გამოყენებით, რომელიც ღრმა გაციების პირობებში ქმნიან ძლიერ მაგნიტურ ველს (ინდუქციით 1,5-3 ტესლა). გამაციებელ აგენტად გამოიყენება ჰელიუმი. მოწყობილობას, რომელიც უზრუნველყოფს ზეგაციებას (დაახლოებით 4,2 კელვინამდე) კრიოსტატი ეწოდება. კრიოსტატები, რომლებიც განთავსებულია მოძრავ ეკიპაჟზე, ქმნიან ამწევ ძალას, რომელიც დაახლოებით 4K ტემპერატურის მქონე მაგნიტიდან უსაფრთხოდ გადაეცემა 300K ტემპერატურის მქონე ეკიპაჟს. იმისათვის, რომ ხანგრძლივად იქნეს შენარჩუნებული ე.წ. “გაყინული” მაგნიტური ველი, აუცილებელია კრიოსტატებს პქონდეთ უმნიშვნელო თბური დანაკარგები.

საორიენტაციოდ თვლიან, რომ თბური დანაკარგები წყვილ შემომყვანებზე შეადგენს 2 ვტ/1000 ამპ. ამ პირობებში 120 მგზავრიან ტევადობის ეკიპაჟისათვის, ზეგამტარი მაგნიტების გაციებისათვის იხარჯება დაახლოებით 1 400 – 1 500ვტ სიმძლავრე. რადგან 1ვტ სიმძლავრე 4K ტემპერატურაზე ეპვიგალენტურია ოთახის ტემპერატურაზე 1 000ვტ სიმძლავრის, ამიტომ მთელი მატარებლის ზეგამტარების გასაციებლად საჭირო იქნება სიმძლავრე 1,4–1,5ვტ, რაც შეადგენს მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალის დაძლევაზე დახარჯული სიმძლავრის 20-30%-ს.

ზეგამტარი მაგნიტების გრაგნილების მასალად შეიძლება გამოყენებული იყოს ნაიობია-ტიტანის (NbTi), ნაიობია-ცირკონიის (NbZr), ნაიობია-ტიტან-ცირკონიის შენადნობი. მაგნიტების იძულებით გაციების სისტემაში, გამოყენებულია ღრუ მაგნიტო გამტარები, რომლებშიც ცირკულირებს 4.2K ტემპერატურის და 0.2 მპა წნევის მქონე ჰელიუმი.

მაგნიტური ჩამოკიდების სატრანსპორტო სისტემებში, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს სამგზავრო სალონის ეკრანირება მძლავრი მაგნიტური ფანტვის ნაკადების ზემოქმედებისაგან და, ასევე, თვით ზეგამტარი მაგნიტების მიერ შექმნილ მაგნიტურ ველების ეკრანირება, სხვა დამხმარე მოწყობილობების მუშაობის მიერ შექმნილი მაგნიტური ნაკადების ზემოქმედებისაგან.

წვეულებრივ თვლიან, რომ სამგზავრო სალონში ინდუქციის დონე არ უნდა აღემატებოდეს 0.005 ტესლას. სინამდვილეში დღეისათვის განხორციელებულ

პროექტებში ინდუქციის დონემ შეიძლება შეადგინოს გაცილებით მეტი (0.03 – 0.05 ტესლა) მნიშვნელობა. აღნიშნულის გამო მაგნიტური ველების მავნე ზემოქმედების შესამცირებლად, გათვალისწინებული უნდა იყოს სამგზავრო განაკვეთების ეკრანირება.

მძლავრი მაგნიტური ველების მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით, იყენებენ პასიურ და აქტიურ ეკრანირებას.

პასიური ეკრანი წარმოადგენს სამგზავრო სალონის იატაკზე განთავსებულ 2სმ სისქის, ზეგამტარ მასალისაგან დამზადებულ მეტალის ფილას, რომელიც სამგზავრო სალონის მასას ზრდის 10 ტონით, რის გამოც მისი გამოყენება მიზანშეუწონელია.

უფრო მიზანშეუწონილია აქტიური ეკრანირება, რომლის პრინციპი ეფუძნება ძირითადი ნაკადის კომპენსირების პრინციპს, რისთვისაც სპეციალურად შესრულებულ ზეგამტარ მაგნიტს ათავსებენ ძირითადი მაგნიტის ქვეშ. უნდა აღინიშნოს, რომ მაკომპენსირებელი მაგნიტი, გარდა სამგზავრო სალონისა, ამავე დროს მაგნიტურ ველს ამცირებს თავისი მოქმედების მთელ სივრცეში. ამიტომ აუცილებელი ხდება ძირითადი ზეგამტარი მაგნიტების მაგნიტური ნაკადების გაძლიერება. ამის გაკეთება შესაძლებელია ზეგამტარების რაოდენობის 30%-ით გაზრდით, რის გამოც ეკიპაჟის მასა იზრდება 2-3 ტონით, რაც მისაღებია.

სატრანსპორტო საშუალებების აღნიშნული სისტემების შემდგომი განვითარება მდგომარეობს მსუბუქი ელექტრომაგნიტების შექმნაში, ელექტროენერგიის ხარჯის შემცირებაში და უსაფრთხო მოძრაობის მართვის საიმედოობის ამაღლებაში.

20.3. პრაქტიკულად რეალიზებული მაგნიტური ჩამოკიდების მქონე სისტემები

დღეისათვის მსოფლიოში პრაქტიკულად დანერგილია მაგნიტური ჩამოკიდების ორი ტიპის სისტემა: იაპონური სისტემა **Magle (ML)** – ინგლისური სიტყვების **Magnetic Levitation** (მაგნიტური ლევიტაცია) აბრევიატურა და გერმანული სისტემა **Transrapid**-ი. ორივე სისტემისათვის საერთოა ის, რომ შემადგენლობის მოძრაობას უზრუნველყოფს გრძივი სინქრონული ელექტრული წევის ძრავები. რაც შეეხება ამწევი ძალების და სტაბილიზაციის (მდგრადობის) განმაპირობებელი ძალების წარმოქმნის საკითხებს, ისინი პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გერმანულ სისტემაში, ამ მიზნით, გამოყენებულია ელექტრომაგნიტური ჩამოკიდება, ხოლო იაპონურში – ჩამოკიდების ელექტროდინამიკური სისტემა. ამ სისტემების პრაქტიკული რეალიზების საშუალებას იძლევა თანამედროვე საგარდამქმნელო და მიკროპროცესო-

რული ტექნიკის მაღალი დონე, რაც მთავარია ზეგამტარობის ეფექტის გამოყენება, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ელექტროდინამიკური ჩამოკიდების პარამეტრების რეალიზება.

20.3.1. ელექტროდინამიკური ლევიტაციის მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი

მაღალსიჩქარიანი მაგნიტური ჩამოკიდების მქონე სატრანსპორტო სისტემისათვის ელექტროდინამიკური ლევიტაციის ტექნოლოგია პირველად შემოთავაზებული იყო ჯ.პაუელის და გ.დენბის (აშშ) მიერ და მას საფუძვლად დაედო ლენცის ელექტრომაგნიტური ინდუქციის პრინციპი. კერძოდ:

თუ მუდმივი მაგნიტური ველის წყაროს გადავადგილებთ მასიური პლასტინის ან არამაგნიტური დენგამტარი მასალისაგან დამზადებულ მოკლედ შერთულ კონტურების მიმართ, მაშინ მათში დაინდუქტირდებიან დენები, რომლებიც მათ წარმოქმნებ მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედებით წარმოქმნიან ძალებს, რომლებიც ცდილობენ შეეწინააღმდეგონ კონტურებში აღნიშნული მაგნიტური ველის მიერ დენების დაინდუქტირებას.


ერთი ჯგუფი აღნიშნული ძალებისა ცდილობს "გამოაძევოს" მაგნიტური ველის შემქმნელი წყარო (პირობითად ვთქვათ ვაგონი, რომელზეც განთავსებულია ელექტრომაგნიტი) დენგამტარი კონტურების ზონიდან და ამგვარად უზრუნველყოს მისი ჩამოკიდება. მათი ტოლქმედი აღინიშნება F_L სიმბოლოთი (ინგლისური ტერმინიდან **Levitation force**).

ძალების მეორე ჯგუფი ეწინააღმდეგება მაგნიტური ველის წყაროს (ამ შემთხვევაში ვაგონის) გადაადგილებას, აღიქმება, როგორც ელექტროდინამიკური სამუხრუჭო ძალა და აღინიშნება F_D -თი (ასევე ინგლისური ტერმინის **Dra force**) სიმბოლოთი.

ჯ.პაუელის და გ.დენბის მიერ შემოთავაზებული წინადადების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მუდმივი მაგნიტური ველის წყაროდ გამოყენებული ყოფილიყო ზეგამტარი მაგნიტები, რომლებიც განთავსდებოდა მოძრავ მატარებელზე, რომელთა მეშვეობით გზის გასწვრივ განლაგებულ ალუმინისაგან დამზადებულ მოკლედ შერთულ კონტურებში დაინდუქტირდებოდა დენები.

20.7 ნახაზზე მოცემულია ასეთი ელექტროდინამიკური ჩამოკიდების და გვერდითი გადაადგილების სტაბილიზაციის სისტემით აღჭურვილი ორგაგონიანი მატარებლის გამოსახულება.



1-მატარებლის დაძვრას და დასახულ სიჩქარემდე (70-130 კმ/სთ) ხაზოვან გადადგილებას უზრუნველყოფს ტურბოხერახნული 2 ძრავა. უძრავ მდგომარეობაში ან დაბალ სიჩქარებზე (სიჩქარე ნაკლებია 70 კმ/სთ-ზე) მანამ, სანამ არ მუშაობს ელექტროდინამიკური ჩამოკიდება, მატარებელი გზის ვაკისს ეყრდნობა 3 თვლით. მატარებლის ორთავე მხარეს (4) კრიოსტატებში განთავსებულია ზეგამტარი (5) ელექტრომაგნიტები. 70 კმ/სთ სიჩქარის გადაჭარბებისას, (7) გზის ვაკისში განთავსებულ 6-მოკლედშერთულ კონტურებში დაინდუქტირდება გრიგალური დენები, რომლებიც (5) ზეგამტარი მაგნიტების დენებთან ურთიერთქმედებით ქმნიან ამწევ (ჩამოკიდების) ძალას, რომელიც ვაგონს იჭერს გზის მიმართ აწეულ, ფიქსირებულ, გაწონასწორებულ მდგომარეობში. ზეგამტარი მაგნიტები დამზადებულია II სახეობის (NbTi; Nb₃Sn) ზეგამტარებისაგან. ისინი ცივდებიან (8) რეფრეჟერატორიდან (9) მიღების საშუალებით 5,6K ტემპერატურამდე. ასეთი მაგნიტები 33-700 კილო ამპერ დენის გავლისას, ქმნიან ისეთ მაგნიტურ ველს, რომელიც საკმარისია 30 ტონიანი ვაგონის 0,3 მეტრ სიმაღლეზე ჩამოსაკიდებლად.




ნახ. 20.7. ორგაგონიანი მატარებელი ელექტროდინამიკური ჩამოკიდებით.

20.8 ნახაზზე მოცემულია ელექტროდინამიკური ჩამოკიდების და გვერდითი სტაბილიზაციის ერთ-ერთი პირველი კონცეპტუალური სქემა. 1-მატარებელზე, ორთავე მხარეს, განთავსებულია ორ-ორი წყვილი ზეგამტარი მაგნიტები (სამატარებლო კონტურები) 2-სამატარებლო და საგზაო კონტურებს შორის ინდუქტიური

a)



b)



ნახ. 20.8. ელექტროდინამიკური ჩამოკიდების და სტაბილიზაციის ერთ-ერთი ვარიანტის კონცეპცია.

კავშირის გაზრდის მიზნით, შერეულ ზეგამტარ მაგნიტებს აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლარობა. V -მიმართულებით მატარებლის მოძრაობისას, ზეგამტარი მაგნიტები გზის ორთავე მხარეს, ორ-ორ მწკრივად პორიზონტალურად განლაგებულ საგზაო მოკლედშერთულ 3-კონტურებში, აინდუქტირებენ დენებს. საგზაო

კონტურების გრძივი ზომები ნაკლებია სამატარებლო კონტურების გრძივ ზომებზე, ხოლო ორთავე კონტურების განივი ზომები ერთნაირია. საგზაო კონტურებში დაინდუქტირებული დენები წარმოქმნიან მაგნიტურ ველს, რომლის ურთიერთქმედება სამატარებლო კონტურების დენებთან ქმნის ამწევ ძალას, რომელიც უზრუნველყოფს აწეულ მდგომარეობაში ”ჩამოკიდებას”.

საგზაო კონტურებში დენების დაინდუქტირება ხდება მხოლოდ დროის იმ მონაკვეთში, როდესაც მატარებელი იმყოფება ამ კონტურების თავზე. მატარებლის წინ და უკან მდებარე კონტურებში დენები არაა. ამწევი ძალის სიდიდე დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: 1–ზეგამტარი მაგნიტების მაგნიტომამოძრავებელ ძალაზე; 2–საგზაო კონტურებში დაინდუქტირებული დენების სიდიდეზე; 3–სამატარებლო და საგზაო კონტურებს შორის მანძილზე.

სამატარებლო და საგზაო კონტურებს შორის ელექტროდინამიკური კავშირი განაპირობებს ჩამოკიდებას, რომელიც უზრუნველყოფს მატარებლის გაწონასწორებულ მდგომარეობაში მდგრადობას ვერტიკალურ სიბრტყეში, როდესაც ამწევი ძალა გაწონასწორებულია მატარებლის წონით. თუ წონასწორობის მდგომარეობიდან რაიმე მიზეზით მატარებელი დაიწევს ქვემოთ გზის მიმართულებით, მაშინ შემცირდება მანძილი (დრეჩ) სამატარებლო და საგზაო კონტურებს შორის, გაძლიერდება მაგნიტური კავშირი მათ შორის, შესაბამისად გაიზრდება საგზაო კონტურში დაინდუქტირებული დენის სიდიდე, ამწევი ძალა და მატარებელი დაუბრუნდება გაწონასწორებულ პირვანდეულ მდგომარეობას. ანალოგიური მსჯელობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონტურებს შორის შემთხვევით მანძილის (დრეჩის) გაზრდისას, ჩამოკიდების ძალა შემცირდება და მატარებელი დაბრუნდება პირვანდეულ წონასწორებულ მდგომარეობაში. ჩამოკიდების ასეთ სისტემას უწოდებენ **ნორმალურნაპადურ სისტემას**. საგზაო კონტურებში დენების დაინდუქტირება ხდება მხოლოდ დროის იმ მონაკვეთში, როდესაც მატარებელი იმყოფება ამ კონტურების თავზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მატარებლის წინ და უკან მდებარე კონტურებში დენები არაა. ჰორიზონტალურ სიბრტყეში მდგრადობას უზრუნველყოფს მატარებელზე განთავსებულ ზეგამტარ მაგნიტებსა და გზის გასწვრივ ორმწკრივად განლაგებულ **4**–ვერტიკალურ საგზაო კონტურებს შორის ურთიერთქმედება. გვერდითი სტაბილიზაციის საგზაო კონტურებს აქვს იგივე სიგრძე, რაც ჩამოკიდების საგზაო კონტურებს და განლაგებული არიან ამ უკანასკნელის შუა ზონაში, გზის გასწვრივ (იხ. ნახ. 20.8 ბ).

სანამ მატარებლის და გზის გრძივი დერძები ემთხვევა ერთმანეთს, მანამ ნაკადშებმა სამატარებლო კონტურებსა და ვერტიკალურ საგზაო კონტურებს შორის

იქნება 0-ის ტოლი. მე-4-ე კონტურებში დენები არ დაინდუქტირდება და შესაბამისად გვერდითი მასტაბილიზირებელი ძალა არ წარმოიქმნება.


თუ რაიმე მიზეზით მატარებელი პორიზონტალურ სიბრტყეში, საგზაო დერძის მიმართ გადაადგილდება რომელიმე განივი მიმართულებით, მაშინ გვერდითი სტაბილიზაციის საგზაო ვერტიკალურ კონტურებში დაინდუქტირდება ე.მ.პ, შესაბამისად დენები და წარმოიქმნება მაგნიტური ველები, რომლებიც სამატარებლო კონტურების მაგნიტურ ველებთან ურთიერთქმედებით წარმოქმნის მართულ ძალას F_g (**guidance force**), რომელიც მატარებელს დააბრუნებს პირვანდელ წონასწორობაში. ამგვარად პორიზონტალური დამაბრუნებელი ძალა უზრუნველყოფს მატარებლის დაჭერას გზის დერძზე, მისი ამ მდგომარეობიდან ნებისმიერი შემაშფოთებელი ზემოქმედებით (ქარი, მრუდე და ა.შ.) განპირობებული გადაადგილების შემთხვევაში.

განსხვავებით “ჩამოკიდების” საგზაო კონტურებიდან, რომლებშიც დენები ინდუქტირდება განუწყვეტლივ, პორიზონტალური სტაბილიზაციის კონტურებში დენების დაინდუქტირება ხდება მხოლოდ მატარებლის და გზის სიმეტრიის დერძების ერთმანეთისგან წანაცვლების შემთხვევაში.


20.8 ნახაზზე მოყვანილია ჩამოკიდების და სტაბილიზაციის აღნიშნული სისტემის პარამეტრები, მატარებლისათვის, რომლის სიგრძეა 30,5 მ; მასაა 27,3 ტ, მოძრაობს გზიდან 0,15 მ სიმაღლეზე. სამატარებლო ზეგამტარ კონტურის მაგნიტო მამოძრავებელი ძალა ტოლია 3 000 ამპერის. მატარებლის წანაცვლებისას გზის სიმეტრიის დერძის მიმართ 7,5 სმ-ით, წონასწორობაში დამაბრუნებელი წარმოქმნილი ძალის სიდიდე დაახლოებით მისი მასის, ანუ 27 ტონის ტოლია.

20.9 ნახაზზე და 20.10 ნახაზზე მოცემულია ელექტროდინამიკური ჩამოკიდების და გვერდითი სტაბილიზაციის უფრო დეტალური სქემები. აქ “ჩამოკიდებას” უზრუნველყოფს (1) მატარებელზე პორიზონტალურად განთავსებული სამატარებლო ზეგამტარი (2) კონტურების და ვერტიკალურად განთავსებული (3) საგზაო კონტურების ურთიერთქმედება. ამწევი (ჩამოკიდების) ძალის წარმოქმნის პროცესი ზემოთ აღწერილი გვერდითი მასტაბილიზირებელი ძალის წარმოქმნის ანალოგიურია.

თუ სამატარებლო ზეგამტარი მაგნიტები განთავსებულია ვერტიკალური საგზაო მაგნიტების ცენტრალურ პორიზონტალურ ხაზზე, მაშინ ამ უკანასკნელში (ვერტიკალურ საგზაო კონტურებში) გადის ნულოვანი ნაკადი და მათში დენები არ დაინდუქტირდება. შესაბამისად სამატარებლო და საგზაო ვერტიკალური კონტურების ურთიერთქმედებით წარმოქმნილი ელექტროდინამიკური ძალა ნულის ტოლი იქნება. იმ შემთხვევაში თუ კონტურები გადაადგილდება ცენტრალური პორიზონ-



ნახ. 20.9. სამატარებლო და საგზაო მაგნიტების ორთოგონალური ორიენტაციით ელექტროდინამიკური ჩამოკიდების სქემა.



ნახ. 20.10. გვერდითი სტაბილიზაციის ნულ-ნაკადური სქემა.

ტალური ხაზის მიმართ, მაშინ საგზაო კონტურებში დაინდუქტირდება დენები, რომლებიც სამატარებლო ზეგამტარ მაგნიტებთან ურთიერთქმედებით ქმნიან ამწვევ (ჩამოკიდების) ძალას. მატარებლის გვერდითი სტაბილიზაციისთვის აქ გამოიყენება ნულ-ნაკადიანი სისტემა. (1) მატარებლის ორივე მხარეს, სამატარებლო ზეგამტარი მაგნიტების 2-ის ზემოთ და ქვემოთ განთავსდება საგზაო კონტურები 3 ზედ. და 3 ქვედ. (ნახ. 20.10) ყოველი კონტური შესრულებულია ორი მართვული მარყუჟის მსგავსად, რომლებიც შეერთებულია “8” ფიფრის მსგავსად. (ნახ. 20.10, 20.11.) თუ სამატარებლო კონტურების გრძივი სიმეტრიის დერძი გადის საგზაო კონტურების


სიმეტრიის დერძის გერტიკალურ სიბრტყეზე, მაშინ საგზაო კონტურების ორივე მარყუჟში დაინდუქტირდება ერთი სიდიდის და სხვადასხვა ნიშნის (მიმართულების) ელექტრო მამოძრავებელი ძალა. მ.შ. სანამ მატარებლის განივი მდებარეობის სიმეტრიის დერძი, ემთხვევა გზის სიმეტრიის დერძს, მანამ საგზაო კონტურებში დენები არ ინდუქტირდება. თუ მატარებელი რაიმე მიზეზით წანაცვლდება (გადა-ადგილდება) პორიზონტალურ სიბრტყეში რომელიმე მიმართულებით, მაშინ პორიზონტალური მასტაბილიზირებელი კონტური, რომლის მხარესაც მოხდა გადაადგილება, მიიღებს მძლავრ მაგნიტურ კავშირს, ვიდრე მისი საპირისპირო კონტური. ე.ი. საგზაო კონტურებში მოხდება ელექტრომამოძრავებელი ძალის დისბალანსი, რაც გამოიწვევს საგზაო კონტურებში დენის გავლას. ამ დენის მიერ შექმნილი მაგნიტური ნაკადი, სამატარებლო ზეგამტარ მაგნიტებთან ურთიერთქმედებით წარმოქმნის ძალას, რომელიც მატარებელს დააბრუნებს საწყის მდებარეობაში. 20.11 ნახაზე მოცემულია ნულ-ნაკადიანი სისტემის განსხვავებული ვარიანტი. 1-მატარებლის ორთავე მხარეს, გზის გასწვრივ, პორიზონტალურ სიბრტყეში, განთავსებული საგზაო კონტურები შედგება ორი: ზედა (3 ზედ.) და ქვედა (3 ქვედ.) ნახევრებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია ისე, რომ დაინდუქტირებული დენების მიმართულება ურთიერთსაწინააღმდეგოა. ე.ი. თუ სამატარებლო კონტური განთავსებულია პორიზონტალურ სიბრტყეში საგზაო კონტურის ნახევრებს, შორის შუაში, მაშინ მათ შორის ნაკადშებმა ნულის ტოლია.

თუ რაიმე მიზეზით შემცირდება ამწევი (ჩამოკიდების) ძალა, მაშინ მატარებელი სიმძიმის ძალის წყალობით გადაადგილდება ქვემოთ, შესაბამისად შეიცვლება საგზაო კონტურების ზედა და ქვედა ნახევრებში ნაკადშებმა, რაც გამოიწვევს საგზაო კონტურებში დენის დაინდუქტირებას, რომელიც სამატარებლო კონტურების მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედებით უზრუნველყოფს მატარებლის ჩამოკიდებას სამატარებლო კონტურების სიმეტრიის დერძის ოდნავ ქვემოთ.

თუ სამატარებლო ზეგამტარი კონტური გადაადგილდება პორიზონტალურ სიმეტრიის სიბრტყის ზემოთ, მაშინ საგზაო კონტურებში დაინდუქტირებული დენის მიმართულება ისეთია, რომ სამატარებლო კონტურზე მოედება ქვემოთ მიმართული ძალა და მატარებელს გადაადგილებს ქვემოთ, პირვანდელ მდგომარეობაში.

გამოდის, რომ სამატარებლო კონტურზე ყოველთვის მოქმედებს სიმეტრიის სიბრტყეზე დამაბრუნებელი ძალა.


სწორედ ასეთ სისტემასთან შეხამებული მუშაობის შესაძლებლობით იყო წამოყენებული საზური სინქრონული ძრავა მატარებლის საზოვანი გადაადგილებისათვის, ჯ.პაუელის და გ.დენბის მიერ.



ნახ. 20.11. ელექტოდინამიკური ჩამოკიდების ნოლ-ნაკადიანი ვარიანტი

ხაზური სინქრონული ძრავას გამოყენების პირველი სქემური ვარიანტი მოცემულია 20.12 ნახაზზე. როგორც ზემოთ ვნახეთ, სამატარებლო ზეგამატარი მაგნიტები ემსახურება მატარებლის ელექტოდინამიკური ჩამოკიდების და სტაბილიზაციის პროცესებს. მათ, აგრეთვე, შეუძლიათ ხაზოვანი სინქრონული ძრავას ინდუქტორის (როტორის) როლის შესრულება.

თუ ნულ-ნაკადიანი ჩამოკიდების სისტემაში საგზაო კონტურების ზემოთ და ქვემოთ განვათავსებოთ გარკვეული წესით შესრულებულ დამატებით გრაგნილებს, მაშინ მათ შეიძლება ვუწოდოთ ხაზური სინქრონული ძრავას ღუზის გრაგნილი, სხვაგვარად წევის კონტური. განსახილველ ვარიანტში გამოყენებულია ორმაგი ტალღური გრაგნილი, რომლის პირდაპირი და უკუსექციები შესრულებულია სამატარებლო ზეგამტარი კონტურების საპოლუსო დანაყოფის ζ -ს ტოლი ბიჯით. თუ წევის კონტურს მივაწვდით f სიხშირის ცვლად დენს, მაშინ ეს დენი სამატარებლო ზეგამტარ მაგნიტებთან ურთიერთქმედებით, წარმოქმნის წევის (მამოძრავებელ) ძალას F_p (**propulsion force**), რომელიც ინდუქტორის მაგნიტური ველის და ღუზის გრაგნილის დენის გარკვეული ინტენსივობისას, განაპირობებს




ნახ. 20.12. ხაზური სინქრონული ძრავის სქემური გამოსახვა.

მატარებლის გადაადგილებას $V = 2\zeta f$ სიჩქარით. მიუხედავად იმისა, რომ წვეის კონტური და ჩამოკიდების კონტურები ერთმანეთს ეხებიან, ისინი ისეა შესრულებული, რომ მათ შორის ურთიერთინდუქტიურობა 0-ის ტოლია. ამიტომ, ჩამოკიდების ამწევი ძალის შემქმნელ კონტურებში, წვეის ძალის შემქმნელ კონტურებიდან არ ინდუქტირდება არავითარი დენები. აღწერილი სისტემა განაპირობებს ხაზური სინქრონული ძრავების გამოყენების დიდ უპირატესობას. კერძოდ: ერთი მხრივ

წევის ძალის შესაქმნელად, მატარებელზე გარედან ენერგიის მიწოდება საჭირო არაა. მეორე მხრივ წევის კონტურები იკვებება შედარებით მცირე დენებით, რაც ამცირებს კარგვებს და ამაღლებს ძრავის მარგი ქმედების კოეფიციენტს.

20.3.2. პროექტი, საცდელი ნიმუშები

ჯ.პაუელის და გ.დენბის იდეები პირველად რეალიზებული იქნა “Magneplan“-ს პროექტი (ნახ. 20.13). ამ პროექტის არსი მდგომარეობს შემდეგში: ცილინდრული ფორმის ვაგონი, რომელზეც მუდმივი (უცვლელი) ბიჯით, მონაცემეობითი პოლარობით განთავსებულია ელიფსური ფორმის ზეგამტარი მაგნიტები, დრეკადადაა ჩამოკიდებული ცილინდრული ფორმის რკინაბეტონის მიმმართველებზე და გადაადგილდება ელექტროდინამიკური გზით.



ნახ. 20.13. “Magneplane-ს” პროექტი:
1-ფიზურელაჟი, 2- ზეგამტარი მაგნიტი, 3- გზის სტრუქტურა, 4- სალონი,
5-კრიოსტატი, 6-წევა; 7- ‘ჩამოკიდების’ და მიმართულების ფურცელი,
8- ხაზური სინქრონული ძრავას ღუზა.


ვაგონად გამოყენებულია “ბოინგ 707”-თვითმფრინავის ფიუზელაჟი. მისი სიგრძეა 50 მეტრია, ტევადობა – 140 მგზავრი, მასა 44,8 ტ, ვაგონის იატაკის ქვემოთ 120° გრადუსიანი სექტორის გასწვრივ, 2,75მ ბიჯით განთავსებულია 16 ცალი ელიფსური ფორმის ბრტყელი კოჭი. ყოველი კოჭი დაყენებულია მასიურ ალუმინის გულარაზე, რომელიც აკომპენსირებს ფიუზელაჟის ვაკუუმურ ნაკვეთურში ტიხების კარკასებზე დამაგრებულ წევარების ელექტროდინამიკური განმრჯენების ძალებს ($2 \cdot 10^6$ ნ). რეკომენდებულია ერთფენიანი გრაგნილები შესრულდეს ღრუ სადენებით. სადენი დამზადებულია ალუმინით, სტაბილიზირებულ და უქანგავი ფოლადით არმირებულ ნიობია-ტიტანის შენადნობით. სადენს აქვს მართვულთხა კვეთი $2,5 \times 1,25$ სმ, 1სმ დიამეტრის სვრელით, რომელშიც ცირკულირებს ზეკრიტიკული ტემპერატურის პელიუმი. კოჭის $18 \cdot 000$ ამპერი მუშა დენით აგზებისას $1,25 \times 10^6$ ამპერ მაგნიტომამოძრავებელ ძალის მნიშვნელობამდე; დაგროვილი ენერგია მიახლოებით ტოლი იქნება 10^6 ჯოულის. 100 მ/წმ (360 კმ/სთ) სიჩქარის და გზასა და კოჭებს შორის 25 სანტი-მეტრიანი ღრებოს შემთხვევაში, ამწევი ძალა ტოლი იქნება $5 \cdot 10^5$ ნ = $50 \cdot 000$ კგ=50 ტ-ის.

საგალი გზა წარმოადგენს 4 მ დიამეტრის, 120° სექტორის ფორმის ცილინდრულ სხეულს, რომლის ცენტრში გაკეთებულია 45° კუთხის მქონე ჭრილი. ჭრილის ორივე მხარეს განთავსებულია ჩამოკიდების და სტაბილიზაციის ფურცელოვანი საგზაო დარები. სექტორის ჭრილში, ცენტრის გასწვრივ განთავსებულია ხაზური სინქრონული ძრავის ღუზის ორმაგ ტალღურ გრაგნილიანი მრავალფაზა სისტემა. დეროები გათვლილია თითოეულ ფაზაზე 1 600 ამპერ საშუალოკვადრატულ დენის მნიშვნელობაზე. გრაგნილის ბიჯი აირჩევა 100 მ/წმ სინქრონული სიჩქარის და მკვებავი ძაბვის (60 პერცის) სიხშირის შესაბამისად.

ზეგამტარი ელექტრომაგნიტის ელიფსური ფორმა განაპირობებს ვაგონის დერძის ქვეშ მაგნიტური ველის მკვეთრად გამოხატულ მაქსიმუმს ე.წ. “მაგნიტურ კილს”. წევის გრაგნილის მრავალფაზა ცვლადი დენის წყაროდან კვებისას წარმოიშვება განმრბელი მაგნიტური ველის ტალღა, რომელიც ურთიერთქმედებს რა ვაგონის “მაგნიტურ კილთან”, წარმოქმნის წევის ძალას.

სინქრონულობის მისაღწევად, ვაგონის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ენერგიის მარეგულირებელ ორგანოს, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში ცვლის წევის დენის სიხშირეს, ფაზას ან ამპლიტუდას (იმის მიხედვით რეგულირების რა სახეობა გამოიყენება).

ერთდროულად ხაზური სინქრონული ძრავა წარმოქმნის ცვალებადი სიდიდის ვერტიკალურ ძალას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ვაგონის რხევითი მოძრაობის ჩასაქრობად.



ნახ. 20.14 პროექტი Maglev-canada-პირველი ვარიანტი:


- 1 – ვაგონი, 2 – ჩამოკიდების ბორბალი, 3 – ჩამოკიდების საგზაო ფურცელი,
- 4 – სინქრონული ძრავას და მიმართულების ზეგამტარი მაგნიტი, 5 – რეფრიჟერატორი,
- 6 – სტაბილიზაციის კონტური, 7 – სინქრონულ ძრავას ღუზის გრაგნილი,
- 8 – ჩამოკიდების ზეგამტარი მაგნიტი, 9 – ჰელიუმის კონტეინერი, 10 – მეორადი ჩამოკიდება, 11 – ხაზური სინქრონული ძრავას ზეგამტარი მაგნიტების ბლოკი.

გარდა ადნიშნულისა, „მაგნიტური კილი“ განაპირობებს ცენტრისკენულ ძალის წარმოქმნას და ამ გზით უზრუნველყოფს მდგრადობის გარანტიას. ვაგონის გრძივი დერძის გასწვრივ დრეკადი შემობრუნების შესაძლებლობა, საშუალებას იძლევა ტრასის არაწრფივ მონაკვეთებზე მდგრადი მოძრაობა განვახორციელოთ მინიმალური რადიუსის მქონე მრუდებში. ამისათვის საჭიროა განვი დახრის მქონე მიმმართველი დარი განვათავსოთ ვაგონის დახრის კუთხის ტოლი კუთხით, მრუდის რადიუსის შესაბამისად.

„Magneplane“-ს პროექტის მიხედვით, წუთში ორვაგონიანი მატარებლის 100 მ/წმ-ში სიჩქარით მოძრაობისათვის, მკვებავი მოწყობილობიდან მოხსნილი სიმძლავრე შეადგენს არანაკლებ 6 მეტავატს.

გერმანული საწარმოს Siemens AG, ThyssenKrupp შვილობილმა კომპანიამ Transrapid-მა ჩინეთის მთავრობის შეკვეთით შანხაი-პუდუნის აეროპორტის უბანზე (სიგრძე 30კმ) შეასრულა ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა (საექსპლუატაციო სიჩქარე

450 კმ/სთ), გერმანული წარმოების მაგნიტური ჩამოკიდების მქონე სამ ვაგონიანი გატარებლებისათვის (ნახ. 20.14, 20.15).




ნახ. 20.14




ნახ. 20.15

სამუშაოები დასრულდა და უბანი ექსპლუატაციაში შევიდა 2002 წელს. ის დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს. უფრო მეტიც, დაგეგმილია მაგისტრალის სიგრძის გაზრდა 176 კმ-მდე, ქალაქ ხანჩეოუმდე.



ნახ. 20.16



ნახ. 20.17

იაპონიაში იამანის პრეფექტურაში შექმნილ საცდელ მაგისტრალზე, Chubu HSST Development Corpor. კომპანიის მიერ შექმნილმა მაგნიტური ჩამოკიდების მქონე MLX01-901 სერიის მატარებელმა, 2003 წელს მგზავრებით დასახლებულმა, აჩვენა სიჩქარე 581 კმ/სთ-ში (ნახ. 20.17).

Л 0 8 9 5 8 9 5

1. Розенфельд В.Е., Исаев И.П., Сидоров Н.Н. Теория электрической тяги. Изд-во «Транспорт», 1983. 320 с.
2. Минов Д.К. Повышение тяговых свойств электровозов и тепловозов с электрической передачей. Москва, «Транспорт», 1965. 266 с.
3. Тиристорное управление электрическим подвижным составом постоянного тока. Под ред. В.Е. Розенфельда. Москва, изд-во «Транспорт», 1979. 240 с.
4. Тулупов В.Д. Автоматическое регулирование сил тяги и торможения электроподвижного состава. Москва, изд-во «Транспорт», 1976. 308 с.
5. Тихменев Б.Н., Трахтман Л.М. Подвижной состав электрифицированных железных дорог: Теория работы электрооборудования. Электрические схемы. Учебник для вузов. 4-ое издание, Москва, «Транспорт», 1980. 471 с.
6. Тихменев Б.Н., Кучумов В.А. Электровозы переменного тока с тиристорными преобразователями. Изд-во «Транспорт», 1988. 310 с.
7. Осипов С.И., Миронов К.А., Ревич В.И. Основы локомотивной тяги. Изд-во «Транспорт», 1979. 434 с.
8. Слепцов А.С., Долаберидзе Г.П., Тулупов В.Д., Савина Т. Электрический транспорт. Изд-во «Академия», 2008. 460 с.
9. Кузьмин В.Д., Руднев В.С., Френкель С.Я. Теория локомотивной тяги. (Учебник) изд-во «Высшее профессиональное образование», Москва, 2005. 443 с.
10. Костенко М.П., Пиотровский Л.М. Электрические машины. Госэнергоиздат, часть II, 1958. 646 с.
11. Чиликин М.Г. Общий курс электропривода. Госэнергоиздат, 1951. 374 с.
12. Карипидис С.И. Динамика нелинейных систем тягового электропривода постоянного тока. Изд-во «Технический университет», Тбилиси, 2012, 314 с.
13. Правила тяговых расчетов для поездной работы. Москва, «Транспорт», 1985.
14. Гребенюк П.Т., Долганов А.Н., Скворцова А.И. Справочник (тяговые расчеты). Изд-во «Транспорт», Москва. 1987.
15. Зевеке Г.В. и др. Основы теории цепей. Из-во «Энергия». 1965.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	5
ელექტრული წევის განვითარების მოკლე ისტორია	5
I თავი. ტრანსპორტის მოძრაობის თეორიული საფუძვლები	13
1.1. ტრანსპორტის დანიშნულება და სახეობები	13
1.2. ბორბალი და მისი ფუნქცია	13
1.3. ტრანსპორტის მოძრაობის თავისებურებები	15
1.4. სატრანსპორტო მოძრაობის კინემატიკის და დინამიკის საფუძვლები	20
1.4.1. მატარებლის მოძრაობის მექანიკის ძირითადი ცნებები, სიდიდეები, აღნიშვნები და განზომილებები	20
1.4.2. სტატიკა და დინამიკა	22
1.4.3. მოძრაობა პორიზონტალურ ზედაპირზე	25
1.4.4. მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალები	27
1.4.5. მოძრაობა დახრილ ზედაპირზე	28
1.5. მამოძრავებელი ძალა და მისი შექმნის საფუძვლები სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებისათვის	30
1.6. მატარებლის მოძრაობის მექანიკის მოდელი	33
1.7. სარელსო გზა და მისი თავისებურებანი	36
II თავი. ცნობები ელექტრული წევის სახეობების შესახებ	38
2.1. სარელსო ტრანსპორტის წევის სახეობები	38
2.2. წევის ძრავა, ელექტრომოძრავი შემადგენლობის მთავარი კვანძი	40
2.3. როგორ მუშაობს წევის ძრავა?	42
2.4. მუდმივი დენის წევის ძრავების ძირითადი კვანძები	47
2.5. მუდმივი დენის წევის ძრავების პარამეტრები	50
2.6. მუდმივი დენის წევის ძრავების მახასიათებლები	54
2.7. უკოლექტორო წევის ძრავები და მათი თავისებურებები	58
2.8. ასინქრონული წევის ძრავები და მათი მახასიათებლები	60
2.9. ელექტრომოძრავი შემადგენლობის ძირითადი მოწყობილობები	64
2.9.1. ემჴ-ს ელექტრული მოწყობილობა	65
2.9.2. ანევმატური მოწყობილობა	67
2.9.3. მექანიკური მოწყობილობა	67
2.10. ელექტრომოძრავი შემადგენლობის მართვის სისტემები	67
2.11. ელექტრული წევის თანამედროვე და პერსპექტიული სახეობები	69
2.12. მატარებელზე მომქმედი ძალები	73
2.13. მატარებლის მოძრაობის რეჟიმები	73

III თავი. წევის ძალა და მისი რეალიზაცია	75
3.1. ბორბლიან ტრანსპორტზე წევის ძალის წარმოქმნის მექანიზმი	75
3.2. წყვილთვალის არტახების რელსთან ჩაჭიდვებაზე მომქმედი ფაქტორები	77
3.2.1. არტახისა და რელსის მასალა და მათი ზედაპირების მდგომარეობა	77
3.2.2. ბორბლების გაცურება	77
3.2.3. წევის ძრავების მახასიათებლების სიხისტის გავლენა ჩაჭიდვების წევის ძალის რეალიზაციაზე	78
3.2.4. წევის ძრავების შეერთების სქემის გავლენა	79
3.3. ელექტრომავლის წევითი ოვისებების ამამადლებელი ღონისძიებები	81
IV თავი. მატარებლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალები	84
4.1. მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალთა კლასიფიკაცია	84
4.2. მატარებლის მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალები	86
4.3. მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისადმი ძირითადი წინააღმდეგობის ძალების გაანგარიშება	88
4.4. მატარებლის მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალები	90
4.4.1. ქანობით გამოწვეული მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალა	90
4.4.2. მრუდებით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა	91
4.4.3. ქარით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა	94
4.4.4. გვირაბებით გამოწვეული მოძრაობისადმი დამატებითი წინააღმდეგობის ძალა	95
4.4.5. სამგზავრო მატარებლებში ვაგონებებში გენერატორების მუშაობით წარმოქმნილი დამატებითი წინააღმდეგობის ძალა	97
4.4.6. მატარებლის დაძვრით გამოწვეული დამატებითი წინააღმდეგობის ძალა	96
4.5. მატარებლის მოძრაობისადმი სრული წინააღმდეგობის ძალა	97
4.6. ღონისძიებები მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების შესამცირებლად	98
V თავი. სამუხრუჭო ძალა და მატარებელთა დამუხრუჭება	100
5.1. ზოგადი ცნობები დამუხრუჭების სისტემების შესახებ	100
5.2. სამუხრუჭო სისტემების კლასიფიკაცია	102
5.3. მექანიკური დამუხრუჭება	103
5.4. სამუხრუჭო ძალის წარმოქმნის მექანიზმი	105
5.5. წევის ძირითადი კანონი დამუხრუჭების რეჟიმისათვის. თვალის ჩასოლვა	107
5.6. მატარებლის სამუხრუჭო ძალის გაანგარიშება	109
VI თავი 6. მუდმივი დენის ელექტრომავლის წევის მახასიათებლები	112
6.1. მუდმივი დენის წევის ძრავების კლასიფიკაცია და ელექტრომუდმივი მახასიათებლების აგება	112

6.2. მიმდევრობით აგზნებიანი წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების აგება გრაფო-ანალიზური მეთოდით	113
6.3. ელექტრომექანიკური მახასიათებლების გაანგარიშების ანალიზური მეთოდი	117
6.4. წევის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების გაანგარიშება კომპიუტერული პროგრამით	121
6.5. მიმდევრობით აღგზნებიანი წევის ძრავას თავისებურებები	124
6.6. მუდმივი დენის ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლა წყვილთვალის ფერსოს მიმართ	125
6.7. წევის ძრავას მახასიათებლების გადათვლა რედუქტორის გადაცემის რიცხვის და წყვილთვალის დიამეტრის ცვლილებისას	127
6.8. ელექტრომავლის წევის მახასიათებლები და მათი აგება	128
6.9. შეზღუდვები წევის მახასიათებლებზე	130
VII თავი. მუდმივი დენის კონტაქტორულ-რეოსტატული მართვის მქონე ელექტრომოძრავი შემადგენლობის ამჟმავება და სიჩქარის რეგულირება	133
7.1. მუდმივი დენის წევის ძრავას ამჟმავების პროცესი	133
7.2. წევის ძრავას მდოვრე რეოსტატული ამჟმავება	135
7.3 საფეხურისებრივი რეოსტატული ამჟმავება	139
7.4. სიჩქარის რეგულირება	140
7.4.1. სიჩქარის რეგულირება ძაბვის რეგულირებით	141
7.4.2. სიჩქარის რეგულირება მაგნიტური ნაკადის რეგულირებით	143
7.5. ძრავას ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლა ძრავას მოჭერებზე ძაბვის ცვლილებისას	145
7.6. ელექტრომექანიკური მახასიათებლების გადათვლა მაგნიტური ნაკადის (მაგნიტური ველის) შესუსტებისას	148
7.7. სიჩქარის ცვლილების პროცესი ძრავას მოჭერებზე ძაბვის ცვლილებისას და მაგნიტური ველის შესუსტებისას	152
VIII თავი. მუდმივი ძაბვის მდოვრე რეგულირება	156
8.1. ძაბვის მდოვრე რეგულირება ელექტრომანქანური გარდამქმნელებით	156
8.2. მუდმივი ძაბვის მდოვრე იმპულსური რეგულირება	158
8.3. მუდმივი დენის წევის პერსპექტიული ელექტრომოძრავი	163
8.4. დამოუკიდებელაგზნებიანი წევის ძრავების მქონე მუდმივი დენის ელექტრომოძრავ შემადგენლობაზე სიჩქარის იმპულსური რეგულირება	165
IX თავი. ერთფაზა ცვლადი-მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის რეჟიმი	170
9.1. წევის ძრავების მოჭერებზე ძაბვის რეგულირების ხერხები	170
9.2. გამართული დენის პულსაცია	173
9.3. არამართვადი გამმართველის გარე მახასიათებელი	174

X თავი. ერთფაზა-მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ძრავების მოჭერებზე ძაბვის მდოვრე რეგულირება	178
10.1. სქემების კლასიფიკაცია და მათი ანალიზი	178
10.2. დატვირთვის დენის პულსაცია	183
10.3. მმართვადი გამმართველის გარე მახასიათებელი	184
10.4. კომბინირებული რეგულირება	187
10.5. ცვლადი დენის პერსპექტიული ელექტრომოძრავი შემადგენლობა	190
XI თავი. ელექტრომოძრავი შემადგენლობა ასინქრონული წევის ძრავებით	193
11.1. ზოგადი ცნობები	193
11.2. ასინქრონული ძრავას მუშაობის პრინციპი და ძირითადი მახასიათებლები	194
11.3. ასინქრონული ძრავას ექვივალენტური ჩანაცვლების სქემა	195
11.4. მექანიკური მახასიათებლის განტოლება	197
11.5. ასინქრონული ძრავების ბრუნთა რიცხვის რეგულირების ხერხები	199
11.6. ასინქრონული მანქანების სამუხრუჭო რეჟიმები	203
11.7. სამფაზა ინვერტორის ძაბვის და სისშირის ეკონომიური რეგულირების მეთოდი	207
XII თავი. ელექტრული დამუხრუჭება	214
12.1. ზოგადი ცნობები ელექტრული დამუხრუჭების შესახებ	214
12.2. მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეოსტატული დამუხრუჭება	215
12.2.1. რეოსტატული დამუხრუჭება წევის ძრავების თვითაღგზნებით	216
12.2.2. რეოსტატული დამუხრუჭება წევის ძრავების დამოუკიდებელი აგზებით	224
12.3. ერთფაზა-მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეოსტატული დამუხრუჭება	225
12.4. მუდმივი დენის კონტაქტორულ-რეოსტატული ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეკუპერაციული დამუხრუჭება	228
12.4.1. ზოგადი ცნობები რეკუპერაციული დამუხრუჭების შესახებ	228
12.4.2. რეკუპერაციული დამუხრუჭების სისტემა მასტაბილიზირებელი რეზისტორით	232
12.4.3. რეკუპერაციული დამუხრუჭების სისტემა ამგზნები მანქანის უკუ აგზებით	233
12.5. მუდმივი დენის ელექტრომავლების რეკუპერაციული დამუხრუჭების პრაქტიკული სქემები	236
12.5.1. სქემის დაცვა ავარიულ რეჟიმებში	238
12.5.2. მბრუნავ გარდამქმნელიანი მუდმივი დენის ელექტრომავლების რეკუპერაციული მახასიათებელების ანალიზური გამოსახულებები .	239
12.5.3. ВЛ-15 ელექტრომავლის რეკუპერაციული დამუხრუჭების სქემა	241
12.5.4. ВЛ-15 ელექტრომავლის რეკუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური მართვის სისტემა (რდამს)	245

12.6. ერთფაზა-მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის რეკუპერაციული დამუხსრუჭება	247
12.7. რეგუპერაციულ-რეოსტატული დამუხსრუჭება	252
12.8. ელექტრული დამუხსრუჭება მდოვრე იმპულსური რეგულირებით	254
12.8.1. რეექტერაციული დამუხსრუჭება	254
12.8.2. რეოსტატული დამუხსრუჭება	256
12.9. ელექტრომაგნიტური სარელსო დამუხსრუჭება	259
XIII თავი. მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება	262
13.1. მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ზოგადი სახე	262
13.2. მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ანალიზი	266
13.3. მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ამოხსნის მიზანი და ხერხები	268
13.4. მოძრაობის სიჩქარის გრაფოანალიზური გაანგარიშება	272
13.5. მოძრაობის მრუდების გაანგარიშება გრაფიკული მეთოდით	272
13.5.1. სიჩქარის მრუდის აგების თანმიმდევრობა	275
13.5.2. მატარებლის სფლის დროის გრაფიკული გაანგარიშება	278
13.6. მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ინტეგრირების ანალიზური მეთოდი	281
13.7. წევის გაანგარიშების ანალიზური მეთოდის მაგალითები	286
13.8. მატარებლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების რიცხვითი ინტეგრირება	290
XIV თავი. წევის გაანგარიშება	293
14.1. წევის გაანგარიშების მიზანი	293
14.2. პროფილის გასწორება	294
14.2.1. გასწორება პროფილში	294
14.2.2. გასწორება გეგმაში	296
14.3. მატარებლის წონის განსაზღვრა	297
14.3.1. ზოგადი ცნობები	297
14.3.2. შემადგენლობის წონის განსაზღვრა საანგარიშო ქანობზე დამყარებული სიჩქარის პირობით	298
14.3.3. შემადგენლობის წონის განსაზღვრა მატარებლის კინეტიკური ენერგიის გათვალისწინებით	300
14.4. შემადგენლობის წონის შემოწმება ადგილიდან დაძვრაზე	300
14.5. შემადგენლობის წონის შემოწმება სასადგურე ლიანდაგებში მატარებლის განთავსებაზე	301
14.6. სატკირო მატარებლების უნიფიცირებული წონების დადგენა	302
XV თავი. სამუხსრუჭო გაანგარიშებები	304
15.1. სამუხსრუჭო გაანგარიშებების პრინციპი და ნორმატიული მონაცემები	304

15..2.	სამუხრუჭო მანძილის განსაზღვრა	305
15..3.	მოძრაობის დასაშეგები სიჩქარის განსაზღვრა	308
15..4	მატარებლის სამუხრუჭო საშუალებების განსაზღვრა	309
XVI	თავი. ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენის მახასიათებლები და მოხმარებული დენის მრუდეები	311
16..1.	მუდმივი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენის მახასიათებლები	311
16..2.	ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობის დენის მახასიათებლები	317
16..3.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის მიერ მოხმარებული დენის მრუდეები	322
XVII	თავი. წევის ძრავების გახურება	325
17..1.	ზოგადი ცნობები ელექტრული მანქანების გახურების შესახებ	325
17..2.	წევის ძრავების გახურების გაანგარიშების ანალიზური მეთოდი	326
17..3.	წევის ძრავების გახურების გაანგარიშების გრაფიკული მეთოდი, ტემპერატურული მრუდეების ბადის გამოყენებით	331
XVIII	თავი. ელექტროენერგიის ხარჯის გაანგარიშება	335
18..1.	მატარებელთა წევაზე დახარჯული ელექტროენერგიის გრაფონანალიზური გაანგარიშება	335
18..2.	წევაზე დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯის გრაფიკული გაანგარიშება	337
18..3.	მატარებელთა წევაზე ელექტროენერგიის ხარჯის ანალიზური გაანგარიშება	340
18..3..1.	ზოგადი ცნობები	340
18..3..2.	მოძრაობისადმი წინააღმდეგობის ძალების დაძლევაზე დახარჯული ენერგია	341
18..3..3.	ენერგიის დანაკარგები მუხრუჭებში	342
18..3..4.	ენერგიის დანაკარგები ძრავაში და გარდამქმნელებში	343
18..3..5.	ენერგიის დანაკარგები ასამუშავებელ რეოსტატებში	343
18..4.	ელექტრული ენერგიის სრული ხარჯის გაანგარიშება	344
18..5.	ელექტროენერგიის ეკონომია	345
XIX	თავი. ელექტრომობილი	348
19..1.	ზოგადი ცნობები ელექტრომობილების შესახებ	348
19..1..1.	ძრავა-რეგულატორი	348
19..1..2.	სააკუმულატორო ბატარეა	349
19..2.	ისტორია	340
19..3.	ელექტრომობილების უპირატესობა	350
19..4.	ელექტრომობილების ნაკლი	351
19..5.	თანამედროვე მიღწევები	353

19.6. პერსპექტივა	353
19.7. წევის ძრავები	354
19.8. ჰიბრიდული ავტომობილები	355
19.9. ელექტრომობილების ელექტრული ამძრავების კონსტრუქციული შესრულების შესაძლო ვარიანტები	356
19.10. ელექტრომობილის წევის ელექტროამძრავის ფუნქციონალური სქემა	357
19.11. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები	358
19.12. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი წევის ელექტრული ამძრავის კლასიფიკაცია	359
19.12.1. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი მიმდევრობითი სტრუქტურის სქემა	359
19.12.1.1. კომბინირებული ენერგეტიკული დანადგარით აღჭურვილი მიმდევრობითი სტრუქტურის წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონალური სქემა	361
19.12.2. კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი პარალელური სტრუქტურული სქემა	363
19.12.2.1 კომბინირებული ენერგეტიკული მოწყობილობით აღჭურვილი პარალელური სტრუქტურის წევის ელექტრული ამძრავის ფუნქციონალური სქემა	364
XX თავი. მაღალსიჩქარიანი მიწისზედა სატრანსპორტო სისტემები	365
20.1. მაღალსიჩქარიანი მიწისზედა ტრანსპორტის შექმნის პრობლემები	366
20.2. ეკიპაჟის ზეგამტარი მაგნიტები	375
20.3. პრაქტიკულად რეალიზებული მაგნიტური ჩამოკიდების მქონე სისტემები	376
20.3.1. ელექტროდინამიკური ლევიტაციის მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი	377
20.3.2. პროექტები, საცდელი ნიმუშები	386
ლიტერატურა	391



სერგო ივანეს ძე კარიპიძისი დაიბადა 1935 წელს (საქართველო, წალკის რაიონი, სოფელი ბეჭთაშენი). ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ელექტრული ტრანსპორტის კათედრის გამგე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გამოქვეყნებული აქს 100-ზე მეტი სამცნიერო სტატია, საქართველოს და ყოფილ საბჭოთა კავშირის ცნობილ ტექნიკურ ჟურნალებში. არის ორი მონოგრაფიის და ერთი სახელმძღვანელოს ავტორი. უშუალოდ საკარიპიძისის ხელმძღვანელობით 1977 წელს დამუშავდა და წარმოებაში დაინერგა მსოფლიოში პირველი კოქსმერობი ელექტრომავალი ტკ-14, ტირისტორული მართვით და სიჩქარის ავტომატური რეგულირების სისტემით.

1985-1989 წლებში მისი ხელმძღვანელობით **ვლ-10, ვლ-11 და ვლ-15** მაგისტრალურ ელექტრომავალებზე მბრუნავი **НБ-436А** გარდამქნელის ნაცვლად, შეიქმნა და დაინერგა რეგუპერაციული დამუშარულების რეჟიმის ავტომატური რეგულირების სისტემა, სტატიკური ტირისტორული გარდამქნელის ბაზაზე.

2000 წელს ს.ე.არიპიძისის ხელმძღვანელობით მოდერნიზაცია გაუკეთდა მუდმივი დენის **ЭР-2** სერიის ელექტრომატარებლების. სიჩქარის კონტაქტორულ-რეოსტატული რეგულირების სისტემა შეიცვალა იმპულსური რეგულირების სისტემით (12 ელექტრომატარებელი), რომლებიც დღესაც წარმატებით მუშაობენ საქართველოს რკინიგზაზე.



ჯონდო კალისტრატეს-ძე სანიკიძე დაიბადა 1945 წელს (საქართველო, ვანის რაიონი სოფ. მიქელევონი). 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი “ელექტრული წევა და წევის დანადგარების ავტომატიზაციის” სპეციალობით, ხოლო 1974 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა. არის ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ტექნიკურ უნივერსიტეტში 45 წლზე მეტი წევი სის მუშაობის განმავლობაში გამოქვეყნებული აქს 50-მდე სამცნიერო ნაშრომი, არის 7 დაპანტეტებული გამოგონების და ერთი სახელმძღვანელოს ავტორი. წლების განმავლობაში წარმატებით მიჰყავს სალექციო კურსები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებულ ისეთ სპეციალურ დისციპლინებში, როგორებიცაა: **ელექტრული წევის საფუძვლები, რკინიგზის ელექტრომომარაგების სისტემები და მათი ავტომატიზაცია, ელექტრომომრავი შემადგენლობა და მატარებელთა წევა, ელექტრული ტრანსპორტი და სხვა.**

2000-2002 წლებში სერბიის დედაქალაქ ბელგრადში და მის შემოგარენში ხელმძღვანელობდა ამერიკელების მიერ დაბობილი ენერგეტიკული ობიექტების აღდგენით სამუშაოებს.

2004-2007 წლებში მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით საქართველოს რკინიგზის თბილისის სამგზავრო სალოკომოტივო დეპოში ჩამოყალიბდა იმპულსური ტექნიკის ლაბორატორია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს რკინიგზაზე თანამედროვე იმპულსური მართვის მქონე ელექტრომატარებელების დანერგვის საქმეში.

დღეისათვის წარმატებით განაგრძოს პედაგოგიურ საქმიანობას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.